

114 /  
1952/2

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

# მნათობი

1

თბილისი



1952

# ენათმეცნიერება



ქვეყნის მთავრობის დასავლეთ-დასავლეთი  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შტაბი

საქართველოს სახელმწიფო მწიგნობის კავშირის ორგანო

წიგნის ტიტული

1



★

იანვარი

19

სახელმწიფო  
თბილისი

52

საქართველოს  
ენციკლოპედია  
საბჭოთა  
ბიბლიოთეკა

56484

5119

# პირისპირ

რომანი \*

კაუცკის კალთბჰმეშ

\*...მომავლადი მეორე ინტერნაციონალის ზრუნადა ზელად-მა ბ-ნმა კაუცკიმ, რომელიც რევოლუციის ტალღამ ევროპი-დან გაავლო, ანტანტის ბადეში გახვეულ, დამაყებულ სა-ქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-დემოკრატებთან პიოვა თავშესაფარი. არა მგონია საეჭვო იყოს, რომ გაკოტრე-ბის ეპოს ანტანტა ისევე შიატოებს საქართველოს, როგორც სომხეთს\*.

მ. სტალინი.



1

კორნელი გატაცებით შეუდგა ახალი მოთხრობის — „შამქორის“ წერას. მას-სალების დაჯროვებაში დიდი დახმარე-ბა გაუწიეს მას შამქორის ბრძოლების მონაწილეებმა — მახათაძემ, კარბოვმა, კრუგლოვმა, მემანქანე მენჯავიძემ და სხვებმა. მაგჭამ საქართველოში და მის გარეთაც ისეთი ამბები დატრიალდა, რომ მოთხრობის წერისათვის არა ცხე-ლოდა კორნელის. წითელმა ჯარებმა პერეკოპის გამაგრებული პოზიციები აიღეს, ყირიმში შეიჭრნენ, ვრანგელის ჯარები დაარბიეს და ყირიმი თეთრ-ჯვარდიელებისა და ინტერვენტებისა-ვან გაათავისუფლეს. ამით ინტერვენ-ციის პერიოდი ძირითადად დასრულდა. 29 ნოემბერს სომეხმა ხალხმა, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ლენინისა და სტალინის დიადი პარტიის ხელ-მძღვეანელობით ბოლო მოუღო ამერი-კელ და ინგლისელ იმპერიალისტთა დამქაშების — დაშნაკების ბატონობას და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება

დაამყარა. საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა აზერბაიჯანში და სომხეთ-ში. ახლა საჭირო იყო ნაციონალ-მენ-შევიეებისაგან და ინტერვენტებისაგან ქართველ ხალხსაც ეხსნა თავი და მაშინ მთელი ამიერკავკასია თავისუფალი იქნებოდა. მენშევიეები ამ ამბებმა დი-დად შეაშფოთეს, ისინი იმასაც ხელად-დნენ, რომ მშრომელი ხალხის უმრავ-ლესობა ბოლშევიეებს ემხრობოდა. მენშევიეები შეშინდნენ და იმედი და-ჰკარგეს შიგნით შეიარაღებულ აჯან-ყებას და გარედან მის დასახმარებლად მოსულ წითელ ჯარებს თავისი ძალები-თი გამკლავებოდნენ. ამას თან ერთვო-და ქვეყნად გამეფებული ეკონომიური კრიზისი. ამიტომ ეორდანიას მთავრო-ბამ ევროპაში საგარეო საქმეთა მინისტ-რი გეგეჰკორი აფრინა. სანამ გეგეჰკო-რი სამხედრო და ეკონომიური დახმა-რების მიღებისათვის ვილსონთან, ბრი-ანთან და ლოიდ-ჯორჯთან აუდიენციას ეღირსებოდა, მენშევიეური საქართვე-ლოს სამეურნეო ცხოვრება მთლად მოიშალა და ქვეყანა კატასტროფის წი-ნაშე დადგა. მხოლოდ ინგლისის ერთმა

\* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 12, 1951 წ.

უმნიშვნელო ფირმამ მისცა საქართველოს სესხად 150 ათასი სტერლინგი. ეს თანხა ერთი წვეთი იყო მენშევიეების გაჭირვების ზღვასთან შედარებით. ჟორდანია იძულებული გახდა ეკონომიურ თათბირზე განეცხადებინა: ჩვენ უკვე მივედით ნამდვილ ეკონომიურ კატასტროფამდეო. არანაკლები სავალალო მდგომარეობა ჰქონდათ მენშევიეებს სამხედრო ძლიერების დარღვივის იმიტომ, რომ ჯარისკაცები — მაზარაში გადაცმული მუსხიბი და გლეხები ბოლშევიეებს უჭერდნენ მხარს. საბჭოთა აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარმა შეტაკებებმა მენშევიეები აშკარად დაარწმუნეს იმაში, რომ ქართველი ჯარისკაცი საბჭოთა რუსეთის ჯარისკაცის წინააღმდეგ არ იბრძობდა. მენშევიეების საიმედო გვარდიაშიც ფეხი მოიკიდა ბოლშევიეტრმა გავლენამ და ახლა გვარდიელები ჯგუფ-ჯგუფად სტოვებდნენ თავიანთ ნაწილებს. საქართველოს კომუნისტურ პარტიას, ამ სამი წლის განმავლობაში, არასოდეს ისეთი ხელსაყრელი პირობები არა ჰქონია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, როგორც ახლა, და პარტიაც შეიარაღებული აჯანყების მზადებას შეუდგა.

როდესაც იმპერიალისტური ქვეყნებისაგან სამხედრო და ეკონომიური საჩქარო დახმარების იმედი ამაო აღმოჩნდა, ჟორდანია და მისმა მთავრობამ მეორე ინტერნაციონალის და მისი მამათავრის — კალკის კალთებს შეაფარეს თავი.

თბილისში მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის წევრებს მოელოდნენ.

ჟორდანიას მთავრობა ზარ-ზეიმით მიეგება „მამისა, ძისა და წმიდა კაპიტალის მოციქულებს“.

კორნელი საოპერო თეატრში საპატივცემულო სტუმრებთან, საზეიმო შეხვედრას დაესწრო. საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ ბულბულებმა — ჟორდანია, ჩხეიძემ, წე-

რეთელმა, ჩხენკელმა, გოდებანიძემ, მოგველაძემ და სხვებმა უსწრესო ზოგადი შეახსენს მეფეებისა და მმართველების, კაპიტალისტებისა და მემამულეების ინტერესების დამცველებს — მაკლონაღს, სნოუდენს, ვანდერველდეს, ტომას შოუს, დებრიუკერს, ინგელსს და სხვებს. უცხოელ სტუმრებს განსაკუთრებით მოეწონათ პლატონ მოგველაძის მიერ გერმანულად წარმოთქმული სიტყვა, რომელიც სავსე იყო საქართველოს წარსულის უნაპირო ქებით, საბჭოთა რუსეთის ლანძღვა-გინებითა და ევროპული კულტურის წინაშე მუხლმოდრეკით. შავ ფრაკში გამოწყობილი, მაძლარ ბურჟუასავით ჩასუქებული, ბულანგე მოშველებული სათვალაინი, ზორბა და ლიბიანი, ორმოცდაათმეტი წლის კაცი — ემილ ვანდერველდე სავარძლიდან წამოიჭრა და აღტაცებით შემოჰკრა ტაში. ქეჩოჩასუქებული ეს „სოციალისტი“, ვაჭრის შვილი, ვეჭილი და მერმე ბელგიის იუსტიციის მინისტრი ცნობილი იყო წერილ-ბურჟუაზიული იდეების ქადაგებით, საბჭოთა რუსეთის ძაგებით, პლატონ მოგველაძის მსგავსი ოქროპირობით და ცრუ არტისტიზმით. ალბათ იმიტომ მისცა მან დიდი შეფასება მოგველაძეს, მის განათლებას და ორატორულ ნიჭს, რამაც მოგველაძის აქციები ქართულ ფილისტერულ საზოგადოებაში კიდევ უფრო გაზარდა.

ნაციონალისტები გარს ეხვეოდნენ მოგველაძეს და გამარჯვებას ულოცავდნენ. ესტატე მაყაშვილმა მოგველაძეს ვახშამი მოუწყო და ნადიმზე მეგობარი ვექილები მიიპატიჟა. დიდი ჯაფა დაატყდა თავს დიასახლისს — ვარდოს, გამდელს — სალომეს, მზარელს — ევტიხის და დამლაგებელ ქალს, ევტიხის ცოლს — შურას. ვარდო ქმარს საყვედურით ეუბნებოდა:

— ამ შიმშილობის დროს ნადიმები: გადახდა არ გამიგონია! ფულიც რომ

იყოს, ბაზარში სურსათ-სანოვავე სრულებით არ იშოვება.

— შენი ვერაფერი გამიგია, — მიუგო ქმარმა, — აქი წუწუნით გული გამიწყალე, პლატონ მოგველაქემ და ფილიმონ ერისთავმა ჩვენსას სიარული შესწყვიტეს, ერთობ მომენატრნენ და ვახშამზე მოვიპატიეთო! ახლა პლატონმა მეორე ინტერნაციონალის დედეგაციის წინაშე წარმოთქმული სიტყვით საქვეყნოდ გვასახელა და ნუთუ პატივი არ უნდა ვცეთ იმ კაცს?

— პლატონზე და ფილიმონ ერისთავზე არ მოგახსენებდი, შე კაცო. პლატონი იქნებ ნინოს ბედი შეიქნეს. მაგრამ რა ბედი? პლატონი და ნინო დუმილს განაგრობენ, ჩვენც პირში წყალი დაგვივუბებია, და განა საქმე ასე მოგვარდება? დანამდვილებით ვიცი, რომ ნინოს ჯერ კიდევ არ ამოუღია გულიდან კორნელისადმი სიყვარული.

— ჰოდა, თუ ასეა, დავლუპულვართ: ქალი გავგვიყვებია...

— სწორედ ამიტომ ჩვენ თვითონ უნდა დავაჩქაროთ საქმე და პლატონ მოგველაქეს და ჩვენს ქალსაც ვაგრობინოთ...

ამ დროს ესტატეს შემოესმა ფეხის ხმა. ტუჩზე ხელი მიიფარა და ცოლს ანიშნა, გაჩუმდიო. ოთახში ლურჯ პიჯაკში გამოწყობილი ნინო შემოვიდა, მამას გაუღიმა და ჰკითხა:

— მამილო, შეიძლება ჩემი ამხანაგები მოვიწვიოთ ვახშამზე?

— ვინ ამხანაგები?

— შედიცინის ფაკულტეტიდან...

ვარდოს გულზე შემოეყარა: ისევ სტუდენტ ბიჭ-ბუჭებს დაგვასვენსო. მამამ ჰკითხა:

— მაინც ვინ?

— თამარ ქარელიძე, ანეტა ჩიჯავაძე, მიტო ამირაჯიბი, ზურაბ ზაალი-შვილი, კუკური ზარანდია...

ვარდოს ცეცხლი შემოენთო: ისღა ვეაკლია, სანდრო ხოტივარს და კორ-

ნელი მხეიძესაც. დავუძანოთო, — გაიფიქრა მან და ამხანაგების სიყვარულს მოთვლა აღარ დააცალა.

— უი, არა, შეილო, დღეს მეტად პატივცემული პირები, მხოლოდ მამაშენის მეგობრები მოვლენ ჩვენსა... შენი ამხანაგები — სტუდენტები სხვა დროს მოვიწვიოთ. ახლა უხერხულია.

— რად არის უხერხული?

— როგორ არ გესმის, შეილო! მამაშენი ახლა მინისტრია და ყველას არა აქვს უფლება ჩვენს სახლში მოსვლისა და ჩვენს სუფრაზე ჯდომისა.

— მამაჩემი მინისტრი კი არა, მინისტრის მოადგილეა, — შენიშნა დედას ნინომ, მერმე გაიღიმა და მამას მიაბიძადა ჰკითხა:— მინისტრის სახლში მისვლა აკრძალულია?

— აკრძალული არ არის, შეილო, მაგრამ სასურველია, ჩემს ბინაში ისეთი პირები დაიარებოდნენ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ შემოწმებული, გასინჯული და საიმედონი არიან, — მიუგო მამამ და ისეთი ამაყი, მედიდუნე სახე მიიღო, ისე გაიბღინა, თითქოს ვანდერველდზე უფრო დიდი ეინმე წარჩინებული პირი ყოფილიყოს, დედამაც ამაყი და ზვიადი გამომეტყველება მიიღო და შეილს უთხრა:

— აღარც შენ შეგფერის ბიჭბუჭებთან და სტუდენტებთან ხეტიალი. შენც შენი ტოლი უნდა ეძიო...

— მე სტუდენტი ვარ და სტუდენტებში უნდა ვტრიალებდე. მინისტრები სრულიად არ მაინტერესებენ, მით უმეტეს, თანამედროვე ჩვენი მინისტრები... მე ვიცი, ვანდერველდეები ვინ არიან... — ვანდერველდე ახლა ყველა ფილისტერს პირზე ეყერა.

— აი, ზომ ხედავ, თანამედროვე ჩვენი სტუდენტობის გამოძახილს! ბოლშევიკური აგიტაცია ყველგან იჭრება. ბოლოს იგი ჩვენს სახლშიც შემოღვამს დებს... არა გრცხვენია, — ჩაჰქოლა შეილი დედამ, — მამას რომ დასცინი?

ვანდერველდე რა წითელი კვერცი გგონია?

— არა, მაგას ნუ ამბობ. სად მე და სად ვანდერველდე?! — თავი ჩაჰკიდა და დარცხვენით შენიშნა ესტატემ ცოლს.

— შენ ყოველთვის ასეთი იყავი. შენ შენი ფასი არ იცოდი და არც ახლა იცი, თორემ ამდენხანს განა მინისტრი არ იქნებოდი? — ჰყვედრიდა ცოლი ქმარს.

— რა კირად მინდა ასეთი ქვეყნის მინისტრობა?

— რატომ? რომელ ქვეყანაშია ცხოვრობ, იმ ქვეყნის ქუდიც უნდა დაიხურო...

## 2

ესტატე მაყაშვილის მიერ გამართულ წვეულებაზე ყველაზე ადრე პლატონ მოგველაქე და მისი დამშეული მეგობრები — პოეტი რაფაელ ახვლედიანი, ლეონარდო ტაბაძაძე და თეოფილ გოთუა გამოცხადდნენ. მერმე სენატორები — გიორგი დადვაძე და მუხრან კაჭარავა ცოლებით, სამხედრო პირები — გენერალი ჩიჯავაძე და ესტატეს შმა პოლკოვნიკი ჯიბო მაყაშვილი, ეურნალისტები — ერემო გოდებანიძე და გენადი ქადაგიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ქარცივაძე, ბოლოს მაყაშვილთა სალონის მშვენიება და სიამაყე — მომღერალი ვანო სარაჯიშვილი და პროფესორი ფილიმონ ერისთავი ცოლებით.

სტუმრები კვლავ პლატონ მოგველაძის მიერ წარმოთქმული სიტყვის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და მოგველაძეს აქებდნენ. ორატორმა ქება შეიფერა და ურცხვად განაცხადა:

— ჩემი სიტყვა ერთ კარგ სონეტს უდრიდა!

— შენშევიკებს არა სჯერათ, პოეტებს სახელმწიფოს მართვაც რომ შე-

უძლიათ — დაიკვება რაფაელ ახვლედიანმა.

— რა დალაგებულნი სახელმწიფო იქნებოდა, — დაგესლა თეოფილ გოთუამ. მოგველაძემ მრისხანედ გადახედა მას. რაფაელმა გოთუას უჩუჩრჩულა:

— ის არა კმარა, დაუპატიებლად რომ შემოძვერი მაყაშვილის სალონში, ხალხში გაერეე, და ახლა აქაც ბალანის გამართვას ამირებ?! —

— მიმიჭურთხებია სალონებისათვის, — მიუგო პროვინციიდან თბილისში ჩამოსულმა ყოფილმა სოფლის მასწავლებელმა, კარიერის და პოეტის სახელის მაძიებელმა, უკუღმართმა და მოუსვენარმა ქონდრისკაცმა.

— დაინახეთ, როგორ წამოიჭრა ვანდერველდე და რა ალტაცებით გიკრავდათ ტაშს?! — ჰკითხა ესტატემ პლატონს.

— დაეინახე... სხვა გზა არა ჰქონდა. მთელი დარბაზი ხელში დავიჭირე, — მიუგო პლატონმა. გაშლილი ხელი ჰაერში გაიქნია და მერმე თითები შეკუმშა, თითქოს საოპერო თეატრის დარბაზი მართლაც ხელში დაიჭირა. ოქროპირობაში პლატონის მეტოქე, შავეწერა და შავსათვალებიანი კაცი ერემო გოდებანიძე შურით გაფითრდა. განზე მიდგა, ხელები უკან დაილაგა, თავი მაღლა ასწია, დარბაზის განირალდებულ ჰაღს მიაშტერდა, თითქოს ჰალის გარდა ვერაფერს ხედავს, არაფერი აინტერესებს და არაფერი ესმისო. დადუმებული, ფერწასული და გამხდარი კაცი სამარხში აყუდებულ ადამიანის ჩონჩხს ჰგავდა.

— ვანდერველდე, ვანდერველდე, — კმაყოფილი ღიმილით იმეორებდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ქარცივაძე, — ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მეორე ინტერნაციონალის ბელადების — ვანდერველდეს, მაკდონალდის, სნოუდენის, ტომას შოუს, დებრიუკერის და სხვათა ჩამოსვლა საქართველოში!

— ეს დიდი რამ მოახერხეს მენშე-  
ვიკებმა! ამბობენ, კაუციკიც აპირებს  
ჩამოსვლასო. არა, ჩინებულად კი გა-  
დაუტრესს გზა ბოლშევიკებს ჟორდა-  
ნიამ, ჩხვიძემ და წერეთელმა! — შე-  
ნიშნა ქადაგიშვილმა.

— ეს გარემოება უთუოდ გავლენას  
იქონიებს საქართველოს სასარგებლოდ  
ევროპის საზოგადოებრივი აზრის მო-  
მართვაზე, — დასძინა პოეტმა რაფა-  
ელმა.

— მარტოკა საზოგადოებრივი აზრის  
მომართვა არაფერს ნიშნავს, თუ ევრო-  
პიდან ახლავე რეალური დახმარება არ  
მივიღეთ, — შენიშნა ესტატემ. — საბ-  
ჭოთა რუსეთმა დენიკინი და პოლო-  
ნეთი დაამარცხა, ვრანგელი ზღვაში  
გადააგდო, აზერბაიჯანი და სომხეთი  
გააწითლა. ახლა ჯერი საქართველოზე  
მიდგა. მდგომარეობა მეტის მეტად სა-  
ხიფათოა.

— მეორე ინტერნაციონალი უთუოდ  
აიძულებს ევროპის ქვეყნებს რეალური  
დახმარება გაგვიწიონ. — იმედოვნებდა  
ქარცივაძე.

— ვეპვობ, — მოუჭრა ესტატემ.

— რათა? — ჰკითხა ქარცივაძემ.

— მეორე ინტერნაციონალის და  
ერთა ლიგის იმედი ნუ გაქვთ, — და-  
იწყო ესტატემ, — აკი ყენევაში ამას  
წინათ ერთა ლიგის სხდომაზე, რომელ-  
საც საფრანგეთის, ინგლისის და სხვა  
ერების წარმომადგენლები დაესწრნენ,  
დაადგინეს, რომ, თუ საქართველოს გა-  
რედან ვინმე თავს დაესხა, არც ერთა  
ლიგა, არც მისი ნიღაბით მოქმედი სა-  
ხელმწიფოები არ დაიცავენ საქართვე-  
ლოს, მათ არ შეუძლიათ დაიცვან იგიო.

— რათა? — გაკვირვებით ჰკითხა მო-  
გველაძემ.

— იმიტომ, რომ საქართველო ჯერ  
არ არის იურიდიულად ცნობილი. მა-  
ნამდე კი, ვეპვობ, რომელიმე სახელ-  
მწიფომ გამოგზავნოს ჩვენს დასახმა-  
რებლად სამხედრო ექსპედიცია და  
ფული.

— რად აგვიანებენ იურიდიულად  
ჩვენს ცნობას? ისე არ მღგვიფიფდეს; სა-  
ნამ პაველ მოვიდოდაა *მეტირეშხი მუხავი*  
გააძვრესო, — ჩაუბრუნო თეოფილ გო-  
თუამ.

— ჩვენ მუდამ გარეშე ძალის გვეში-  
ნოდა. შიგნით შედარებით მტკიცე ვი-  
ყავით. ამეამად მდგომარეობა შეიცვა-  
ლა. ახლა საშიშროებას წარმოდგენს  
არა გარეშე ძალა, არამედ შინაური  
ჩვენი სისუსტე, — განაცხადა „სხი-  
ველმა“ კაპარავამ.

— მდგომარეობა მართლაც კატას-  
ტროფულია, — დაეთანხმა მაყაშვილი, —  
ჩვენს ქვეყანაში ახლა არა მარტო ეკო-  
ნომიური, არამედ პოლიტიკური და მო-  
რალური კრიზისი მძვინვარებს. მდგო-  
მარეობა ყოველდღე უარესდება. მენ-  
შევიკურმა პარტიამ მთელი რიგი შეც-  
დომები დაუშვა და მას თავისი შეცდო-  
მების გამოსწორება მხოლოდ პოლიტი-  
კური სიკვდილით შეუძლია... მან ნა-  
ციონალ-დემოკრატიულ პარტიას უნდა  
დაუთმოს ადგილი. წინააღმდეგ შემთხ-  
ვევაში საქართველოს გაწითლება არ  
აშორდება.

— ეს მეტისმეტია. — აღშფოთდა ქარ-  
ცივაძე.

— განა ამაზე უარესი არ განაცხადა  
დამფუძნებელ კრებაში გიორგიმ? —  
შენიშნა ესტატემ. იგი სოციალისტ-რე-  
ვოლუციონერს გიორგი დადებებს გუ-  
ლისხმობდა. — მე სიტყვა-სიტყვით გა-  
ვიმეორებ მის ნათქვამს: ის მთავრობა,  
რომელმაც ქვეყანა კატასტროფამდე  
მიიყვანა, უნდა გადადგეს. ვინ დაი-  
ჭერს მის ადგილს? ამაზე შემდეგ ვო-  
ლაპარაკებთ, მაგრამ, თუ თქვენ ჩვენი  
აზრის გაგება გაინტერესებთ, ინებეთ:  
მთავრობა უნდა იქნეს შედგენილი ნამ-  
დვილი სოციალისტებისაგან და არა  
სპეკულიანტებისა და არამზადებისაგან-  
ნო... ნუ გეწყინება, გიორგი, ეს ნამდვი-  
ლი ბოლშევიკების განცხადებაა.

— რატომ? მე ბოლშევიკი არა ვარ,  
მაგრამ აქ და დამფუძნებელ კრებაშიც

განვაცხადებ, რომ ფეოდალურ არისტოკრატიასთან, ბურჟუაზიასთან და სოციალდემოკრატების ნაძირალბთან მენშევიკების კოალიცია არსებითად რევოლუციის სრულ ლიკვიდაციას ნიშნავს, — უთხრა დაღვაძებ.

ფეოდალური არისტოკრატის დასახელება ნაძირალბთან ესტატეს და ფილიმონ ერისთავს არ მოეწონათ. ესტატე აენტო, ატყდა დიდი დავა. მაგრამ, როგორც არისტოკრატი ერისთავი და ნაციონალ-დემოკრატი მაცაშვილი, აგრეთვე, სოციალისტ-რევოლუციონერი დაღვაძე, „სხიველი“ კაქაბავა და ფედერალისტები — გოდებანიძე და ქადაგიშვილი, პოეტები და დანარჩენები მენშევიკების წინააღმდეგ იყვნენ ამხედრებული და ერთხმად გაიძახოდნენ, რომ მენშევიკებმა დაღუპვის კარამდე მიიყვანეს ქვეყანა და ამიტომ უნდა გადადგნენო. მიუხედავად ამგვარი ლაპარაკისა და დამფუძნებელ კრებაში ამგვარი განცხადებისა, მენშევიკები მაინც განაგრძობდნენ ურცხობას, უტიფრობას, ურჩობას, ყბედობას და რალაც ძალის იმედი ჰქონდათ.

— გარეშე ძალა თუ გვიშველის, თორემ წითელ ჯარს ჩვენ ვერას დავაკლებთ, — განაცხადა გენერალმა ჩიჯავაძემ. მისმა განცხადებამ ყველას ცივი წყალი გადაასხა. მენშევიკური ჯარის შესახებ გენერალმა მთელი მოხსენება გააკეთა:

— ამჟამად ჩვენს არმიაში, — დაიწყო მან, — რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრული განწყობილება სუფევს. მობილიზაციების დროს თქვენ ვერ შენიშნავდით ჯარისკაცებში არათუ ერთუზიანობს, არამედ ქვეყნის დაცვის უბრალო სურვილსაც კი. ქრონიკულ სენად იქცა დეზერტირობა. ამას ხელს უწყობს ამ ბოლო დროს კიდევ უფრო გამძვინვარებული კომუნისტური პროპაგანდა. განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს კომუნისტური პროპაგანდა სათადა-

რიგო ჯარისკაცებზე. ასე, მაგალითოდ, ისინი არ ასრულებდნენ ბრძანებას აპარაში, ამან კი ქართულ ჯარების დამარცხება გამოიწვია. ამის გამო ჩვენ ვერ გავწმინდეთ აპარა მტრებისაგან და იძულებული ვიყავით გოდერძის უღელტეხილით ახალციხისაკენ დაგვეხია.

— საესებით სწორია, — დაუდასტურა გენერალს ახალციხიდან ამასწინათ ჩამოსულმა პოლკოვნიკმა ჯიბო მაცაშვილმა, — ჯარში დაწყებულ მღელვარებას ჩვენ მანამდე ვერ მოვეუღეთ ბოლო, სანამ ჯარისკაცების ერთი ჯგუფი არ დაეხვრიტეთ.

— ზაქათალის დაკავების დროს, — განაგრძო გენერალმა ჩიჯავაძემ, — იქ მოქმედმა ჩვენმა მეექვსე ლეგიონის სათადარიგო ჯარისკაცებმა არ შეასრულეს ბრძანება, ჩაატარეს მიტინგი, რომელზედაც დაადგინეს, არ შეესრულებინათ ბრძანება და არ გაელაშქრათ საბჭოთა ჯარისკაცების წინააღმდეგ. მათ ისინი თავიანთ ძმებს უწოდებდნენ. ამ საქმის მოთავე თერთმეტი კაცი დახვრეტილ იქნა. მეშვიდე ლეგიონში, რომელიც ყველაზე უფრო საიმედო ჩანდა და ამას წინათ ფიილოს წითელი ხიდის რაიონში, აზერბაიჯანის საზღვართან განალაგეს, მღელვარება დაიწყო, ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს საბჭოთა აზერბაიჯანის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაზე. სარდლობა იძულებული გახდა ისევ თბილისში ჩამოეყვანა ისინი, ტანისამოსი და ფეხსაცმელი დაერიგებიათ მათთვის და სათადარიგო ჯარისკაცები დაეთხოვათ ლეგიონიდან. უნდა ითქვას, რომ იმ ჯარისკაცებს დახეული, სრულიად უეარგისი ტანისამოსი და ფეხსაცმელი ჰქონდათ. ესეც ჩვენი უთავობის შედეგია. ჩემი დაკვირვებით, ყველა ვადის სათადარიგო ჯარისკაცები მტრულად არიან განწყობილი რესპუბლიკისადმი და ისინი უკლებლივ უნდა დავითხოვოთ, იმათ ნაცვლად კი ახალგაზრდები გავიწვიოთ ჯარში.



— ჯარში არსებული დისციპლინის გამო რაც გადამხდა, ამას მე ვიამბობთ, — მიეშველა გენერალ ჩიჯავაძეს პოლკოვნიკი ჯიბო მყაყვილი. — ჩემი ლეგიონი სალოლიდან თბილისში ბრუნდებოდა. გზაში გავაფრთხილე ჯარისკაცები და ვუბრძანე, არავინ წასულიყო ემელონიდან თავისი ნებით. მაშინ ჯარისკაცებმა შაშხანებს მოაგულეს ხელი და ჩემი მოკვლა განიზრახეს. მე შემთხვევით გადავჩრი, ჯარისკაცები წავიდ-წამოვიდნენ და თბილისში ლეგიონიდან ოცდაათი, ორმოცი კაციც კი არ ჩასულა... მე გეკითხებით თქვენ: შეიძლება თუ არა ასეთი ჯარით ომი?

ესტატე და მისი სტუმრები დუმდნენ. ყველანი მოწყენილი და დაღვრემილი უხსდნენ ჩინებულად გაწყობილ და მდიდრულ სუფრას. ღვინო ვერ აეწყო. ამ დროს ესტატემ თამადად პლატონ მოგველაქე დაასახლა. მან განაცხადა:

— გათავდეს ქართველთა გლოვა და წუწუნო! ასეთი ცხოვრება ჯოჯოხეთია... მე არა ვფიქრობ ვეროპამ საბჭოთა ქვეყანას შეაკმევეინოს ჩვენი თავი.

მოგველაქემ ბიძგი მისცა სუფრას მზიარულებისაკენ. პროფესორმა ფილიმონ ერისთავმა საუცხოო, ნარნარი რუსულით სიტყვა წარმოთქვა, მან რუსულად ნათარგმნი ბერძენი ლირიკოსის ალკეოსის სატრფიალო ლექსი წაიკითხა და თანამესუფრენი შხამიან სინამდვილიდან ისევ შორეულ, ეფემერულ და ტკბილ სამყაროში გადასახლა. ახლანინო, ქალები და ყველანი გამზიარულდნენ. პლატონ მოგველაქეს და მის მეგობარ პოეტებსაც საღერდელი აეშალათ, ლექსები წაიკითხეს, ხალხი გაამზიარულეს და ქეიფიც წამოვიდა. ბოლოს სუფრა ვანო სარაჯიშვილმა თავისი ტკბილი და გულში ჩამწვდენი ხმით დაამშვენა და დააგვირგვინა.



ქორდანიამ და მისმყოფელს მთავრად მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის წევრები მთელ საქართველოს შემოატარეს, მისი ზღაპრული ბუნება უჩვენეს, მამაპაპური მასპინძლობა გაუწიეს, მრეწველების, თავადების და გენერლების დახმარებით მდიდრული ნადიმები მოუწყვეს, ქართული ღვინით და ღაზით, სიმღერებითა და ლამაზი გოგო-ბიჭების ცეკვა-თამაშით მოხიბლეს, დაათვრეს, შეაქეს და თვალში ნაცარი შეაყარეს... მრეწველობის არც ერთი დარგი — ფაბრიკა და ქარხანა, სოფლის მეურნეობის არცერთი თვალსაჩინო ნიმუში არ უჩვენებიათ სტუმრებისათვის, გარდა უპატრონოდ მიტოვებული და რევოლუციამდე უცხოელ ფირმებზე კონცესიით გადაცემული ქიათურის მადარობისა და წინანდლის ქავეკავაძისეული ბაღისა, სასახლისა, მამულისა, მარნისა და ღვინის სარდაფებისა. ბოლოს შავი ზღვის პირას მდებარე ქალაქები და კურორტები მოატარეს. «დემოკრატიული რესპუბლიკით» მოხიბლული სტუმრები გემში ჩასვეს, და ევროპაში გაისტუმრეს ხვეწა-კონიით, ტრემლების ღვრით, ეკონომიური და სამხედრო დახმარების და ბოლშევიკებისაგან წინის თხოვნითა და მუდარით. მათ პირნათლად შეასრულეს მენშევიკების მუდარა.

მაღე მეორე ინტერნაციონალის მამათავარი, სოციალიზმის ცრუ-თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, კარლ კაუტსკი ჩამობრძანდა ცოლითურთ გერმანიიდან საქართველოში. მისი ერთგული და ღირსეული მოწაფის ქორდანიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. კორნელის არაერთხელ უნახავს სამოცდაათწელს მიღწეული, სავსებით გათვრებული წვერულევაში მოსილი, ტანმორჩილი და სათვალისანი მოხუცი, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე პრუ-

სიელ ჯარისკაცებით გამართული, მხნე და ჩქარი ნაბიჯით დადიოდა, ან კიდევ ჯიშინან ცხენებით შემბულ ლანდოში ეორდანიას გვერდით იჯდა, თეთრ ბუსავით ვაბურძგვნილი მოხუცი გაფაფრულ წარბების ქვეშ გაშტერებული თვალებით უცქეროდა მის მიერ მოწონებულ „დემოკრატიულ რესპუბლიკის“ მოუწყობელ დედაქალაქს. იგი ოღრთოლოდ გზებით მოგზაურობდა ეორდანიას მიერ გაშენებულ „დემოკრატიული სამოთხის“ ქონხახევიან, ღარიბ და ღატაკ სოფლებში, ვიწრო ორილობებში. გერმანიიდან ჩამოსული მოხუცის თვალი ბევრ ნაკლს ამჩნევდა, მაგრამ სოციალ-გამყიდველი და მრუში სწავლული ღუმდა, რადგან საქართველოში განსაკუთრებული მიზნით მოგზაურობდა. მას საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა უნდა განემტკიცებია და მერმე ეეროპისათვის ემცნო, რომ საქართველო სოციალ-დემოკრატიის წყალობით უბედნიერესი ქვეყანა მთელ დედამიწაზეო.

გერმანიაში ჩასვლის შემდეგ კაუციკიმ დაწერა ბროშურა — „ერთ სოციალ-დემოკრატიულ გლეხურ რესპუბლიკაზე“ და ხოტბა შეასხა მას. მაგრამ ბოლოს იძულებული იყო განეცხადებინა: „საუბედუროდ, საქართველო შეუჩერებლივ მიექანება ბოლშევიზმისაკენ“. ამას იგი იმიტომ წერდა, რომ ეეროპის საქართველო დაეცა და იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება შეეფერხებინა. ასეთი დავალება ჰქონდა მას ინგლისისა და საფრანგეთის — ანტანტის მესვეურთაგან, რომლებიც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს პლაცდარმად გადაქცევის ცდილობდნენ, მაგრამ კაუციკიმ, ანტანტამ და მათმა ყალთაბანდობამ ვერ მოატყუეს საქართველოს მშრომელი მასები და ვერ გადაარჩინეს მენშევიკების „დემოკრატიული რესპუბლიკა“ დაღუპვისაგან. პირიქით, მოტყუებული თვითონ კაუციკი დარჩა.

ერთხელ, წინანდლის სასახლეში მარწყობილ ბანკეტზე, გენერალმა ვაბაშვილმა კაუციკის ჯიხვის რქაწაწაწა აჩუქა, რომელსაც მერმე სიმბოლიური მნიშვნელობა მიენიჭა. მალე, პროლეტარული დიქტატურის დაუძინებელი მტერი, მუშათა კლასის ინტერესების გამყიდველი და ბურჟუაზიის მიერ დაქირავებული ის მრუში სწავლული — კაუციკი, სრულიად გაირიყა ცხოვრებიდან, მან ყველაფერი დაჰკარგა, ვარდა საქართველოში გენერალ ვაბაშვილის მიერ მიძღვნილი ყანწისარქისა, რომელსაც სიკვდილის ღღემდე ატარებდა თავის სამშობლოში.

ყველა კარგად გრძნობდა, რომ მენშევიკური პარტიის ბატონობა სრული გაკოტრებით უნდა დამთავრებულიყო. ამას დაღადებდა არა მარტო საქართველოში არსებული ყველა პარტია, არამედ თვით მენშევიკურ პარტიაში გაჩენილი ოპოზიციური ჯგუფის — „სხიველების“ წარმომადგენლებიც. მაგრამ ეორდანია მაინც მომაკვდავი მეორე ინტერნაციონალის მამამთავრის — კაუციკის კალთებს ეტანებოდა, იმედს არა ჰკარგავდა, რომ მისი ბებერი, დრომოკმული და რქიანი მასწავლებელი ეეროპის საზოგადოებრივ აზრს საქართველოს სასარგებლოდ აამოძრავებდა და იმპერიალისტური ქვეყნები ეკონომიურ და სამხედრო დახმარებას გაუწევდნენ დიდი საბჭოთა რუსეთის მეშობელ „დემოკრატიულ“ რესპუბლიკას.

დამფუძნებელ კრებაში კაუციკისთან დამშვიდობების დროს წარმოთქმულ სიტყვაში ჩხენკელმა სწორედ ეს აზრი გაატარა: „ჩვენი ქვეყანა, როგორც გეოგრაფიულად, ისე პოლიტიკურად მდებარეობს იმ გზა-ჯვარედინზე, სადაც შეიძლება საბოლოოდ გადაწყდეს დავა ეეროპულ დემოკრატიზმსა და აზიურ ანარქიზმს შორის. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მძიმე ბრძოლის მეტად საპასუხისმგებლო მომენტში საერთა-

შორისო დემოკრატია მხარს დაგვიკერს. ამის მომასწავებელია თქვენი მობრძანება შორეული გერმანიიდან და თქვენი ყოფნა ჩვენს შორის“...

როდესაც კაუცკის და მეორე ინტერნაციონალის იმედი ფუჭი აღმოჩნდა, ეორდანიამ და მისმა მთავრობამ კიდევ ერთხელ მიმართეს რევოლუციისადმი გამცემლობას და ევროპის იმპერიალისტური ქვეყნების დაინტერესებას საქართველოში და ამიერკავკასიით. მენშევიკებმა, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების მიზნით, სამხედრო კავშირი შეკრეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიულ ხალხთა კონტრრევოლუციურ ყოფილ მთავრობებთან და ეს ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებს აცნობეს. მათ არ დააყოვნეს თავიანთი დახმარება.

## 4

მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის წევრებმა თავიანთ სამშობლოში ჩასვლისთანავე მთელ ევროპას მოსდეს ზღაპარი, თითქოს საქართველოში „ქყავის წმინდა დემოკრატია, ნამდვილი სოციალისტური ხელისუფლება“, სადაც მუშები და გლეხები ისე ცხოვრობენ, როგორც სამოთხეში და ამიტომ მთელი კაცობრიობის წმინდა მოვალეობაა არ დაუშვან საბჭოთა ქვეყნის მიერ საქართველოს დაპყრობა... მიუხედავად ამისა, მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის გამგზავრების მეორე დღესვე თვით მენშევიკების ლიდერი—ეორდანია ეკონომიურ თათბირზე აშკარად აცხადებდა: „რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურად ჩვენ ჩქარი ნაბიჯით მივდივართ კატასტროფისაკენ... ახლა ეს წინასწარმეტყველება გამართლდა... ჩვენ უკვე მივედით კატასტროფამდე“.

მენშევიკურ საქართველოში გამეფებული იყო არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური და მორალუ-

რი კრიზისიც. ახლა უკვე ყველა აშკარად ხედავდა სახელმწიფოს სუფთა გაკორტებას, — ლელავდღაზი კონფლიქტობოდა მენშევიკური საქართველოს პოლიტიკას და მთავრობის გადადგომას მოითხოვდა. ამასვე მოითხოვდნენ დამფუძნებელ კრებაში სოციალ-ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატების და სხვა პარტიების დეპუტატები. „დემოკრატიულ სამოთხეში“ მშრომელი ხალხი ჯოჯოხეთურ პირობებში ცხოვრობდა, მოსახლეობის უმრავლესობას საშუალება არა ჰქონდა თვეში ერთხელ მაინც გამოეცვალა თეთრეული. კუჭყისა და უსინათლობისათვის დაედწია თავი. ქვეყნად სპეკულაციური ვაჭრობა, მექრთამეობა, ქურდობა, ბოროტმოქმედება, ყაჩაღობა, დეზორგანიზაცია სუფევდა. სახელმწიფო დაირღვა და დემოკრატიული პრინციპების ნიშანწყალიც კი წაიშალა. პიროვნების თავისუფლება ფიქციალ იქცა, თავისუფალი სიტყვის გამო მოქალაქეს ციხეში აგდებდნენ, ხვრეტდნენ და ასახლებდნენ... მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, შემოდგომის დამდეგს განსაკუთრებით გაიზარდა, მუშებისა და გლეხების უკმაყოფილება არსებული წყობილებით, უფროდაუფრო გაძლიერდა კომუნისტების გავლენა მშრომელ მასებზე. პროფკავშირებში ბოლშევიკები ყველგან ხმის უმრავლესობას ღებულობდნენ. ამრიგად, კავშირების გამგეობა შეიძლებოდა მარტო კომუნისტებისაგან ყოფილიყო შემდგარი. მენშევიკებმა სოციალ-ფედერალისტებთან, ნაციონალ-დემოკრატებთან და სხვა პარტიებთან შეკრეს ბლოკი და ყველგან ახალი არჩევნები მოაწყვეს.

შენობა, რომელშიაც კრება ტარდებოდა, საგანგებო რაზმის თანამშრომლებით იყო გარსშემორტყმული. ისინი მრავლად ესწრებოდნენ კრებასაც. მენშევიკების ორატორები, ყოველთვის, საშინელ დემაგოგიას მიმართავდნენ საბჭოთა რუსეთის და ბოლშევიკების

წინააღმდეგ; ისინი არც ერთ ბოლშევიკ ორატორს არ აძლევდნენ სიტყვას. მიუხედავად ამისა, ხმების დათვლისას გამოირკვა, რომ ბლოკის 262 ხმის წინააღმდეგ ბოლშევიკებმა მაინც 161 ხმა მიიღეს. დაგვიანებით მოსულმა ერთმა გამხდარმა მუშამ კრების თავმჯდომარეს მიმართა, ნება მომეცო, ხმა მივცეო. თავმჯდომარე იცნობდა იმ მუშას — მენშევიკს, და ღიმილით გაუწოდა მას „ბლოკის“ გადაბეჭდილი სია №1, მაგრამ მოულოდნელად იმ მუშამ ამხანაგს სია №2 გამოართვა და ხმა კომუნისტებს მისცა. „ეს უსინდისობა და არჩევნების აბუჩად აგდებაა, და სხვა არაფერი“, — უყვირა მას კრების თავმჯდომარემ. ყვირილზე თავმოყრილ ხალხიდან ერთი ზორბა, კარგად ჩასუქებული კაცი გამოვიდა და სახეში შემოჰკრა კომუნისტებისათვის ხმის მიმცემს. მაგრამ მუშტი-კრივი და სასტიკი რეპრესიებიც კი ველარ შევლოდა ახლა მუშათა წრეში ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციების გავლენის შეუჩერებელ ზრდას. კომუნისტების მუშაობამ ქალაქად და სოფლად ისეთ დონეს მიაღწია, რომ მშრომელი მასების მიერ შეიარაღებულ აჯანყებას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოს შიგნით არსებული საწინააღმდეგო ძალები ველარ შეაჩერებდნენ. ნაციონალ-დემოკრატიებთან, სოციალ-დემოკრატიებთან და სხვა პარტიებთან მენშევიკების ერთიანი ფრონტი გაირღვა და იმ გარღვეულ ადგილებში ცხოველმყოფელ მდინარედ შეიჭრნენ კომუნისტური პარტიის რაზმები. ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა კი სულ უფრო და უფრო უარესდებოდა: როგორც მუშები და გლეხები, აგრეთვე

ინტელიგენცია მშვიერი და ტრეპილი დაიარებოდნენ. დამახასიათებელია ამ მხრივ პროფკავშირების გამსგრომან-არჩევნების დროს მომხდარი შემოკრები, რომელიც მუშებში ბოლშევიკური გავლენის შეუჩერებელ ზრდას გვიხატავს. მოხუცმა მუშამ, რომელიც დასაბამიდანვე მენშევიკური პარტიის წევრი იყო და ამჟამადაც იმ პარტიის რიგებს ეკუთვნოდა, პროფკავშირების არჩევნების დროს ხმა ბოლშევიკების წარმომადგენლებს მისცა. როდესაც მას გაოცებულმა პარტიულმა ამხანაგებმა ჰკითხეს: — ენ რა ჩაიღინეო, მოხუცმა კონკრეტული ქურთუკი გადასწია, შიშველი მკერდი და ხორცი უჩვენა მათ და მიუგო: მიცქირეთ, მე იმ მდგომარეობაზე მივედი, რომ დიდხანია, რაც უხალათოდ დაეიარებო.

ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და მორალურ კრიზისზე გაიძახოდა ახლა ყველა. საქმე იქამდე მივიდა, რომ თავთ მენშევიკური გვარდიის უფროსი, ცნობილი ჯალათი ვალიკო ჯუღელი, იძულებული შეიქნა გაზეთ „ერთობაში“ დაეწერა: „ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს იმ დროს, როცა პარტია ირღვევა... დღეს ჩვენ ხშირად ვიფიწყებთ მუშების ინტერესებს. ყველანი ჩვენ ვფუჭდებით, ვყვიროთ საერთო ეკონომიურ სიძნელეებზე და წარმოდგენა არა გვაქვს იმ ჯოჯოხეთზე, რომელშიაც იღუპება მუშათა კლასი“.

მენშევიკების ლიდერები და ზედოფენა, მართლაც გაბრწინილი იყო, მათ მიერ გაშენებული სახელმწიფო — საცხებით გაკოტრებული.

არსებული წესწყობილების შეცვლა საბჭოთა ხელისუფლებით ახლა ყველა მშრომელს და პატიოსან მოქალაქეს გარდაუვალ აუცილებლობად მიაჩნდა.

## ზარბაზნების ბრძალი



„საქართველო ინტანტის ტყვე იყო, იგი მოლიანად ეკავისაო საბჭოთა ხელისუფლება: ასათუფებლად“.

ს. ორჯონიკიძე.

1

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები ყველგან არბევდნენ და ხურავდნენ კომუნისტური პარტიის რედაქციებს და სტამბებს, ასობით და ათასობით აპატიმრებდნენ კომუნისტებს და საპრობილეში ამწყვდევენდნენ, 12 დეკემბერს მენშევიკების გვარდიის სამი წლის არსებობის თავზე მოწყობილ აღლუმზე უამრავი პროკლამაცია იყო გავრცელებული. მენშევიკების გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. იმ პროკლამაციის ტექსტი საპატიმროში დაწერეს, მაზათაძემ და ქავთარაძემ. იგი ბათუმე მასათაძემ და ვანო ხახუტაშვილმა დაბეჭდეს დიდუბის არალეგალურ სტამბაში, რომელსაც ვერასგზით ვერ მიაგნეს საგანგებო რაზმის აგენტებმა. პროკლამაციის გავრცელება კარო იარაღოვმა და ვასო მარუაშვილმა იკისრეს.

დეკემბრის ბნელი უამეების სუსხიან ქარში ავადმყოფ კაროს და ვასოს ნაკვებით მოჰქონდათ ქალაღი არალეგალურ სტამბაში, რომელიც მოთავსებული იყო რიყიდან დიდუბის იქით. მტკერისპირას გაშენებულ ნიკო მაკაროვის სახლის სარდაფში.

ხმა დაირხა, ბოლშევიკები შეიარაღებულ აჯანყებას აპირებენო. ამიტომ 12 დეკემბერს, ღამით თბილისის გარნიზონი ფეხზე იდგა. ქალაქი საბრძოლო უზნებად იყო დაყოფილი. ქუჩებში ჯავშნიანი მანქანები ჩააყენეს, ხოლო რკინიგზის ხაზზე ჯავშნიანი მატარებლები მიდი-მოდიოდა. ღამით ქალაქში პროექტორები ანათებდა.

საქულანტებმა ჯერ კიდევ ოქტომბრიდან დაიწყეს თავისი საქმეების ლიკვიდაცია და ჯგუფ-ჯგუფად გაქცე-

ვა თბილისიდან ევროპაში. ხოლო ნოემბრის ბოლოს, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და 12 დეკემბერს შიშინობაში გატარებული ღამის შემდეგ კი სპეკულანტების, კომრსანტების, მემამულეებისა და სხვათა გაქცევამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ამბობენ, გეშე ვირთაგვები და სახელმწიფოში სპეკულიანტები — ზურგის იგივე ვირთაგვები — ყველანე აღრე გრძობენ კატასტროფასო. სწორედ იმ დროს გავრცელდა ხმა, რომ ბათუმს ინგლისელები იკავებენო. მაშინვე ჩამოვიდა თბილისში საფრანგეთის უზენაესი კომისარი შევალეი, ბათუმში კი — ფრანგი აღმირალი დიუმენილი. მენშევიკებმა ფრთები შეისხეს საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულებას მიხედვით გათვალისწინებული ვალდებულებანი გაატქმეს, რუსეთის გემები საქართველოს ნავსადგურებიდან საფრანგეთს გაუყენეს. აღმირალი დიუმენილი სწორედ იმ გემების გაგზავნის ორგანიზაციისათვის იყო მოკლენილი. უზენაესი კომისარი შევალეი კი შინაური და გარეშე მტრებისაგან, ე. ი. შიგნით ბოლშევიკური რევოლუციისაგან და გარედან საბჭოთა რესპუბლიკების გამოლაშქრებისაგან მენშევიკური მთავრობის დასაცავად. ბურჟუაზიული დიპლომატი უჩვეულო გულახდილობით აცხადებდა: საქართველო ესპიროება ევროპას, როგორც უდიდესი და ბუნებრივი გზა აღმოსავლეთისაკენო. შეიარაღებული ჩარევა, მოხდება იგი შიგნით რევოლუციის ან გარედან ძალდატანების სახით, არსებითად იმ გზის

დაკეტვას უდრისო. ევროპის იმპერიალისტური ქვეყნების დახმარების იმედით ფრთებშესხმული მენშევიკები მთლად გათავხედდნენ, გაახშირეს საბჭოთა ჯარებზე თავდასხმა აზერბაიჯანის და სომხეთის საზღვრებზე. მათ არ მოსურვებს საბჭოთა სომხეთთან სადავო საკითხებზე მოლაპარაკება, აკაკებდნენ პურით დატვირთულ სამარშრუტო მატარებლებს, რომლებიც დაშშეულთათვის იგზავნებოდა რუსეთიდან სომხეთში, და სხვა.

1921 წლის 14 იანვარს (ძველი სტილით) წმ. ნინოს დღეს, პარიზში მივლენილმა მენშევიკური საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭორმა მიიღო დიდი სახელმწიფოების კონფერენციის თავმჯდომარის არისტიდ ბრიანის მიერ ხელმოწერილი საქართველოს იურიდიულად ცნობის ქალაქი. საფრანგეთში ელჩად აკაცი ჩხენკელი დაინიშნა. ამ დღიდან იწყება მენშევიკური მთავრობის უმაგალითო ტრაბახი, თავხედობა და საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ აგრესიული ნაბიჯების გახშირება. ბათუმში მენშევიკების აგენტებმა გაძარცვეს საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური კურიერი. მენშევიკურმა მთავრობამ ყადაღა დაადო საბჭოთა რუსეთის ქონებას საქართველოში. 20 და 21 იანვარს მენშევიკურ საქართველოს ჯარებმა სროლა აუტეხეს საბჭოთა აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე პოსტებს. 25 იანვარს საბჭოთა აზერბაიჯანის საზღვრის სხვადასხვა ადგილას მენშევიკურმა ჯარებმა ისევე დაუშინეს წითელი არმიის ნაწილებს.

მენშევიკებმა ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობის კარნახით კავშირი შექარეს აზერბაიჯანის, სომხეთის და მთიულ ხალხთა ყოფილ ბურჟუაზიულ მთავრობებთან, ეხმარებოდნენ მათ რაზმების შედგენაში და შეიარაღებაში, რათა მათი საშუალებით მო-

მხდარიყო საბჭოთა ხელისუფლების დახმობა აზერბაიჯანში და სომხეთში. მენშევიკური მთავრობის მიერ გეგმიტ შესრულებისათვის უზომო თანხას ღებულობდა უცხოეთიდან. მისი და იმპერიალისტური ქვეყნების კონტრდაზვერვა შეთანხმებულად მუშაობდნენ. საქართველოს ყოველ კუთხეში მიმდინარეობდა კომუნისტებისა და კომკავშირელების დაპატიმრება. მათ ასობით აგზავნიდნენ ქუთაისის ციხეში. მენშევიკების თავხედობა იქამდისაც კი მივიდა, რომ ქუთაისის ციხეში გადაგზავნეს საბჭოთა მისიის ბევრი თანამშრომელი. ბათუმში რუსეთის საკონსულო იძულებული გახდა მუშაობა შეეწყვიტა. საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება გაუქმდა. ახლა უკვე ყველასათვის აშკარა გახდა, რომ მენშევიკები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ანტანტის მიერ განზარაბულ ახალ შეტევის გეგმაში...

მეორე ინტერნაციონალის წევრები დღედაღამ მუშაობდნენ და ყოველნაირად ეხმარებოდნენ ევროპის იმპერიალისტურ ქვეყნებს, რომ ფეხი მოეციდათ საქართველოში და აქედან ჩაეცათ ლახვარი საბჭოთა რუსეთისათვის.

ანტანტის იმპერიალისტებისა და მეორე ინტერნაციონალის წევრთა მიზანი იყო აზერბაიჯანისა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების მოსპობა და მენშევიკური საქართველოს, დაშნაკური სომხეთისა და მუსავატური აზერბაიჯანის დაქვემდებარება ანტანტის ინტერესებისათვის. სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად ჩამოვიდნენ საქართველოში საფრანგეთის უზენაესი კომისარი შვეალიე და ფრანგი აღმირალი დიუმენელი. იმპერიალისტური ქვეყნებისა და მენშევიკური საქართველოს კონტრდაზვერვამ ურთიერთ კავშირი შექარეს და შეუდგნენ საქართველოს შიგნით რევოლუციური ძალების დარბევას, საბჭოთა სომხეთისა და აზერბაი-

ჯანის აფეთქების და ამასთანვე, საბჭოთა რუსეთზე გალაშქრების გეგმის განხორციელებას.

ამრიგად საქართველო ანტანტის ტყვეობაში აღმოჩნდა და კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აფეთქებისათვის კონტრრევოლუციის ნამდვილ ბაზად იქცა.

იმპერიალისტური ევროპის და ამერიკის აგენტები და სამხედრო-საზღვაო ძალები საქართველოსაკენ გამოემართნენ.

## 2

მშრომელ მასებში მენშევიკებს სერიოზული საყრდენი უკვე აღარ ჰქონდათ. მშრომელი ხალხი ძირითადად კომუნისტური პარტიის მხარეზე იდგა, მენშევიკური შინაძალები მას სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. მენშევიკებს დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების იმედი-ლა ჰქონდათ. თუ კი ისინი იმპერიალისტური ევროპის სამხედრო ძალებს მოიშველებდნენ, მაშინ საქართველოს კომუნისტები, აჯანყებული მშრომელი მასები მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების მუშურგლებურ წითელ არმიას დაიხმარებდნენ, საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის აწონ-დაწონის შემდეგ რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის ბიურომ, ამხ. სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით, დირექტივა მისცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სათავეში ჩადგომოდა შეიარაღებულ აჯანყებას. მუშებისა და გლეხების შეიარაღებული რაზმები აჯანყებისათვის ნიშანს ელოდნენ. აჯანყება 1921 წლის 11 თებერვალს დაიწყო. მესხეთე, მეშიდე და მერვე ლეგიონის თითქმის სამმა ათასმა ჯარისკაცმა იარაღი დაჰყარა და აჯანყებულებს შეუერთდა, მერმე აჯანყება მთელ საქართველოს მოედო.

ქართველი კომუნისტებისათვის სანატრელი საათი დადგა. აჯანყებამ მუსიური ხასიათი მიიღო. მთუხელავედომებასა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ამხანაგები და თვალსაჩინო წევრები თითქმის ყველანი, დაპატიმრებული იყვნენ, აჯანყება იმდენად მომზადებული აღმოჩნდა, რომ იგი მეტად ორგანიზებულად ტარდებოდა და პარტიის რიგითი წევრებიც კი შესანიშნავად ხელმძღვანელობდნენ მას.

დასავლეთ ევროპის მოიმედე მენშევიკები და ნაციონალისტები იმდენად დამშვიდებული, გაყოყნიებული და თავბრუდაბეული აღმოჩნდნენ, რომ მანამდე ვერაფერი გაიგეს რა ხდებოდა მათ გარშემო, ვიდრე სადახლოს რაიონი აჯანყებულთა ხელში არ გადავიდა და აჯანყებულებს გზა თბილისისაკენ არ გაეხსნათ. მცირე შეტაკების შემდეგ აჯანყებულთა რაზმებმა ხელთ იგდეს, აგრეთვე, მთელი კახეთი და უნებლად მილწიეს თბილისის მიდამოებს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. მეექვსე ლეგიონი თიანეთს გადავიდა და შემდეგ აჯანყებულებს დანებდა... აჯანყებულები ფეხდაფეხ მისდევდნენ მენშევიკების ჯარებს და თბილისს შემოერტყნენ. ახლა კი დაფრთხნენ მენშევიკები... მთავრობამ თავის უნიათობა და შეცდომები სარდლობას გადააბრალა და კიდევ ერთი გაუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა: ნიჭიერი გენერალი — მთავარსარდალი ოდიშელიძე გადააყენა და მის ადგილას გენერალი კვინიტაძე დანიშნა. კვინიტაძე სამხედრო ცოდნის, ნიჭისა და სტაჟის მხრივ ბევრად ჩამორჩებოდა ოდიშელიძეს, რომელიც მსოფლიო ომის ბოლოს კავკასიის არმიის უფროსი იყო.

იანვრის ბოლოს მარომ ცუდი ამბავი შეატყობინა კორნელის: გუშინ ქავერაძე, გოცირიძე, მახათაძე და ჩემი ძმა დაპატიმრესო. მარო შეშინებული იყო და ბინის გამოცვლას აპირებდა. კორნელიმ დეიდასთან გადმოსვლა ურჩია.

მარო კორნელის ოთახში ღამით ტახტზე წვებოდა... თბილისში დიდი განგაში იყო, ომისათვის ემზადებოდნენ. საყოველთაო მობილიზაციამ ნაყოფი ვერ გამოიღო, სათადარიგო ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს ჯარში წასვლაზე და მთავარსარდალს თბილისის დასაცავად შერჩა მხოლოდ სამხედრო სასწავლებელი, უნტეროფიცერა და მოსწავლე ათასეული, გვარდიისა და რეგულარული ჯარის რამდენიმე ათასეული და ლეგიონი. აჯანყებულთა მრავალრიცხოვანი რაზმები კი თბილისს უახლოვდებოდნენ. მენშევიკების ჯარები უკან იხევდნენ. აჯანყებულებმა კახეთის დაკავების შემდეგ, კუს ტბის, ლილოს, ეაზიანის, სალანლუდის, ორხევის, შავნაბადის, ტაბახმელის, კოჯარის და კიკეთის მისადგომებს მიადწიეს და ამრიგად თბილისს თითქმის გარშემორტყნენ. მენშევიკების მთავრობას და მის ჯარს, უკან დასახევიად მხოლოდ ორი გზა რჩებოდა: ჩრდილოეთით — საქართველოს სამხედრო გზა და დასავლეთით — ლიხ-იმერეთისა. მაგრამ ბურდუღის, არაბუღის, ჯიქაურის და მთი აქხანაგების თაოსნობით აჯანყებულმა მთიელებმა ყაზბეგის, ფასანაურის და დუშეთის რაიონები დაიკავეს და საქართველოს სამხედრო გზა გადასჭრეს. ხოლო ბათუმისაკენ მიმავალ რკინიგზას კარისმერეთის, საჩხერისა და ჭიათურის რაიონის აჯანყებული გლეხობა და მუშები ემუქრებოდნენ. ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ გალაქტიონ გელაშვილი, რაფდენ ტურაშვილი, გიორგი აბესაძე და ჭიათურის მუშები. ქუთაისს კი რაკა-ლეჩხუმის აჯანყებულნი გლეხ-კაცობა უქმნიდა საფრთხეს. ამრიგად აჯანყების ალი მთელ საქართველოს მოედო. თბილისელებს შორიდან ზარბაზნების გრიალი მოესმათ.

## 3

ელენეს მდგმურები — მამედ-ბეგ ჯაფაროვი, გულიმ-რიზა-ხან ნაგიევი და კოტე გოგიტიძე, მშობლებმა და ნათე-

საგებმა წაიყვანეს და დასიულეთ საქართველოსაკენ გაუყენეს. მეორე დღეს დათა მიქელაძემ საბარგო ვაგონში თავისი მოძრავი ქონების ნაწილი გადაწინადა, ელენე და მზარეული ქალი კატია მოათავსა და თბილისში სტუმრად ჩამოსულ იონა ჩხეიძესთან ერთად კარისმერეთში გაისტუმრა. კორნელი, მარო და კატიას ქმარი — მეეზოვე გაბრიელი სადგურის ბაქანზე იდგნენ და ამდენ ცდაში ფეხზე ჩამოწყდნენ. დეიდა ელენე დღის 3 საათისათვის უკვე დაბარგდა ვაგონში, ხოლო ახლა ღამის 8 საათი იყო და მატარებლის გასვლას მაინც არაფერი ეშველა. გულზელდაკარგიელი იჯდა დეიდა ელენე ნახევრად შხელ ვაგონში და დიდ ყუთზე შედგმულ სანთელს მწუხარე სახით მისჩერებოდა, თითქოს ის ყუთი კუბო ყოფილიყო და შიგ მისი საყვარელი არსება წოლილიყო. კატია გაუთავებელ ხეულებას მოჰყვებოდა და მერმე, რა წამს სულს მოიბრუნებდა, ისევ განაგრძობდა ვაგონის კუთხეში ფუსფუსს და ჩემოდნებისა და ფუთების ათასჯერ თვლასა და გადალაგებას. გაბრიელი მდუმარედ იდგა ვაგონის ღია კარების წინ. იგი დიდად გლოვობდა ცოლთან განშორებას. დათას და იონას სადგურის უფროსი ენახათ და ელენეს მიახარეს: მატარებელი ოც წუთში გაეგო.

— სადგურში არაფერი იშოვება, საქმელ-სასმელი თუ მოგაქვს, თორემ შიმშილით დავიხოცებით, — უთხრა იონამ ელენეს.

— აგერ კალათი სავსეა.. ერთ კვირას გვეყოფა, — მიუგო ელენემ. ამ დროს კატიას ისევ ხველა აუვარდა.

— ვაი ჩემს შავ დღეს. კარისმერეთამდე ეს ქალი ხველებით სულს ამომხდის, — სასოწარკვეთით წარმოსთქვა იონამ. მერმე ელენეს მიუბრუნდა და უთხრა:

— ბებერი ჩემი თავი მეჯავრება, რად გინდა კარისმერეთში რომ მოათრიე ამ ხრინწიან დედაბერს?



— შევეჩვიე, ცოდვია. ქვეყნის დაქვეყნის დროს როგორ დაეტოვო მართლაც, მიუგო ელენემ.

— შე ქალო, ქმარსა და დიშვილს ატოვებ და... — შენიშნა იონამ.

— მაროს იმედი მაქვს. — მიუგო ელენემ და მერმე მაროს უთხრა: — შენ იცი, როგორ მოუვლი დათას და კორნელის.

— დარდი აქვს გაქვს, — დაამედა მარომ.

რკინიგზელები აფუსფუსდნენ. მატარებელი მალე უნდა გასულიყო. ელენემ დათა, კორნელი და მარო გადააკოცნა, გაბრიელს ხელი ჩამოართვა. იონაც ვაგონში ავიდა. გაბრიელი ფეხის წვერებზე დადგა, კატიას მოეხვია და მოულოდნელად აქვითინდა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა კორნელმ.

— ცოდვია, დაიკარგება მებერი უჩემოდ! — უიმედოდ ჩაიჭნია ხელი მოხუცმა.

— განა დასაკარგავში მიდის! — უთხრა მარომ.

ბოლოს ზარს შემოჰკრეს და მატარებელი დაიძრა.

დათა, კორნელი, მარო და გაბრიელი სადგურის უკან მოედანზე გამოვიდნენ.

— მადლობა ღმერთს, ელენე რომ წავიდა. ასი ფუთი ჩამომშორდა მხრებიდან. — მერმე მაჯის საათს დახედა და განაგრძა: — მე მოვასწრებ ნაწილში გამოცხადებას.

— რა ნაწილში? — გაოცდა კორნელი.

— ჩვენ ამალამ ფრონტზე მივიღივართ.

— ვინ თქვენ?

— მე და ჩემი გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეები.

— არ გირჩევთ.

— მაგას ნუ გამაგონებ, — დაიძახა დათამ და პროტესტის ნიშნად ხელი გაიჭნია. — მე არ შემძლია შენსადმი

გულზელდაკრეფილი ვეცქირო ჩემი ქვეყნის დაღუპვას.

— განა ჩვენი ქვეყანა დაღუპვას შეაპარა კორნელმ.

— ნახავთ, თუ არ დაიღუპება. კარგი უიროსუფლები მობრძანდებიან.

მარომ კორნელის თვალი ჩაუკრა.

— თქვენ იცით, — უთხრა დათამ კორნელის და მაროს, — დეიდას ბინას მაინც უპატრონეთ.

მართლაც, დათა მიქელაძე უფროსი კლასებიდან შერჩეული ოციოდე მოხალისით ავლაბრის ყაზარმაში გამოცხადდა, მათ იქ სამხედრო ტანისამოსი და იარაღი დაურიგეს და სხვა ჯარისკაცებთან ერთად იმავე ღამეს გენერალ ჯიჯიხიას საბრძოლო უბანში, საღან-ლულისაკენ მატარებლით გაამგზავრეს.

კორნელი და მარო მარტო მივიდნენ მიულაგებელ, აფორიაქებულ და გამოხებაკებულ ბინაში. ცოტა ხანის შემდეგ მარო წასასვლელად მოეშადა და კორნელის უთხრა.

— საქმე მაქვს, მალე მოვალ.

— სად მიდიხარ?

— მთაწმინდაში, შინ.

მეც წამოვალ, გავივლი, თორემ აქ სული მეხუთება.

როდესაც კორნელი და მარო რუსთაველის პროსპექტზე გავიდნენ, გზაზე სენატორი ვარლამ კეტულაძე შეეყარათ. კორნელი და ვარლამი ერთმანეთს მიესალმნენ. ვარლამს შავი პალტო ეცვა და თავზე შლიაბა ეხურა. იგი წვერგაუპარსავი იყო და საპარიკმახეროში მიდიოდა. უკვე ღამის ათი საათი იქნებოდა. კორნელმ ძლივს იცნო ჩაბნელებულ პროსპექტზე მიმავალი ვარლამი. სენატორი შეჩერდა, კორნელის დაუძახა, ხელი ჩამოართვა და იქვე გაიხმო. მარომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა.

— ვინ არის ის ქალი, მარო უფროსე? — ჰკითხა ვარლამმა კორნელის.

5/19

5/19

საქართველოს  
პარლამენტის  
გეოგრაფიული  
სამსახური

— თავი გაანებე მაროსთან სიარულს.

— როგორ? იგი ჩემი დაი არის.

— დაი კი არა, ეშმაკი! სად კორნელი მხეიძე და სად მარო ფრუიძე?

— მარო დედაჩემის შვილობილია. ბავშვობიდანვე ერთად ვიზრდებოდით...

— მერე რა! ახლა ცნობილი ბოლშევიკი ქალია. თავი გაანებე მაგასთან და სხვა ბოლშევიკებთან სიარულს, თორემ იმათთან ერთად შენც დაგაბატონებენ. ხომ ხედავ, ხალხის დაბატონება როგორ გახშირდა. შენზე კარგი აზრი არ არის გამოქვეყნებული ზედაფენებში... რა დაემართა ქართველებს, ვერ გამოვიდა. ნუთუ შენც ბოლშევიკი ხარ?

— ვინ არ არის კარგი აზრისა? ალბათ ესტატე მაყაშვილი.

— არა მარტო ესტატე... თავი გაანებე... ქვეყანა გადაბრუნდა. მერაფერი გამოვიდა. ჩემო ძმაო, მშვიდობით, — ხელი ჩაიქნია ვარლამ კუტაიაძემ და აჩქარებული ნაბიჯით წავიდა.

კორნელი საბტად დაჩნა... დაბალ, ჩასუქებულ, ბურთივით მრგვალ, შეშინებულ და ჩქარი ნაბიჯით მომავალ სენატორს თვალი გააყოლა. გაიღიმა და მერმე მაროსთან მივიდა. როდესაც „კაფე-დარბაზს“ გაუსწორდნენ, იქიდან ნაცრისფერ ქურქში გამოწყობილი, ბუხრის ქუდიანი, მოკლე წვერიანი, გამხდარი და ფერმკრთალი კაცი გამოვიდა. ყელზე მოხვეული წითელი ყაბალახი გაისწორა და სასახლისაკენ გაემართა, მას ორი ოფიცერი ახლდა. კორნელიმ მაშინვე იცნო მთავარსარდალი კვინიტაძე და გენერალი აზიზაშვილი. სარდალი აღელვებული იყო და გამალბებული მიდიოდა.

კვინიტაძეს გენერალი აზიზაშვილი ეუბნებოდა:

— ტაბახმელა-ორხევის ხაზით თბი-

ლისის მიდამოების დაცვა იმ ძალეობით, რაც ახლა ჩემს განკარგულებაშია, ყოველად წარმოუდგენელია.

— ხეალ ან ზეგ მოველით დასავლეთიდან სამხედრო ნაწილებს და მანამდე უნდა გასძლო, — მიუგო კვინიტაძემ.

იმ ღამით კვინიტაძემ გორიდან და ხაშურიდან ჩამოსული გვარდიის მხოლოდ ორი ათასეული გაუგზავნა აზიზაშვილს. მეორე დღეს აზიზაშვილის განკარგულებაში იყო მეცხრე ლეგიონი, სადარაჯო ლეგიონი, სახალხო გვარდიის ორი ათასეული, ხუთი ბატარეა, ჯავშნიანი მანქანების გუნდი და ჯავშნიანი მატარებელი. ასეთი ძალები იდგა ტაბახმელა-ორხევის მიმართულლებით. სხვა მიმართულებით კი მდგომარეობა მეტად უნუგეშო იყო.

კორნელი და მარო გვიან დაბრუნდნენ შინ. ქალაქში თოვდა და საშინელი სიჩუმე და წყველი იყო გამეფებული. ალაყაფის კარები, როგორც ყოველთვის, გაბრიულ დოღენკოს დაეკეტა. ამ მაღალ რკინის კიშკარზე კორნელი სწრაფად აღიოდა და ადვილად გადადიოდა ეზოში, მაგრამ ახლა ფეხი ტკიოდა, ქალი ახლდა, ამიტომ ბინის გასაღები ამოიღო და კიშკარს დასცხო. ძაღლმა ყეფა ასტეხა, მერმე კორნელი იცნო და უმალვე გაყუნდა. პატარა, დაბალი ხის სახლის ფანჯარაში მბეჭუტავი ლამფის შუქი კაცის ჩრდილმა დაჰფარა. ოთახში მოხუცის ხველა გაისმა და მერმე კარიც გაიღო. მოხუცმა თავი გამოჰყო და დაიძახა: რომელი ხარ მანდო? კორნელიმ ხმა გასცა. ტყავის ქურქში გახვეული, წელში მოხრილი, სიციფისაგან აბუზული მეეზოვე სნეული კაცის უძლური ნაბიჯით მიდიოდა კიშკარისაკენ; ხენეშოდა, გასაღებს ბოჭლომში ვერ ახვედრებდა. კორნელიმ მარო შეაჩერა ეზოში და გაბრიულს ჰკითხა:

— ავად ხომ არა ხარ, ვგრე რომ კრუსუნებ?

— ჰო, რაღაც ვერა ვარ კარგად. სახსრები მტეხს. ძვლებს ეშმაკი მიღრღნის... ეპ, — ჩაიქნია ხელი გაბრვილმა. — კმარა, რაც ვიცხოვრე. სულს ამოხდომის დრო მომივიდა...

— ასეთი ლაპარაკი შენ არ გიყვარდა. — უთხრა კორნელიმ.

— ალბათ კატიას წასვლას ჯავრობ. — შენიშნა მარომ თანაგრძნობით.

— ეგვეც არის. ძნელია ჩვენთვის ცალ-ცალკე ყოფნა.

— განა თბილისში არ ჩამოვა? — უთხრა მარომ.

— ჩამოვა, მაგრამ... მეშინია, ვედარ მომისწროს. — გაბრიელს გული აუჩვილდა და ბავშვივით ატირდა. ჯავრს ერთბაშად მოეტეხა იგი და ახლა მიხრწნილ მოხუცსა ჰგავდა.

— დამშვიდდი, — შეეცოდა კორნე-

ლის. — დაკეტე შენი ოთახი და წამოჩვენსა, ახლა დარბაზები ~~ცარქელში~~ სადაც გენებოს, დაწექ ~~ღამ~~ ~~ღამამდე~~ კატია ამ დილით ისევ ცეცხლი შენთო ლუმელებში... ხედავ? თოვს! ჩვენსა თბილა, არ იქნება მარტო შენი დატოვება, ცუდი აზრები მოგდის თავში...

გაბრიელმა ტყავის ქურქის სახელო მოისვა თვალზე და ცრემლი მოიწმინდა.

როდესაც მოხუცმა თავისი ოთახი დაკეტა და კორნელისთან მივიდა, მაროს წყალი აედუღებინა და სასადილო ოთახში ჩაით გაუმასპინძლდა კორნელისა და გაბრიელს. ცხელმა ჩაიმოხუცი შეახურა და უფრო კარგ გუნებაზე დააყენა. გაბრიელი სასადილო ოთახში დაწვა, მარო — საძინებელში. ხოლო კორნელი — კვლავ თავის პატარა ოთახში.

### დასასრულის დასაწყისი

„თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს...“

ს. ორჯონიკიძე

1

თერამეტ თებერვალს ღამით ატეხილი ზარბაზნების გრიალი ნაშუალამევის ორ საათზე შეწყდა. ცოტა ხნის შემდეგ კი ქალაქიდან უფრო ახლოს ისევ ზარბაზნების ქარიშხლისებური ცეცხლი გაჩაღდა, რასაც ტყვიამფრქვევებისა და თოფის სროლის ხმაც დაერთო. ახლა ფანჯრის მინებმა იწყეს ზანზარი და შეშინებული ხალხი ქუჩაში გამოცვივდა. მაგრამ არათუ ხალხმა, მთავრობის წევრებმაც არ იცოდნენ, რა ხდებოდა ფრონტზე, რადგან აჯანყებულთა დამხმარე რაზმებმა ტელეფონის მავთულუბი გადასჭრეს და ქალაქი ფრონტს მოწყვიტეს. ეს გარემოება კი-

ღვე უფრო აძლიერებდა პანიკას თბილისში. მთავრობის წევრებზე და არმიის შტაბის მუშაკებზე არანაკლებად ღელავდნენ თბილისის დასაცავად გამოყოფილი საბრძოლო უბნების უფროსები — გენერლები, რადგან ქალაქთან კავშირის აღდგენას ვერ ახერხებდნენ, ხოლო შტაბიდან არავინ მიდიოდა ფრონტზე ამბის გასაგებად. გენერლებს ძალიან უკვირდათ ყოველივე ეს, რამდენადაც შტაბის განკარგულებაში, გარდა ცხენოსანი შიკრიკებისა, ავტომობილებიც იყო... გენერლებს ვერც კი წარმოედგინათ, რა საშინელი დაბნეულობა იყო იმ ღამით თბილისში. სახელმწიფო აპარატი სულერთიანად მოიშალა და მთავრობა, ისე როგორც არ-

მიის შტაბი, გაქცევაზე ფიქრობდა და არა ფრონტზე შეტევას. მაგრამ რადგან აჯანყებულთა ჯარების იერიში 18 თებერვალს მოგერიებულ იქნა, ტაბახმელიდან თბილისისაკენ მიმავალი გზა მენშევიკების ჯარებმა შეინარჩუნეს, თვითონვე გადავიდნენ შეტევაზე და დილით მოწინააღმდეგეს იალღუჯის მალღობებისაკენ დაახევინეს, მენშევიკებმა მთელი ვაკხანალია გამართეს. დიდი ზარ-ზეიმი მოაწყვეს, მცირერიცხოვან ტყვეებს ქალაქში დილიდან საღამომდე ატარებდნენ, უშვერი სიტყვებით აგინებდნენ, სცემდნენ და პირში აფურთხებდნენ. ეგზარქოსს დახოცილთა სულის მოსახსენებლად პარაკლისი გადაახდევინეს და ყოველ გზა-ჯვარედინზე გაიძახოდნენ: ბოლშევიკური აჯანყების ჩასაქრობად ჩვენ დახმარებას გვიწვევს საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის შეიარაღებული ძალებიო. 19 თებერვალს, დღის 12 საათზე რუსთაველის პროსპექტზე გამოჩნდნენ ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი სამხედრო სკოლის იუნკრები, სამოსწავლო ათასეულის უნტერ-ოფიცრები, მეთორმეტე ლეგიონის ჯარისკაცები და რამდენიმე ათასეულის გვარდიელები. ისინი ტაბახმელიდან კიკეთამდე გახსნილი ახალი მეტროლი რაიონის დასაკავებლად ფრონტისაკენ გაეშურნენ. ამ დროს დამფუძნებელი კრების წინ, ხალხში ძაბილი გაისმა — „ინგლისის და საფრანგეთის ჯარი მოდისო“. ერთი დღის დასვენების შემდეგ 21 თებერვალს აჯანყებულნი სწორედ იმ უცხოურ ტანისამოსში გამოწყობილი იუნკრების, უნტერ-ოფიცრებისა და ჯარის სხვა ნაწილებისაგან დაკავებულ, გენერალ ანდრონიკაშვილის საბრძოლო რაიონს მიაწვდნენ მთელი თავისი ძალებით...

თბილისში კვლავ ზარბაზნების გახუწყვეტილი გრიალი მოისმოდა. ქორდანია, მისი მთავრობა და არ-

მიის შტაბიც ხალხს უცხო ძალების დახმარებით ამშვიდებდა. *არქონენული*

20 თებერვალს მენშევიკებმა მისი შტაბმა ხალხს აცნობა: საფრანგეთის ესკადრა ჩვენი ტერიტორიის დაცვის საქმეში დიდ დახმარებას გვიწვევს და ბოლშევიკებს ფლანგიდან ზარბაზნებს უშენსო. 21 თებერვალს ფორდანიამ დამფუძნებელ კრებაში განაცხადა: „...ჩვენ აქტიური დახმარება გავგიწვია საფრანგეთმა. საფრანგეთის ესკადრა მოადგა გაგრას და გუშინ ჩვენს ჯარებთან ერთად მტერთან ბრძოლას აწარმოებდა და მტერი დამარცხებულ იქნაო“.

რკმ (ბ) ც. კ.-ის და ლენინისა და სტალინის პირდაპირი მითითებით მეთერთმეტე წითელი არმია, რომელსაც ორჯონიკიძე და კიროვი ხელმძღვანელობდნენ, დაუყოვნებლივ მოვიდა საქართველოს მუშებისა და გლეხების საშველად, — მუშებისა და გლეხებისა. რომლებიც გაათრებთ იბრძოდნენ მენშევიკური ხელისუფლებისა და უცხოური იმპერიალისტების წინააღმდეგ.

## 2

დილის ათ საათზე საიდანაც გაჩნდა მიტო ჩიკვაიძე, რომელიც აჯანყების მოსაწყობად ზაშურში იყო გაგზავნილი. მან ახალი ამბავი მოიტანა:

— დღეს ბორჩალოში საქართველოს რევოლუციური კომიტეტი ჩამოყალიბდა, რომელმაც საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობა ითავა. რეკომმა საქართველოში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოაცხადა და მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებს და ყველა მშრომელთ მოწოდებით მიჰმართა. აი, ეს მოწოდებაც... — მიტომ ფურცელი გაშალა. კორნელიმ და მარომ თავი ჩარგეს ქალაქში და კითხვა დაიწყეს: „...ქართველი მენშევიკებისაგან, საერთაშორისო რეაქციულ იმპერიალიზმის ერთგული ლაქიებისაგან ჩვენი განთავისუფლების საათმა“.

დაპქრა... აჯანყებულები, რომელთაც ერთიმეორეზე ნებდებიან მენშევიკური მთავრობის ჯარები, ძლევამოსილად მიიწევენ მენშევიკური კონტრრევოლუციის სატახტო ქალაქ თბილისისაკენ... ამხანაგებო, ძმებო, ქალაქისა და სოფლის მშრომელნო! მენშევიკური რეაქციით გატანჯულ საქართველოს თავზე პროლეტარული რევოლუციის მზე ამოდის... გაუმარჯოს სახალხო აჯანყების ცეცხლის აღიდან და თოდის წამლის ბოლიდან გამოსულ და ახლად-შობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას! — მოწოდებას ხელს აწერდა რევოლუციური კომიტეტი.

თუ ამდენხანს კორნელი, თავისი ამხანაგების დაპატიმრების გამო, მოღუნებული, ნებაწართმეული და უმოქმედო იყო, ახლა მას ისევ მოქმედება და ბრძოლა-ქიდილი მოუნდა.

— ახლა წერის დრო არ არის. რა უნდა ვაკეთო, არ ვიცი. მოდი, ფრონტი გადავლახოთ, წითელ არმიას შევუერთდეთ, ან აჯანყებულებს მივეშველოთ. მე ზარბაზანზე მუშაობა არ დამეიწყებია. — უთხრა კორნელიმ მიტოს.

— საქმეს მე გაგიჩენ. აქაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჯერ დიდუბეში წავიდეთ, კარო იარალოვი ვნახოთ, — მიუგო მიტომ.

მიტო და კორნელი დიდუბისაკენ გაეშურნენ. როდესაც ვახტანგისა და დიდუბის ქუჩის გზაჯვარედინთან მიღწიეს, ოთხი კაცი შემოეფეთათ, მიტოსა და კორნელის მათ რევოლუცერები მიუღირეს და დაპატიმრეს. სხვა პატიმრებთან ერთად ისინი იმავე ღამეს მატარებლით გადაგზავნეს ქუთაისში და იქ ძველ საგუბერნიო ციხეში მოათავსეს. იქვე დაუხვდათ ქავეარაძე, ალაფიძე, გურგენიძე, დალაქიშვილი, მახათაძე, გოცირიძე და სხვა კომუნისტები...

ზარბაზნების გრიალი 24 თებერვლამდე არ შეწყდა. მერმე კი ცასა და მიწას მყუდროება მოეფინა. მხეგმზე ნისლი ჩამოწვა და ღამით მსხვერპლს მოთოვა. ქალაქში გამეფებული შიშისნობის გამო პლატონ მოგველაძე ვერის ხიდის მახლობლად მცხოვრებ რაფაელ ახვლედიანის ბინაზე გადაბარგებულიყო. რაფაელს ორი ოთახი ეჭირა. ერთი დიდი ოთახი ოთხი ფანჯრით დიდი მთავრის ქუჩაზე გადიოდა. რაფაელსა და პლატონს იქ გაეშალათ ლოგინი. მათ დღეს დამამიდებელი ამბავი შეეტყუათ ფრონტის შესახებ და მშვიდად დაძინებოდით.

კორნელიამ დამფუძნებელ კრებაში რიხიანად განაცხადა: „თბილისი საქართველოს ვერდენად უნდა იქცეს“ და ფრონტის დასათვალისწინებლად გაეშურა. პრეზიდენტმა იქ უამრავი დახოცილი და დაჭრილი მებრძოლები რომ ნახა, თბილისში თავზარდაცემული დაბრუნდა. დამფუძნებელი კრების წინ მის მანქანას ხალხი შემოეხვია.

ერთი ნაბიჯიანი, თეთრწვერა მოხუცი მიიჭრა პრეზიდენტთან და შესძახა:

„რისთვის განაგრძობთ დუმის? რისთვის არ შეატყობინეთ ხალხს, რა ამბავია ფრონტზე! გვითხარით, ნოე, ვიღუპებით თუ არა?“ პრეზიდენტმა მიუგო: „დამშვიდდით. ხელს ნუ გვიშლით და ყველაფერი რიგზე ი. ი. იქნება. ბოლშევიკები ვერასოდეს ვერ შემოვლენ თბილისში“.

ასე ატყუებდა ხალხს პრეზიდენტი. მაგრამ ნაშუაღამევს მოგველაძეს, ახვლედიანს და თბილისის მთელს მოსახლეობას ბორბლების განუწყვეტელი გრიალი ჩაესმათ ძილში. ეს ხმა ვერის ხიდიდან და კირკის ქუჩიდან მოისმოდა. ალბათ არტილერია და ქვეითი ჯარი მიდის ფრონტისაკენ, გაიფიქრა პლატონმა და ისევ ჩასთვლია. ბორბლების გრიალს კი ბოლო არ უჩინდა. პლატონს ისევ გამოედვიდა და ისევ გაიფიქრა: საქართველო უთუოდ

გადარჩება, ამდენი ჯარი თუ მიედინება ფრონტზეო. რაფაელ ახვლედიანი ნასვამი იყო და გულდაგულ ზერინავდა... უცებ კარებზე ვილაყამ კაკუნი ასტეხა. რაფაელი წამოიჭრა და კარებს მივიარდა.

— ვინა ხარ? — ჰკითხა მან უცნობს.

— რაფაელ, გააღე კარი!

რაფაელმა იცნო და კარები გააღო. ლეონარდო ტაბადაძე და თეოფილ გოთუა გიჟივით შევიარდნენ ოთახში და იყვირეს:

— რა დროს ძილია! ჯარმა ფრონტი მიატოვა და უკან იხევს. ხალხი ქალაქს სტოვებს...

— რა? — ძლივს აღმოხდა პლატონს და მერმე დამბლდაცემულივით გაშეშდა... საშინლად ატკივდა თავი. მან თავი პირსახოცით გაიკრა, ფეხმორთხმული დაჯდა საწოლზე. ჰერს მიაშტერდა და ღვთისმშობელს საქართველო შეავედრა. ახვლედიანმა საჩქაროდ ჩაიკეცა.

— წავიდეთ, ვიკითხოთ რა მოხდა, რისთვის ეტოვებთ თბილისს? — უთხრა მან პლატონს. პლატონი ისევ დამბლდაცემულივით იჯდა საწოლზე, რაფაელს ყურს არ უგდებდა და ჩურჩულებდა:

— გათავდა, ყველაფერი გათავდა...

რაფაელი და ლეონარდო შეშინდნენ. არ გაგივდესო. პლატონთან თეოფილ გოთუა დატოვეს და თვითონ ქუჩაში გავიარდნენ.

— დამშვიდდით პლატონ, — ეუბნებოდა გოთუა მოგველაძეს, — ამერიკელები, ინგლისელები და ფრანგები მრეწველობის მოყვარული ხალხია. ისინი ბაქოს ნავთს და ჭიათურას შესტუტგურებენ. ამბობენ. ამ საკითხის გამო ანტანტა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს — კრასინს შეუთანხმდაო. თუ ეს ასეა, ანტანტა ჩვენი თავს არ აიტკივებს და წითელ არმიას არ შეებრძოლება. ჩვენი წირვა მაინც გამოსული ყოფილა. ნუ დარდობთ, მენშევიკებს მაინც ბოლშევიკები სჯობია...

— რას ამბობ თეოფილ... იყვირა პლატონმა და საქართველო ისევ ღვთისმშობელს შეავედრა.

არტილერია და ქვეითი ჯარი ისევ მოედინებოდა ვერის ხიდიდან პლეხანოვის პროსპექტზე და აქედან — სადგურისაკენ. შავ და მღუმარე ღამით დაღლილ-დაქანცული ჯარის ჩუმი, ნელი და დაუსრულებელი სვლა გულს უღონებდა რაფაელს და ლეონარდოს. არავინ იცოდა, რისთვის სტოვებდა ჯარი ფრონტს, თბილისს და სად მიდიოდა იგი. ეს მხოლოდ ყორღანიაში, რამიშვილმა, სამხედრო მინისტრმა, მთავარსარდალმა და ფრონტის ოთხმა გენერალმა იცოდნენ.

ჯარები თბილისიდან მცხეთაში იხევდნენ, მცხეთის მისადგომების გასამაგრებლად და პოზიციების დასაკავემლად. ერთი ნაწილი ჯარისა კუმისის ტბის გზით გლდანსა და ქვემო-ავეჭალაში უნდა მისულიყო, მეორე — საღანლულიდან, მტკვრის მარცხენა ნაპირით, ზემო-ავეჭალაში, მესამე — კოჯრიდან წყნეთზე უნდა გაეელო, აქედან საქართველოს სამხედრო გზაზე გასულიყო და მცხეთიდან სამხრეთით მდებარე პოზიციები დაეკავებინა. მეოთხე კი — ორთაქალიდან მტკვრის მარცხენა ნაპირით, საქართველოს სამხედრო გზაზე უნდა გასულიყო სხვა ნაწილებთან შესაერთებლად...

„რა მოხდა? რაშია საქმე?“ — ამოდკვითხებოდნენ სამხედრო პირებს პოეტები. ჯარის უდიდესი ნაწილი კი კოჯრიდან, საღანლულიდან და კახეთიდან თბილისისაკენ მიმავალი გზებით ისევ ქალაქში შემოდებოდა და მერმე საქართველოს სამხედრო გზით და მტკვრის მარცხენა ნაპირით მცხეთისაკენ მიედინებოდა. მაგრამ მცხეთაში ფრონტიდან წამოსული ჯარის მესამედიც არ ჩასულა. ჯარისკაცები თავის ნაწილებს სტოვებდნენ და იარღით შინ მიდიოდნენ.

როცა ახელედიანი და ტაბადაძე პლენარის ჩაბნელებულ პროსპექტზე გავიდნენ, აქა-იქ მინის მსხვრევის ხმა შემოესმათ. ჯარისკაცები მწკრივიდან გამოდიოდნენ, შაშხანის კონდახით დიდი მალაზიების ვიტრინებს ამტვრევდნენ, შიგ შედიოდნენ, მსუნაჯი მგლებივით ტრიალებდნენ და სურსათ-სანოვანებს და საქონელს იტაცებდნენ. მენშევიკურ ჯარებში ხრწნა და ძარცვა-გლეჯა დაიწყო... პოეტებს პროსპექტზე მიმავალი ჯარისკაცების მწკრივიდან საშინელი და შემშარავი ყვირილი შემოესმათ:

„გენადი, ვახტანგ, ელიზბარ! თბილისის ვტოვებთ, თბილისს. თავს მოვიკლავ, თავს მოვიკლავ!“

რაფაელ ახელედიანმა ერემო გოდებანიძის ხმა იცნო და ტროტუარიდან ქუჩაში გადავიდა. შეეწვერიან კაცს ერემო გოდებანიძეს გენადი ქადაგიშვილი და ვახტანგ კიაბრიშვილი ართმევდნენ ნაგანს. ყველა ისინი მაზარაში იყვნენ გამოწყობილი და თავის ნაწილთან ერთად ფრონტიდან მცხეთისაკენ იხევდნენ. ქადაგიშვილმა, კიაბრიშვილმა და სხვა ჯარისკაცებმა გოდებანიძეს ნაგანი წაართვეს, შეკრეს, ორთვალაზე დაადგეს და თავზე დააწვენენ... კიდევ ღიღახანს ისმოდა მუნჯ და ნისლიან ღამეში გოდებანიძის ისტერიული ყვირილი: „თბილისის ვტოვებთ... თავს მოვიკლავ“.

პოეტებმა დიდი ვაი-ვაგლახით მიადწიეს სადგურს. მოედანზე ერთმანეთში უწესრიგოდ არეული ზღვა ჯარისკაცები და ბარგი-ბარხანით და ფუთებით მოსული ლტოლვილები ტრიალებდნენ. ყველა ცდილობდა პერონზე გასვლას. მატარებელში ჩაჯდომას და თბილისიდან გაქცევას.

ლტოლვილებით დახუნძლული მატარებლები ზედიზედ მიდიოდა ახლა მცხეთისაკენ. სადგურში შესასვლელთან იდგა უამრავი მანქანები, რითაც მთავრობის წევრები. მათი ნათესავები

და სპეკულანტები მოსულიყვნენ. უპირველეს ყოვლისა გვარდიელები მათ უშვებდნენ პერონზე. პოეტებმა ხალხით გაიკვლიეს გზა ხალხით გაქედნილ დარბაზში, ფრონტის გენერალი აზიზაშვილი დაინახეს, ძლივს მიადწიეს მასთან და ჰკითხეს:

— რა ამბავია, გენერალო, რისთვის ვტოვებთ უბრძოლველად თბილისს?

— მე არ ვიცი, რად აიღეს ხელი თბილისის დაცვაზე. არ ვიცი, რატომ წავიდა მთავრობა და მთავარსარდალი... ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერ გავიგე ამის მიზეზი... — მიუგო გენერალმა ალელეებულ პოეტებს.

— როგორ მოვიქცეთ? ჩვენც წავიდეთ თბილისიდან. — ისევ ჰკითხეს პოეტებმა.

— ისე, როგორც მე, არც თქვენ ბრძანდებით პოლიტიკოსები, — მიუგო გენერალმა — ჩემის აზრით, უმჯობესია დარჩეთ თბილისში... მიღით მოწინააღმდეგეთა ბანაკში და მოახსენეთ მის სარდლობას, რომ საქართველოს მთავრობამ და მისმა ჯარებმა თბილისი დასტოვეს. სიზოვეთ, მიიღონ ზომები ხალხის ნაძირალებმა არ ისარგებლონ არეულობით ბოლშევიკური ჯარების შემოსვლამდე და ძალადობასა და ძარცვა-გლეჯვას არ მიჰყონ ხელი. ამით თქვენ დიდ სარგებლობას მოუტანთ ჩვენს დედაქალაქს.

პოეტები ასეც მოიქცნენ. გენერლის შიში ამოი იყო. მენშევიკური მთავრობის მიერ თბილისის დატოვებისთანავე წესრიგის დასაცავად მყისვე მფრინავი რაზმები შედგა კომუნისტური პარტიის წევრებისაგან. ქალაქში არცე-დარცეას არ ჰქონია ადგილი.

მცხეთაში ჯარი და ლტოლვილები ერთმანეთში აირია... მთავარსარდალმა წესრიგი ვერ დაამყარა და ჯარს მცხეთიდან გორისკენ სვლა უბრძანა. მაგრამ ჯარი თანდათან იშლებოდა. გზადაგზა ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად სტოვებდნენ თავიანთ ნაწილებს და თოფებით,

ტყვიამფრქვევებით მიდიოდნენ თავი-  
ანთ სოფლებში აჯანყებულებთან შესა-  
ერთებლად... ამოდ ამხნეებდნენ უორ-  
დანია და რამიშვილი ოფიცრებს და  
ჯარისკაცებს: რეალური დახმარება ევ-  
როპიდან ამ დღეებში მოვაო. მათ შერ-  
ჩათ გენერლების, ოფიცრების, იუნკ-  
რებისა და ჯარისკაცების მხოლოდ უმ-  
ნიშვნელო ჯგუფი. მიუხედავად სასტი-  
კო ზომებისა და ხერხებისა მათ ბათუ-  
მამდე იმ უმნიშვნელო და მცირერიც-  
ხოვანი ჯარით იარეს... ბოლოს ქართ-  
ველი ხალხის მოღალატე მთავრობას  
ისინიც გადაუდგნენ...

## 3

ჯართან ერთად ფრონტიდან თბი-  
ლისში მისული დათა მიქელაძე გიჟივით  
შეეარდა თავის ბინაში და იქ კორნე-  
ლი და მარო რომ არ დაუხვდა, თავზა-  
რი დაეცა. საჩქაროდ ჩაპყარა ჩემო-  
დანში ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ფა-  
სეული ნივთები, მაზარის ლილები შე-  
იკრა, შაშხანა გადაიკიდა, ბინის კარები  
დაკეტა, გასაღები გიმნაზიის საქმის-  
მწარმოებლის ცოლს — ანეტას ჩააბა-  
რა, გაბრიელს ბინისათვის თვალყუ-  
რისდევნება სთხოვა, ფული აჩუქა და  
დიდიმთავრის ქუჩაზე ისევ გიჟივით  
გავარდა, რომ თავის ნაწილს დაწეოდა.  
მოხუცმა მეეზოვემ ჩემოდანი არ დაა-  
ნება და სადგურისაკენ გაპყვა.

რაფაელ ახვლედიანის ბინასთან პლა-  
ტონ მოგველაძე და თეოფილ გოთუა  
შეეყარნენ. ისინიც სადგურისაკენ გარ-  
ბოდნენ. მოგველაძე კვლავ დამბლად-  
ცემულსა და ენაწართმეულს ჰგავდა და  
გაშეშებულ მანეკენივით მიიბიჯებდა  
პლენხანოვის პროსპექტზე, რომელზე-  
დაც ფრონტიდან მცხეთისაკენ უკან  
დაბრუნებული ჯარი კვლავ განაგრძობდა  
სვლას.

როდესაც დათა, პლატონი, თეოფი-  
ლე და გაბრიელი ჯარით და ლტოლ-  
ვილებით საესე სადგურში მივიდნენ,  
უკვე რიერაქმა მოატანა. ხალხით და  
ჯარისკაცებით გაჭედილი უკანასკნე-

ლი მატარებელი მცხეთისაკენ გასუ-  
ლიყო და თბილისში აჯანყებულთა  
რაზმების შემოპრის შიშით მანქანა მო-  
ცემული რკინიგზის სადგურის უფ-  
როსი და მისი თანამშრომელი მოხს-  
ნილიყვნენ. მატარებლის ახალი შემა-  
დგენლობის მცხეთისაკენ გამგზავრების  
იმედი აღარავის ჰქონდა. ამიტომ სხვებ-  
თან ერთად დათა, პლატონი და ალპი-  
ნისტივით რუკჯამოკიდებული თეო-  
ფილეც რკინიგზის ლიანდაგს დაადგნენ  
და მცხეთისაკენ ქვეითად გასწიეს.

ჯარისკაცის მაზარაში გახვეული და  
შაშხანაგადაკიდებული, უძილო დასუს-  
ტი დირექტორი, რომელსაც ფრონტზე  
თავისი მოწაფეები შემოჰმანტოდნენ,  
საცოდევად მოათრევდა დიდ ჩემოდანს.  
თეოფილეს შეეცოდა, ჯიბის დანა ამო-  
იღო, გზის პირას ხეს ტოტი შეაპრა, გა-  
თალა, ჩემოდნის სახელურში გაუყარა  
და. ტვირთის ზიდვაში მიეშველა და-  
თას. ის ქონდრისკაცი ყველაზე ღონი-  
ერი, ამტანი, მხნე აღმოჩნდა. იგი თბი-  
ლისის დატოვების გამო არაერთარ ტრა-  
გედიას არ განიცდიდა. მხოლოდ დათას  
და პლატონ მოგველაძის გულის მოსა-  
გებად სახეზე ნიღაბს იფარებდა და  
პლატონის და დათას გულში დატრია-  
ლებულ ცეცხლს ნათეს ასხამდა.

როდესაც ისინი და უამრავი ლტოლ-  
ვილი დიდუბეს გამოარდნენ და აკვა-  
ლის დათოვილ ველზე გავიდნენ, აჯან-  
ყებულთა საშველად მოსული მეთერთ-  
მეტე წითელი არმიის ნაწილების თვით-  
მფრინავები დაინახეს. თვითმფრინავე-  
ბი დაბლა დაეშენენ და გზატკეცილე-  
ბით და მთის ბილიკებზე წეროსავით  
გამწკრივებულ. საგრძნობლად შეთხე-  
ლებულ და ნელი ნაბიჯით მცხეთისა-  
კენ მიმავალ მენშევიკური ჯარის  
მებრძოლებს და არტილერიას ზვერა-  
დნენ. მფრინავებს მათ დაბომბვა ყო-  
ველ წუთს შეეძლოთ, მაგრამ მენშევი-  
კების დარბეული, უვარგისი და მცირე-  
რიცხოვანი ჯარი, რომელიც თბილისს  
ტოვებდა, დასავლეთისაკენ უწესრიგოდ



მიედინებოდა და არსად ფეხის მოკიდების და წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ შესწევდა, რაღა დასაბოძმბავი იყო! კიდევ მეტი: აჯანყებულთა რაზმები ავალდავალ მისდევდნენ ავჭალამდე უწყსრიგოდ და უგეგმოდ მიმავალ მენშევიკურ ჯარს. მენშევიკურ ჯარს მცირერიცხოვნებისა და უვარგისობის გამო მცხეთის პოზიციებზე გამაგრების თავი უკვე აღარ ჰქონდა. მცხეთის ვიწროებში ლტოლვილები და ჯარისკაცები ერთმანეთში აირია, გაიქვედა და აჯანყებულთა ჯარის სარდლობას რომ მოესურვებინა, 24 თებერვალს ღამით მენშევიკური არმიისაგან შენარჩუნებულ ჯარს და მთავრობას მთლიანად ხელში ჩაიგდებდა. მენშევიკურმა ჯარმა მხოლოდ 26 თებერვალს შესძლო დარჩენილ ნაწილებში ასე თუ ისე წესრიგის დამყარება და მცხეთის ქვაბიდან გასვლა.

რადესაც პლატონი, დათა და თეოფილე თოვლით მოფენილ ავჭალის ველზე გავიდნენ, გზადაგზა დაეარღნილი და მკვდარი ცხენები შეეყარათ. ცხენებს მუცელი რუმბივით გაბპეროდათ და კბილები დაეკრიკათ. მათ თავზე ყვავ-ყორნები დაჰყარანტალობდნენ.

ზემო ავჭალასა და მცხეთას შუა ვიწროებში გზატკეცილი უკან დახეული ჯარებით გაიქვედა, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება. რომ შოფერებმა საბარგო მანქანების მოტორები მოშალეს და ავტო-კოლონები შედგა. ერთმა ახოვანმა, შავგვრემანმა შოფერმა კაბინიდან გამოჰყო თავი და მის მანქანასთან მდგარ, შავ დრაპის პალტოში გამოწყობილ, კოტელოკიან პლატონ მოგველაძეს გასძახა:

— გამარჯობათ, ჩემო ძველო ნაცნობო! თქვენც მოუსვით თბილისიდან? პლატონმა მაშინვე იცნო იგი. შოფერი იყო იმ გარაჟიდან, რომელიც 1918 წელს მეორე საარტილერიო ბრიგადის ჯარისკაცებთან ერთად დაიკავა პლატონ მოგველაძემ. შოფერები მენ-

შევიკურ მთავრობას გადაუდგნენ. ისინი ბოლშევიკებს უჭერდნენ მხარს, მანქანები მოეშალათ და ავტო-კოლონებს ისე გაექვედათ ვიწროები ზემო ავჭალასა და მცხეთას შორის, სადაც რკინიგზის ხაზს გზატკეცილი სჭრის, რომ მოძრაობა შეუძლებელი შეიქნა.

ცოტა ხნის შემდეგ პლატონი გზაში გაქვიდილ არტილერიას წააწყდა. მან წვერმოშეგებული და დაქანცული კაპიტანი ალექსიძე დაინახა, იგი ცხენის მობრუნებას ვერ ახერხებდა და ამაოდ ცდილობდა ვიწრო გზაში გაქვიდილი ბატარეის გაყვანას. მალე პოეტი იორამ შინაშვილიც შეეყარა პლატონს და თეოფილეს. მას გვარდიელის ბუშლატი ეცვა. იგი ლევან ქორიძეს წაეყვანა გვარდიამი პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის. იორამმა ორი ნაბიჯით ვერ მოასწრო მოშორება, თეოფილ გოთუამ მაშინვე „ხელი დაადო“ და პლატონ მოგველაძეს უთხრა:

— ამ კირიან კინკრაქას მართლა პოეტი ჰგონია თავისი თავი!

— რატომ? — ძლივს ამოიღგა ენა პლატონმა, — მაგ ბიჭს ერთგვარი ტალანტი უთუოდ აქვს.

— თქვენგან არ მიკვირს, პლატონ ლუქიჩ! უნამუსო ქურდი, იმიტატორია და სხვა არაფერი. — მიუგო ქონდრისკაცმა თეოფილ გოთუამ. მხრები აიჩენა. აგურისფერ პალტოში ჩარგო თავი და მელასაებრ ეშმაკური თვალებით აჰხებდა პლატონს, — აგერ ნახავთ, თუ ეგ ბოლშევიკებთან მისვლას ყველა პოეტს არ დაასწრებს და იქაც პირველობას არ დაიჩემებს!

4

მცხეთაში მართლაც სოლომ-გომორი იდგა. ლტოლვილები და ჯარისკაცები ერთმანეთში არეულიყვნენ. სარდლობის დივიზიებისათვის არ მიუჩენია ადგილები და სადგურსა და მონასტრის შუა, ჯარის ნაწილები ისე დაბანაკდნენ, ვინც სად მოახერხა.

ქვეითად სიარულით დაღლილი და

დაქანცული დათა, პლატონი და თეოფილე სადგურის დარბაზში შევიდნენ. დათას ნაწილი უკვე აღარ არსებობდა და საძებარიც არაფერი იყო. გრძელ მაგიდებზე და კედლის გასწვრივ იატაკზე ნაბრძოლი და უძილო იუნკრები დაყრილიყვნენ. პლატონმა მაგიდაზე გაშლართულ, ხახადღებულ და მძინარ იუნკრებს შორის ბევრი ნაცნობი ქაბუკი დაინახა... ზოგი იუნკერი ძილფხიზლობდა, თავი ამაყად ეჭირა, ისევ ბრძოლის გუნებაზე იყო და თუთუნს ქაჩავდა. პლატონმა დარბაზიდან ქუჩაში ჩასასვლელ კიბეზე მჯდარი პროფესორი ფილიმონ ერისთავი და მისი მეუღლე სოფიო და იქვე მდგარი ესტატე, ვარდო, ნინო და ელო დაინახა და ძლიერ გაეხარდა. ნინო წასულიყო ფრონტზე როგორც მედიცინის დაი, მკერდზე წითელი ჯვარი ეკერა და, იუნკრებს შორის მდგარი, სანდრო ზოტივარს ესაუბრებოდა. მას ახლა პლატონისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ჩემმა ქალმა გმირის სახელი მოიხვეჭა ფრონტზე. თოფ-ზარბანების გრიალში და ტყვიების სეტყვაში იგი ჭრილობებს უხვევდა მებრძოლებს. ნინოს გვერდით მოჰკლეს მისი მეგობარი. მედიცინის დაი თამარ აფხაზი.— ეუბნებოდა ესტატე პლატონს.

— მე არ გიცნობდით თქვენ, ქალბატონო, ასეთ გმირად,— ხელი ჩამოართვა და შეაქო თავისი ყალბი, პათეტიკური ენით ნინო მაყაშვილი პლატონმა. ნინომ ხელი ჩაიქნია, უმაღლეს მოშორდა პლატონს და ფილიმონ წერეთელს და მის მეუღლეს უთხრა:

— წამოდით, ბატონო ფილიმონ და ქალბატონო სოფიო, მამა მიგიყვანთ ყორღანისთან და რამიშვილთან. მთავრობის მატარებლით იმგზავრებთ მათთან ერთად.

— არავითარ შემთხვევაში, — ფეხი გაიღვა კიბეზე მჯდარმა ფილიმონმა, — ალაჰმა უწყის, როდის გავა მცხეთიდან მატარებელი მე წინადადებას ვიძლევი,

მეგობრებო. სანამ ძალა შეგვეწყვეს, ისევ ქვეითად განვაგრძოთ გზა, თორემ ზღვითი ყოველ წუთს მოსდგომიან. ამბობენ, ბოლშევიკებს მთელი საქართველო მოგვდევენო.

რუსეთში ბოლშევიკებისაგან შინაპრამ პროფესორს პლატონ მოგველაძე მაშინვე დაეთანხმა. მაგრამ ესტატე მაყაშვილმა პროტესტი განაცხადა. იგი მთავრობის მატარებლისაკენ წავიდა. მატარებელში ისხდნენ ყორღანია, რამიშვილი, მინისტრები, მრეწველები, სპეკულანტები, ეგზარქოსი, ეპისკოპოსები, მათი ცოლშვილი და ნათესავები. შავ პალტოში გამოწყობილი, შავი კრაველის ბუჩურისქუდიანი, თეთრწყვერა პრეზიდენტი ვაგონის ფანჯარას მოსდგომოდა და ზეზეულად გამჭრალი გასცქეროდა მცხეთაში მდგარი უამრავი ხალხის ორომბრიალს, პანიკით შეპყრობილ და ერთმანეთში არეულ ლტოლვილებსა და ჯარისკაცებს, მენშევიკური საქართველოს ნგრევის სურათს. ფანჯრის წინ ვარლამ კუტალაძე იდგა და პრეზიდენტს ძაღლივით შესძებურებდა... მან ესტატე მაყაშვილს ხელი სტაცა, ცრემლი გადმოღვარა და უთხრა:

— შეხედე ნოეს, რა დღეშია... ხალხის წამდელი ბელადია. დიმიტრი თავდადებულა...

კოტა ხნის შემდეგ მთავარსარდალმა კვინიტაძემ, ყორღანია და რამიშვილმა ეზოებში, ბაღში და მთის კალთებზე დაბანაკებული ჯარის ნაწილები მოიარეს. ყორღანია და რამიშვილი ჯარისკაცებს ატყუებდნენ და ამხნევებდნენ: კოტა მოითმინეთ, გაზაგრდით, დაეშარება საზღვარგარეთიდან ამ დღეებში მოვაო. მაგრამ ყორღანია, რამიშვილმა და მთავარსარდალმა წესრიგი ვერ დაამყარეს და მთავარსარდალის ბრძანებით ჯარმა 26 თებერვალს მცხეთიდან გორისაკენ დაიხია. აჯანყებულთა რაზმები კი ისევ კვალდაკვალ მისდევდნენ მათ. მენშევიკური ჯარის

ნაწილებს არსად ფეხის მოკიდების და პოზიციების გამაგრების საშუალებას არ აძლევდნენ, — არც გორში, არც ლიხის უღელტეხილზე. გზაში კი ჯარისკაცები ჯგუფჯგუფად სტოვებდნენ თავიანთ ნაწილებს და თოფებით, ტყვიამფრქვევებით მიდიოდნენ თავიანთ სოფლებში აჯანყებულებთან შესაერთებლად.

შორაპნთან მენშევიკურ მთავრობას და მათ ჯარს რკინიგზის ხაზი გადაუჭრა კარისმერეთის, ქიათურის და შორაპნის რაიონის აჯანყებული გლეხების ხელმძღვანელმა გალაქტიონ გელაშვილმა. მაგრამ მენშევიკებმა ჯაგაშინაინი მატარებლების საშუალებით მოახერხეს მისი აღდგენა და შორაპნის ვიწროებიდან გასვლა.

მიუხედავად იმისა, რომ ყორღანის მთავრობას ქუთაისში ჯარი თითქმის არ ჩაპყოლია, რამიშვილმა მაინც დიდი რიხით განაცხადა: „საქართველო სულ უფრო და უფრო აპყრობს დიდ ევროპულ სახელმწიფოების ყურადღებას. უკანასკნელთათვის უფროდაუფრო ნათელი ხდება ის როლი, რომელსაც თამაშობს საქართველო ახლო აღმოსავლეთში. სხვათაშორის, ამით აიხსნება ის დახმარება, რომელსაც გვიწევს ჩვენ საფრანგეთის რესპუბლიკა“.

ამ განცხადების მეორე დღესვე მენშევიკებმა თავზარდამცემი ამბავი შეიტყვეს: რაკა-ლენჩუშის აჯანყებული გლეხობა, რომელსაც მამისონის უღელტეხილზე გადმოსული წითელი არმია ეხმარება, ქუთაისისაკენ მოემართება.

კავკასიონის დაბეჭულ ქედებზე ზამთრის პირობებში გადასვლის მომწყობი კიროვი იყო. დიგორის პარტიზანები კავკაიდან ლეხის უღელტეხილზე გადავიდნენ, ხოლო წითელი არმიის 98-ე ბრიგადა და 33-ე მსროლელი დივიზია — მამისონის უღელტეხილზე. ზამთარში, საყენახევიარი თოვლით დაფენილ უღელტეხილზე გადასვლა გამოცდილ მთამსვლელებათათვის

საც კი შეუძლებელი იყო, არათუ სამხედრო ნაწილებისათვის, ეჭვით შეპყრობილებს კიროვი შეუძლებელია. „ბოლშევიკური მიზნის მისაღწევად არავითარი უღელტეხილი არ შეიძლება წარმოადგენდეს დაბრკოლებას“. მამისონის უღელტეხილზე საარაკო გადასვლა მოხდა 1921 წლის 25 თებერვალს, სწორედ მაშინ, როდესაც განმათავისუფლებელი არმიის მთავის სერგო ორჯონიკიძის ბრძანების თანახმად კოჯრიდან, საღანღულიდან და სხვებიდან მომავალი ყველა გზით აჯანყებული მუშების, გლეხების და წითელი არმიის ნაწილები მწყობრად და დიდი უწყობილო შევიდნენ სახეიმიდ მორთულ საქართველოს დედაქალაქში. სიხარულით აღტაცებულ ხალხთან შეხვედრისა და აღლუმის დროს ქალაქის თავზე წითელი დროშა აღიმართა. ორჯონიკიძემ ლენინს და სტალინს დეპეშა გაუგზავნა:

„თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

## 5

როცა აჯანყებულთა დასახმარებლად, კიროვის მეთაურობით, მამისონის უღელტეხილზე წითელი არმიის ნაწილები გადმოვიდნენ, აჯანყებულებთან ერთად ონი აიღეს და ქუთაისისაკენ გამოემართნენ. მენშევიკები შეშინდნენ და უმაღვე ბათუმში წასვლა დააპირეს. წასვლის წინ, რამიშვილის ბრძანებით, საგანგებო რაზმის აგენტებმა საპატიმროდან ბოლშევიკების ერთი ჯგუფი გამოიყვანეს და დახვრიტეს, ხოლო ქართველი ხალხის გათავისუფლებისათვის მებრძოლ მარდალეიშვილს და ივანოვს სალორიის ტყეში ნათი გადაასხეს და დასწვეს. კომუნისტების მეორე ჯგუფი ბათუმში გადასაგზავნად სადგურში მიიყვანეს. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ფარნაოზ საღარაძე, დალაქიშვილი, სერგო ჭავჭავაძე.

ვანო მახათაძე, კოტე გურგენიძე, სოსო ალაიძე, ნიკო გოცირიძე, გიგა ხუცი-  
შვილი, მიტო ჩიკვაიძე და სხვანი. ამ  
ჯგუფში იყო, აგრეთვე, კორნელი მხეი-  
ძე, რომელიც რამიშვილმა კომუნისტე-  
ბის პარტიას მიაკუთვნა, აგენტებისაგან  
ალყაშემორტყმული პატიმრები, მატარ-  
ებლის ჩამოყენების მოლოდინში, პე-  
რონზე იდგნენ და თავიანთ ბარგზე  
ისხდნენ; ბარგზე მსხდარნი შესაბრა-  
ლისი შესახედავი იყვნენ. ბევრ მათგანს  
ბორკილები ჰქონდა გაყრილი და, თავ-  
პირგახეთქილებს, სისხლი სდიოდათ.  
ქუთაისის ციხიდან სადგურამდე დიდი  
მანძილია და ეს გზა მართლაც გოლგო-  
თისაკენ მიმავალ გზად იქცა პატიმარ-  
თათვის. გააყვებული მენშევიკები, მათი  
დამქაშები, მეძებრები და საგანგებო  
რაზმის აგენტები, რომლებითაც საცეს  
იყო მაშინ ქუთაისი, სადგურამდე მოს-  
დევდნენ პატიმრებს, გამეტებით სცემ-  
დნენ და შაშხანის და რევოლვერების  
კონდახებით ამტვრევდნენ თავბრის.  
მათ პერონზეც აღარ ეშვებოდნენ... და-  
მით რამიშვილი, კელია, ფაჩულია და  
სხვა ჯალათები მობრძანდნენ. პროვო-  
კაციის გამოწვევის მიზნით და მერმე  
პატიმრების დახვრეტისათვის საბაბის  
მისაღებად, საღარაძეს, ქავეჯარაძეს, მა-

ხათაძეს და სხვებს იარაღით ემუქრე-  
ბოდნენ, მოლაღატეებს და საბჭოთა  
ქვეყნის აგენტებს უწოდებდნენ. საბჭო-  
ში აფურთხებდნენ, უშუქრონ სიტყ-  
ვებით მიმართავდნენ და აგინებდნენ...

კორნელიმ სამუდამოდ დაიხსომა გა-  
აფურთხებული, გამხდარი, იეზუიტის  
მსგავსი და ფერმკრთალი კაცის — რა-  
მიშვილის საზიზღარი სახე, იმ კა-  
ცისა, რომელსაც საქართველოში ყვე-  
ლა პატიოსანმა მოქალაქემ „სატანა და  
საქართველოს ავი გენია“ შეარქვა. ბო-  
ლოს რამიშვილის და კელიას საგანგე-  
ბო რაზმის აგენტებმა მშვიერ-მწყურ-  
ვალი პატიმრები მატარებლის ვაგონებ-  
ში შერეკეს, კარ-ფანჯრები ჩაუკეტეს  
და ბათუმში გააცილეს. პატიმრები  
ვეთა გიმნაზიის მახლობლად, შავი-  
ზღვის პირას გაშენებულ ციხეში მოა-  
თავეს.

ბათუმის გიმნაზიის დირექტორი  
კორნელის ძმა სტეფანე იყო. კორნელი  
დარდობდა, ნეტავ ჩემმა ძმამ იცოდეს,  
რომ ბათუმში ჩამომიყვანესო, სტეფა-  
ნემაც მალე გაიგო ბათუმის საპატიმ-  
როში კორნელის ყოფნა და მისი გან-  
თავისუფლებისათვის ზრუნვას შე-  
უდგა...

## ბათუმში

„მენშევიკურ მთავრობასა და ანგორის მთავრობის წარმომადგენლის  
ქიაზიმ-ბეის შორის შეთანხმება მოხდა“.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ .

1

საპატიმროში კომუნისტებმა და, მათ  
შორის მწერალმა კორნელი მხეიძემაც,  
დაწვრილებით იცოდნენ, თუ რა ხდე-  
ბოდა საქართველოში. პატიმრებმა ჯერ  
კიდევ ქუთაისის ციხეში შეიტყვეს,  
რომ აჯანყებულთა რაზმების მოთა-  
ვე სერგო ორჯონიკიძე 25 თებერვალს  
თბილისში შევიდა, ხოლო ბათუმის ცი-  
ხეში ისიც გაიგეს, რომ 10 მარტს და-  
სავლეთ საქართველო: აჯანყებულებმა

და კროვის მეთაურობით მამისონის  
უღელტეხილზე გადმოსულმა წითელი  
არმიის ნაწილებმა ქუთაისი დაიკავეს,  
ხოლო ეორდანიას მთავრობა ოფიცრე-  
ბის, იუნკრების, რეგულარული ჯარისა  
და გვარდიის მცირერიცხოვანი ჯგუ-  
ფით ბათუმში ჩავიდა, სარდლობამ რი-  
ონზე ხიდი ააფეთქა და საჯავახოს-  
თან ფრონტის გამაგრებას შეუდგა. პა-  
ტიმრებმა ისიც იცოდნენ, რომ 2 მარტს  
საქართველოს რევკომმა მოსკოვიდან  
ლენინის საღირებებიო წერილი მიი-

ლო, რომელშიაც საერთაშორისო პრო-  
 ლეტარიატის დიდი ბელადი მხურ-  
 ვალე სალამს უძღვნიდა საბჭოთა  
 საქართველოს. ლენინი ქართველ კომუ-  
 ნისტებს სწერდა: „გთხოვთ გახსოვ-  
 დეთ, რომ საქართველოს საშინაო და  
 საერთაშორისო პირობები ქართველ  
 კომუნისტებისაგან მოითხოვენ არა რუ-  
 სული შაბლონის გამოყენებას, არა-  
 მედ მოქნილ, მოხერხებულ და თავი-  
 სებური ტაქტიკის შექმნას“. ამ და სხვა  
 დირექტივის თანახმად საქართველოს  
 რევკომმა ჯერ კიდევ 8 მარტს წინადა-  
 დება მისცა მენშევიკურ მთავრობას —  
 დაეყარა იარაღი, ხელი აეღო უაზრო  
 წინააღმდეგობაზე. მიუხედავად იმისა,  
 რომ მთელი საქართველო აჯანყებულ-  
 თა ხელში იყო, ყველგან საბჭოთა ხე-  
 ლისუფლების ორგანოები მუშაობდნენ,  
 მენშევიკებს მხოლოდ საჯავახო-ბათუ-  
 ში ეპყრათ და უკან დასახედავად ერთი  
 გზაღა რჩებოდათ — შავი ზღვა, მენ-  
 შევიკური მთავრობა მაინც უაზრო წი-  
 ნააღმდეგობას განაგრძობდა და სა-  
 ქართველოს რევკომთან მოლაპარაკებას  
 აკიანურებდა. ეს გაკიანურება დროის  
 მოგების მიზნით იყო ნაკარნახევი.  
 ევროპაში გაქცევის წინ მენშევიკურმა  
 მთავრობამ ქართველ ხალხს ზურგში  
 მახვილი ჩასცა. იმპერიალისტური ინგ-  
 ლისის, საფრანგეთისა და ამერიკის ჩა-  
 გონებით, საბჭოთა რესპუბლიკებსა და  
 თურქეთს შორის ომის გამოწვევის  
 მიზნით, მენშევიკურმა მთავრობამ  
 თურქეთს არდაგანის, ართვინისა და  
 ბათუმის ოლქი დაუთმო. იგი ხალხს  
 არწმუნებდა, რომ თურქები ახალციხი-  
 სა და ოზურგეთის მხარებთან მოსა-  
 ზღვრე ბათუმის ოლქს დაკავებენ, ხო-  
 ლო ქალაქ ბათუმს კი არაო, თურქები  
 დროებით შემოვლენ ბათუმში, დაისვენ-  
 ნებენ და მერმე საზღვრებისაკენ გას-  
 წევენ.

ხუთ მარტს თურქი ჯარების შტაბის  
 უფროსი ტალან-ბეგი ჩავიდა ბათუმში  
 და ქალაქის კომენდანტს ხუთი ათასი

ჯარისკაცის დაბინავება და სურსათის  
 მიცემა მოსთხოვა. თანაც ჰკითხა, რო-  
 დის შესძლებდა კომენდანტი თურქებს  
 სარდლობისათვის ბათუმის ციხე-სი-  
 მაგრის გადაცემას და ქალაქიდან ქარ-  
 თული ჯარების გაყვანას... თურქი ჯა-  
 რების ეშელონებმა 11 მარტიდან იწყეს  
 ქ-ლაქში შემოსვლა, მათ ბათუმის გვარ-  
 დიის მიერ დაკავებული ბარცხანის ყა-  
 ზარმების ერთი კორპუსი დაუთმეს.  
 რომელშიც ხუთასი თურქი ჯარისკაცი  
 მოთავსდა. ამით თურქები არ დაკმა-  
 ყოფილდნენ და დაიწყეს ფოსტა-  
 ტელეგრაფის, ქალაქის მილიციის სამ-  
 მართველოს და სხვა დაწესებულებათა  
 შენობების ძალით დაკავება და აუტა-  
 ნელი თვითნებობა. ბათუმში თურქების  
 გაძლიერებული პატრულები დადიო-  
 დნენ. თურქთა სარდლობის თავხედობა,  
 დაუსრულებელი მოთხოვნა და ახირე-  
 ბა იმთავითვე ეპეს იწვევდა... იგი ბა-  
 თუმში ისე იქცეოდა, როგორც იქცე-  
 ვიან დაპყრობილ ქვეყანაში. შეტაკების  
 თავიდან აცილების მიზნით კომენ-  
 დანტმა სახალხო გვარდიელები ბარ-  
 ცხანას ყაზარმებიდან აზიზიეს მოე-  
 დანზე გადაიყვანა. უკვე ბევრისთვის  
 აშკარა გახდა, რომ თურქები მენშე-  
 ვიკურ მთავრობასთან დადებულ ხელ-  
 შეკრულებას არ შეასრულებდნენ. მენ-  
 შევიკურ მთავრობას ეგონა, რომ თურ-  
 ქეთის საფარქვეშ მყოფი მათი ხელის-  
 უფლება და ჯარები საჯავახოდან ბა-  
 თუმამდე და თვით ბათუმში დარჩებო-  
 დნენ იმ დრომდე, სანამ იმპერიალის-  
 ტური ევროპის მაშველი ჯარი არ მო-  
 ვიდოდა; მერმე კი საერთო ძალებით  
 გაილაშქრებდნენ საქართველოს ბოლ-  
 შევიკური ჯარების წინააღმდეგ, მაგრამ  
 ევროპიდან დამხმარე ძალები არ მო-  
 დიოდნენ, ხოლო მარტის თურთმეტს ბა-  
 თუმში თურქთა მეორე და მესამე ეშე-  
 ლონი შევიდა. ახლა ბათუმში დაახლო-  
 ვებით 2000 თურქი ჯარისკაცი დაბა-  
 ნაკდა. ბათუმში ჩამოსული თურქი ჯა-  
 რების სარდლის ქიაზიმ-ბეის, პატრუ-

ლებსა და სხვათა გამომწვევი და თავ-  
ხედური საქციელი საბაბს იძლეოდა  
ეფქრათ, რომ თურქები მენშევიკური  
საქართველოს დახმარებას კი არ ლა-  
მობდნენ, არამედ ბათუმის ხელში ჩა-  
საგდებად ემზადებოდნენ.

15 და 16 მარტს ქართული ჯარები  
მზად იყვნენ ბრძოლისათვის, ქალაქში  
გაძლიერებული პატრულები დადიო-  
დნენ და სამორიგო ნაწილები ინიშ-  
ნებოდნენ, თურქები იმ ღამით ქართუ-  
ლი ჯარების განიარაღებას და „კახაბე-  
რის“, „კვეციურის“, „ტორატ-სირ-  
ტის“, „სამების“ და „ანარიის“ ფორ-  
ტების დაკავებას აპირებდნენ. დილით  
ქართულმა ჯარებმა დაიკავეს თითქმის  
ყველა ფორტები და ბლოკპაუზები.  
ამის საპასუხოდ თურქებმა 17 მარტს  
დილით მოითხოვეს ფორტების დაცლა  
და იქ თავისი ჯარების ჩაყენება... მო-  
ლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.  
თურქებმა „სამებას“ ალყა შემოარ-  
ტყეს. ახლა ყველას აეხილა თვალი და  
ყველასათვის ნათელი გახდა, რომ თურ-  
ქები ბათუმის ხელში ჩაგდებას ლამობ-  
დნენ. 16 და 17 მარტს ღამით თურქ და  
ქართველ პატრულებს შორის შეტაკება  
დაიწყო. მთელ ქალაქში სროლის ხმა  
ისმოდა. ქალაქის მოსახლეობა პანიკამ  
შეიპყრო, ხალხი იატაკზე წვებოდა და  
სარდაფში იმალებოდა, მიუხედავად  
ამისა, მენშევიკური მთავრობა რეე-  
კომთან საზავო ხელშეკრულების დადე-  
ბის თაობაზე მოლაპარაკებას მაინც არ  
იწყებდა.

## 2.

ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის დირექტო-  
რი სტეფანე მხეიძე საპატიმროდან თა-  
ვისი ძმის კორნელის განთავისუფლე-  
ბისათვის ზრუნვას შეუდგა. ამ საქმეში  
მან თავისი ცოლის მამიდაშვილი სენა-  
ტორი კუტალაძე გამოიყენა. სტეფანე  
ცხოვრობდა გიმნაზიის ეზოში გაშენე-  
ბულ სახლში, რომლის ფასადი ზღვის-  
კენ გადიოდა, უკანა მხარე კი ეზოში.  
ან კი რად უნდოდა ამოდენა ბინა უშვი-

ლო ცოლ-ქმარს — სტეფანეს და კო-  
ტოს! მაგრამ სტეფანეს უჭირებოდა ცო-  
ლიდის — ვერას და ბედროვლას ცო-  
ლისძმის — ილიკოს გარდა სტეფანეს  
ბინაში უამრავი ლტოლვილი მოთავს-  
დნენ: ვარლამ კუტალაძე ცოლ-  
შვილით, სენატორი დადვამე, გექილი  
ხელთუფლიშვილი და სხვანი. ბათუმი  
თბილისიდან, ქუთაისიდან და საქარ-  
თველოს სხვა ქალაქებიდან მოზღვა-  
ვებული ლტოლვილებით აივსო. მენშე-  
ვიკები, თანამდებობის პირები, ვაჭრე-  
ბი, სპეკულანტები და სხვანი ახლა  
ომის შესახებ კი არ ფიქრობდნენ, არა-  
მედ ბოლშევიკებისაგან თავის დალ-  
წევასა და საზღვარგარეთ გაქცევაზე  
ოცნებობდნენ. მთავრობა გემებში მო-  
სათავსებელ პირთა სიებს ადგენდა და  
იმ სიებში მოხვედრას ყველა ცდი-  
ლობდა, გავლენიანი პირები ნათესა-  
ეებს ეხმარებოდნენ, პროტექციას,  
ქრთამსა და ათასგვარ მაქინაციებს მი-  
მართავდნენ. იღგა ერთი ყაყანი, სირ-  
ბილი, წიწვა-გლეჯა. სტეფანეს ბინაში  
მობინადრე ლტოლვილთა შორის სა-  
ზღვარგარეთ გაქცევა ყველაზე უფრო  
ვარლამ კუტალაძეს ეჩქარებოდა და  
კორნელის გათავისუფლების თავი არა  
ჩქონდა. იგი მეტად მშვიდარა კაცი იყო  
და ახლა დაბადების დღეს იწყებოდა.  
კარიერის მიზნით მენშევიკებს რომ  
მიეცედა და მათ პარტიის შიგნით  
მას უძილობა დასჩემდა, აობრადა და  
ოღნავ თვალს თუ მოატყუებდა, —  
ძილში საშინელ სიზმრებს ხედავდა და  
დასაკლავი ხარივით ბღეოდა. ცოლი  
მას ნერვების და გულის დასაამებელ  
წამლებს აძლევდა, მაგრამ ბოლშევიკე-  
ბის შემოსვლის შიშით ვარლამს გულ-  
ზე უფრო კუჭი აწუხებდა.

ბოლოს ინგლისისა და საფრანგეთის  
ჯარების ჩამოსვლაზე იმედგაცრუე-  
ბულმა და თურქებისაგან მოტყუებულ-  
მა ფორდანიამ საბჭოთა საქართველოს  
რეკომთან შესახვედრად ქუთაისში  
დელეგაცია გაგზავნა. რამდენიმე სტო-

მის შემდეგ მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად, საომარი მოქმედება დაუყოვნებლივ უნდა შეწყვეტილიყო. მენშევიკურ მთავრობას უნდა მოეხსნა საჯავახოსთან თავისი, ფრონტი და ხელი უნდა შეეწყო რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში მყოფი ჯარების შესვლისათვის ბათუმის ოლქში. ეს ჯარები კი მას გარეშე მტრების შემოჭრისაგან დაიცავდნენ.

3

კორნელი თავისი ძმის ბინაზე მივიდა. ევროპაში გაქცევის გამო დაუსრულებელი ლაპარაკი და ყაყანი ისე მოსწყინდა და შეზარდა მას, რომ შინ ყოფნას გაურბოდა და მთელ დღეებს ზღვისპირას ან ბაღში ატარებდა. ზღვა სულ ახლოს იყო სტეფანეს ბინის აივანიდან, ისე ახლოს, რომ დიდი დღევის დროს აგორებული ტალღები აივანზე ასახვლელ კიბეებს წვდებოდა. იქვე ტროპიკული მცენარეებით შემკული ბაღიც იწყებოდა. ერთხელ შინ, ქალაქში და ნავსადგურში ლტოლვილთა ყაყანით და ორმოტრიალით დაქანებული კორნელი ბაღში იჯდა. ზღვას და რეიდზე მდგარ ინგლისისა და საფრანგეთის კრეისერებს გასცქეროდა. კორნელის ნავსადგურში შესული უცხოური გემის საყვირი შემოესმა. გემის საყვირის ხმა ზღვასთან მოჯარული კონტა მთების იქით გადავიდა. „ის გემი ევროპაში გასაქცევად გამოზადებული მენშევიკური მთავრობის წასაყვანად თუ მოვიდა, — ფიქრობდა კორნელი. — სამაყო სახელს დატოვებენ საქართველოში მენშევიკები. მენშევიკებმა თურქეთთან კავშირი შეკარეს და მას საქართველოს მიწა-წყალი და ბათუმი დაუთმეს. ისინი ქართველი ხალხის ნამძვილი მტრები ყოფილან, რაც არასოდეს არ შეეპყებოდა. თურქები საბჭოთა საქართველოს ჯარებს თუ შეებრძოლნენ, მაშინ უთუოდ ჯარში ჩავეწერები. ეჰ, სტეფანემ და კურალაქემ რად გაათავისუფლებინეს მენშევი-

კურ მთავრობას ჩემი თავი? რას თქვიქრებდნენ ევრო, მიტო და სხვა ჩემი ამხანაგები? ვაი სირცხვილო მენშევიკებიდან გამოსვლა არ მინდოდა, მაგრამ ევრომ და მიტომ არა ჰქნეს და მაიძულეს...“ — ასე ფიქრობდა კორნელი. როდესაც ბულვარში უამრავ ხალხში მოსიერიან იუნკერი სანდრო ზოტივარი და ნინო შენიშნა. შეკრთა, სკამზე ზურგშექცევით დაჯდა და მერმე იქითკენ არ გაუხედავს. ნეტავი არ შემამჩნიონო, გაიფიქრა.

მაშინვე ფორტებზე კანტიკუნტად გაისმა თოფის სროლა. თანდათან სროლა გახშირდა და ტყვიამფრქვევეიც ამუშავდა.

„ეს რა უნდა იყოს!“ — გაიფიქრა კორნელი.

შეშინებული ხალხი ბაღიდან ქალაქისაკენ გარბოდა.

დაღამდა. რეიდზე მდგარ კრეისერებზე ელნათურები აინთო. ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის ჯაგშინანი გემები ყაჩაღებით მოსდგომოდნენ ბათუმს, საქართველოს და მთელ ამიერკავკასიას, მოხერხებულ დროს ელოდნენ, რომ საქართველოს სანაპირო ქალაქებში დესანტი გადმოესხათ... ბათუმის სანაპირო არტილერია კი სდუმდა.

„ნუთუ მენშევიკების საზიზღარი პროვოკაცია გასკრის და თურქეთს დაგვატაკებენ“, — გაიფიქრა კორნელი.

თოფის სროლა გაძლიერდა. მოსახლეობა საშინელ პანიკას მიეცა.

სალამოს 9 საათზე საპატიმროდან ყველა კომუნისტი გამოუშვეს. უმაღლეს ბათუმის დროებითი რევეკომი შედგა.

რევეკომი ციხე-სიმაგრის შტაბში გადავიდა და იქიდან ადგილობრივ სარდლობასთან ერთად შეუდგა ქართული ჯარის ხელმძღვანელობას და საქირო ღონისძიებათა მიღებას. დაუყოვნებლივ იქნა გაგზავნილი მთელს ქალაქში პატრულები და რაზმები, რომ თურქებს დაწესებულებები არ დაეკავებინათ. ღამით 12 საათზე მოვიდა ქიაზიმ-

ბეის თავხედური ბრძანება. იგი ბათუმის ოლქს თურქეთის ნაწილად აცხადებდა, თავისთავს კი მის გენერალ-გუბერნატორად. ქართულ ჯარებს წინადადება ეძლეოდა, 24 საათის განმავლობაში დაეტოვებინა ბათუმი, ბათუმის ოლქის საზღვრები და იარაღი ჩაებარებინა თურქებისათვის... ამ ბრძანებამ ყველა აღაშფოთა. იგი უპასუხოდ იქნა დატოვებული. ქართული ჯარის პატრულები და რაზმები შეებნენ თურქებს და ქალაქში თოფისა და ტყვიამფრქვევის სროლა გაჩაღდა.

აი, სწორედ ამ დროს ჩავიდა ბათუმში ჯავშნიანი მატარებლით გენერალი აზიზაშვილი, რომელსაც საჯავახოს ფრონტი უნდა დაეშალა და საბჭოთა ჯარების ბათუმში შესვლისათვის ხელი შეეწყო. ჯავშნიანი მატარებელი საბარგო სადგურში შესასვლელ ისართან გაჩერდა, აზიზაშვილი კი სადგურში მივიდა. მაგრამ აქედან ვერ მოახერხა მისვლა ნავსადგურში, სადაც მენშევიკური მთავრობისა და მთავარსარდლის მატარებლები იდგა... გზა დაკეტილი აღმოჩნდა... დიდი ცდის შემდეგ გენერალი ბათუმის დროებითს რეკომში მივიდა. აქ მან შეიტყო, რომ ფორდანიას მთავრობა, მთავარსარდალი, მრეწველები, თავადები, მემამულეები, სპეკულანტები, სისხლისმსმელი ჯალათები კრეისერზე გადაბარგებულან, ხალხისაგან მალულად და საიდუმლოდ გაქცეულან და გემებით თან წაუღიათ ოქრო, ვერცხლი, თვალმარგალიტი და ასტორიული მნიშვნელობის ნივთები და სამუზეუმო განძეულობა.

აზიზაშვილი ბათუმის რეკომის მიერ დაინიშნა საქართველოს წითელი ჯარის სარდლად და ბათუმის გენერალ-გუბერნატორად.

## 4

ესტატე მაყაშვილი, ვარდო, ელო და პლატონ მოგველაქე ლტოლვილებით გაქედნილ ნავსადგურში ისხდნენ. მთავრობის, მათი მახლობლების და

თანამშრომლების გაქცევის შემდეგ მეორე რიგის მგზავრთა სიაში ჩაწერილნი გემში ჩაბარგებას ელოდნენ. ესტატე და ვარდო შემოფოთებული იყვნენ, ნინო არსად ჩანდა. ფერმკრთალი იუნკერი თავზე დასდგომოდა მათ და ვერ ბედავდა ეთქვა, ნინო მედიცინის დეპუტან — თამარ ქარელიძესთან და სხვებთან ერთად რომ წასულიყო ბრძოლის ველზე. ნავსადგურში უამრავი ხალხი ტრიალებდა და ამდენი მგზავრისათვის გემები არა კმაროდა. თბილი და მზიანი დღე იდგა. მთებით შემოზღუდულ ქალაქში ერთი ათად უფრო ძლიერად ისმოდა ფორტებზე და ქალაქის მისასვლელებზე ატეხილი თოფ-ზარბაზნების გრილი.

— რა ამბავია, ღმერთმანი, არ ვიცი! ამ ქვეყნის დაქცევის ეამს სად დაიქარგა ნინო? — შფოთავდა ესტატე. — წუხელ მან, თამარ ქარელიძემ და მაყვალა ყანჩაველმა გიზო ზარანდიასას გაათეს ღამე. მერმე ნინო აქ უნდა მოსულიყო. სად წავიდა? სად გაქრა?

— რად არ მოვიდა ის ქალი, არ ვიცი?! — წუხდა ვარდო. — სულაც არ ებრალება მშობლები, გიზოს მეუღლემ ფედოსიმ მითხრა, ნინო, თამარ და მაყვალა რიყრაზე წაიშინდნენ და კუკურისთან და მის დასთან — მარიკასთან ერთად წავიდნენ...

— სად-ღა არიან მერე ამდენ ხანს? კუკურის სად გაყვებოდნენ? კუკური ფორტზე წავიდა, — იყვირა ესტატემ.

— მოვლენ, ნუ გეშინიათ, — დაამშვიდა სანდრო ხოტივარმა ესტატე და ვარდო და მერმე თავი ჩააკიდა... კიდევ უფრო მძლავრად იგრიალეს ფორტებზე ზარბაზნებმა... სანდრომ პლატონ მოგველაქე გაიხმო და უთხრა:

— ბატონო პლატონ, როგორ მოვიქცე, არ ვიცი. ნინო მედიცინის დად წავიდა ფრონტზე.

— რას ამბობთ, — გაფითრდა მოგველაქე. — როგორ იქნება? ჩვენ ხომ ყველ წუთს შეიძლება გემში ჩასაბარ-



გებლად დაგვიძახონ. რა ეშველება ესტატეს და ვარდოს? ქალს ხომ ვერ მიატოვებენ?!

— ვერ მიატოვებენ, — დაუდასტურა სანდრომ.

— რა თავქარიანი ქალი ყოფილა, მშობლები როგორ არ შეიცოდა? განა არ იცის, ისინი უმისოდ რომ ვერ წავლენ ევროპაში... აქ რომ დარჩნენ, საცაა ბოლშევიკები შემოვლენ ქალაქში და, ესტატეს განა დაინდობენ... — ამბობდა, ევროპაში გასაქცევად გამზადებული პლატონი.

— არ ვიცი, რა ექნა? როგორ ფიქრობთ, ვუთხრათ ესტატეს და ვარდოს? — ჰკითხა სანდრომ.

— არა, გეთაყვა, ვარდოს გული გაუსკდება, ესტატეს დამბლა დაეცემა, — მიუგო პლატონმა.

ზარბაზნები ისევ გრიალებდა. შიგადაშიგ თოფის და ტყვიამფრქვევის ხმაც მოისმოდა.

— კუკური ზარანდიას ხომ არ გაჰყვა, ვეფო, ფორტზე? — დაიძახა ესტატემ.

— იქნებ მართლაც იქ წავიდა, — შენიშნა ელომ და მერმე დამცინავე ღიმილით დაამატა: — რა მეტიჩარაა! ზარანდია რა შუაშია. იგი კორნელის გამო აკეთებს ამას.

— კარგი ერთი. ეგ ამბავი ხომ გათავდა... — წყენით უთხრა ესტატემ და სახე დაედრიჯა.

— არაფერიც არა გცოდნიათ. მე ვიცი, მას ახლაც უყვარს კორნელი, — დაზნული ხმით თქვა გამხდარმა, ზარბაზნების გრგვინის გამო შეშინებულმა, გაფითრებულმა და აკანკალებულმა ელომ. ჩემოდანზე მჯდარი ვარდო თოფნაკრავივით წამოიჭრა...

გულშეწუხებულ ვარდოს და ესტატეს მალე ზღვა ხალხი შემოერტყა.

5

აზიზაშვილმა ქალაქი ორ მებრძოლ უბნად გაჰყო. ბარცხანისა და კახაბერის ფორტები გენერალ ვარდიანის

დაუქვემდებარა, ხოლო სტეფანავისა და ანარიისა — გენერალ არჩვაძეს. ბათუმის დროებითი რეგკომის განკარგულებაში გადასულმა ქართულმა ჯარებმა ნავსადგურიდან საბარგო სადგურამდე დაიპირეს პოზიცია და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, თურქებს რომ იარაღი დაეყარათ. ამ დროს ჩაქვის მხრიდან ეშელონი გამოჩნდა. თურქები ფორტიდან გამოვიდნენ, მატარებელი გაჩერეს და შეუდგნენ საჯავახოდან მომავალი საბჭოთა ჯარების პირველი ეშელონის ჯარისკაცთა განიარაღებას. ამით ისარგებლეს ქართველმა ჯარისკაცებმა და ბარცხანის ფორტს მიუახლოვდნენ. სადგურის პაკპაუზის უკან მდგარი ცხენოსანი რაზმი, მამაცი პოლკოვნიკ აფრილონიძის მეთაურობით, საფარიდან გამოვიდა, ფორტს შემოერთა და მერმე ღიად დატოვებული ალყაფის კარებით შიგ ფორტში შეიჭრა. რალაც ნახევარი საათის განმავლობაში მხედრებმა ბარცხანის მთელი გარნიზონი ხმლებით აკეფეს. ნაწილი კი — 218 კაცი — ტყვედ ჩავარდა. ისინი შტაბში გაგზავნეს.

ბარცხანის აღების შემდეგ მზვერველებმა გენერალ აზიზაშვილთან მიიყვანეს ერთი ქერა და ახალგაზრდა კახაკი, რომელმაც ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა მოიტანა. იგი გენერალ აზიზაშვილთან კავშირის გასაბმელად ცხენოსანი დივიზიის უფროსის — ელომასაგან იყო გამოგზავნილი. მამაცი მეთაური ელომა თავისი დივიზიით ახალციხეში ჩავიდა, გოდერძის უღელტეხილი გადალახა, აქარის წყალთან გაჩერდა და საჯავახოს ფრონტზე დაბანაკებულ მენშევიკურ ჯარს ბათუმში დასახევი გზა მოუჭრა. მაგრამ აქარის წყალზე ელომას აცნობეს, რომ რეგკომსა და მენშევიკურ მთავრობას შორის დადებულია საზავო ხელშეკრულება და, ამასთანავე, თურქებთან საბრძოლველად ბათუმის რეგკომის განკარგულებაში მყოფი ჯარების უფროსად დაუნიშნავეთ გენერა-

ლი აზიზაშვილი. ახლა საბჭოთა საქართველოს ჯარებს და მის საშველად მოსულ წითელი არმიის ნაწილებს საერთო ძალით უნდა გაელაშქრათ ბათუმის ოლქში და ბათუმში შემოჭრილი თურქების წინააღმდეგ. როდესაც თურქთა ჯარების უფროსმა ქიაზიმბეიმ შეიტყო საჯავახოდან ბათუმში საბჭოთა ჯარის პირველი ეშელონის მოსვლა და აქარისწყალთან ელოზას დივიზიის ნაწილების დაბანაკება, თავზარი დაეცა, მაგრამ ბათუმიდან მაინც ფეხს არ იცვლიდა. ალბათ ევროპიდან სამხედრო ძალების ჩამოსვლას ელოდა! ეს დახმარება კი არა ჩანდა. ქიაზიმბეიც საქმეს აძნელებდა, აკიანურებდა, რაღაც ხრიკს ეძებდა და ქართულ ჯარებთან ბრძოლას მანამდე განაგრძობდა, სანამ კახაბერთან დიდი დამარცხება არ იგემა. ქიაზიმბეის მისმა მთავრობამ მხოლოდ 20 მარტს უბრძანა ბათუმისა და მთელი მისი ოლქის დაცლა. თანახმად 1921 წლის 16 მარტს რსფსრ-ისა და თურქეთს შორის მოსკოვში დადებული ხელშეკრულებისა, თურქეთი იძულებული იყო საბოლოოდ აეღო ხელი ბათუმზე და ბათუმის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილზე. ამრიგად, მენშევიკურ მთავრობას საბჭოთა რესპუბლიკებისა და თურქთა ჯარების ერთმანეთთან დიტაკების პროვოკაცია არ გამოუვიდა და კოვიზი ნაცარში ჩაუვარდა. თურქებმა ბათუმი და მისი ოლქი დასცალეს.

დასავლეთის ფრონტზე მსოფლიო ომში 1914 წლიდან 1917 წლამდე ნაბრძოლი გენერალი აზიზაშვილი, რომელიც ბოლო წლებში მეფის რუსეთის არმიის კორპუსის უფროსად იყო, დიმილით შესცქეროდა გრძელ ფაფარიანს, ღონიერ და კოხტა ცხენზე მჯდარ, მაზარაში გამოწყობილ, შაშხანით, ხმლითა და ნაგანით შეიარაღებულ უშიშარ ვაჟკაცს — კაზაკს. მხედარს ნაცრისფერი ბუხრის ქუდიდან მწიფე ქერის-

ფერი თმის ბლუჯა შებლზე გადმოსცენოდა და მალალ ყვრიმალიან, ემხიან და მხნეობით სავსე, აქვხუხუ მამხრეთული გაზატხულის მზინი მწყხმხმხმულ, მოცისფრო, შექიან და ალერსით სავსე თვალებს ნაბაედა... ეგ ეშხიანი კაბუკი და მისი კოხტა და ღონიერი ციმიჩრული კვიცი რაღაცით ჰვანდნენ ერთმანეთს. ქართველი მეზრძოლები გარსშემორტყმოდნენ გონიერად მოლაპარაკე რუს მხედარს, აღტაცებით უცქეროდნენ მას, წითელი არმიის განსახიერებას ხედავდნენ მენშევიკებისა და ევროპის იმპერიალისტების წინააღმდეგ მეზრძოლ ამ რაინდ მხედარში, რომელიც ქართველი მუშებისა და გლეხების დასახმარებლად იყო მოსული.

მსოფლიო ომის დროს ფრონტზე ნამყოფმა ქართველმა ჯარისკაცმა ღიმილით უთხრა ამხანაგებს:

— დიდი გმირი და მეზრძოლი ხალხია რუსები. ამათთან ერთად, თუ გინდა, ჯოჯოხეთშიც ვიზრძოლებ.

გენერალმა წერილი მისწერა ელოზას, მის შიკრიკს გადასცა და თან თავისი კაცები გააყოლა. ქართველი მეზრძოლები დიდხანს უცქერდნენ რუს მხედარს. მათ წითელი არმიის მოსვლა უხაროდათ, კარგად იცოდნენ, რომ რუსების გვერდით და მათ მხარდამხარ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ კარგი ბრძოლა სჩვევოდათ წარსულში. მით უმეტეს ახლა იზრძოლებდნენ თავგამოდებით და მხნედ შეუტევდნენ ასკერებს, რომლებიც კაზაკებს ვერასოდეს ვერ უშკლავედბოდნენ და მათი ლანდისაგან დამფრთხალნი არაერთხელ გადახვეწილან ცხრა მთას იქით.

მართლაც, საჯავახოდან საბჭოთა ეშელონებისა და ახალციხიდან ელოზას დივიზიის მოსვლის შემდეგ ბათუმის გარნიზონის ქართველი ჯარისკაცები გმირულად ეკვეთნენ მტერს.

ქობა აჭარის წყალიდან ჩამოვიდა და აზიზაშვილი ინახულა. მან აზიზაშვილის თხოვნა შეასრულა და თავისი დივიზიის რაზმები სტეფანოვკის და ანარიის ფორტებზე დააბანაკა. ამით აზიზაშვილს საშუალება მიეცა ამ ფორტების გარნიზონი კახაბერის ფორტის დასახმარებლად გაეგზავნა. თურქებს ზედიზედ მიჰქონდათ იერიში კახაბერზე, რომლის ხელში ჩაგდებათ მტერი ბათუმის ფაქტიური ბატონ-პატრონი გახდებოდა.

სტეფანოვკისა და ანარიის ფორტის გარნიზონის ჯარისკაცებმა ხანმოკლე და მედგარი ბრძოლის შემდეგ თურქები დაამარცხეს, გზა გაიკაფეს და კახაბერის გარნიზონს შეუერთდნენ.

მაიორი ნამორაძის მეთაურობით სამთო და საველე ბატარეები ისე ბრწყინვალედ მოქმედებდნენ, რომ თურქები ვერას გახდნენ. ოღონდ მაიორს იმდენი მსროლელი და მემიზნე გაუწყვიტეს, რომ ახლა ოფიცრებს უხდებოდათ ზარბაზნებზე მუშაობა. აი, სწორედ მაშინ მოუწოდა გენერალმა აზიზაშვილმა ქალაქში მყოფ არტილერისტებს და მალე ნამორაძესთან 20 კაცი გამოცხადდა, მათ შორის, მიტო ჩიკვაიძე, კუპური ზარანდია და კორნელი მხვიძე.

როდესაც განთიადზე კორნელი, მიტო და კუკური ნამორაძის ბატარეისაკენ გაეშურნენ, მათ თან გაჰყვნენ, თურქებისადმი ზიზლით აღჭურვილი და პატრიოტული გრძნობით გატაცებული მედიცინის დები — კუკური ზარანდიას დაი მარიკა, ნინო მაყაშვილი, თამარ ქარელიძე და მაყალა ყანჩაველი. ბარცხანასა და კახაბერის რაიონებში ჯერ კიდევ ბრძოლა მძვინვარებდა. ქართულ ჯარს ნავსადგურიდან საბარგო სადგურამდე დაეჭირა პოზიცია და ყოველ დონეს ხმარობდა, რომ თურქებს იარაღი დაეყარათ.

მედიცინის დები ჯარის ამ ნაწილში გამოცხადდნენ.

კახაბერზე მიტოს, კორნელის და კუკურის სამი ზარბაზანი ჩააბარეს და მემიზნეებად დანიშნეს. ისინი მხნეულად მუშაობდნენ და თურქებს მუსრს ავლებდნენ.

კახაბერის ახლომახლო მიდამოები და ლეღები ასკერთა გვამებით დაიფარა. თურქებს იმ დღეს დიდი ზარალი მოუვიდათ. ჯარისკაცებთან ერთად მათ დაჰკარგეს ორი თვალსაჩინო შტაბ-ოფიცერიც. ამის შემდეგ ბათუმის მიდამოები მალე მტრისაგან მთლიანად გაწმენდილი იყო. ქიაზიმ-ბეიმ ქალაქი დასცალა და თავისი ჯარებით კოროზის იქით გადავიდა.

20 მარტს ბათუმში და მის ოლქში მტრის არც ერთი ჯარისკაცი აღარ მოიპოვებოდა. ეს მაშინვე აცნობა გენერალმა აზიზაშვილმა თბილისიდან ჩამოსულ სამხედრო კომისარს. მაგრამ თურქებზე გამარჯვება ძვირად დაუჯდა ქართულ ჯარს. მოკლულთა რიცხვი ოთხმოც კაცამდე აღწევდა. მათ შორის ბევრი სტუდენტი დაიღობა: მიტო ჩიკვაიძე, შოთა ვადაკორია, სტეფანე ჭიბარიაშვილი, ნინო მაყაშვილი და სხვანი.

სამხედრო კომისრის ბრძანებით ისინი აზიზიეს მოედანზე დიდი ზეიმით დაკრძალეს. დაკრძალულ იქნა მხოლოდ ორმოცდაათი მებრძოლი, დანარჩენები მშობლებმა თავიანთ სოფლებში და ქალაქებში წაასვენეს.

კორნელი, ვანო, კუკური და სხვანი გულმოკლული დაბრუნდნენ შინ აზიზიეს მოედნიდან.

მიტოს თავში მოხვედროდა ტყვია, რომელიც სამთო ზარბაზნის ფოლადის ფარის პატარა ფანჯარაში იყო შეკრილი. ნინოს კი მკერდში ჰქონდა მოხვედრილი ასკერის ტყვია, როცა იგი მებრძოლს ჭრილობას უხვევდა. მიტო ჩიკვაიძე, გრიგოლ ცაგურიშვილის შემდეგ, ყველაზე ახლო მეგობარი იყო კორნელისა, ნინო კი — მისი პირველი და დაუფიყარი სიყვარული.

## 6

მეორე დღეს ბათუმში ჯავშნიანი მატარებლით ჩამოვიდა სერგო ორჯონიკიძე... ადგილობრივი რევკომის წევრები — ვაგონში ესტუმრნენ მას და ბათუმის ამბები მოახსენეს.

— მაშ ასე, — თქვა ორჯონიკიძემ, — მენშევიკების ცდა — ერთმანეთისათვის დაეჯახებინა თურქები და საბჭოთა რესპუბლიკების ჯარები, უშედეგოდ დაბთავრდა... გენერლები და ოფიცრები ასლა, თურქეთთან დადებული ხელშეკრულებისა და ბათუმში ქიზიმ-ბეის შემოსულის შემდეგ, ამკარად დარწმუნდნენ, რომ ჟორდანის მთავრობა ქართველი ხალხის მტერი ყოფილა. იმსაც დასძენენ. მენშევიკებმა ევროპაში მოკურცხლეს, ჩვენ კი შეგვეძლო მათი დაპატიმრებაო. **Дурачки, задним умом крепки!**

— როდესაც რევკომის ჯარები ბათუმში შემოვიდნენ, ჟორდანის მთავრობა აქ უკვე აღარ იყო. — შენიშნა ქავეიანძემ. — ჟორდანის მთავრობა გაეპარა ქართველი მშრომელი ხალხის რისხვას და არა გენერლებსა და ოფიცრებს.

— არამზადები! მათ თან წაიღეს გემებით ქართველი ხალხის სამუზეუმო; ისტორიული მნიშვნელობის საგანძურები, — აღშფოთებით წარმოთქვა კოტე გურგენიძემ.

— ეგ არის სამწუხარო. იმათ კი შავი ზღვისა და ჯანდაბის იქით გზა ჰქონიათ, — განაცხადა ვანო მახათაძემ.

კოტა ხნის შემდეგ ბათუმის დროებითი რევკომის თავმჯდომარემ — სერგო ქავეიანძემ ორჯონიკიძეს გენერალი აზიზაშვილი წარუდგინა. გენერალმა მოხსენება გაუკეთა ორჯონიკიძეს. ლომის ფაფარიანმა, ფართო სახიანმა, შავგვრემანმა და შავულვაშიანმა ბრვე ვაყაცმა შუბლი შეიქმუხნა და გენერალს უთხრა:

— იცით თუ არა თქვენ გენერალო,

რომ კანონს გარეშე იყავით გამოცხადებული და ყოველ კომუნისტს თქვენთან პირველ შეხვედრისთანავე უფლება ჰქონდა იქვე მოეკალით? მაგრამ ჩვენ გაეთვალისწინეთ გადატრიალების დროს ბათუმში შექმნილ კრიტიკულ მომენტში თქვენი დახმარება, ჩვენს ჯარებთან ერთად თურქების წინააღმდეგ თქვენი მოქმედება და გაპატიეთ ყველა ის ბოროტმოქმედება, რაც მენშევიკების ბატონობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩაიდინათ. თუ თქვენ გსურთ გულწრფელად ემსახუროთ ქართველ მშრომელ ხალხს, საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგო ბოროტი აზრი გულიდან უნდა ამოირეცხეთ...

გენერალმა ვერ გაუძლო ორჯონიკიძის თვალების ჩამწვდენ ცქერას, ტანში გააფრეოლა, გაფითრდა ჯარისკაცით გასწორდა და მიუგო:

— ქართველი ოფიცრები წინათ არ ეკედლებოდნენ პოლიტიკურ პარტიებს, ისინი მხოლოდ სამშობლოს ინტერესებს ემსახურებოდნენ და, თუ ახალი ხელისუფლება ბოროტებად არ ჩაგვითვლის სამშობლოსადმი სამსახურს მენშევიკების ბატონობის დროს, მე და სხვა ოფიცრები მზად ვართ გულწრფელად ვემსახუროთ ქართველი ხალხის ინტერესებს.

მეფის ძალაუფლების დამხობისათვის მებრძოლმა და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გატარებულმა დიდმა რევოლუციონერმა შავ ულვაშებში ოდნავ ჩაიციხა და მის წინ ჯარისკაცით გაჭიმულ უშიშარ გენერალს შავი და გამსკვალავი თვალებით დააკქერდა...

## 7

ერთბამად დაბერებულ ესტატეს და ვარდოს ნება მისცეს, რომ ნინო თბილისში მატარებლით წაესვენებინათ. ვანო, კორნელო, კუკური და სხვანი — საღამოს მატარებლით მიტო ჩიკვაიძის ცხედარს გაჰყვნენ. მიტო ვერის სასაფ-

ლოზე დაკრძალეს. ვანომ და კორნელიმ მღვლევარ სიტყვები წარმოსთქვეს, ცრემლი ყელში ებჯინებოდათ. მათმა მგრძნობიარე და გულამაჩუყებელმა სიტყვებმა მშობლები, ნათესაეები, მეგობრები და დაკრძალვაზე მოსული უამრავი ხალხი აატირეს.

ნინო საქორწინო ტანისამოსში და ვარდ-ყვავილებით მორთული იწვა კუბოში. მისი ნატიფი, ლამაზი, მკრთალი და ნარნარი სახე ახლა სრულიად მშვიდი და უმფოთველი იყო. მერცხალოვით გაფრენილი წარბებიც მშვიდად და უმოძრაოდ ელაგა ნინოს ფართო და მარმარ შუბლზე. თითქოს ქალმა სიკვდილის ეამს ცხოვრების აზრი გაიგო, ცხოვრების მღვლევარე ზღვა გადასცურა, ნაპირზე გავიდა, დაბრძენდა და საბუღამოდ დამშვიდდაო. ასეთი აზრი ამოიკითხა კორნელიმ ნინოს დაღუპებულ, და დაბრძენებულ სახეზე. კორნელი პროცესიის ბოლოში გულმოკლული მიდიოდა კუჩიის სასაფლაოსაკენ.

საშინელი დარდი და კაემანი შემოაწვა კორნელის. ისე გავიდა აპრილი და მაისი, რომ არაფრის ხალისი არა ჰქონდა. განმარტოებით დადიოდა თბილისში.

ერთხელ კოჯრის გზას დაადგა და ბოტანიკური ბაღის წინ გაჩერდა. საღამო ეამი იყო. წინ თბილისის გაშლილიყო, ახალი საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი, ქალაქის იქით მთები, მუჭულურჯი ბურუსით მოცული ქედები ჩანდა — მთელი საქართველო, რომელიც მენშევიკების ბატონობის ეამს მიყენებულ ტყვილებს იშუშებდა, საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ფერხულში მთელი გულით ებმებოდა... კორნელი კი მწუხარებით გასცქეროდა ქალაქს, მტკვარს, მტკვრის იქით მთის კალთაზე გაშლილ კუჩიის სასაფლაოს, იქ ეგულვებოდა დაუვიწყარი ასულის საფლავი. უეცრად მას

მოაგონდა, ნინომ პირველად რომ გაუცხადა სიყვარული, პირველედ უბრემ აკოცეს მათ ერთმანეთს... მერმე სრულდა ლაქი, კოჯრის გზა რომ აირბინა, ბოტანიკური ბაღის წინ გაჩერდა, მის წინაშე გაშლილ ქალაქს გადახედა და დაიძახა: „ო, ბედნიერო, ტყბილო წუთებო, მე მას ვუყვარვარ!“.

კორნელი მოგონებაში ჩაიძირა... „მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ის ხუთი წელი ხუთი საუკუნედ მეჩვენება. რა ბედნიერი ქაბუცი ვიყავი მე მაშინ, და რა უბედურად დამთავრდა ჩემი და ნინოს რომანი. მე მეგონა — დამთავრდა, მაგრამ განა დამთავრდა იმ ქალის სახე გულიდან ვერასგზით ვერ ამოვიღე. იგი ცხადში თუ ძილში ჩემთან იყო. სანამ ცოცხალი ვიქნები მისი სახე გულზე ხატად მესვენება“, — ფიქრობდა კორნელი. იგი კაემანმა შეიპყრო. მუხლმოკვეთილი და წელმოწყვეტილი მიეყრდნო ცაცხვის ხეს, ისევ კუჩიის სასაფლაოს მიასტერდა და უცნაური ჩურჩული დაიწყო: „ის აღარ მოვა არასდროს, ის აღარ მოვა არასდროს...“ მერმე მღუმარებით მოცულ მთაში ხის ქვეშ, ციხის ნანგრევთა მახლობლად დაჯდა, უბის წიგნაკი ამოიღო და შიგ ასეთი ლექსი ჩასწერა:

„სძინავს მარადის ღუმილით მწუხარე  
მვედართო ქალაქსა,  
გაუმალარი მიწა ქამს იქ ერთი ქალის  
დაღალსა.  
ყვლს შემოკვდო სიკვდილი შიბისმავარი  
მივიეთა  
მხარაწურულსა ქალწულსა, ასვეტილს  
ქაშეეთივითა.  
ლოდი აწიება და ტყივა მარმარი გულის  
ფიცარი. —  
ეოქვი და ერთბაშად დაღამდა, ღამეში ველარ  
ვიცანი.  
მხოლოდ კაემნით მოცული, ტურფა, უბიწო  
თვალეზით  
ორი ვარსკვლავი მიცქერდა, ნინონი  
ფერისცვალების,  
გაშტერებული სახითა, ციმციმით გაოცებული,  
ვით მარტოსული უსაბო, ანგელოზთაგან  
ქებული.

და მივხვდი, რისთვის ვერ მოვა ამ ქვეყნად  
იგი ასული,  
უცხო შორეთის სიმშვიდით უხანოდ  
შემოგარსული.  
ეს აღარ მოვა არასდროს, — ვთქვი და  
ერთბაშად დაღამდა

და შეენახა მისსივით ღამე ჩემს გულსაც  
ერაფერად...  
კორნელი ამ ლექსს არაბინსაძის ტექსტით  
ხავედა. მხოლოდ ხშირად ზეპირად ამ-  
ბობდა თავის გულში და ყელში ცრემ-  
ლი უსწრებდა.

### აპილოგის მაგივრად

ერთხელ კორნელის რუსთაველის პროსპექტზე ვანო მახათაძე შეეყარა. ვანოს ახლა დიდი სამუშაო ჰქონდა დაკისრებული, იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სააგიტაციო და საპროპაგანდო დარგს განაგებდა და თანაც ყოველთვიურ ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ პოლიტიკურ ჟურნალს რედაქტორობდა. ვანო სამსახურის შემდეგ თითქმის საღამო ეამს ბრუნდებოდა შინ:

— სად დაიქარგე, რომ არა ჩანხარ და არ გვეყარები? რა მოგივიდა? როგორ მიდის შენი „შამქორის“ საქმე? — ჰკითხა ვანომ კორნელის.

— მიტო ჩიკვაძის, შოთა ვადაჭკორისა და ნინო მაყაშვილის დაღუპვის შემდეგ რაღაც ვერა ვარ ჩემს ჭკუაზე. — მიუგო კორნელი.

ვანო კორნელის დააცქერდა ქდა უთხრა:

— უმსხვერპლოდ დიდი საქმე არ გაკეთდება. გლოვით საქმეს ვერ უშვებ. მიტოს ხსოვნის ყველაზე უკეთესი დაფასება ის იქნება, თუ იმ საქმეს, რომელსაც ის ემსახურებოდა და რისთვისაც დაიღუპა, ესე იგი, მუშათა კლასისა და პროლეტარული სახელმწიფოს ინტერესებისათვის ბრძოლას მთელი ჩვენი ძალ-ღონით ვემსახურებით.

ვანო მაშინ სასტუმრო „ორიანტიში“ ცხოვრობდა. ვანომ შინ მიიბაძიეა კორნელი, ისინი სასტუმროს მეორე სართულზე ავიდნენ და ნომერში შევიდნენ. ოთახი სავსე იყო რუსეთში უახლოეს

წლებში გამოცემული წიგნებითა და ჟურნალებით, ახალი წიგნები გორად ეყყო მაგიდაზე. კორნელი მაშინვე მივარდა წიგნებს და მათი ფურცელი და გადათვალა იერება დაიწყო... ვანომ ხელბირი დაიბანა, ნომერში შემოვიდა და, დალილი-დაქანცული, რბილ და გრძელ დივანზე წამოწვა. ფანჯრები ღია იყო და თბილი ნიავი ფარდებს არწყევდა... ვანომ ისევ გაუმეორა კითხვა კორნელის:

— რა მდგომარეობაშია „შამქორზე“ შენი მუშაობა?

— აკი გითხარი, ცუდ განწყობილებაზე ვიყავი-მეთქი. ერთ ადგილას ვდგავარ წინ ვერ მივდივარ...

— ერთ ადგილას თუ გაჩერდი, ყველას ჩამორჩები და ყველა გაგასწრებს. რა დროს ერთ ადგილას დგომია, როცა ცხოვრება ასეთი სიჩქარით წინ გარბის? ჩვენ ახლა ათი წლის სამუშაო ერთ წელში უნდა გაგაკეთოთ. არა მგონია, შენზე ნაკლებ ვგლოვობდე მიტოს. ჩვენს დაღუპულ ამხანაგებს... მაგრამ გლოვა, ფრთების დაშვება და ფარ-ხმალის დაყრა ჩვენ არ შეგვეშვინის... განწყობილებო? განწყობილება მუშაობისა და საქმიანობის პროცესში მოდის. პირადი ჩვენი განწყობილება, საქმე და ინტერესები უკანა პლანზე უნდა დაეყენოთ.

ახლა ვანო უკვე ფეხზე იდგა... იგი ფანჯარასთან მივიდა, ფარდა ასწია და ქალაქში გაიხედა. ფანჯარა ქუჩაში იხედებოდა. წინ მეფისნაცვლის ყოფილი სასახლე და მეფის რუსეთის მიერ გა-

შენებული დიდი სამხედრო ტაძარი ჩანდა...

— აი, — დაიწყო ვანომ, — ხომ ხედავ ყაზარმისმაგვარ იმ სასახლეს და უგემურად გაშენებულ ამ ვეება ტაძარს, ფეოდალური, ბურჟუაზიული კულტურის ნაშთებს?! მტარვალები მშრომელთა ზურგზე აღებულ ფულს, მშრომელთა ოფლს და ჯაფას არ ზოგაფდნენ თავისი სასახლეების აგებისათვის. ზალხის მოსატყუებლად, მისი გონებისა და ნების მისაძინებლად აღმართულ ტაძრებისათვის. ჩვენ მათ ნაცვლად მეცნიერებისა და კულტურის დიდებული, მაღალი, მარმარილოს და ძვირფასი ქვით ნაგები სასახლეები უნდა აღეშარათო, რამდენი რამ არის კიდევ დასანგრევი და ახლად ასაშენებელი! მენშევიკები ხომ არა ვართ, ერთ ადგილას ვიდგეთ, ერთ ადგილს ვტკეპნიდეთ და ზალხს წარსულის ქაობისაკენ და სილატაკისაკენ ვეზიდებოდეთ... — კიდევ დიდხანს ილაპარაკა ვანომ და მერმე ისევ კორნელის სიტყვები აითვალისწუნა: — ერთ ადგილას ვდგავარ, წინ ვერ მივდივარო! განა ამას უნდა ამბობდეს შენისთანა ახალგაზრდა და ნიჭიერი კაცი? ერთ ადგილას დგომა რა კაცობაა? საქმეც ის არის, მომავლისაკენ ჩქარი ნაბიჯით მიდიოდე და სხვებიც თან გაიყოლიო...

მერმე საქართველოს, საბჭოთა რუსეთისა და საერთაშორისო საკითხებზე ჩამოვიარდა საუბარი... წასვლის წინ ვანომ კორნელის უთხრა:

— ამ ზაფხულს კარისმერეთში ხომ არ გავმგზავრები? კარგია, თუ წახვალ დარსვენებ და „შამქორზე“ იმუშავებ. ჩემთან წერილობით კავშირი იქონიე. მომავალ წოდრებში შამქორი უთუოდ უნდა დავებულო... მართლა კარისმერეთის ამბები თუ იცი?

— ვიცი, კანტი კენტად. გალაქტიონ გელაშვილი კარისმერეთის აღმასკომის თავმჯდომარე ყოფილა.

— სხვა არაფერი?

— მაინც რა?

— ის რომ, კარისმერეთის აგებული გლეხების მწამებელი დეკლავით დათა ყიფიანი სარკოიას გლეხებს დაუპატიმრებიათ და იმავე მუხაზე ჩამოუკიდებიათ, რომელზედაც გალაქტიონის მამა გოჯასპირი აწამებინა გვარდიელებს დათა ყიფიანმა...

— მათი მარჯვენა იკურთხოს, — შესძახა კორნელი.

## 2

ივლისის პირველ რიცხვებში კორნელი კარისმერეთში გამგზავრების ნაცვლად პარიზიდან დაბრუნებულ თავის ძმას — ევგენის რუსეთში გაყვა. ევგენი მოსკოვში ქირურგთა ყრილობაზე მიდიოდა. მან მოხუცი იონა ჩხეიძე თან წაიყვანა. ამაზე დიდ ბედნიერებას ვერაფერ მიაჩნებდა კულტურულ ცენტრებს მოწყვეტილ და პროვინციაში დიდხანს ჩაკეტილ მოხუცს. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ის ევგენისთან და კორნელისთან ერთად თბილისიდან მოსკოვში მიმავალ მატარებლის ვაგონში მოეწყო.

მოსკოვსა და ლენინგრადში ევგენი, კორნელი და იონა თითქმის ორი თვე ცხოვრობდნენ. თითქმის ოცდაათი წელი იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც იონას მოსკოვი და ლენინგრადი არ ენახა.

ლენინგრადმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა კორნელზე. იგი განცვიფრებული იყო ამ ქალაქის სიმდიდრით, სასახლეებით, ერმიტაჟით, მუზეუმებით, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლებით. მან პეტერგოფი, კრონშტადტი და სხვა ადგილები მოიარა... გამომშვიდობების ეამს ისაკის ტაძრის გუმბათიდან კიდევ ერთხელ დახედა ლენინგრადს. იგი იონას ეუბნებოდა:

— არსად ისეთი ძალით და თვალსაჩინოდ არ ცნაურდება რუსეთის უკანასკნელი საუკუნეების ისტორია, რო-

გორც ლენინგრადში, ჩრდილოეთის დამამშვენებელ ამ „პალმირაში“.

კორნელისა და იონას თვალებს უამრავი ქარხნებით, მრავალსართულიანი ნაგებობებით შეკრული ბუმბერაზი ქალაქის სანახაობა გადაეშალა. — ქაღრაკის დაფასავით სწორკუთხონი კვარტალები, სწორი და მწყობრი ქუჩები, გვემიანი არხები, წარმტაცი ხიდები და მარმალის სვეტებით დამშვენებული სასახლეები, მართლაც მატანაზე უფრო მეტის მოქმედია. იონამ პუშკინის ლექსი მოაგონა კორნელის:

„Люблю тебя, Петра творенье;  
Люблю твой строгий, стройный вид,  
Невы державное течение,  
Береговой ей гранит“.

— ეს ბუმბერაზი ქალაქი, რომელიც მშრომელთა ძელებზე გაშენდა, თავისი სიმდიდრით და მშვენიერებით დღეს მშრომელ ხალხს დაუბრუნდა და ხალხმა თავისი ბელადის სახელი შეარქვა მას: „ლენინგრადი,“ — თქვა კორნელი.

შორს, ცის დასავალთან ბალტიის ზღვის უბე მოჩანდა, იქ სადაც ნევა ზღვას უერთდება. ჩამავალი მზის სხივები ტალღებს ცეცხლს უკიდებდნენ, თითქოს ხანძარიყო.

— აგერ, ბალტიის ნავსადგური, — თითოთ უჩვენებდა იონას კორნელი, — კრონშტადტი, ციხე-კუნძული, სადაც საბჭოთა ქვეყნის სადარაჯოზე მდგარი, ზარბაზნებით დახუნზლული, გოლიათი ჯავშნოსნები ტორტმანებენ. ზღვის ამ ნაპირიდან საეპრო გემები შორეულ ქვეყნების ნავსადგურისაკენ მიეშურებიან. პუშკინი ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე აგონდება კაცს ლენინგრადში და მეც მისი სტრიქონები უნდა მოვიგონო:

«... Корабли  
Толпой со всех концов земли  
К богатым  
Присталям стремятся“...

იონა ღიმილით უგდებდა ყურს კორნელის, კორნელი კი განხეჭქობდა:

— აქედან მსოფლიოს <sup>სხვა</sup> სწავლენი ფართობები იშლებიან, რომლისაკენ საველი გზა გაუხსნა პეტრე დიდმა რუსეთს. არ არსებობს ქვეყნად ისეთი ძალა, რომელმაც შესძლოს დაუხშოს რუსეთს ეს გზა. ეს იმიტომ რომ ამ ქალაქის და მთელი რუსეთის ბედი, მისი აწყყო და მომავალი, არა მეფეების, არამედ რუსეთის მშრომელი ხალხის ხელშია, იმ ხალხის ხელში, რომელმაც ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით და მეთაურობით თვითმპყრობელობა და კამიტალიზმი დაამხო. თერთგვარდევლებსა და ინტერვენტების ჯარებით შევიწროვებულმა პეტროგრადმა, წარსულში ღირსეულად დააღწია თავი მძიმე განსაცდელს. იმ დროს როდესაც რევოლუციის მტრები 1919 წლის ივლისში წითელ პიტერს უახლოვდებოდნენ და უკვე ხელთ იგდეს კრასნაია გორკა, საბჭოთა რუსეთისათვის ამ მძიმე დროს, სტალინმა შესძლო წითელი არმიის რიგების შემკიდროება. სტალინი ბრძოლის ცეცხლში, პირადი მხაგალითით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს, და მტერი დამარცხებულ იქნა...

კორნელიმ ლენინგრადსა და მოსკოვში საკუთარი თვალთ ნახა ახალი სოციალისტური სამყაროს მშენებლობა და ახალი წარმტაცი აღამიანები, ახალგაზრდა მეცნიერები და მუშები, პროლეტარული ინტელიგენცია, რომელიც ძველსა სცვლიდა და ჰეშმარიტად უკლასო საზოგადოებას აშენებდა. მაგრამ ყველაზე უფრო იგი მაინც ტიპირიაზევის სახელობის ზოოტექნიკურმა და ბოტანიკურმა სადგურებმა და იქ ლაბორატორიებში მომუშავე საბჭოთა ნორჩმა ნატურალისტებმა განაცვიფრეს... სწორედ აქ იგრძნო კორნელიმ ყველაზე ხელშესახებად ის დიდი გარდატეხა და ახლის შექმნა, რაც საბჭო-



თა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მომხდარიყო.

მოსკოვის ახლოს, სოფელში, ბოტანიკური სადგურის ბალ-ბოსტანში საცდელ ფართობებში ნორჩ ნატურალისტებთან სეირნობასა და საუბრის დროს კორნელის თავისი ნორჩი მეგობარი აგოია მოაგონდა, რომელიც ახლა თბილისის მუშთაქში სწავლობდა... ლენინგრადსა და მოსკოვში იგი ხარბად ეცნობოდა ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებს, მუზეუმებს, მეცნიერულ დაწესებულებებს... კორნელიმ ლენინის მავზოლეი იჩაჩულა. ეს დღე დაუეიწყარი დარჩა მთელ მის ცხოვრებაში. იგი ბელადის სახეს დააქჷრდა და გაიფიქრა: „დადუმებულა სიბრძნის მეტყველი ბაგე, რომელიც მილიონობით მუშებს ბრძოლისათვის რაზმადედა. დახუჭულა შორსმჭვრეტელი თვალეზი, რომელთა ზედვა ცასა და მიწას წვდებოდა. სდუმს დიდი ბელადის უმოძრაო სხეული, რომელშიც დიდი სული და ზვიადი ნებისყოფა იყო ზოთა-სებული. ომით დაღლილი, მშვიერმწყურ-

ვალი და გატანჯული მშრომელი ხალხი თავის მხსნელს მოელოდა... და ეს მოვიდა და მოუტანა მშრომელი ხალხს ჭეშმარიტი ერთობა, ძმობა და სიყვარული... მის დამახილზე ხალხმა იარაღი აისხა, ძველი დაამხო, ახლის გამოკედვა დაიწყო... ბოლოს ლენინმა თავის მეგვიედრედ სტალინი დატოვა, მასთან შეზრდილი, სისხლთაგანი, მისებრ ბრძენი და უბრალო. დარჩა სტალინი, როგორც უმტკიცესი აღთქმა და ფიცი“.

მოსკოვში კორნელი თავის ძმასთან — ევგენისთან ერთად ყირიმის ზიდის ახლოს. მდინარის პირას, მეცნიერთა სახლში ცხოვრობდა... აქ ეცნობოდა იგი საბჭოთა ჭევენის მოწინავე ადამიანებს. მეცნიერთა სახლში გამეფებულ სრულ სიწყნარეში და სიჩუმეში დაწერა მან აგრეთვე თავისი ახალი მოთხრობის „შამქორის“ პირველი თავები, რომლებიც მერმე ვანო ნახათაძემ ეურნალში დაუბეჭდა...

საბჭოთა რუსეთიდან კორნელი საქართველოში ერთი ათად გაზრდილი დაბრუნდა.

რ. მ. ანის დ. ს. ხ. რ. უ. ლ.

## ლენინის ქალი



მოსკოვში, სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საჩუქართა გამოფენაზე, წარმოდგენილია ლენინის ქუდი, რომელიც ფრანგებმა გამოუგზავნეს საჩუქრად დიდ ბელადს.

აქ დიდხანს ვჩერდები. ამ ძვირფას საჩუქარს მტრისაგან ფარავდა მზრუნველი ხელი. ირხვევა სარკმელთან ღამაში არყის ხე, არყის ხე, ასე რომ უყვარდა ლენინს...

სარკმლიდან მოსკოვის ცა მოსჩანს უსაზღვრო. მოსკოვის უსაზღვრო ცა, ლილისფერი. მე ვფიქრობ ლენინზე და, ასე მგონია, ხალხმრავალ დარბაზში მე ვუესმენ ლენინს.

მორიგი საკითხი — მიწა და მშვიდობა. ომებით დაღლილი ხალხების ბედი. და ისმის დარბაზში: ჩვენ შენთან წამოვალთ, მშვიდობას დაგიცავთ საკუთარ მკერდით!

ყრილობამ დღეს ნახა ლენინი პირველად, ლენინი — აი, ის იმედის შუქი... ლენინის ყველაფრისმხედველი თვალები, ლენინის მაღალი, ნათელი შუბლი...

გაქედით დარბაზში ხანგრძლივი ტაშია. დახილი: „აი, ვინ, ვინ არის ჩვენი.“ მე ვფიქრობ ლენინზე და ასე მგონია. მე ჰკვიან თვალებში ვუცქერი ლენინს.

ამ ძვირფას საჩუქარს ფრანგები გზავნიან, ეს ქუდი ეხურა ვლადიმერ ლენინს... მე მესმის პარიზის ქუჩების ხმაური, მე მესმის ჩურჩული ნადვლიან სენის...

და აი, პარიზის მუშათა უბანი, ქოხების შავი და დაბალი ჰერი და... უმუშევართა ბრბო... მთელი არმია... ცა უღიმღამო და ტყვიისფერი...

ლენინის ქუდი... მას ჰერდაბალ ქოხებში  
 მტრისაგან ფარავდა მზრუნველი ხელი.  
 აქ, ასეთ ქოხებში, დღეს ფრანგი დოკერი  
 რა ფრთხილად ფურცლავს და კითხულობს ლენინს



ის მუხლს არ მოიყრის დოლარის წინაშე,  
 არასდროს მორჩილი და თავდახრილი...  
 ფრანგები იბრძვიან მშვიდობის მხარეზე,  
 ამაყი ქვეყანა რუქე დე ლილის.

გაყინულ მინაზე მზის სხივი ციალებს...  
 ქართან რომ ჩურჩულებს არყისხის რტოა...  
 მოსკოვში მშვიდობა, მოსკოვში მზე არი,  
 კრემლიდან სტალინის ღიმილს რომ მოაქვს.

სარკმლიდან მოსკოვის ცა მოჩანს უსაზღვრო.  
 მოსკოვის უსაზღვრო ცა, ლილისფერი.  
 ირზევა სარკმელთან ლამაზი არყის ხე,  
 არყის ხე, ასე რომ უყვარდა ლენინს.



## ვახის ყვავილობა

რომანი \*



### პითაგორას თეორემა

ვახტანგ კორინთელი დილადრიან აივანზე გამოსულიყო. თვალნათლივ ხედავდა გაზაფხულის პირისჩენას ატმებისა და ვაშლების კვირტებზე. ფითრმორეულ მსხალზე შოშიები შემომსხდარიყვნენ, გიშრის კრიალოსნებს დაეხუნძლათ შტოები. კორინთელი ყურს ღვლებდა მათ ერთობლივ ფლურტულს.

ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა მაცუჭერალს, თითქოს საქმიან საუბარს ეწევიან ისინიო. ერთმანეთის გასწვრივ დამსხდარნი შეფლურტულდნენ ურთიერთს, თითქოს ახალი ცხოვრების გამო თათბირობდნენო.

ზოგნი დანდობილად აიჭრებოდნენ ჰაერში, კამარას გაჰკრავდნენ, ისევ მობრუნდებოდნენ უკან და ჟივოდნენ: ჩვენც მოვედით, ჩვენც აქა ვართო.

და უხაროდათ, უხაროდათ, რომ მათ საფირონის ცა დაუხვდათ, აყვავებული ტყემლები და ნუშები, ალუბლის კარვები, გაზაფხულის მიერ ალაზნის ველზე დადგმული.

მაია მოფაცურდა.

დიასახლისი საუზმეზე გთხოვსო.

კორინთელი განაგრძობდა შოშიების კურეტას, უსმენდა მათ გახარებულ კრიაშულს, აცქერდებოდა მათ ყორნის ბოლოსებრ ელვარე ნაკრტენს, წერტილებით დაწინწკლულს. მის ფერხითი დაცუჭულიყო შავი, კულმოკვე-

თილი დობერმან-პინჩერი. რიკულების მუქუტანიდან გასცქეროდა ძალი ბალში მოჩალიჩე ხბორებს.

ეზოდან მანქანის სიგნალი მოისმა. აყეფდა ძალი, კიბის თავისკენ ყურებდაცქვეტილი გაემართა.

ბატონკაცურ, გრძელსა და განიერ კიბეზე ამოდიოდა კოლმეურნეობის ბრიგადირი გოდერძი ელანიძე.

კორინთელს შეეშინდა, სტუმარს არ ეცესო მყეფარი, ამიტომაც უკან გასდია მას.

„ახილ, დაწეკ“. — უბრძანა ძალღს.

კოდევ ერთხელ შეჰყეფა ახილმა და, რა შემოესმა პატრონის ბრძანება, ანაზღად დაწეა აგურის კიბის თავზე, წინა თათები წინ გაიშვირა და თავისი გვეიანი თავი ზედ დასდო.

გაუნძრევლად იწვა იგი ასე და კიბეზე ამოშავალ სტუმარს, მომწუსხველი თვალებით მიშტერებოდა.

გოდერძი ნელ-ნელა ამოდიოდა საფეხურებზე და გაოცებული შესცქეროდა ამ ძალღის ჰვეიან თავს, სელაპის ტყავივით ელვარე ბეწვს. როგორც თვალის უბეებსა და ყვრიმალის არეში, ისე წინა თათებზედაც ყავისფერი წინწკლები ჰქონდა შეფრქვეული გაუნძრევლად იწვა იგი როგორც შავი ბაზალტის ქანდაკება, კიბის თავის მოსართავად დადგმული.

გოდერძი მრავალგზის დაკბენილი იყო სოფლის მყეფარებისაგან, ამ უც-

\* ვაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 12, 1951 წ.

ნაური ძაღლის დანახვამ უფრო მეტად შეაერთო იგი, მაგრამ მოერიდა შიშის გამჟღავნებას, სულმოუთქმელად ამოიარა კიბეზე, და არც კი იცოდა, რა მოემოქმედა, თუ ეს ძაღლი ბარკლებში ეცემოდა მას.

კორინთელმა შენიშნა ყოველივე ეს, კიდევ ერთხელ შერისხა ახლი და სამიოდე საფეხური ძირს ჩავიდა შემჯრთალი სტუმრის გასამხნეველად.

გოდერძი თავაზიანად მიესალმა პროფესორს და მოახსენა: „რაციონის მდივანმა გთხოვათ, თუ ჯანმრთელობა ხელს ვიწყობთ, ეგების ნაკვეთზე მობრძანდეთ“.

„კარგია, რომ მოხვედი, ჩემო გოდერძი, ისედაც ვაპირებდი წამოსვლას, სადა ბრძანდება ამხანაგი ციხისთავი ახლა?“

„ბატარა თათბირი აქვს კოლმეურნეობის კანტორაში, ასე რომ შეგიძლიათ, თუნდაც ერთი საათის შემდეგ წამობრძანდეთ, მე ახლა წავალ და, თუ გნებავთ, დანიშნულ დროზე გეახლებით“.

„დამიცადე, ჩემო გოდერძი, მცირე ხანს. მე გადავიცვამ და, მოდი, წავისაუზნოთ ერთად“.

„გმადლობთ, ნასაუზმევი გახლავართ, ამხანაგო პროფესორო“.

კორინთელმა მკლავში ხელი წაავლო ყმაწვილს და დარბაზისკენ წაიყვანა.

ახილ წინ გაუძღვა სტუმარსა და მასპინძელს.

ტალანში უაპრავი ჩემოდნები ელაგა ურთიერთზე ზედახორად დაყრილი. გოდერძის ყურადღება მიიქცია პრილა ტყავის ჩემოდნებმა, მათზე მიკრულმა სასტუმროების ფერად-ფერადმა ეტიკეტებმა და უცხოური საბაჟოების დამღებმა.

ახლადმოსულს ტყავისა და პარაფინის სუნი ეცა.

გოდერძის ბევრი რამ ჰქონდა განაგონი ვაჩანძიანთ მედიკოს სილაძის შესახებ, თვალი შეავლო შავ კაბაში გამოწყობილ ფერმკრთალ ქალს, რო-

მელსაც ოდნავ შესამჩნევი კაბარა ჰქონდა თმაში გარეული, ხოლო თვალის უბეების გარშემო უმცნრესმა ნახტები ემჩნეოდა.

მედიკოს თავაზიანად შეეგება სტუმარს, თავისი გრძელი, თეთრი ხელი გამოუწოდა მას. პარფემის გამაბრუნებელი სურნელება შეიგრძნო ყმაწვილმა, მორცხვობისაგან ნაბიჯი აერიო გოდერძის და ვრცელი მაგიდის წინ მღვარ სკამის ზურგს მოსკიდა ხელი.

გოდერძიმ თვალი მოავლო გენერალ ვაჩანძისეულ ზალას. დარბაზის შუა გულში, სპილოსფეხებიანი კაკლის მაგიდა იდგა, მაღალ ზურგიანი სკამებით გარსშემოწყობილი. ძველებური, სპილენძის კანდელაბრიანი ლუსტრა ეკიდა ზედ, ბუხების სკორით საკმაოდ შელანძღული. ერთ კუთხეში დამტკრეული ფიზარმონია იდგა, მეორეში ფერადი ფაიფურის თეფშებით დატვირთული მარმალლოს ზედადგარიანი სერვანტი.

კედლებზე აღარა ჩანდნენ მეფის არმიის წვეროსანი გენერლები, მხოლოდ გრიგოლ ორბელიანი და ალექსანდრე ჭავჭავაძე თავიანთი ეპოლეტებითა და მედლებითურთ შერჩენოდნენ კედლებს.

მელანქოლიური კედლის საათი კუთხეში იდგა. გრძელი წოწოლა პენდელი რიტმულად ქანაობდა დამტკრეული შუშის ქვეშ. ერთ-ერთი კედლის ნახევარი • ძველმოდურ ფორტეპიანოსქ დაეკავებინა, ხოლო მეორე — ბუფეტის კარადას, რომელიც ბალდახინს უფრო წააგავდა, ვიდრე ბუფეტს. იქვე ეკიდნენ გენერლისეული ჯიხვის ყანწები, ხოლო მათ ქვემოთ ნაირნაირი ჰინჭილები და აზარფეშები. ძველებურ ტახტების თავებზე თეჭური ნოხები ეკიდა. შავი ბაზალტის უზარმაზარი ბუხარიც არ გამოცვლილიყო, — ამ გარემოში იგი ისე მოჩანდა, როგორც გადასული დროის სამთქნარებლად დაფენილი ხახა.

ამ დარბაზში მხოლოდ ის იყო ახალი, რომ მის კედლებზე მოჩანდა ლენინის, სტალინის და ბერიას ფოტო-პორტრეტები.

მედემ ღიმილით უთხრა სტუმარს:

„მას წინათ ვახტანგი მიაპბობდა შენს შესახებ, რევოლუერის ერთი გასროლით ცხვარიჭამია ორბი მოჰკლავო. პაპა თქვენი როგორაა, პა? მამას ძალიან უყვარდა მიქელა. ბედშავს თვალის სინათლე ხომ არ დაუბრუნდა!“

„არაო“, — მიუგო გოდერძიმ და სკამის კედლებზე ჩამოჯდა.

ვახტანგ კორინთელი ხედავდა: ერთობ მორცხვობდა ყმაწვილი, ჭამა არ ინდობა. ლენინს — ჭიქა ხელში აიღო, გაგიმარჯვოთო, წაიდუღუნა, ტუჩი მიაკარა ჭიქას და ისევე დადგა სუფრაზე, წამოდგომას ლამობდა და ველარ გადაეწყვიტა.

კორინთელს უნდოდა, როგორმე უხერხულობიდან გამოეყვანა სტუმარი. ამიტომაც უთხრა:

„შენს მოსვლამდის შოშიებს ვაქვირდებოდი, ყურს ვუგდებდი საამურ ფლურტულს. მათაც თათბირი ჰქონდათ თავიანთი საარსებო ამბების გამო. ნამდვილად, ნამდვილად, გოდერძიმ.“

მედემას გაეცინა, ვახტანგმა კი განაგრძო:

„მერწმუნეთ, მათ ისევე კარგად ესმის ურთიერთისა, როგორც ჩვენ. ბუნებას ყველაფერი უდიდესი მიზანშეწონილობით აქვს გაზომილი, ყოველი უმცირესი ბგერაც. ადამიანური მეტყველებაც ხომ ბგერებისა და ასოების საშუალებით მცლავნდება!“

გოდერძიმს უყვარდა პროფესორის ნაუბარისთვის ყურისგდება, სკამი მაგიდისაკენ მისწია და ორივე იდაყვით სუფრაზე დაეყრდნო.

„ამ შოშიებმა ერთი ამბავი გამახსენეს“, — სთქვა კორინთელმა. ერთხელ ტყის ქათმებზე ვნადირობდი ალაზნის გამოღმა. დეკაში გავლილს უცნაური წივილი შემომესმა. დაიწვილებდა რა-

დაცა, კვლავ გაინაბებოდა, ისევე დაიწვილებდა, დადუმდებოდა. მიეყევი ამ ხმას. დიდხანს ვიბორინდებდი და მხოლოდ მართვეს, ნახევრად მშრულად და უბუშბუშლოს, მიწაზე მჯდომარეს თავზე წაავადექი. შორიახლოდან მიშველ მიწაზე ამოსულ რომელიღაც ჭრულ-ჭრულა ყვავილსა ჰგავდა იგი.

თავისერი ჯერაც მოტყუებელი ჰქონდა, მხოლოდ მხრებზე ესხა მცირეოდენი ნაკრტენი. მშვიდად იჯდა და წივოდა. ეს ხმა არც დაშინებულის ძახილს მიაგავდა, არც მოშინებულის, ან მწყურვალის ჩივილს. ისე აუღელვებლად, მონოტონურად წივოდა, აშკარა იყო, ხმას აძლევდა ვილაცას, — აქა ვარო, ამშვიდებდა. შემომხედა თავისი ფეტვისფერი თვალებით, თითქოს მეკითხებოდა: ვინა ხარო?

მე არც ისე დიდი მონადირე ვარ, მაგრამ ბევრი მინადირებია, მიუხედავად ამისა, ერთი ცოლდა მაინც არ მიმიძღვის: არასოდეს მიხლია ხელი ფრინველთა მართვეებისთვის, თვით მგლის ბოკვერებისა და დათვის ბელებებისთვის. რაც შეეხება მელიას, მით უმეტეს, მელის ლეკვებს, არასოდეს ვბოცავდი, რადგან მელა არც ისე მავნებელია, როგორც ბევრსა ჰგონია, პირიქით, მელა დიდი მოამაგეა ჩვენი ყანებისა, იგი მუსრს ავლებს მინდვრის ვირთხებს. არც იმ როჭოს ბარტყის შეპყრობა განმიზრახავს იმ დღეს, ამჯერად მხოლოდ ეს მინდოდა გამეგო, თუ როგორი რეფლექსი ექნებოდა, ესე იგი, რას მოიმოქმედებდა, თუ კი ხელს ვახლებდი?“

მაიამ ახალი კერძი მიართვა სტუმარს, შეჭამეო შვილო, წასაჩუქრულა, გოდერძიმ ხმადაბლა მიუგო, ნასაუზმევი ვარო.

„ჩოქვით მივედი ახლოს, სულ ახლოს, — განაგრძო კორინთელმა, — შევცქეროდით ორივენი ერთმანეთს. ისე მშვიდად, აუღმღრველად მიყურებდა როჭოს მართვე, ჩანდა, მას ჯერ არა-

ფერი ჰქონდა განაგონი ადამიანის გულ-  
ბოროტობის შესახებ. კიდევ წავიწიე  
მისკენ, არ განძრეულა ბარტყი.

უნაკრტენობისა და სიტყვების მიუ-  
ხედავად, ისეთი მშვენიერი იყო ეს პა-  
ტარა, უსუსური არსება, რომ ანაზღად  
მოამინდა, მისი მოფერება ნაზად, ნაზად  
გადავუსვი მოტველილ თავზე ხელი.  
ისევ შემომხედა და განზე მიიდრია  
თავი, როცა კისერი გამართა, ოდნავ ზე-  
წამოიწია და დამაკვირდა.

ასე ვისხედით ორივენი დეკაში მშვი-  
დობიანად, თითქოს კაცსა და ტყუილს  
შორის ოდითგანვე არსებული მტრო-  
ბა აღკვეთილყო. ხელახლა მოვეფერე  
და, როგორც კი ხელში აყვანა დაეუბ-  
რე, ისეთი ამაზრზენი წივილი ამოუშ-  
ვა ამ საბრალომ, როგორც ბავშვს აღ-  
მონდება ზოლმე გველის დანახვაზე.

მე სახტად დავრჩი და ოდნავ უკან  
დავიხიე.

ახლა მინდოდა გამეგო, ხელში აყვა-  
ნის ცდას ისევე თუ მიეჩვეოდა, რო-  
გორც წელან თავზე მოფერებას. ისევ  
მივედი, ჯერ ხელი გადავუსვი თავზე,  
მერმე ფრთხილად ხელი წაეჭლე მხრე-  
ბის არეში და მიწიდან მოცილება და-  
ეუბირე თუ არა, მან ხელახლა დაიწიე-  
ლა, ახლა უფრო გამძაფრებულად და  
ამ სასოწარკვეთილ ძახილზე დედა რო-  
კო მოვარდა.

უცნაური შხელით გააბო მან ჰაერი  
და ისეთი ყოფით შემოიჭრა დეკაში,  
ასე მეგონა თავს არწივი დამესხა-  
მეთქი.

წამსვე გავეცალე ორთავეს, დედობ-  
რივი გრძნობის წინაშე თავმოდრეკილი  
და შორიახლოს გავინაბე ევერში. სმე-  
ნადქცეული ვიჯექი მიწაზე. მათი საუ-  
ბარი ამჟამად შესმოდა: დედა-როკო  
ამშიდებდა თავის პატარას: ნუ გეში-  
ნია, აწ აღარ მოვაო ის ავი კაცი!

ყვავი რომ ყვავია, მისი ძახილიც  
პრავლისმეტყველია და გასაგები. აღ-  
ბათ შენც არა ერთხელ გინახავს აღი-  
ზანზე: ვერხვზე ზის მარტოხელა ყვავი,

ქარი აფორიაქებს შტოს, ქანაობს ზედ-  
მჯდარი და მის ხმაში ცნაურდება ვედ-  
რება საზამთროდ მოლუშქლი ბუნების  
წინაშე: დედა-ბუნებავე მიშვილით ნუ  
მომკლავო!

ქართულ ენას მრავალთა შორის ერ-  
თი გენიალური სიტყვა აქვს: „პირ-  
უტყვი“. ამ სიტყვის ბადალი არც ერთ  
ჩემთვის ცნობილ ენას არ მოეპოვება.  
როგორი თავაზიანობაა არამეტყველ  
ცხოველთა მიმართ! აქ სიმუნჯე კი არ  
არის ნაგულისხმევი, არამედ უსიტყვო  
პირი.

ამ ჩემს ძაღლს, ახილს რომ უყუ-  
რებ, ისეთი გონიერია, ხანდახან ასე  
მგონია, სადაცაა ენას აიდგამს-მეთქი.  
როცა იგი ჩემთანაა, მარტობას არა  
ეგრძნობ. ხანდახან ვესაუბრები კიდე-  
ვაც.

გოდერძიმ შეხედა პატრონის მუხ-  
ლებთან დაეუტყულ ახილს და სთქვა:

— ჯერ ასეთი ძაღლი არ მინახავს.

— ახილი პარიზის პრეფექტმა აჩუ-  
ქა მამიდაჩემს ეფემიას, — შენიშნა მე-  
დეამ. ოქროს სამი დიდი მედალი აქვს  
მიღებული მას, მისი, წინაპრებიც მე-  
დალოსნებია.

„რა ჯიშისაა?“ იკითხა გოდერძიმ.  
„ინგლისურისა, — მიუგო ისევ მე-  
დეამ, — ლორდ დობერმან პინჩერის  
მიერ გამოყვანილი. ინგლისელ ლორ-  
დებს სხვა საქმეები არ აწუხებთ მაინც-  
დამაინც, ზოგი წმინდა სისხლიანი ცხე-  
ნების მოშენებითაა გართული, ზოგსაც  
ძაღლების ნაირნაირი ჯიშები გამო-  
ჰყავს“.

„ხომ არ ნადირობს?“ — შეეკითხა  
გოდერძი.

„არა, ეს პოლიციის ძაღლია, მძებ-  
რი. მას თავის დროზე მრავალი დიდი  
დამნაშავე ჰყავს აღმოჩენილი. შარშან,  
პარიზში ბანდიტებმა მოჰკლეს ცნობი-  
ლი ქიმიკოსი პროფესორი შერპანტიე,  
გაძარცვეს და ვანაში ჩამალეს დაკუ-  
წული ცხედარი. პროფესორი მარტო-  
ხელა კაცი იყო, დილით ადრე მოსულ-

მა მერძვეემ აცნობა ეს ამბავი პოლიციას. შერპანტიეს ერთი ელზასელი მსახური ჰყავდა, აღარც იგი ჩანდა. მოიყვანეს ახილი, ამ ელზასელის შარვალი დააყნოსივნეს, მერძე ირბინა და ისუნსულა ახილმა, ქალაქგარეთ ერთ ძველ გარაჟში მიაგნო ბანდიტების ბუნაგს. ელზასელთან ერთად სხვა მკვლელებიც შეიპყრეს. ცნობილია, რომ ბურჟუაზიულ პრესას სენსაციები უყვარს. ასე რომ ჩვენს ახილს წარამარა ხატავდნენ გაზეთებსა და ჟურნალებში.

გოდერძიმ კვლავ შეხედა ახლოს, რომელიც თვალს არ აშორებდა სტუმარს. შენიშნა: ძალღს გველისებური თვალეები ჰქონდა, შავი, ციმციმა და ცივი, ხოლო ხელიკისებრ წამახული დრუნჩი, მის ვერაგობას ამქლავებდა.

„ერთობ ბოროტი გამომეტყველება აქვს ახილს“, — დაასკვნა სტუმარმა.

„ინგლისელ პოლიტიკოსსავეთ ვერაგია და დაუნდობელი, ჩვენი ახილი“, — თქვა მედეამ.

„მე ასე მგონია, — განაგრძო კორინთელმა, — ჩვენ სათანადოდ არ ვუკვირდებით ბუნებას. არა მარტო ჩვენთვის შორეულ მოვლენებს, არამედ ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში მომხდარ ამბებშიაც მრავალი საკვირველებაა: თუნდაც მამლის ყივილი რომ ავილოთ, უცნაურია, როგორ გრძნობს ეგ არც ისე ჰკვიანად ცნობილი ფრინველი დღე-ღამის მოქცევას, ან ცხვარი, ეს საკმაოდ გონებაჩლუნგი პირუტყვი აედრის მოახლოებას?

განა საოცარი არაა ისიც, რომ მზე-სუშირა მზეს მიაქცევს ყოველთვის პირს, ხეიარები, ავრებები და პარკოსნები მარჯვნიდან მარცხნივ რომ ეხვევიან ჰიგოებს. ავი ბუნებისათვის უცნობია ჩვენ მიერ მინიშნებული მარჯვენა და მარცხენა?

ალბათ შენც ხშირად შეგინიშნავს გოდერძი: როცა სოფელში საქონელს დაჰკლავენ, მოვლენ ხარები, დაყნოსა-

ვენ იმ ადგილს, სადაც მათი თვისებების სისხლი დაუქცევიათ, და მორთავენ გულის მომწყულველ <sup>გოდერძისა და</sup> ბლავილს“.

„ამას არაერთხელ დაეკვირვებდვარ მეც“.

ჩაუერთო სიტყვა გოდერძიმ, დადუმდა და ისევ სასმენად მოემზადა.

„ხომ დიდ წარმატებას მიღწეა ჩვენს ეპოქაში კაცობრიობამ? მარტო ელექტროლიტი! რადიოს და ატომური ენერჯის გამოგონება რადა ღირს. მიუხედავად ამისა, ბუნებაში კიდევაც მრავალზე მრავალი მიუღწეველი რამ, რომელთა ამოკითხვას მილიონ წელსაც ვერ შესძლებს ადამიანი. როცა ნათელი მოეფინება ყველაფერს, მაშინ ბუნება დაემსგავსება ჩვენ მიერ მრავალჯის გადაკითხულ წიგნს“.

„ვახტანგ, შენ საუბრით გაერთვე და სტუმარი დაგაფიწყდა“ — სთქვა მედიკომ და ყმაწვილს ახალი კერძი მიაწოდა.

„ჰოი, ბოდიში, მიირთვი რამე, გოდერძი. ღვინო მაინც დალიე“, — მიმართა კორინთელმა და ჰიქა ძალით დააცლევინა.

„თქვენი საუბარი ყოველგვარ ღვინოს შირჩენია, ამხანაგო პროფესორო!“ — წაიდუღუნა გოდერძიმ მორცხვად.

„ჩემს ახალგაზრდობაში ხანგრძლივი მგზავრობისა და ნადირობის დროს მრავალი დაკვირვება მომიხდენია ცხოველებსა და ფრინველებზე. ხშირად ისეთ ამბებს წავეწყლომეივარ, რაც არც დარეინსა და არც მენდელს არ აღუნიშნავთ. კაცობაში შესული ისე გამიტაცა მცენარეთა ცხოვრებამ, ამ საქმის შესწავლას ათეული წლები შევწირე.

ერთმა ჰკვიანმა კაცმა ცხოველებსა და ფრინველებს „ჩვენი უმცროსი დეზი და ძმები“ უწოდა. მე მგონია, მცენარეები უფრო უცნაურნი და საყვა-



რელნი არიან, საყვარელნი თავიანთი უმწიობის გამო, — მათ ხომ უბრალო ძახილითაც არ შეუძლიათ გვამცნონ, როცა მათ წყურიათ, შიათ, ან ცივათ... არ გამამხილო და ერთ ამბავსაც გეტყვი, გოდერძი. მგზავრობის დროს, როცა ცუდად მოვლილ ბაღს, ვენახს ან ყანას ვხედავ, გუნება მიფუჭდება.

ხშირად გავაჩერებ ხოლმე გზის პირად მანქანას, გამოვიხიზნებ მათ პატრონს, საყვედურსაც ვაკადრებ ხოლმე.

რიგიანად ჩაცმულსა და მანქანით გზადმიმავალს რომ მხედავენ, ვინმე დიდი კაცი ვგონივართ. თავმოდრეკილად მისმენენ.

ამას წინათ ერთი მათგანი ჩამაცივდა: გინდა თუ არა მითხარი, ვინა ბრძანდებო? გეტყობა, მთავრობის კაცი ხარ, შინ შემობრძანდი, დაისვენე და ღვინო გაგვისინჯეო.

ჩვენ ყველანი მთავრობის კაცები ვართ. შენ-ის დაიხსოვებ, რაც ვითხარი, — ვუბასუხე და გავეცალე.

დიღხანს იღგა იგი გაოგნებული.

ამჯერად უბრალო, შემთხვევითი შეგონება როდი ეპარა, რომელიმე დიდმა და გავლენიანმა მწერალმა უნდა შეასმინოს ჩვენს ხალხს, რათა ცხოველებსა და მცენარეებს ისეთივე გულისყურით მოექცეთ, როგორც ადამიანებს.

თუ ძველ დროში ხარებს, ძროხებს, ზნებს, მუხებსა და ცაცხვებს ღვთაებრივობის შარავანდელით მოსაგდნენ და თაყვანსა სცემდნენ, შენც გაგიგონია, ალბათ, საქართველოს ყოველ კუთხეში იყო ხატის ტყეები, სამღვთო მუხები და სხვა, — ამას ყოველივეს, რა თქმა უნდა, ეკონომიური საფანელი ჰქონდა.

ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისათვის ასეთი რელიგიური კულტივატი ზედმეტია. უნდა ვეცადოთ, უფრო მაღალი შეგნების თვალსაზრისზე ავიყვანოთ ჩვენი ხალხის ცნობიერება...

კედლის საათმა დაიქლარუნა.

მედემ ქმარს შეახსენა: უკვე ათი საათიაო.

კორინთელი წამოდგა. მანდ იწეჭი — უბრძანა ახილს მეგე გოდერძის მიუბრუნდა *კორინთელი* — შენ მანქანაში ჩაჯექვს გოდერძის მე ჩაეიცვამ და ახლავე მოვალ.

როცა გოდერძი გაეიდა, მაიამ თქვა: „კარგი ბიჭია ელანიძიანთ გოდერძი, მაგრამ ერთი უბედობა სჭირს...“

„რა უბედობა? — იკითხა მედემ.“

„მას ნათია თარალაშვილის ქალი უყვარს, როგორც ამბობენ, გოგოც თანაუგრძობს, მაგრამ მშობლები არ ანებებენ“.

„რას უწუნებენ, ნეტავ?“ — იკითხა კორინთელმა.

„აჰ, ჩემო ბატონო, აბა მაგ ბედშავს ქალს ვინ გაატანს, შინ უსინათლო პაპა და გიგი მამიდა ჰყავს“.

„მერმე რა მოხდა?“

„ეჰ, ჩემო ბატონო, არ იცით ვანა, გივის შინ ყოლას ისა სჯობს, მიცვალებული ესვენოს სახლში“.

ამბობდა მაია.

კორინთელმა როგორც კი წასვლა დააპირა დიდხანს ემუდარა ცოლი, თბილად ჩაიციო. როგორც იქნა, დაითანხმა და პალტო შეაჩერა ხელში. კიბის თავთან კორინთელს ახილი წაებლანდა დეხებში. წკმუტუნი მორთო, მისი მოქნილი. სელაპისებრ დრეკადი ტანი ილაკებოდა.

„ახილ, შენ შინ დარჩები“ — უბრძანა პატრონმა.

აეტომანქანა ნელა მიყვებოდა ტალახიან გზას.

კორინთელი მღუმარედ აკვირდებოდა უგემურად აგებულ, ძველებურ ქონხანებს, ცუდად მოვლილ ბაღბოსტნებს, ადამიანის სამყოფლოს გასწვრივ მოწყობილ სანახევებს, ულაზათოდ შეხზობლებულ ყორეებს, წყაროსთან მოხიზნიმე გაძვალტყავებულ, უჯიშო საქონელს. ბოლოს გოდერძის მიუბრუნდა და უთხრა:

„მე შემოვლილი მაქვს ამ მხარის ათქმის ყოველი კუნძული, სამწუხაროდ, უნდა გამოგიტყდე, ჩემო გოდერძ“.

ში, ასეთი ღარიბი კოლმეურნეობა მე ჯერ არ მინახავს. ჩვენს ეპოქაში, სტალინის ეპოქაში სიღარიბეს არავითარი გამართლება არა აქვს. მხოლოდ უქნარაა ღარიბი. თქვე დალოცვილებო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რად არ უფრთხილდებით იმ დიდი კაცის სახელს, რომელიც თქვენს კოლმეურნეობას ამშვენებს.

„ბა რასა ჰგავს თუნდაც ეს: ამოდენა სოფელს ერთადერთი წყარო აქვს, რა გაჰქირდა ორიოდე ათასი მეტრი მილის ჩამოტანა. მე შენ გეტყვი და არ მოგვეცემს მთავრობა.“

„ამ საქმეს დაუყოვნებლივ უნდა გავეთება, მალე ჩვენს ინსტიტუტში ლექციებს მოვითავებ, მილებს ჩამოვიტან და მე და შენ ვავიყვანოთ წყალი“.

„ეს საშველიშვილო საქმე იქნება, ამხანაგო პროფესორო, მე და ჩემი ბრიგადა მზად დავიხედებით“.

„იცი, ჩემო გოდერძი, სამშობლოს უმცირესი კუნძულის სამსახური, ეს იგივეა, მთელს ქვეყანას შეაწიო ძალა“.

„ისაა, ამხანაგო პროფესორო, სამწუხარო, რომ თქვენ შორსა ხართ ჩვენგან, თქვენ სადა გცალიათ ჩვენთვის. მე წარმოდგენილი მაქვს, თქვენი მუშაობით ალბათ ისე დატვირთული ხართ, ათასში ერთხელ, მთავრობის მითითებით თუ გვეწვევით ხოლმე“.

„რატომ გგონია, გოდერძი, ასე შორს იყოს აქედან თბილისი, სულ სამიოდე საათის გზაა. მალე ალბათ მანქანას ვიყიდის. მე ისე მიყვარს ბერმუხა, აქ გამიტარებია ჩემი ახალგაზრდობის უბედნიერესი წუთები. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ვოცნებობდი ბერმუხაში დავსახლდებო-მეთქი.“

„ეჰ, დავიდალე, ჩემო გოდერძი, სხვის გვეყენებში ხეტიალით, სხვათა ქალაქებში ცხოვრებით, მრავალსართულიანი სახლების კიბეებმა თავი მომაბეზრეს. შენ ხომ იცი, ევროპასა და ამერიკაში რაც უფრო ღარიბია ადამიანი, მით უფრო მაღალ სართულზე უხდება მას

ცხოვრება. იმ სართულზეა გამოიწვია გულის გაფართოება.“

მთელი ჩემი ცხოვრებზე მანძილზე იმას ვოცნებობდი, ნეტავნა მსხველმი მაცხოვრა, რომელსაც სხვა სართული ზედ არ ედგას, ტრამპეების რიხინრიხინისა და ავტოების საყვირის ნაცვლად მამლის ყვილი და ძაღლის ყეფა მესმოდეს-მეთქი“.

„თუ აგრეა, მოდი, დასახლდით, ამხანაგო პროფესორო, ჩვენს ბერმუხაში—თითქმის ვედრების კილოთი უთხრა გოდერძიმ პროფესორს.“

კორინთელს მოეწონა ასეთი უშუალობა, პატარა გორაკისაკენ მიახედა, ღიმილით ჰკითხა:

— „იმ გორაკს რა ჰქვია, თუ იცი?“

— „მზიანეთი“, — მიუგო გოდერძიმ.

„ძველთა ძველი კოშკის ნანგრევი რომ მოჩანს?“

„ღიახ, მზიანეთი“.

„ჰო, მართლა მზიანეთი, თუ მოვიცალე, მანდ პატარა ქოხი უნდა დავდგა. ან არა და ფინურ სახლს ჩამოვიტან. კილების ოდენა ბაღს მოვიწყობ, ასიოდე ვაზს გავახარებ, არდადეგებზე მაინც ჩამოვალ, ხეებსა და ვაზებს მოვუვლი, ალაზნზე ცოტას წავინადირებ. მალე სიბერე მომაკითხავს ალბათ, სულ მანდ დავსახლდები, რათა მშობლიურ მიწაზე მშვიდად დაუხვდე სიკვდილს“.

მე ძველი მესხი ვარ, მაგრამ აქ დავიბადე და, ხომ იცი, „ჩიტი სადაც გაიზრდება, მისი ბაღდადიც იქ არის“.

„ეს ჩინებული აზრია, ამხანაგო პროფესორო, ჩვენი სოფლისთვის საამაყო იქნება. თქვენი აქ დაფუძნება“.

მცირე ხანს სდუმდა ორივე და ბოლოს კორინთელმა ჰკითხა.

„ნადირობა თუ გიყვარს, გოდერძი?“

„რატომაც არა, უწინ ბევრს ვნადირობდი, რაც ბრიგადირად ამირჩიეს, სანადიროდ სადღა მცალია, ჩვენი კოლმეურნეობა როგორც ხედავთ ძლიერ ჩამორჩენილია და... მაგრამ თქვენ თუ ჩემთან ნადირობას იკადრებთ, სიამოვნება“.

ნებით წამოგყვებით. კარგი აღვილებიც მაქვს მინიშნებული“.

„როგორ თუ ვიცადრებ, მე ახალგაზრდობის მეგობარი ვარ, გოდერძი“. გოდერძი მცირე ხანს სდუმდა და მერმე უთხრა პროფესორს:

„გარდა ამისა, მე შრომის სკოლაში მასწავლებს დურგლობა, ქოხის აგებაში წამოგეშველებით კიდევაც“.

„რას ამბობ, შენ როგორ გაგრჯი ასეთი რამისთვის. ცოტა მეც ვიცი ეს ხელობა“.

თვალი შეავლო კორინთელმა გოდერძის გაოცებულ სახეს.

რად დასკირვებიაო დურგლობის შესწავლა? — ახლა ეს უნდოდა გაეგო გოდერძის.

„სტუდენტობის დროს, პარიზში, სიტროენის ავტოქარხნის სადურგლო ცხში ვმუშაობდი, დურგლობა იქ ვისწავლე“.

„როგორ, ავტოქარხანაში, უბრალო მუშად?“

კორინთელს მწარედ გაეცინა:

„აბა დირექტორობას ვინ მომაშვებდა? ეჰ, ჩემო გოდერძი, მე ასეთ ბედნიერ ეპოქაში როდი მისწავლია, როცა ჩვენი მთავრობა სტიპენდიებს აძლევს ახალ თაობას, ოღონდ ისწავლოს, ათ წელზე მეტს დავხეტიალობდი სხვათა ქვეყნებში, მამა მოძიკვდა, უსახსროდ დავრჩი, ხან ცომსა ვზღლდი ფურჩეებში, ხან გაზეთის გამოშვებები ვიყავ, ღამის მორიგე, ხან ვდურგლობდი, ხან ვზეინკლობდი.“

ვინ იყო ჩვენი გამკითხავი. შიშშილი და სიღატაკე იყო ჩვენი მუდმივი სტუმარი. წელან რამდენს შემუდარა ცოლი, პალტო ჩაიცვით. პალტო ან არ გამაჩნდა, ან ზამთრობით ლომბარღში მქონდა დაგირაგებული, ამიტომაც გადავეჩიჩიე მის ტარებას“.

გოდერძიმ მალულად შეათვალიერა კორინთელის შექალაქებული საფეთქლები, მძაფრი ნაოჭები ტუჩპირისა და ყვრიშალის არეში. სიბრაალულმა შესძ-

რა ყმაწვილის გული და ვაიფიქრებ ალბათ ჭალარა მიტომაც ასე აღთე შეპარვიაო.

„როგორც ჩანს, იქ მითმე ცხოვრება გქონიათ“.

„მიტომაც შემძულდა ბურჟუაზიული დასავლეთი, ოქროს მამონის სამფლობელო, ფულისთვის გაწუწუებული ადამიანების სროვა. უკანასკნელად, როცა ჩვენმა ხელისუფლებამ ისევე გამგზავნა იქ, გამოტეხილად გითხრა, უხალისოდ მივდიოდი, მაგრამ რა მექნა, დავალუბანი უნდა შემესრულებინა.“

მე დაესწრული იმ ქვეყანაში, ახლა ჩემი ნატერა ესაა — ჩვენი ქვეყნის სილამაზით დავტკბე, ჩვენი მიწის სუნით გავძლე, ჩვენი ჩქერალების ჩხრიალი, ჩვენი ტყეების ღუმილი, ჩვენი ვენახების ბიბინი თუ მომარჩენს“.

კიდევ გაიხედა კორინთელმა მზიანეთის გორაკისაკენ, დიდხანს უთვალთვალებდა მზით გაბრწყინებულ პირამიდულად აზიდულ გორაკს და თქვა:

„მშვენიერია ეს ცხოვრება, გოდერძი, მხოლოდ მთავარი ისაა, ადამიანმა ისწავლოს, თუ როგორ იცხოვროს კარგად“.



ცხრა მუხის ზეგანზე მისულთ გული გაუნათდათ. თედო თარალაშვილი და ვახტანგ კორინთელი ახალგაზრდული ხალისით ავიდნენ დამრეცილ ბილიკებზე.

რა შედრება იმ სიხარულს, რომელსაც განიცდის კარგი მეურნე, როცა იგი სათვისად, ან სარგავად გამზადებულ, მოხნულ, მოფარცხულ, გაფხვიერებულ ნიადაგს თვალს დაადგამს.

მიწას გახსნილი აქვს ნაყოფიერი საშო, ნებიერად გალურსულა იგი, ბუნების მაცოცხლებელი დერიტა უკვე სთელემს იდუმალებით მოცულ მის წიაღში.

სულ მცირე ხანი, დაიბუღრავეს მზე მის ზედაპირზე და აღმოცენდება ხე-სასწაული, გაბა თუ ერთი, ძრავალი ათასი, კაცთა გულის გასახარებლად.

«კიდევ ერთი გენიოსური სიტყვა მოეპოვება ქართულ ენას, — ეუბნება ვახტანგ კორინთელი მის გვერდით მომავალ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რაიკომის მდივანსა და გოდერძის, — მე მგონია, ეს სიტყვა საესებით უბადლოა, ეს, არის „დედამიწა“. იგი მართლაც უხვეკალთიანი დედა ჩვენი, რომელსაც ოქროები აქვს შემონახული თავის უბეებში, მაგრამ არა უქნართათვის, არაჰედ გამრჯელ შვილთათვის“. ახლადმოსულნი შედგნენ. „ამონალი მოიტანეს?“ — იკითხა ციხისთავმა.

„მოიტანეს“ — მიუგო თედომ.

«კარგი ვქენით ეს საქმე საგაისოდ რომ არ გადაედეთ. თქვა რაიკომის მდივანმა, — „ძლიერ შეეწუხდი, როცა ჩვენი პირველი იერიშები უშედეგო აღმოჩნდა“.

«ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ პრესტიჟის საქმეც იყო“, — თქვა თედომ, — დავეციანებდნენ ბებრები. ბოლშევიკებმა ცხრაშუხის ზეგანი ვერ აიღესო.

ციხისთავმა თქვა:

«ჯერ სადა ვართ, კიდევ რამდენი ათასი ჰექტარი მოგვეპოვება ამ რაიონში, ზოგი ურწყულია, ზოგიც უნაყოფო ეწერი, თუ რაციონალურ მეურნეობას მოვეკიდებით, ნამდვილ სამოთხედ ვაქციეთ ამ მხარეს.

ჩვენი საზღვარგარეთელი მტრები ამტკიცებენ: ბუნების წიაღში დაცული სიმდიდრენი, ნავთის, ნახშირის, მინერალეების საბადონი უკვე ექსპლოატირებულია და აღნუსხულნი, კაცობრიობის რიცხობრივი ზრდა ხელოვნურად თუ არ შევანელებთ, ხალხთა მასები დაიმშვიდნო.

ამიტომაც ჰქადაგებენ ისინი პერმანენტული ომების გაჩაღებას, რათა „რჩეულნი“ გადარჩნენ და საკმარისი ხაზრდო ექნეთ კიდევ. ჩვენ კი პირიქით

ვამტკიცებთ: მიწის წიაღში იმდენი სიმდიდრეა დაცული, თუ შექვეყნდება ვიშარჯვეთ, გამრჯელ მტკიცებულ ხაზრდო არასოდეს მოაკლდება“.

• •

ცხრა მუხის ზეგანი რამდენიმე უბნებად დაჰყვეს. მთელი ნაკვეთი წინასწარ დაელარათ ტრაქტორებს. სამივე ბრიგადა ამონალის ჩაყრას შეუდგა.

«ერთი ეს მიბრძანეთ, რა საჭიროა მანინცადამინც ამონალი ამ შემთხვევაში?» — ხმადამლა ეკითხებოდა გოდერძი კორინთელს.

«რიბრმა ზომ ამოძირკვა ხეების ნაფესვარები, მაგრამ ლობაში გადასულ ფესვებსაც, როგორც ყოველ ორგანიზმს, უამრავი ბაცილები, ნაირნაირი მატლები უჩნდება. ეს ყოველივე საზიანოა ვენახის ფესვთა სისტემისათვის. ამონალის აფეთქებისაგან ეს პარაზიტები იღუპებიან. ეგეც რომ არ იყოს, როგორც მიწის ზედაფენა, ისე მისი წიაღი უამრავ ბაცილებს შეიცავს.

გარდა ამისა, თვით ამონალი, აფეთქების, დაშლის შემდეგ მცენარეთათვის გამოსადეგ ნივთიერებებს სტოვებს, ამ გზით აზოტის რაოდენობა ნიადაგში მატულობს, თანაც იგი ფოსფორული ელემენტების ამოძრავებას იწვევს.

გოდერძიმ ორად გააყო თავისი ბრიგადა. მამაკაცების ნაწილი პელის ხევს გადაღმა გაგზავნა, რადგან იქ ჯერაც არ იყო მოთავებული ზეგანიდან ამოძირკვეული, ნაცეცხლარი მორებისა და ფესვების სოფელში გადაგზავნა. ხოლო თავად გაიყოლია ნუნუ უჯირაულისა და ნათია თარალაშვილის რკოლის ქალები და ამონალის აფეთქებას შეუდგნენ.

გოდერძიმ ბიკფორდის ზონარი აიღო, პირველი მივიდა ნაკვეთის თავთან, პატრუქს ცეცხლი წაუკიდა და ნელ-ნაბიჯით განერიდა მას. ერთბაშად დაიგრილა ამონალმა და გარს მომდგარმა ხეებმა ეხო გამოსცეს.

გოდერძი მერგოლურებს მიუბრუნდა და უთხრა:

„აბა ვინაა თქვენს შორის მამაკი, ვინ გაუჩენს ცეცხლს ბიეფორდის ზონარს.“  
ქალები აფეთქებისაგან ისე შეკრთნენ, არავინ ამირებდა ბიეფორდის ზონარის ხელში აღებას.

გოდერძიმ ნათია თარალაშვილს შეხედა. ქალმა იგრძნო, რომ მას უცქეროდნენ, ლოყაზე ალმური წამოვება, დარცხვენის ზემო ტუჩი შეუტოკდა.

„ნათია, აბა გამოდი, ბიეფორდის ზონარს მოუციდე“, — მიამახა თარალაშვილის ქალს ბრიგადირმა.

ქალი ანაზღად გაწითლდა, თითქოს ფეხებში რაღაც გაებლანდაო, წალმა ვერ წაღვა ნაბიჯი.

„აბა ვინ მოუცილებს ცეცხლს ბიეფორდის ზონარს?“ — კიდევ იკითხა ბრიგადირმა.

ქალებს ნუნუ უჯირაული გამოეყო, იგიც გაწითლდა, რა შეიცნო იქ მღვარი მამაკაცების შემოხედვა.

„სამიში აქ არაფერია“, — თქვა აუმღვრევლად, ბიეფორდის ზონარს ხელი წაეღო, ცეცხლი წუქიდა და ანთებულ პატრუქს აუჩქარებელი ნაბიჯით გაეცალა.

ამონალმა დაიგრიალა და მოჯარული მთები ისევ აზანზარდნენ.

გოდერძი დანარჩენებსაც არ მოეშვა.

„აბა გამოდით, ქალებო, რამ დაგამინათ? ხომ ზედავით, მე და ნუნუს არაფერი დაგეშავებია. რაკი არავინ გამოჩნდა ამ საქმეში მშველელი, გოდერძი და ნუნუ დადიოდნენ, ბიეფორდის ზონარებს ცეცხლს უკიდებდნენ.“

როცა ეს ამბავი მრავალგზის უხიფათოდ განმეორდა, ამ ორთა მაგალითს მიჰყენენ ნათია თარალაშვილი, რუსიკო როსტიაშვილი, ზინა ბენაშვილი, თინა ბეწუქიშვილი, სხვანი და სხვანი. ასე რომ მთელი საათის მანძილზე თავად ქალები ახდენდნენ ამონალის აფეთქებას და ცხრა მუხის ზეგანზე ერთობლივი გრიალგრიალი ისმოდა.

ხანშიშესული კოლმეურნენი ამ ამბისაგან მიხიცილდებიან ალტაცებულნი ვარ იყვნენ, ზოგ მათგანს არის სჯობა, რომ ბიეფორდის ზონარს ამისაგან აფეთქება სრულიადც საზიანო არაა თავად ამფეთქებლისათვის. განსაკუთრებით დედაცა უჯირაული ლუი, იგივე ყვავია.

აფეთქება და სროლა ქალის რა საქმეაო. სხვა არ იყოს რა, ეს ყოველივე დედაცაც სინაზეს ართმევსო.

ყვავია უფრო შორს უმიზნებდა: როცა ასეთ რამეებს მიეჩვევა დიაცი, იგი იარაღსაც წაეპოტინება, კიდევ მეტი, ბოლოს მამაკაცთან გათანაბრებასაც მოითხოვსო.

„პაი გიდი, რა კარგი გოგო გაგვიჩვენეს ამ ოჯახპორებმა. უწინ ნუნუ ჰიანჰველას არ დაადგამდა ფეხს, ახლა ნახეთ, დინამიტებს ისერის!“ — ეჩურჩულებოდა ყვავია, ნუნუს დედინაცვალს, ქეთუას.

„ოლონდ მალე გაეათხოვით მაგ გომბიო, მე მომაცილეთ როგორმე და თუნდაც ბომბებიც უსერია თავის ქმრისათვის“, — მიუგო ქეთუამ.

ციხისთავი და კორინთელი ნაკვეთის ბოლოს იდგნენ, ყურს უგდებდნენ მოხშირებულ გრუხუნს.

„ეს ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია შემოდის ცხრაამუხაში სალუტით“, — თქვა ციხისთავმა.

•  
•  
•

ნაშუადღევს მოვიდნენ ტრაქტორისტები — ნიკა უჯირაული და კოლა სოკოლოვი, ავტომატური ფარცხები მიამბეს ტრაქტორებზე და ნაკვეთის გასწორებას შეუდგნენ.

როცა სავსებით მოთავდა ცხრაამუხის ზეგანის მოპირკეთება, პროფესორმა კორინთელმა სამივე ბრიგადირი და მერგოლურები მოიხმო. აიღო პალო და პირველი ნაკვეთის კიდესთან დაარჭო. კანაფი მომიტანეთო! — დაიძახა. გოდერძიმ კანაფი მისცა ხელში.

კორინთელმა კანაფი შუაში გაკეცა, ჯიბიდან სასტიმეტრი ამოიღო, ორივე მხარე გადაზომა. მარჯული გაუკეთა და პალოს თავზე გადააცვა. ცალი წვერი გოდერძის მიაჩეჩა და დასძინა: აღმოსავლეთით „წადი და მანდ დაამაგრო“ მეორე წვერი ნუნუს გადასცა, მას დაავალა სწორი გზით ჩრდილოეთით წასულიყო და ხრამის პირად დაემაგრებინა. როცა ეს გაკეთდა, თავად თოხი აიღო, ორი ლარის გასწვრივ სამკუთხედად მოხაზა ნიღაგი.

ბრიგადირები და მერგოლურები გაოცებული შესცქეროდნენ, ვერც კი გაეგოთ, თუ რად დასჭირდა პროფესორს ამ სამკუთხედის მოხაზვა.

„აი ეს გახლავთ, ე. წ. სწორკუთხოვანი, ე. ო. ოთხმოცდაათგრადუსიანი სამკუთხედი“.

„შვიდწლელი ხომ დასრულებული გაქვთ?“ — შეეკითხა იგი გარსმომდგარ ახალგაზრდებს. თითქმის ყველამ ნუნუ უჯირაულის გარდა ხმის გაუცემლად დაუქნია თავი.

„ეს თუ ასეა, თქვენ ცოტაოდნად იცნობთ გეომეტრიას, მასმასაღამე ეს სამკუთხედი გეცნაურათ კიდევაც.“

ახლა კარგად მისმინეთ, ახალგაზრდებო.

ჩვენს წინაშე ასეთი ამოცანაა: ამ ნაკვეთზე უნდა გავმართოთ საეწინაზე მწკრივები, ისეთი წინასწარი გაანგარიშებით, რომ ეს უქანასკნელნი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გავლებულ პარალელურ ხაზებს მისდევდნენ ზუსტად“.

„რატომ მიინცადამინც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ?“ — იკითხა ნუნუ უჯირაულმა.

„ჯერ ერთი, ეს საჭიროა იმიტომ რომ, რაკი ქარები ამ მიმართულებით ჰქრიან აღმოსავლეთ საქართველოში, ქარის ტალღები ამ მწკრივებში გაივლიან და ვენახს ნაკლებად დაზიანებენ. მეორე მიზანიც გვაქვს დასაბუთი: დაბურულ ვაზებს მზის სხივები უფრო თამამად, მიაღწევენ.

ერთი ვიკითხოთ, რად გვესაჭიროება მრავალკუთხოვანი სამკუთხედი? აბა გაიხსენეთ ცნობილი თეორემა სწორი კუთხოვანი სამკუთხედის შესახებ. იგი, როგორც იცით, ეკუთვნის ძველ ბერძენ გეომეტრს პითაგორას. ახლავე გიჩვენებთ, თუ როგორ მოგვეშველება ეს მეტნიერება.

მოგახსენებთ, გლეხი ალაღბედზე გააბამდა ლარს და მწკრივებს ისე დასარავდა, ამიტომაც ძველ ვენახებში მწკრივთა შორისი მანძილი არასოდეს არ გამოუდიოდათ ზუსტად თანაბარი. ჩვენი მექანიზაციის პირობებში ასეთი მეურნეობა საესებით გამოუყენებელია.

ჩვენ გვესაჭიროება ვაზსა და ვაზს შორის ერთი მეტრი და ათი სასტიმეტრი მანძილი, არც მეტი და არც ნაკლები. თუ ეს სისწორე დაირღვა, ჩვენ ხომ კოლიფერი უნდა გავატაროთ მწკრივთა შორის? განზე დარჩენილ ვაზს სახნისი მოედება და ამოძირკვავს.

დახედეთ ამ სამკუთხედს: აღმოსავლეთისკენ გაქიმული თოჯის სიგრძეა ექვსი მეტრი, ზოლო სამხრეთისკენ გამართულისა რვა მეტრი, ამ ორ სიგრძეს ეწოდება კათეტი.

აბა მიდი, გოდერძი, და ამ ორ კათეტს შორის გააბი ეს ათმეტრიანი კანაფი, პალოებით დაამაგრე და ნიღაგი თოჯების სისწორეზე გახაზე“.

როცა გოდერძიმ დაეალება შეასრულა და ისევ მობრუნდა, პროფესორმა თქვა:

„ამგვარად გოდერძიმ ორ კათეტს შორის გაავლო ჰიპოტენუსა.“

ახლა გაგასხენებთ პითაგორას თეორემას: ორივე კათეტის კვადრატი უდრის ჰიპოტენუსის კვადრატს.

„აბა რამდენია პირველი კათეტის სიგრძე?“ — შეეკითხა კორინთელი მესამე ბრიგადის ზელმძღვანელს იონა თარალაშვილს.

„ექვსი მეტრი“, — მიიღო პასუხი. „კვადრატი ნიშნავს მოცემული ციფრის თავის თავზე გადაამრავლებას. მაშ გადაამრავლე, იონა“.

„ოცდა თექვსმეტი“, — მიუგო იონამ.  
 „კეთილი, აბა თქვენ თქვით, რამდენი მეტრია მეორე კათეტის სიგრძე?“ — შეეკითხა ნუნუ უჯირაულს პროფესორი.

„რვა“.

„ახლა ეს გადაამრავლე და თქვი რამდენი იქნება?“

„სამოცდაოთხი“.

„მიუმატე ერთმანეთს“.

„ასი“.

„ჰიპოტენუზა რა სიგრძისაა, გოდერძი?“

„ათი მეტრისა“

„გადაამრავლე ათი ათზე“

„შივილებთ ას მეტრს“

„ახლა ხომ ხედავთ, ორივე კათეტის სიგრძე ასი მეტრია, ჰიპოტენუზაც ამდენივე. მაშასადამე, ორივე კათეტის კვადრატი მართლაც უდრის ჰიპოტენუზის კვადრატს. ასე რომ კათეტისა და ჰიპოტენუზის გადაკვეთის წერტილი იქნება ის ადგილი, სადაც პირველი სავეინახე მწკრივი გაივლის.“

ასე მიჰყევით და ზუსტად განრიგებული მწკრივი გამოვივით.

„გასაგებია?“ — შეეკითხა პროფესორი ბრიგადირებსა და მერგოლურებს.

„გავიგეთ, გავიგეთ“, — პასუხობდნენ სახეგაბრწყინებული ახალგაზრდები პროფესორს.

მხოლოდ ნუნუ უჯირაული დუმდა.

„თქვენც გაიგეთ, გოგონავ?“ — შეეკითხა კორინთელი.

ნუნუმ თავი ჩაქინდრა ანაზღად და გაწითლდა.

„როგორც ხედავთ, ყმაწვილებო, ჩვენი კოლმეურნეობის წარმატება წარმოუდგენელია, თუ ჩვენ არ დავეუფლეთ თანამედროვე მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს და არ გამოვიყენეთ ისინი. სხვა შემთხვევაში ჩვენი მეურნეობა დაემსგავსება ძველი დროის ჩამორჩენილი გლეხის, ან უწიგნური აზნაურის მეურნეობას“.

ახლა კორინთელი აპირებდა საგანგებოდ ნუნუსათვის აეხსნა ეს ამოცანა

ხელახლა. რაიკომის მდივანი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოვციდნენ. ციხისთავმა მკლავში ზღვლიანად პროფესორს და უთხრა:

„მწკრივების მოხაზვის საქმე ახლა ამ ახალგაზრდებს დაევალოთ, წამოზრძანდით, ერთი, მამუქას ციხეზე ავიდეთ, შელისხევის სათავე დაეთაღლიეროთ. ვნახოთ ერთი, წყალსაწრეტი ღრენაყები ხომ არ დაგვჭირდება“.

რაიგრონოში მელითაური წინ წაუძღვა მათ, — ისინი აღმა აყვენენ მელისხევის. მთელი საათი იარეს ჩრდილოეთისკენ ხევა-ხევე და მიალწიეს ხევის სათავეს. რიყის ქვისაგან ნაკეთები წოწოლა ციხე ქარაფზე უზარმაზარი წიფლებითა და თელებით გარს შემორტყმული იდგა. ციხეზე ლეღვის ხეები ამოსულიყვენენ.

„ეს არის მამუქას ციხე?“ — იკითხა კორინთელმა.

„მამუქას ციხეა“, მიუგო თედომ.

სწორედ იმ ქარაფს, რომელზედაც იდგა ციხე, კირიანი ქანობების გამოცხვის შედეგად ფერდი ჰქონდა შეღწევილი, და სწორედ აქედან გამოდიოდა უღიმღამო ბინული. წყლის გამოსადგინთან ვილაცას ჩალისღერი მიედო და მასზე მოწანწყარებდა წყალი.

კორინთელმა გაიხარა ამ ჩრდილიანი, მყუდრო ადგილისა და წყაროს დანახვაზე; პეშვი შეუშვირა წყაროს, ჯერ პირი დაიბანა, საფეთქლები გაიგრილა და მერმე ხარბად დაეწაფა წყალს.

ჩალის ღერიდან ნადენი წყლისაგან პაწია ტბა დამდგარიყო. შიგ თავკობალები დასცურავდნენ. ამ ტბის შუაგულში, ლოდზე, ვეებერთელა გომბეშო შესკუპულიყო, თვალებს კუსავდა და უთვალთვალებდა ახლადმოსულებს.

კორინთელი გოროზზე შედგა და აქედან დახედა თავქვე მიმავალ ხევს, რომელიც ასიოდე მეტრის მანძილზე მიყვებოდა ორივე მხრით ქარაფებით შემოზღუდულ სადენს და შემდგომ ამისა იშლებოდა დაეკებისაკენ.

კორინთელს არ მოეწონა ხევის ეს საკმაოდ მძაფრი დაქანება, გორიხიდან ძირს ჩამოვიდა, აიყოლია ციხისთავი, თარალაშვილი და მელითაური. მცირე ხანს ატარა ისინი და, როცა გავაკებამდის მიიყვანა, მიუბრუნდა და უთხრა:

„გონიერი ადამიანი ყოველთვის უარესს ვარაუდიდან უნდა გამოდიოდეს. ეშმაკს თვალი არ უჩანს, თუ დიდი ლელმა იქნა, შეიძლება ამ ხევმა ცხრამუხის ზეგანზე გამართულ ვენახებს აენოს კიდევაც.“

შოდი, აი ამ ადგილას ვანდაგან რკინა-ბეტონის კედელი გავაკეთოთ. ეს მანძილი ათ-მეტრს არ აღემატება, ასე რომ არც თუ ძვირად დაგვიჯდება ეს საქმე. ნაღვარევი წყალი ამ ორწოხში მოგროვდება და ძირს დაშვების ინერტიას დაკარგავს, ბოლოს და ბოლოს, აქ პატარა „პესის“ გამართვაც შეიძლება. არა? —

თედო თარალაშვილი და მელითაური არ იზიარებდნენ ამ შიშს. ოც წელზე

მეტია, რაც ამ ხევის საქმეებს ვაკვირდებით, არ გვახსოვს თუნდაც ნიაღვრების დროს მას საგრძნობლად მოემარტებინოსო.

ზიზლინიძე

ციხისთავმა თავი შეიკავა, იგი საერთოდ მუდამ ფრთხილი იყო თავის დასკვნებში, თავი შეიკავა, რადგან ამ ხევის რეჟიმის დაკვირვების შემთხვევა არასოდეს ჰქონია.

ბოლოს მაჯის საათს დახედა და თქვა: ყვარელში თათბირი მაქვს და უნდა წავიდეთ. პროფესორს შესთავაზა — ისევე ცხრამუხის ზეგანზე დავბრუნდეთ, იქიდან მანქანით მივიყვანოთ სასტუმროში.

კორინთელმა გორისთავიდან გადახედა ძირს გადაშლილ პანორამას, მისმა დანახვამ მოხიბლა და მიუგო ციხისთავს:

„როგორც ვატყობ, ამ ბილიკებს თუ დავყვები, სასტუმრომდის უფრო ადრე ჩავალ. ქალას გადავივლი და ორიოდე ნაბიჯი დამრჩება შინამდის.“

### წინამძღოლში წარმოთმავალი სადღებრძელი

კორინთელს ეამა ტყეში მარტო დარჩენა. ნელი ნაბიჯით მიყვა დღმა მიმავალ დამრეცილ ბილიკებს. ხვლიკები გადარბოდნენ შარებზე, მთა ტერასების სახით ვაკდებოდა ალაზნის ქალისკენ. ეს ტერასები იელის აყვავებულ ბუჩქებს დაემშვენებინათ. ესენი ისე ღვივოდნენ ახლადგადაშლილი მწვანეთლის ფონზე, თითქოს გამოხურვებული ოქროსფერი კოცონები დაუნთიათო.

ჯაგების ძირში კვრინჩხივით ამოსული იებიდან გამოძვრა ბერუხუნა გველი. მზის სხივი აციმციმდა მის მძაფრ თვალბში, არც მორიდებია კორინთელს, ქვალივით მოქნილი სხეული ზლაზვნით გადაიტანა ბილიკზე.

გულწითელა გახარებული ჭიკჭიკებდა, სადღაც ნამრუდისფერი ცარგვალი

ზედ დამხოზოდა აყვავებული ტყემლუბით მოჩითულ მთასა და ველს.

ყვავილების სურნელება, ნეშომპალას სუნი და მიწის სუნი იდგა ირგვლივ. კორინთელმა სამხრეთიდან მომავალ წეროებს მოსიყვარულე თვალით ახედა. შედგა, უთვალთვალებდა მათ. თავდაპირველად ისე შორს იყვნენ ისინი, რომ ჯერ კიდევ მრავალწერტილებად მოჩანდნენ ცაზე.

მერმე ნელნელა გადიდდნენ ეს წერტილები, უკვე თავისისისა და ფრთების კონტურები მოიხაზა. ქარავენი მამაცად მიამობდა ჰაერს. ახლა მძაფრად შესცვალეს მათ სვლის გეზი, ნელნელა მოადუნეს ფრენის ინერცია და ფოლადისებრ მოლაპლაპე ალაზანს უსწორეს.



უეცარმა ხშირლმა მათი ქვერტა შე-  
აწყვეტინა კორინთელს, მხერა გადაი-  
ტახა გარეული იხვების გუხდზე, სულ  
ახლოს გადაუარეს მათ მკვერეტელს  
თავზე, მერმე გაისმა „ფრფრ“ და ის  
საამჟური წიწინი, რომელიც ველური იხ-  
ვების ფრთების ქროლვას მოსდევს  
ხოლმე თან.

კორინთელი თვალს ადევნებდა ალა-  
ზნისაკენ გაფრენილ იხვებს და იქ  
თვალსაწიერის კიდებზე ისე ეშვებოდ-  
ნენ გარეული ბატები, თითქოს ციდან  
მდინარეში პორცელანის თეფშებს  
ჰყრიანო.

„რა ცოტა უნდა ბედნიერებას ამ ქვე-  
ყნად. შრომობდე და გიხაროდეს!  
თვალნათლივ სკვერეტდე მიწის აყვავე-  
ბას, ლოყებზე გცემდეს მოუღალავი  
მზის მცხუნვარება და გესმოდეს ამ  
ვერთა სიუხვით გახარებულ მიწაზე ნა-  
ბიჯების ჩქამი.“

ამას ფიქრობდა კორინთელი, ქუდი  
ხელში ეჭირა და მიჰყვებოდა ქალაში  
ჩამავალ ბილიკს. უკვე ველზე ჩასული,  
ფიქრებისაგან გამოარკვია იგი ბუჩქებ-  
ში ატეხილმა შარაშურმა, კურდღლები  
სტოვებდნენ ჯაგებს, აუჩქარებლად გა-  
დარბოდნენ გზაზე.

სულ ახლოს ცხენის ჰიხინი მოისმა.  
რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ყავრით  
დახურულ თავლას წააწყდა თვალი.  
მინდორზე რამდენიმე ცხენი სძოვდა.  
თავლის წინ დაყორებულ ნაკელში  
სინდიოფალები იქექებოდნენ. ზოგნი  
საამოდ დაცვალივობდნენ იქვე, ზოგ-  
ნიც პირადმა წამოწოლანი გახაფხუ-  
ლის მზეს შეფიცებოდნენ.

„კოლმეურნეობის საცხენეა. ალ-  
ბათ“ — გაიფიქრა კორინთელმა.

გზისპირად მდგომარე ცხენმა თავი  
აიღო და დაიხეიხვინა. კორინთელმა  
უკან მოიხედა. სამ ცხენოსანს ერთი შე-  
ქლალეხული, ბრვე ვაჟკაცი წინ მო-  
უძლოდა ცხენდაცხენ. წინმომავალს  
ლენინის ორდენი უმშვენებდა მკერდს.

ცხენოსნების უკან ქართული ცხვრის  
ძაღვები მოძუნძუნებდნენ, წითელი

ენები გამოეყოთ, ფეხდაფეხ მოსდევდ-  
ნენ ცხენოსნებს.

ოდნავ მოშორებით <sup>არსებობდა</sup> მო-  
დიოდა, ხოლო ურმებს უკან აღუარცხე-  
ლი ცხვარი.

ირგვლივ მწყემსების ქაქანი ისმოდა.  
კორინთელმა ცხენოსნებს გამარჯვე-  
ბა მიამახა. სადაურობა ჰკითხა.

ორბოძალ გზაზე შედგა კორინთელი.  
ერთი სოფლისკენ მიდიოდა, მეორე  
ალაზნისაკენ.

მის წავალ და ცოტას წავიმუშავებო,  
გაიფიქრა კორინთელმა და სწორედ ამ  
დროს მთლად უცნაური გნიასი ატყდა.  
ზევით ახედვაც ვერ მოასწრო, გარე-  
ული ინდოურების ქარავენმა დაამ-  
ნელა გარემო, ბოლოს იგი შარაგზის  
გასწვრივ სულ ახლოს დაეშვა ჯე-  
ჯილზე.

კორინთელი შედგა. ინდოურები ჯე-  
ჯილს წამოეხიენ, თვალნათლივ ხედავ-  
და, თუ როგორ წაიგრძელებდნენ ისინი  
კისერს და გამალეხული სძოვდნენ...  
თვალგადაუწვდენელი ჯეჯილი დაფა-  
რული იყო ამ მშვენიერი ფრინველე-  
ბით, ერთი მათგანი მოსძოვდა თავის  
გარშემო ამოსულ პურეულს, მერმე  
ფისიტრომების სიხლოვით გახარებული  
იცვლიდა ადგილს და ასე ეჯიბრებო-  
დნენ ურთიერთს ეს მსუნჯები.

კორინთელს განზრახვა შეაცვლევინა  
ამ ახალმა სანახაობამ. ნელი ნაბიჯით  
მიჰყვა წისქვილისაკენ მიმავალ საურმე  
შარას.

როცა ინდოურებს თოფის სასროლ  
მანძილზე მიეახლა იგი, მათმა გზირებ-  
მა, გუნდსა და გზას შორის სამოვრად  
გასულელებმა თავი აიღეს, თითქოს იცნე-  
სო უიარალო კაცი და არხენინად განა-  
გრძეს ძოვა.

„როგორ ამუხად ამიგდესო!“ — გაი-  
ფიქრა ძველმა მონადირემ. გასცილდა  
თუ არა ამ ერთ გუნდს, ისევე ჩამობნელ-  
და ირგვლივ და მიწა დაფარეს მორია-  
ლე ლანდებმა.

ახალი სტუმრების დანახავზე წამოე-  
ძალათ სიხარბე, წილან მოსული ინდო-

ურები აიყარნენ, წამოეწიენ ახალმოსულებს და მათმა ნაჩრდილეებმა ღრუბელივით დაჰფარეს ველი.

ბოლოს, ერთ დიდ გუნდად გაერთიანებულნი, ისევ ურმის შარასთან დასჯებულნი ჯიჯილებს.

„ნეტავ მეველე სადღაა, — გაიფიქრა კორინთელმა, — ეს აურაცხელი ფრინველი ნათესებს ანადგურებს და არვიანა განმკითხველი“.

მის გულში უკვე განელდა ის აღტაცება, რომელიც აღეძრის ზოლზე ტყიურის ახლო მკვრეტელ ადამიანს, ქვა აიღო ხელში, თანაც მიიხედ-მოიხედა, ასეთ ყმაწვილობისას არვინ შემასწროსო, გაეცინა გუნებაში და ესროლა.

რამდენიმე ასეული ინდოური მოეშვა ძოვას, აფრინდნენ მაგრამ შორს წასვლა არც იკადრეს, სულ ათიოდე მეტრის სიგრძეზე გადაინაცვლეს საძოვარი ადგილი და ისევ დაიწყეს გამალებული ძოვა.

კორინთელი მიჰყვებოდა გზას, ხანგამოშვებით ქვას ესროდა გზის პირად დაშვებულ ინდოურებს და ასე ჩაიტყუეს იგი გარეთელმა ინდოურებმა წისქვილის კარამდის. შორიახლოდან წისქვილის გრუტუნნი ისმოდა.

ველის ირგვლივ დამკვიდრებულ სიწყნარეში უცნაური სიმშვიდე და სათნოება აღეძრა კორინთელს. მოაგონდა თავისი სიყმაწვილე. რამდენჯერ მოსულა აქ სათევზაოდ. მაშინაც უყვარდა სოფელს გარინდებულ მეწისქვილესთან კერის პირად ჯდომა და ძველთაძველი ზღაპრების მოსმენა.

დააკვირდა წისქვილს, კარი გამოკეტული იყო. წყუროდა, დაენანა, წყლის დამლევინებელი იქ რომ არავინ დახედებოდა.

მოულოდნელად გაიღო წისქვილის კარი და თავშიშველა, მელოტი კაცი გამოვიდა, თვალზე მიიჩრდილა ხელი და დააცქერდა ხელი ნაბიჯით წისქვილისკენ მომავალს.

როცა ეს უკანასკნელი მიეახლა, აჩქარებული ნაბიჯით შემოეგება კორინ-

თელს, ორივე ხელით ჩამოართვა ხელი და გაუღიმა.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩემო ბატონო“.

ამ გაღიშებამ კორინთელს ის ქერა ყმაწვილი მოაგონა, რომელსაც „სოლოს“ ეძახდნენ ედიშერ ვანანაძის სასახლეში, სოლოს ვირვით მოჰქონდა წყალი, მედიკო და ვახტანგი ხშირად მსხდარან მის სახედრებზე.

როგორ მოგიკითხო, სოლომონ?

მელოტი კაცს გაეცინა.

„რა გაცინებსო?“ — შეეკითხა კორინთელი.

„მე გადავეჩვიე ჩემს სახელს, ჩემო ბატონო“.

„როგორ თუ გადაეჩვიე?“

„ნიორთავა შემარქვეს და მეც მივეჩვიე ამას, ჩემო ბატონო“.

„ხომ მიცანით?“ — ჰკითხა კორინთელმა.

„როგორ არა, ჩემო ბატონო, თქვენ ვინ არ გიცნობთ, მე ის მაკვირვებს, მე როგორღა მიცანი?“

„ვითომ რათაო?“

„აბა ჩემისთანა მანუჩის ტაბიკი ვის დაახსომდება?“!

„რად იტყვი მაგას, სოლომონ, ჩვენს ქვეყანაში ყველა მშრომელი პატივისცემის ღირსია, ვინც თავის საქმეს კარგად აკეთებს. ჩვენ ყველანი მარტველები ვართ ერთი დიდი მანქანისა. მანქანას მარტველი თუ არ ეწნა, ბორბალი მოვარდება ლერძს, ეს უკანასკნელი ბრუნვას შესწყვეტს და მთელი მანქანა დადგება“.

ახლა მედიკო მოიკითხა ნიორთავამ. როცა ამ კითხვაზე კორინთელმა პასუხი გასცა, წყალი დამალევინეთ, სთხოვა.

„შინ შემობრძანდი, ჩემო ბატონო.“

კორინთელმა გაიღიმა, — „არაფერიი.“ აქ ვიყოთ“.

„თუმცა მე არც ბინა მაქვს და არც შინა, ჩემო ბატონო, მაგრამ ჯერ არავინ მიპირებს გარედ გაგდებას და ჩემი ერთადერთი სახლკარი ეს წისქვილია.“

დიდხანს უარზე იდგა კორინთელი, მაგრამ ნიორთავა მიიწი არ მოეშვა, მკლავში ხელი წაავლო და სტუმარი წისქვილში შეიყვანა.

როცა კორინთელი ცივი წყლით გაგრილდა, მასპინძელს შეეკითხა: ნიორთავას რომ გეძახიან, სოლომონ, ხომ არ გწყინსო?

„არა, ჩემო ბატონო, თქვენც ამას გთხოვთ, ნიორთავა დამიძახოთ ამიერიდან. სოლომონ ბრძენის სახელი ნამეტანი პატივი იქნება ჩემთვის. დიდი კაცის სახელი დიდ რამეებს ავალებს კაცს. ეს ასეა, ჩემო ბატონო, რა გამოვა ბრძენის სახელს ამოეფაროს კაცი და დიდი სისულელეები დააფრქვიოს, ცხადია, დიდკაცის სახელი ამ სისულელეებს, სიბრძნეს ვერ შემატებს.“

„არამც და არამც, ჩემო სოლომონ, ალბათ ეს სახელი სოლომონ ბრძენამდისაც ბევრ რეგვენს ერქვა, ბოლოს მოაღწია ჰქვიანმა კაცმა და გაასხივოსნა იგი.“

ჩვენ ისეთ დროში ვართ, ჩემო სოლომონ, როცა სახელსა და გვარს პატივი აეყარა და მარჯვენას მიენიჭა იგი.

წელან ერთი ცხენოსანი მეცხვარე შემვდა, ლენინის ორდენი უმშვენიერდა მკერდს. გვარი გამოვკითხე. ბეწუკშიელი აღმოჩნდა.“

ნიორთავა ტანაჯორივით დატრიალდა, კარი გააღო და გარეთ გავიდა.

მარტოდ დარჩენილმა კორინთელმა მიმოიხედა. წისქვილში ოდნავ ბნელოდა, კერის ირგვლივ კატები და ძაღლები ყვინთავდნენ. ძაღლთა შორის ერთი ბებერი მურა უღიმღამოდ სთვლემდა, ხანდახან დაფაჩულებდა თვალებს და დასისლიანებულ თეთრონებს მიანათებდა კერას. გამურულ კაჟუტებზე მჭვარტლის ლოლუები ეკიდა. გულაზები ბეჯითად ბრუნავდნენ და სამუხრად ფრუტუნებდნენ.

ნიორთავამ ფიჩხი და შეშა შემოათარია, დაჯდა კერის გადაღმა. ფიჩხს

მუხლის თავებზე იმტურედა და ცეცხლს უკეთებდა.

„თავს რად იწუხებ, ჩემო სოლომონ, რად გინდა ცეცხლი?“

„არაფერია, ჩემო ბატონო, მოგვხსენებათ, წისქვილში მუდამ სინესტია, თქვენისთანა სტუმრებს სხვები ნატრობენ. მე ადრე გავიგე თქვენი ჩამოსვლა. მინდოდა მიიას პირით მეთხოვა მედიკოსა და თქვენთვის, ეგებ ფეხი შემოუცდეთ-მეთქი ჩემს წისქვილში და მოგვეითხათ ის ბედდამწვარი ბიჭი, ვაჩნძიანთ სასახლეში ოდესღაც ვირბით რომ გასეირნებდათ.“

„რა მოხდა მერმე, დიახაც მოვდიოდით, ჩემო სოლომონ, განა მე ასეთ გაცინილ კაცად მიცნობთ?“

„არა, მაგრამ, ხომ იცი, ჩემო ბატონო, ჩემისთანა საწყალობელი კაცი...“

ნიორთავამ ეხლა კოკას წამოუსვა ხელი, წყალი შემოარბენინა, დარბოდა, კუთხე-კუთხე დაფაცურებდა, უწყურებოდა კერის გარშემო მოგროვილ ძაღლებს და კატებს, მაგრამ ისინი მხოლოდ ადგილებს იცვლიდნენ, არც აპირებდნენ გარეთ გასვლას ამ კარგ დარშიაც.

კორინთელმა შენიშნა, ნიორთავა რაღაც, სამზადისშიაო, ცოტა ხანს მისჩერებოდა კერაზე გაღვივებულ ცეცხლს. ფიჭრში წასულს ეამა შისი ცქერა, მერმე წამოიღგა და წასვლა დააპირა.

ნიორთავა წინ გადაუღგა სტუმარს და მტკიცედ განუცხადა: უბურმარლოდ არასგზით არ გავიშვებო.

„რას ამბობ, სოლომონ, ინდოურებმა გამომიტყუეს აქეთკენ, გზადაგზა სხდებოდნენ, ახალგაზრდობა მომაგონეს, ბალღივით ქვას ვესროდი, ისე მოეყვებოდი ურმის შარას. ახლა მეჩქარება, ცოტა სამუშაო მაქვს.“

„ეცხონე იმ ინდოურების შამა, კი უქნიათ, რომ გამოგიტყუეს. ქვას ესროდით? აფსუს, აქ მოსულიყავით, ჩემი ცალპირა თოფი წაგელოთ, ნეტავი?“

„ეხლა ხომ ბარტყობენ, და ნადირობაც აკრძალულია.“

„ეჰ, მაგას ვინ დაეძებს.“

„მერმე რა, არ ვარგა, სოლომონ, ასე განუკითხავად რომ ელეტენ ნადირსა და ფრინველს.“

„მეც არ ვესვრი თოფს ამ თვეში ფრინველებს, მაგრამ ჩემს ძმა კაცებს ბევრი მოაქვთ ნანადირევით.“

ეს თქვა ნიორთავამ და კუთხეში მიფაცურდა, კანჩიდან ღვედზე თავებით დაკიდული სამიოდე ინდოური ჩამოიღო და წინ დაუდო სტუმარს. ახლასხვა კუთხიდან დიდა ვარცლი გამოიტანა, რომელზედაც ერთიც ახლად გაბუტული და გაიშვიგნული ინდოური იდო, ჭადის ცომივით ყვითელი და ცხიმისაგან გატყვიანებული.

„ვინ დახოცა ესენი, სოლომონ?“

„ჩემმა ძმაცაცებმა: კანკრემ, ლალბაწამ და გაგრიამ დახოცესო გუშლამ“, — მიუგო ნიორთავამ.

ერთი გაუბუტავი მამალი ინდოური მუხლის თავზე დაიდო კორინთელმა, ხელს უსვამდა ფრინველის ფერად-ფერად ნაკრტენს.

„გარეული ინდოურის ხორცს რა სჯობია, ახლავე ვაგემებ. ჩემო ბატონო.“

„რასა ბრძანებ, სოლომონ, შინ მიკდიან სადილად, არამც და არამც არ შემიძლია, სხვა არ იყოს რა მედიკოს შევინდება.“

კერძის წინ დაცუქებული ძაღლები აყუფლდნენ, ნიორთავამ კარი გააღო, კორინთელმა თვალი შეასწრო საკმაოდ, კარგ ცხენზე მჯდარ ნაბღისქუდიან ბიჭს.

ნიორთავამ კინკრი მოიღრიჯა და კორინთელს გადმოსძახა: „მე ახლავე ეცნობებ მედიკოს, შევატყობინებ, რომ თქვენ ჩემთან ხართ სტუმრად“.

საღვეკავი ჩამოართვა ბიჭს, დაავალა, სასტუმროში ეცნობებინა მედეასათვის, პროფესორს სადილად ნუღარ უცდითო.

„გობრონ, შენ ეგ ვამიკეთე და როგორც კი მობრუნდები, მზად დაგიხვდება საღვეკავი.“

ეს უთხრა, ხელში პატარა ტიკი შეაჩეჩა და მცირე ხანს ეჩურჩულა. პროფესორი ნანობდა თავის რგუნეზე, შემდეგ წყველ ინდოურებს რა უნდა ეკეთებინა ესდღეო. შინ წასვლაც ვერ გადაეწყვიტა, ამ უბედურ კაცს იცოდა ეწყინებოდა, სხვა არა იყოს რა „პურმარილზე ფეხის გადადგმას“ უკადრისობაში ჩამოართმევდა.

ამ ქეციანი ძაღლებისა და კატების სიხლოვე აწუხებდა, წისქვილში დამკვიდრებული მჭვარტლი და მტვერი, იქვე ვარცლი წინ ედვა ნიორთავას და ცომს ზელდა. არც კარის ვალებას აპირებდა ნიორთავა, ბოლი ღვებოდა ირგვლივ.

როგორც იქნა გობრონმა თავისი გაქაფული ცხენი მოაგელვა. ნიორთავამ გაუტანა საღვეკავი და სტუმარს პატარა ტიკი ფერხითი დაუდო.

„მე აქ სხვა ღვინოც მქონდა, ჩემო ბატონო, მაგრამ ეს ერთი ტიკი ქინძმარეული ემართა სხვას ჩემი და ის მოვატანინე თქვენთვის საგანგებოდ.“

პროფესორს გაეცინა ტიკის დანახვაზე და მასპინძელს უთხრა:

„ამაოდ დაშვერი, ჩემო სოლომონ, სამ წელიწადზე მეტია ექიმები ღვინოს არ მასმევენ.“

„ეჰ, ექიმებს რომ ჰკითხოს კაცმა. სმა-ქამას აგვიკრძალავენ. შარშან ერთი ექიმი ჩამობორილდა ბერმუხაში. ჰკუთის აერას გვიპრდებოდა ყველას. მერმე ეს ვგრეთწოდებული ექიმი დაიჭირეს, ვილაც გაიძვერა აქიმბაში აღმოჩნდა.“

„მერმე, ხომ არავის აუცრია ჰკუთა?“

„ჩემმა ანგალმა ძმაცაცებმა, კანკრემ და მისმა არიებმა აიჭირეს, მეც კინაღამ გამაბრძოვეს მაგ ოჯახქორებმა!“ — ხითხითებდა ნიორთავა.

კორინთელი კარგად ვერ გარკვეულიყო, ნიორთავა ხუმრობდა თუ მართალს ამბობდა. იცინა, იცინა და ისევ მიუბრუნდა „ჰკუთის აერის“ საქმეს.

ნიორთავამ ცომი ჩააგდო ღადარში, ნაცარი წააყარა ზედ და თქვა: მართალს მოგახსენებო, ამის გამო გამოძიედაც მი-

დიოდა. ოღონდ ესაა, მე ცოტა შეველა-მაზე. ის ოხერი ეჭიმბაში სულით ავად-მყოფებს პირდებოდა განკურნებას; როგორც ბოლოს გამოირკვა, მათ ნია-ხურის წყალს უშხაპუნებდა.

მართალი რომ მოგახსენოთ, არც ჩვენ ბიკებს სჯეროდათ იმ აქიმბაშისა, მათ ეს ყომარბაზობით ქნეს. ხომ ზდება ცხოვრებაში ასეთი რამ, ოღონდ თავის გამოჩენის საბაბი იპოვნოს ზოგიერთმა კაცმა, საყბედო მასალა მისცეს უქნარებს და რას არ მოიმოქმედებს.“

ნიორთავა წამოდგა. ინდოური მზადააო, — წამოიძახა.

როცა მასპინძელმა ინდოური დაანაკუნა და გობზე დააწყო, ხორცის სურნელებამ ნერწყვი მოკვარა კორინთელს.

ნიორთავამ კორინთელს დაბალი, სოფლური ტაბლა დაუდგა წინ. ქინძმარაული მოსვა სტუმარმა, ამ გაჩაღებული ცეცხლის პირისპირ ძლიერ ეამა ღვინო, შინ ღვინის სმას ცოლი არ ანებებდა ეჭიმების კარნახით.

ერთი რამ არ მოსწონდა: კატები და ძაღლები გარს შემოადგნენ ტაბლას, ზოგი მათგანი იქექებოდა და ბეწუნარეკ მტვერს აყენებდა ირგვლივ.

გუნებას სხვა რამეც უფუქებდა: ბოლის გაძლიერების გამო, ნიორთავა იძულებული გახდა წისქვილის კარი გაეღო. კორინთელის ერთადერთი სურვილი იყო ამჯერად ნიორთავას კარი დაეკეტა და არავინ შემოეშვა, რათა ბერძენელებს საბაბი არ მისცემოდათ ერთკვათ: პროფესორი წისქვილში ქეიფობდაო.

ნიორთავამ დაითრია ერთი მოზრდილი კათხა, რომელსაც იგი ალბათ სხვადასხვა დროს სამიწდეთაც ხმარობდა, ქინძმარაულით გაავსო, ფეხზე ადგა და პათეტიკურად წარმოსთქვა:

„ამ გამურულ წისქვილშიაც უნდა შესვას ჩვენი საყვარელი ბელადის სადღეგრძელო.

გაუმარჯოს უპატრონოთა და ბედიხაგან განწირულთა იმედსა და პატ-

რონს, ამხანაგ სტალინს. ჩვენ ყველას გვეერთიანებს მისი სიყვარული, პროფესორი იქნება ის თუ მქმნელი, ტრაქტორისტი თუ შოფერი, შევენახე თუ ვარსკვლავების დამთვლელი“.

პროფესორი ფეხზე წამოიჭრა, კათხას მოეჭიდა, მაგრამ ვეღარ შესძლო მისი გამოცლა.

ახლა ინდოურის ხორცს ურჩევდა მასპინძელი. რა გაიგო საბძელი ყვარები სტუმარს, საბძელი მიართვა მას.

როგორც კი ჭამას შეუდგა მოშიებული სტუმარი, ერთი გამურული ხვადი კატა ეცა მარჯვენაში და ხელიდან წაგლიჯა ინდოურის საბძელი.

ნიორთავა ბრაზისაგან აენთო, დაუცაცხანა ონავარს.

„არაფერია, ჩემო სოლომონ, როგორც ჩანს, მაგ კატასაც ჰყვარები საბძელი.“

კორინთელი მადიანად შეექცეოდა ნაცრიან პურს, ღვინოსაც სვამდა ფრთხილად, მხოლოდ იმას შიშობდა — წისქვილში ვინმე არ შემოსულიყო და არ შესწრებოდა ამ უცნაურ პურობას.

კატები და ძაღლები იერიშის მოტანას განაგრძობდნენ.

ნიორთავა სმაში შევიდა, ახალ-ახალ სადღეგრძელოებს იგონებდა. სმას გადაჩვეულმა კორინთელმა უკვე იგრძნო ქინძმარაულის ძალა, მასპინძლის მუდარის მიუხედავად ღვინის სმას უკლო და ბოლოს სავსებით აღიკვეთა.

ხელში იღებდა გავსილ ჯამს, ოდნავ ტუნს დააკარებდა და ისევ დადგამდა ტაბლაზე. ნიორთავა გარეთ გავიდა და ღარის თავები ჩაჰკეტა.

ახლა გარეული ბატების ყიპყიბი და ინდოურების გნიახი მოისმა. კანტიკუნტად ალაზნის შხელილი მოჰქონდა ნიავეს. მასპინძელმა გაჰყარა ძაღლები გარეთ, რადგან მათ გამუდმებული იერიშები მიჰქონდათ სტუმარზე.

„რად გინდა, სოლომონ, ამდენი ძაღლი და კატა?“

„რა ვქნა, ჩემო ბატონო, ყველა უპატრონო მე შეკედლება. რაც შეეხება კა-

ტებს, ისინი რომ არ იყვნენ ამ წისქვილში, აქამდის ვერთხები შემქამდნენ“.

კორინთელი წასვლას ამირებდა, მაგრამ მასპინძელი სადღეგრძელოებს არ ათავებდა.

ისევ შიშობდა სტუმარი, უცხო არა-ვინ მოსულიყო.

გარეთ გაიხედა. გზაზე ერთი თავსაფრიახი ქალისა და ბიჭის სილუეტი გასოჩნდა. ტომრებაკიდულ ვირს მოერეკებოდნენ ისინი. ჯერ მათი ნაჩრდილები მოჩანდნენ. როცა ისინი წისქვილს მიეახლნენ, ნიორთავა გამოეგება.

„გაგიმარჯოს, ნუნუ,“ — წაიდუღუნა სალამის პასუხად და ახლადმოსულებს ტომრების ჩამოღებისას უშველა.

მეწისქვილეს თავსაფრიახი ქალი და ბიჭი შემოაკვია.

„ჩემმა დედინაცვალმა გთხოვათ ეს სიმინდი ნაპურალზე არ დაფქვაო,“ — ჩაილაპარაკა ქალმა, კერასთან მჯდარს ერთი ჩახედა სახეში, განცვიფრებისაგან გაშეშდა და უქუდა:

„რამ შეგაკრთო, შე ქალო, აქ მო, და გვეწვიე!“ — შესძახა მასპინძელმა ახლადმოსულს, რომელსაც მკლავზე მობლატებოდა უქუდო ყმაწვილი. მეწისქვილემ ისევ აუშვა წისქვილი. მერმე კუთხიდან გამოათრია რკინის სამკუთხედი. რომელზედაც უზარმაზარი ჭრაქი იყო შესკუპული და აანთო იგი.

ჭრაქის სინათლეზე კორინთელმა იცნო კოლმეურნობის მერგოლური, ნუნუ უჯირაული და მის გვერდით მდგარ, თავმსხვილა, წერილკისერა ბიჭუნას რა დაადგა თვალი, შეძრწუნდა.

ნუნუს შეენოდა წითელი შალი, უბრალო, შავი მძივები ეკიდა ყელზე და ამ შალით თავწაკრულმა მძივებიანმა გოგონამ კორინთელს რაფაელ სანჩიოს „რკინის მანიაკიანი ქალი“ მოაგონა.

ამ წითელ ფონზე გამოჩენილი სპილენძისფერი სახე და დიდრონი მუქლურჯი თვალები, რომელთაც გოცუების იერი გადაჰკრავდათ, ფერთა უცნაურ სიმფონიას ჰქმნიდა. ამას ზედ ერთ-

ვოდა შვინდევით წითელი ზემოტუჩის კუთხეებში პაწია, ოდნავ საჩინო ბუსუსები და მარჯვენა ლოყავზე წიკრი.

ნუნუს სილამაზეს განსაკუთრებით ნაზს უსვამდა მისი მახისჯი ძმის გვერდით ყოფნა. თითქმის სამკუთხედი, უპროპორციო თავი, უზომოდ ფართო შუბლი, გაპარკყული ცხვირი და საესეებით მოკლე ნიკაბი, რაც უმთავრესაა, დიდი, ყვითელი ყურები და ლიმონისფერი სახე.

„დაიმუხლე, შე ქალო!“ — გვედრებოდა ნიორთავა სტუმარს. კორინთელი მიხედა, რომ უმთავრესად მას ერიდებოდა ქალი.

„დაბრძანდით,“ — ალერსიანად მამართა კორინთელმა მას. თავათ კოპიტის მორზე გადაჯდა, ხოლო თავისი დანჯღრეული ტაბურეტი ახლადმოსულს დაუთმო.

ნიორთავამ კიდევამოტეხილი თევშები მოარბენინა, წინ დაუდგა და-ძმას, ინდოურის ხორციც ჩამოურთავა მათ.

„რა ჰქენი, ბიჭო მალხაზ, ინდოურები არ დახოცე გზაში?“ — ჰკითხა ბიჭუნას „ინდოურები არა, დველი მოვკალი დაში“.

კორინთელს ეუცნაურა სიტყვის ასეთი მოქცევა, მასპინძელს იდაყვით შეეხო.

ეს ბიჭიო რას ამბობსო?

„ამ საცოდავს ენა ეჩლიქება. «გ» ვერ გამოუთქვამს. ინდოურები არა და გზაში გველი მოვკალიო“.

უთარჯიმანა ნიორთავამ.

ნიორთავას ხეწწნის მიუხედავად ნუნუმ არაფრის ქამა არ ისურვა, ხოლო მალხაზმა უკითხავად დაითრია ინდოურის ბარკალი, ნადირივით ღიჯნიდა მას, ცხენისებრ ყვითელ ლოჯებს აჩენდა ქამის დროს.

სუფრაზე ჩამოვარდნილი უხერხული სინუშის დასარღვევად კორინთელი ნუნუს შეეკითხა:

ეს ბიჭუნა ვისიაო?

ჩემი ძმა არისო. — მიიღო პასუხი.

„ნამდვილი ძმა?“

„ჩემი ნახევრად მამა, მამის მსრიდან ერთი ვართ,“ — თქვა თავჩაქინდრულმა ქალმა.

კორინთელი გაოცებული დარჩა: ასეთი ლამაზი და ეგზოტ მახინჯი ერთი და იმავე მამის ნაშვიერი როგორ არიანო?

გაიფიქრა და ღვინო მიაწოდა ქალს. ბიჭი მოებღაუტა ჯამს, ხელიდან წაპვლიჯა დას და ხახაში გადაუძახა.

ნუნუ მისწვდა ჯამს და არ აცალა გამოცლა.

„რატომ დაუშალე, ქალო?“ — შეეკითხა კორინთელი.

„თუ არ დაუშალეთ, ძლიერ ეტანება ღვინოს. სამ წლამდის მიწას ჭამდა, ახლა ღვინო შეუყვარდა. მთვრალი რომ მიეგვარო ჩემი დედინაცვალი მომკლავს.“

„რამდენი წლის ხარ, ბიჭიკო?“  
მალხაზი მოიღუშა და პასუხი არ გასცა კორინთელს.

„ცამეტისაო,“ — მიუგო ნუნუმ.

კიდევ ერთი ნაჭერი დაითრია გობიდან მალხაზმა. ისევე იგივე ხვადი, როგორც კორინთელს ინდოურის საბძეული წაართვა, ეცა მალხაზს და ხელიდან გამოაცალა ბარკალი.

ღრიანცელი მორთო ყმაწვილმა. კორინთელი შესძრა ვაგლახად დადრეჯილი ყმაწვილის ცრემლებმა. ახალი ნაჭერი გადაუღო და მოეფერა...

„თავი მომჭრეს ამ ტიალმა კატებმაო!“ — აყვირდა ნიორთავა და ცოცხს წამოუსვა ხელი, კატები ფაცხა-ფუცხით აჭრნენ სხვენთან კიბეზე, ნიორთავა თან მიჰყვა ცოცხით ხელში და სხვენზე გამართა ნამდვილი ომი.

უარესი ამბავი დაატრიალა ამ ღონისძიებამ, კაკუტებზე მორბენალმა კატებმა უამრავი მჭვარტლის ლოლღები ჩამოჰყარეს ძირს, მჭვარტლით გაივსო გობი და პროფესორის გაკრიალებული კაბარდინის საწვიმარი მჭვარტლით გაიმურა. მალხაზმა თავადღე იპოვნა ნუგეში: ნიორთავას მიერ ძირს ჩამორეკილი კატები რა დაინახა. შურისგება მოუხდა,

წკნელს დაავლო ხელი და უკან გამოუდგა მათ.

სასოწარკვეთილი ნიორთავა ნიორთავა თელმა ანუგეშა: საწვიმარს არაკუჭავს რაო.

როცა ყოველივე მიწყნარდა, ნუნუს სადღეგრძელოც წარმოთქვა მასპინძელმა. აქებდა მის თავმდაბლობას, სათნოებას და სიბეჯითეს.

კორინთელმაც ხელში აიღო ჯამი, ადღეგრძელა და ჰკითხა:

„შვიდწლედი ხომ გაქვს დასრულებული?“

ნუნუმ თავი ჩაღუნა და გაწითლდა ისევე, როგორც წელან ნაკვეთზე.

„არ აცალა მაგ აშარმა დედაკაცმა, თორემ ნუნუ ფრიადოსანი იყო“. სიტყვა ჩაურთო ნიორთავამ.

„ვინ არ აცალა?“ — იკითხა კორინთელმა.

„ქეთუმ, მისმა დედინაცვალმა,“ — მიუგო მასპინძელმა.

„ალბათ მიტომაც ვერ გაიგე პითაგორას თეორემა,“ — ჰკითხა კორინთელმა ნუნუს.

„ცოტა რამ გავიგე, მაგრამ მთლად ნათლად არა მაქვს წარმოდგენილი, თუ რა საჭიროა სწორკუთხოვანი ვახნარის დაგვეგვისას,“ — მორცხვად თქვა ქალმა.

კორინთელმა ჩხირი აიღო ხელში, მუგუზლები განზე გადასწია, ნაცარმოყრილი ფიქალი ჩხირით მოასწორა, ჯერ ოთხი კიდიდან მოხაზა, და ზედ სწორკუთხოვანი სამკუთხედი გამოსახა, და თქვა:

„ცოტა პრიმიტიულად გამოგვედის ეს საქმე, მაგრამ არაფერია, ძველ ბერძნებს ჩვენებური აუდიტორიები არ ჰქონიათ, ისინი ასე კერასთან პურობის დროს, ან სადმე ბაღში ასწავლიდნენ გეომეტრიასა და ფილოსოფიას, ნახშირის ნაჭერით, ან ჩხირით აღჭურვილნი.“

ვთქვით, ეს ჩვენს სავენახე ნაკვეთია, ეგეც სწორკუთხოვანი სამკუთხედი...“

ამგვარად მიჰყვა და ხელახლა საითათოდ აუხსნა ნუნუს კათეტებისა და ჰიპოტენუზის სიგრძის ამბავი, პითაგორას ცნობილი თეორემა და მანამ არ მოეშვა

სანამ თვალეზგაბრწყინებულმა ქალმა არ განაცხადა: ახლა ყოველივე ნათელიაო.

ნიორთავის ღვინო მოეკიდა, იგი დავინებით აძალებდა კორინთელს ღვინოს. სტუმარს თავათაც მისწევდა ის შემპარავი წადილი სმისა, რასაც იწვევს ხოლმე ქინძმარაული თავისი სურნელებისა და გემოს მეოხებით.

მას დიხაბაც სიამოვნებდა ამ მჭვარტილიან წისქვილში ყოფნა, გელაზების ერთობლივი გრუტუნნი, ფქვილში ამოთხვრილი მეწისქვილის ბუტუტი და ეგ ნაცრიანი პურიცა, მაგრამ იმასაც ხედავდა, რომ აქ ხანგრძლივად დარჩენა და ღვინის სმის განგრძობა უკვე აღარ ვარგოდა.

„თუ გინდა ადმიანმა შენი ქვეყნისათვის რაიმეს ვაკეთება შესძლო, სათანადო ავტორიტეტი უნდა შეინარჩუნო, როგორც ხელისუფლების, ისე ხალხის თვალში.“

წერილმანიო? ხანდახან წერილმანსაც გადაწვევით მნიშვნელობა აქვს. უქნარა ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს ადვილად ამოეფარება ხოლმე, მაგრამ წერილმანებშიაც გამოჩნდება საქმის კაცი“.

ფიქრობდა კორინთელი.

კერაზე გაჩაღებული ცეცხლი საამურად ტყიციუნებდა, კოპიტის მორებიდან გამოყონილი დუქი შიშინებდა. ამ იდილიას ამშვენებდა ეს მწყერივით პუტყუნა და მშვიდი გოგონა, რომელიც ასე ძლიერ ავანებდა კორინთელს რაფელ სანჩიოს „რკინის მანიაკიან ქალს“, ხოლო ქინძმარაული საამურ წინწკლებს აფრქვევდა სველი ხელადიდან ჯამში გადმოსხმისას.

უცნაური ის იყო, რომ იგი ძლიერ, ძლიერ წააგავდა იმ ღვინოს, რომელიც კორინთელმა და მისმა მეგობრებმა სვეს ქვევრის თავზე, გიმნაზიის დასრულების აღსანიშნავ ქეიფზე, ყვარელში.

კორინთელს ამ ღვინომ თავისი გამწარებელი, მაგრამ მაინც ტკბილი სიკაბუყე მოაგონა.

„ეიყო ახლა ოცი წლის, ოპ, როგორ მოვეუბნენდი ამ ღვინოს, თუნდაც გათენებამდის ვიქეიფებდით მუცელურულ წისქვილში, მაგრამ შემგლას, უქნარა არა მარტო სიკვდილის მოახლოების მაქნეა, არამედ იგივე ქალარა მპატებს ადამიანს თავშეკავებას და პასუხისმგებლობას ოჯახისა და თანამემამულეთა წინაშე“.

ფიქრობდა კორინთელი და მის გულში ერთი და იგივე აზრი წრიალებდა: არაეინ შემოვიდესო უცხო, უცნაურად თრთოდა, თითქოს უსაშველო რაიმე დანაშაულს ჩადიოდა.

მეორე მხრით, არც ის უნდოდა, ბედმაეი ბიჭუნა მალხაზი შემობრუნებულყო წისქვილში და ეს იდილიური განწყობა დაერღვია თავის მოუსვენრობითა და კატებთან ბლლაჭუნით.

ნიორთავა არ ცხრებოდა, მის დამკნარ ლოყებსა და დანაოტებულ დაწვის თავებს თრობის აღმური შემოგუნებოდა, დამტვერილი განჯინიდან წარამარა გამოჰქონდა ჩურჩხელები და ჩირის გალა, ისევე აძალებდა ღვინოს თავის სტუმარს, ხოლო ეს უკანასკნელი ამკარად გრძნობდა, რომ მას უკვე მიღწეული ჰქონდა ის მიჯნა, რომლის ვადალაზვისას კარგი ღვინო შემპარავი ძალღვივით გეცემა ხოლმე სახსრებში.

„აწი აღარ შეიძლება მეტის დაღევა“, — მტკიცედ უბრძანა თავის თავს ვახტანგმა.

როცა ისევე გაუესო ნიორთავამ ჯამი, კორინთელმა აიღო და განზე გადადგა.

მასპინძელი მცირე ხანს დაცხრა იმ იმედით, რომ შემპარავი ქინძმარაული უჩემოდ შეიტყუებსო სტუმარს.

ახლა ეს-ლა უნდოდა, როგორმე საუბრით შეექცია კორინთელი.

„ამ ზამთარში, ერთ წვიმიან ღამეს, სამი თბილისელი აგრონომი მეწვია ნაშუალამევეს, ნადირობიდან მობრუნებულებმა ღვინო სვეს და მთელი ღამე კერის პირად საუბრობდნენ ტკბილად.“

ერთი მათგანი პროფესორის თანაშე-



მწე იყო, ვგონებ. რა ჰქვია პროფესორის თანაშემწეს, ჩემო ბატონო?”

„ასისტენტი“, — მიუგო კორინთელმა.

„ჰო, ასიტენტი, — განაგრძო ნიორთავამ, — ეს ასიტენტი ამტყიცებდა, ვაზი და ღვინო ჩვენგან წაუღიათო ბერძნებს და კიდევ სხვა ხალხებს, მე მათი სახელი არ მაგონდება, ჩემო ბატონო. ახლა მე მინდა, თქვენი აზრი მოგვასმენინოთ ამ საქმის გამო, ჩემო ბატონო“.

„დიან, ასეთ შეხედულებას მართლაც იცავს ზოგიერთი ჩვენი მეცნიერი და მეც აგრე მგონია, ეს უთუოდ ასეა“.

თქვა კორინთელმა და, რაკი ნიორთავა ისევ წამოდგა და რომელიღაც ახალი სასამისის გამოსაჩხრეკად წავიდა, ნუნუს მიუბრუნდა:

„თქვენ ისტორია ვისწავლიათ ცოტაოდენი, ზომ?“

„ცოტაოდენი მისწავლიათ“, — უბასუხა მოკრძალებულად ქალმა.

„მრავალგვარი საბუთი ამოწმებს ამ დებულებას: ჩვენს ქვეყანაში აღმოჩენილ სამარხებში ნაპოვნი ღვინის ფიალები, სამწდურები და სხვა მისთანანი, რომელნიც რამდენიმე ათასი წლის წინანდელ ხანას მიეკუთნებიან.“

გარდა ამისა, სხვა საბუთებიც გვაქვს: წინა აზიიდან გადაიღეს ბერძნებმა ე. წ. „დიონისიას“ დღესასწაული, რომელიც იმართებოდა ღვინობისთვისა და მარტში.

იგი მიძღვნილი იყო თრობის ღმერთის — დიონისოსადმი.

შეუძლებელი აქ არაფერია, ცხადია, ბერძნებსა და ჩვენი ქვეყნის სხვა დამპყრობლებს მარტო ოქრო როდი მიჰქონდათ ჩვენგან, მიჰქონდათ ახალი, მათთვის უცხო იდეები, მცენარეთა და ცხოველთა სხვადასხვა ჯიშებიცა.

ჰოდა, ცოტაოდენი ისტორია თუ ვისწავლია, ისიც განაგონი გექნება, რომ ამ სამიოდე ათასი წლის წინათ ბერძნების პოეტმა ჰომეროსმა დაწერა პოემა „ოდისეა“, რომლის გმირი ოდისე

ჩამოდის კოლხიდაში და ეწვევა სტუმრად კოლხთა მეფის აეტისის დას — კირკესს.

ნიორთავას ეუცნაურა ეს სახელი და ბარე სამჯერ ჩაიდუღუნა: „კირკე, კირკე“, — და თქვა: „რა უცნაური სახელია, ჰა?“

და როგორც საამურ ცეცხლის პირად დამჯდარი მეზღაპრე აუჩაქრებლად, დინჯად და სადად მოჰყვება ხოლმე ძველსა და გრძელ ამბებს, ტატიტ საუბრობს, რათა დრო მოჰკლას როგორმე და მსმენელებსაც არ მოჰგვაროს რული, ისე მოუთხრობდა კორინთელი ნუნუსა და ნიორთავას იტაკის მეფის — ოდისეს ძველ კოლხიდაში, ანუ „აიაიას ქვეყანაში“ მოსვლას.

ჯერ ის უამბო მათ, თუ როგორ განგმირა ოდისემ შუბით „დიდი და ქორბუდიანი რქებით აღჭურვილი ირემი“, მხარზე გაიღო და მიუტანა თავის მშობლებს გემზე. და როცა ბერძნები ირმის ხორცს მიამღნენ, ორი რაზმეული შეადგინა ოდისემ აიაიას ქვეყნის დასალაშქრავად, ერთს თავათ დაუდგა სათავეში, ხოლო მეორეს და ევრილოზოს უსარდლა.

დიდხანს იარა ევრილოზოსმა უკაცრიელ ღრანტებსა და ტყეებში, ბოლოს მიადგა „გულბოროტი“ კოლხთა მეფის — აეტისის დის — კირკეს სასახლეს „თლილი ქვით ნაგებს“ უსიერ ტყეში.

მოჯადოებული ლომები, მგლები და გარეული ტახები დასუნსულებდნენ სასახლის ირგვლივ და ერთგულად იცავდნენ მას.

„ქალი თუ ღმერთქალი“ კირკე ჯარას ატრიალებდა და თანაც მომაჯოდობლად მღეროდა. კირკემ ისტუმრა ბერძნები, ფქვილი, თაფლი და რაღაც „ჯადოსნური შავი ბალახი“ გაარეგინა ღვინოში, შეასვა სტუმრებს და ღორებად აქცია ისინი.

ღორული დინგი გამოესხათ ბერძნებს, ღორული ჯაგარი ამოუვიდათ

სხეულზე, ღორულე ღრუტუნი მორთეს და რკოს დაუწყეს ქაპა. სახრე აილო კირკემ და საღორეში შერეკა ისინი. ძალით გაღორებას შემთხვევით გადაურჩა ბერძენთა სარდალი ევრილოზოს, გემზე მიბრუნდა და ტირილით ამცნო ეს ყოველივე თვისტომებს.

ოდისემ წელზე შეირტყა „ვერცხლით მოჭვდილი დიდი ხმალი“ და კირკეს სასახლეში ტყე-ტყე გაემართა.

იგი თავაზიანად მიიწვია თავის სასახლეში კირკემ, ვერცხლის ტაბაკი წინ დაუდგა და მასაც შეასვა ჯადოსნური წამლით შეკაზმული ღვინო. ბოლოს სახრე აილო კირკემ და საღორეში დამწყვდევა დაუპირა ოდისეს.

ხმალი გააშისვლა ოდისემ და ერთგულების ფიცი გამოსძალა კირკეს.

ახლა ოქროს ტაბაკი დაუდგა თავის სტუმარს მასპინძელმა „ოქროთი და ძოწით მორთულ“ თავის სასახლეში და მიართვა ოდისეს „წინწყლების მფრქვეველი ღვინო“. და ეს „წინწყლების მფრქვეველი“ კოლხური ღვინო მრავალგზის ნახსენებია ჰომეროსის „ოდისეაში“, — დასძინა კორინთელმა.

ცნობილია: ცეცხლი, ქალი და ღვინო საუბრის წადილს უორკეცებს მამაკაცს. ახლა ეს უნდა ეამზნა თავის მეინახეთათვის კორინთელს, თუ როგორ შეიწყალა კირკემ „გაღორებული“ ბერძენი მეომრები და ისინი კვლავ ადამიანებად აქცია. ისიც უნდა მოეთხრო, თუ როგორ მივარდნენ ბერძნები „წინწყლების მფრქვეველ“ კოლხურ ღვინოს, სწორედ ამ დროს ისეთი ძალით მოაბრაზუნა წისქვილის კარზე ვილაცამ, აგრე ეგონათ მასპინძელსა და სტუმრებს. ხუხულასავით წაიქცევაო წისქვილი.

კორინთელი უსიამოდ შეერთა, ჯერ ეს გაიფიქრა: ალბათ მალხაზმა ქვა ესროლა კარს, ერთი მიიხედა გასავლისაკენ, სამი თოფიანი კაცი შემოვარდა წისქვილში.

„ნიორთავა, სადა ხარ შე ღმერთაძალი?“

დაიღრიალა სამთა შორის მიხველად შემოსულმა, რომელსაც დახოცილი კურდღლები ეკიდა ქამარზე.

ნიორთავა კარებთან გაჩნდა.

„ქკუთი იყავი, კანკრე!“ — დასკუივლა ახლადმოსულს და კორინთელზე აჩვენა თვალით.

დამდურულევიტ გაბრუნდა კანკრე და სამივენი გაუჩინარდნენ ბნელში...

„ვინ იყვნენო?“ — იკითხა კორინთელმა.

ხიორთავა მიხედა ამ ანგლების დანახვა მაინცადამაინც რომ არ ეამა კორინთელს. ძლიერ შეცდუნდა ნუნუც, მაგრამ ხმა არ გაიღო. უხერხული ღუმლის დასარღვევად ეს-ლა წაიდუღუნა ნიორთავამ:

„ჰაი, გიდი, მაგ დალოცვილი კირკეს ღვინო მქონოდა ერთი, ღორებად ვაქცევიდი სამივეს ახლავე“.

კორინთელი წამოდგა, ამოდ ემუდარა მასპინძელი. ბოლოს წისქვილი გამოკეტა ნიორთავამ და სტუმრების გაცილება არ დაიშალა არასგზით.

•••

ბერზე გამოსვლისას უკვე იგრძნო კორინთელმა, რომ ღვინო წამოსძალეზბოდა იგი გზადაგზა ესაუბრებოდა ნუნუს ყვავილებისა და ფოთლების მეტამორფოზის, მიწის წიაღში მომხდარი ბიოქიმიური პროცესებისა და ვაზის ამპელოგრაფიის გამო. თანაც ნატროზდა, არასოდეს მოთავებულიყო კოლმეურნეობის წისქვილიდან ბერმუხაში მიმავალი გზა.

მათ უკან ნიორთავა და მალხაზი ტაატით მოერეკებოდნენ სახედარს. შეზარხოშებული მალხაზი ისეთი ტკბილი ტენორით მღეროდა, გაოცებული იყო კორინთელი: ასეთ ულამაზო ყმაწვილს როგორ ამოდისო ყელიდან კირკეს ღვინოსავით მომჯადოებელი ხმა...

## ორი ლექსი



სამშობრის არხზე

ივრის წყალი გარს გერთყმება  
შენ, თბილისო, ძველთაძველო!  
ეს ვინ შესძლო გონიერმა?  
იყოს მისი სადღეგრძელო!

აგერ, ჩვენ წინ გადამწვარი  
ვაზიანი და სამგორი;  
მათ ბალნარით მწვანედ მორთავს  
ივრის კოცნა და ამბორი!

ტკბილ ძუძუსაც მოგაწოვებს  
შენ, მინდორო, ვრცელზე ვრცელო!  
ეს ვინ შესძლო გამჭრიახმა? —  
იყოს მისი სადღეგრძელო!

უბე-კალთას ის აგვივსებს,  
რასაც დაერგავთ ჩვენი ნებით;  
ნელი ჰავა ნანას გვეტყვის  
და ოჯახში შევალთ შევებით!

ივრის წყალი შემოგვცახებს:  
იხარებდეთ, შრომის ძენო!  
ეს ვინ შესძლო სვემალალმა?  
იყოს მისი სადღეგრძელო!

სადაც ახლა ზღვა ჩადგება,  
იქ ერთი ხმა გაისმოდა;  
მე, ყრმას, მახსოვს: ჯულაშვილმა  
იქ მოაწყო მაისობა!

ის ადგილი ჩვენ შეგვამკობს,  
მოირთეება საქართველო;  
ხალხის გარჯით მან დასძლია  
საქმე რთული და საძნელო;

თქვა სტალინმა და ასრულდა!  
მისიმც იყოს სადღეგრძელო!

ხალხის გარჯით მან დასძლია  
ხაქმე რთული და საძნელო;



### შავთვალამ ერთხელ შეხედა



ლომგული ომში მიჰქროდა,  
თითქოს ფრთებგამოტანილი;  
ლენინის დროშა მიჰქონდა  
და წინ უძღოდა სტალინი!

გამარჯვებული დაბრუნდა,  
შეხედნენ ზეიმიტ, სიამით;  
შავთვალამ ერთხელ შეხედა,  
კიდევ განშორდა ცივლიტ.

ვაჟკაცმა — ომში გაეაზმა —  
მტერი გასრისა არჯალი;  
შინ დასტრა ერთმა ლამაზმა,  
არც უხმარია ხანჯალი!

## ერთი ბრძნობა



1

პირველი შეხვედრისთანავე მოხიბ-  
ლა შოთა ეკას თვალებმა.

აი, დგას ის ეკას შესრულებული  
სურათის წინ, უზიარებს ეკას თავის  
შთაბეჭდილებას და იმავ დროს მოუს-  
ვენარი ფიქრი უტრიალებს თავში:  
„სად მინახავს ეს თვალები?“

— სწორედ რომ მზიურია ჩვენი  
ქვეყანა, — ამბობს შოთა, — რა უხვი  
მზეა! რამდენი ფერია! მრუმე ზღვა და  
ლურჯი ცა, მწვანე მთები და წითელი  
ყვავილები, მუქი პალმები და თეთრა  
შენობები — ყველაფერი მზითაა ანთე-  
ბული და გახარებული. თითქოს ვიღაც  
ჯადოსანს ჩამოუძეწავეს საქართვე-  
ლოს ეს ლამაზი მხარე, რომ ჩვენ. მხა-  
ტვრებმა, ფუნჯი მოვიმარჯვოთ.

ეკას გაეხარდა, რომ ცნობილმა მხატ-  
ვარმა თავისი თავი და უცნობი მხატვა-  
რი ეკა ერთად დაასახელა.

გაიღიმა, მაგრამ შიში მაინც უერთო-  
და თვალებში და გული გამალებით  
უცემდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო?  
მისი სურათის წინ იდგა მხატვარი,  
რომლის აზრს ეკასათვის დიდი მნიშ-  
ვნელობა ჰქონდა.

ერთი კვირაა, რაც შოთა თბილისი-  
დან ჩამოვიდა. მას სოხუმის დათვა-  
ლიერება სურდა. მისი ახალი სურათი  
სოხუმის ფონზე იშლებოდა. ჩამო-  
სვლისთანავე გაიგო, რომ სოხუმში  
ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა ეწე-  
ყოფოდა. მივიდა საგამოფენო დარბაზში,  
ვაეცნო ახალგაზრდობას და დიდი ხა-  
ლისით დაეხმარა თავის ახალ ამხანა-

გებს გამოფენის მოწყობაში. ერთ-ორ  
ამხანაგს ზოგი რამ შეასწორებინა, ზო-  
გი რამ უჩივია.

გამოფენა გაიხსნა. სხვა მაცურებ-  
ლებთან ერთად შოთაც სურათიდან  
სურათზე გადადიოდა, ხალხის საუბარს  
ყურს უგდებდა. იგი ყოველთვის დიდ  
ყურადღებას აქცევდა, თუ როგორ  
შთაბეჭდილებას ახდენდა სურათი ხალ-  
ხზე. როცა რიგი ეკას სურათებზე მიდ-  
გა, შოთა სმენად იქცა, თან ერთი აკვია-  
ტებული აზრი უტრიალებდა:

— სად მინახავს ეს თვალები?

ეკას თვალები კი ელავენ, ციმციმე-  
ბენ, ათასფრად იცელებიან. შოთა აკვი-  
რდებოდა ეკას. აი, აი, თითქოს ამო-  
ცურდა მოგონება დაბინდულ შორეთი-  
დან. მაგრამ ისევ ნისლი გადაეფარა  
მოგონებას. ვერაფერი გაიხსენა შოთამ  
და თვალი სურათზე გადაიტანა, თან  
სმენად იქცა, რომ არათუ გამოპარ-  
ვოდა.

მაცურებლებს განსაკუთრებით ის  
სურათი მოეწონათ, რომელსაც ეწერა:  
„ჩვენი ოჯახი“.

— ეს სურათი შეძლებული კოლმე-  
ურნის ოჯახს გამოხატავს, — დაიწყო  
ამხსნელმა, — ლიმონი, ფორთოხალი.  
მანდარინი, ხურმა! დააკვირდით, რა  
ლამაზად მოსჩანს მწვანე ფოთლებში  
ოქროსფერი ციტრუსები! დახეკილი  
ტოტებისთვის სარები შეუდგამთ, რომ  
არ ჩამოტყდეს.

— აივანს უყურეთ, — წამოიძახა  
ერთმა ახალგაზრდამ, — აგურ ჯაგა-  
ნი, ჩურჩხელები, ტკბილისკვერი. მაგი-  
დაზე კომში, ბროწეული, ვაშლი. რა

ფერად-ფერადი ხილია, რა ლამაზი!.. აგერ სამზარეულოს წინ დიასახლისი დგას და ხელში დაკლული ინდოური უკირავს. ინდოურს უღონოდ ჩამოუშლია ფრთები...

ერთმა მოხუცმა სიტყვა ჩამოართვა ამხსნელს და თვითონ განაგრძო:

— ეზოს სიღრმეში ჩემსავით ქალბატონი ღვინით ავსებს კოკას. რა თავმოწონედ ამოაქვს ღვინო ქვევრიდან! აგერ სიმინდით სავსე ნალიაყ. ხედავთ ჩალანგარაში ჩარკობილ შამფურს? ჩვენში ასე ინახავენ შამფურს.

— სადღაც მინახავს ეს ეზო და ეს სახლი, — ჩაურთო ახალგაზრდამ.

— გალში ნახავდი, შეილო, — უპასუხა მოხუცმა, — გმირების რაიონში.

— ოქუშში ნახავდა, ბატონო, ოქუშში ბევრია ასეთი ოღასახლი, — უთხრეს მოხუცს.

— მერხეულში ცოტაა თუ? — მოისმა ჯგუფში.

— ვიკითხოთ და გვეტყვიან, — გულუბრყვილოდ გადაწყვიტა მოხუცმა და მიმართა ამხსნელს. — თუ შეიძლება გავიგოთ, რომელი სოფელია ეს?

ეკას გაეცინა, აღზნებული თვალები შოთას მიანათა და მის ზურგს ამოეფარა.

— რატომ იმალებით? ეს ხომ თქვენი გამარჯვებაა? — უთხრა შოთამ ეკას და თვალებში ჩახედა.

„ახ. სად მინახავს ეს თვალები!“

— მომილოცავს, ეკა, მომილოცავს, — უთხრა ამხსნელმა და ეკას ხელი ჩამოართვა, — ოღონდ „სოსუმპესი“ მაინც უნდა ჩამოგეტანა.

— მართლა, რატომ არა გაქვთ სურათი „სოსუმპესზე“ — იკითხა შოთამ.

— სურათი არის, მაგრამ ეკამ არ ჩამოიტანა, ვერ გაბედა.

— ხვალ წავალ იმ სურათის სანახავად, — თქვა შოთამ, — მე მახარებს ყოველი ჩვენი მიღწევა. ეკაც წამობრძანდება ალბათ.

2.

ეროვნული

მზიანი დღე იყო. მანქანა ხელნაკლებით მირბოდა აღმართ-აღმართ. შოთას იტაცებდა ბუნების მრავალფეროვანება.

აი, გზის ერთ მხარეს, მაღლობზე, უკვე შეყვითლებული სიმინდი, ხოლო მეორე მხარეს, დაბლობში, მწვანე და ნედლი! აი, წითელი ვაშლებით, ქარვისებური კომშით და მუქი მსხლით დაყურსული ბალები. აი, შუაზე გახლეჩილი ბროწეულები, თითქოს მზეს უცინიანო ლალისფერი კბილებით. ფართო ფოთლებიდან იჭვრიტება მოშავო და მოგრძო ლეღვი. იზაბელას შავი მტევნები ეშხით ელვარებდნენ მზეზე. შიგადაშიგ, ეზოებსა თუ ყანაში, შავთვალა და ოქროსწამწამებიანი მზესუმზირა ანათებდა. ზმირად ხედებოდათ პატარა-პატარა სოფლები, სადაც თამბაქოს დამათრობელი სუნი იდგა. ტაბატი მოდიოდნენ ხილით დატვირთული ცხენები, რომელთაც პატარა ბიჭები და ქალები მოსდევდნენ.

ერთგან, მაღალი მთის თხემიდან. შორს გაწოლილი, მზის სხივებში გახვეული შავი ზღვა გამოჩნდა.

ეკა და შოთა მანქანიდან ჩამოვიდნენ და სულგანაბული უმზერდნენ ზღვას. ზღვა ლივლივებდა. თრთოდა, თამაშობდა მზის სხივებზე. ათასფრად იცვლებოდა, ათასფრად ბრჭყვიავლებდა. დაბლა, მთის ორწოხებში, პატარა მდინარე მხოლოდა, ხტოდა ქვებზე, იყრიდა ქაფს, ბრჭყვიავლებდა მზეზე. ალაგ ყვითელი, ალაგ მწვანე მთა უზარმაზარ ვეფხეს გავდა, რომელიც მდინარის პირას გაწოლილა და თვლემდა. პატარა მდინარე თითქოს თამაშობდა ამ უზარმაზარი ვეფხვის ფეხებთან და მიეჭანებოდა შავი ზღვისაკენ.

— რა საუცხოო სურათია! — შემოჰკრა ტაში ბავშვივით აღტაცებულმა ეკამ.

შოთა დააკვირდა ეკას თვალებს. ერთხანს ვერ მოაშორა თვალი. ეკას სი-

წითლე შეეპარა შეგვერემან ლოყებზე.

— ქალბატონო ეკა, რამდენი ხანია მინდოდა მეთქვა, სადღაც მინახავს თქვენი თვალები.

— თვალი თვალს გავს, — ცივად უპასუხა ეკამ და მანქანისაკენ გაემართა.

„რატომ ეწყინა?“ — გაიფიქრა შოთამ და მანქანაში რომ ჩაჯდა, ისევ განაგრძო:

— გეფიცებით, მართლა მინახავს.

მანქანა გამალებით მისრიალებდა. დუმდა ეკა. დუმდა შოთაც.

„რატომ უნდა ვაწყენინო, — გადაწყვიტა ეკამ, — მართლა უნახავს ან მიმამსგავსა ვინმეს?“

და ეშმაკური ღიმილით უთხრა შოთას:

— ჩემი საქმროც ასე მეუბნებოდა გაცნობის პირველ დღეებში.

— როგორ? გყავთ საქმრო?..

მანქანა შედგა.

— ესეც „სოხუმპესი“, — თქვა ეკამ და მარდად ჩამოხტა მანქანიდან.

— ეკა მოვიდა! ჩვენი მხატვარი მოვიდა! სალამი ეკას! —

მოესმა შოთას და რამდენიმე კაცი გარს შემოეხვია ეკას.

— გაიცანიო! ეს ამხანაგი შოთაა, თბილისიდან ჩამოსული მხატვარი... ეს ამხანაგი გიორგია, „სოხუმპესის“ მშენებელი, — თქვა ეკამ და ჩამოშლილი თმები შეისწორა.

იყო წამი, თუ წამის მეასედი ამ ჩამოშლილი თმების შესწორებისას, როცა შოთას მოგონებაში ორმა თვალმა გაივლვა და ისევ ისე ჩაქრა... ვერაფერი გაახსენდა.

და სანამ ათვალეფრებდნენ მშენებლობას, შოთა დაძაბული ნებისყოფით იგონებდა, და ვერ გაიხსენა კი. სად

უნახა ეს თვალები. თითქოს გარდა შოთა. ერთი შოთა ცდილობდა ის თვალები მოეგონებინა, მეორე შოთას კი კანტიკენტად ესმოდა გიორგის სიტყვები.

— ბატონო შოთა, ხომ არ დაიღლიეთ? დაღონებული ბრძანდებით, — ჰკითხა ეკამ.

— არა! არა! მე იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორი ძალით შეიძლება გადმოსცეს მხატვარმა ეს მშენებლობა.

— როგორ? წამობრძანდით კვლავ და გაჩვენებთ, — უპასუხა გიორგიმ და ღიმილით შეხედა ეკას.

ეკა ოდნავ შეკრთა, დახარა თვალები, შემდეგ ასწია გრძელი, ხშირწაშწამებული ქუთუთოები და გიორგის მიაჩერდა.

„მომკალით და მინახავს ეს თვალები. მაგრამ სად?“.

თვალებში იყო შიში და მოკრძალება. სიხარული და ხალისი, და ისეთი ძალით ჩანდა ყველაფერი ეს, რომ შოთას მოეჩვენა: საცაა დაილაპარაკებნო ეს თვალები.

კვლების დარბაზში, თვალსაშიშრო ადგილას, ბზის ჩარჩოში ჩასმული იყო დიდი სურათი. შოთა დააკვირდა.

მალალი მთა ცისკენ აზიდულა. ლურჯი, ალაგ-ალაგ თეთრღრუბლიანი ცა ქულად დაუხურავს. მთის კალთაზე თეთრი, ყვითელი, იისფერი ყვავილები იცინიან. მთის ძირს ფირუზისფერი მდინარე ჩაუდის. თხემიდან ძირამდე მთას დაპყროლია მილი, რომელიც ძირლევით აბურთულა მთის მეკრძნე. მილის ბოლოს მედიდურად ამართულა რუხი შენობა, ზედ რადიო ანთა ასეტილა და ხშირი, მრუმე ტყის საუკუნეობრივი სიჩუმე დაურღვევია. მთისა, შენობისა და მილების გვერდით მთელი

სურათის სიმალლით იდგა მშენებელი ადამიანი, ხელი შორს გაეშვირა და, თითქოს მშენებელის ხელის გაგრძელებათ, მდინარის გასწვრივ, მთიდან მთაზე, გორაკიდან გორაკზე, გზატკეცილის პირას მოჩანდა თეთრნათურებიანი ანძები...

— შესანიშნავი სურათია! უეჭველად უნდა ჩაეიტანოთ გამოფენაზე, — თქვა შოთამ. — განა მარტო კომპოზიცია მომწონს! ფერები! მთელი სურათი ამბობს: საბჭოთა ადამიანი მშვიდობიანი ცხოვრებისათვის იმორჩილებს ბუნებას.

ისევე აციმციმდნენ, ისევე აელვარდნენ ეკას თვალები. ახლა სიხარული, მხოლოდ სიხარული იყო ამ თვალებში. შოთას მოგონებაში მკაფიოდ ამოცურდა ორი საოცარი თვალი და ისევე ჩაქრა. მას კი ფარული მიზანი ჰქონდა, როცა წამოსვლა შესთავაზა ეკას: მთელი დღე ერთად ვიქნებით და ვგებ გავიხსენო. სად მიწახავსო ეს თვალები...

## 3

მზე ჩაესვენა და ცის კიდური წითელ-ყვითელი ფერებით მოქარგა. ზღვას მუქმა ვერცხლისფერმა დაჰკრა. შემდეგ მუქი ვერცხლისფერ მრუმე-ლურჯად შეიცვალა.

გემმა დაიბუბუნა და წამსვლელ-გამცილებლებმა ერთმანეთს ხელები დაუქნიეს. შოთა არავის აცილებდა, ღაგრამ ხელი მაინც ასწია, მშვიდობა უსურვა გემს. ის იყო გემი შორდებოდა მისადგომს, როცა ერთმა გოგონამ გამცილებელთა წრე გაარღვია და გემბანზე გადმოწოლილ ახალგაზრდას თეთრი თაიგული გაუწოდა. ახალგაზრდა ვერ მისწვდა თაიგულს. მაშინ გოგონამ თაიგული მარჯვენდ ესროლა ქაბუქს. თაიგული მტრედით აფრინდა გემზე.

და უცებ, სრულიად მოულოდნელად, ოვალნათლივ გაცოცხლდა მოგონება. თითქოს გაირღვა მძიმე ფარდა, რომე-

ლიც ეფარებოდა ამ მოგონებას. თითქოს აიკრთა ნისლი, რომელიც უფრო და შორეულ სურათს, სიღრმეს სურათში ცხადლივ დადგა თვალწინ.

სამამულო ომის პირველი წელი იყო. შოთა ჯარში გაიწვიეს. მისი ნაწილი ერთ ხანს სოხუმში იდგა. ფრონტზე წასვლის დღეს ხალხმა გააცილა მებრძოლები. მაშინ შოთა საგუშაგოზე იდგა. ქვემეხებთან, ვაგონის ბაქანზე. ერთმა გოგონამ შოთას თაიგული გაუწოდა, გაუღიმა და თვალები შეანათა. შოთას არასოდეს უნახავს ასეთი მეტყველი და ცოცხალი თვალები. რამდენიმე წუთს უყურებდნენ ერთმანეთს უსიტყვოდ და იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში იმ გოგონას თვალები რამდენჯერმე შეიცვალა.

მატარებელი დაიძრა. ხალხი აედევნა ვაგონებს. ხელს უქნევდნენ მებრძოლთ, ესროდნენ ყვავილებს, აწვდიდნენ საჩუქრებს. მემანქანე თითქოს გრძნობდა ხალხის გულისცემას, არ ჩქარობდა. ნელა მიჰყავდა მატარებელი და დიდხანს უცქეროდნენ ერთმანეთს წამსვლელნი და გამცილებლები. ის გოგონა კი შოთას გვერდით მისდევდა ვაგონს, ხელს უქნევდა, უღიმოდა. დიდხანს უმზერდა შოთა გოგონას, სანამ ის უცნობი გოგონა რკინიგზის ყრილთან პატარა გვირილასავით გამოჩნდებოდა.

რამდენმა ხანმა განვლო მას შემდეგ? გადაიარეს ომის წლებმა გრძალით, დადგა მშვიდობიანი ცხოვრების ნანატრი წლები. სად არის ახლა ის უცნობი გოგონა? ის უკვე ქალიშვილი იქნება. შეძლება გათხოვდა კიდევ. ალბათ სრულიად არ ახსოვს შოთა. რამდენ სადგურზე მიუერთმევიათ ქალიშვილებს შოთას და მისი ამხანაგებისათვის თაიგულები. ვინ იცის იმ გოგონას რამდენი მებრძოლი გაუცილებია? ყველას ზომ ვერ დაიმახსოვრებდა. შოთას კი ახსოვს მისი თვალები, ეს თვალები იყო ერთადერთი. განუშეოვრებელი.



— სურათზე გავაცოცხლებ იმ გოგონას და ეკას თვალებს ჩაუდგამ. სულ ერთი არაა? სურათმა უნდა გამოხატოს საბჭოთა ხალხის მორალური სიდიადე, სურათმა უნდა შეხედოს ქვეყანას სიმაღლის უმზაკვრო თვალებით, — ასე ფიქრობდა შოთა. მან არ იცოდა რანაირი იქნებოდა ის სურათი, მაგრამ გრძნობდა, რომ დახატავდა.

ხოლო ეკა?.. ეკას უნდა ვერჩიოთ თბილისს წამოვიდეს, რომ პროფესიული მხატვარი დადგეს. ცოდვია ასეთი ნიჭი არ გაიფურჩქნოს, არ გაიზარდოს.

ასე ფიქრობდა შოთა და მხიარულად მიამბიჯებდა ზღვისპირა ხეივნის ალერსიან სინემეში.

## 4

— როგორ? ზეგ მიღიხართ? ასე აღრე? — ეწყინა ეკას.

— აბა რას დაეუცადო? საქმე მაქვს.

— ჰო, საქმე პირველყოვლისა.

— დიახ! და მეც საქმეზე მინდა მოგელაპარაკოთ. კარგად დაფიქრდით და ასწონეთ ჩემი სიტყვები. მე ბევრი ვიფიქრე თქვენზე. ზოგი რამ კიდევ ვიცი თქვენზე.

შოთა გადააწვა ზღვისპირა მოაჯირს. ეკა გაინაბა, მიჩერდა შოთას. ბეტონის ლოდებზე შეფეხვად იმსხვრეოდნენ ტალღები.

შოთამ ზოგი რამ უკვე იცოდა ეკას შესახებ. იცოდა, რომ ეკა ქართული ენის მასწავლებელი იყო, კარგ ოჯახში აღზრდილი. რომ ფერწერა თვითონ უსწავლია, ხოლო შემდეგ მასწავლებელ მხატვარს გაუმართავს მისი ხელი.

შოთა ისე ფაქიზად და სათუთად ეპყრობოდა ეკას ნიჭს, რომ მტკიცედ გადაწყვიტა დახმარებოდა ეკას, არ ჩახშობილიყო მისი ნიჭი. იცოდა, რომ შემოქმედს ბავშვის გული აქვს, მას ცოტა რამ გაახარებს, განსაკუთრებით გულწრფელი ყურადღება მისი ნაწარმოებებისადმი.

— თქვენი სურათები კარგია. თქვენი მდიდარი ნიჭი გაქვთ და უტყუარობა. თქვენ გესაქიროებათ დახელოვნება. ამიტომ საჭიროა თქვენი წამოსვლა თბილისში. მე მაზარებს ყოველი ახალი ნიჭი და გულწრფელად მსურს დაგეხმაროთ.

— გმადლობთ ყურადღებისათვის, რჩევისათვის, გულისხმიერი მოპყრობისათვის. მაგრამ... ეგების ცდებით თქვენ? ვილაპარაკოთ გულახდილად: თქვენ ხომ ჩემი მომავლის ბედსაც წყვეტთ?

— მე მოგახსენებთ, როგორც მხატვარი მხატვარს.

— მჯერა, მაგრამ ჩემი მხატვრობა სასხვათაშორისო საქმეა. სკოლაში მუშაობა კი უფრო საჭირო და პრაქტიკულ საქმედ მიმაჩნია.

— განა მხატვრის შრომა საჭირო და პრაქტიკული არ არის?! — გაუეკირდა შოთას. — განა ეს თქვენი გამოუფენა მშვენიერი სარკე არ არის საბჭოთა საქართველოს შესანიშნავი მიღწევებისა?

— მართალია, მაგრამ თქვენ პროფესიული მხატვარი ბრძანდებით, მე კი მოგახსენებთ ჩემს საკუთარ თავზე. ხოლო როცა გული მოიტანს, დაგხატავ რასმე. ჩვენში თვითშემოქმედებითი მხატვრობასაც ხომ უწყობენ ხელს.

— მე კი მეგონა, რომ თქვენ თბილისში წაგიყვანდით.

— წამიყვანდით? — შეიქრა ეკამ წარბები.

— დიახ! ესე იგი დაგეხმარებოდით, რომ პროფესიული მხატვარი გამოსულიყავით.

— არა, მე ვერ წამოვალ! — მტკიცედ უპასუხა ეკამ.

— საქმრო არ გაგიშვებთ?

— დიახ! — ჩაიციხა ეკამ.

— უცნაური კაცი კი ყოფილა ის თქვენი საქმრო, — უთხრა შოთამ. — ნიჭს გზას უზღობს თავის ვიწრო და ეგოისტურ ზრახვათა გამო.

— ჩემი გზის დახშობა არავის შეუძლია, — უპასუხა ეკამ.

— თქვენი ნებაა. მე კი სიკეთე მინდოდა თქვენთვის... და, მგონია, არ ვცდები თქვენი ნიჭის შეფასებაში...

— ეკ, ამხანაგო შოთა! ჩვენ ადვილად გვეჯერა ის, რაც ჩვენთვის სასურველია.

— ესეცაა, რომ ზოგ მოვლენას ვერ ირწმუნებ, თუ არ დაინახე. ზოგი მოვლენაც კიდევ იმისათანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ, — უპასუხა შოთამ. — უნდა გწამდეთ საკუთარი ძალა, — მაშინ გაიმარჯვებთ.

ეკა დუმდა და დაჰყურებდა ტალღებს. ბეტონის ლოდებზე კი ისევ-ისევ მხოლოდნენ, ისევ-ისევ ცელქობდნენ ტალღები.

— მე გატყობთ, არა გჯერათ ჩემი, — დაიწყო შოთამ. — აი, თუნდაც თქვენი თვალების შესახებ.

— რას ჩააცივდით ჩემს თვალებს? — გაიცინა ეკამ.

— რა დაგიმალთ, ქალბატონო ეკა! აქ, სოხუმში, ომის დროს, შევხვდი ერთ ქალიშვილს. იმისი თვალები მომაგონეს თქვენმა თვალებმა.

— იქნებ აქ იმისთვის ჩამოხვედით, რომ შეხვედროდით?

— არა, არა! ეს იყო სიზმარივით, ზღაპარივით. იყო და არა იყო რა, გინდათ გაიმბოთ?

ეკამ გამომწვევად შეხედა შოთას: არ მჭირდებაო თქვენი რომანი, — და უცბად შეიცვალა კილო:

— მაშ, თქვენ ორ დღეში წახვალთ?.. რა კარგი ჰქენით, რომ ჩამოხვედით... რა კარგია, როცა კარგ ადამიანს შეხვდები... მე თქვენ დიდი ამაგი დამდეთ. გთხოვთ ხვალ მეწვიოთ სადილზე. ჩემს მშობლებს გაგაცნობთ.

როცა გამომეშვიდობა ეკას, შოთამ საყვედურით უთხრა თავის თავს:

— უნდა მეთქვა თვალების ამბავი. ვერცხვი, ხვალ ვერცხვი უპიკვლად. არ

იფიქროს, რომ ჩემს გულში ის ქალი... ის გოგონა...

5. ეპილოგი

მზიარული სადილი ჩემი ეკა მანანბოზე უკრავდა. სტუმრები მღეროდნენ. ცეკვავდნენ. შოთა ატყობდა, რომ ეკას თითები უთრთოდა კლავიშებზე. თვითონ შოთაც ვერ იყო დამშვიდებული. სულ უფრო და უფრო მკაფიოდ დგებოდა მის თვალწინ საკითხი: ეკა ის ქალია. რომელიც მას წარმოედგინა თავის ოცნებაში, თუ ყველაფერი ეს სიცილქე იყო მზის სხივებისა, ზღვის ტალღებისა და ეკას ნიჭით გამოწვეული მოულოდნელი შთაბეჭდილებისა.

გულს ყოველთვის სწადია სითბო და ალერსი. სიყვარული კი ისეთი ზღვაა, რომლის დღევას ზღვარი არა აქვს. შესცურავ და ვინ იცის, რომელ ნაპირზე გაგრიყავს? შოთას მეტი უცხოვრია, მეტი უნახავს, მაშასადამე, მეტიც მოეთხოვება. ხოლო ეკას ოცდაორი გაზაფხულის მეტი არ უნახავს. განა შეიძლება შოთამ ნება მისცეს თავის თავს, რომ ეკას ცხოვრებაში შეიჭრას? სურათის დახატვა ხომ არ არის ადამიანის ბედის გადაწყვეტა? სურათს დახატავ, არ მოგეწონება და წაშლი. განა წაშლი ადამიანთან დაწყებულ ცხოვრებას?

„რა სისულელეებს ვფიქრობ. — გამოუტყდა შოთა თავისთავს, — ქალს საქმრო ჰყავს, მე კი გეგმებს ვაწყობ... არ ვარგა ასე... მეტი პატივისცემაა საქმრო გრძნობისადმი...“

შოთამ გადაწყვიტა თავისი გრძნობის შეზღუდვა. ისე როგორც სურათის შემოწმება შეიძლება მოშორებით, გრძნობაც მოწმდება მანძილზე. დრო განსჯის, დრო დამკდისო, გადაწყვიტა.

ასე გადაწყვიტა და უცებ გამზიარულდა. საერთო ფერხულში ჩაება. მოილხინა, იცეკვა. საპატიო სტუმრის გამზიარებლამ ყველანი გაახალისა. ამრიალდა მოცეკვავე ქალთა კაბები.

შოთამ თვალი მოჰკრა, რომ ეკა დერეფანში გავიდა.

— ვერცვი, ახლა ვერცვი თვალების ამბავს, — გაიფიქრა შოთამ.

საერთო ცეკვა-ბრაილში არავის შეუმჩნევია შოთას გასვლა დარბაზიდან. ეკა თავის ოთახიდან გამოდიოდა, როცა შოთა წინ შეეფეთა.

— ხომ არ მოიწყინეთ, ბატონო შოთა? — ჰკითხა ეკამ ღიმილით.

— რასა ბრძანებთ!.. მე მხოლოდ მიხდოდა მეთქვა ერთი ამბავი. შეიძლება მომისპინოთ?

— რალა დერეფანში? ჩემს ოთახში შემობრძანდით!

— ქალბატონო ეკა, მე მოფიქრებულნი მაქვს ერთი სურათი. რომ დავიწყო, ვეძებ ისეთ ქალს, რომელსაც ერთობ გამოამეტყველი თვალები უნდა ჰქონდეს. აი, ისეთი, როგორიც თქვენა გაქვთ. შეიძლება, თუ არა, ვიქონიო იმედი, რომ თქვენ ნებას დამრთავთ დაეხატო თქვენი თვალები?

— კი, ბატონო, ამაზე როგორ გეტყვით უარს?

— დიდი მადლობა, დიდი!.. ახლა კიდევ რა უნდა მეთქვა...

შოთა შეჩერდა. სიტყვებს ეძებდა. თვალი მოაქლო ოთახს. უცებ კუთხეში მხატვრის თვალმა ტილოგადაფარებული სურათი შენიშნა, რომელიც ტანისამოსის კარადას ამოფარებოდა.

— მაჩვენეთ ეს სურათი, — თხოვა შოთამ ეკას.

— არ შეიძლება. დაუმთავრებელი სურათია, — და ეკა აეფარა სურათს.

„ეგებ საქმროს სურათია?“ — გაუელვა შოთას, მოიღრუბლა და ნაძალადევი ღიმილით ჰკითხა:

— საქმროს სურათია?

— მე საქმრო არა მყავს! გეხუმრეთ, ბატონო შოთა! — ეკამ ტილო მოხსნა სურათს.

შოთამ კინალამ შეჰყვირა.

სურათზე დახატული იყო ვაგონები. ერთი ღია ვაგონის ქვეშეთან იდგა თოფიანი კაცი. ვაგონს გარს ეხვია ხალხი. ერთ გოგონას თეთრი თაიგული გაეწო-

დებინა თოფიანი გუშაგისათვის და მთელი ტანით აწეულიყო მისკენ, ვაგონებს იქით მოჩანდნენ ხარაჩოები და დამკლავებული მუშები. გოგონას თვალების ადგილი ცარიელი იყო.

— ეს სურათი ჩემი ცხოვრების ნაწილია, — გულდაწყვეტილად თქვა ეკამ. — ერთხელ ომში წამსვლელთ ვაცილებდი. მე მაშინ მოსწავლე ვიყავი. ერთ ქვეშეთან ჩემი ყურადღება მიიქცია გუშაგმა და თაიგული ვაჩუქე, თეთრი თაიგული. მე თეთრი ყვავილები მიყვარს... მას შემდეგ ჩამრჩა სსონეში ის გუშაგი... ჰო, და, ეს სურათი დაეხატე. მიხდოდა გამოემხატა ჩვენი ხალხს დიდი მორალი: დავიცავთ სამშობლოსაც, ავაგებთ სახლსაც... ოღონდ ჩემი თვალები ვერ დაეხატე... ჰო, ვერ დაეხატე.

შოთა აენტო, თითქოს ცეცხლი მოედო, თვალებში ჩახედა ეკას და აღელვებით უთხრა:

— ეს იყო აქ, სოხუმში. ზაფხულის სალამოს... თქვენთან იდგა ქალარა ქალი.

— დიახ, დედაჩემი. — მიუღო გაკვირვებულმა ეკამ.

— თქვენ დიდხანს მისდევდით ვაგონს. ბოლოს გუშაგმა ერთი ყვავილი ამოაძრო თაიგულს და გადმოგცათ... თქვენ დიდხანს იდევით ერთ ადგილზე ხელაწეული...

— თქვენ რა იცით?

— ის გუშაგი მე ვარ, ეკამ მე ხომ ვითხარით, სადღაც მინახავს-მეთქი თქვენი თვალები?...

ეკას თვალწინვე წარმოუდგა ის, რაც შოთამ უთხრა. მართალია, ეკას მუდამ ახსოვდა ის დღე და ის შეხვედრა, მაგრამ დროთა განმავლობაში შეხვედრას თავისი სიცხადე დაეკარგა. ცვალებადი ახალგაზრდობის შთაბეჭდილება. იგი გავს ხეს, რომელიც ყოველწლივ იფოთლება და ყოველწლივ მიშვლდება. უცვლელედ რჩება მხოლოდ დედატოტი. ეკას მოგონებაშიაც იმ შეხვედრისაგან დარჩა გუშაგი, მაგრამ როგორი იყო ის გუშაგი მკაფიოდ ვერ დაუმასსოვრებია.

ზშირად იმ გუშავს თავის წარმოდგენაში ათას სხვადასხვა გმირს ადარებდა. ბოლოსდაბოლოს ეკას ოცნების ბურუსში შოთა — ასი გუშავი იყო, ასი რაინდი, მაგრამ სინამდვილეში არც ერთი. გარდა ამისა, სამხედრო ფორმა ძალიან ცელის ადამიანის გარეგნობას, ამიტომ ეს შოთა იმ გუშავს სრულიად არა გავდა. ახლაც ოცნების ბურუსი გაიფანტა და შორეული, ხელშესახები სახე მიიღო. მოგონების ბინდში გაჰკრა ელვამ და შოთას სახე გაანათა ისე, როგორც დაინახა ის ეკამ მაშინ, ქვემეხთან, თოფით ხელში.

— იცით, რა მომწონს ამ სურათში? გამოარკვია ეკა შოთას სიტყვებმა, — ხარაჩოები... მეტბრძოლები ფრონტზე მიდიან, მაგრამ ხალხს მშვიდობიანი მშე-

ნებლობა არ შეუწყვეტია... ხარაჩოებში სახლი მოჩანს... მშვიდობიანობა და მშენებლობა ჩვენი ხალხის დაუწყვეტელი თვისებაა... სამშობლოსაც დავიცავთ, სახლსაც ავიშენებთ ბედნიერებისათვის, სიყვარულისათვის. აი, ეს უნდა ჩანდეს გოგონას თვალებში. ამას უნდა შეტყვევებდნენ თვალები.

ეკა მივიდა შოთასთან, შთაგონებით ჩასჩურჩულა:

— მაშ, თვალები თქვენ ჩაუდგით სურათს!

— დიახ თვალები, თქვენი თვალები! — წამოიძახა შოთამ. — სასიხარულოა, მე იქ, თბილისში, მოვიფიქრე და თქვენ აქ, სოხუმში, დაგიწყიათ. რა კარგია, რომ ერთი აზრი გვაქვს და ერთი გრძნობით ვსუნთქავთ.

## ლილეა უკროს ძემს

\*

### მავზოლუშმთან

უამინდობა, თუ ამინდია,  
აქ ყველა ხალხის ერთგული ძენი  
ქუდმოხდილები წყნარად მიდიან  
და ერთ ენაზე ამბობენ: ლენინ!

ლენინ! — ინდოელს სწყდება ბაგეზე,  
ლენინ! — ჩურჩულებს მუშა ჩინელი,  
ლენინის ნახვა ყველას აქეზებს  
იყოს მებრძოლი და სტალინელი.

ლენინმა მოსპო მონობა ქვეყნად,  
მშვიდი ცხოვრების გაგვიღო კარი,  
ჩვენც მიტომ ვამბობთ დღეს ასე  
ერთხმად:  
ლენინის ხსოვნა მშვიდობა არი!

დიდმა ლენინმა ხალხებს უბოძა  
მშვიდობიანი ცხოვრების დღენი,  
ჩვენც ასე ერთხმად დღეს მის  
კუბოსთან  
ფიცს ვდებთ: მშვიდობას დავიცავთ,  
ლენინ!

და გვწამს, ვერაგი ველარ წაბილწავს  
ჩვენს სულზე უტკბეს სამშობლოს  
მიწას.

რადგან მშვიდობა უთქვამს სტალინსა,  
რადგან სტალინის გენია გვიცავს.

კრემლის კოშკებიც სტალინის ხელით  
სჩანს თითქოს უფრო ამღლებული,  
წამოდექ, ლენინ, იხილე შენი  
ქვეყნის ცხოვრება გალაღებული.

წამოდექ, ლენინ, რამე გვითხარი,  
ღიმი მოგვფინე კვლავ შენებურად,  
კუბოს კარამდე დაუვიწყარი  
შენი სამშობლო დამშვენებულა!

მაგრამ... ლენინის ბაგე მღუმარებს,  
თუმცა კვლავ ბრწყინავს მისი გონება,  
ლენინის სახეს წინ გაუარეს  
მშვიდობის მომხრე მილიონებმა.

და მუდამ — ჰყინავს, თუ ამინდია,  
აქ ყველა ხალხის ერთგული ძენი  
ქუდმოხდილები წყნარად მიდიან  
და მოკრძალებით ამბობენ: ლენინ!

ლენინ! — ამბობენ დილაადრიან  
ბაეშვი, ჰაბუკი, თუ თმაქაღარა,  
და წმინდა გულით მას უმადლიან,  
ლენინის დროშა ვინც არ დახარა.



## მე მიხარია



მე მიხარია, როდესაც ვხედავ  
შინ, ხალიჩაზე, პატარა სურათს:  
შავულვაშიან, შავგვრემან მხედარს  
ქერა ვაჟკაცი უღიმის ძმურად.

მე აღტაცება დავფარო — მიმიძივს,  
და ჩემს თვალთაგან სხივი მოგონავს,  
როდესაც ცისფერ თვალთა ციმციმით  
რუსთველს კითხულობს რუსი გოგონა.

მე როცა მატკობს ჰანგი ნათელი,  
თითქოს ლაქვარდი შიტაცებს ზემოთ:  
„სულიკოს“ მღერის სტალინგრადელი,  
ქართველი მღერის: „მოსკოვო ჩემო“.

მე სიხარული მინამავს თვალებს,  
როს ტიხონოვი ალაზნის ქალებს,  
ჩვენს ფირუზის ცას, ზურმუხტის  
ხმელეთს  
ცისარტყელების ფერებით ხატავს,  
შიგ თავის ვულწრფელ სიყვარულს  
ატანს.

მე მიხარია, როდესაც გორი  
ციმბირელისთვის არ არის შორი.

მე ტანში ვრეოლა დამივლის მყისვე,  
როს სააკაძის მედგარ ხმას ვისმენ:  
„რომ დღეშმანს ერთი ვეჩვენოთ ასად,  
დაპკარით რუსთა პანგების მსგავსად“.

ძმობის სურვილი ჰქონია, ვხედავ,  
ჩვენს დიდ წინაპარს, უძლეველ  
მხედარს.

დღეს მისი ნატვრა ცხადად ქცეულა:  
ქართველი ლხინშიც არ დგას ეულად.

თავის დიდ ძმასთან ერთად ქართველიც  
ხმალამართული ეკვეთა მზაკვარს.  
დღესაც სტალინის ღიმი ნათელი  
ერთად გვინათებს ცხოვრების  
გზაკვალს.

და მიხარია, როდესაც ვხედავ  
შინ, ხალიჩაზე, პატარა სურათს:  
შავულვაშიან, შავგვრემან მხედარს  
ქერა ვაჟკაცი უღიმის ძმურად.

## ბაჩენის დღიდან თან დამყოლია



ყველა გამრჯელი, ყველა მშრომელი  
ეტრფის დიდ რუსეთს, მძლეს და  
გოლიათს,  
მეც მისი ტრფობა განუზომელი  
ვაჩენის დღიდან თან დამყოლია.

მიყვარს რუსეთის ტრამალიც ვრცელი,  
მისი ბალახიც, ხეცა და ხავსიც.  
რომ მოიარო მსოფლიო მთელი,  
მხარე ვერ ნახო რუსეთის მსგავსი.

ვერსად ვერ ნახო ცა ასე ლურჯი,  
ვარსკვლავთა შუქით ნაქათქათარი,  
აქ ბრწყინავს კრემლი — მშვიდობის  
ბურჯი —  
აი, რუსეთი მძლავრი რად არი!

დღეს საქართველოც ფეხზე ამდგარა,  
დიდი საბჭოთა დროშის ქვეშ ხარობს.  
რუსეთში მოსჩქიფს მუდამ ანკარა,  
თექვსმეტი მოძმის სიციოცხლის წყარო.

არწივის ფრთის ქვეშ ვლესავდით  
 მახვილს,  
 ამიტომ დავდგით მტრის ძვლებს  
 ყორე,  
 დღესაც ახალი ომების ზრახვის  
 არ გვეშინია ამიტომ სწორედ!

ყველა გამრჯელი, ყველა შრომელი  
 ეტრფის დიდ რუსეთს — მძლეს და  
 გარლიათს  
 მეც მისი ტრფობა განუწომელი  
 გაჩენის დღიდან თან დამყოლია.

პუშკინისადმი



ხალხის ჯალათს რომ მიაჩნდი ურჩად,  
 იხილე ხალხის ცხოვრება ლალი,  
 ადექი, ნახე პუშკინის ქუჩა,  
 ადექი, ნახე პუშკინის ბაღი.

ვემახსოვრები გმირების მკვიდრებს,  
 შენს უკვდავ ძეგლთან ხალისით  
 შეყრილთ,

დედამიწაზე იქნება ვიდრე  
 ერთი მცხოვრები საბჭოთა ქვეყნის.

შენი რუსეთი თვითონაც აღსდგა,  
 სხვა ერთა გულსაც გმირობით ანთებს,  
 თექვსმეტი მოქმის ოჯახი ახლა  
 ზიზღით და კრულვით ახსენებს  
 დანტესს.

ადექ, კეთილი აზრი გაღვივდა,  
 შენი ჩონგურით ნაქადაგარი,  
 ამაოდ გვიღრენს მტერი გაღმიდან,  
 ამაოდ ლესავს ლახვარს მზაკვარი.

მტერს მუდამ უკან დავახევინებთ —  
 ჩვენ ხომ სტალინის ლაშქარი გვქვია!  
 შენს სურათს არვის დავახევინებთ,

შენს წიგნებს არვის დავაწვევინებთ,  
 თუნდ სეტყვასავით ცვიოდეს ტყვია!

ზეცამ საავდროდ რაც უნდ იგრგვინოს,  
 სამშობლო ვერვინ დააზიანოს,  
 დაუქცნობელო ჩვენი გვირგვინო,  
 ჩვენი აზრების თანაზიარო!

დღეს რომ გენახა სამშობლო, ალბათ,  
 შენც მოგზიბლაედა ასე ნეტარი,  
 ხარბათ ვსვამთ შენი ლექსების  
 შარბათს  
 და გვეტკბილება, როგორც ნეტარი!

ადექ, რუსეთი თვითონაც აღდგა,  
 სხვა ერთა გულსაც გმირობით ანთებს,  
 დიდი საბჭოთა ოჯახი ახლა  
 ზიზღით და კრულვით ახსენებს  
 დანტესს.

ხალხის ჯალათს რომ მიაჩნდი ურჩად,  
 ადექი, ხალხი ზეიმობს ლალი,  
 თბილისშიც ნახე პუშკინის ქუჩა,  
 თბილისშიც ნახე პუშკინის ბაღი.

## შენიშვასიტყვით ლენინის გოგრაჟი



★

ომი სწყურიათ უოლსტრიტელებს,  
ხანძრებს ეტრფიან, კვამლსა და  
ნაცარს,  
ჩვენ კი ნაომარ წყლულებს  
ვიმთელებთ,  
მეცნიერების ვაშენებთ ტაძარს.

ვინც მოიარა ვოლგა მთლიანად,  
ვინც ქუსლი დაჰკრა ბერლინის  
კარებს,  
რუსი ვეჟაკი ომახიანად  
დინჯად დაიწყებს რუსთველის  
პწკარებს.

უოლსტრიტელი ამზადებს ტყვიას,  
ლრინავს ზარბაზნის გამომჟღავნებელი,  
ჩვენს მძლე მუშას კი ზეცაში მიაქვს  
მეცნიერების ტაძრის კედელი.

შევა თბილისის მხრიდან ჩასულიც,  
არვინ დაუდებს კარზე ურდულეებს,  
გიშერთვალემა ნაზი ასული  
პუშკინს ზეპირად ჩააბულბულებს.

მის წვერს სიმაღლით ავაწვდნთ  
ტატნობს,  
ზედ კომუნნიზმის დავკიდებთ დროშას,  
დიდი საათი მსოფლიოს ამცნობს  
სწავლის, შრომის და მშვიდობის  
დრო-ყამს.

სახემლიმარნი გავლენ დაფასთან,  
ვისაც ვერ აკრთობს მტრების ატომი,  
ჩვენს დიდ ხანაში შრომაც დაფასდა,  
სწავლაც გავხადეთ ზელმისაწვდომი.

მისი დარბაზი შეუქად მოიფენს  
ლომონოსიევის ღვაწლმოსილ სახეს,  
დიდი ჩარჩოდან დიდი კორიფე  
რუსულ სიბრძნეზე მოუთხრობს  
მნახველს.

უოლსტრიტელი ამზადებს ტყვიას,  
ლრინავს ზარბაზნის გამომჟღავნებელი,  
ჩვენს მძლე მუშას კი ზეცაში მიაქვს  
მეცნიერების ტაძრის კედელი.

აქ იელვარებს დიდი კანდელი,  
ზღვა სიბრძნის შექვის ჩამომთოველ,  
მერბზე დაჯდება სამარყანდელი,  
ლიმს შეაგებებს მამა მოსკოველი.

მისი სიმაღლე მისწვდება ტატნობს,  
ზედ კომუნნიზმის დავკიდებთ დროშას,  
დიდი საათი მსოფლიოს ამცნობს  
სწავლის, შრომის და მშვიდობის  
დრო-ყამს.

## დედა-მოღვა

★

მოქუხს რუსეთის დედა-მდინარე:  
„გაჰქრნენ წარსულის წყეული  
დრონი“.  
გაჰქრნენ — უმოწყებს პირმოცინარე,  
მისებრ ამაყად მსრბოლავი დონი.

ვოლგას რუსეთი ეძახის დედას,  
მდინარეც ლოცავს ტალღების ენით.  
და ვიდრე რუსეთს გულს სწვავდა  
სევედა,  
არ უმდერია ვოლგასაც ლხენით.



ახლა კი ლალი მისი დინება  
მღერის რუსეთის აღორძინებას.

მღერის: „არწივი — მზვერავი  
მტერთა —  
ფრთებს უტყლაშუნებს ლაქვარდის  
თალებს  
და თავის თხუთმეტ მოძმესთან ერთად  
დღეს კომუნისძმის კარიბჭეს აღებს“.

მღერის რუსეთის დედა-მდინარე,  
დონიც ბანს აძლევს პირმომცინარე.

ო, ის წუთებიც არ არის შორი,  
ტკბილი წუთები — ნანატრი მარად,  
როს ერთმანეთთან მდინარე ორი  
გემებს გაატანს მოკითხვის ბარათს:

როს მინდვრებს მორწყავს ახალი არხი,  
რომ ყველგან ნერგმა გაიდგას ფესვი,

როცა შავ ღამეს ავ თვალგზს დათრის  
კუბიშევის ახალი ჰესი;

როს ოქროს მონას — მტრის-გეგმის  
უკუნის

შემოედება დამბუგველ ალად,  
და ახალ ქარხნებს ააგუგუნებს  
სტალინგრადული ელდენის ძალა!

ლხენით მოღელავს ამაყი ვოლგა,  
ვოლგას ბანს აძლევს გულდინჯი  
დონი.

მისი ქუხილი სიმღერას მოჰგავს:  
„მშვიდობიანი დამდგარან დრონი!“.

დღედაღამ ვოლგა მოიმღერს ასე,  
ზედნიერებით ყელამღე საესე.

და ვიდრე ვოლგას ვერ უშლის  
ქუხილს.

ვერც მტკვარს არგუნებს ვერავინ  
წუხილს!

რუსული ენა



როცა მოგებებრდა ეანდარძის ჩექმა  
და ჩვენი ხმალი იფერებოდა,  
რევიოლუციის დიადი გეგმა  
რუსულ ენაზე იწერებოდა.

როცა გავფანტეთ შავი ღრუბლები,  
მკედრეთით აღვსდექით გადარჩენილი,  
დიად კანონებს თავისუფლების  
რუსულ ენაზე სწერდა ლენინი.

ბოლშევიკების ბრძნული პარტია  
ჩვენს წინსვლას ადგენს რუსული ენით,  
ბედნიერების დიად ქარტიას  
რუსულად ჰქმნიდა პირველად ბრძენი.

დღეს რომ სწადიათ უამინდობა,  
რომ სურთ კვლავ ომის თესლი  
დათესონ, —  
ვიშინსკის ენით სიტყვა —

მშვიდობა —  
მეზად ატყდება თავზე აჩესონს!

ქვეყნად არ იყოს არც ერთი ტომი  
ხანძრების ალით გადატრუსული,  
ხალხს ავაშოროთ სისხლი და ომი —  
აი, დღეს რას სწერს ენა რუსული.

გულზე სიამის სხივების ფენა —  
ლენინის ენა, პუშკინის ენა.

ელექტრო-შემღებულ  
ბოგონას



თვალი ცისფერი, ქერა დალალი  
გამკობს, განაზებს, ტანად ლერწამო,  
შენი მხილველი არეინ არ არი,  
შენი სიტურდით რომ არ ეწამოს.

მაგრამ მე უფრო სხვა მომწონს შენი,  
ვიდრე ელვარე თვალთა სინაზე  
ალალი ოფლის მძივები გშეენის,  
როცა აღუღებ რკინას რკინაზე.

ცეცხლი გაცეცია შრომის გოლიათს,  
ლხენით შეგცქერი კაცი მცინარი,  
ციცნათელების გუნდი მგონია,  
ოქროსფერ ძნებზე ნაციმციმარი.

შენც ხელს ღამაზად გადისვამ თავზე,  
როს ნაბერწკლები მაგ თმებში  
ბრწყინავს,  
და ისევ შრომის ხალისით სავსე  
მარჯვედ აღუღებ რკინაზე რკინას.

ხარაჩოს კიბით ასულხარ მალლა,  
მამაცო ქალო, გულადთა ჯიშის,  
შენთვის ამ ქვეყნად უცხოა დალლა,  
შენთვის ამ ქვეყნად უცხოა შიში.

ვიდრე ამ ლექსის კარებს შეხსნიდა,  
ტრფობა შენდამი გულს დიდხანს მედო,  
რუსთაე-ქალაქში რუსთა ქვეყნიდან  
გადმოფრენილო მშვიდობის მტრედო!

## აპერაჟე



პროფესორი შალვა ქართველიშვილი და მისი თანამემწე ოთარი ერთ-დ გამოვიდნენ მინისტრის კაბინეტიდან და ავტომატურად ჩასხდნენ.

მოხუცს სიხარული ეფინა სახეზე. ოთარი კი ნაწყენი ჩანდა.

— ხვალეე გაემგზავრები, ჩემო კეთილო. უთხარი, დღეს ყველაფერი მოგიშადონ, მე თვითონ დავურეკავ დედათქვენს, მატარებელი ღამის 12 საათზე გადის,— მზრუნველობით ეუბნებოდა პროფესორი ოთარს.

— პატივცემულო პროფესორო, ჯერ არ მინდოდა თბილისიდან გასვლა. როგორ შემოძლია მივატოვო ის საქმე, რომელზედაც მთელი წელიწადია ვმუშაობ არა მარტო მე...

— უნდა მიატოვო, გეთყვია. დარდით გაქვთ, მუშაობას არ შევწყვეტთ. მე თვითონ ვუხელომდევანლებ. აბა, შეხედე შენს თავს... ყოველდღიურად თვრამეტი საათი ლაბორატორიაში... ეს შეუძლებელია. რკინის ადამიანიც ვერ აიტანს. ჯანმრთელობა, უპირველეს ყოვლისა, ჩემო კეთილო. ესეც რომ არ იყოს, მინისტრის ბრძანებაა, ამიერიდან ლაბორატორიაში აღარ შეგიშვია. დისვენე, გამოჯანმრთელი და შემდეგ...

მანქანა სამსართულიანი სახლის წინ შეჩერდა. ოთარი გამოემშვიდობა პროფესორს და კიბეებს აპყვა.

ოთარ ფაქვანიშვილმა ორი წლის წინათ ბრწყინვალედ დაიკვა დისერტაცია ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ახალგაზრდა მეცნიერი ვატაცებით დაეწაფა საყვარელ საქმეს და სულ მცირე ხანში სახელი გაითქვა. იგი ახლა ერთ დიდ სამრეწველო მნიშვნელობის ქიმიკალზე მუშაობდა და დღე და ღამე ლაბორატორიიდან არ გამოდიოდა. მორიგი შევებულებით, როგორც შარშან, წელსაც არ უნდოდა ესარგებლა. გახდა, ფერი დაკარგა. ამაოდ ურჩევდა პროფესორი, მაგრამ ვერ დააჯერა, რომ დისვენება სჭირდებოდა. ბოლოს „ჯიუტის“ მოსარგებლად ისევ მინისტრს მიმართა.

ოთარს თვალწინ წარმოუდგია მინისტრი: მალალი, ჯერ კიდევ ქარმაგი ვაჟკაცი კეთილი თვალებით. გამოწვილობებისას ღიმილით უთხრა პროფესორს:

— გიბრძანებთ, ოთარ ფაქვანიშვილი ხვალეიდან ლაბორატორიაში არ შეუშვათო.

ოთარი რამდენიმე დღეს გაბრუებული დადიოდა აგარაკზე: ისევ ქიმიური ფორმულები უტრიალებდნენ თვალწინ, ისევ ლაბორატორიის ცხოვრებით ცოცხლობდა და სანატორიუმის რეჟიმისადმი დამორჩილება წამლის მიღებასავით ეძნელებოდა. დროს უმთავრესად ბიბლიოთეკაში ატარებდა, ქალთა საზოგადოებასაც გაურბოდა. ამტომაც განაწყენებულმა დამსვენებულმა გოგობმა „წიგნის რჩილი“ შეარქვეს. მალე ამოიწურა წიგნების მარაგიც, დამსა-

სურა ქადრაის ჩემპიონის სახელიც და ისევ მოიწყინა.

ერთ დღიას, საუზმის შემდეგ, ოთარი ეზოში ძელსკამზე იჯდა და თვალს ადევნებდა ფრენბურთის ბადესთან თავმოყრილ ახალგაზრდებს, რომლებიც დაბალი ხმით, მაგრამ რაღაცაზე გაცხარებით ჰკობდნენ. მათ წრეს მალე ერთი ქალიშვილი გამოეყო. იგი ჯიქურ წამოვიდა ოთარისკენ, მიუახლოვდა და თამამად მიმართა:

— იქნებ ისურვოთ ჩვენთან თამაში? ერთი მოთამაშე გვაკლია!

ოთარი წამოდგა... მის წინ ახალგაზრდა, მშვენიერი ქალიშვილი იდგა, თეთრ მაისურაში და კაბაში კოხტად გამოჩაჩქეთული.

— მე... მე დიდი ხანია აღარ მოთამაშობია, იქნებ სულაც ვერ შევძლო... — ენის ბორძიკით წარმოსთქვა ოთარმა.

— არა უშავს რა, ჩვენ ყველანი ისე, გასართობად ვთამაშობთ. წავიდეთ! — თქვა ქალმა, დასტურს აღარ დაუცადა, მკლადში ხელი მოჰკიდა...

ოთარი უხერხულად მიიბიჯებდა. არა, მიანცადამიანც რაღა ახლა დაეზოგა ენა? ლექციებზეც რომ ასე უჭირდეს ლაპარაკი...

— მართლა, გავეცნოთ ერთმანეთს. ელიკო რჩეულიშვილი გახლავარ, თქვენ კი გიცნობთ თქვენი გამოკვლევებით. გაზეთებში ბევრჯერ შეგაქვს... მოსაწონია, — მომჯადოებელი ღიმილით თქვა ქალიშვილმა და ოთარს ხელი გაუწოდა. ოთარის დიდ, ვაკეცურ ხელში ქალიშვილის ბელურასავით პატარა და თბილმა ხელმა თითქოს შეიფრთხილა.

„იწყება სააგარაკო ქათინატრები. ვერ გადაურჩა: ვინ კითხავს, მოსაწონია თუ დასაწონი? აქაოდა, გაზეთებს ვკითხულობო... თავი გამოიჩინა“.

— აი ჩენი გუნდიც შეივსო. — თქვა ელიკომ მოედანზე მისვლისთანავე.

— დაიწყეთ.

ბადესთან შეკრებილებმა მისდა შე-

უმჩნევლად ერთმანეთს ეშმაკურად ჩაუტრეს თვალი: ყოჩაღ, ყინული და აღნო!

გაისმა მსაჯის სასტყენის ხმა. თურმე არც ისე მოსაწყენი ყოფილა დამსვენებელი საზოგადოება და მით უფრო, ერთი მათგანი.

დროს ერთად ატარებდნენ. ახალგაზრდებთან სეირნობდნენ. ხშირად ცხარე კამათიც გაიმართებოდა.

წიგნებზე მსჯელობდნენ, ლექსებს უკითხავდნენ ერთმანეთს. მსჯელობდნენ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე.

ამას კი როგორ წარმოიდგენდა ოთარი, რომ კომპოზიტორებს აურევდა.

— ეს ვისი პრელუდიაა, — ჰკითხა ერთხელ ელიკომ და წაიღიანა.

ოთარი შეჩერდა: „ვი სირცხვილო“.

— შობენის! — წამოიძახა.

— რახმანინოვისაა, — გაუსწორა ღიმილით ქალიშვილმა.

ოთარმა თითქოს ახლა შეამჩნია ბორჯომის ხეობის მთელი სიდიადე: ცაღ აწვდილი ნაძვის ხეები, კლდიდან გადმომქუხარე ჩანჩქერები, ტყეში ჩიტების ქიქიკი და, რაც მთავარია, მიწა, მშობლიური მიწა — რბილი და თბილი, საღამოობით ხეებს შორის მთვარე რომ დააფენს ხოლმე დაფოთილი. ვერცხლით ამოქარგულ ფარდაებს. ყველაზე მეტად კი მაინც ელიკოს საუბარი ხიზლავდა — დინჯი, საქმიანი. ოთარი მოჯადოებულებით შესცქეროდა ქალიშვილის ნათელ თვალებს და გული რატომღაც სიამით ევსებოდა.

„რა არის ეს?.. აგარაკზე შეძენილ მეგობრობას და სიყვარულს დასცინოდა. ახლა თითონ ხდება სასაცილო. მეტიც — უშწყო... მაშ, ეს უშწურობა არ არის? — აღამიანს თვალს ვეღარ უსწორებს, პატარა ბავშვივით წითლდება, თითქოს დანაშაულზე წაასწრეს. არა, ნამდვილად სასაცილოა: როცა ელიკოსთან ერთად სეირნობს, გრძნობს, როგორ ცბიერად ელიმებათ დამსვენებლებს“.

ამ ფიქრებით აფორიაქებული ოთარი ნელა მიბრუნდა ზეიანში... აი, წარმოიდგინა: ელიკო მისი... მისი მუღლუა... გახარებული დედა, პროფესორი, ამხანაგები ბედნიერებას ულოცავენ... საგზურს მალე ვადა გაუღის, უკანასკნელი ორი კვირა... რა ჩქარა გადის დრო. ელიკოც დაუბრუნდება სოფელს, კოლმეურნეობას, მერე შეიძლება ყველაფერი დაეწყებასაც მიეტყოს... ამ აზრმა შეაერთო...

— ვეტყვი, ყველაფერს ვიტყვი. — გადაწყვიტა ბოლოს, ღრმად ამოისუნთქა და თმა თითების ჩვეული მოძრაობით უკან გადაიყარა. ოფლს დაეცვარა შებლი.

ცოტახანს კიდევ იდგა გარინდებული, თითქოს ელიკოსათვის სათქმელზე ფიქრობდა, და სანატორიუმისაკენ გაემართა.

აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა. ისედაც ბეცი, აღელვებისაგან საგნებსა და ადამიანებს კარგად ვეღარ არჩევდა: ვიღაც მოხუცს განერიდა და კინალამ ზეს დაეჯახა. უცაბედად ფეხი დაადგა პატარა ძაღლს, რომელსაც კონხტად ჩაცმული ქალი დაასეირნებდა. ფინია აწყვეწკავდა. ქალი აღშფოთდა. ოთარს ამან თითქოს დაუცხრო აღზნება, დამშვიდდა. დინჯი ნაბიჯით აიარა სანატორიუმის კბეები.

წინ მომავალი ქალი შემოეგება.

— დამსვენებლები კონცერტებზე წავიდნენ. ქალიშვილებმა ეს ბილეთი დაგიტოვეს, უსათუოდ მობრძანდითო, დაგიბარეს, — უთხრა მან ოთარს და ბილეთი გაუწოდა.

საკონცერტო დარბაზიდან ჯგუფუჯგუფად გამოვიდნენ დამსვენებლები. ელიკო, ოთარი და რამდენიმე ახალგაზრდა ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ და მსჯელობდნენ კონცერტის მონაწილეებზე, რომელთა შორის იყო მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის პრალის ფესტივალის მონაწილეც.

— დედაც, აი მესმის, მაგანაც თქვას ბედნიერი ვარო! რა შესაძლებელია აქვს, მერე შესახედაობა აუცილებელი არ დაამშვენებდა იმ ფესტივალს?! ეკ. ნეტავ მეც მქონოდა ხმა, რა სჯობია მსახიობობას! — ნატერის კილოთი თქვა ნელიმ, რომელიც მუდამ მწერლობასა და ხელოვნებაზე ლაპარაკობდა: „ესა და ეს მსახიობი გავიცანი, ის მხატვარი ჩემი კარგი ნაცნობია, ეს მწერალი უსიკვდილოდ უნდა გავიცნო“...

— რაო, ნელი, განა შენმა შრომამ და ნოვატორულმა მეთოდებმა არ გაგხადეს ის, რაც დღეს ხარ, — სოციალისტური შრომის გმირი? თითქოს საყვედურით უთხრა ელიკომ.

— მეც მესმის ეს ამბავი, — დაიწყო ნელიმ, — მაგრამ სულ სხვაა, როცა მღერი და მთელი ქვეყანა გისმენს... თუმცა უცხო ხალხთან, სხვა ქვეყანაში მე დავიბნეოდი, ვერ ვიმღერებდი.

— ასე გგონია, — ჩაერია ლაპარაკში მაღალი, შავგვრემანი და მუდამ დინჯი მევენახე სერგო. — მე რომ პირველად უმაღლესი საბჭოს სესიაზე სიტყვა მომცეს, ახლაც ვერ გეტყვით, ტრიბუნაზე როგორ გაეჩნდი. თავბრუ დამესხა, ენა დამება, გავშეშდი, მაგრამ, როცა მოვიახრე, ვისი წარგზავნილი ვიყავი, როცა გამახსენდა ჩემი კოლმეურნეობა და კოლმეურნენი, ვის შესახებაც უნდა მელაპარაკა, სიტყვები თავისთავად წამოვიდნენ. მერე მითხრეს ამხანაგებმა, კარგად ილაპარაკეო. ეგ მსახიობიც აგრე იქნებოდა, კი არ დაიბნეოდა, მიჩვეულია, მაგრამ რომ წარმოიდგენდა, ვისი სახელითაც გამოდიოდა, მეტი მგზნებარებით, მეტი ეშხით იმღერებდა.

ოთარი და ელიკო ოდნავ ჩამორჩნენ დამსვენებლებს. ერთხანს დუმილით მიდიოდნენ.

ოთარი ღელავდა... უნდოდა ეთქვა რაღაც მნიშვნელოვანი და კარგი, მაგრამ ენა რომ აღარ ემორჩილებოდა?

ბავშვივით დაიბნა.

— ესეც შენი მტკიცე გადაწყვეტილება...

წინ წასულებს ისევე წამოეწინენ.

— ჩვენი კოლმეურნეობიდან ერთი სოციალისტური შრომის გმირი მიიწვიეს მევენახეობის ინსტიტუტში, მობრძანდი, შენი გამოცდილების შესახებ პროფესორებს ლექცია წაუეთხოვე, — კმაყოფილი და სიხარულის კილოთი განაგრძობდა სერგო...

— ოთარ, იცით, რა გამახსენდა? — სიჩუმე ისევ ელიკომ დაარღვია. — სოფელში ერთხელ წიგნებით ხელში გამოვედი სამკითხველოდან. ქუჩაში ყმაწვილმა გამაჩერა. ეტყობოდა, ჩამოსული იყო: „თქვენ აქაური მასწავლებელი ბრძანდებით?“ მკითხა მან. — „არა“ — „ეჭიმი?“ „არც ეჭიმი“.. „მაშ, აგრონომი იქნებით?“ — „კვლავ შეცდით!“ — უნდა გენახათ მისი გაკვირვება, როცა ვუთხარი: „მწველავი ვარ მეთქი“. თავიდან ფეხებამდე ჩამათვალიერა. კარგად შეცვა, ხელში წიგნები მეჭირა. ალბათ იფიქრა: „ეს როგორ, ფერმაში მუშაობს?! დამცინისო“.

— ელიკო, მე... მე...

— იქნებ თქვენც გაოცებთ ეს?

— მე?... მე მიწოდდა მეთქვა...

— რომ თქვენც ისევე ფიქრობთ, როგორც ის ყმაწვილები წიგნები მტყუთა, ლიტერატურა და... მწველავი? — ელიკო მშვიდი, მაგრამ დამცინავი კილოთი ლაპარაკობდა. — მე მიყვარს ჩემი საქმე, ჩემი ფერმა, კოლმეურნეობა... ის, რასაც მე ვაკეთებ, დიდი ბედნიერებაა ჩემთვის.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ოთარიმ თავი უცებ შეურაცხყოფილად იგრძნო... შეურაცხყოფამ კი სითამამე შემატა. ქალს ხელი მაჯაში ჩააქლო, თითქოს ეშინია ხელშეორედ არ დამასწროს ლაპარაკიო, და აჩქარებით დაიწყო:

— ელიკო, მომისმინეთ, მე მიწოდდა მეთქვა, რომ უთქვენოდ... რომ მე, გესმით? თუ მუდამ ჩემთან არ იქნებით... ერთი სიტყვით, ყველაფერს ნუ მათქმევინებთ...

იქვე სკამზე ჩამოჯდა, ქალისათვის ხელი არ გაუშვია და მომლოდინე თვალებით მიაჩერდა ელიკოს, რომელიც გაოცებით შეჰყურებდა მას.

ელიკო თითქოს გვიან მიხვდა, თუ რას ეუბნებოდა ყმაწვილი. თვალები გაუბრწყინდა, მოულოდნელი ბედნიერებისაგან მოლლილივით ოთარის გვერდით ძელსკამზე დაეშვა.

## ლექსები თბილისზე



ლენინის მუხით—ქიროვის ბაღში

ლენინის ქუჩით ქიროვის ბაღში  
დასასვენებლად, მახსოვს, მივედი,  
თავს დაპნათოდა მიდამოს გაშლილს  
ლენინის დროშა, როგორც იმედი.

ბრძოლის ველიდან ვიყავ მოსული,  
კავკასიასთან ვძლიეთ ურჩხული,  
ქვეყანა იყო გარემოცული,  
მთის ფერდობები — გადარუჯული.

ლენინის ქუჩით ქიროვის ბაღში  
ქიროვის ძეგლის ნახვა მომინდა;  
ვხედავდი ტრიბუნს, თავს ვგრძნობდი ქარში,  
ველავ გარემოცულს სასტიკ ომითა...

შურისძიებით ავენთე უმალ;  
თითქოს ომის ხმაც მესმა შორიდან:  
ლენინის დროშა ახსენა გულმა,  
სტალინის სიბრძნე შექად მოვიდა.

და ვთქვი: — სამშობლო მტერმა ვერ სძლიოს.  
სულ რომ ებუროს ტანზე ჯავშანი.  
ბერლინის ბქეებს უნდა ეწვიოს  
შეუპოვარი ჩვენი ლაშქარი!..

დრომ გადირბინა. ფიქრი ასრულდა,  
ლენინის დროშით ვძლიეთ წყევლიადი,  
სტალინის სიბრძნით ვბოვეთ, რაც ვესურდა —  
თავისუფლება და განთიადი...



## კომკავშირის ხიზნიდან



კოჯრის გზის ახლო, — მწვანე ნაძვებთან  
 ყელმოღერებით დგანან ირმები,  
 დამშვენებული მოჩანს მთაწმინდა —  
 განათებული სხივთა სირმებით.

ქვეშ გაშლილია ჩემი თბილისი,  
 დედა-სამშობლოს შნო და მშვენება.  
 ამოდის ბული ცხელი იელისის,  
 მაშინაც, როს მზე ჩაესვენება.

ჩანან სახლები, ძველი ტაძრები,  
 ხიდი, შეტეხი და გამზირები,  
 ალვის ხეები, მწვანე ნაძვები,  
 ამწვანებული მტკვრის ნაპირები.

მწვანე გორაკზე ზეივნის კართან  
 ყელმოღერებით დგანან ირმები,  
 და ესმის ბალნარს ზუზუნი ქართა,  
 ვით ამღერება ჩონგურთ სიმების.

ქალაქს დასცქერის ზეივნის თვალი  
 და ციხეების ძველი იერი:  
 თბილისის ზეცა სხივჩაუმქრალი  
 არის ნარნარი და მშვენიერი.

კოჯრის გზის ახლო, მწვანე ნაძვებთან.  
 ყელმოღერებით დგანან ირმები,  
 დამშვენებული მოჩანს მთაწმინდა,  
 განათებული სხივთა სირმებით...

## სტალინის მთაზე



მთაწმინდის მთაზე, სტალინის მთაზე,  
 მახსოვს, ბესიკის ქუჩით ავედი;  
 ვხედავდი ბუჩქებს, ვხედავდი ნაძვებს, —  
 ქვეშ ბიბინებდა მწვანე ხაერდი.





და თითქოს თვალმა ცხადად იხილა  
ის, ვინც მზეზედაც უნათლესია,  
ვის გამო ეს ხმაც ისმის ქუხილად.  
ვის გამო ეს მთაც უმაღლესია.

იგი წყაროა შემოქმედების,  
მსოფლიოს ბედი მას აბარია,  
თვით უდიდესი თეთრი ქედებიც  
მასთან მცირეა და დაბალია.

მთაწმინდის თავზე, სტალინის მთაზე,  
მახსოვს, ბესიკის ქუჩით ავედი;  
ვხედავდი ბუჩქებს, ვხედავდი ნაძვებს. —  
წინ ბიბინებდა ველის ხავერდი.

### ახალი ხიდი



ახალი ხიდი, მეტეხის ხიდი  
ჩანს, ვით ხუთწლეულის შნო და მშვენება,  
თბილისელების მიღწევა დიდი  
მტკვრის სანაპიროს ჩქარი შენება.

ხიდიდან მოჩანს ლავვარდის თალი  
და ელექტრონის თეთრი ქალები,  
აქეთაც ბალი, იქითაც ბალი  
და მთაწმინდაზე მწვანე ბალები.

მოჩანს მეტეხის ლანდი მიმქრალი,  
ჯვარმოტეხილი, გუმბათიანი,  
და მტკვრის სარკეში, როგორც ფიქალი,  
მოჩანს ლავვარდი ფირუზიანი.

ახალი ხიდი, ახალი ხიდი  
ჩანს, ვით ხუთწლეულის შნო და მშვენება.  
დიად მომავლის შენება დიდი  
და ლამეების გადაშენება...

## ქრემლის კედელთან

★

ქრემლის კედელთან ძინავს დიდ ლენინს,  
 მაღლა — ლენინის დროშა ფრიალებს,  
 ქრემლიდან მისი აზრი ნათელი  
 წვდება უთვალავ ადამიანებს...  
 არ არის ხალხი, ხელს არ იშვერდეს,  
 არ უღიმოდეს ამ ადგილს თბილად,  
 აქ იბადება კიდით-კიდემდე  
 თვალუწვდენელი სამშობლოს დილა.  
 ქრემლის კედელთან ყოველ განთიადს  
 ამოაქვს ქვეყნის ბედნიერება,  
 ქრემლში სტალინის სიბრძნე ანთია, —  
 ყველა შრომელის გულს ეფერება.  
 ქრემლის კედელთან ჩაღდება დილა,  
 დიად ცხოვრების დღე იწერება,  
 ქრემლში სტალინის სიციცხლე ბრწყინავს —  
 ყველა შრომელის ბედნიერება!  
 ქრემლის კედელთან ნატჯრის თვალცივით  
 ბრწყინავს ხალხების სიბრძნე, სიმართლე,  
 დგას ტრიბუნაზე დიდი სტალინი —  
 კომუნისტების გზას მიგვინათებს!

## ზანგი და ახალი წელი

★

მზე გაპარულა შენი მხარიდან,  
— ვერ გაძლო, ღრუბლის ძაძები ეცვა...  
შენს სამშობლოში დღეც კი ლამეა  
და გათენება არ იცის ზეცამ.

ტრემენს და ჩერჩილს სისხლი მოუნდათ,  
სურთ, რომ შენს ზურგზე დაიდგან ტახტი,  
ერთი ბატონის როზგმა მოგლუნა,  
ახლა კი ორის მსახური გახდი.

როდისღა უნდა გამართო წელი,  
იგრძნო სიცოცხლე, გულის სიმთელე,  
დაბადებიდან ახალწელს ელი,  
მაგრამ ვერ იქნა, ვერ გაითენე.

დაბადებიდან მათხოვრობ, ფიქრობ:  
თუ მოესწრები სახლს, ეზოს, ყანას,  
შენ არ გიგრძენია მშობლების სითბო, —  
რას ნიშნავს დედა, რას ნიშნავს მამა.

ვინც შენ არა გთვლის კაცებში კაცად, —  
თეთრ სახლში ღამეს შავ საქმეს უთევს...  
მშობილო, ბედმა ძირს ისე დაგცა,  
რომ სწყველი ქვეყნად გაჩენის წუთებს.

როდისღა უნდა გამართო წელი,  
იგრძნო სითბო და გულის სიმთელე,  
დაბადებიდან ახალწელს ელი,  
მაგრამ ვერ იქნა, ვერ გაითენე.

ჩემს მზიან მამულს კი არ გახარბებ,  
მაგრამ მსურს იყო დაუკვნესავე,  
ყველა ზეიმს და ყველა ახალწელს  
გახარებული შეხვდე ჩემსავეთ.

შენც გაგითენდეს დილა მზიანი  
და არასოდეს დაგლაშობოდეს,  
ლუკმაც ზიარი, ფიქრიც ზიარი,  
ახალი წელიც ზიარი გვექონდეს.

# ლ ე ნ ა

## მოთხრობა



1

დილით მდინარე მდევდიაზე ყინული დაიძრა.

— აი, სასწაული, — ეუბნებოდა მებორნე ანისიმე ათიოდე წლის ბიჭუნას, მეტსახელად ოგარუშეკმა, — ამ დროს გლეხები მდინარეზე მარბილებით გადადიოდნენ, წელს კი რა ადრე გალღვა ყინული.

ისინი მდინარის ფრიალო ნაპირიდან ხუთიოდე ნაბიჯის მოშორებით განაპირა ქოხის ჭიშკართან მერხზე ისხდნენ და მათ თვალწინ შუილით და ტაკუნით ჯოჯათ მიეჭანებოდა ყალბზეშემდგარი, რუხ-მოთეთრო ყინულის ხორცები.

— ჩვენთან, ველიკო ლუკში ყოველთვის ამ დროს დაიძვრება ხოლმე ყინული, — უთხრა ოგარუშეკმა ანისიმეს.

— აბა რა იქნება. თქვენთან დაბლობია, ჩვენ კი აქ მწვერვალზე ვცხოვრობთ... აქედან მიედინება, ყმაწვილო, მდინარეები ქვეყნის ოთხივე მხარეს. აქეთ — ვოლგა. აი, იქით — დვინა. ყყოფილვარ მე იმ თქვენს ველიკო ლუკში. თქვენთან თოვლი არც კი მოდის.

— როგორ ანა, — უთხრა ოგარუშეკმა, — თოვლი ჩვენთანაც იცის.

— ეგ რა თოვლია: ერთ ქუჩაზე რომ თოვს, მეორეზე დნება. თქვენთან, ყმაწვილო, თითქმის მთელი ზამთარი ბორბლიანი ტრანსპორტით დადიან. აქ კი, გაიხედავ, მთელ ერთ საყენს მოთოვს — სახლის კარს ვერ გამოაღებ.

— სამაგიეროდ ჩვენთან თბილა.

— მერე რა რომ თბილა. არც აქ ცივა. ზაღიც სულ აქეთ მოიწევს. რა-

ტომ? იმიტომ, რომ აქ ოქროს ადგილებია: ტყეები, ტბები, ყოველგვარი ნადირი.

— პაპა, — უთხრა ოგარუშეკმა, — გაიხედა, იქ ვილაც ყვირის, ჩვენ გვეძახის.

ანისიმემ ხელით მოიჩრდილა მზე და გაღმა გაიხედა. ზედ მდინარის ნაპირთან ვილაც იღვია და ქუდს იქნედა.

— სულელია და ყვირის, — თქვა ანისიმემ, — თითქოს არ ესმის რომ ქარი იქით უბერავს... ჰო, იმას ვამბობდი, მრავალნაირი ნადირია ჩვენში. აი, შაგალითად, ვარეული თბა. ის რომ აღდგომ-მდე მოკლა, შუწვა და ცხერის ზორცთან ერთად დაიდო წინ, მისგან ვერ გამოარჩევ.

— ის კაცი კიდევ ყვირის, — უთხრა ოგარუშეკმა, — არ მიდის.

— ანდა წავი, მოხდება ხოლმე, გამოხვალ ტბაზე — ისლი გაიშლება, და ეს იმას ნიშნავს, რომ წავი მიცურავს.

— როგორია წავი?

— წავის ტყავში ბევრ ფულს იძლევიან, პურსაც, შაქარსაც, ფართლელსაც, — აი როგორია იგი.

კოლმეურნეები ზღიზედ მიდიოდნენ მდინარესთან, მოვიდა ვრიშკა-პარტიზანიც. კეთილი და მოხულიგნო ჭაბუკი. მოვიდა ოგარუშეკის დედაც — დედა დაშა, მორცხვი ქალი, ყოველ უბრალო საქმეზე რომ წითლდება. — ოთხი წლის წინათ სამი ბავშვით გადამოსახლდა იგი აქ, ველიკო ლუკის რომელიღაც განაპირა ადგილიდან, შეეთვისა აქაურობას და სამუდამოდ დასახლდა. მოვიდა ბრიგადირი, მარია ტიხო-

ნოენა, — გამზდარი, წარბებამდე თავ-  
შალშემოხვეული.

— ვინ ყვირის იქ? — შეეკითხა მა-  
რია ტინოზოენა ყველას ერთად ისეთი  
კლოთი, როგორც ახასიათებთ თავის-  
თავში დაჯერებულ ადაზიანებს.

— ეშვავა იცის, — უპასუხა ანისი-  
მემ, — მაიმუნით აქეთ-იქით დატის.

— ეს აგრონომია რაიონიდან, —  
უთხრა გრიშამ. — ან ახალ ნორმებს ჩა-  
მოიტანდა, ანდა ლენას სათხოვრად ჩა-  
მოვიდოდა.

თავმჯდომარე პაველ კირილოვიჩის  
მოსაყვანად გაიქცნენ. მალე ისიც გამო-  
ჩნდა ქუჩის მისახვევიდან. მას ბეჭებზე  
და მკერდთან მწვანე ლაქებით დასერი-  
ლი თეთრი გიმნასტურა ეცეა. ჯერ კი-  
დეც ახალგაზრდა იყო, მაგრამ პატარა  
წვერი ხნიერის გამომეტყველებას აძ-  
ლევდა მის სახეს. პაველ კირილოვიჩმა  
ამ ცოტა ხნის წინათ წყერი განზრახ მო-  
უშვა, რომ უფრო დარბაისელი გამოჩე-  
ნილიყო, თორემ ქალიშვილებთან მუ-  
შაობა არც თუ ისე ადვილი საქმე იყო.  
არ უჯერებდნენ, ესუბრებოდნენ, არც  
ერთ მის სიტყვას და დასაქმებას სერი-  
ოზულად არ ღებულობდნენ.

— რატომ აღრე არ დამიძახეთ? —  
შორიდანვე დაიყვირა მან. — აქ მთელი  
ჯარი შეკრებილხართ და ჩემთან ვერა-  
ვინ გამოგზავნეთ, მისამე დოეა მას ვე-  
ლი. თესვის საკითხებზე ჩამოვიდა.

თავმჯდომარე ციცაბო ნაპირთან მი-  
ვიდა, კისერი მამალივით წაიგრძელა და  
ტენორით დაიყვირა:

— პიოტრ მიხაილი-ი-იჩი? გამარჯო-  
ბა შენი. უფრო ხმამალა დაიყვირე,  
არ ისმის!

თავმჯდომარემ ყურებზე ხელი მიი-  
ფარა და მიაყურადა. მაგრამ ამ დროს  
მოვიდა პირფართო, პაჭუაცხვირიანი  
ლენა. იგი სახით ბიჭსა ჰგავდა. გრიშამ  
მას ძიძგილაობა დაუწყო, ხელს ჰკრავ-  
და, ფერდობიდან აგდებდა. ლენამ ისე  
შეჰკივლა, რომ მისი ხმა მთელ სოფელს  
მოედო.

— აბა, დაჩუმდით! — გაჯავრდა თავ-  
მჯდომარე. — ლენკა, ნუ ღრიალენ-  
თორემ ახლავ გაგრეკავთ ყველას...  
— ერთი ამას შეხებდეთ! — მუქუნა  
ლენამ.

— პო, შემომხედე. სჯობს, ყური და-  
უგლო, რას ყვირის ამხანაგი დემენტოე-  
ვი. სადაც საჭირო არ არის და საქმე შენ  
არ გეხება, იქ ყურცქვიტი ხარ.

— ერთი ამას დამიხედეთ! — გაიმე-  
ორა ლენამ.

უფროსებმა ურიჩეს თავმჯდომარეს  
აგრონომთან ფორანი გაეგზავნათ გო-  
როდციდან. აქედან რვა კილომეტრის  
მანძილზე არის ხიდი. გრიშამ თქვა, ეს  
ხიდი ყინულსვლამ დაანგრიაო. დაი-  
წყო კამათი.

— ლაპარაკი! — დაიყვირა თავ-  
მჯდომარემ. — შეწყვიტეთ ხმაური!  
ლენკა, აბა მოუსმინე!

ხალხი დაჩუმდა. ლენამ ტუჩები მო-  
კემა და ყური მიუგდო.

— აბა, რაო? — ჰკითხა თავმჯდო-  
მარემ.

— ცუდად ისმის, — უპასუხა ლე-  
ნამ, — მგონი, საყვედურიო.

— რა, საყვედური? აბა, დაუგდე მუ-  
რი კიდევ.

— დამაცა. პო, რა თქმა უნდა, საყვე-  
დურია, სასტიკი საყვედური.

თავმჯდომარემ ყური მიაპყრო, გაი-  
ნაბა. ლენამ შეხედა, თავი ველარ შეი-  
კავა და გადაიკისკისა.

— რაო, მასხრად მიგდებ? — თავ-  
მჯდომარემ ხელები დაუშვა და გამოი-  
ჭიმა. — დაიკარგე აქედან! ვინა ვარ მე?  
ვის დასცინი?

— აბა რას ჩამაცვივდი? რადიომიმლე-  
ბი ხომ არა ვარ, რომ ასეთა მანძილი-  
დან გავიგონო? — უთხრა ლენამ, —  
იქნებ ისიც მიბრძანო, სიტყვასიტყვით  
გადმოგკეთ, გოროდცაში რას ლაპარა-  
კობენ?

ყვილას გაეიონა: გოროდცაში თავ-  
მჯდომარის სიმპატია ცხოვრობდა.

— მაინც რა საძაგლი რამა ხარ, —  
თქვა თავმჯდომარემ და გადააფურ-

ახა, — ერთი ბეწო ქუა არა გაქვს თავში.

თავმჯდომარე აღელვებული გაჰყვა ნაპირს.

— ამხანაგი დემენტოვი კი დგას და ყვირის. გადმოსულიყო, თუ ისეთი საქმე აქვს. ყინული მჭიდროდ მოდის.

— შენ თვითონ გადასულიყავი, თუ ასეთი გულადი ხარ, — გაეცინა ლენას.

— წავალ კიდევ, აბა, როგორ გგონია, თვითმფრინავს დაუეციდი თუ?

— ნუ იგონებ რაღაცეებს, — უთხრა მარია ტიხონოვნამ.

— ნუ გეშინია, არც წავა, — ჩაილაპარაკა ლენამ. — ფართიფურთოხს მხოლოდ, ხალხს აშინებს.

თავმჯდომარემ კოპები შეიკრა. შეხედა ლენას, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა, ჩაიბრინა დამრეცილი ნაპირი, ყინულებში ჩაფლული სარი ამოგლიჯა, თვალთ მოზომა მანძილი და ყინულზე შეხტა.

— აი, ყოველთვის ასეა, — თქვა ანისიმემ და პირუცყარი გადაიწერა, — სანამ ეს გოგო გამოჩნდებოდეს, სემშვიდე და სიწყნარება, გაჩნდება თუ არა, ალაპა უწყის, რა ხდება. კომკავშირელი მაინც არ იყო.

— მე ხომ არ ვაიძულე, — აჩქარებით წარმოთქვა ლენამ.

ანისიმემ ხელი ჩაიქნია და თავმჯდომარეს დაუწყო ყურება.

პაველ კირილოვიჩი თოვლ-ჭყაპში აბიჯებდა, სარი შუბივით მოემარჯვებინა და წონასწორობას იცავდა. ნაპირიდან ისე გეჩვენებოდა, თათქის იგი ალაღებდნენ მიდიოდა, როგორც სიბნელეში, — ხან აქეთ წაბარბაცდებოდა, ხან იქით. ყინულები კი ხრამუნით მიცურავდა, ერთიმეორეს ეჯახებოდა, იმსხვრეოდა, წყალში ტყაპუნით ეცემოდა და თეთრ შუბფებს ისროდა.

აი პაველ კირილოვიჩი შუა მდინარემდე მივიდა და მერე უფრო სწრაფად გაემართა. მართლაც საპიროა აჩქარება: გადასასვლელთან სამასიოდ მეტრის მანძილზე, ახალგაზრდა არყის ხეების

იქით, წყალი საგრძნობლად ფართოვდებოდა. პაველ კირილოვიჩის მდინარე ფართო ადგილისაკენ მიმართულა. ისე სწრაფად მიაჭრობებოდა, რომ აგრძნობი, რომელიც ოღროზოლო ნაპირზე ბორძიკით გარბოდა, ძლიერ ახერხებდა დაწეოდა მას.

აი, პაველ კირილოვიჩი დიდ, ჭუჭუიან ყინულზე მიაბიჯებს. ყინულზე შავად მოჩანს ყინულჭრილი, რომელიც ბილიკს მიაგავს. ეტყობოდა, გოროდციდან მოცურავდა ეს ყინული. აი, თავმჯდომარე წაიქცა, წამოდგა. კოჭლობით გაიარ-გამოიარა; ეტყობა, გადახტომას ვერ ბედავს: მაზლობელ ყინულამდე სამი ან, შეიძლება, ოთხი მეტრიც იყო.

— იქვე ადგილზეა, ხელებს აქნევს, — თქვა გრიშამ.

— ნუ ჩხავი! — შეუტია მარია ტიხონოვნამ ისე, რომ არც კი მობრუნებულა გრიშასაკენ.

თავმჯდომარე ყინულმა უფრო შორს, ქვევით წაიღო და ანისიმეს თანდათან უძნელდებოდა მისთვის თვალყურის დევნება. ისედაც დაუძღვრებელი თვალეხი დაუწვრილდა, ქარმა ცრემლები საფეთქლებზე აუგორა. აღარაფერი ჩანს.

ანისიმემ თვალეხზე ხელი დაიფარა — ცოტა ხანს დაისვენონო. მგონი ყველაფერი მშვიდობით დამთავრდება: ნაპირამდე ბევრი-ბევრი თხუთმეტრიოდ საყენი თუ დარჩა, — დინებაც უფრო წყნარია. რაკი პაველ კირილოვიჩმა ყველაზე სახიფათო, სწრაფი დინება უკვე გაიარა, ახლა მით უფრო გადავია, გაიფიქრა ანისიმემ.

დეიდა დაშამ გულშემზარავად დაიკეცლა.

გრიშა და ორი სხვა ბიჭი ფერდობზე ჩაბრუნდნენ. პაველ კირილოვიჩი მდინარეზე აღარ იყო, ყინულჭრილიანი ყინული მოჩანდა, მაგრამ ზედ არაინი იყო, არც სხვა ყინულზე ჩანდა ვინმე. მეორე ნაპირზე მართო აგრძნობი წრი-ალებდა.

— ველარაფერს ვხედავ, თვალი მლატობს, — თქვა ანისიმემ, და თითქოს ბავშვივით, სინამდვილის გაგების ეშინიაო, იკითხა: — ლენკა, სად არის პაველ კირილოვიჩი?

— მე ამას გავეხუმრე... — წაიბუტბუტა ლენამ და ისე გაფითრდა, რომ ცხვირზე ჭორფლი გამოაყარა.

ალარაფერს უყურებდა ლენას, ყველამ ზურგი შეაქცია და განმარტოებით დადგა, თითქოს უცხო იყო. ანისიმემ ამოიხენწა და ისიც მოშორდა.

— აგერ ის! ამოცურდა! — ახმაურდა ხალხი.

ანისიმე მდინარეს დააცქერდა. აი, რაღაც შავად მოჩანს ყინულჭრილის ახლოს. თავი ზომ არ არის ნეტავი? თავია, პაველ კირილოვიჩის თავი! აი, მიცურდა ყინულთან, წებოტინა და მოვბლაუქა. ცდილობს ამოცოცდეს, აქეთ-იქით იყურება, ეტყობა — ეშინია, რომ ყინულზეა არ გაჰყლიტოს. პაველ კირილოვიჩს, მთლად დაიბენი! ყინულეები ვერაფერს გავნებს. წყალში მას ძალა არა აქვს.

თავმჯდომარე რამდენჯერმე შეეცადა ყინულზე აცოცებას, შემდეგ კი გაუნძრევლად ჩამოეკიდა წყალში ყინულის კიდეს ჩაბლაუჭებული.

— დაიღალა, — თქვა ანისიმემ.

უცებ გამოჩნდა აგრონომი, ხელში ფიცარი ეჭირა. ანისიმემ მხოლოდ მაშინ შენიშნა ის, როცა ყინულჭრილზე ავიდა. აგრონომმა ფიცარი გადააგდო, თავმჯდომარესთან მიიბრინა, ხელი წაატანა და წყლიდან ამოსწია. შემდეგ ისინი დიდხანს იდგნენ და საუბრობდნენ. თითქოს სადმე რაიონში, კაბინეტში იმყოფებიანო. „ისლა გაყლიათ ახლა, პაპიროსიც გააბოლოთ“, — თქვა ანისიმემ. ლაპარაკით გული რომ იჯერეს, აგრონომმა და თავმჯდომარემ მშვიდად განაგრძეს გზა. ფიცარს ყინულიდან ყინულზე ხიდივით სდებდნენ.

ნაპირზე რომ გადავიდნენ, პაველ კირილოვიჩი თამბაქოს ბოლივით ლურჯად მოლივლივ, დაბურულ ტყისაკენ

გაიქცა. აგრონომიც მოქანცული ნაბიჯით გაჰყვა უკან.

— ტყის მცველთან გაიქცა, — თქვა ანისიმემ.

— აი, უტიფარი, — თავის ქნევით წარმოთქვა მარია ტიხონოვნამ და ლენას მიუბრუნდა, — არც კი გრცხვენია? ადამიანი კინალამ დალუბე და კიდევ იციანი? ნამდვილი უტიფარი ხარ.

— თქვენ რაღას იღანძლებით, — თვალების ბრიალით მიუბრუნდა ლენა, — ზომ ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა! ზომ არ დაიღრჩო?

— ესლა აკლდა, რომ დამხრჩვალყო. ამ დროს მდინარეში ჩავარდნა უბედურება არ არის?

— ახლა მას არაყი მოუხდება, — ჩაურთო აქოშინებულმა გრიშამ.

— ტყისმცველს არაყი ეჭნება თუ?

— რას ამბობ! ის არაყს ისე გაურბის, როგორც ეშმაკი საკმეველს.

— შენ რა გესაქმება? — განაგრძო მარია ტიხონოვნამ. — მთელ სოფელს შენგან მოსვენება არა აქვს. გათხოვდებიდი მაინც!

— აი, წამოიზრდება ოგარუშეკი და გავთხოვდები, — ლენამ თავი გადაიქნია და სახლისაკენ გაიქცა.

— არა, იგი ქმარსაც კი აბანაევებს ზამთარში, — თქვა ანისიმემ.

ლენა დიდი ხნით არ წასულა. ათი წუთის შემდეგ ისევ დაბრუნდა ბოთლით ხელში. მას უკან დედა მოსდევდა. განხდარი, მაგრამ ჯერ ისევ ლამაზი ქალი.

— ახლა ვის წასაქუჩებლად მიდიხარ? — შეეკითხა მარია ტიხონოვნა.

— ახლა მე თვითონ წავალ, — უპასუხა ლენამ და ნაპირზე სირბილით დაეშვა.

— აბა, რას ამბობ! — დაუყვირა მარია ტიხონოვნამ, კაბა აიკლთა და უკან დაედევნა. — დაბრუნდი, შენ გეუბნებიან, დაბრუნდი!

— თავი დაანებეთ, ტიხონოვნა, — უთხრა დედამ და ხელი ჩაქნია, — მაგისი ვიუტი ზასიათი არ იცი?

ლენა ყინულზე შედგა.

— ლატანი მინც წილე, შე შეჩვენებულო, — ლანძღვა-გინებით ეუბნებოდა მარია ტიხონოვნა, მაგრამ ლენა უკვე ყინულიდან ყინულზე ხტომით გადაბრუნდა.

გაახსენდა, როგორ შორს გაიტაცა წყალმა თავმჯდომარე და გადაწყვიტა მდინარების საწინააღმდეგო მიმართულებით წასულიყო. მეორე ნაპირზე ნიშანში ამოიღო წითელი ქვა, რომლის მიმართულებითაც უნდა აეღო გეზი, რომ გზას არ აცდენოდა. მაგრამ ფეხქვეშ ყინული შეეყარა, იგრძნო, რომ წითელი ქვის ცქერის დრო აღარ იყო.

მას ასე ეგონა, თითქოს ირგვლივ ყველაფერი — ნაპირები, სახლებიანად, შორეული ლურჯი ბორცვები, მაღალ-მაღალი ღრუბლიანი ცა და მარჯვნივ ყინულები სადღაც უკან გაცურდაო, და ნელ-ნელა იწყო გადაბრუნება. ლენას თავბრუ დაესხა.

„ლატანი უნდა წამომეღო, არ უნდა გაეპარანტულიყავი“, — გაიფიქრა ლენამ. მდინარის აღმაცერად გადაჭრას ვერ ახერხებდა: წამდაუწყუმ ფართოდ ჩამტვრეული ყინულები ხედებოდა და წყალი იქ ისე ჭლახუნებდა, როგორც ახლადშობილი ხბო. უახლოეს ყინულამდე რომ მიეღწია, ხუთი ან ექვსი ყინულისათვის უნდა შემოეცლო. თავიდანვე ასე დაიწყო ლენამ აქეთ-იქით ტრიალი, ახლა მიმოხედვასაც ვერ ახერხებდა. ისე არია და დაიბნა, რომ ნაპირი ხან უკან მოექცეოდა და ხან გვერდით. დედაცეცები კი ალბათ უცქერიან და ვერ გაუგიათ, თუ რას დაბარბაცებს მდინარეზე, ისე როგორც წელან ვერ გაუგეს პაველ კირილოვიჩს.

ლენა ფრთხილად მიდიოდა. სულ ადვილად შეიძლებოდა ფეხი დასხლტომოდა. ყინულები სწორი, ქარისაგან მოკრიალებული იყო, ნაცრისფერ-მომწვანო ბუმბუკიანი ყინულები ბზინავდნენ, შიგნით კი თეთრი, თხელი ნაბზარები ჰქონდათ.

როდესაც ნაპირამდე დაახლოებით ერთი მესამედილა დარჩა, გზა ვადა-

უჭრა გრძელმა, ასიოდე მეტრის წყლის ზოლმა. რამდენიმე წუთის წინათ ეს ზოლი არ იყო. რა ქნას? დაფიქროს, სანამ ყინულები შეერთდებიან? უკან დაბრუნდეს? არა, ვერ დაბრუნდება — გრიშა დასცინებს. ესეც რომ არ იყოს, სანამ უკან მობრუნდება, შუაგულ მდინარეში გამოიტანს და მერე მემი ნახევარი ლიტრი არაყით თვით ილმენის ტბაში ამომავოფინებს თავსო.

ლენას გაეცინა. ის საერთოდ ყოველთვის იცინოდა, როდესაც რაიმესი შეეშინდებოდა. დაფიქრდა და აღმა აპყავა მდინარეს. წყლის ზოლის ბოლოში ყინული დაცურდა, ყინულზე ჯოხი მოჩანდა, ჯოხს ბოლოში ჩალის კონა ჰქონდა ჩამოცმული. ლენამ ყინულთან მიიბრინა, ყინული უზარმაზარი აღმოჩნდა. თუ ზედ მოექცეოდა, იქიდან ნაპირი სულ ახლოს იყო, ხელით მიწვდებოდა. მაგრამ ყინულამდე კიდევ ორ მეტრზეა წყალი. ლენა მთელი ღონით გაექანა, გადაახტა და, რომ ბოთლი არ გაეტეხა, იდაყვით დაეცა. წამოდგა, უნდოდა ამოეძრო ჯოხი, მაგრამ ნაპირთან უკვე ახლოს იყო. დეე, სოფლებებმა დაინახონ, რომ გადასვლა უჯობოდაც შეუძლია, ხოლო თუ თამაზდომარემ იბანავა, თვითონ იყო დამნაშავე. უნდა აჩქარებულყო, ქვაფენილზე ხომ არ სეირნობდა!

როგორც კი ნაპირამდე მიადგა, ლენა გადახტა, ჩექმიდან წყალი გადმოასხა და უკან მოუხედავად მოკურცხლა ტყისაკენ.

## 2

ტყის მცველის, ნატალკას პატარა, ორფანჯრიანი სახლი ხეებს იქით მოჩანდა. ლენამ თავისი ფართო, ქვედა ტანის კაბა ფეხებზე შემოიხვია, რომ სველ ბუჩქებს არ გამოსდებოდა და პირდაპირ კარებისაკენ გაემართა. სახლის გარშემო ხმაურობდა წვეთები, ახლადგამენდილ ფანჯრის მინებს ჩერის კვალი აჩნდა. თოკზე პაველ კირილოვიჩის დასველებული საცელები შრებოდა. წინა-



კარში ნატალკა კაბის კალთით თვალებს იწმენდა.

— თავმჯდომარე შენთან არის? — შეეკითხა ლენა.

— აქ არის, — ნატალკამ ფართო, დაწითლებული სახე ასწია და ჭოშინით უთხრა: — მას ფათურაკი შეემთხვა...

— რა მოუვიდა?

— ჰოდა, მე მეცინება, ის კი ბრაზობს, მე კიდევ უფრო მეცინება. ერთი ისიც... შარვალს მთხოვეს, საიდან მოვუტანო?

ლენა ვერაფერს მიხვდა და სახლში შევიდა.

პაველ კირილოვიჩი გახურებულ ღუმელთან იჯდა. მას ნატალკას მოკლესახელოებიანი მწვანე კოფთა და მწვანე, ზოლიანი ქვედა ტანისამოსი ეცვა.

— ნატალკა სად არის? — მოღუშული შეეკითხა თავმჯდომარე და გაღურჯებული ფეხები ცეცხლს მიუშვია.

— წინააქრშია, — უპასუხა ლენამ.

— რა აცინებს, რა არის სასაცილო? იცოდე, ერთი წაფხუტუნება და გაგაგლებ.

— სულაც არ მეცინება. აი მე წამალი მოგიტანე, მარია ტიხონოვნამ შემოგიტვალა, ამით ფეხები დაიზილეო.

— კიდევ რაო, ფეხები კი არა! — უთხრა თავმჯდომარემ, — აქ მომეცი! მაგიდასთან იჯდა აგრონომი პიოტრ მიხაილოვიჩი, მიმზიდველი ცისფერ-თვალეებიანი ოცდახუთი წლის ყმაწვილი კაცი, ტოლჩისათვის მწვანე სარკე მიეყუდებია და წვერს იპარსავდა. ლოყაზე ორ ადგილას თხელი ქალაღის ნაჭერი ჰქონდა მიკრული.

— გამარჯობათ, პიოტრ მიხაილოვიჩ, — უთხრა ლენამ, — თქვენ ამჯერად არა გსურთ, რომ მომესალმოთ!

— გაგიმარჯოს, ამხანაგო ზორინა, — ცივად მიუგო აგრონომმა, — თქვენ აქ როგორ მოხვდით?

— თავმჯდომარის ბილიკით.

— არ შეგეშინდათ?

— ასეთ საქმეებში ზორინა მარდი გახლავთ, — თქვა პაველ კირილოვიჩი.

მა. — სადაც საჭიროა, იქ კი ვერ ხახავთ. აი, ხომ ხედავ, რაიკომმა კაცო გავ მოგზავნა, რომ თვალი აგვეჩლიქოს, იმეც საც მოვესწარიო, რომ „კრასნი პახარიც“ კი გვეჯობნის, იცი „კრასნი პახარის“ კომკავშირლები რამდენი პურის აღებას კისრულობენ?

— რამდენის?

— ჰექტარიდან ოცდაორ ცენტნერს კისრულობენ. შენ რამდენს დაგვიბრდი? დაგაეიწყა? თექვსმეტს დაგვიბრდი. დიდი ეშმაკი ვინმეა ის ბებერი მელა — მათი თავმჯდომარე, — მოუბრუნდა პაველ კირილოვიჩი აგრონომს. — წინა კვირას, უკან რომ ბრუნდებოდა, გზაზე შემხვდა და გამოამკითხა, რასა იქო და როგორა გაქეთ საქმეო! მეც სისულელე მომივიდა, კვებნა დავიწყე. ის კი ზის, მონაზონივით ოხრავს, კენესის, ყოჩაღ, ყოჩაღ, თქვენამდე რას მოვალთო. ტფუ... — ისევ ლენას მოუბრუნდა და განაგრძო: — „კრასნი პახარიც“ ორმა ბრიგადამ უხვი მოსავალი მოიწია და რაიონს შეატყობინეს. მათი წერილი სტალინისათვის გასაგზავნად წერილში შეიტანეს. აბა, მე და შენ კი არ შეგვიტანეს! ასე თქვეს — სირცხვილია წერილში თქვენი შეტანაო. შენ კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ხარ, გესმის? სირცხვილია! თქვენ, კომკავშირლები, მოწინავეთა რიგებში უნდა იდგეთ. განა ასე არაა, პიოტრ მიხაილოვიჩ?

დემენტრეევმა თავი დაუქნია.

პაველ კირილოვიჩი წამოდგა და მაგიდასთან მივიდა.

— აი, შენ დღესეე შეკრიბე აქტივო და გააცანი, თუ რა სასწაულებს ახდენენ „კრასნი პახარის“ კომკავშირლები. თქვენ ხომ მათთან სოცშეჯობრებაში ხართ ჩაბმული? თავს რად აქნევ, არ გეხალისება?

— არა, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, — უთხრა ლენამ და, რომ არ გასცინებოდა, ცდილობდა თავმჯდომარის მოშვებული წვერისათვის არ შეეხედა.

— აი, ეს კი კარგია. რაღას იღიმიები?

რა არის სასაცილო? ეხ, თქვენ ერთი... — თავმჯდომარე კაბის კალთის ფრიალით პარმალში გავიდა და კარი ისე მაგრად გაიჯახუნა, რომ სახლი აზანზარდა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

დემენტეევმა საპარსი ხელსაწყო და პირსახოცი პორტფელში ჩაალაგა. და თხელ ქალაღებს მოღუშვით დაუწყო ფურცვლა.

— მაშ თქვენ მოსავლიანობის საკითხის გამო ჩამოხვედით, პიოტრ მიხაილოვიჩ? — შეეკითხა ბოლოს ლენა.

— დიახ, მოსავლიანობის საკითხების გამო. თქვენ რატომ არ დაბრუნდით ამასწინათ? — განაგრძო აგრონომმა და თან ქალაღებს შესცქეროდა. — შემპირდით და არ დაბრუნდით. მთელი საათი გელოდით. ულამაზოა ასეთი საქციელი.

— მე გრიშკამ არ გამომიშვა, პიოტრ მიხაილოვიჩ.

— რომელმა გრიშკამ?

— ჩვენთან მუშაობს ბრიგადაში, ნაყვავილარი პირისახე აქვს. თქვენ მას იცნობთ, პარტიზანადაც იყო. სხვა ყმაწვილებთან სიარული არ გაბედოო; განა შენიანები არ კმარაო? თუ წახვალთ, ორივეს ფეხებს მოგამტკრევთო.

— უცნაურია, — თქვა დემენტეევმა.

— მე ამის შესახებ ყველაფერი მოგწერეთ.

— თქვენ კვლავ იგონებთ, ლენა.

— არა, გეფიცებით, მართლა მოგწერეთ.

— აბა, რად გპირდებით სიცრუე? სად მომწერეთ? როგორია ჩემი მისამართი?

— ა... მისამართი... — დაიბნა უცებ ლენა. — რაიმიწგანის მისამართით მოგწერეთ ღია ბარათი.

დემენტეევმა მაშინვე დაუჯერა.

— აბა, რაიონის მიწათმოქმედების განყოფილებაში?... მაშ შეიძლება ჩვენებს ჩაუჯარდათ ხელში თქვენი წერილი. ახლა უნდა უყურო იმათ... ლენა, ამიერიდან ნულარ მოიწერთ რაიმიწგან-

ში, წერილი შინ გამომიგზავნეთ, აი, ახლავე...

ქალაღს წაახია და კარმდინევეს ტყუა დაწერა. პარმალიდან ფეხის ხმა მოისმა.

— დალაპარაკების საშუალებასაც არ მოგცემენ, — ამოიოხრა ლენამ.

— ჰო, — ჩურჩულით უპასუხა დემენტეევმა, — მე გარეთ გავალ, თქვენც გამოდით... — არ დაუცადა თავმჯდომარის შემოსვლას, ქუდი დაიხურა და გავიდა.

— სჯობია უთოთი გავაშრო, — უთხრა ნატალკამ თავმჯდომარეს და შარვალი ოთახში შემოიტანა.

— როგორც გინდა, გინდ უთოთი გამოაშრე, გინდ ღუმელთან, — ბუხუნებდა ნატალკას ზურგს უკან პაველ კირილოვიჩი, — თორემ სინიდისს გეფიცები, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, ქათმებსაც გაეციუნებათ ჩემ დანახვებზე, შენ სოფელში მაინც წ.სულიყავი, ფორანი გამოგზავნონ, ზიდი თურმე არ წაუღია წყალს.

— მე მდინარეზე გადავალ.

— მე შენ გიჩვენებ მდინარეს.

— მაშ, ისა სჯობია თექვსმეტი კილომეტრი შემოეუაროთ?

— შენც ერთი! ჯიუტობას რომ არ დაიშლი? ნურსადაც ნუ წახვალ. თვითონ მიხედებიან და გამოგზავნიან ფორანს.

პაველ კირილოვიჩი ფანჯარას მიახერდა, გარეთ მზესავით კრიალა გუბეები იღვა, და პარმალის ახლოს ყავისფერი მიწა მთლად აჩიჩქნილი იყო ქათმების ნაფეხურებით. განათებული ბილიცი გველივით მიიკლაცებოდა ქისაკენ. მოჩანდა ბუჩქნარი, შორს კი — ჯერ კიდევ თხელი, გაშლილი ტყე.

ბუჩქნარის იქით აგრონომი მიმოდიოდა. იგი ყოველ მხრიდან დიდი ყურადღებით ათვალიერებდა ბოჯოჯღა ტოტებიან ვერხვს, რომელიც ტყის პირას იზრდებოდა, ხანდახან ფანჯრისაკენაც ვაღმოიხედავდა.

— ამხანაგი დემენტევი რად დადის იქ? — იკითხა თავმჯდომარემ.

— აბა, მე რა ვიცი, — უპასუხა ლენამ.

თავმჯდომარემ ექვით გადახედა ლენას.

— გასაგებია. კიდევ გინდა მასხრად აიგდო. მე იმის ადგილას ერთი მაგრად გაგწყველავდი... ასეთი განათლებული კაცია და გამოყვეჩებულივით კი დიდის ვერხვის ორგვლივ.

თავმჯდომარემ ფანჯარა გამოაღო და დაუძახა:

— პიოტრ მიხაილოვიჩ, ჩვენ აქ ესაუბრობდით და კალიუმის მარილი სულ დამავიწყდა. შემოდით ცოტა ხნით!..

3

გამგეობის კანტორა საწყობის გამგის ქოხში იყო მოთავსებული. დიდი ოთახი ფიცრებით ორად გაეყოთ. ერთ ნახევარში საწყობის გამგე ცხოვრობდა თავისი ოჯახით, მეორე ნახევარში კი კოლმეურნეობის საკითხები წყდებოდა. თუმცა სახლი ბევრმა აიშენა, მაგრამ საცხოვრებელი ფართობი მაინც არ იყო საკმაო. სოფელ შომუშკაში ომამდე ასი-ოდე კომლი ესახლა, სულ ვაშლის ხეების ბაღებში. სოფელი, ერთი მხრით, პირდაპირ მდინარეს ებჯინებოდა, მეორე მხრით, კი გორაკამდე გრძელდებოდა. გერმანელებმა სოფლის მთელი მარცხენა წყება და ნახევარი მარჯვენაც სულ ერთიანად გადაწვეს.

პაველ კირილოვიჩს, მარია ტიხონოვნას, დეიდა დაშასა და ლენას დედას, პელაგია მარკოვნას სხდომა ჰქონდათ. დამდებოდა. სამკედლოში ჩაქუჩის ხმა მიწყდა, ქუჩაში ყველაფერი მიყუჩდა და ამგვარ მყუდროებაში გაიხსმა საღამოს ხმები: მდინარეზე ყინულის ხრახუნი, ნავსადგურში საქარასის შორეული-შორეული დგაფუნის ხმა, ტბაზე გარეული იხვების ზეითხეითი, და ამ ძლივს გასაგონ ხმებში ქვეყანა თითქოს უფრო ფართო და ბარაქიანი გეჩვენებოდა.

კანტორა არ იყო სათანადოდ მოწყობილი. გარდა მაგიდისა, რომელსაც სამი ფეხი შეღებილი ჰქონდა, — და კარის ისევე თეთრად მოჩანდა, სკამისა და ტაბურეტის გარდა არაერთი ავეჯი არ იდგა. მაგიდაზე გადაფარებული მუყაო ერთთავად დანახაბნილი იყო კინკველის მსგავსი ციფრებით.

გამგეობა ბრიგადების ვალდებულებათა გადასინჯვის საკითხს იხილავდა.

ტიხარის იქით კი ბავშვი ტაროდა, შეწყობილად ჭრატუნებდა აკვნის ლატანი და ჩაფიქრებული ქალის გაბმული სიმღერა ისმოდა:

ნანა, ნანა, ნანინა,  
ძილი გაქვს შვიდი,  
ვოვო შეყვს პაწაწინა,  
ჩვეჭვებზე ცოტა დიდი.  
ნანა, შვილო, ნანინა,  
ძილი გქონდეს შვიდი.

და ქალის ხმაზე იგრძნობოდა, რომ იგო თვლემდა...

— მაშ ასე, — თქვა პაველ კირილოვიჩმა, და ქალადები ერთიმეორეზე დააღაგა, — თათბირს დახურულად ვაცხადებ, აქამდისაც უნდა მოგველაპარაკა ასე გულდასმით, თორემ ვიფიქრებთ ერთს და, როცა საქმე ჩაწერაზე მიდგება, გვეშინია. ვისი გვეშინია? ჩვენივე თავისა?

დეიდა დაშამ თავი დაუქნია. მარია ტიხონოვნა გაუნძრევლად იჯდა. სახეზე მკაცრი გამომეტყველება აღბეჭდოდა, თითქოს სურათის გადაღებას უბირებენო.

ნანა, შვილო, ნანინა,  
ძილი გქონდეს შვიდი.

ისმოდა ტიხარს იქიდან ქალის სიმღერა.

— და, იქონიეთ მხედველობაში, — განაგრძო პაველ კირილოვიჩმა, — რომ ზეალ ჩვენთან კრებაზე მოვა ამხანაგი დემენტევი. კრება სანიმუშოდ უნდა ჩაეატაროთ, სრული წესრიგის დაცვით.

ყველამ ერთად არ უნდა ილაპარაკოთ, არამედ რიგრიგობით და სიტყვა ხელის აწევით მოითხოვეთ. კამათში გამოხსვლა შეიძლება მხოლოდ მოსავლიანობის საკითხის გარშემო, თორემ ჩვენ როცა ვიკრიბებით ხოლმე, პირდაპირ ბაზარია. ვისაც რა აწუხებს, იმაზე ლაპარაკობს. აი მაგალითად, ანისიმე, რამდენჯერაც არ უნდა გამოვიდეს, იმდენჯერვე დაიწყებს მადლობის გადახდას იმისათვის, რომ სახლი აუშენეს. ამავე რად მას სიტყვა არ უნდა მიეცეთ, შევრცხვებით ამხანაგ დემენტევეთან.

— კი მაგრამ, ვანა შეაკავებ ანისიმეს? — თქვა დეიდა დაშამ.

— მაშინ კრებაზედაც ნულად დავეუძახებთ.

— თუ შეიძლება, ცოტა ჩუმად, პაველ კირილოვიჩ, — მოისმა ტიხარის იქიდან, — ბავშვს ვერ ვაძინებ.

— ეტყობა, მუცელი სტკივა, — უთხრა მარია ტიხონოვნამ, — ყური მიგდე, ნორა, არა სჯობდა მუცელზე თბილი ქვევი დაგედო?

თავმჯდომარემ ხმას დაუწია:

— ხოლო კამათში მონაწილეთაგან პირველად მე ვიტყვი, მოკლედ მოვეწრი. შემდეგ გამოვა პელაგია, შემდეგ შენ, მარია ტიხონოვნა, როგორც ბრიგადირი. მერე კომკავშირლებიდან ილაპარაკებს რომელიმე. ოღონდ კარგად უნდა ილაპარაკოთ, საქმიანად, დალაგებით. კარგი იქნება, თუ ქალაღზე ჩამოწერთ.

— მე ისეც ვიტყვი, — თქვა მარია ტიხონოვნამ, — დაწერა რად მინდა?

— შენ ხომ ხალხში ლაპარაკი არ შეგიძლია, აბა მითხარი რას იტყვი?

— ვასაგებია, რასაც ვიტყვი. ვიტყვი, რომ პექტარზე ოცდოთხ ცენტნერს ავიღებ.

— მერე?

— მეტი რაღა ვთქვა, სულ ეს არის.

— პოდა, აი კოლმეურნეობაში პირველი ბრიგადირი ხარ და ლაპარაკი კი არ შეგიძლია. შენი გამოსვლით ხალხი

უნდა აღაფრთოვანო! შენ, ყოველ შემთხვევაში, ჩამოწერე საკითხები.

— არა, არ ჩამოწერა, საჭიროდ სადამცალია.

— თუ გინდა, მე ჩამოგიწერ!

— ნეტავი რას ჯიუტობ, მარია! — უთხრა პელაგია მარკოვნამ, — თუ უნდა, დეე, დაწეროს.

— რა უნდა დაწეროს?

— რას დაწერ? — უთხრა პაველ კირილოვიჩმა და წამოდგა. — აი მოისმინე: დაწერ, რომ შემოდგომაზე დიდძალ პურს მოვიმკით და ცხრა მთას იქით გადავისვრით პურის ბარათებს. დაწერ, რომ ჩვენ ყველა და ყოველი ჯურის ჩერჩილების ჯინაზე და ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სასიხარულოდ ისე ავაყვავებთ ჩვენს მიწას, რომ არამცთუ ჩვენი ვაჟიშვილები და ქალიშვილები, არამედ ჩვენც მოვესწრებით. ვნახოთ, თუ რა არის ნამდვილი კომუნისმი... და ასე შემდეგ! — თქვა პაველ კირილოვიჩმა და დაჯდა.

— ხედავთ, რა დალაგებით ჩაარაკრაკა, — ჩაილაპარაკა მარია ტიხონოვნამ, — კარგი, აბა დაწერე, ეშმაკმა იცის შენი თავი და ტანი.

დაღამდა. ტიხარის იქით ბავშვმა დაიძინა, მაგრამ ქალის წყნარი სიმღერა მაინც მოისმოდა.

დაშამ თავი გამოიღო, გაზეხა და გარეცხა გამგეობის კანტორის იატაკი, საიდანაც გრძელი სკამები მოათრია, მაგიდაზე წითელი სატინა გადააფარა და ასე გასინჯეთ, გრაფინიცი კი გააჩინა. პაველ კირილოვიჩი დიდხანს იგრინებდა, სად ენახა ეს გრაფინი და, როგორც იქნა, მოიგონა. მკედელ ნიკიფორესთან უნახავს. ნიკიფორესაგან რომ რაიმე გეშოვა, ეს ადვილი საქმე როდი იყო. „ყოჩაღ, დარია; — გაიფიქრა თავმჯდომარემ, — ახლან კი კრებაზე წესრიგი იქნება. დეე, ნახოს ამხანაგმა დემენტე-

ევმა, რა დისციპლინირებული ხალხი გყავს. ისიც ნახოს, რომ კრებას არავინ აკლდება. ოთახი ისე გაიკვებება, დასაჯდომიც აღარსად იქნება. კარდაკარ სირბილი და ფანჯრებზე კაკუნი არა გვეირდება.“

ხალხი დინჯად იკავებდა ადგულებს, დაბალი ხმით საუბრობდნენ და პაპიროსის მოსაწვევადაც გარეთ გადიოდნენ. „აი რას ნიშნავს სისუფთავე და წესრიგი“, — იღიმებოდა თავმჯდომარე. ზუსტად ოცდაერთ საათზე თავმჯდომარე წამოდგა და ფანქრით გრაფინზე დააკაკუნა.

კრება დაიწყო. აირჩიეს პრეზიდენტი. მარია ტიხონოვნა, პაველ კირილოვიჩი და ამხანაგი დემენტრევი მაგიდას შემოუსხდნენ. დემენტრევი მაგიდის კუთხეს მიუჯდა და რვეულში გაშალუბით რაღაცის წერა დაიწყო. მარია ტიხონოვნა, ჩვეულებისამებრ, წარბშეუხრელად სკამზე გაქვავდა. პაველ კირილოვიჩმა ხალხს თვალი გადაავლო და მოიღუშა. რატომღაც პრეზიდენტში ჯდომის დროს მოიღუშებოდა ხოლმე.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოკლე სიტყვის შემდეგ სიტყვა დემენტრევის მისცეს. მან კრებას გააცნო ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება, მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ და აღნიშნა, თუ რა მუშაობა ტარდება ამ მიმართულებით რაიონის სხვა კოლმეურნეობებში. ყველა სოფელში, იქაც კი, სადაც მიწები არც თუ ისე ნაყოფიერია, — აღნიშნა დემენტრევი, — კოლმეურნეებმა პირობა დასდეს, რომ ჯერ არნახულ მოსავალს მიიღებენ, — ისეთ მიწებზედაც კი, სადაც არასოდეს არ მოუწევიათ კარგი ჰირნახულიო. შემდეგ პიოტრ მიხაილოვიჩმა გვარების დასახელება დაიწყო და ოთახში წამსვე აჩოჩქოლდნენ: „ეს რომელი კუვაკინია?...“ „როგორ არ იცი იონოვას სიძე?...“ „გისმის, სიპატოვი დაბრუნებულა. დედამისი კი როგორ მოთქვამდა?...“ „ესევე შენი კორკინა — გარეგნულად რო-

გორი ნახი ქალიშვილია და, ვერ უყურებთ, რა ამბავშია?...“ თავმჯდომარემ გრაფინზე დააკაკუნა.

ამხანაგი დემენტრევი კი ისევ განაგრძობდა მოწინავე აღამიანთა გვარების ჩამოთვლას, და იმდენად გულწრფელად ლაპარაკობდა მათზე, რომ ყოველ ქალს, ხანშიშესულებს, მოხუცებსა და ახალგაზრდებს მოეწონათ აგრონომი. სიტყვის დამთავრების შემდეგ დიდხანს უკრავდნენ ტაშს.

თავმჯდომარემ ქალაქს დახედა და ლენას ღედა — პელაგია მარკოვნა გამრიძახა. იგი გამოვიდა და თავისი სიტყვა წაიკითხა. სიტყვის დასასრულს თავმჯდომარეს უცბად ისე გადახედა, თითქოს ეკითხებოდა, „ხომ ასე იყო საჭირო?“ თავმჯდომარემ თავი დაუქნია და ჰკითხა:

— ესე იგი, ოცდასამ ცენტნერს, არა?

— ოცდასამს, — უპასუხა პელაგია მარკოვნამ და თავის ადგილისაკენ წავიდა.

— მაშ, აღენიშნავთ, — თქვა თავმჯდომარემ და პელაგია მარკოვნას გვარის გასწერივ მსხვილად დაწერა 23, თუკაც ქალაქი, სადაც ბრიგადების ვალდებულებები იყო აღნიშნული, ჯერ კიდევ გუშინ საღამოს ჩაიდო ჯიბეში.

კრების მიმდინარეობა დიდაც მოსაწონი იყო.

წინასწარ შეთანხმების თანახმად ლენას დედის შემდეგ სიტყვა მარია ტიხონოვნას მიეცა. წამოდგა იგი — მკაცრი, კოლმეურნეობის მოწინავე მუშაკი, რომელმაც იცის თავისი ფასი. დინჯად გაიკეთა სათვალე, ქალაქი მოშორებით დაჰკირა და კითხვა დაიწყო.

— ამხანაგებო, ჩვენს წინაშე დგას ამოცანა: უმოკლეს ვადაში უნდა მივალწიოთ მარცვლეული კულტურის მოსავლის ომამდელ დონეს. შემოდგომაზე იმდენი პური უნდა ავილოთ, რომ ჩვენმა საბჭოთა მთავრობამ პურის ბარათების გაუქმება შესძლოს. არახელსაყრელი... — ენა დაება, დაიბნა, — არახელსაყრელი მეტ... მეტერეო... ვერაფრით

ვერ ვარჩევ, ეს რა დაგიწერია, — და თავმჯდომარეს გადახედა, — ეს რა სიტყვაა?

პაველ კირილოვიჩს შერცხვა და უხერხულობა იგრძნო. ქოხში წამით მხიარული ჩოჩქოლი ატყდა.

— წაიკითხე, წაიკითხე, — უთხრა თავმჯდომარემ და რატომღაც ზარი დააწკარუნა.

— რა წაეკითხო, თუკი ვერ ვარჩევ! ხომ გეუბნებოდი, არ მინდა დაწერილი მეთქი. — მარია ტიხონოვნამ სათვალე შეინახა, ცოტათი დაფიქრდა და განაგრძო: — მაშ ასე, ქალებო, ჩვენი ბრიგადა ვალდებულებას იღებს, ჰექტარიდან ოცდახუთი ცენტნერი აიღოს.

— აქ კაცებიც არიან, — გაისმა კარბთან, — შეეჩვიე განა ომის წლებში — ქალებო და ქალებო!

— ამიტომ საჭიროა მიწას უკეთ მოვლათ, — განაგრძობდა მარია ტიხონოვნა, ისე რომ ყურადღებას არავის აქცევდა. — აბა იცოდეთ, ამიერიდან არაფის დავერიდები და არაფერი გეწყინოთ, ყველას მოგელაპარაკეთ, ძალა არაფისთვის დამიტანებია. ხომ მართალს ვამბობ, ქალებო, ხომ ავიღებთ ასეთ ვალდებულებას?

— ვლებულობთ, — ახმაურდნენ ქალები.

— მაშ ასე, ყველაფერი წესიერად მიმდინარეობს, იცოდეთ, არაფის არაფერი გეწყინოთ. ხვალიდან არც ერთი გაცდენა არ უნდა იყოს... ჩვენ ერთმანეთს კი არ ვაძლევთ პირობას — სტალინს ვაძლევთ პირობას. აი ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა.

— აღვნიშნოთ, — თქვა თავმჯდომარემ და თავის ქაღალდზე დაწერა რიცხვი — 25.

კომკავშირის ორგანიზაციიდან გრიშა უნდა გამოსულიყო. თავმჯდომარე ის იყო დაიხარა, რომ წაეკითხა მისი გეგმა, მაგრამ ამ დროს მაგიდასთან პაპა ანისიმე იღგა და ხელში ქუდს ჰმუქნიდა. თუ როდის შემოვიდა ის აქ და

როდის გაძვრა პრეზიდენტამდე, თავმჯდომარეს არ შეუშინებია.

— შენ რაღა გინდა შერცხვითხა პაველ კირილოვიჩი. ზიზღილიყიყი

— სიტყვა მინდა ვთქვა...

— რიგში ჩაეწერე.

— მე ცოტაოდენი რამ მინდა ვთქვა, რა რიგი მჭირდება ამისათვის. ჩემი ძვირფასო ამხანაგებო...

— დაიცა, მე შენთვის სიტყვა არ მომიცია.

— ილაპარაკოს! — აფუგუნდნენ სკამებზე. — რა შენი საქმეა...

თავმჯდომარე დაჯდა და დემენტოვის დამნაშავესავით შეხედა.

— ჩემო ძვირფასებო, — განაგრძო ანისიმემ, — მადლობა თქვენ ყველას კეთილი საქმისათვის. აი, რაონიდან მოსულ უფროსთან მოგახსენებთ მადლობას ჩემთვის სახლის აშენებისათვის. დღემდე ვერ გამოვიდა, როგორ მოხდა ეს სასწაული. აქამდე სიზმარში მგონია თავი, ჩემო ძვირფასო... — ხმა აუთრთოლდა ანისიმეს.

— დაამთავრე? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— ვაქიშვილები გერმანელებმა დამიხოცეს, უთქვენოდ რა მეშველებოდა? ჩემო ძვირფასებო? თქვენ ყველამ ვაქიშვილობა და ქალიშვილობა გამიწიეთ. მაშ ახლა რად დამწყვიტებთ გული მოხუცს? ან იქნებ აღარ ვარგივარ? — ანისიმე ატირდა.

იგი იღგა მთლად ქალარა, წელში გამართული, თვალები ამღვრეოდა და ლოყებზე ცრემლი ცვიოდა. ხალხი შესტკეროდა მას ისე სულგანაბული, რომ ტიხარს იქიდან მძინარე ბავშვის სუნთქვაც კი ისმოდა.

— დაამთავრე? — ისევ შეეკითხა თავმჯდომარე.

— არა, კიდევ მაქვს სათქმელი. აი. თქვენ ახლა შეიკრიბეთ აქ მოსათათბირებლად, თუ როგორ გაზარდოთ პური მოსავლიანობა, — მე კი არ დამიძახეთ. თითქოს არც კი ვარსებობდეთ. მე კი, ჩემო ძვირფასო შეილებო, სამოცდაათი

წლის გლეხი ვარ. იქნებ რაიმე სასარგებლო რჩევა მომეცა. მე მას, მიწას— ჩვენს დედას, ძირფესვიანად ვიცნობ. თქვენ იმას ნუ უყურებთ, მოხუცი რომ ვარ. ან იქნებ გგონიათ, თესვას ვერ შევძლებ? ჩამწერეთ რომელიმე ბრიგადაში!

— შემოდგომაზე ჩვენ თვითონ შემოგთავაზეთ, შენ არ ინებე, — უთხრა თავმჯდომარემ.

— მაშინ, პაველ კირილოვიჩ, მაშინ ხომ მთლად უძლური ვიყავი. თქვენ კარგად იცით, რევმატიზმმა დამაძაბუნა. ახლა სხვა საქმეა: ახლა მზეზე გამოვთბი. ამასწინათ ვეებერთელა კუნძო მოვათრიე და ვითომც არაფერი! თუ თქვენ შრომადღებების დაწერის გეშინიათ, სულაც ნუ დამწერთ, მე ისედაც მოვალე ვარ სახლის გამო. მიმასწერეთ, გეთაყვა, დარიასთან ან მარია ტიხონოვნასთან, თუ წამიყვანს.

— დამთავრე? — გაუბედავად შეეკითხა თავმჯდომარე.

ანისიმემ ქუდი დაიხურა.

— ჩემთან ჩაწერეთ, — წამოიძახა მარია ტიხონოვნამ, — ჩემთან იყოს...

— შენ რაღას გამოხტი? — შეეკითხა თავმჯდომარე, როცა მაგიდისკენ მომავალი ლენა შენიშნა, — წესრიგს ნუ არღვევ, კომკავშირელთაგან გრიშაა ჩაწერილი.

— გრიშამ მე დამავალა, — უპასუხა ლენამ და ყველას ისევ გაეცინა, თუმცა ლენას სიტყვებში არაფერი იყო სასაცილო.

— მოიცადე...

— ამხანაგებო! — წამოიძახა ლენამ და უცებ გაიღიმა, — გრიშა, შენ მხოლოდ ნუ მაძინებ. ამხანაგებო, გინდათ, რომ „კრასნი პახარი“ ჯიბეში ჩავისვით? თუ გინდათ, მაშინ ვალდებულება ავიღოთ, წელს სარეკორდო მოსავალი მოვიწიოთ.

„არა, ჩანს ახლა არ გვიღალატებს“, — გაიფიქრა თავმჯდომარემ.

— აი, ჩვენ მოვილაპარაკეთ, პეტრორიდან ოცდათორმეტი ცენტნერი ნორბალი ავიღოთ.

— ჩაეწეროთ, — თქვა თავმჯდომარემ და ის იყო უნდა ჩაეწერა, ხელი ჰაერში გაუშეშდა: — რამდენი თქვი?

— ოცდათორმეტი ცენტნერი.

— ალბათ ოცდაორი? ყველამ გადაიხარხარა.

— შენ რაა, სცენაზე როლის სათამაშოდ გამოდი თუ? ნუ ლაზღანდარობ, საქმეზე ილაპარაკე, თუ არ გნებავს, შეწყვიტე ლაპარაკი.

— ახლავე, აი, თქვენ სასაცილოდ გეჩვენებათ. ჩვენ კი „კომსომოლსკია პრავდაში“ წავიკითხეთ ალტაელების მიღწევების შესახებ. ჰოდა, იმ ალტაელებმა დიდად გაადიდეს მოსავლიანობა, გაადიდეს თესვის ნორმები. მხოლოდ მოხუცებს ეშინიათ ალბათ ამ ნორმების, ჩვენ კი — ახალგაზრდებს არ გეშინია. და აი, ჩვენ თხოვნით მივმართავთ კრებას მოგვეცეს ნორმანახევარი თესლი რაიმიწგანის ნორმების ზევით.

კოლმეურნეები ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთი ნახევარი, მეტწილად ახალგაზრდობა, თანახმა იყო კომკავშირებისათვის მიეცათ თესლი, მეორე ნახევარი კი — ხანშიშესულები და მოხუცები — წინააღმდეგი წავიდა.

ყველა ალაპარაკდა, ახმაურდა, აჩოქოლდა, გახურდა კამათი.

გრაფინის წკარუნი სულ არ ისმოდა. კრება აირია.

— დაჯექი, ლენა... — უყვიროდა პაველ კირილოვიჩი და შუბლზე ოფლს იწმენდდა.

ლენა კი ისევ მაგიდის წინა კუთხესთან იდგა. ხელებს უქნევდნენ, ლანძღავდნენ.

გამოვიდა მკედელი ნიკითორე, ცოტა ხანს დაელოდა, რომ დაჩუმებულნიყვნენ, მაგრამ არავინ ჩუმდებოდა, და მკედელმაც ისე დაიქუხა, რომ ხმაური სულ დაფარა:

— მოგციოთ? კეთილი და პატიოსანი. მაგრამ სხვებმა რაღა დათესონ? მდინა-

რის ხრემი? ფართობი მოგიმატეს. სა-  
თესლე ფონდი განსაზღვრულია? გან-  
საზღვრულია. მეტისმეტად ჰკვიანი გა-  
ხლავთ ეს ქალბატონი. თვითონ ორჯერ  
მეტს წილებს, სხვებს კი არ ეყოფა.  
კარგად მოგიფიქრებია. ასე, სულელიც  
კი მოიწვეს მოსავალს („ნეტავი კი არ  
შეიგინოს“, — გაიფიქრა თავმჯდომე-  
რემ), როგორც სხვები, შენც ისე მოი-  
წიე მოსავალი. ჩემი აზრით, არ მივცეთ.  
მორჩა და გათაედა, არ მივცეთ.

— აბა, ამას უყურეთ, გამოაცხო მი-  
სებურად. — დაიყვირა გრიშამ და მი-  
ჩუმებული ხალხი კვლავ ახმაურდა.

— გვაპატიეთ, გეთაყვა, — უთხრა  
პაველ კირილოვიჩმა დემენტეის და  
მისკენ გადაიხარა, — ეს ლენკა ყოველ-  
თვის ასეთი ამრევია, როცა გამოვა,  
ყოველთვის ასეა...

— რა არის აქ ცული? — მხრები აი-  
ჩეჩა დემენტეივმა, — კარგია. როგორც  
იქნა, ალაპარაკდა ხალხი, თორემ ისე  
სხედან თითქოს თეატრში არიანო.

პაველ კირილოვიჩმა, მთლად იმედ-  
დაკარგულმა, ხელი ჩაიქნია და მისმა  
სახემ სვედიანი გამომეტყველება  
მიიღო.

მთელი ათი წუთი გუგუნებდა ქობი.  
ბევრმა პაპიროსს მოუკიდა და ავამლი  
ცისფერ ზოლებად იკლანქნებოდა მალ-  
ლა, ხალხის თავებს ზემოთ.

დემენტეივი წამოდგა; მაშინვე სი-  
ჩუმე ჩამოვარდა.

— ამხანაგებო, — დაიწყო მან, —  
შეიძლება ვთქვა?

— თქვით, — წამოიყვირა ნიკიფო-  
რემ.

— ზორინას წინადადება საინტერე-  
სოა. ეს — ნოვატორული წინადადებაა.  
აი, თქვენ ლაპარაკობთ, ნორმა, ნორ-  
მაო... მერედა, როგორ დგება ეს ნორ-  
მები? ჩვენ მოვდივართ თქვენთან, ვუ-  
კვირდებით, ესწავლობთ და ვიწერთ.  
თქვენ თვითონვე ხართ ნორმების ბა-  
ტონ-პატრონი. რა თქმა უნდა, ნორმე-

ბის დადგენა სახელდახელოდ, სერიო-  
ზული მოფიქრების გარეშე არ შეიძ-  
ლება...

— დიახ, საქმეც ეგაა... თქვა ნი-  
კიფორემ.

— მაგრამ ზორინას წინადადება არ  
ეკუთვნის ასეთებს. იგი ემყარება  
მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ჩვენს  
სოციალისტური სოფლის მეურნეობას.  
გარდა ამისა, მათ ნაკვეთზე ყოველგვა-  
რი საშუალებები აქვთ: მიწა იქ შესა-  
ნიშნავია, მზრალად ხენა ბრწყინვალე-  
დაა ჩატარებული, ასეა თუ არა?

ყველა დუმდა.

— საქმე ისაა, რომ სურვილი იყოს  
ასეთი. სურვილი კი არის. აგერ გრიშამ  
და მქედელმა კინაღამ სცემეს ერთმა-  
ნეთს. ჩემი წინადადებაა — მიეცეს ზო-  
რინას ბრივადას სათესლე მარცვალი,  
ერთნახევარი ნორმა.

— კი მაგრამ, საიდან მოვიტა-  
ნოთ? — შეეკითხა ნიკიფორე.

— საიდან მოიტანო! ეს თქვენი საქ-  
მეა. თქვენ კოლმეურნეები ხართ. თუ  
გაითვალისწინებთ იმას, რომ ეს წამო-  
წყება მთელი საბჭოთა კავშირისათვის  
სასარგებლო საქმეა, მაშინ, გააჩნთ.  
მე, ჩემი მხრით, გაირდებით დიხმარე-  
ბას: მიწათმოქმედების რაიონული გან-  
ყოფილებაც დაგეხმარებათ. პარტიის  
რაიონული კომიტეტიც...

ბოლოს, როგორც იქნა, დაადგინეს—  
დაეზუსტებინათ მთელი სათესლე ფონ-  
დი და, თუ საკმარისი აღმოჩნდებოდა,  
ზედმეტი ზორინასათვის გადაეცათ.

## 5

ხალხი დაიშალა, სახლში წავიდ-წა-  
მოვიდა.

წერილი ვარსკვლავებით მოჭედული  
ცა დაკუთრებდა სოფელს. წამდაუწუმ  
იღებოდა გამგეობის კრიალა კარები.  
ანთებულნი პაპიროსის შუქი გარეთ გა-  
მოდინოდა, ხალხი საფეხურებთან ჩერ-  
დებოდა, სიბნელეს თვალს აჩვევდა და



პათი დაგრძელებული ჩრდილები გარდღივარდმო წვებოდა გზაზე, ერთმანეთს ეხლართებოდა. ყოველი მხრიდან გასაძახ-გამოსაძახოდნენ ბიჭები გოგოებს. „სადა ხართ? დაგიცადეთ!“ — ყვიროდა მშიშარა ნასტია, ნიკიფორე მკედლის ქალიშვილი. „აქა ვართ, აქა!“ — უპასუხებდა შორიდან გოგოს ხმაზე გრიშა.

ხანში შესულები ლობე-ლობე მიდიოდნენ, ჩუმად. ერთ ჯგუფად. ზოგი ილღიაში ამოჩრილ მერხს მიათრევდა. თანდათან წყდებოდა კარების გაღების ხმა. მიწყნარდა გაძახილ-გამოძახილები და დანჯერებში შუჭი გამოჩნდა. ახლა ივანეშვიტენ, ხელპირს დაიბანენ და დასაძინებლად დაწვენბიან.

დემენტევი ღამის გასათევად პაველ კირილოვიჩთან მიდიოდა. ხელში ჯიბის ელექტროფარანს აღრქიალებდა და მთვარის მსგავსი რკალი მისი ფეხების წინ იკლაკებოდა, რომელიც ხან მკრთალდებოდა და ხან რძისფრად იღვრებოდა.

— მარჯნივ იარეთ, — უთხრა პაველ კირილოვიჩმა, — იქ ტალახში ჩაეფლობით.

— კრებამ კარგად ჩაიარა, — თქვა დემენტეევმა.

— რა კარგად! დისციპლინა ჯერ კიდევ არა გვაქვს დამყარებული. ეს ლენკა ყოველთვის ასე...

— აი, თურმე რა! — გაისმა უკანიდან.

— ე, ძალღი ასხენე, ჯოხი ხელში დაიჭირეო, აბა, გაიარე! — უთხრა პაველ კირილოვიჩმა და გზა დაუთმო.

— მე თქვენთან მოვდივარ.

— რაო? — სწრაფად ჰკითხა აგრონომმა. შეწყდა ფარნის ღრქიალი.

— ერთი მაგას! წამოდით, — შეიჭმუნა პაველ კირილოვიჩი, — თუ თქვენ ნატალკასთან ვერ მოათავეთ ლაპარაკი?

— თქვენ წადით, — უთხრა ლენამ, — ის დაგეწეათ.

— დიახ, წადით, <sup>წადით მწკრივში</sup> დემენტეევმა.

— კარგი, როგორც გენებოთ. სახლს ხომ მოაგნებთ? აი, გახედე, ქის იქით სინათლე რომ მოჩანს, არყის ხეებთან, ხომ ხედავ?

სიბნელეში არც არყის ხე მოჩანდა და არც ქა, მაგრამ დემენტეევმა თავი მაინც დაუქნია. პაველ კირილოვიჩი წავიდა და მისი ჩექმების ტყაპატყუპი ღიღხანს ისმოდა ტალახში, მდინარიდან ნიაცს აღამიანის ბუტბუტის მსგავსი, გაურკვეველი ხმაური მოჰქონდა.

— რას გაჩერდით? — ჰკითხა ლენამ დემენტეევს, — მიბრძანდით.

— არა, ჯერ თქვენ მიბრძანდით. მამაკაცმა უკან უნდა იაროს.

— დიდი ხანია რაც ასეთი კანონი გამოვიდა, რომ კაცებმა დედაკაცების უკან იარონ?

— ასეა მიღებული.

— მაშ წავიდეთ, რახან ასეა მიღებული. ხვალ მიდინართ?

— მივდივარ.

— შეიძლება წერილი გამოგიგზავნოთ, მოგწეროთ, თუ რაიმე შეკითხვა შექნება?

— მოიწერეთ.

— პირდაპირ ბინის მისამართით მოგწეროთ არა? არ გეგონოთ, მე თქვენი მისამართი არ შემიძინახავს. აი!

ლენამ სახელოდან რაღაც ქალღიღი ამოიღო და სიბნელეში გააფრიალ-გამოათრიალა.

— კარგი, ჩემს სახლში მოიწერეთ, — უთხრა დემენტეევმა.

„ნეტავ რაზე სჭირდება ყოველ ნაბიჯზე ტყუილი, — გულდაწყვეტილ გაიფიქრა აგრონომმა, — შენ არც კი გახსოვს, ჩემი მისამართი ნატალკასთან, სახლში, ფანერის რაფაზე რომ დაგრჩა! იქნებ უკეთესია ეუთხრა, რომ ის მისა-

მართი აი, აგერ, აქა მაქვს ჩადებული პაპკაში?"

მკედლის სახლს ჩაუარეს. ფანჯრიდან მოჩანდა მკედლის ხანშიშესული ცოლი, რომელიც ქვაბიდან ჩაის ასხამდა, მაგიდის თავზე ლამფა ეკიდა, მისი შუქფარის ნაჭრებისაგან გაეთებული ვარდისფერი სინათლე ჩაბნელებულ ქუჩიდან მყუდრო და თბილ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

— რას გაჩერებულხართ, პიოტრ მიხაილოვიჩი? — იკითხა ლენამ.

— რა უნდა გითხრათ?

— მირჩიეთ რაზე, საიდან დავიწყო? რას უფრო დაეწვეთ? როგორი იქნება თქვენი მითითება.

„როგორი იქნება ჩემი მითითება? — ფიქრობდა დემენტევი. — ნუ შეთამაშები ბავშვივით, ლენა. არც ისე პატარა ვარ. აი, როგორია ჩემი მითითება“... — და ხმამაღლა შეეკითხა ლენას:

— სასუქი შეიტანეთ?

— არა, არ შეგვიტანია.

— აკი იკვებნიდით, სასუქი შევიტანეთო. თუ სასუქი არ შეგიტანიათ, თესლს რატომ ღუპავთ, — გულმოსულად უთხრა დემენტევი, — ნუ ამბობთ იმას, რაც არ გაგაკეთებიათ...

— როგორ, აღარ წამოვიწყოთ? — შეაწყვეტინა ლენამ.

— თქვენ როგორ გგონიათ? განა არ იცით, რომ საგზაფხულო კულტივაციისათვის ერთ ჰექტარზე ოცდახუთი ტონა ნაკელის შეტანა დაგჭირდებათ. (და თქვენი ოცი ძროხა კი...

„ეს რა მომდის, — გაიფიქრა დემენტევი და ისე შეჩერდა, თითქოს კედელს დაეჯახათ. — რატომ უნდა ვაწყენინო?“

ნაპირი ახლოს იყო. სველ ქარს იჭიდან ზამთრისა და თოვლის სურნელება მოჰქონდა. ქარი მთელი სოფლის გასწვრივ ქროდა. იჭრებოდა ბაღებში, დაუმთავრებელი სახლები ფანჯარებში და ღმულოდა. მდინარეზე კი გაისმოდა

ხმაური, თითქოს ვიღაც უხილავად არსება წყნარად და ფრთხილად, ისე რომ ხალხისათვის ძილი არ დაეკარებოდა, ყინულებს ალაგებდა და ქრბას ავლებდა.

— აი, გამადლობთ, — უთხრა ლენამ, — გამადლობთ, რომ დამიშალეთ...

— არა, არა — შეაწყვეტინა დემენტევი, — თქვენ მე ვერ გაპიგეთ. დითესეთ, აუცილებლად დათესეთ ნორმანახევარი... ნახევამდის... დაეილაღე დღეს, ლენა.

ლენა სევდიანად გამოემშვიდობა დემენტევის და წავიდა.

დემენტევი მდინარის ფრიალო ნაპირთან შეჩერდა. ქვევით, გამჭირვალე ნისლის ქვეშ ნელა მიცურავდა ყინული.

განაპირა სახლში პაპა ანისიმემ სარკმელი გამოაღო და იკითხა:

— ვინ არის მანდ?

— შინაური, — უპასუხა დემენტევი.

— აჰ, ეს თქვენა ხართ? შემოდით, ვაცივდებით.

— არა უშავს-რა.

ბაღჩაში ქარი ზუოდა.

ანისიმემ სარკმელი მიხურა. დემენტევი მდინარეს დასცქეროდა, პალტოს პატარა საყელო აეწია, ისე ეჩვენებოდა, თითქოს ამ დედამიწასთან და ვარსკვლავებთან ერთად, როგორც სიზმარში, ნელ-ნელა მიცურავდა სადღაც.

## 6

დემენტევი დილის ექვსი საათისათვის აპირებდა გამგზავრებას. მაგრამ აი, უკვე თერთმეტი საათი გამზდარიყო, როცა ჩაის დაღვევის შემდეგ პაველ კირილოვიჩთან ერთად პარმალზე გამოვიდა.

— თქვენ მალე უკანვე უნდა დაბრუნდეთ, — ეუბნებოდა მას პაველ კირილოვიჩი და თან მზეს თავს არიდებდა, თვალებს ხუჭავდა. — უთქვენოდ სულერთია მტს-ელებთან მე საერთო

ენას მშვიდობიანად ვერ გამოენახავ. უნდა ვეჩხუბო.

— ჩამოვალ. ხუთ-ექვს მეურნეობას შემოვივლი, რაიონში შევიარ და ისევ დავბრუნდები. — ეუბნებოდა დემენტიევი და თან ბრეზნეტის ლაბადაში ხელებს უყრიდა.

მსუბუქი ორთვალაში შებმული ჩალისფერი ულავი მოუთმენლად აბრიალებდა თვალებს და მთელე თავისი გამომეტყველებით აჩქარებდა პატარონს: „კარგი, წავიდეთ, ნუთუ არ გამოძლახარ ლაპარაკით“.

— რაც შეეხება კულტივატორის საკითხს, აუცილებლად მოახსენეთ ამის შესახებ. უთხარით, რომ ამ საქმეს შეასე არ დავტოვებ! ჩაიწერეთ. დიახ, დიახ, ჩაიწერეთ!

ულავი ცეკვავდა.

დემენტიევი გამოემშვიდობა ბაველ კირილოვიჩს და ორთვალაზე ავიდა. ცხენი ადგილიდან დაიძრა.

— კალიუშის მარილის შესახებაც თქვენ იქ „მაგრად დააწეკით“, — ეუბნებოდა დემენტიევს ბაველ კირილოვიჩი. იგი გვერდზე მიჰყვებოდა ორთვალას.

— არ დავივიწყებ, — უთხრა დემენტიევმა, საჯდომზე თივას ასწორებდა და ცალი ფეხით მიწაზე ხტუნავდა, თან ცხენს უჯავრდებოდა, — დაიცა, შე ეშმაკის კერძო!

დემენტიევმა სადავეს მოსწია, მაგრამ თავი განზე წაიღო. ნესტოები გულმოსულად დაბერა, ცქმუტავდა, არ ისვენებდა, შნოიანად მიაბიჯებდა თავისი ლამაზი ფეხებით და ცდილობდა ჩორთზე გადასულიყო.

დემენტიევი მძიმედ დაეცა საჯდომზე. ცხენი ადგილს მოწყდა და ფლოქვებით ტალახი აისროლა. თავმჯდომარემ სახე მოიწმინდა, დემენტიევს ხელი დაუქნია და შინ შებრუნდა.

ორთვალა მზისაგან გახურებულყო, ტყავის, თივისა და კუბრის თბილი სუ-

ნი ასდიოდა. დემენტიევი მოხერხებულად დაჯდა, სადავე მიუშვა, ულავმა მადლობის ნიშნად თავი აიქნია, ღერძაზე რაღაც გაწერიალდა და ლაბადაზე ტალახი ახმაურდა. კალათის მსგავსად კრიალ-კრიალით ხან ერთ და ხან მეორე მხარეზე, გადაწევი-გადმოწევიით მიჰქროდა ორთვალა.

დემენტიევმა სოფელი უკან მოიტოვა. პატარა ხიდზე ორთვალას ბორბლებმა მეხივით გაიგრილა. საურმე გზის ორივე მხარეს ნაცრისფერი, დაბალი ბორცვები იყო გადაქვიშული. თოვლი თითქმის სულ დამდნარიყო, მხოლოდ დაჩრდილულ ფერდობებზე აქა-იქ შერჩენილიყო, ისეთი ქუჩუიანი, ისეთი ბინძური იყო, თითქოს ნაცარი მოუყრიათო. პატარ-პატარა, დაკლავილი ნაკადულები მოჩუხჩუხებდნენ გზისაკენ და თეთრი ქაფი გროვდებოდა წვირალ წნელებთან და ნაირნაირი ფერის კენჭებთან. დემენტიევმა მზეს შეხედა. ის ისეთი კაშკაშა იყო, რომ შემდეგ აგრონომის თვალწინ დიდხანს დაცურავდა მუქი წრე.

საურმე გზამ მგზავრი ტყისაკენ წაიყვანა. დემენტიევი ხეების გამქვირვალე ჩრდილში შემოვიდა. გზის ნაპირებზე, თოვლში აქა-იქ მოჩანდა გადამპალი, რუხი ფოთლები. აბურძნული ბელურები ტალღასავით დაეცნენ მიწაზე. ტყეს ჩიტების გამაყრუებელი ევილი-ხივილი ავსებდა. გაიგონეს თუ არა ცხენის ხმა, ბელურები ერთმანეთზე გადაბმულებივით აფრინდნენ მალა, ტიტველი ვერხვი თითქოს ნაცრისფერი ფოთლებით შეიმოსა და მისი სველი ტოტები მძიმედ შეირხა.

დაიწყო მინდვრები. გზა ორად გაიყო.

იმ ბრიგადის ნაკვეთი, რომელშიაც ლენა მუშაობდა, მარცხნივ იყო. დემენტიევმა რაღაც გაიფიქრა და მარცხენა სადავეს მოსწია. სწრაფად გადასჭრა ერთი ბორცვი, მეორე და მეს-

მე ბორცვის სიმალიდან მიწაზე მოფუსფუსე ხალხი გამოჩნდა. როდესაც მათ მიუახლოვდა, აგრონომმა იცნო ბრიგადირი — დეიდა დაშა და გრიშა. მათ შორიახლო ნაკელით საეცე საზიდი იდგა. საზიდის ირგვლივ ლენა და ნიკიფორეს ქალიშვილი — ნასტია ფუსფუსებდნენ. ცხენი მუხლებამდე ტალახში იყო ჩაფლული, საზიდის მძლოლი ბიჭი ჯიუტად ექაჩებოდა ავშარას. ცხენს კისერი წაეგრძელებია, მთელი ძალით იწვედა წინ, მაგრამ ადგილიდან არ იძროდა. ლენა და ნასტია ბორბლებს მისწვდნენ, უნდოდათ დაეძრათ საზიდარი და ვერც ისინი გახდნენ ვერაფერს. დემენტეევმა შეაჩერა ულაყი, სადავე მუხლებში დაიჭირა და პაპიროსს მოუკიდა.

მოვიდა მეორე საზიდი. გრიგოლმა მიიჩინა მასთან, უკანა მხარიდან მიაწვა საზიდს და თითქმის ხელით წაიღო იგი. ცხენი ბორძივით ეწყოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩოფურა პარტიზანი, გრიგოლი, პატარა ტანისა იყო, მეტად მოჭარბებული ღონე ჰქონდა.

— აი, იმათ რა კარგადა აქვთ მოწყობილი საქმე, — თითქმის ტირილით წამოიყვირა ლენამ, — ჩვენთან კი დგას, გაქვავებულივით, — ლენა ცხენს მივარდა და ბარი მოუღერა.

— მაშკა აბა, აბა, ძვირფასო, შე ეშმაკის კერძო — გაჰყვიროდა ის. — მოსწი, ოგარუშეკ, განა ასე ეწვევიან? შენ რაღას უღვებარ, ნასტია! შეხედე, ისინი უკვე ელიან. მიაწევი, მიაწევი.

ქანცმიღული ცხენი საზიდის გაწევას შეეცადა, მაგრამ, მთელი ტანით აკანკალებული, ისევ დიდგა. ლენამ შავ, გაოფლიანებულ გავაზე ბარი შემოჰკრა, ნათლად დაეტყო გავას ბარის ცალი, ცხენი მორჩილად ჩასცქეროდა მიწას და ხანდახან გველივით გამოაგდებდა ვაფითრებულ ენას.

— ბრიგადირო! — დაიძახა დემენტიევმა.

მოვიდა დეიდა დაშა. ყოველთვის სუფთად ჩაცმული. თეთრი თავსაფარი ეხურა, კაბის კალთა გაეცურებოდა.

— რატომ აწამებთ ცხენებს?

— რა ეჭმა, აბა, რას გავხდები ზორინასთან, — ხელები გაასავსავა დეიდა დაშამ, — მეტისმეტად ფიცხაა.

მოვიდა ლენა. სულს ძლივს ითქვამდა, ჩექმებზე მიკრულ მიწას ბარით იწმენდა.

— ერთი შეხედეთ, პიოტრ მიხაილოვიჩ, — ჩაერია ლაპარაკში ლენა, — თავისთვის საუკეთესო ცხენები წაიყვანეს და მე და ნასტიას კი აი, როგორი მიკნავებული დაგვიტოვეს... ჩვენ ვალეტრი მოგვეცეს და თვითონ მაშკა წაიყვანეს...

— უმჯობესია, თქვენს წევრებს მოუთაროთ. ხელი გაანძრიონ! — ისე თქვა აგრონომმა, რომ ლენასათვის არ შეუხედავს.

— თვითონ ატყდა — შეჯიბრება და შეჯიბრება, — დაუყვირა გრიგორმა ლენას, — მე შენ გაჩვენებ შეჯიბრებას.

დემენტეევმა ხნულს გადახედა და მიხედა, თუ ასე რატომ ჩქარობდნენ. ნაკელის დიდი ზეინები სწორ რიგად იყო ჩამწყრივებული. იმ მწყრივებში, სადაც ლენა მუშაობდა, ეჭვსი ზეინი იყო, მეშვიდე ჯერ არ იყო შეესებული, დეიდა დაშას მწყრივში კი ცხრა ზეინი იდგა. ჩანს, მაგათ გათენებამდე დაუწყიათ მუშაობა, — გაიფიქრა აგრონომმა.

— ეს რა შეჯიბრებაა, ასეთი ჯაგლაგი ცხენებით. — არ ცხრებოდა ლენა, — ეს სწორი არ არის. ხომ ასეა, პიოტრ მიხაილოვიჩ?

აგრონომმა არც ახლა გასცა პასუხი.

— შეჯიბრება შეჯიბრებად იყოს, — უთხრა აგრონომმა დეიდა დაშას, — თქვენ კი ვალდებული ხართ ცხენებს ყურადღება მიაქციოთ, ვინაც სინდისი არა აქვს, ჰყუა უნდა ვასწავლოთ! — ეს

თქვა დემენტეევმა და თავისი ულაცი ადგილიდან დაძრა.

— მაგ ლაპარაკს ისა სჯობდა, — მოესმა უკნიდან აგრონომს ლენას ხმა, — შენი თოხარიკი გამოგეხსნა და დაგეხმარებოდი... თამბაქოს პლაკუნი და მითითებების მიცემა ადვილი საქმეა.

„გამკილა“, — გაიფიქრა დემენტეევმა და ვერ გაერკვია, სწყინდა, თუ სიამოვნებდა ეს.

ცოტა რომ გაიარა, ვერ მოითმინა და უკან მოიხედა, მაგრამ გადაყვითლებული ბორცვი ფარავდა მინდორს და აღარაფერი ჩანდა.

კვლავ გადაიშალა მინდვრები, გუბეები, საშემოდგომო ნათესები. გამოჩნდა დაბრეცილი, განმარტოებით მდგარი, დაგრეზილროკებიანი ფიჭვი. დემენტეევს რატომღაც ვანსაკუთრებით უყვარდა ეს ხე. ყოველთვის, როცა კი შომუშკას ამ მხარიდან მიუახლოვდებოდა, ეს ფიჭვი ეგებებოდა მას გზის გადასახვევთან, ეს წყნარი და ალერსიანი ხე თითქოს უჩვენებდა, საით იყო სოფელი, საით — მდინარე მდევდიცია, და სად იყო ლენა.

ახლა ეს ფიჭვი უცხოდ იდგა და გულგრილად ამრიალებდა თავის მძიმე ფოთლებს.

— აბა, გასწი, — უთხრა დემენტეევმა ულაცს და ნამწვავი გუბეში გადააგდო.

7

ბრიგადა ექვსი დღის განმავლობაში — ალიონიდან შულამემდე — ეზიდებოდა ნახნავში სასუქს. დაყოვნება, როგორც ეს ზოგიერთ ბრიგადაში ხდებოდა, შეუძლებელი იყო. სხვა ბრიგადებში სასუქი ნორმალურად უნდა შეეტანათ. ამას მოასწრებდნენ. აქ კი ერთნახევარი ნორმა სათესი ერთნახევარ ზომა სასუქს მოითხოვდა. თადარი-

განი ბრიგადირი დეიდა დაშა ამქარებდა ახალგაზრდებს: — ნაკელი ცოტაა, დროულად უნდა დაეჭობოთ, თორემ სხვები წილებენ.

საუბედუროდ, ამინდიც შეიცვალა. ლენა ყოველ დილით, გამოღვიძების უმაღლეს, ფანჯარაში იმზირებოდა, მაგრამ ყოველდღე ერთსა და იმავეს ხედავდა: ცა უძრავ, ნაცრისფერ ღრუბლებით მოიფინა, მის ქვემოთ კი ისე დაბლა დაეშვა ღრუბელი, რომ, გვეგონებოდათ, ეს-ეს არის სახურავეებს შეეხებიანო, მიჰქროდნენ მონძებვიით დაფლეთილი ღრუბლები. დღედაღამ გადაუღებლივ, თითქოს საცერიდან სცრისო, ისე მოდიოდა წვიმა, გაწუწული ბელურები ფოთლებში ელურტულებდნენ. სახლებში ისე ჩამოხვეწიდა, რომ იმულებული იყვნენ სადილობის დროს სანთელი აენთოთ. გზა ისევ ატალახდა. ცხენები დაიტანჯნენ, ნახნავებში ველარ შეჰყავდათ და ნაკელის ზეინებს პირდაპირ გზაზე ყრიდნენ. ლენამ ანისიმეს სთხოვა გოდრები დაეწნა, და მთელი ბრიგადა გოდრებით ეზიდებოდა ნაკელს.

ასე გრძელდებოდა ექვს დღეს მეშვიდე დღეს მინდორში პაველ კირილოვიჩი მოვიდა. განზე გაიხმო დეიდა დაშა.

— ბოსლიდან ნაკელი მეტი აღარ წამოიღოთ, გიკრძალავთ, გეყოფათ. ცხენებიც სხვა ბრიგადაში გასაგზავნად მოვამზადეთ. თქვენ ისედაც სხვებზე მეტი ნაკელი წამოიღეთ.

— პაველ კირილოვიჩ, სხვებს როგორ გვადარებ? — გაიკვირა დეიდა დაშამ, — ჩვენ სხვებზე მეტი გვეკოთვინის.

— არ მოგცემთ სხვებზე მეტს. აი, განკარგულება მივიღე, რომ ათი ცენტნერი თესლი „კრასნი პოხარს“ გადავცე. არ ყოფნით თესლი, ვითომ ჩვენ კი გვეყოფნიდეს! ვერ მოგცემთ ნორმის ზევით თესლს.

— ნუ ხუმრობ, თავმჯდომარე. — ზმადაბლა მიმართა დეიდა დაშამ—როგორ ფიქრობ, რისთვის ვიწუწუებით ამ მთელი კვირა? იქნებ შენ ამ საქმის არაფერს გწამს? აგრონომმა რა გითხრა?

— აგრონომს კი არ აგებინებენ პასუხს, არამედ მე. საიდან გავიჩინოთ მე თქვენ თესლი?

— ავი გამგეობაც თანახმა იყო?

— მაშინ თანახმა იყო, ახლა აღარ არის თანახმა. მოგვეწეროს რაიმეწიგანმა ოფიციალურად და მაშინ ვილაპარაკოთ მაგაზე.

— არა, მოითმინე. ახლაც დავუძახებ ახალგაზრდებს, ლენა!

პაველ კირილოვიჩი კი შებრუნდა და, წვიმისაგან მობუზული, სოფლისაკენ გაემართა.

## 8

იმ დღეს ცუდად იმუშავეს. მინდვრიდან ჩვეულებრივზე ადრე წამოვიდნენ. საღამოს ლენასთან კომკავშირლებმა კრება ჩაატარეს, ოქმი დაწერეს, რეზოლუცია მიიღეს. დაადგინეს, თესლი თავიანთი პირადი დანაზოგებიდან მოეგროვებიათ, და დაიშალნენ იმ პირობით, რომ ამაზე დაითანხმებდნენ თავთავიანთ მშობლებს. მშობლების დათანხმება კი არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. შარშან პური გვალვამ გადასწვა და ზოგიერთ კოლმეურნეს გაზაფხულზე უკვე აღარ ჰქონდა სათესი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი ახსნა-განმარტებისა და ხეწინის შემდეგ ყველამ მოახერხა მშობლების დაყოლიება. მხოლოდ ნიკიფორე გაჯიუტდა. პირველად მას ნასტია ელაპარაკა, შემდეგ ლენა. როგორც კი წამოიწყო ლენამ მარცვლის შესახებ საუბარი, ნიკიფორემ ხელში გაზეთი აიღო და ლენას ყური არც კი დაუგდო. ორი საათი უშედეგოდ დაჰყო ლენამ აქ. შემდეგ, როცა

გონებაში გაიანგარიშა სხვეების მიერ დაპირებული მარცვლის რაოდენობა და დარწმუნდა, რომ შეეძლებოდა ნიკიფორეს გარეშეც იოლად წასულიყო, ხელი ჩაიქნია და წავიდა. მაგრამ, როცა სახლებს ჩამოუარეს მარცვლის მისარწყავად, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა, ხალხს რომ გაეგო, ნიკიფორემ უარი თქვაო, თვითონაც ყოყმანობდა თესლის მიცემასზე.

— ეს რაღაა, მე სულელი მნახეთ თუ? — ასეთი სიტყვებით ხედებოდნენ მშობლები შვილებს შინ დაბრუნებისას. — ერთმა უკანასკნელი მარცვალი უნდა გაიღოს, მეორემ კი ფუნთუშები აცხოს? აღარ გაბედო, რომ მოხვო. თუ სხვები მოგცემენ, მაშინ მეც მოგცემ.

როგორმე უნდა დაეყოლებიათ ნიკიფორე. მასთან ბრიგადის ყველა წევრები მოვიდა, მაგრამ ამაოდ. გრიშამ იფიქრა, იქნებ მე შევავანებინო რამეო და სამუქედლოში ესტუმრა. მაგრამ ნიკიფორემ იგი კინწისკვრით გამოაგდო გარეთ.

მიუხედავად ამისა, კვირას ლენა კვლავ გაემართა ნიკიფორესთან. ვადაწყვეტილი ჰქონდა, თუ საჭირო გახდებოდა, მთელი დღე-ღამე დარჩენილიყო იქ და რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, რა ბერხიც არ უნდა გამოეყენებინა თესლი, როგორმე დაეცანცლა. ამიტომ დილაადრიან მივიდა მასთან.

ნიკიფორე მაგიდასთან იჯდა, ლამბაქიდან ჩაის სვამდა და მარილწყარო პურს ატანდა. მისი ცოლი, პატარა ტანის მოხუცი, ღუმელში ცეცხლს აჩალებდა. ნასტიაც რძიან ჩაის სვამდა. ქვამში წყალი წუხჩუხებდა.

— გამარჯობათ, — უთხრა ლენამ და თან დაატანა: — გაამოთ.

— გავიმარჯვოს, — უპასუხა მკედელმა და დაყურადდა. — თუ იცი, ნახშირის ეზიდებიან?

— ეზიდებიან.

— მადლობა ღმერთს, მოუფიქრე-  
ბათ.

— ეზიდებიან, ეზიდებიან. მე იქ ვნა-  
ხე — კავეები აწყვია, ისეთი კოხტა კავე-  
ბია თითქოს ქარხანაში დაუმზადე-  
ბათო.

— ქარხანაში კი არა, — ჩაეღიმა ნი-  
კიტორეს, — გუშინ გამოვქედე.

— თქვენ ნამდვილი სასწაულმოქმე-  
დი ბრძანდებით, ძია ნიკიტორე. აი,  
აქვე კრალკას ნალი დააქედეთ, ისე  
გაახალგაზრდავდა, ისე დაბრის, 5 წლი-  
სა გეგონება.

— მას მოკლე ნალები ჰქონდა და-  
ქედილი, განა ცხენს ასე ჰედავენ? ახა-  
ლი ნალები დაეპედე. წინა ფლოქეები  
თხისა აქეს. ზომა ავიღე და ნალები ისე  
გამოვქედე. ქარხნის ნალები არ გამოა-  
დგებოდა.

— მე წავალ, — უთხრა ლენამ.

— მოიცა, — უთხრა მუქედელმა. —  
დაჯექი ჩვენთან, ჩაი დალიე.

— გმადლობთ, მე უკვე დავლიე.

— რას მპატიეებინებ თავს, კიდე  
დალიე.

ლენა მაგიდას მიუჯდა და ნასტიას  
ისეთი თვალით შეხედა, თითქოს ეკ-  
თებოდა — ზომ არ გადაიფიქრა თესლის  
შესახებო. ნასტიას სახე შეეჭმუხნა და  
ხელი უიმედოდ ჩაიქნია.

— რას ანიშნებთ ერთმანეთს? —  
შეეკითხა ნიკიტორე ლენას. — ისევ  
მარცვლის შესახებ თუ? ამის შესახებ  
კრინტიც არ დასძრათ.

— ჩვენ მეტი აღარც გვჭირდება, —  
უბასუხა ლენამ, — უკვე შევაგროვეთ.  
გუდამოვმა ნახევარი ტომარა მოგვცა,  
გრიშას მამამ ერთი ტომარა.

— მდიდრები ყოფილან, — თქვა ნი-  
კიტორემ.

— დედაჩემმა ნახევარი ტომარა და-  
გვიმატა.

ნასტია გაოცებული შესცქეროდა  
ლენას და ხმას არ იღებდა.

— მაშ ასე, ყველამ დაგვიმატათ? —  
ექვით გადააქნია თავი ნიკიტორემ.

— რა თქმა უნდა, ყველამ დედა  
დაშამაც კი ერთი ტომარა მოგვცა. ერთ  
სამი ბაეშვის პატრონიც მოგვცა. მო-  
გვცა, ნუთუ დედაჩემი აღარ მოგვცემ-  
და. სირცხელია, დეიდა დაშას ორჯერ  
მეტი სარჩენი ჰყავს.

— ჰოდა, ახლა მშვიდრები ეყრებიან.

— არა უშავს, კართოფილი და გამ-  
ხმარი სოკო აქვთ მომარაგებული. ბა-  
ეშვებიც მომთმენი და შეგნებულო  
ჰყავს დეიდა დაშას. როგორ ცხოვრობ-  
დნენ ომის დროს... საღამოზე მათ თი-  
თო კამფეტი დაურეგა და იგარუშეკმა.  
თქვენ რომ გეხმარებთ სამქედლოში,  
ნახევარი შექამა და ნახევარი ქალაღ-  
ში შეახვია — ამას მერე შევქამო.

ნიკიტორემ მძიმედ ამოიოხრა, ბან-  
ჯგვლიანი ხელი ჩაიდანის სახურავს  
დააქირა და ჩაი დაისხა.

— გუდამოვმა მოგვცათ?

— ყველამ მოგვცა, მხოლოდ თქვენ  
ერთს არ მოგიციათ, მაგრამ არა უშავს.  
არ გეწყინოთ, რომ მოსვენებას აღარ  
გაძლევდით. ახლა მეტი აღარ გეინდა...  
იცი, ნასტია, ოგარუშეკმაც სახლში სა-  
მქედლო გამართა, ჯირკი მოათრია  
გრდემლის მაგივრად, დამტკრეული  
ნაჯახი აქეს, საღღაც მარწუხიც იშოვა.

— აი თურმე სად ყოფილა მარწუ-  
ხი, — გაეღიმა ნიკიტორეს.

— მთელი დღე აკაკუნებს, — განა-  
გრძო ლენამ, — დაუსრულებელი კა-  
კუნისაგან დეიდა დაშას გული გაუ-  
წყალა.

— აი, სესხად რომ წაგელოთ, —  
თქვა ნიკიტორემ, — კიდე არა უშავდა  
რა, თორემ ისე, ღმერთმა უწყის.  
რისთვის.

— ჩვენ დაუბრუნებთ ყველას. თავ-  
მჯდომარე დაგვიბრდა, მოსაელიდან  
მოგვეცემს.

„და მართლაც, — გაიფიქრა ლე-  
ნამ, — დღესვე უნდა მოველაპარაკო  
თავმჯდომარეს. რომ შემოდგომაზე აუ-

ცილებლად დაგვიბრუნოს. ამაზე ის დაგვეთანხმება. ჩამდვილად დავითანხმებთ. ის რას კარგავს!”

— ჩვენ წერილი, უხარისხო ხორბალი გვაქვს.

— ყველას ასეთი აქვს. ჩვენ გადავარჩევთ. მაშ ასე, მივდივარ...

— დაიცა, — უთხრა ნიკიფორემ. — დედაკაცო, წადი ერთი, გადარწყვე მარცხენა ახლოსი რამდენია.

ცოლმა ბუზღუნა დაიწყო.

— არა, რატომ წუხნდებით, ჩვენ მეტი არც კი გინდა, — თქვა ლენამ.

— როგორ თუ არ გინდათ! ყველას გამოართვით და ჩემი არ გინდათ?

— წავილოთ? — მიუბრუნდა ლენა ნასტიას.

— რა თქმა უნდა, წავილოთ, თუ მამა იძლევა...

ნიკიფორეს ცოლი გავიდა, დერეფანში მამაკაცის მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა.

— შენი ნიკიფორე აქ ჩაის შეექცევა — დაილაპარაკა დერეფანში მამაკაცმა, — ბორბლებზე კი სალტეები არ არის ჩამოცმული. ნიკიფორე რაღაც ისე გადიდგადა, თითქოს უფროსი კომშემადგენლობა იყოს.

ლენამ ტუჩზე იკბინა.

ოთახში თავმჯდომარე შემოვიდა.

— აი, ყველას აქ მოუყრია თავი. შენ რატომ სამუშაოზე არა ხარ, ლენა? ზოგჯერ დღე და ღამე მინდორს ვერ მოგაცილებს კაცი. ახლა რაშია საქმე?...

— ახლავე მივდივართ, — შემარიგბელი კილოთი ჩაიბურტყუნა ნიკიფორემ, — მივდივართ, პავლე კირილოვიჩ. ეგ საქმეზე მოვიდა — თესლისათვის.

— რა თესლის?

— თავიანთი ნაკვეთისათვის ვაძლევეთ ტომარას. ოღონდ იცოდე, უთუოდ უნდა დამიბრუნოთ.

— რა დაგვიბრუნო? — მიჩერდა თავმჯდომარე ნიკიფორეს. *უარყოფითი*

— ძია ნიკიფორე, *უარყოფითი* დღენამ, — ლენკას ნახშირი არ დააქვს.

— დაიცა, ნუ ურევ, ლენა. — შეაჩერა ნიკიფორემ ლენა, — პავლე კირილოვიჩ, შენ ხომ დაპირდი ხორბლის მოცემას.

— რა ხორბლისა?

შემოვიდა ნიკიფორეს ცოლი წკებლით ხელში; შუა ადგილზე მიადოთითი წკებლას.

— აი, რამდენი დარჩა, — უთხრა ქმარს.

— მოიცა, ქალო, იქ რამდენია, — ეს ჩვენი საქმეა, ლენა კი ტყუის. მაგის სინდისი ხბოებს შეუჭამიათ.

9

სალამოზე ლენა ქიმიურ ფანქარს გუბეში ასველებდა და წერდა:

„ამხანაგო დემენტიევო!

გწერს თქვენი ნაცნობი ლენა ზორინა.

ამხანაგო დემენტიევო, თანახმად მოლაპარაკებისა, ჩვენს ბრიგადას უნდა დაეთესა ნორმაზე ერთნახევარჯერ მეტი და თქვენ ამ საკითხში მხარი დაგვიჭირეთ. მაგრამ როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, თავმჯდომარე გაჯიუტდა და თესლს აღარ იძლევა. თესლის გაშრობისათვის ხელსაყრელი ამინდები დადგა, თავმჯდომარე კი უარზეა. გთხოვთ ან თვითონ ჩამოხვიდეთ სასწრაფოდ, ანდა ცოტა უფრო მკაცრად მოსწეროთ მას.

ვრჩები თქვენ ნაცნობად. ზორინა“.

ლენამ გაზეთიდან გამოსჭრა კონვერტი, წერილი პურით დააწება და მხოლოდ ახლა მოაგონდა, აგრონომის ბინის მისამართი ნატალკასთან, დანჯრის რაფაზე რომ დარჩა.

რას იზამ! რაიმეწიგანის მისამართით უნდა გავგზავნო.



დათბა. მზე სულ უფრო მეტად და მეტად აცხუნებდა.

პატარ-პატარა გუბეები ამოშრა და მის მგავიერად შავი ლაქები დარჩა. პიოტრ მისხალიოვიჩისაგან პასუხი არა ჩანდა.

მტს-იდან მანქანები მოვიდა. ტრაქტორებს ბუქსირით მოჰყავდათ ორთვი-ლაზე შემდგარი ძარები. ძარებში რკინის კასრები და პატარა ბორბლებიანი, რკინის ვაგონების მსგავსი, მწვანე კულტივატორები ეწყო, შემდეგ იგივე ტრაქტორები ეწეოდნენ ავტომანქანებს. სოფელს მთელი ღამეების განმავლობაში კაკუნისა და გრუხუნისაგან მოსვენება არა ჰქონდა. ქოხები ციებიანებით ძიებებდნენ. დილით მთელი გზა ტრაქტორების მუხლუხებით იყო დასერილი. გუბეეს კი სადაფისფერი ელთ. ტრაქტორისტებმა თავიანთი მეურნეობა მდინარის პირას განალაგეს. ორი ახალგაზრდა, ისე გაზეითლები თითქოს ტყავის შარვლებიანებიანო, ნერვიულები და ძმებივით ერთმანეთის მსგავსნი, დადიოდნენ სახლებში, ეცნობოდნენ ქალიშვილებს და მექანიკოსის ნამალევად ნათეს რძეზე ცვლიდნენ.

თესვის დრო ახლოვდებოდა. დემენტიევი არც ჩამოდიოდა და არც წერილი ჩანდა მისგან.

საკუქნაოს მახლობლად, მინაზე ხორბალი გაშალეს, დანამეს, მზეზე რომ გაღვივებულიყო, მთელი ზამთრის განმავლობაში მიძინებული მარცვლის ჩანასახს რომ თავისუფლად ესუნთქა — ვიდრე ჰაერზე გამაგრდებოდა — რომ უფრო ადვილად შესძლებოდა მიწიდან საზრდოს ამოწოვა. ბელურების გუნდი საკუქნაოსთან უივევებდა, მთელი სახურავი დაეფარათ: ძირს ეშვებოდნენ, ცდილობდნენ ერთი მარცვალი მაინც მოეტაცათ. ბავშვები ჯობით ერეკებოდნენ მათ.

„ნუთუ დემენტიევეს დაავიწყდა ყოველივე ის, რასაც კრებაზე დაჰპირდა ხალხს; ან იქნებ ჩეიხვა გულმოსულოდ ფიქრობდა ლენა, — და სამიტრში სანაჩხა მოდის და არც არაფერს იწერება. თუ ეს ასეა, კარგი კაცი არ ყოფილა. ეს ისეთი საკითხი ზომ არ არის, პირად საქმეში რომ აეურიოთ. დიახ, არ ყოფილა ის ნამდვილი ადამიანი.“

მაგრამ ყანაში ლენა არ იმჩნევდა რომ იმედი უკრუვდებოდა. ეცოდებოდა ამხანაგები, — ისეთი თავგამოდებით მუშაობდნენ, რომ მონაგარიშე არც კი უჯეროდა დეიდა დაშას მაჩვენებლებს და ერთი ორჯერ თვითონაც შეამოწმარამდენი ნაკელი იყო ნაკვეთებში შეტანილი. ლენამ იცოდა, რომ საქმარისი იყო დაფიქრებულიყო, დანადგლიანებულიყო, და ახალგაზრდები მაშინვე შენიშნავდნენ და შეარცხვენდნენ მას. ამიტომ ის თავს ძალას ატანდა, იცინოდა, განკარგულებებს იძლეოდა, გადაკვრით ეუბნებოდა ამხანაგებს, რომ წერილი გაგზავნა რაიონში. იმგვარ გამომეტყველებას იღებდა, თითქოს ისეთი რამ იცოდა, როგორც სხვამ არაინ ყველას და, ასე გასინჯეთ, შორსმჭკრეტელ დეიდა დაშასაც კი სჯეროდა მისი: „მერე და რა არის ამაში განსაკუთრებული, აგრონომი ზომ ლენას უტრიალებს, მისთვის იწვის და იღაგება.“

ერთხელ, სახლში წასვლის წინ; გრიშამ ჩექმები გუბეში გარეცხა და თქვა:

— მაშ ასე, ყველაფერი მორჩა, ორი დღის შემდეგ თესვა დაიწყება, აი, რა ყოჩალია ჩვენი ლენა! ყველაფერს გააკეთებს. ჩვენ მას კლდესავით ვუდგავართ ვვერდში. აი, რას ნიშნავს, როცა რაიონში ჩვენი ხალხი გვყავს.

და ისინი წავიდნენ. წავიდა ყველა ლენასა და დაშას გარდა. დეიდა დაშა უკანასკნელ კვლებს ზომავდა, მცხუნვარე მზის სხივებმა დედამიწის გულში გაატანეს.

— აბა, წავიდეთ, ჩემო სტახანოველო, — უთხრა დეიდა დაშამ ლენას.

ლენა ქვაზე იჯდა, ზურგი უთრთოდა.

— რა მოგდის? გაწყენინეს? თუ რაიონში არ მოგვარდა ჩვენი საქმე?

ლენა ხმას არ იღებდა.

— ერთი ამას დაიხედდე! რატომ უფრო ადრე არ მითხარი? ვთქვათ, ახალგაზრდობისათვის არ გინდოდა მე-თქვა, განა ჩემთვის უნდა დაგემალა? ნუ ღრიალებ, თავის მოკვლა საჭირო არ არის. დამაცა, მე მოველაპარაკები თავ-მჯდომარეს, იქნებ რამე გამოვიდეს. მარტო ის ხომ არ არის ბატონ-პატრონი, ჩვენ, გამგეობა რაღაცას წარმოვადგენთ.

## 11

როგორ დაიყოლია დეიდა დამამ პავლე კირილოვიჩი, ამაზე არაყინ არაფერი იცოდა: ღამით მან ლენას სახლის ფანჯარაზე დაუკაკუნა და ჩურჩულით აცნობა სასიხარულო ამბავი.

— გვადლევს, ცოტას გვადლევს. ხვალ დილით ადრე შევეკრიბოთ და დატვირთოთ, თორემ იქნებ ისევ ვადაიუქროს.

ლენას რაღა დააძინებდა ამის შემდეგ. ირიტრავა თუ არა, წამოვარდა, მიაშურა გრიშასთან, ნასტიასთან და დანარჩენ ამხანაგებთან. შეაბეს ორი ფორანი, წამოაყენეს საწყობის გამგე და ბელისაკენ გაემართნენ.

საწყობის გამგეს არ უნდოდა თესლის გაცემა თავმჯდომარის განკარგულების გარეშე, მაგრამ ყველა ერთად არწმუნებდა მას, რომ პავლე კირილოვიჩმა ნება დართო და საცაა თვითონაც მოეა. ახლა კი საჭიროა სასწრაფოდ დავიწყოთ არწყვა და დატვირთვაო.

როცა პირველი ფორანი დატვირთეს, ბელელთან პავლე კირილოვიჩი მოვიდა.

— ვადმოტვირთო... — უთხრა დამას.

— რაო? ავი ნება დავგვრთეთ! — წამოიძახა გაოცებულმა დეიდა დამამ.

— ვადმოტვირთო-მეთქი, არ გესმის! შენ გელაპარაკებთან.

— ეჰ, რა კაცი ხარ, პავლე კირილოვიჩი, — თქვა ლენამ და გაფითრდა.

— რა კაცი ვარ? — მოულოდნელად დაიღრიალა მავლე კირილოვიჩმა. — თუ მოსავლის ვადიდებარ, გინდათ, ისე მოიქეციოთ, როგორც სხვებში იქცევიან. სრულიადაც არ არის საჭირო ახალ-ახალი ამბების გამოგონება.

— აი, თურმე რა ყოფილა? — თქვა ლენამ.

— დიხს! რაიმეწიანს მისწერე? გვიჩივლე, რომ თესლს არ გვაძლევინო? აი, ინებეთ, წაიკითხეთ! — თავმჯდომარე აღელვებული იყო, დიდი ხანი იფათურა გიბეში და, როგორც იქნა, იპოვითხად დაკეცილი პრიალა ქალადი.

ლენამ ქალადი გაშალა, სიტყვები სუფთად იყო დაბეჭდილი, ხელმოწერა გაკრძალი ხელით იყო შესრულებული, რომელსაც ზოგი დაბეჭდილი სიტყვაც კი დაეფარა. ლენას ჯერ წერილი არ წაეკითხა და მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო. უფრო ამ გაუგებარმა ხელმოწერამ შეაშინა ის. ხელმოწერა მხოლოდ ერთი ასო „შ“-გან შედგებოდა. დაახლოებით თხუთმეტობდე ასო „შ“ იყო ზედიზედ მიყოლებული.

ქალადზე დაბეჭდილი იყო:

სოფ. შომუშკას კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

„თქვენი წერილის... (ცარიელი ადგილი) თარიღით (ცარიელი ადგილი) გაცნობებთ, რომ... (აქ ეწერა მრავალი ციფრი) დადგენილებით, ხარისხიანი სათესლე მარცვლის ხარჯვა დამტკიცებული ნორმის ზევით აკრძალულია. გთხოვთ განუმარტოთ კოლმეურნეებს, რომ გადახარჯვისათვის დამნაშავენი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.“

ხოლო ქვემოთ იყო ხელისმოწერა იმ კაცისა, რომლის გვარი „შშშშშ“-საგან შედგება.

## 12

პელაგია მარკოვნა შინ გვიან დაბრუნდა. მზე უკვე ბელლებს იქით იყო გასული. ისმოდა, თუ როგორ აგორებ-

და კუთხეში რაღაც რგოლს წრუწუნა. სახლი, რომელშიაც ლენა და პელაგია მარკოვნა ცხოვრობდნენ, ახალი აშენებული იყო: ხის შენობა ქვის საძირკველზე იდგა, კარებში რომ შესულიყავი, ამისათვის საჭირო იყო ძელებზე გაგველო, რადგან ჯერ პარამლი გაკეთებული არ იყო. ოთახში ჯერ კიდევ ტრიალებდა ახლად მოჭრილი ხის სუნი.

სანთლის ანთება ვერც კი მოესწრო პელაგია მარკოვნას, ისე თოსოვსებოდა ღუმელთან, უნდოდა ვახშმის მომზადება მოესწრო.

— აი, შე წყეულო... ისევ გაიხვრიტე, — ეუბნებოდა იგი ვედროს — ისედაც მთელი ფსკერი ძონძებით გაგიტენე. ბარემ კიდევ გემსახურა ერთი წელი და მერე შედავათს მოგცემდი, ვიყიდიდი ახალ ვედროს და შენ სამუდამოდ დაგასვენებდი.

პელაგია მარკოვნა ესაუბრებოდა ვედროს, ღუმელს, ყველაფერს, რაც კი სახლში ებადა, თორემ ისე ლაპარაკი დაავიწყდებოდა: სამუშაოზე ლაპარაკის დრო არა ჰქონდა და სახლშიც ხომ ხმის გამცემი არავინ ჰყავდა; ლენა შინ გვიან, ღამით ბრუნდებოდა, როცა პელაგია მარკოვნას უკვე ეძინა.

პელაგია მარკოვნამ კასრი გაავსო წყლით და კვარის ჩეხვას შეუდგა. ჩამონაჩეხი კვარის ნაჭრები განზე ტეხბოდა.

— ერთი ამ თავზედს დამიხედეთ. — ებუზღუნებოდა პელაგია მარკოვნა შეშის ნაჭერს, — დეხებში რთკებს რას მიდებ? მართლა რომ თავხედი ხარ! აი, გადაგაბრუნებ და ველარ აიგდებ თავს.

ლატანზე ზედადგარი დადგა, ამოიღო ხორკლიანი კართოფილი და ასანთს დაუწყო ძებნა.

ასანთი ვერ იქნა და ვერ იპოვა. ყოველ კუთხეში აფათურებდა ხელს და ვიღრე მონახავდა, უკვე მოასწრო ღუმელის ასახდელისათვის იოქვა, რომ ზვალ, თუ კარგი ამინდი იქნება, თესვას დაიწყებენ, რომ დღეს ტრაქტორებმა

უკვე შეამოწმეს, თუ როგორაა ნიღჯები მომზადებული მძრალად მოხვნის შემდეგ, აგინებდნენ იმ ტრაქტორისტებს, რომლებიც შემოდგომაზე მუშაობდნენ და რომელთაც მოიტანეს ისეთი უცნაური მანქანები, როგორიც თავის დღეში არავის უნახავს და რომ, ღვთის მადლით, ყველაფერი კარგად იქნება.

ბოლოს საწოლსაც გადასწვდა, იქ ხომ არ არის ასანთიო, და თითები ვიდაცის მხრებს მოხვდა.

— ოჰ, ღმერთო! — ხელი უკან გასწია პელაგია მარკოვნამ. — ეს ვინ არის?

— მე ვარ, დედა, — დაქანცული ხმით მიუგო ლენამ.

— როგორ შემაშინე. სუნთქვა რად შეიკარი, ხმა მაინც ამოგელო.

— რა საჭირო იყო?

— რატომ დაბრუნდი ასე აღრე?

— ბევრი ვიმუშავე, მეყოფა.

— დაიქანცე?

ლენამ პასუხი არ გასცა. „რაღაც დარდი აწუხებს, — გაიფიქრა პელაგია მარკოვნამ, — შეკითხვასაც აზრი არა აქვს, სულერთია, არაფერს მეტყვის“. ბოლოს, როგორც იქნა, მოძებნა ასანთი, მოხარშა კართოფილი, აადულა რძე. შემდეგ ლამფა აანთო და ლენას დაუძახა. ორივენი მაგიდასთან, ერთ გრძელსკამზე ჩამოსხდნენ. ლამფა მკრთალად ანათებდა მათ მოქანცულ სახეს. სკოორს, კუთხეში მდგარ სურათებიან ჩარჩოს. სკოერს რკინის სალტეები ჰქონდა გარშემოვლებული. სალტეები ფანგს ბევრ ადგილას მთლად შეეჭმამა, ეტყობოდა, გერმანელების ყოფნის დროს მიწაში დაემალათ. ფანერის შეღებილ ჩარჩოში ოცზე მეტი პატარა და დიდი ზომის სურათი იყო ჩასმული.

სურათებს შავი ლაქები აჩნდა, ეტყობოდა, ჩარჩოც მიწაში ჰქონდათ ჩამარხული და ამის გამო დაობებულიყო.

ლენა და პელაგია მარკოვნა ვახშობდნენ, ხოლო გაყვითლებული სურათებიდან მათ თვალეგადმოკარკლული

გუსარები, გორიზი სახის და წვერებგადეარცხნილი მოხუცი მამაკაცები და კეთილი გამომეტყველების მოხუცი ქალები, მუხლებზე დაწყობილი გამხდარი ხელებით. პრიალა ქალღღებზე გადაღებული სურათებიდან იღიმებოდნენ ცხვირპაკუთა გოგონები და ცხვირპაკუთა ბიჭები, რომლებსაც ისეთი სრული ჩოხები ეცვათ, რომ ერთი შეხედვით ეტყობოდა, ჩოხები სხვის ტანზე იყო შეკერილი... ერთი ლენას სურათი იყო. იგი გადიდებული იყო ჯერ კიდევ პატარა, დაწნული თმებით და ყელზე პიონერის ყელსახვევით.

ოპამდე ეს ოჯახი მრავალრიცხოვანი და მტკიცე იყო. ახლა კი მთელი ოჯახი ერთ ვიწრო სკამზე თავსდებოდა. პელაგია მარკოვნა თვალს არ ამორებდა ცეცხლს და სადღაც, მისი ლამაზი შავი თვალების სიღრმეში, აღბეჭდილი იყო ამ ქალის უდიდესი დარდის კვალი; მისი ლამაზი, შავი თვალების სიღრმეში მოჩანდა ამ ქალის უდიდესი ნაღველი.

ივანშემს ისე, რომ ხმა არ ამოუღიათ. ერთხელ შეეკითხა მხოლოდ ლენას პელაგია მარკოვნა:

— აგრონომისაგან არაერთარი პასუხი არ არის?

— ქარაფშუტა კაცი ყოფილა. შეშინდა, არ მოდის, — თქვა ლენამ და საწოლისაკენ წავიდა, — მისი გახსენებაც კი არ მინდა...

პელაგია მარკოვნამ ჩააქრო სინათლე. ლამფის შუშიდან ნავთის შემხუთავი სუნი ამოვარდა. მთვარის შუქი თეთრ სუფრასავით გადაეფარა მაგიდას. თუჯის ღუმელიც სულ გადაათორდა, თითქოს რძე გადაასხესო. შორს, ქუჩიდან, ალბათ მდინარის პირას, გარმონზე უკრავდა მოუსვენარი გრაჟჟა, ისმოდა გოგონების წივილ-კივილი და სიცილხარხარი. ლენას უკვე ეძინა. წრუწუნა კი ისევ შეუდგა კუთხეში რგოლის გორებას.

პელაგია მარკოვნა ფრთხილად წამოდგა და ქალიშვილთან მივიდა. თმები

ბალიშზე გადაფანტოდა ლენას. ეძინა. თითქოს განაბულიაო. ქუთუთოები მთლად არა ჰქონდა დახტული, თითქოს ვიღაცას უთვალთვალდა, თითქები ნახევრად მოკუმშული აქვს, თითქოს ნინაბი უნდა აიღოსო. აი, ძილში შეხტა და გაღმობრუნდა. პელაგია მარკოვნამ სათუთად გადაუსვა მას თავზე ხელი. გაიზარდა ჩემი გოგონა, აწი ქურდულად უნდა ვეფერო. სულ ბიჭის თვისებები აქვს, არ უყვარს დედის ალერსი, კი არ უნდა მიუალერსო მას. უნდა გაუჯავრდე, მაგრამ როგორ, როცა ოქროს გული აქვს? თუმცა მოფერებით არ მოგეფერება და ერთ ტუბილ სიტყვასაც არ გეტყვის, მაგრამ, თუ დასაძინებლად დაწეკი, ისე ივ ხშმებს, რომ ლამფას არ აანთებს. სიბნელეში ვახშმობს, რომ არ შეგაწუხოს. თუ მოწყენილობა შეგნიშნა, დაღლილობისაგან ფეხზეც რომ ვერ დგებოდეს, ყველაფერს თეთონ მიაღაგებს.

გახდა ლენა ამ დღეებში, თვალები ჩაულურჯდა. ჩემო საყვარელო გოგონი! გული მუდამ რად გიწევს ყველაზე საძნელო საქმისაკენ, რა გინდა? გამდიდრება? ყველაზე მეტის გამოიმუშავება? არა, შენ ასეთი ხასიათი არა გაქვს. სიმდიდრეს არ დაეძებ, შენ ის არ გინდა და არც გესმის, რა არის. რაც გაბადია, ყველაფერს გასცემ თუ ვინმემ გთხოვა, იქნებ დღეებისათვის ის ორდენისათვის იბრძვი? არა, უცხოა შენთვის განდიდების გრძნობა და კვებნა.

რას ხედავ ძილში? რად მიისწრაფ ასე შენთვის ახალ. უცხო და ყველაზე საძნელო საქმისაკენ? აგრერიგ რას აუღელეკებიხარ? რა ტალღებმა აგიტაცეს ასე, რომ შენთან დალაპარაკებაც კი ვერ მომიხერხებია და არც არაფერი გესმის ჩემი, მშობელი დედის...

დემენტოვი შუკაში მოდიოდა და უქმაცოფილოდ იქმუნებოდა. ფიჭობდა, როგორ დაეჭირა თავი ლენასთან;

გულცივად, ოფიციალურად, გულმოსულად, თუ წინანდებურად ელაპარაკა ასე, როგორც გული უქარნახებდა?

„სისულელეა, — ფიქრობდა დემენტევი, — ყურადღებას არ უნდა ვაქცევდე მის ყმაწვილურ ეშმაკობას, რატომ უნდა ვეძებდე გულისმოსვლის მიზეზს, თუ სინამდვილეში არ არსებობს ეს მიზეზი? მე ყველაფერში მართალი ვარ თუ არა? განა მითქვამს მისთვის ოდესმე სერიოზულად, რომ მიყვარს? არა, არ მითქვამს; აი ახლა მივალ და ვეტყვი. მორჩა და გათავდა“.

დაიწყო სოფელ შომუშკას მინდვრები.

გადახედა თუ არა აგრონომმა ნახნავეებს, მაშინვე შენიშნა, რომ თესვა მხოლოდ დღეს დაეწყოთ. როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, მუშაობა პირველ დღეს ნორმალურად არ მიმდინარეობდა, ტრაქტორი სათვის მანქანით გაუძღვრებლად იდგა ერთ ადგილზე და შავად მოჩანდა. სათვის მანქანაზე ჭილყავი შემჯდარიყო. ოთხი თმაგაწეწილი ქალი ზედ გზისპირას ბრეზენტზე წამოწოლილიყო.

— რატომ არ მუშაობთ? — შეეკითხა ქალებს პოტრ მიხაილოვიჩი და თავის ულაცს მაგრად მოქანა სადავე.

— რა უნდა გაეაკეთოთ? მანქანა დგას.

— ტრაქტორისტი სად არის?

— უფროსებთან გაიქცა. თავმჯდომარე თესვის ნებას არ აძლევს.

დემენტევემა ულაცს მათრახი გადაუტყლაშუნა და გზა განაგრძო, თავმჯდომარეს დაუწყო ძებნა: „აღმათ შინ ნებიერობს. პირდაპირ მასთან წავალ სახლში“.

ულაცი გრძნობდა თავისი პატრონის განწყობილებას და ნერვიულობდა.

თავმჯდომარე სახლში არ იყო. არ იყო ის არც გამგეობაში, არც საჯინი-ბოში, არც სამკედლოში და არც მტს-ის ვაგონთან. ყვილგან იუბნებოდნენ: ახლა აქ იყო და იქით წაეიდა. „ასე იციან

ხოლმე თქმა თავისი უფროსის შესახებ“. აგრონომმა ის იყო გადაწყვიტა მინდორში მარტო წასვლა და უცებ შემოესმა:

— ამხანაგო დემენტევი! მე თქვენს ძებნაში მთელი სოფელი შემოვივრინე. აი, ნახე, მტს-თან ისევ ჩხუბი მოგვიხდება.

ტალახში მოსერილი, გაოფლიანებული თავმჯდომარე დემენტევეთან მივიდა და ახსნა-განმარტების მიცემა დაიწყო. მტს-ელებს საშემოდგომო ხენა ჩვიდმეტრი სანტიმეტრის სიღრმეზე ჩაუტარებიათ ოცის ნაცვლად და თავს იმით იმართლებენ, რომ ღრმად ხენა ტალახის გამო შეუძლებელი იყო, რადგან საწვავის გადახარჯვას მოითხოვდაო. დემენტევი და თავმჯდომარე წავიდნენ ფართობის დასათვალიერებლად. ნახნავეები მართლაც უხარისხო იყო. სწორედ მოქცეულიყო თავმჯდომარე, რომ ასეთ მოხელე ნიადაგზე თესვა შეეჩერებია. საჭირო გახდა მტს-ის მექანიკოსის მოძებნა, ჩხუბი, გუთნების ხელახლად გამართვა და აქტების შედგენით მათი დაშინება. შემდეგ შეუდგნენ თესლის გადაზიდვის თადარიგს და დემენტევი, რომელსაც სრულიად გადააიწყდა ლენა, საღამომდის იძუოდა რჩევა-დარიგებებს, აქებდა, ავინებდა და აშინებდა, ვისაც როგორ ეკუთვნოდა, ბოლოს დაიქანცა და დასასვენებლად ჩამოჯდა. ის კვლავ შეიპყრო რაღაც კარგის მოლოდინის გრძნობამ; მიმოიხედა. მზე ჩადიოდა. კოლმურნეები მინდვრებიდან შინისაკენ მიეშურებოდნენ.

— აბა ერთი, როგორა აქვთ საქმე კომკუშირლებს? — შეეკითხა აგრონომი პაველ კირილოვიჩს.

— როგორც სხვებს. თესენ, — უბასუბა თავმჯდომარემ.

— წაეიდეთ, ენახოთ.

— რა დროს ნახვია. ყველა სახლებში წაეიდ-წამოვიდა.

— როგორც გენებოთ, მაშინ მე მარტო წავალ.

თავმჯდომარე წავიდა სოფელში, ხოლო დემენტევი ბილიყებით გაჰყვა მინდორს. ის სულ არ ფიქრობდა იქ ვინმეს ნახვას, უნდოდა დაეთვალიერებინა, როგორ იყო მოხსული მიწა.

უცებ თვალი მოჰკრა ლენას. ლენა შორს იყო, ნახნავების ბოლოში, პატარა წყაროსთან, რომელიც მდინარე მედვედიცას ერთვოდა. ის წახრილი, ფეხებზე განიხნული იდგა, ტომრიდან თესლს იღებდა და კობხად სდებდა მიწაში. იქვე ოგარუშეკი ჩაცუცქულიყო და ლენას ეხმარებოდა ჩათესვაში. დემენტევი მიუახლოვდა მათ. ლენა თავით ეფარებოდა ჩამავალ მზეს და მისი თმები გაეარეარებული გეგონებოდათ.

— ბიჭუნავ, — უთხრა დემენტევი, — ერთი გაიქეცი, მეგობარო, ნახე იქ გზაზე. ხომ არ არის თავმჯდომარე. ოგარუშეკი გაიქცა.

— ნუთუ თქვენ არ იცით, სადაა თავმჯდომარე? — უთხრა ლენამ, ისე რომ თავი არც კი აუწევია.

— ვიცი, მაგრამ მე რალაც მინდა გითხრა, ლენა...

— ოგარუშეკ! — დაუძახა ლენამ. დემენტევი მოიღუშა. ოგარუშეკი მობრუნდა.

— რას გაიქეცი? აბა, ჩათესე, — უთხრა ლენამ ოგარუშეკს. — შემდეგ ირონიული სიცილით შეხედა დემენტევის. — რას გაჩუმდით? რალაცის თქმა გინდოდათ. ბრძანეთ.

რაც ნაზი გრძნობა გააჩნდა აგრონომს, ერთბაშად გაუქრა.

— მე მინდოდა გამეგო, — უთხრა მან ცივად, — როგორ მოამზადე ნიადაგი ნორმანახევარი თესლის დასათესად. მაგრამ მე ამის შესახებ სხვას მოველაპარაკები.

— ნუთუ თქვენ თვითონ არ იცით, რომ... — დაიწყო ლენამ, მაგრამ აგრონომი უცბად შეტრიალდა და წყაროსაკენ წავიდა. გაჰყვა ნაპირს, რომ

ლენას თვალს მიფარებოდა, და მერე ზედ წყალთან ქვაზე ჩამოჯდებოდა. მოპირდაპირე მხარეს, ზედ ციციბარ, ნაპირზე ხშირი თხილნარი იყო. თხილნარი შავად მოჩანდა მთელი ნაპირის გასწვრივ.

დემენტევი დიდხანს იჯდა და ყურს უგდებდა, როგორ გაუბედავად, ერთხმაზე ეღურტულებდა თხილნარში ჩიტი. მზე გორაკებს იქით გადახრილიყო. ჩამობნელდა და სიჩუმე ჩამოვარდა. ჩიტის ძახილს ბანს არაეინ აღლევდა და ის კი კვლავ თავგამოდებით ეძახდა ვილაცას. და ამოდ ელოდა პასუხს!

უცებ დემენტევი წყალში ლენას ანარეკლი დაინახა.

— მე მინდა ხუთი ან ათი მერი მაინც ჩათესო ჩემებურად და აი, ხელით ვთესავ, — დამნაშავეის კილოთი თქვა ლენამ.

— ჩათესეთ, — უპასუხა აგრონომმა, ვერ გაეგო და არც აინტერესებდა გაეგო, თუ რატომ მოუვიდა თავში ლენას ხორბლის ხელით ჩათესვა.

— და ეს ჩემად მინდა გავაყეთო, რომ არაეინ გაიგოს, პიოტრ მიხაილოვიჩი, თქვენ არაეინ უთხრათ.

აგრონომი სდუმდა.

ლენა მის გვერდით ქვაზე ჩამოჯდა.

— თქვენ გულმოსული ხართ ჩემზე? — მოულოდნელად ჰკითხა ლენამ.

— არა.

— ვიცი, გული მოგივიდათ.

— არაფერი მაქვს თქვენზე გულისმოსასვლელი.

— ალბათ არის მიზეზი. მე ვიცი.

— რა იცით თქვენ?

— რაც საჭიროა, ის ვიცი.

— კი მაგრამ, საიდან იცით თქვენ?

— ეხვედები. ოღონდ ნუ გეწყინებთ.

მე რომ თავისუფალი ვიყო, მაგრამ მე უკვე მყავს...

— ვინ?

— თქვენ მას არ იცნობთ, ახლა ქა-

ლაქ გორკშია. აქედან იქამდე რკინი-  
გზით ათას ასოთხმოცი კილომეტრია.  
ჩამოწვა ბინდი. დადუმდა ჩიტი  
თხილნარში და ბოლოს, როცა სრული  
სიჩუმე გამეფდა, მკრთალ-მწვანე ცაზე  
ერთადერთი კაშკაშა ვარსკვლავი ამო-  
კიანთდა.

— დიდი ხანია, რაც ის წასულა? —  
კეთხა დემენტეევმა ცოტა დაფიქრე-  
ბის შემდეგ.

— ნახევარი წელია ან ცოტა მეტი.

— თქვენ ის არ დაგავიწყდათ?

— რა დამავიწყებს? რას ამბობთ?!

— რა გაეწყობა. კარგია...

— არა უშავს, სხვას მოძებნით. ჩემს  
ვარდა ბევრი მოიძებნება ამქვეყნად.

— არც ისე ადვილია მოძებნა, ლენა.  
აი, ამდენი ხანია ვცხოვრობ და ვერ  
მომიძებნია.

— მოძებნით. ახლა ბევრია ჩვენის-  
თანებე.

დემენტეევმა თავი ასწია და ლენას  
შეხედა.

— რას მიცქერით?

— ალბათ იგონებთ, როგორც ყო-  
ველთვის. იმ თქვენი გორკელის ამბა-  
ვიც ალბათ შეთხზულია. მე თქვენი აღა-  
რაფერი მჯერა...

— რატომ არ გჯერათ. გნებავთ და-  
ვარწმუნოთ?

— დამარწმუნეთ.

— აი, მე მისთვის გასაგზავნი წერი-  
ლი დაწერე. ჯერ არ გამიგზავნია. თუ  
გნებავთ, წაგიკითხავთ?

— წაიკითხეთ.

ლენამ გაშალა სამკუთხედად დაკე-  
ცილი ფურცელი და დაიწყო: „გამარ-  
ჯობა, ჩემო ძვირფასო ვასილი პარამა-  
ნოვიჩი!“

— ეს რისი ნომერია — ოცდათერთ-  
მეტი?

— ნუ მაწყვეტილებ, თორემ აღარ  
წავიკითხავ. „გამარჯობა, ჩემო ძვირ-  
ფასო ვასილი პარამანოვიჩი!“ ეს ნომერი  
საპირობა იმისათვის, რომ წერილები  
რიგზე დაალაგოს, ამიტომ ყველა წე-

რილს ენომრავ. „გაკონი, ვასიჩკა, ტუ-  
ჩებში და შენს გრძელ წამწამებში,  
ბევრს და ბევრს.“

ვასიჩკა დილით მომაგონდი შენ და  
ის ხეივანი, სადაც ვიდექით წვიმაში  
არყის ხის ქვეშ და შენ პირველად ამი-  
ხსენი სიყვარული. მე ახლაც სიამოვნ-  
ებით ვინახულებდი იმ არყის ხეს. ვა-  
სიჩკა, როგორც კი გამომეღვიძა, გული  
დამწყდა, ყველაფერს თავს მივანებებ-  
დი და ფეხით მოვიდოდი შენთან. ქა-  
ლაქ გორკში, მაგრამ ეს ახლა შეუძ-  
ლებელია. ჩვენ აქ ბევრი საქმე გვაქვს;  
ვალდებულება ავიღეთ, დაეთესოთ  
ნორმის ზევით, მაგრამ პაველ კირილო-  
ვიჩი თესლს არ იძლევა.

— როგორ თუ არ იძლევა? — გაუ-  
კვირდა დემენტეევს.

— როგორ და ისე, არ იძლევა. ვი-  
თომ არ იცით. „და არასგზით არ იძლე-  
ვა თესლს, აგერ, ერთი კვირაა ვიბრ-  
ძვით, მაგრამ არაფერი გამოდის. ერ-  
თობ შეურაცხყოფილნი ვართ. მე რაი-  
ონშიც მივწერე ამის შესახებ, ეთხოვ-  
დი, ემუღდარებოდი ჩვენებს, მაგრამ  
არაფერი გამოვიდა. ნეტავი შენ მაინც  
იყო აქ, იქნებ...“ შემდეგ სულ ერთი-  
დაიგივე წერია, — უთხრა ლენამ და  
წერილი დაკეცა.

— მოიცათ, ლენა. არაფერი მესმის.  
კრებამ ხომ გადაწყვიტა თქვენი ბრი-  
გადისათვის თესლის მოცემა?

— კრებამ კი გადაწყვიტა, მაგრამ  
ემშაკმა უწყის თქვენი რაიმიწვანი, იქი-  
დან განკარგულება მოვიდა, რომ ამი-  
სათვის პასუხისგებაში მიგვცემენ. ვი-  
თომდა ჩვენ ქურდბაცაცები ვიყოთ.

— სად არის ეგ ქალაქი?

— თავმჯდომარეს აქვს.

— წავიდეთ მასთან.

— რა აზრი აქვს ახლა მასთან წა-  
სვლას! თესლი უკვე აღარაა. მთლად  
გაანაწილეს ბრიგადებზე...

— წავიდეთ, წავიდეთ!

ლენას ხელი წაავლო და თითქმის ძა-  
ლით ეწვოდა გზისაკენ.

ბნელოდა. ისინი დიდხანს ხმაამოუ-  
ლებლოვ მიდიოდნენ.

— რამდენ დღეა მიდის წერილი ქა-  
ლაქ გორკამდე? — ჰკითხა დემენტიევმა.

— არ ვიცი. ოთხ თუ ხუთ დღეში.

— იქიდან?

— იქიდან არც კი ვიცი.

— როგორ თუ არ იცი? ის თავის  
წერილებზე თარიღს ხომ აწერს?

— არა ის არ მწერს წერილებს.

— როგორ თუ არა გწერს?

— ისე, არ მწერს. ერთი წერილი გა-  
მომიგზავნა, ერთი თვის შემდეგ, რაც  
იქ წავიდა, და მეტი აღარ მოუწერია. ამ  
ზაფხულს თავის მამას მოწერა, სულ ეს  
ყო. მორჩა და გათავდა. ის მუშაობს  
და არა სცალია ასეთი უმნიშვნელო  
საქმეებისათვის.

— კი მაგრამ ის აქაც ხომ მუშა-  
ობდა?

— დიახ, მუშაობდა, — უპასუხა უხა-  
ლისოდ ლენამ.

— და დროც ხომ ყოფნიდა თქვენ-  
თან სასეირნოდ?

— მერე რა, ყოფნიდა.

— მაშ რატომ წავიდა იგი თქვენგან?

— ჩემგან კი არ წავიდა, — მოგეხსე-  
ნებათ, მოუსავლიანობა იყო, შიმში-  
ლობა.

— თქვენთვის კი არ იყო შიმშილო-  
ბა? თქვენ ხომ არ მიატოვებთ აქაურობა.

— მე არა? — ლენას გაეცინა. —  
სოფლიდან ყველა რომ წავიდეს, პურს  
ვინღა დათესავს?

— ეს ასეა, მაგრამ ის კი მაინც წა-  
ვიდა?

— სამუდამოდ ხომ არ წასულა?  
მდგომარეობა როცა გამოსწორდება,  
ჩამოვალა.

— როცა მდგომარეობა გამოსწორ-  
დება?

— როცა მდგომარეობა გაუმჯობეს-  
დება... — ლენამ სიტყვა აღარ დაასრუ-  
ლა და ჩაფიქრდა. — ყური დამიგ-  
დეთ, — უთხრა ბოლოს ლენამ და ხე-  
ლი შუბლზე გადაისვა. — თქვენ ნუ

მაცდენთ სწორი გზიდან, თქვენ თვი-  
თონვე წადით თავმჯდომარესთან, მო-  
გვეცემს ის თესლს თუ არა, ჩემთვის  
მაგას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს...  
წაბრძანდით...

14

კოლმეურნეობის თავმჯდომარე მარ-  
ტოხელა იყო. ის მარია ტიხონოვნას  
და მისი მოხუცი ქმრის სახლში ცხოვ-  
რობდა. ოთახის ერთი კუთხე ეკავა.  
კუთხე გამოხუთებული ფარდით იყო  
გადაღობილი.

დემენტიევი გვიან მოვიდა: მოხუ-  
ცებს უკვე ეძინათ, თავმჯდომარე კი,  
მხრებში მოხრილი, ქრაქთან იჯდა და  
წერდა. დემენტიევისათვის ქვეშაგები  
იატაკზე გაეშალათ.

— დაილაღეთ? — ჩურჩულით შეე-  
კითხა პაველ კირილოვიჩი.

— დავილაღე.

— რძეს მიირთმევთ?

— არა.

დემენტიევი დაჯდა და ცერად გა-  
ხედა იმ მხარეს, სადაც მასპინძლების  
საწოლი იდგა. მარია ტიხონოვნა ლო-  
ვინში ხშირად ბრუნდებოდა, ოხრავდა.

— პაპიროსის მოსაწყევალ ხომ არ გა-  
ვიდეთ, — უთხრა პაველ კირილოვიჩმა  
დემენტიევს და წამოდგა.

ისინი პარმაღზე გავიდნენ და სადღე-  
ხურებზე ჩამოსხდნენ. გზის გადაღმა.  
ერთ სახლში შუქი გამოკრთოდა.

— ცივა. — თქვა პაველ კირილო-  
ვიჩმა და შეიშმუნა.

— დიახ, ცოტა ცივა... რატომ ჩამა-  
ღეთ, პაველ კირილოვიჩ, ლენა ზო-  
რინას წამოწყება? ნუთუ ეს არ გაწუ-  
ხებთ?

„ვიცილი, მეტყობა ამას“, — გაი-  
ფიქრა თავმჯდომარემ. გააბოლა, ამო-  
იხენეშა, დემენტიევისაკენ შემობრუნ-  
და და თქვა:

— თქვენ მხოლოდ ცუდად ნუ გა-  
მიგებთ, ამხანაგო დემენტიევი, თუმცა



ჩვენ ნასწავლი კაცი ხართ და ჩვენი საქმე კარგად გესმია, მაგრამ მე, რაც არ უნდა იყოს, მაინც თქვენზე მეტი ზიჯოვრია და მინახავს. აი, ყური და- ჰიგდეთ და გული ნუ მოგივათ. ყველა ახალი წამოწყება კარგი საქმეა, თუ შორიდან უყურებ, მაგრამ მე კოლმე- ურნეობის თავმჯდომარე ვარ და ვალ- დებული ვარ დავემორჩილო ყოველ- კვარ წესს და შევასრულო ყველა დად- ვენილება, ხომ გასაგებია? აი, თქვენ მეუბნებით: მიეცი, მიეცი, მიეციო, მაგრამ ერთი ჩემს ადგილას რომ იყოთ, თქვენც მოიფხანდით თავს, ამხანაგო დემენტეევო!

— არა, თავს არ მოვიფხანდი.

— ამას თქვენ ახლა ლაპარაკობთ, მაგრამ ამა წარმოიდგინეთ: გაციო თეს- ლი ნორმის ზევით. მერე და ვის მოხვ- დება ამისათვის? თავმჯდომარეს. კოქვით, ნაკლებად დაგარტყამენ. მო- ვითმენთ, მაგრამ გამოვა თუ არა რამე ამ წამოწყებიდან, ესმაკმა უწყის. ერ- თიც ვნახოთ და არაფერი გამოვიდეს? ვის მოხვდება? ისევე თავმჯდომარეს დაარტყამენ, ოღონდ უფრო მაგრად?

— პაველ კირილოვიჩ, — მიმართა დემენტეევმა, — როგორ ფიქრობთ თქვენ, აიტანს თუ არა ფართობი ნორ- მანახევარ ნათესს? ოღონდ გულწრფე- ლად მითხარით.

— შეიძლება აიტანოს. წამოწყება მეტად საინტერესოა.

— თუ საინტერესოა, მე მაგ საქმი- სათვის თავს გადავდეხდი.

— თავს კედელს მიახლიდი, — უთხრა თავმჯდომარემ, — ნუთუ თქვენ არ იცით, რომ თესლის გადახარჯვისათვის ასამართლებენ, სჯიან!

— მაშ დავლუმოთ ახალი იდეა, რო- მელიც დიდ სარგებლობას მოუტანს მთელს ქვეყანას, ეს არ არის დანაშაუ- ლი? მომეფით პაპიროსი.

— დაჯექი, ნუ ლეღვ. დამაცა. რამ- დენი წლისა ხარ, დემენტეევო?

— ოცდახუთის.

— კეთილი. მე კი ოცდახუთმეტ- სია ვარ. შენ ისეთ რამეს მეუბნები, თითქოს მე საბჭოთა ხელისუფლებას წინააღმდეგი ვიყო. არა, ჩემო ძვირ- ფასო, მე ომში ვიყავი და იქ ცოტა რამ ვისწავლე. აი, გაბრძანდით გზაზე და პირველსავე შემხვედრს შეეკითხეთ. როგორია თქვენი თავმჯდომარე-თქო? მოუსმინეთ, რას გეტყვიან. ჩემო ძვირ- ფასო, შენ რომ პატივს გცემდნენ და შენს ყოველ ბრძანებას ასრულებდნენ. ეს დიდი მეცნიერებაა... ამ მეცნიერე- ბას სკოლაში არ ასწავლიან. შენ რო- გორ ფიქრობ, განა ადვილი საქმე იყო ამ ცარიელ და გადამწვარ ადგილზე მეურნეობის აღდგენა, ანდა ადვილი იყო ფაშისტებთან ბრძოლა და ნაშიმ- შილევი, დაღლილი ხალხით მუშაობა? ადვილი იყო, როცა პური აი, ამოდენა იყო? — და მან ხელით აჩვენა, მაგრამ სიბნელეში არ ჩანდა მისი ხელი. — უფრო ადვილი არ იქნებოდა წავსუ- ლიყავი ურალში ან ცამბირში? არა. არ იცი შენ, ამხანაგო დემენტეევო, რამდენი უძილო ღამეები გამოიტარე- ბია, რამდენი ფიქრები და დარდი... რომ იცოდე, მაშინ მასე არ ილაპარაკებდი.

მოპირდაპირე სახლში სინათლე ჩა- აქრეს და უფრო დაბნელდა.

— და მე კიდევ ომში ვისწავლე, — განაგრძო პაველ კირილოვიჩმა, — ბრძა- ნებების შესრულება და მისი პატივის- ცემა, რადგან ეს ბრძანებები საბჭოთა ხელისუფლებიდან და პარტიიდან მო- ლის. მე მტკიცედ ვასრულებ მათ ბრძა- ნებებს და შენც, ამხანაგო დემენტეევო, გირჩევ, ასე მოიქცე. აი, რაიმეწვანში მიბრძანა, არ მივეცე. მეც არ მივეცემ.

— და ასე იქნებით გულზე ხელდა- კრეფილი?

— როგორ თუ გულზე ხელდაკრე- ფილი? აი, შენ არც კი იცი, რომ თესლს ვაძლევი ჩემი პასუხისმგებ- ლობით. მაგრამ მერე განკარგულება მოვიდა და მეც უკანვე გამოვართვი.

ვალდებული ვიყავი თუ არა განკარგულბა შემესრულებინა?

— რა განკარგულბა?

— არა, ჯერ ეს მითხარი, ვალდებული ვიყავი თუ არა, დავმორჩილებოდი რაიმეფანს?

— უნდა დამორჩილებოდი, ოღონდ მთელი ძალღონით, რაც კი რამ გაგანდათ. ყველაფრით უნდა დახმარებოდი, მხარი უნდა დაგეპირათ, ახალი საქმისათვის უნდა გამოგეჩინათ გამბედაობა, შეუბოჯობა, რადგან ეს ხალხის კეთილდღეობას ემსახურება.

— სხვის სიტყვებს ნუ შელაპარაკებო. შე ეს თვითონაც ვიცი.

— შე კომუნისტი ვარ, თქვენც კომუნისტი ხართ. მასხადაძე, ეს სიტყვები სხვისი კი არ არის, ჩვენია, ჩემი და თქვენი...

— შენ პარტიის წევრი ხარ? — ჰკითხა პაველ კირილოვიჩმა.

— დიახ.

— მართლა? შე კი შეგონა, კომკავშირელი იყავი.

პაველ კირილოვიჩმა პაპიროსის ნაშუკავი შორს გადაისროლა და გზაზე წითელი თვალი გაბრწყინდა.

— მაშ ასე, გამოდის, რომ ჩვენ ვერ შევთანხმდით? ყველაფერი ისევ ძველებურად რჩება?

— იცი რა ვითხრა, პიოტრ მიხაილოვიჩ? ამ საქმის მიტოვება მართლაც ცოდვია, ნაგრამ მოდი, სხვა კოლმეურნეობამ სინჯოს.

— კი მაგრამ რატომ ყოფთ: ესეც კოლმეურნეობაა და ისიც კოლმეურნეობაა. ყველა კოლმეურნეობა ჩვენი არ არის? ჩვენ ხომ არ უნდა დაველოდოთ, ვიდრე მეორე კოლმეურნეობა გახდებოდეს შეძლებული.

— ყოველ შემთხვევაში, ასე უფრო დამშვიდებული ვიქნები.

— თქვენ სიმშვიდეზე ოცნებობთ?

— შენ კი არ ოცნებობ?

— არა, სინდისს გეფიცებით, არა. ის იდამინები. დაღუპულები არიან,

რომლებიც სიმშვიდეზე ფიქრობენ, მოსვენებას ეძებენ. ისინი უნდა მოღწევენ ვერც მოსვენებას, ვერც სიმშვიდე და ვერც ბედნიერებას. სულ სხვა საქმეა — დაანგრიო, უკუაგლო ძველი და წამოსწიო ახალი და ასე სულ სიკვდილამდე. არაფრის შიში კი არა გქონდეს: აი ესაა ბედნიერება. თუ ხალხის საკეთილდღეოდ შეგნებულად, მოფიქრებულად აკეთებ რამეს, ყველა დადგენილება შენდა სასარგებლოდ შემოტრიალდება და შენი მორჩილი გახდება.

— ეთქვით და არ გახდა შენი მორჩილი.

— სად ცხოვრობთ თქვენ, პაველ კირილოვიჩ? ვინ წერს ჩვენში დადგენილებებს? ხალხი წერს, თქვენ წერთ თვითონ. ასე არ არის?

— ერთი ამას უყურეთ, რა აგიტაციას ეწევა ლენას სასარგებლოდ, — გაელიმა თავმჯდომარეს, — ლენა რომ არა, ალბათ ასეთი პრინციპული არ იქნებოდი.

— აი, ზომ ხედავ, ვინ იცის თქვენ რამდენ რამეს არ ფიქრობთ, — შერაცხა დემენტიევს. — ჩვენ ერთმანეთის არ გვესმის, შევწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი.

— როგორ თუ შევწყვიტოთ. შენ მე მშიშარა ნუ გგონივარ. მივცემ... ოღონდ ლენას ტყუილებრად დასდეგ.

— შე ეს ვიცი.

— რაკი იცი, მაშ კარგი. წავიდეთ, მოვისვენოთ.

— წავიდეთ.

— ოღონდაც, გეთაყვა, შენ რაიმეფანიდან რაღაც ქალაქი გამომიგზავნე, რომ გასამართლებელი საბუთი შექნეს... თორემ ხომ იცი, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ჩუ, წყნარად დაადგილებები — მარია ტიხონოვნა გაგვიწყრება.

ფეხაკრეფით გაიარეს პარშალი. გარეთ მიწაზე კი ისევ იწოდა პაპიროსის წითელი თვალი...

15.

დილის ოთხ საათზე პაველ კირილო-  
ვიჩი დეიდა დაშასთან მივიდა და ნება  
მისცა ზორინას ბრიგადისათვის დამა-  
ტებით საჭირო თესლი მიერწყათ. ლე-  
ნამ გაიგო ეს ამბავი მინდორში და პირ-  
ველად არც კი სჯეროდა. შემდეგ მიხე-  
და, ვისი წყალობითაც მოხდა ეს ამ-  
ბავი. გაიქცა დემენტოვის მოსაძებნად,  
რომ მადლობა გადაეხადა მისთვის. გზა-  
შივე გამოიჩვენა, რომ აგრონომი თით-  
ქმის რიყრაქზე წასულიყო რაიონში და  
მალე არ ჩამოვიდოდა. ლენა უკან გა-  
ბობრუნდა.

დაიწყეს თესვა. დიდი ხნის ლოდი-  
ნის შემდეგ, იღდეს თუ არა ხელთ თეს-  
ლი, გახალისდნენ. არც ერთი მათგანი  
არ წასულა სახლში სასადილოდ. ლენა  
შინ გვიან ღამით დაბრუნდა. პელაგია  
მარკოვნა თავისთვის ბუტბუტებდა:  
„როგორ იქნება, მთელი დღე უშეშელი  
იყო.“ მეორე დღეს კი პელაგია მარ-  
კოვნა ქალებს მოელაპარაკა, მოხარშა  
ერთი ქვაბი კომპოსტოს სუფი, შეხვია  
საბანში და დეიდა დაშას, მინდორში  
გაუფშავნა.

როცა მინდორში სუფი მოიტანეს,  
დეიდა დაშამ განკარგულება გასცა,—  
შეეჩერებინათ ტრაქტორი და ნახევარი  
საათით შეესვენათ.

გაშალეს ბრევენტი და წამოსხდნენ.  
ნასტიამ ქვაბთან ჩაიჩოქა და სუფის  
ჩამორიგებას შეუდგა. სუფს ქილებში,  
თფშებზე და პატარა ქვაბებში ასხამ-  
და. ერთ ნაწილს ძირიდან იღებდა  
სქელს, მეორეს — ზევიდან. ტრაქტო-  
რისტსაც დაუძახეს. იგი მოკრძალებით  
მოვიდა და კონსერვის ქილისაგან გა-  
კეთებული ჯამი მოიტანა. ჯამი კოხტა  
იყო, მოხრილფრთებიანი სახურავი და  
მიღუღებულ სახელური ჰქონდა. გო-  
გობებმა შურით შეხედეს ჯამს.

ტრაქტორისტი წამოწვა თავისი ჯა-  
მის გვერდით და ჩექმის ყელიდან თით-  
ბერის კოვზი ამოაძრო. კოვზიც რალაც

არაჩვეულებრივი ჰქონდა: ორივე მხე-  
რზე დაეჩხვლიტათ და სხვადასხვა სუ-  
რათი გამოეხახათ. აქ იყნის ჯვევილებზე  
ისარგაყრილი გული და რალაც ასოვნი.  
შაშხანა და კიდევ ქალი თუ თევზის  
მსგავსი რალაც.

— თქვენ ეცადით, რომ ტრაქტორი  
მამინვე ამუშავდეს, — უთხრა ლენამ  
ტრაქტორისტს და ტრაქტორზე ანიშნა.

— ნუ ლელავთ, მე ტანკისტი ვარ.  
მაშასადამე, ყველაფერი წესრიგში იქ-  
ნება, — ეტყობოდა ტრაქტორისტი ამ  
წრეში თავს ყველაზე საპატიო პირად  
სთვლიდა — ჩემს ხელში ის საათივით  
ბუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ დე-  
მობილიზებულია. ის კენისბერგამდე  
შეუკეთებლად მიდიოდა. ომში კი ქა-  
ლაქ გორკიდან გაგზავნეს. ერთი შეხე-  
დეთ, როგორა დგას. თავის ქალაქზე  
ღარდობს.

ლენა წამოდგა და რალაც უცნაუ-  
რად შეხედა ტრაქტორისტს.

— ლენა, რა მოგივიდა, ლენა, — შე-  
ეკითხა ლენას დეიდა დაშა.

— რალაც ხასიათზე არა ვარ. — თქვა  
ნადვლიანად ლენამ. — მდინარეზე მაინც  
წავალ.

ყმაწვილებმა გაკვირვებით გააყო-  
ლეს თვალი.

— იგი ყოველთვის ასეთი არასიმპა-  
თიურია? — შეეკითხა ტრაქტორისტი  
გრიშას.

— დაიცა ცოტა, მალე ჩაიწვები მას-  
ში, — უთხრა გრიშამ. — მაშინ იქ-  
ნება სიმპათიური.

თბილი და მზიარული დღე იდგა. ცა-  
ზე ერთმანეთს ცვლიდა ვარდისფერი  
ღრუბლები და მათ შორის მზე ხან გა-  
მობრწყინდებოდა, ხან იმალებოდა და  
მიდამოც წამდაუწყებ იცვლიდა ფერს—  
ჩამქედებოდა, განათლებოდა, ისევ  
მოიღრუბლებოდა. ნელი და გრილი  
ნიავე მოჭროდა მდინარიდან და აგრი-  
ლებდა სუფს კოვზებზე.

დეიდა დაშა ლენას მოსაყვანად წა-  
ვიდა.

— არა, გოგოებო, იცოდეთ, — თქვა ნასტიამ და ამოიხეხეშა. — ლენას სერიოზულად აწუხებს რაღაც. ახლა ის სიხარულით ცას უნდა ეწეოდეს, ასეთ მიზანს მიაღწია, მას კი დარდი შემოსწოლია. როგორ ფიქრობთ, გოგონებო, ასე არ არის? განა ლენა ასეთი იყო?

— მე ჯერ კიდევ გუშინ შევნიშნე: მას თავსაფრის ბოლოები ცრემლით წქონდა სველი. — თქვა ლუშკამ და თან აქეთ-იქით მიმოიხედა. ლუშკა საერთოდ დაბალი ხმით ლაპარაკობდა და თან აქეთ-იქით იცქირებოდა. — ჯერ კიდევ გუშინ ვნახე, — დაუმატა მან, — ოღონდ თქვენ არავის უთხრათ!

— თვალებიც სულ გამოეცვალა, — თქვა ნასტიამ, — თითქოს მისი თვალები ამოუძვრიათ და სხვა ჩაუდგამთო. ნეტავ რა არის ამისი მიზეზი.

— შეშინდა! — თქვა ლუშკამ და მიმოიხედა.

— ვისი შეეშინდა? — შეეკითხა გრიშა.

— ოღონდ თქვენ არავის უთხრათ. წამოიწყო ეს საქმე და ახლა, როცა თესლი უკვე მისცეს, შეშინდა. ვაითუ არაფერი გამოვიდესო. პასუხი ხომ უნდა აგოს. აი, რაშია საქმე.

— პასუხი ჩვენ ყველამ უნდა ვაგოთ, — თქვა გრიშამ.

— არა, ლენას გამოცვლის მიზეზი ეს არ არის, — ამოიოხრა ნასტიამ. — მე ვფიქრობ, ჩვენ ყველამ რომ უარი ეთქვათ ამ წამოწყებაზე, სულერთია, ლენა მანც არ დაიხვეს უკან.

ყველა გაჩუმდა. ლუშკა როგორღაც კატასავით, ფრთხილად ცუცნიდა კოვზიდან ცხელ კომპოსტოს. ტრაქტორისტმა დაამთავრა თავისი ულუფა და კიდევ მითითოვა.

— აი, მე კიდევ ვიცი მიზეზი, თუ რატომ არის ის ასეთ ხასიათზე, — თქვა უცებ ლუშკამ, — მხოლოდ თქვენ ამის შესახებ არავის არ უთხრათ.

ყველა მისკენ მობრუნდა.

— აგრონომს ლენასთვის უარი უთქვამს.

— აი სწორედ! უარს იტყობა ლენაზე, — თქვა გრიშამ. *ეროვნული*

— სწორედ რომ ასეა... *საბჭოთა*

— უნდა გაამხნევოთ ქალიშვილი, — წარმოთქვა ტრაქტორისტმა და თან თავის ტატუირებულ კოვზს დააცქერდა.

— შენზე უკეთესებს ამხნევებდნენ, მაგრამ არავითარი შედეგი არ გამოუღია.

— მოდი, გოგოებო, შევიკრიბოთ მასთან საღამოს, — თქვა ნასტიამ, — გულდაგულ მოვისაუბროთ, ვიტყვით.

— გამონახეს, რაღა, რით ანუგეშონ, — წამოუარდა გრიშა. — გინდათ, ერთი საათის შემდეგ ისევ ისეთი გახდეს ლენა?

— ერთი ამას დამიხედეთ, რა გმირია! — უკმაყოფილოდ წამოიძახა ლუშკამ. — შენი ხათრით ხომ არ გამხიარულდება?

ლუშკას გრიშასთვის უძგერდა გული, მაგრამ გრიშა ვერ ხედებოდა ამას.

— ჩემით, შენით — ყველათი, — განაგრძო მან. — მოდით, მუშაობით წაეაქეზოთ, გახსოვთ როგორი იყო ის, როცა სასულეს ვზიდავდით?

— არაფერი არ დამართია ლენას. როგორიც იყო, ისეთია ახლა, — თქვა ლუშკამ და მიმოიხედა.

გრიშას წინადადებას ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ როცა ლენა დაბრუნდა, იგი ისევ ისე ჩაფიქრებული და მღუმარე ნახეს. ახალგაზრდები მთელი ძალით და ხალისით შეუდგნენ მუშაობას. ყოველ ათ წუთში ავსებდნენ სათეს მანქანას. გრიშა საზიდართან მოიკრებოდა, მსუბუქად წამოიგდებდა ზურგზე ტომარას და სხვებსაც აქეზებდა. ტრაქტორი მუშაობდა, გუგუნებდა, მისი მუხლუხოები ვერცხლივით პრიალებდა, სათესის თავსახური რახუნებდა და ქილყვაევიც თავს დასტრიალებდნენ ტრაქტორს.

ახლო ნაკვეთიდან პაველ კირილოვიჩი მოვიდა. ჩვეულებისამებრ არავის მითითებას არ აძლევდა და არავის ეჩ-

ხუბებოდა, ცოტა ხანს იდგა და თვალყურს ადევნებდა თესვას. შემდეგ შეტრიალდა და გაბრუნდა. როცა ყმაწვილებს გასცილდა, კმაყოფილებით ჩაეცინა.

ლენაც გამოცოცხლდა, ლოყები აუწითლდა და, ასე გასინჯეთ, ხანგამოშვებით ტრაქტორისტსაც კი შეუყვირებდა ხოლმე. გრიშამ შეხედა ლენას და ლუშკას თვალით ანიშნა.

დღის ოთხ საათზე ფართობში კიდევ ორი საზიდარი მოვიდა. ერთ მათგანზე პაპა ანისიმი იჯდა. თურმე პაველ კირილოვიჩმა ეს საზიდრები მარია ტიხონოვნას ბრიგადიდან მოხსნა და კომკავშირლებს გამოუგზავნა. ბოლოს და ბოლოს, ჩანს, მისი გულიც მოინადირა ამ ნაკვეთმა. რა აღიაქოთს ატეხდა მარია ტიხონოვნა!

ახლა ხუთი ცხენი ჰყავდათ და მუშაობა გაჩაღდა. როგორც კი პირველ საზიდარს დასცილდნენ, მაშინვე მეორე მოადგებოდათ. ერთხელ დასცალეს თუ არა მეორე საზიდარი, მესამეც მოვიდა. გამტვერიანებულმა და ოფლში გაწუწულმა გრიშკამ თავი ვეღარ შეიკავა, — ვაშაო, — იყვირა გახარებულმა.

ლენამ ისე შეავლო გრიშკას თვალი თავიდან ფეხებამდე, რომ ის მაშინვე გაჩუმდა.

— რას გაკვივი? — საყვედურის კილოთი უთხრა მან. გრიშამ ლენას შენიშნა, ისეთივე ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, როგორც დილით. — რა დაგემართა, დაჭრილ კაცსავეთ რომ ყვირი? ჩვენ ხუთი საზიდარი კი არა, თხუთმეტი საზიდარი გვეკირდება, რომ ვაშა შეეჭახოთ. — ლენა ნელი ნაბიჯით გაემართა სათესი მანქანისაკენ.

ისევ მოვიდა პაველ კირილოვიჩი. ჩანდა, მას რალაც რჩევა უნდა მიეცა დეიდა დაშასათვის, რომ ამ დროს შორს, გზაზე საზიდარი გამოჩნდა. თავმჯდომარემ ხელი მოიჩრდილა და საზიდრებს განედა: „ვისი უნდა იყოს?“

საზიდარი მოახლოვდა და პაველ კირილოვიჩმა იცნო კოლმეურნეობა „კრასნი პახარის“ თავმჯდომარე — გამარჯობა! — შესძახა პაველ კირილოვიჩმა, — რა არის ახალი რაიონში?

ცხენი შედგა. საზიდარზე იჯდამრუდე, ფეხებგადმოკიდებული, სახესმელი, თხელწვერა გლეხუჭა, თავზე რკინიგზელის ძველი კარტუზიანი ქუდი ეხურა. გლეხუჭას ჰკვიანი და ეშმაკურად მოკუტრული თვალები ჰქონდა.

— კინოთეატრი ააგეს ბაზართან. ხალხს საცხოვრებელი არა აქვს, ჩვენ კი კინოთეატრს ვაშენებთ. აი რა ხდება ჩვენთან! ჰო, კიდევ ის, რომ დემენტიევი მოხსნეს...

— როგორ თუ მოხსნეს? — შეპკივლა ლენამ და ცხვირზე ჰორფლი დააჩნდა. — რატომ მოხსნეს?

— ეშმაკმა იცის მათი თავი, ვინ იცის რატომ. თქვენს კოლმეურნეობას რალაც არასწორი მითითება მისცაო. მოხსნით არ მოუხსნიათ, კანტორაში დასვამენ გადაშწერად. რა თავგამოდებით მუშაობდა, რა მცოდნე კაცია და კანტორაში... აი, რა ხდება ჩვენთან!

ლენას არ შეუნიშნავს, როგორ წავიდა „კრასნი პახარის“ თავმჯდომარე, არ შეუნიშნავს არც ის, თუ როდის წავიდა პაველ კირილოვიჩი. ერთიმეორეზე მოდიოდნენ ცხენები: ვალეტი, კრალკა, ციგანი, ივლა. გრიშკა რალაცს გაპკიოდა, ისმოდა ტრაქტორის მუხლუხობის ხრიალი. ლენას ეჩვენებოდა, თითქოს ეს ხმები შორიდან მოდიოდა.

„კი მაგრამ, როგორ იქნება ეს, — ფიქრობდა ლენა და თან მაშინაღურად ასწორებდა მარცვალს ბუნკერში, — პიოტრ მიხაილოვიჩი მოხსნეს იმიტომ, რომ მან ურჩია პაველ კირილოვიჩს, ჩემთვის თესლი მოეცა. მაშ ჩემი გულისათვის მოხსნეს პიოტრ მიხაილოვიჩი? ნუთუ ის ბორტმოქმედია? ნუთუ მან კოლმეურნეობას რაე ზიანი

მიაყენა? ნუთუ ჩვენ ასეთი სასულელე რამ მოვაწყეთ, რომ ამისათვის ის სა-  
მუშაოდან მოეხსნათ?.. აი, ჩვენ დავე-  
მტკიცებთ! დავემტკიცებთ, რომ პიოტრ  
მისაილოვიჩი სწორად მოიქცა, — ლე-  
ნას თვალები გაუბრწყინდა. — შემდეგ  
ვნახოთ, ვის ექნება საქმე სასაცილოდ,  
ახლა ისინი დასციინიან, მაგრამ შემო-  
დგომაზე თვითონ დასციინებს იგი მათ,  
და იმ „მშშშ“-ს დასციინებს! — მან  
ირგვლივ მიმოიხედა. ტრაქტორი იდგა.  
არ ჩანდა საზიდრები. მზე ღრუბლებში  
შემალულიყო და ნახნავეებზე ჩრდილი  
იწვა.

„უპ, რა ნელი ტემპით მიდის ჩვენი  
საქმე. აქ მხოლოდ ფაცაფუცია და  
გრიშკას ყოიანი. მეტი ცხენები რომ  
მოგვცა, დღესვე მოვრჩებოდით ყვე-  
ლაფერს. მანქანით მაინც შეიძლებო-  
დეს ზიდვა. მაგრამ ამ ტალახში რომ ვერ  
გაივლის მანქანა?“

გზაზე ანისიმე გამოჩნდა. იგი საზი-  
დარს გვერდზე მოჰყვებოდა, სადავეები  
კი ცხენების ზურგზე შეეგდო. და-  
ქანჯული ცხენი ძლივს მოათრევდა  
ტვირთს, თავს მძიმედ აქნევდა. ამ დროს  
მზე ღრუბლებიდან გამოვიდა და მი-  
წას თანაბარი შუქი მოჰფინა. ლენამ  
უცებ რაღაც გადაწყვიტა.

— ყური მიგდე, ტანკისტო, — შეს-  
ძახა მან და ტანკისტისაკენ გაიქცა. —  
აი, ჩვენ როგორ მოვიქცეთ. ღამე შენს  
ტრაქტორს ათი საზიდარი ერთად მო-  
ვუბათ და დილისათვის მთელი თესლი  
გზაზე გამოვიტანოთ, ხოლო გზიდან  
აქამდე ორი საზიდართაც გამოვიტანოთ.  
მაშ მშუშაობთ ღამით, ბიჭებო!

— ეს მარტო შენ მოისაზრე? — და-  
ცინვით შეეკითხა ტრაქტორისტი. —  
ვინ მოგვეცემს ნებას, რომ ტრაქტორით  
საზიდრები ზიდო?

— თუ არა ვსურთ. არც კი შეგე-  
კითხებით. გრიშკა, შენ ხომ იცი ტრაქ-  
ტორის მართვა?

— რასაკვირველია, ვიცი.

— მაშ, ამ საღამოს ტრაქტორი სო-  
ფელში მოიყვანე, ეს ტრაქტორისტი კი  
სამშენებლოში ჩავეყვით, ჩვენი მანქანა  
შეგვიშალოს, არ აყვირდეს.

— აბა, აბა, აბა, — თქვა გაოცებულ-  
მა ტრაქტორისტმა და მხარბევიან გრი-  
შას შიშით შეხედა.

16

ღამით დაიწყეს დატვირთვა. ტრაქტო-  
რისტის სამშენებლოში ჩამწყვდევა საჭი-  
რო აღარ შეიქნა. მან თვითონვე მოი-  
ყვანა ტრაქტორი სოფელში, თვითონვე  
გადააბა ერთმანეთზე საზიდრები და  
ტომრების ზიდვაშიაც კი ეხმარებოდა.  
ბნელოდა. ლენამ მტს-ის სახელოსნო  
ვაგონში მოიბრინა, გააღვიძა შოფერი,  
მანქანა „ზისი“ ბეღლებთან მიაყვანინა  
და მისი ფარებით გაანათებინა იქაუ-  
რობა. ბრიგადის მთელი შემადგენლობა  
ტვირთავდა თესლს, დეიდა დაშას გარ-  
და. ადამიანთა დიდი ლანდები მკვეთ-  
რად ირეოდა ერთმანეთში ბეღლებისა  
და ფარდულების კედლებზე. ბოლოს  
შვიდი საზიდრისაგან შემდგარი მატა-  
რებელი მინდვრებისაკენ დაიძრა. ხმაუ-  
რით გამოღვიძებულ კოლმეურნეებს  
ვერ ვაეგოთ, რაში იყო საქმე, რა ზიე-  
ბოდა და ფანჯრებში იქყიტებოდნენ.  
ლენა ტრაქტორს ფეხდაფეხ მისდევდა.  
თავიდან თავსაფარი გადაეარდნოდა და  
ზურგზე ჩამოვიდებოდა.

17.

ზაფხულის თბილ ღამეებში, როცა  
სახლებში სინათლეებს ჩააქრობენ და  
მრისხანე მშობლები დასაძინებლად  
დაწვებიან, სოფლებში რომელიმე და-  
თქმულ ადგილას, გვიან ღამით, გა-  
სართობად თავს იყრიან ვაეები და ქა-  
ლიშვილები.

სომეშკაში, მარია ტიხონოვნას სახ-  
ლის წინ, მზისგან გამომშრალი მორი  
იღო. წლების მანძილზე ეგდო ის აქ,

ნაცრისფერი, ვერცხლისფრად მოელვარე, მთლად დაკორხლილი და ისე სწორად დაბზარული, თითქოს ლარით დაუხაზავთ და ისე გაუბზარავთო. თითქმის მისი ერთი მეოთხედი მიწას შეზრდოდა. მარია ტიხონოვნას სახლსა და შორს შორის მთავსებული, პატარა, მრგვალი მოედანი მთლად გაეტყუებნათ ჩექმითა და ფეხსაცმელებით. აქ იმართებოდა ხოლმე ცეკვა-თამაში, და იმიტომ არც ერთი ღერი ბალახი არ იზრდებოდა აქ. მარტოდენ მტვერში ამოვინგლულ ბატიფებს ფოთლებს შემინებულეებით ამოეყოთ თავი მოკრებსა და სკამებს შორის.

ოცდობი წამის, გვიან ღამით აქ თავი მოიყარა სოფლის ახალგაზრდობამ. გრილოდა. ხანდახან ქარი დაბერავდა და სიბნელეში უზილავი არყის ხის ფოთლებს არხევდა. ქარი მიქროდა წინ და ისმოდა, როგორ დათარეშობდა იგი ბაღში.

როცა ვინმე მოულოდნელად ასანთს გაკრავდა, ლუშკა გრიშკას მოშორებოდა, დამდურულსავეით გახტებოდა განზე, თავსაფარს შეისწორებდა. სინათლესთან თავს იყრიდნენ პაპირისის და ციგარკის მოსაკიდებლად, ასანთის შექისაგან უცნაურად მოქცეული სახეები.

— ჰო, მაგრამ დავიქანცეთ... — გაისმა გრიშას ხმა.

— აი, თურმე რა! მხოლოდ ოცი დღე გავიდა და შენ ამბობ, დავიქანცეთო. არა, ასე აღარ შეიძლება, — ამბობდა ლენა, — დეიდა დაშა როგორ გვასწავლიდა? ახლა მთავარია—მარგვლაო. ლუშკას ნაკვეთზე იმდენი გარეული შერიაა ამოსული, პური კი არა, გეგონება შერია დაუთესიათო. არა, მე წინადადება შემომამქვს, ლუშკას ნაკვეთი ჩამოერთვას.

— ჩამოერთვას. დავანებებთ კი?  
— აი, თურმე რა! არ დავანებებ? მაშ თავის დროზე უნდა გამარგლო. ზომ ზედავ, პური ორ-სამ დღეში მუხლ-

ში გამოვა, მერე მისი გათელვის ნებას აღარ მოგცემ.

— კი მაგრამ ხელით ხომ ცერე-გმფ-გლეჯე შერიას, ჯერ პატარა-პატარა

— კბილებით ამოგლიჯე. რითაც გინდა. თუ არ შეგიძლია, თავი დაანებე. აი, შეხედე გრიშას ნაკვეთს, არც ღრიჭა-რბილა და არც რძიანა არ ურევია. შენ არა გრცხვენია, ლუშკა? ის ბიჭია, შენ კი გოგო.

— არაუშავს, — წამოილულულა გრიშამ, — მე მაგას ბუქსირზე ავიყვან.

— მე თვითონ ავიყვან ბუქსირზე, — შეჰყვირა ლუშკამ, — გასწიე ხელი! ლენას თავთან ფანჯარა გაიღო და თმაბურძგნულმა პაველ კირილოვიჩმა გადმოიხედა.

— ეი, თქვე ეშმაკის თავებო, დამასვენებთ თუ არა? — ნამძინარევი ხმით გადმოსძახა მან ზემოდან.

— ჩვენ აქ კომკავშირის კრება გვაქვს, — უთხრა ლენამ, — ხელს ნუ გვიშლი.

— ხვალ ყველას ხუთ საათზე რომ წამოგაყენებთ, მაშინ გექნებათ კრება.

— შეხედე! ჩვენ კი ოთხ საათზე ვაპირებთ ადგომას.

პაველ კირილოვიჩს უნდოდა ლენასათვის შესაფერი პასუხი გაეცა, მაგრამ ნამძინარევე ვერაფერი მოიფიქრა, დაამთქნარა და ფანჯარა შეიხურა.

— მაშ ჩემი წინადადებაა — ლუშკას ნაკვეთი ჩამოერთვას. — თქვა ლენამ.

— როგორ თუ ჩამოერთვას? — ატირებული ხმით წარმოთქვა ლუშკამ. — თქვენ თვითონაც კარგად იცით, რომ ჩემი ნაკვეთი ყველაზე მწირი იყო. აქ მუდამ ღრიჭა-რბილა იზრდებოდა. ვიცისაც გინდათ, ჰკითხეთ. ჩემს გვერდით ნასტიკვას ნაკვეთია. მთლად სარეველა ბალახითაა საფსე...

— ნასტიკვას შესახებ ცალკე გვიმნება ლაპარაკი. რაც შეეხება ლუშკას, ჩამოვართვით ნაკვეთი. სულ ტყუილად მივეცით.

— ვერ ჩამოშორდები!

— ხმის უმრავლესობით გადაწყვეტოთ! — მოისმა სიბნელეში გრიშას ხმა.

ყველას გაეცინა. ფანჯარა ისევ გაიღო.

— თუ თქვენ ახლავე არ დასტოვებთ აქაურობას, — უთხრა პაველ კირილოვიჩმა ლენას, — ავიღებ ვედრო წყალს და მთელ კრებას თავზე გადავასხამ.

ყმაწვილები გაჩუმდნენ. ლენა თითის წვერებით გადავიდა სკამიდან მორზე. პაველ კირილოვიჩი ცოტა ხანს კიდევ იდგა ფანჯარასთან, მაგრამ არაფერი ისმოდა. კვლავ დაამთქნარა და თავის კუთხისაკენ წავიდა.

— სიწყინარე დავიცვათ, ამხანაგებო, — წაიხურჩულა ლენამ, — გრიშას ვაფრთხილებ, წესიერად მოიქცეს. აქ არაფერია სასაცილო.

— მერე და ვიცინი თუ? მე ვთქვი, კენჭი ეუყაროთ შენს წინადადებას.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ყმაწვილებო, — დაიწყო ლენამ, — გინდათ ამდენი შიშისა და ამდენი უბედურების შემდეგ...

მახლობლად ნაბიჯების ხმა გაისმა.

— ვინა ხარ? — შეეკითხა ნასტია.

— გასაგებია, ვინც იქნება, — გამოეპასუხა გრიშა. — ლეგროინის სუნი ერთი ვერსიდან მოდის.

— ნება მომეცით, თქვენთან დავეჯდე, — თქვა ტრაქტორისტმა და შორიახლო შედგა.

— ოღონდ ხელი არ შეგვიშალოთ. ჩვენ აქ სასაცილო არაფერი გვაქვს, — უპასუხა ლენამ და განაგრძო: — ასეთი დიდი მუშაობის შემდეგ თქვენ გინდათ ტეშპები შეანელოთ?

— ეს ვინ ლაპარაკობს? — იკითხა ტრაქტორისტმა, — თქვენ, ლენა? ნება მომეცით, თქვენს გვერდით...

— დაჯექი, მხოლოდ არ მომეკარო, გამსვრი. მაშ ასე, ყმაწვილებო.

— ერთი ამათ დამიხედეთ რა დინჯად სხედან, — თქვა ტრაქტორისტმა. —

გვეოფათ თავის მტრევეა. მოდი ერთი, სიმღერა შემოვძახოთ.

— შენ, ეი, სჯობია შიშის წყაროდ, მეგობარო, — თქვა გრიშამ.

— რას მერჩი, რას მაგდებ?

— გაგდებით არ გაგდებ, მაგრამ თუ არ გაჩერდები, ისე დაგიფრენ, რომ იმ შენს ვაგონამდე გადაგისვრი.

— ერთი ამას დამიხედეთ, ფრთხილად, თორემ ისეთს დაგიფრენ...

— დაწყინარდით, რა საჭიროა ჩხუბი, — უთხრა ლენამ გრიშას, შეატყო, შელაპარაკება თანდათან მწვავე ხასიათს იღებდა და საქმე ჩხუბით დამთავრდებოდა. — მოდი, მართლა, ვიღეროთ. შენ, ტანკისტო, იქ დაჯექი, ფანჯრის ქვემოთ, სკამზე და წამოიწყე.

— არა, მე თქვენს გვერდით მინდა.

— მაშინ აღარ ვიმღერებთ. დაჯექი... ტრაქტორისტო დაჯდა.

— მოდი, „რიბინია“ ვიმღეროთ, — თქვა ნასტია.

— არა „რიბინია“ მკვდარი სიმღერაა, — თქვა გრიშამ და გულთანად ჩაიციხა. — სჯობს მეთუღუხის სიმღერა შემოვძახოთ თუ ვიცით.

— მაგას რა ცოდნა უნდა! კინოფილმ „ვოლგა-ვოლგადან“ არ არის? მე ყველა სიმღერა ვიცი, — უპასუხა ტრაქტორისტმა, — ის კი არა, არიებოც ვიცი.

— ოღონდ, რაც შეიძლება, ხმა-მალლა, — თქვა გრიშამ და ისევ ჩაიციხა.

— შენ მას ნუ ასწავლი, — უთხრა ლენამ, — მე ვიცი, ის როგორ მღერის. ტრაქტორისტმა ჩაახველა, სკამზე შესწორდა და ყმაწვილები გააფრთხილა:

— სიტყვებს მე ვიმღერებ, თქვენ ჩუმად იყავით, ხოლო იქ, სადაც საჭიროა ტრილ-ლირ-ლირ, ტრილ-ლირ-ლირ, ყველა ამყევით, დავიწყით:

საოცარი კითხვაა:  
მეთუღუხე რადა ვარ?



ფანჯარა ხმაურით გაიღო და წყალ-  
მა იატაკის სველი ჩვარივით ტყავანი  
მოაღინა მიწაზე.

— „უწყლოდ სიცოცხლე ძნელია“, —  
განაგრძო სიმღერა პაველ კირილოვიჩ-  
მა, იგი სიბნელეში იხედებოდა, მაგრამ  
ვერათერს ხედავდა. — აბა ახლა ამყე-  
ვით.

მთელ სოფელს სიცილ-ხარხარი მო-  
ედო, სადღაც ძალღმაც დაიყეფა.

შეშფოთებული და შეშინებული  
ტრაქტორისტი აქეთ-იქით იყურებოდა,  
ხოლო შემდეგ თვითონაც გაეცინა, რა-  
მაც გრიშა მეტად გააოცა.

— როგორ არა გრცხვენიათ, — ყვი-  
როდა ლენა, — პაველ კირილოვიჩ, ჩვენ  
აქ საქმეზე ვმსჯელობთ.

— ის კი არა, ყაყანებთ. მთელ სო-  
ფელში გაისმის თქვენი ხმა.

— კი მაგრამ ეს ჩვენ ზომ არა ვრათ,  
ეს მტს-ია, ჩვენ ჩვენი ფართობის შე-  
სახებ ვმსჯელობთ... სარეველა მოერიო  
ჩვენს ნაკვეთს.

— ზვალ იმსჯელებთ, ახლა კი დასა-  
ძინებლად მოუსვით. რა სარეველა?

— გარეული შვრია, პაველ კირილო-  
ვიჩ, ხელით ვერასგზით ვერა ვგლეჯთ.

— აბა, მე ვერ ამოგიგლეჯთ, წადით  
ახლა შინ, ზვალ სულ გაწმენდილა  
იყოს! მე პირადად შევემოწმებ.

— რა მოხდა, კირილოვიჩ, რატომ არ  
ისვენებ, — გაისმა ოთახში მარია ტი-  
ხონოვნას ხმა, — რა დაგემართა?

— კომკავშირლებს ვეჩხუბები, მა-  
რია ტიხონოვნა.

სველ იატაკზე გაისმა შიშველი ფე-  
ხების ტყავანი. მარია ტიხონოვნა ფან-  
ჯარას მოადგა.

— ვინ არის მანდ? არავენ არ არის.  
ზომ არ მოგეჩვენა, კირილოვიჩ? ღმერ-  
თი იყოს შენი მფარველი, მოგეჩვენა.

— ჰმ, არავენ არ არის. ისინი აქ მთე-  
ლი ოცეულია. ეი, თქვენ!

ხმას არავენ იღებდა. ყმაწვილებს  
შეეშინდათ მარია ტიხონოვნასი.

— ცხადია, მოგეჩვენა. აი, ზომ ხე-  
დავ, არავენ არ არის. დაწეკი, გეთაყვა.  
დაღლილი ხარ, მთელი ღღერა არა  
სვენებია.

— არა, ისინი ნამდვილად აქ არიან  
მიმალულები. გარეული შვრია ამოსუ-  
ლა დარიას ნაკვეთზე.

— მერე რა მოხდა! გაატარე მანქანა  
და გაიწმინდება.

— აი, თურმე რა! — თქვა სიბნელე-  
ში არყის ხემ. — მანქანა ზომ გარეულ  
შვრიასთან ერთად პურსაც ამოთხრის?

— ჩვენ მასთან შეჯობრებაში ვართ  
ჩაბმული, — თქვა მეორე არყის ხემ, ეს  
გრიშა იყო. — ამიტომ გვირჩევს მანქა-  
ნით.

— ჯერ კიდევ ბავშვები ხართ, ყმა-  
წვილებო, — ამოიხუნეშა მარია ტიხონო-  
ვნამ. — როგორ ფიქრობთ, ეს მიწა  
ჩვენი არ არის? რა ჩემი ნაკვეთი და რა  
თქვენი — სულ ერთი არ არის? პური  
ერთნაირად ამოვა როგორც თქვენს ნა-  
კვეთზე, ისე ჩემს ნაკვეთზე.

— აბა შენ როგორ ფიქრობ გაა-  
კეთო? — შეეკითხა მას პაველ კი-  
რილოვიჩი. — იქნებ კულტივატორით  
სჯობს?

— არ ვიცი, რას ეძახით თქვენ იმ  
მანქანას, რომელსაც უკან საეარცხელ-  
სავით კბილები აქვს; ამ კბილებით მიწა  
უნდა გაიფარცხოს. მარცვალი ორ გოჯ-  
ზეა ჩათესილი, შვრიას კი ძირი სამი  
და ხშირად ოთხი გოჯი აქვს. აი, ამი-  
ტომ ისე უნდა ჩატარდეს კულტივაცია,  
რომ პურს არ აენოს და შვრია კი ამო-  
გლიჯოს.

— სახიფათო საქმეა, — თქვა პაველ  
კირილოვიჩმა.

— რასაკვირველია, სახიფათოა, მაგ-  
რამ უნდა გვაკეთოთ. მე გუშინ ვიყავი  
მათთან, ვნახე, როგორ გლეჯენ შვრი-  
ას. ხელით მას ვერ მოერევი.

— მე მათ ვუთხარი, მაგრამ არა  
სჯერათ.

— აბა ერთი გამაგებინეთ! — დაი-  
ყვირა პაველ კირილოვიჩმა.

ახალგაზრდები გაჩუმდნენ.

— აქეთ მოიწით, ნუ გეშინიათ. მოდით, ხვალ ვცადოთ, თორემ, ზომ იცით, პასუხს მე მაგვბინებენ.

ერთხანს კიდევ ითათბირეს და შემდეგ დაიშალნენ.

ყველანი თავიანთი სახლებისაკენ წავიდნენ. მარია ტიხონოვნა ცოტა ხანს კიდევ იჯდა ფანჯარასთან. მას მოეჩვენა, რომ მორზე ვიღაც იჯდა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. წყალს გაღმა ბაყაყები ყოყინებდნენ. შრიალბედა არყის ხის ფოთლები. მარია ტიხონოვნამ პირჯვარი გადაიწერა, ფანჯარა მიხურა და ბოსელში წავიდა ძროხის დასახედად. ძილი გაუტყდა.

ლენა არ წასულა სახლში. ისევ მორზე იჯდა.

„ღვიდა დაშას უნდა მოველაპარაკო,— ფიქრობდა იგი. — საეჭვოა ჩვენი წამოწყება. კარგი იქნებოდა პიოტრ მიხაილოვიჩის მოვლაპარაკებოდა. რატომ კვირა დღეს მაინც არ ჩამოვა? ქალაქში ზომ კვირა დასვენების დღეა. რატომ პატარა წერილს მაინც არ გამოვგზავნის? ან იქნებ ჩვენ სულ გადავათქვით? იქნებ აღარც კი არის მისთვის საინტერესო, რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ? იქნებ დარცხვენილია რომ მოხსნეს? ნეტავი სად იქნება ახლა? სძინავს? მუშაობს? ან იქნებ ისიც ჩემსავით გასცქერის ამ მრუდე, დაღუღულ მთვარეს“.

18

ოცდაათხ მათს კულტივატორი გაუშვეს, მეორე დღეს გარეული შერია შეთხელდა, მოტყდა. ერთი დღის შემდეგ დაქკნა და მერე სულ ჩაზმა. ზურმა თავისუფლად ამოისუნთქა, გაიმართა, სწრაფად აიყარა ტანი.

ზური მალა-მალა მიიწევდა. სხვა ბრიგადებიდან მოდიოდნენ და მოდიოდნენ კოლმეურნეები. ყველას უნდოდა რაღაც გაეკეთებინა ამ ნაკვეთზე. უნ-

დოდათ, ისინიც ყოფილიყვნენ ამ საქმის მონაწილე, რაც აქ კეთდებოდა.

მოდიოდა მარია ტიხონოვნა და ყოველთვის საქმიან დახმგებებსს მძღვედა ლენას.

იენისში ზურმა თავთავი აიყარა და დამწიფება იწყა.

მტს-იდან ჩამოსული უფროსი აგრონომი თავთავის მარცვლებს ჩითვლიდა და ალტაცებაში მოდიოდა. მარია ტიხონოვნა შურმა აიტანა. ეს ყველამ შენიშნა, ასე გასინჯეთ, პაპა ანისიმეძე.

მაგრამ ლენა არაფერს არ აქცევდა ყურადღებას. ის ხშირად, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, როცა ყველა ბრუნდებოდა სოფელში, მინდორში რჩებოდა, დაბნელებამდე გაუნძრევლად იდგა და თვალს ვერ ამორებდა თავთავების ზღვას.

რაზე ფიქრობდა იგი ამ დროს? ფიქრობდა იმაზე, რომ მომავალ წელს კოლმეურნეობა მთელ თავის ფართობს ახლებურად დათესდა, რომ საქიროა კიდევ მოიფიქროს რამე ისეთი ღონისძიება, რომელიც კიდევ მეტ პურს მისცემს კოლმეურნეობას. ფიქრობდა იმაზე თუ როგორ გაეხარებოდა პიოტრ მიხაილოვიჩის, როცა მოვიდოდა და ლენასაგან გაიგებდა ამ გამარჯვების ამბავს, როგორ გადაუხდიდა მადლობას, როგორც დანიშნავდნენ პიოტრ მიხაილოვიჩის რაიონის მთავარ აგრონომად...

ის ფიქრობდა ყოველივე ამაზე და არ იცოდა, ჯერ კიდევ ჩვილ და სუსტ ღეროებს რა საშინელი უბედურება დაატყდებოდა.

19

ლენას დამით გაეღვიძა. შეხუთული პაერი იდგა ოთახში. ფანჯარა გამოაოო, ფარდამ ფანჯრის რაფიდან თუნუქის ქილა გადმოაგდო, ფარდა მალა აფრიალდა და ატკაცუნდა.

სადღაც შორს, მინდერებში, ფარდულეებს იქით, დატვირთული კარქაპები-

ვით დაცურავდნენ დაბალი, პირქუში ღრუბლები. გვერდით მდგარი სახლი, ღობე და განმარტოებული ვერხვის ხე ძლივს მოჩანდა სიბნელეში. ეზოში ქარი მძვინვარებდა და ცაცხვი ისე ხმაურობდა, თითქოს მისი ფოთლები დუღდა.

ქექა-ქუხილი ახლოვდებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქარი ჩადგა და ლენამ გაიგონა, თუ როგორ კაკუნებდნენ პარმალებში ნამძინარევი და შეშინებული ქათმები. შემდეგ გაიგონა, როგორ მოიპარებოდა სახლისაკენ წვიმა. აი, იგი აშაშუნდა ფარდულის სახურაქზე, გადმოვიდა გზაზე, მთელ ეზოს მოედო და გამძვინვარდა, ათუხთუხდა და ადგაფუნდა. პარმალიან, ქუჩიდან ნესტიისა და ქიაცულების სუნი შემოიქრა, ერთბაშად აგრილდა.

გაიელვა. თეთრად გადანათდა ცარცივით თეთრი ვერხვის ფოთლები და ცარცივით თეთრფერ დაკრული ბალახიც. გაშუქდა ძლიერი წვიმის ტალღა. შემდეგ ისევ შავი ბინდი ჩამოწვა. ფარდულებს გადაღმა მეხმა გადაიგრიალა.

წვიმის თქეში წიოდა. ხმაურსა და წყლის დგაფუნში თანდათან შემოიქრა კაკუნი, რომელიც წვიმის წვეთების დაცემის ხმას სრულებით არა ჰგავდა. კაკუნი ცივი და ყრუ იყო.

ლენა ფანჯარას მივარდა. სეტყვა! სეტყვის თეთრი კაკლები აივანზე ცვიოდა, ბურთივით ხტებოდა ზევით და, როგორც ცოცხლები, ერთად იყრიდა თავს.

— დედა! — შეჰკივლა ლენამ.

— შენ კიდევ არ გძინავს? რა გაწუხებს? — წამოიწია ლოგინიდან პელაგია მარკოვნამ.

— დედა! ადექი, სეტყვა მოდის!

პელაგია მარკოვნა წამოვარდა, ფანჯარასთან მიიბრძინა, აფრიალებული ფარდა ძლივს დაიჭირა ხელში და ცას მიაშტერდა.

— რაღა უნდა ვქნათ ახლა, დედა?

— შენ თავს წინასწარ ნუ მოკლებ. განა ეს სეტყვაა? შეხედეთ, მუხუდოს ქარცვალზე პატარაა. ცხელი მდებრე სეტყვამ გვერდზე ჩაუარა შენს ნაკვეთს, პურს არ შეხებია.

პელაგია მარკოვნა დიდხანს იდგა ფანჯარასთან გაუნძრევლად და შეჰყურებდა ცას. რაც უფრო გაჩუმებული იყო ის, ლენას უფრო მეტი შიში იპყრობდა.

— დედა, შე წაეალ, — თქვა ბოლოს ლენამ.

— სად წახვალ ასეთ საშინელ ღამეში...

— არა, არ შემიძლია ასე გაჩერება. წაეალ, დაეხედავ, გავიგებ რა სჭირს. — ლენა სწრაფად იცემადა.

სეტყვა ძლიერდებოდა. სეტყვის კაკალი მტრედის კვერცხისოდენა გახდა.

როცა ლენა თავსაფარს იკრავდა, პარმალი ფეხის ხმა გაისმა. კარები გაიღო და ოთახში ანისიმე შემოვიდა. თავზე ქურქი ჰქონდა გადმოხურული.

— ლენა, შენ აქ ხარ? — უთხრა ლენას და ქურქი კუთხეში მიაგდო. — გულმა როგორ მოგითმინა?

— ახლავე მივიღიარ.

— მაშ მეც წამოვალ. გრიშკა გაიქცა, ვერ დავეწიე. მარტო კი შეშინია ქექა-ქუხილის.

— შენ აქ დაჯექი, — უთხრა პელაგია მარკოვნამ ანისიმეს, — დაიცადე, გადაიღებს.

— როგორ თუ დაჯექი! იქნებ იქ ჩვენ რამე გავაკეთოთ, — ანისიმემ უმწეოდ გაასასვავა ხელები. — წინათ ფანჯრიდან ცოცხს გადააგდებდნენ, სეტყვა შეწყდებაო — თქვა ანისიმემ და როგორღაც არამზიარულად გაიცინა. — გაუნათლებელი ხალხი იყო წინათ.

ფანჯარასთან გაისმა ფლოქვების თქარუნი. ვიღაც ცხენიდან ჩამოხტა და ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა პარმალიში.

— ეს თავმჯდომარეა, — თქვა ანისიმემ.

ოთახში პაველ კირილოვიჩი მართლაც შემოვიდა. ის მთლად გაუწუწული იყო.

— რატომ არა გძინავთ? — გულმოსულად იკითხა მან; — რატომ არ გძინავს, ლენკა?

— მე ნაკვეთზე მივდივარ.

— გიკრძალავ იქ წასვლას, — უთხრა პაველ კირილოვიჩმა. — არ გაუშვა, მარკოვნა.

— ჰო, მაგრამ მაგას კაცი შეაჩერებს?

— მე თქვენ გეუბნებით, არ გაუშვით.

— რა ამბავია იქ, — დაიყვირა უცებ ლენამ, — ხომ დასეტყვა, პაველ კირილოვიჩი?

თავმჯდომარემ თვალბში შეხედა.

— დაწევი, ლენა, — უთხრა მან, — დაწევი, შვილო, ვერ იქ არა ვყოფილვარ. წავალ ახლა და მერე გეტყვი. იქნებ გვერდით ჩაუარა. შენ დაწევი, რად უნდა დასველდე. შენც დაიძინე, მოხუცო. რამ შეგშალათ ყველა ჰკუაზე.

პაველ კირილოვიჩი სწრაფად შეტრიალდა და გავიდა. ლენაც მას გაედევნა. პელაგია მარკოვნა ქალიშვილს გამოუდგა.

პარმალთან ვალეტი იღგა და სეტყვა სცემდა ტანზე, კანკალებდა. უცებ ის გვერდზე გადახტა. ფანჯრიდან ცოცხი გადმოისროლეს და გუბეში ზღართან იგაადინა.

ქარი ისევე ამოვარდა, წვიმის ტალღები კედლებს ეხეთქებოდა.

— სად გამორბიხარ? — უთხრა პაველ კირილოვიჩმა ლენას და ცხენს ფაფარში ჩასჭიდა ხელი, მოსწია და შეეჯდა. — შებრუნდი, ლენა.

— თქვენ მალე დაბრუნდებით? — ჰკითხა ლენამ.

— ათ წუთში, — უთხრა თავმჯდომარემ, ცხენს სველ გაეაზე ხელი მოუთათუნა და დასძრა.

ლენა და პელაგია მარკოვნა ოთახში შემობრუნდნენ, ანისიმე დამნაშავესავით იჯდა ლუმელთან.

— არ წავიყვანა? — შეეკითხა ლენას. — ახლაც დაბრუნდებია, — ყველაფერს გაევიგებთ.

ასე ისხდნენ ჩუმად, როგორც სადღე გამგზავრების წინ სხედან ხოლმე. ისხდნენ ხუთი წუთი, ათი წუთი, თხუთმეტრი, ყურს უგდებდნენ წვიმის ხმაურს. დროდადრო მკრთალი ელვა ანათებდა მათ სახეს.

პაველ კირილოვიჩი არ ბრუნდებოდა. ნახევარი საათის შემდეგ მოთმინებადაკარგულმა ლენამ ხელახლა დაიწყო ჩაცმა და თავსაფრის მოხვევა.

— რომ ვერ დაგაჯერებ, ავი მოდის? — უთხრა პელაგია მარკოვნამ.

ლენა ფანჯარას მივარდა. გულისგამაწყვრილებელი წვიმა ისევ ცრიდა.

შარავზაზე თავმჯდომარეს ნელი ნაბიჯით მოჰყავდა ვალეტი. ისე ჩაუარა ლენას სახლს, რომ მისი ფანჯრისაკენ არც კი გაუხედავს, — თავისი ცხენით მალე მიიშალა წვიმიან ბურუსში.

— დედა, მთლად დაუსეტყვავს, მთლად დაუსეტყვავს! — შეჰკივლა ლენამ და ბალიშზე დაემხო.

## 20

ზაფხულის ერთ კაშკაშა მზიან დღეს ანისიმე გამოვიდა თავის სახლიდან და თვალმოჭუტულმა დიდი დათვის თანავარსკვლავედს გახედა.

მდინარის ზედაპირი ბრწყინავდა.

ოგარუშეკი სკამზე იჯდა და მარწყვის სქამდა. ვარდისფრად გათხუზულ თითებზე მარწყვის, ვარსკვლავის მსგავსი პაწია ფოთლები მიწებებოდა.

— გემრიელია? — ჰკითხა ანისიმემ.

— ჩვენთან. ველიკოლუქში, უკეთესი მარწყვი იცის, — უპასუხა ოგარუშეკმა.

— ვიცი, როგორც მარწყვიცაა თქვენთან. შენ აქაური ფოლოს გემო უნდა გასინჯო... არსად ასეთი ფოლო არ იცის, როგორც აქ, ახალ გაათქულში. ის დათვებსაც ძალიან უყვართ.



— ვილაც ბორანს მოადგა. აი იძახის კიდევაც, — უთხრა ოგარუშეკმა ანისიმეს.

— ადამიანსავეთ ჩაჯდება დათვი ეოლოს ბუჩქთან უკანა ფეხებზე, წუწუნის ეოლოს და ფოთლებს კი აფურთხებს. მართალია, ვილაც იძახის.

ანისიმემ ბორანთან მიიბრინა, გადავიდა მეორე ნაპირას და მალე დაბრუნდა, დემენტეივი გადმოიყვანა თავისი ორთველათი და ულაყით.

— რატომ ასე დაგვივიწყეთ, ამხანაგო უფროსო? — ეუბნებოდა ანისიმე და თან ბორანს ამაგრებდა, — გასულ კვირას ჩვენ დიდი უბედურება დაგვატყდა თავს.

— ვიცო, ვერასგზით ვერ შევძელი ჩამოსვლა, სხვა რაიონში ვიყავი წასული. საოლქო კომიტეტმა ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში გამაგზავნა.

— აი თურმე რაში ყოფილა საქმე! აქ კი ხმა დააგდეს, თითქოს თქვენ... აბა, როგორ გითხრათ...

— დემენტეივი სამსახურიდან მოაძვრესო?

— კი არ მოაძვრეს, არამედ რალაც ამის მაგვარი...

— ჰო, ასე უნდოდათ. მე იქ ერთ ტიპს წავეჩხებე ჩვენი ზორინას თაობაზე, მაგრამ პირიქით გამოვიდა: ის მოხსნეს, მე კი დამტოვეს.

— კმ, მადლობა ღმერთს.

პიოტრ მიხაილოვიჩმა ულაყი ნაპირზე ამოიყვანა და შეჩერდა.

— როგორ ცხოვრობთ აქ. ყველაფერი ძველებურადაა?

— ლენკაზე მეკითხები?

— არა, რატომ მაინცდამაინც ლენაზე? — პიოტრ მიხაილოვიჩმა უხერხულად ჩაახველა. — მე ყველას შესახებ გეკითხები. როგორაა თავმჯდომარე, მარია ტიხონოვნა?

— არავისთან არ სეირნობს, — განაგრძობდა ანისიმე, — ოღონდ რალაც ძალიან გულჩათხრობილი გახდა ლენა.

ეტყობა რალაცს კიდეც იგონებს, დევძახსო?

— ლენას... არა.

— ოგარუშეკ, — მიმართა ანისიმემ ოგარუშეკს, — გაიქეცი ზორინასთან და უთხარი, რაიონიდან უფროსები ჩამოვიდნენ და გთხოვენ-თქო.

ოგარუშეკი გაიქცა.

— არ მოვა, — თქვა პიოტრ მიხაილოვიჩმა.

— მოვა. მოიტათ თქვენი ცხენი, მივებამ.

დემენტეივმა სოფელს გადახედა. როგორ შეცვლილა შარშანდელთან შედარებით შომუშკა! ტიტველ ადგილებზე ახალი სახლები წამოუჭიმავთ. ეზოები შემოლობილი იყო. ღობეების გასწვრივ თეთრი გვირილები ჰყვავოდნენ.

ლენა ისე ჩქარა მოდიოდა, რომ ოგარუშეკი ვერ ეწეოდა, ხოლო როგორც კი დემენტეივმა შეხედა, ლენამ ნაბიჯები შეანელა.

— როგორ გაშვეებულხართ, პიოტრ მიხაილოვიჩ! — უთხრა ლენამ ჯერ კიდევ შორიდანვე.

— მზე მომეკიდა, — უპასუხა დემენტეივმა, და ლენას შესახვედრად გაემართა.

— წამწამები კი გაგთეთრებიათ, — დაუმატა ლენამ, როცა მიუახლოვდა დემენტეივს.

— გამიხუნდა მზეზე, — უთხრა დემენტეივმა.

მიესალმნენ ერთმანეთს. ოგარუშეკიც მათ გვერდით იდგა და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ლენას და დემენტეივს. ნეტავ რა დაემართათ, რამ დააბნიათ ასე...

— იცით, თქვენ, პიოტრ მიხაილოვიჩ, რომ მთელი ჩვენი წამოწყება დაიღუპა?

— არა, არ დაღუპულა. თქვენ „ქრასნო პოხარში“ არ ყოფილხართ?

— არ ვყოფილვარ.

— იმათ იქ შენებურად თქვენმეტო ჰექტარი დათესეს.

- საიდან გაიგეს მათ?
- ხომ არ წამეჩხუბებო, ლენა?
- არა, არ წამეჩხუბებო.
- გაზაფხულზე, როცა იქ ვიყავი, ყველაფერი ეუთხარი. მაბატიეთ, რომ თავს ნება მივეცი და თქვენი იდეები გაეამყარებო.
- ეს ჩემი იდეა არ ყოფილა. ასე ალტაელებიც აკეთებდნენ.
- კი მაგრამ, ჩვენს პირობებში, თქვენ პირველმა...
- როგორი შედეგები მიიღეს?
- შესანიშნავი შედეგები. სიმართლე რომ გითხრათ, უკეთესი, ვიდრე მოველოდი... და ახლა იქ ამ ნაკვეთს ზორინას სახელობის ნაკვეთს ეძახიან... გარდა ამისა, კიდევ სამ მეურნეობას გაეცანა ამის შესახებ — და იქაც არის ზორინას სახელობის ნაკვეთები. შემოდგომაზე წაიკითხავთ გაზეთში თქვენს შესახებ... მაგრამ, ერთი ეს მითხარით, როგორა ზართ თავმჯდომარესთან?
- თავმჯდომარესთან კარგად... მხოლოდ ცოდვას, ასეთი კარგი კაცია და

სულ მარტო. — ლენამ დამნაშავესა-  
ვით შეხედა დემენტიევს.

ოგარუშეკი კი ისევ იქ დგას, დეპუტატს  
უგდებდა მათ საუბარს.

ლენა ნელი ნაბოჯებით, თითქოს ბი-  
ლიკზე რაღაცას დაეძებო, გაჰყვა ნა-  
პირს. დემენტიევიც ასეთივე ნელი ნა-  
ბოჯებით მიჰყვა მას. ისე გამოვიდნენ  
გზაზე, რომ ერთმანეთს არ დალაპარა-  
კებიათ. მთელი ჰორიზონტის გასწვრივ,  
ერთიმეორეზე გაქიმული იყო ბორცვე-  
ბი. გზა ამ ბორცვებს შორის მიიკლა-  
კნებოდა და მწვერვალებზე აღიოდა,  
იქ ისევ დაბლობზე ეშვებოდა და შორს,  
შორს, ლილისფერი ბორცვის დასალი-  
ერს, თეთრი, კლაკნილი ძაფით მო-  
ჩანდა იგი მთელ ჰორიზონტზე და კი-  
დევ უფრო შორს, ცხრა მთას იქით იყო  
გადაჭიმული.

ლენა და დემენტიევი მიდიოდნენ,  
მიდიოდნენ მდუმარე ამ სწორ, სპეტაკ  
და დაუსრულებელ გზაზე.

თარგმანი თ. აბაშმაძისა.

## თურქეთის მიწაზე



### ბარსილდან სტამბოლამდე

ყარსი მთაგორიან იდგარზეა გაშენებული. აქ რამდენიმე ორსართულიანი შენობაა და ისიც იმდროინდელი, როცა ყარსი რუსეთს ეკუთვნოდა. ახალი შენობები აქ თითქმის არ არის. ქუჩები მოთვირწყლავი და მტყინანია. ქალაქის სიჩუმეს ხანდახან ორიოდ ეტლი არღვევს. აქ არის ადგილობრივი მდიდარი ვაჭრების რამდენიმე მაღაზია, მეტწილად კი წვრილ მოვაჭრეთა ფარდულები, რომლებიც ხავსმოდებულ სახლებს შეპყდლებიან.

გასართობი ადგილები აქ რესტორნები და ბანქოს სათამაშო დღეებშია. ისინი ძველად დიდ გზებზე არსებულ „ტრაქტირებს“ უფრო წააგვანან, ვიდრე თანამედროვე რესტორანებს. ბევრია ბანქოს სათამაშო ადგილები: შავი, ჭუჭყიანი კედლები, თამბაქოს კვამლი, აურაცხელი უსაქმური ხალხი. აქ მხოლოდ რამდენიმე თამაშობს გაქონილ სათამაშო ქაღალდს და ნარდს, დანარჩენები კი მსუფრულებია. ქალაქში არავითარი კულტურული გასართობი არ არის. გარდა ფარდულში მოთავსებული ერთი კინოთეატრისა.

სტამბოლის ერთ-ერთი ვახეთი წერდა, რომ თურქეთის კინოები თითქმის მუდმივად უჩვენებენ ამერიკულ სურათებს ყოველგვარი უშს-გაყსოებით. რას არ ნახავთ ამ ფილმებში: ძარცვა-გლეჯას, მკვლელობებს... ახალგაზრდობა სწრაფად ითვისებს ყოველივე ამას; აზიტომ საციკლეო არ არის, რომ უკანასკნელ ხანებში ქურდობის, ძარცვისა და მკვლელობის შემთხვევები ქალაქში საგრძნობლად გაიზარდა.

ყარსში სამ დღეს მოვიხიბა ცდა, რომ არზრუმამდე გვემგზავრა. სტამბოლის მატარებელში გადავხებდით, ეს უკანასკნელი კი სამ დღეში ერთხელ დადის; არზრუმში ცდას ყარსში ლოდნი ვამჯობინეთ.

ყარსიდან სარაყაშიმამდე სამი საათის გზაა. გადავხებდით ვიწროლიანდაგიან მატარებელში. ეს ხაზი გაყვანილია რუსეთის მიერ პირველი მსოფლიო ომის დროს და ამის შემდეგ მას არავითარი ცვლილება არ განუცდია. ვიგონებ

ბიკ კი მაშინდელი შეღებილი უნდა იყოს. სარაყაშიმადან არზრუმამდე მატარებელი 18 საათს უნდება. ჩაესხედით რბილ ვაგონში. რბილი ვაგონის მოწყობილობას წარმოადგენდ-ევენს მოგრძო სკამი, ვაგონის ერთ კუთხეში მდგარი თუჯის ღუმელი და შუაში ჩამოიდუ-ბული ძველი ლამა. გზა მოსაწყენი და დაუს-რულებელი გვეჩვენა, — ვაგონში არც დაწო-ლისა და არც ორიოდ ნაბიჯის გადადგმის სა-შუალება არ იყო.

არზრუმში დილით მივედი და საღამომდე. მატარებლის ჩამოდგომამდე, სასტუმროში გაე-ჩერდით. ეს ქალაქი მალეობზეა გაშენებული და სიცოცე აქ უფრო საგრძნობია. სასტუმროში მისვლისთანავე მოსამსახურემ გამოგვიცხადა, თუ შეუას შეიძენთ, ოთახს გაგიბოთბთო. ჩვენ, რასაკვირველია, მივეციით თანხიბა და საღ-ამომდე ოთახში მდგარი თუნტის ღუმელი არ ჩამტარა და არც კვამლი გამოლულა. ლამის 12 საათზე ჩვენ უკვე სადგურზე ვართ. საყუ-რადლებოა, რომ, თანხამდ ჩვეულებისა, აქ ხელნარგი კარიდან კი არ შეაქეთ ვაგონში. აჩამედ ფანჯარაში აწვიდან და ჩვენი ბარგიც ასე შეივტარებთ. მიუხედავად იმისა, რომ მატა-რებელი აქ სამ-დღეში ერთხელ დადის და სტამბოლამდე 60 საათზე მეტს უნდება, მთელს შემადგენლობაში მხოლოდ ერთი საწოლი ვაგო-ნია. არის პარკული, მორე და მესამე კლასის ვაგონები. ამ ვაგონებში მხოლოდ ჯდობა შეიძ-ლება, მესამე კლასი უფრო საბარგო ვაგონს წააგავს, ვიდრე სამგზავროს.

სამგზავრო ვაგონების სიმცირის გამო მატა-რებელი ძალზე გადატვირთულია და არათუ საჯდომი, ფეხზე დასადგომი ადგილიც არ არის. ეს შემადგენლობა არა ჰგავს სამგზავრო მატარებელს და, მით უმეტეს, „აქსპრესს“ რო-გორც ამას ადგილობრივი უწოდებენ.

### სტამბოლი

სტამბოლში 10 საათის დაგვიანებით ჩვე-დით. ჩვენი მატარებელი სადგურ-პიდარ-ღაშაში გაჩერდა, ესაა სტამბოლის აზი-რი ნა-წილი. აქედან გვმით ბოსფორი უნდა გადავ-

რათ და ნახვეარი საათის შემდეგ სტამბოლის ვერობად ნაწილში ვიქნებით. ამ ნაპირიდან სტამბოლს ლამაზი ხედი აქვს. გორაკებზე აღმართული შენობები ამფითეატრის შთაბეჭდილებას სტოვენენ.

გვიმოდან გადმოსვლისთანავე ზვენი მოლოდინი ქარწყლდება. სტამბოლის უძველესი ძეგლების სანახაუდ კაცი ქალაქის გარეუბნებში უნდა გავიდეთ. ამ კი, როგორც მის უწოდებენ, „ვერობად ნაწილში“, ჩვეულებრივი „ანტიკი“ ქალაქია. მიუხედავად იმისა, რომ სულ ათიოდე წუთის გზა გვექონდა, იქ მისელას 30 — 40 წუთის მოუწადით, ჩვენი მანქანა ქუჩების სივიწროვისა და მოძრაობის მოუწესრიგებლობის გამო წმირად ზერდებოდა.

ქუჩების სივიწროვის მიზეზია ისიც, რომ დღემდე ამ „ვერობად ნაწილში“ თანამედროვე ტრამის ტრამვაი არ ვაჩინია. ტროლეიბუსების არსებობა კი სტამბოლის მეტოქეობით რაღაც მოჭირბილი და ფანტასტიკური ამბავი ჰგონიათ. ასეთი ტრამის ტრამვაი თბილისში ამ 30 — 40 წლის წინათ დადიოდა. ტრამვაის ზაზი პირდაპირ ქვიშაზე და არა ძელებზე და ამიტომ ხშირად ზიანდება. ეს იწვევს მის სისტემატურ შეკეთებას.

სტამბოლელებს თავისებური მეტროც აქვთ. ეს არის ქვემო უბნიდან „გალათედან“ ზემო უბანში — „ბეიოღლუში“ გაყვანილი გვირაბი. „მეტროთი“ მგზავრობა ორიოდე წუთის ვრძელდება. მისი მოწყობილობა მარტოვია, ქვემო საღვრი დიდი ფიკრული შენობაა, ჭოჭყიანი და საგარძობლად ძველი. „მეტროში“ სულ ოთხი ვაგონი მუშაობს თითოეული მიმართულებით ორ-ორი. როდესაც პირველი წყვილი ზევით ადის, მეორე წყვილი ქვევით ეშვება. ადგილობრივ მეტოქეობით ვერ გადაუწყვევით „მეტრო“ უწოდონ ამ მოწყობილობას და მარტოვად „გვირაბს“ ეძახიან.

რეკლამები სტამბოლის მეტოქეობებს ფეხდაფეხ სდევენ. ნაილონის და კბილის ჯაგრიის რეკლამას რომელსაც თქვენ „გვირაბში“ ნახავთ. შეზღუდებით ტრამვაიშიც მალაჩის ვიტრინებში, ქუჩაში, კინოში და სხვა ადგილებში. ეს კი მოგონილია ამერიკული ნაყარსუყარი საქონლის გასასალებლად, ასეთი საქონელი თურქეთში დიდი რაოდენობით შეიჭვთ.

**ამერიკელთა ბატონობა თურქეთში**

თურქეთის ეკონომიკა ამჟამად საკვებით ექვემდებარება ამერიკის იმპერიალიზმს. ამერიკელები ამ ისე გზმნობენ თავს როგორც საკუთარ კოლონიასში.

ომის დროს თურქეთში ევრაგული პოლიტიკით. ე. წ. „ნეიტრალიტეტის“ გამოყენებით ფა-

შისტურ გერმანიის აქტიური დახმარება გყოწია და სტრატეგიული ნედლეულის მიწოდების შედეგად, ოქროს საგარძობა მკარავე დაგროვების დამთავრებისას თურქეთის სისტემატურ ბანკში 214 ტონა ოქრო ინახებოდა, ხოლო უკარგისი ამერიკული საქონლის შემოზიდვის შედეგად ეს მარაგი სულ რაღაც ორიოდე წლის განმავლობაში განახევრდა.

ჩაივდეს რა თურქეთის საგარეო ვაჭრობა ზელში ულ-სტრატის მმართველებმა უკვე 1946 წლის მეორე ნახევარში ფაქტიურად შესწყვიტეს თურქეთის საქონლის შექენა მათი „მალალი ფსიების“ გამო. თურქებს დაუბროდეთ სიექსპორტოდ დამზადებული თამბაქო, ხმელი ხილი და სხვა საქონელი. ისინი შეუცადენენ სხვა ბაზარს მოენახათ, მაგრამ ამოდესადე კი დაპირეს თავიანთი თამბაქოს შეტენა, იქ ამერიკული თამბაქო დახედათ. სასოწარკვეთილებაში ზავარდნილი ვახეთები ამის გამო წერდენენ თურქულ თამბაქოს ამერიკელები არ უილოდებენ მისი მალალი ფსიების გამო; თურქები შეუცადენენ დაგროვილი თამბაქო გაყვიდეთ სხვა ქვეყნებში. ასეთ მყიდველად დასავლეთ გერმანია აღმოჩნდა, მაგრამ იქ ამერიკელებმა თავიანთი თამბაქო შემოზიდეს და თურქებს თამბაქოს გაყიდვაში ზელი შეუშალეს. „სად არის ის მეგობრობა, რომელსაც ჩვენ ამერიკელები გვეფიცებოდან?“ — კითხულობდა ერთ-ერთი ვახეთი.

ექსპორტის სრულიად შეზერების გამო თურქეთი იძულებული ვახდა, რათა ამერიკული დოლარის სყიდვითი უნარი გაეზარდა და თურქული ლირის დევალაცია მოეხდინა. საერთაშორისო ბანკთან ზელშეკრულების შემდეგ 1946 წლის დამლევს მოხდა თურქული ლირის დევალაცია და მისი ლირებოლება ამერიკულ დოლართან შედარებით ორმაგად და კოდევ უღრო მეტად შემვიტრა.

ამ ღონისძიების შედეგად ექსპორტის რაოდენობა ვაიზარდა, ხოლო შემოსული უქო ვალუტა შემვიტრა და საგარეო ვაჭრობის ბალანსი უღრო მეტად პასიური ვახდა ეს იყო მიზეზი, რომ ოქროს მარაგის შემვიტრება დაიწყო და მოკლე ხნის განმავლობაში ვანახევრდა.

რა საქონელი შემოაქვთ თურქებს, რომელშიც ეს დაგროვილი ოქრო ინახებოდა? მიუხედავად მკაცრი ზომებისა, თურქეთში შემოდის ისეთი საქონელი, რომელიც ამერიკაში ლიცენზიას არ ექვემდებარება: კბილის ჯაგრისებ, ნაილონის წინდები, სამართებლები, წვერის საპარისი საპანი. მუდმივი კალმისტარების, ფანქრები, ფანქრის წასათლელი მოწყობილობანი და სხვა წერილობანი, ე. ი. თითქმის ყველა ის



აქონელი, რაც უმთავრესად ადგილობრივადი მოიპოვება. ამის შესახებ ადგილობრივი ვაზენთი „ისტამბული“ წერდა: „ამერიკელები გვაწყვიდნენ ინწარი საქონელს, რაც ჩვენ არ გვესაჭიროება, ხოლო ისეთი საქონლის მისაღებად, როგორც არის მანქანა-მოწყობილობანი, საჭიროა უმარავი ფორმალბის შესრულება, რის გამო ასეთი საქონელის მიღება ძალზე გვიანდება ან შეუძლებელი ხდება“.

ამერიკულ უყარგის საქონელს ხალხი ნაკლებად უიღვრობს და მის გასასაღებად ვაჭრები ათასნაირ ხეობს მიმართავენ. საქონელი ქუჩაში, გადასახვევებში, ტრამვაის განყოფილებასთან და სხვა ადგილებში გამოაქვთ ვასაყიდად.

ერთხელ ტრამვაის ვაჭრებზე ერთი შეწერილმანე სანთლიდან გაკეთებულ ბატის ფიგურებს ჰყიდა, ხოლო თანახმს შუაში ამერიკის შეერთებული შტატების პატარა დროშა ჰქონდა დაჭობილი (ესაა ამერიკული საქონლის გასასაღებად შემოღებული რეკლამა). დანახა თუ არა ეს, ერთმა მგზავრმა მეორეს უთხრა: ჩვენმა ხელსაფლებამ ამერიკის დროშის ქვეშ ნაძებულ ბატებად გავცხადო. ურთყოფილების ასეთ გამოხატულებას ხშირად წააწყდებით ქუჩაში, მაღაზიაში და სხვა ადგილებში.

თურქეთში მოკალათებული არიან დიდძალი ამერიკელი მოხელეები და სამხედრო პირები. აქ პოლიტიკური ან ეკონომიური ხასიათის ვერც ერთი საკითხი ისე ვერ ვადაწყდება, ამერიკულ მრჩეველთა რომ არ შეუთამაშონ.

ამერიკის სამხედრო გემები ხშირად მოდიან სტამბოლში და მუხღაურები ქალაქში გამოდიან. სანამ ეს გემები ნავთსადგურში დგანან, ქალაქში მიმოსვლა, განსაკუთრებით ქალებსათვის, სახიფათოა. ჩამოსული მუხღაურები ქალაქში მოტრალეები დაეხეტებიან, მართავენ ჩხუბს და ერთ ალიაქოთს სტეხენ. სტამბოლში მათი ყოფნის პერიოდში ქალაქის მცხოვრებლები ღამითაც კი მოსვენებას მოკლებული არიან. ქალაქში ჩადენილი უსაქციელობისათვის თურქეთის პოლიცია ამ ვეხატონებს ვერაფერს უბედავს. „წესრიგს“ ამერიკელები თავიანთი ჯარისკაცებით „იცივენ“.

ამერიკელებს ასეთი მოქმედებისათვის საფუძველიც აქვთ, ვინაიდან თურქეთი ამერიკას თეთრონვე დაემორჩილა. როდესაც ამერიკის გემი მოდის, გვიანების პატრესაცემად საღამოები იწყება. რესტორნები ამერიკული დროის მორთულ რეკლამებს აწყობენ. როცა სტამბოლს ამერიკული სახაზო გემი „მისური“ აწვია, თურქეთის მმართველებმა ამ დღის აღ-

სანიშნავად ზემო გამართეს და ამერიკულ მუხღაურებს სტამბოლის საროსკიპანებიც კი მიუძღადეს.

სტამბოლში  
გენერალი

თეატრი, კინო და სხვა ბასარტობები

სტამბოლში ბევრი კინო-თეატრია. მათ შორის ორიოდე თუ იქნება ცოტად თუ ბევრად მოწყობილი, და მიწოდებული. ისინიც მოთავსებულა პერას ნაწილში, სადაც ბურჯუაზია ცხოვრობს. აქ მხოლოდ ამერიკულ კინოფილმებს უჩვენებენ მდღემივი ტრეკები და მკვლელობებით ამერიკელებს ხელშეარულება აქვთ დაღებული თურქეთის კინოთეატრებთან და იმათ უხამს ფილმებს აწვდიან.

ქალაქში ოთხი თეატრია, ამათგან ორი დრამატული და ორი — ოპერეტისა. დრამატული თეატრები მოთავსებულია ფიერულ შენობებში, და ისიც ქალაქის ცენტრში. ამ რაიონში სხვა ხის შენობა არ არის. თეატრის გვერდზე გაშენებულია მარმარალოთი მოზარკეთებული მრავალსართულიანი შენობები, — თეატრისათვის კი არავინ ზრუნავს. თეატრის უშუიო მდგომარეობაში ყოფნის მიზეზი ის არის, რომ სტამბოლში ბინის ქირა დიდია. ბინის ქირა საშუალო მობელის ზღვასის 40 — 50 პროცენტს შეადგენს. ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ასეთ შემოსავალზე დახარბებულ ეაჭრები აგებენ საცხოვრებელ სახლებს, ხოლო თეატრის შენობის აგებას, მისი მუღმევი ზარბაღანობის გამო, არავინ კისრულობს, სახელმწიფოს კი თეატრის ზედ არ აინტერესებს.

რა სულიერ საზრდის აწეღის თეატრი თურქ ახალგაზრდობას? სანიშნოდ გვაეცნობთ ერთ-ერთი სპექტაკლის მოკლე შინაარსს. ბანქოს სათამაშო სახლში ერთი ახალგაზრდა მთელ თავის ქონებას წააგებს. მოხუცი, რომელიც ამ სახლის ხშირი სტუმარია, შემთხვევით გაიგებს, რომ ქონებაწაგებული კაცი მისი დაჯარგული შვილია. ეს მოხუცი დაზღვეულია. შვილის დახმარების მიზნით ეფა თავს იკლავს და შვილს, როგორც მემკვიდრეს, უტოვებს საღამო-ღვეუო თანხას. როგორც ვედავთ, თეატრიც, მისი უშუიობის გამო, იძულებულია სულიერ საზრდოდ ახალგაზრდობას მამაოღოს ისეთი შინაარსის პიესა, რაც რეკლამას გაუკეთებს დაზღვევის საზოგადოებას. დაზღვევის საზოგადოება ასეთ რეკლამაში, რასაკვირველია, ფულს იხდის.

ოპერეტის თეატრი შედარებით უფრო კარგ შენობაშია მოთავსებული, რადიან მას მყურებელიც მეტი ჰყავს. ამ თეატრში პემორი პემორს არა ჰყავს, სიმღერა-სიმღერას, სპექტაკლები ვარყენილებს და უხამსობის ზეაფით გა-

შობატლებია. ერთხელ ჩვენს ნაცნობ ცოლქმარს ოპერატაში წარმოდგენა მივტოვებინათ და თავიანთი ქალიშვილით გარეთ გამოსულიყვნენ. შევითხვან — რატომ შობატყვეს სპექტაკლი, გვიანსუხეს: „როგორ შეიძლება 17 წლის ქალიშვილმა უყრას იმ უმსგავსეობას, რასაც იქ უჩვენებენ“.

სტამბოლში საოპერო თეატრი არ არის. ამ უკანასკნელ ხანებში ანკარაში კლების ყოფილი შენობა გადააკეთეს და შიგ საოპერო თეატრი მოთავსდა. აქ მხოლოდ ორიოდ ოპერა დაიდგა.

მაშინ როდესაც სტამბოლში კულტურულად დასახეწენებელი ადგილები თითქმის არ მოიპოვება, სამაგიეროდ ნახავთ უამრავ რესტორნებს და ბანკონ სათამაშო ადგილებს, ხოლო საროსკაობებს მთელი ქუჩები უჭირავთ. ქალაქის ცენტრში, ტაქსიმის მოედანთან მოთავსებულია დიდი რესტორანი სახელწოდებით დალი. ამ რესტორანში უკრავს ჯაზ-ორკესტრი და ხან გამოშვებით მღერიან კიდევაც. როგორც ცნობილია, თურქეთი ომის პერიოდში დროებით განუხე იდგა და ხელსაყრელ დროს უცდიდა. ხოლო სტალინგრადთან საბჭოთა არმიის გამარჯვებამ იგი იძულებული გახადა თავის ზრახვებზე ხელი აეღო. ვინაიდან თურქეთის ბურჟუაზიის ომი არ უნახავს, ეს თემაც ვასამხიარულებელ და გასართობ საგნად არის გამოყენებული. რესტორანში სწრაფად ქრება სინათლე, ორკესტრი იძლევა საპერო ვანგაშს, ამას მოჰყვება თეიშფრინავეების, ბომბების აფეთქების და ტყვიამფრქვეთა სროლის მიმსგავსებული ხმე. რამდენიმე წუთის შემდეგ „საპერო თავდასხმა“ თაღობა და რესტორანში შვეი აინთება. ომის საშინელებათა ინსცენირება ბურჟუაზიის დიდ კმაყოფილებას და ტანისცემას იწვევს.

**სამედიცინო დახმარება**

საექიმო დახმარების მხრივ თურქეთში დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა.

საექიმო დახმარებისათვის საავადმყოფო იძულებულია მიმართოს ექიმს, რომელსაც 10 — 15 ლირას უხდის. საავადმყოფოები სტამბოლში ცრტა და ისიც უმოთარესად უცხოელებს ეკუთვნის. (ამერიკელებს, ფრანგებს და სხვ.) ავადმყოფი კვალიფიციურ მეურნალობას თითქმის მოლიანად მოკლებულია. ხშირად შეხედებით, რომ ერთი და იგივე ექიმი ღებულობს ავადმყოფებს — როგორც ქირურგი, თერაპეტი, გინეკოლოგი, უელის, ყურისა და სხვა სნეულებათა „სპეციალისტი“.

თუ როგორ არის იქ მეურნალობის საქმე დაყენებული, ნათლად ჩამს შემდეგ ფაქტიდან. ერთ ჩემს ნაცნობს ცოლა გუნდაც ვიყენებდის დასკვნით ავადმყოფი სასწრაფო ოპერაციას საჭიროებდა. საავადმყოფოში მიყვანისთანავე ქმარს მოსთხოვეს გადაეხადა ექიმის ოპერატორის გასამრჯელო 400 ლირა და დედო ხელწერილი, რომ სიყვდილის შემთხვევაში საავადმყოფო პასუხს არ აგებდა. ამ უკანასკნელმა გარემოებამ ქმარი შეაფიჭრიანა და საავადმყოფოს მთავარ ექიმის მიმართა განმარტებისათვის. მთ შორის დაახლოვებით ასეთ დიალოგს ჰქონდა ადგილი:

- რა ავადმყოფობა აქვს ჩემს მეუღლეს?
- ჯერ არ ვიცი.
- მაშ რად უკეთებთ ოპერაციას?
- რადგანაც თქვენს მეუღლეს ტკივილები აქვს, საჭიროა ენახოთ — რაშია საქმე.
- რომ ვასჭრათ და არაფერი აღმოჩნდეს, ხომ ტყუილად ჩატარდება ეს ოპერაცია.
- თუ ეინცილობა არაფერი აღმოჩნდა, მე ვისარგებლებ შემთხვევით და აქენდიციტს მიიწე ამოვქობი.

ამ საუბრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ექიმი პონორარზი უტორო მიტო ფიქრობდა, ეიღვ ავადმყოფის განკურნებზე. ავადმყოფი გადაიყვანის თავის ბინაზე და იქაური „სპეკიოლისტი ექიმების“ დაუხმარებლად განიკურნა.

**შეშფხმობა და მშუბა-მოლასსსახურათა მდგომარეობა**

სტამბოლის საავტოო პალატის ცნობით, ხუთი სულთანთან შემდგარი ოჯახისათვის საარსებო მინიმუმი 500 ლირას აღემატება, ხოლო კვალიფიციური მემის ხელფასი ამის შესამედს არ შეადგენს. საშუალო მოხელე 200 ლირასაც არ ღებულობს. მაშასადამე, თუ მჭედველობაში მივიღებთ იმ უამრავ ვადასახადებს, რაც ხელფასის 25 პროცენტს აღემატება, ნათელი გახდება, რომ თურქეთის მუშა-მოსამსახურენი უმწურო მდგომარეობაში არიან.

სტამბოლში ჩასვლისთანავე გავაფრთხილებს, რომ ადგლობრივი წყალსადენის წყალი დასაღველად არ ვარგა, რადგან მრავალ ავადმყოფობას იწვევს. ამ გაფრთხილების შემდეგ სასმელ წყალს ვყიდულობდით მეთულუხებებისაგან. მეთულუხების წყალი წყაროდან მოაქვთ.

მეთულუხებს ხის ჯობი მოხერხებულად გადადებულ აქვს მხარზე და მასზე ორივე მხარეზე ორ-ორი ცალი თუნ-ქის კასრი ჰყიდია. ამ ტვირთით, რომელიც ხუთ ფუტს აღემატება, გამყიდველი დადის საღლებში და მომხმარებელთ აწიფის წყალს. წულის მზიადინი უმოთარესად სოფლიდან ჩამოსული უმეწაწელო გა-

დატყვევებული გლეხები არიან. თითოეული კასრი წყალი 15 — 20 პიასტრი ღირს, თვითონ მეთულზე სათანადო გადასახადს იხდის და ფრთვე წყლის ღირებულებას. ერთ დღეს მე შევამჩნიე, რომ ერთმა მოხელემ წყალი წყალსადენიდან დალია. მე მას ვკითხე — ეს წყალი ხომ არ დაიღვეა — შეთქი. მან მიპასუხა: „ჩვენ, საშუალო მოხელეებს, წყლის ყიდვა არ შეგვიძლია, დასაღვე წყალს ყიდულობს შეძლებულთა წრე, ჩვენ კი იძულებული ვართ ვისარგებლოთ წყალსადენით, ჩვენი ბიუჯეტისათვის ესეც მძიმეაო“. შემდეგ მან მიიხარა, რომ მისი თეთრი ხელფასი 160 ლირას შეადგენს, ხელზე კი 120 ლირასაც ძლივს ეღებულობს. შესახებ ჰყავს 5 სულისაგან შემდგარი ოჯახი, ძალიან გაჭირვებულია და ხშირად სადილიც არა აქვს.

ასეთია საშუალო მოხელის ეკონომიური მდგომარეობა. ჩვეულებრივი მუშა კი უფრო უმწიფო მდგომარეობაშია.

ერთმა მრეცხავმა ქალმა მიიხარა: ოჯახს რომ ჩემი შემოსავალი არ ჰქონდეს, შიმშილით დავიხოცებოთო. მისი ქმარი წინათ ნავთსადგურის მტვირთავად მუშაობდა, მაგრამ მტვირთავთა სიმრავლის გამო მისი მუშაობის ჯერი ორსამ დღეში ერთხელ დგებოდა და მიღებული ხელფასი პურის ფულად არ ჰყოფნიდათ. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მას აუღია ვალი და სხვა მუშასთან ერთად ნავი შეუძენია. ამ ნავით მგზავრები გადაჰყავს ბოსფორზე, თვეში მას 15 დღე უხდება მუშაობა, მაგრამ არც ანაზ გაუძმართლა. მგზავრები, რომლებიც ნავით სარგებლობენ, საერთოდ ცოტაა და, თუ მისი მორიგეობის დღე წვიმიანი შეხება, ამაოდ უნდა უცადოს მოშტარს. ხშირია როდესაც მისი შემოსავალი ერთი ღირაც არ არის, და ეს ფული მას თამბაქოსა და საუზნის საყიდლად არ ჰყოფნის. ნავის საყიდლად აღებული ფული კი დღესაც გადაუხდელი გვემზა, — დაასრულა თავისი გაჭირვებული მდგომარეობის აღწერა ჩემმა მოსაუბრემ.

მრეწველობის ჩამორჩენილობის, საავადმყოფოების, საექიმო პუნქტების და სხვათა სიმცირის გამო, სტამბოლში ბევრია უმუშევარი ინჟინერი, ექიმი, მანქანებელი და სხვა პროფესიის ადამიანი. უმუშევარ მუშათა რიცხვი კი ძალიან დიდია. ეს უმუშევარი ხალხი, მათ შორის კი განსაკუთრებით ისინი, რომელთაც რაიმე განათლება აქვთ „კომისიონერობას“ მისდევენ. კომისიონერთა შორის განსხვავებაც არის. ერთი წყება კომისიონერებისა და კავშირებულია დიდ ვაჭრებთან და ემებს მუშტარს საქონლის გასასაღებლად. მეორე, მო-

მეტებული ნაწილი კი წერბოლი კომისიონერებისა და ისინი ეძებენ შემთხვევით შემოსავალს. ქალაქის აზიურ ნაწილში დამჭრულნი უნდა იყოს „ჩარხ-ბაზრია“ მოთავსებულნი მჭრულნი. ვად მოზრდილი ქვის ძველი შენობა, რომელსაც ქვისავე სახურავი აქვს. დღის სინათლე ამ შენობაში არ შედის და განათებულია დექანებიდან გამოსული ელექტრონის შუქით. პერი აქ ძალზე ნესტიანი და სულშემზუთველია. ამ ბაზრის დასათვალიერებლად წავიდეთ. შესაველთან ერთი უცნობი აგებულია და გულმოდგინედ ვევატარებოდა ამა, თუ იმ საქონლის შესასყიდად. ჩვენ კი მხოლოდ დასათვალიერებლად ვიყავით მოსული და კომისიონერის სამსახურით ვერ ვისარგებლეთ. ბაზრიდან გამოსვლისას ის თან გამოგვეყვა და გვითხრა, რომ მას საშუალო განათლება აქვს, უკვე სამი წელია უმუშევარია და იძულებულია სდიოს ყოველ მომსვლელს, შესთავაზოს საქონლის შეძენა და იყიდოს რაიმეს თუ არა, სთხოვოს გასამარჯველო. ზოგი აძლევს საჩუქარს, მეტი ნაწილი კი არაფერს იმეტებს. პურის ფულს ძლივს ვმოძღობო — დაასრულა კომისიონერმა.

უმუშევარი შემოსავლის გასაჩენად სხვა ხერხსაც მიმართავენ. ქალაქში ძალიან ბევრია ყვავილებით მოვაჭრენი. ჩვეულებრივად ასეთ მოვაჭრეებს ხელში უჭირავთ კონსერვის ქილა. შიგთიხი-ბუთი ყვავილია მოთავსებული. ამ ყვავილებს ისინი მაღაზიიდან ღებულებენ გასასყიდად. მათი რეალიზაციით აღებული თანხიდან პროცენტებს იღებენ. რადგან ყვავილები ქუჩაში ცოტა იყიდება ის იძულებულია ყვავილებთან ერთად ატაროს წყლით სავსე ქილა. თუ მოვაჭრეს ყვავილი დამქნარი დაუბრუნა, ყვავილის ღირებულება უნდა აიანზღუროს.

იყო ასეთი შემთხვევა. ერთ საღამოს ქუჩაში მოხუცი ქალი აგვედგინა და ყვავილი შემოგვთავაზა. ჩვენ ფული მივეცით, ხოლო ყვავილი არ იყო. ქალმა მაღლობა გადაგვიხადა, თან გვითხრა, რომ დღეს ვერც ერთი ყვავილი ვერ გავყვიდე და მთელ დღეს მშვიტი ვარო. ასეთი დღეები ხშირიაო, — დასძინა მოხუცმა.

როგორც ზემოთ აღნიშნა, ამერიკული უჯარგისა საქონელი ქუჩაში გასაყიდად გამოაქვთ. ქუჩაში მოვაჭრენი მსხვილი ვაჭრების შვირდები არიან. ჩვეულებრივად ასეთ წერბო მოვაჭრეებს წინდები, პირსახოციები და სხვა წერილობანი, დალაგებული აქვთ მოზრდილ თაბახებზე. მათი დღიური შემოსავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოხერხებულად ასაღებენ საქონელს. რადგან ეს ნაყარნ-ყარს საქონელი ნაკლებად იყიდება, მეწერილობიანები ცდილობენ თავიდან აიცილონ მათთან დაისრუბოლი დღიური გადასახადი. ამიტომ ხშირია

შემთხვევა, როდესაც ქუჩაზე ჩამწკრივებული მეწვრილმანენი, შეამჩნევს თუ არა მოახლოებულ პოლიციელს, თავიანთი თაბახებით სწრაფად გაიქცევიან და მიიშალებიან. ამ უცნაურ განგაშს რომ თვალი შეასწროთ, გვეგონებათ — მოხლოდ თაბახებითაა ქუჩა მოფენილი და ისინი თავისთავად გარბიანო. ასეთ სურათს ხშირად ნახავთ, რადგან პოლიციელთა რიცხვი დიდია და თვითველი მათგანი ცდილობს ხელში ჩაიგდოს უნებართვოდ მოეპტრე მეწვრილმანე, რათა მისგან „გასამრჯელო“ აიღოს.

პოლიციელს არა მარტო მეწვრილმანე არიდებს თავს, მას გაზეთის გამყიდველი, პატარა ბიჭებიც ურბილებიან. ჩვენ ვნახეთ, რომ ერთი 7—8 წლის ბიჭუნა ქუჩაში მწარედ ტიროდა და ხელში ხუთიოდე დახეული გაზეთი ეჭირა, როგორც გამოარკვა, ამ ბიჭს გაზეთით ვაჭრობის უფლება არა ჰქონია. პოლიციელს ის დაეჭირა და, რადგან ბიჭს საქრთამო თანა არ გააჩნდა, გაზეთები დაეხია. ამ პატარა გაძვალ-

ტყვებულ ბავშვს ორიოდე მიასტრის მოგების ნაცვლად გაზეთების ღირებულებაც გადასახდელი შეეძვნა.

თურქი გლეხი უფრო უარეს მდგომარეობაშია. დღემდე სოფელში არავითარი ტექნიკა არ არის დანერგვილი. მეჯლისის მიერ მიღებული ე. წ. მიწის რეფორმა ქალაღზე დარჩა. მსხვილი მიწათმფლობელი ძველებურად განავრძობს პარპაშს. სოფელში უმთავრეს სამეურნეო ძარაღს მამაპაური ზის კავი წარმოადგენს. ჩიქნის ამ კავით გლეხი ორიოდე მტკაველ მიწს და, თუ ამას მოუსაელაინობაც დაერთო, სრულად უღტკმაპუროდ რჩება. ეს ვახდა მიწზე იმისა, რომ ომის შემდეგ მთელი წლების განმავლობაში მრავალ ვილაიეთში მიმშვილობა იყო, რასაც თითქმის ყველა ადგილობრაიე გაზეთი აღიარებდა.

მე მხროლდ შეათსედი ნაწილი იყურე იმისა, რაც ყოველდღიურად ხდება ამ ქვეყანაში.

## ალექსანდრე აბაშელი



ალექსანდრე აბაშელმა თითქმის ყველა პროფესია გამოსცადა. მუშაობდა გაზეთის დამტარებლად, კორექტორად, ფოსტის მოსამსახურედ; ის ხან ბათუმში იყო, ხან ბორჯომში, ხან თბილისში, ხან ფოთში. 1905 წ. რევოლუციას ალექსანდრე აბაშელი გულმხურვალედ შეხვდა, მაგრამ ამ რევოლუციის დამარცხებამ და მომავალი პოეტის ციმბირში გადასახლებამ გასტეხა მისი რწმენა. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე აბაშელი ხელს ჰკიდებს კალამს და მიუხედავად მთელი რიგი მებრძოლი ხასიათის ლექსებისა, იგი ძირითადად ხდება საზოგადოების იმ ნაწილის განწყობილების გამომხატველი, რომელმაც 1905 წლის რევოლუციის დამარცხების ნიადაგზე უარი თქვა რევოლუციურ იდეებზე; ის განიმსკვალა წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიით და დეკადენტური ლიტერატურის გავლენით დაიწყო გმობა არა მარტო აწმყოსი, არამედ მომავლისაც. აქედან იწყება პირველი პერიოდი პოეტის შემოქმედებაში.



ალ. აბაშელის პირველი პერიოდის შემოქმედებაში ისმობდა ნალღიანი, მოწყენილი კილო; მაგრამ ეს არ იყო სუბიექტური, ვიწროდ შემოფარგლული განცდის შედეგი. პოეტი გამოხატავდა საზოგადოების ერთი ნაწილის სულიერ ვითარებას. როგორც ცნობილია, 1905 წ. რევოლუციის დამარცხე-

ბის შემდეგ საზოგადოების ერთ ნაწილში გაბატონდა უიმედობა და პესიმიზმი. წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციას, რომელსაც რევოლუციის აღმავლობის პერიოდში ასე თუ ისე სჯეროდა ქვეყნის განახლება, უიმედობა დაეუფლა რევოლუციის დამარცხების შედეგად. ისინი რეაქციის შემოტევისთანავე დაფრთხნენ და ზურგი შეაქციეს რევოლუციას; ისინი ვეღარ ხედავდნენ მოახლოებულ განთიადს, მათ თვალბს წყვედადი დაეფარა და დაიწყეს სასოწარკვეთილი გოდება.

„რუსეთში—წერს ამხანაგი სტალინი, — კონტრრევოლუციის პერიოდს მოჰყვა არა მარტო „ელვა-ქუხილი“, არამედ მოძრაობაზე გულის გატეხაც, საერთო ძალებისადმი რწმენის დაკარგვა“.<sup>1</sup>

ლენინი და სტალინი საზოგადოების ამ ნაწილს რევოლუციის რენეგატს უწოდებდნენ. მარქსიზმის კლასიკოსების მიერ 1905 წ. რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული პესიმიზმის შეფასება ერთხელ კიდევ ამტკიცებს საზოგადოების ამ ფენების მერყევ წვრილბურჟუაზიულ ბუნებას.

პოეტი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების გამომხატველი, გვერდს ვერ აუვლიდა იმ განწყობილებას, რომელიც რევოლუციის დამარცხებამ წარმოშვა საზოგადოების გარკვეულ ფენებში. ალექსანდრე აბაშელი ფრიად კოლორიტული გამომხატველია ამ გან-

1 ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, 1951 წ. გვ. 7.

წყობილებებისა ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში. აბაშელმა ყველაზე უფრო მწვავედ განიცადა დამარცხებისაგან გამოწვეული სულიერი დებრესია. 1909 წ. დაწერილ ლექსში, რომელსაც „ზამთარი და გაზაფხული“ ეწოდება, კოლორიტულად არის გამოხატული პოეტის სულიერი სევდა:

არე-მიდამო თოვლის ფიქვით შესუდრულიყო,  
 ყინულის ბორკილს შეეკუშმა ბუნების გული,  
 ორგვლავ ტყე-ველი საყოცადად გამარცვლიყო,  
 ოდესღაც ნახად მომბინძვ, აყვავებული.

მნათობთა მეფეს, ცხოველმყოფელს მზეს  
 სხივდიადსა  
 შევი ღრუბლების მძიმე გროვა ეფარებოდა,  
 ბნელი ზეწარი გაეშალა ფართოდ წყვედადსა,  
 სიცოცხლეს ძალა შეუშინველად ეპარებოდა.

სდუმდა მონურად ეს ქვეყანა სასომხიდილი,  
 მუდრობაში ჩაფლულიყო ზეცის სამყარო.  
 აღარ ისმოდა არც კენესა და აღარც ტირილი,  
 უიმედობას ვაყენისა ცრემლისა წყარო...  
 იმავე ლექსში არის რაღაც იმედი,  
 რომ გაზაფხული მაინც დადგება და  
 ზამთრის სუსხი შეიცივლება გაზაფხულის  
 სითბოთი. მაგრამ პოეტის ეს იმედი  
 მცირე წინააღმდეგობის შემდეგ  
 კვლავ უიმედობით იცვლება:

სოფელს ეძინა, არ ისმოდა ქვიათინი შჳარე,  
 ქვიათინი შჳარე, მიწის მყერდით ამონაკუნესი,  
 ნისლს დაეხურა მშობლიურად ობოლი მშარე,  
 ობოლი მშარე სისხლში ნაბან, ცრემლში  
 ნალესი...

უდროობისაგან დასეტყვილი პოეტი  
 მაინც ეძიებს ნავთსადგურს, სულის  
 განსასვენებელ ადგილს.

ღამეს ეძინა, ცის კიდურზე სხივი კრთებოდა.  
 და ჩემი ფიქრიც ხან ელადა, ხან ჩქარობდა.  
 მე მივდიოდი უსინათლო და უჩინარი.

ჩემ წინ გზის ხაზი უცნაურად იგრჩებოდა,  
 და ჩემი ფიქრი ჩემს ოცნებას ეკითხებოდა:  
 სხივი სად არის? იქნებ იგი აღარც წინ არი.

ეს საბედისწერო კითხვა აწუხებდა  
 მაშინდელი ღროის ქართველი მწერლების  
 ერთ ნაწილს. იგივე კითხვა მძიმედ  
 აწვა მხრებზე ალექსანდრე აბაშელს  
 და მის სიმღერას სევდიან კილო-

ზე აწყობდა. რეაქციის მძიმე წლებში  
 ხალხის ცხოვრების ტრაგიკულ ვითარებაში  
 მძიმე იყო პრეტენსიის გზების ძიება:

და მე მიერბოდი სინათლისკენ ხელებგაწვდილი,  
 ვით პატიმარი საკანთან გამოქცეული.

ვით პატიმარი საკანთან გამოქცეული,  
 მე არე-მარეს ვიპარავდი მშვიერ თვალებით  
 გზას მივიკვლევდი ჩრდილთა შორის  
 ტანჯვა-წვალებით,  
 სული მიქროდა უფრო ჩქარა, ვინემ სხველი.

და შემეცალა მე გულისთქმა პატიმარისა,  
 ეპოვე ბილიყი, მოციქული სულ სხვა კარისა,  
 და ხმა ჩაეაქრე საწუთროზე ავად შხრახველი.

ციცხლის მუსიკამ ააყვავა სხივთა ნარვისი  
 და როს დაეცა ღამის სული ფრთა უფარვისი  
 უცებ ავანთე მე სიმღერით ჩემი ნალველი.  
 უცებ ავანთე მე სიმღერით ჩემი ნალველი,  
 და ახალ ქვეყნის სამლოცველოს კარი გაიღო,  
 ვაგრძენ, რომ ცრემლში დამალული სიმღერა  
 იყო  
 ჩემი ოცნების თეთრყვავილის გამოშსახველი.  
 მე გზა მივეცი დაგუბებულს სულის ქარიშხალს  
 და ხელთ ავიღე საბრძოლველად ციციხის  
 მახვილი.

ძველი ცხოვრების ვიწრო, მიხვეულ-  
 მოხვეული, საბიფათო ბილიყის გავლა  
 პოეტისაგან მართლაც მოითხოვდა ხელში  
 მახვილის აღებას, მახვილის აღება  
 კი — სიტყვის უდიდეს ოსტატობას,  
 რადგან სიტყვაჩლუნგ პოეტს მახვილიც  
 ადვილად უჩლუნგდება.

შილერი გოეთესადმი მიმართულ  
 ერთ-ერთ წერილში წერდა: „პრუსიელი  
 ბიურგერები ჩემს შესახებ ჭორებს  
 ავრცელებენ, თითქოს პოეზიის მა-  
 ლალ დანიშნულებას ვუღალატე იმით,  
 რომ მე ვცადე სამართლიანობის მახვი-  
 ლის ხელში აღება და მისი შეთავსება  
 კაზმულ სიტყვასთან. კიდევ მეტი: ისინი  
 ნაადრევ პოეტურ სიკვდილს გეიწინ-  
 ნასწარმეტყველებენ ამის გამო. მაგრამ  
 ღირს კი მსჯელობად ყოველივე ეს?  
 მე ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ჩემს  
 ყველაზე უნაზეს სიმღერებსაც სამარ-  
 თლიანობის მახვილი სითბო და მრისხა-

ნება ჰქონოდათ. როცა სამართლიანობის მახვილი და პოეზია ერთიანდება, უმალესი შემოქმედებაც იქ იწყება. რა იქნებოდა პომეროსი — აქილევსის მახვილის გარეშე“.

ალექსანდრე აბაშელი ცდილობდა მახვილის აღმართვას ძველი ქვეყნის წინააღმდეგ, მაგრამ მის მიუზღვეველ ხელში ეს ბასრი იარაღი ჰკარგავდა თავის სიმტკიცეს. სევდიანი პოეტისათვის ბასრ მახვილს იგივე პოეტისათვის ჰქონდა, როგორც სარაინდო შუბს ღონკობოტისათვის ქარის წისქვილთან ბრძოლაში.

უკიდურესი ინდივიდუალიზმი, დეკადენტური სკოლების ზეგავლენა ალექსანდრე აბაშელს მარწუხებში ამწყვედევდა და არ აძლევდა საშუალებას გამხდარიყო მომავლის მომღერალი საკუთარ პოეტურ გაზაფხულზე (1910 — 1917 წწ.).

ასეთი იყო ალექსანდრე აბაშელის პირველი პერიოდის შემოქმედება. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ლექსის ნაწყვეტი მოვიტანეთ ჩვენი დებულების დასადასტურებლად, მაგრამ ამ პერიოდის თითქმის ყველა ლექსი იმავე ლეიტმოტივზეა აგებული.

ალექსანდრე აბაშელის შემოქმედებაში მეორე პერიოდი იწყება 1917 წლიდან და გრძელდება 1921 წლამდე. ამ პერიოდში პოეტი ფიქრობდა, რომ ბრძოლის მიზანი უკვე მიღწეულია, რომ დადგა დრო, როცა ამდენი ბრძოლების შემდეგ სიკეთე უნდა მოიმკოს ჩვენმა ხალხმა. ლექსი „სიხარულის ცრემლები“ ამ დებულების დადასტურებაა:

ენა როგორ არ დამუნჯდეს? თვალი როგორ არ გაიყვდეს, —  
 შხეს დილითაც არ ელოდ — შუალაშით  
 აგიზვიანდეს?!  
 ათასი წლის შავი ღამე ერთმა წამმა  
 გააშქოს? —  
 სასწაული უფრო დიდი ზეცამ მიწას არ  
 აჩუქოს?...!

საერთოდ პესიმისტურად განწყობილ პოეტებში დიდხანს როდი გრძელდება სამყაროს ოპტიმისტური კვრულთა პოეტი ხედავს, რომ თვინვანობა განახლებასე ამოვ გამოდგა:

ახლა, როდესაც იშვა კენესა სულის წვალებით,  
 და ნათელ სიშმა გამოაქრათ ხმა შავ ჰანგისა,  
 ნისკარტისსილიან უორანსა ვეკრეტ შემკრათ-  
 თვალებით,  
 ნაცვლად სხივებით ფრთა-მოჭარბულ  
 ფარშევანგისა...

ამრიგად, პოეტის განწყობილება კვლავ იცვლება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ახალმა მოვლენამ სხვა რწმენა მისცა პოეტს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ის მერყეობს, რომ მოწინააღმდეგე ძალების ჭიდილი პოეტის შემეცნებაში გარდატეხილია არა როგორც ისტორიული აუცილებლობა, არამედ როგორც ბედის საკითხი. პოეტის დროებითი აღტაცებანი თანდათან ჰკარგავენ მიმზიდველობას და პოეტს კვლავ თავისთავს ბოჭავს დეკადანსის არტახებით.

დეკადანსის არტახებში მომწყვედი ული პოეტი ჰკარგავს წონასწორობის გრძნობას და სოციალური სევდიდან პირდაპირ გადადის უსაგნო, უიდეო ლირიკულ აცრემლებში. რაკი პოეტის სურვილმა ვერ პოვა დაკმაყოფილება რეალურ ცხოვრებაში, პოეტი სულ გაექცა სინამდვილეს. იმის მაგიერ, რომ შებრძოლებოდა ამ სინამდვილეში მოქმედ ბნელ ძალებს, პოეტი განერიდა მწვავე სოციალურ საკითხებს და თავის ვიწრო, სუბიექტურ ნაქუქში ჩაიკეტა. სუბიექტური „მე“ პოეტისათვის ერთსადაიმავე დროს იყო სუბიექტური და ობიექტური ქვეყანაც. ამ ნიადაგზე პოეტმა პირადი „მე“ აქცია რეალურ სინამდვილედ, ან უკეთ, ერთადერთ სინამდვილედ. ყველაზე მკაფიოდ პოეტის ასეთი განწყობილება გამოიხატა ლექსებში: „მელანქოლია“, „მტირალი საღამო“, „ობობას ქსელი“, „ღალატი“.

„იისფერი შუქი“, „ცათა სილურჯე“, „დათალხული ფირუზი“, „თეთრი ხომალდი“, „მოქანცული თვალები“, „ტაძარში“ და სხვ.

ახლა მარტო ვარ. ფიქრზე ფიქრი

აღმოცენდება.

სევდა შერბი და ვრცელია შავი გზა მისი. დღე დაიღვია. დაღამდება. კვლავ გათენდება... ჰოი, უფალო! დაჩქარე დენა ემისისა..

ახლა მარტო ვარო, ჩივის პოეტი, და ამ საფუძველზე წყველის თავის დებადების დღეს. ემდურის აწმყოს. პოეტი აწმყოს უარყოფს არა მომავლის სახელით, არამედ წარსულისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო; მაგრამ წარსულისადმი სიყვარული პოეტის შემეცნებაში ჩვენი ხალხის წარსულისადმი სიმპატიით კი არ არის გამოწვეული, არამედ საკუთარ „მე“-სადმი აბსოლუტური პატივისცემით არის ნაკარნახევი.

ოჰ, დამძიმდა ტვირთი ჩემი მოსასხამისა და დაღლილობის შემომგრტვა ირგვლივ რკალები. მომწყინდა მუდამ ერთ ნაპირზე თელა დღე-ღამისა, და ზღვას ვესროლე სევდიანი ჩემი თვალები..

პოეტმა პირადი „მე“ რეალური ცხოვრების ორბიტად აქცია. ამ უკიდურეს ინდივიდუალიზმს ასაზრდოებდა საზოგადოების წვრილბურჟუაზიული ფენების სოციალური ყოფა, მათი განწყობილება.

როგორც ცნობილია, მენშევიკური საქართველო გადაიქცა რუსეთის რეაქციის უკანასკნელ პლაცდარმად, საიდანაც მას იმედი ჰქონდა, რომ დაამარცხებდა ოქტომბრის დიდ რევოლუციას. მაგრამ ისტორიული აუცილებლობის გამო რეაქციის ძალებს საქართველოში უნდა ეპოვათ საკუთარი სამარე. ოქტომბრის რევოლუციის ჯამათავისუფლებელი ქარიშხალი ახლოვდებოდა, კონტრრევოლუციის შიში და მოუთ-

მენლობა იპყრობდა. მენშევიკები — რუსეთის რეაქციის ძალებთან ერთად — ცდილობდნენ თავისუფლების ამ ცხოველი სუნთქვის ჩახშობას. მაგრამ ისტორიის ძლიერი და ყოველისშემძლე ბრძოლის უკუღმა მოტრიალება რეაქციის ძალებს აღარ შეეძლოთ. სწორედ ამ ისტორიული გარდუვალობის შეგნება ბადებდა გარკვეულ წრეებში პესიმიზმს.

პოეზია, როგორც ცხოვრების მხატვრული ანაჩეკლი, ვერ დარჩებოდა გულგრილი ამ ისტორიული მოვლენისადმი. პოეტების დიდი ნაწილი გაბედულად მიესალმა ოქტომბრის დიდ რევოლუციას, ნაწილი წინ აღუდგა, ხოლო ნაწილმა პასიურობის გზა აირჩია და უსაგნო და პესიმიტურ პოეზიას შეაფარა თავი.

ალექსანდრე აბაშელი „პოეზიის საკურთხეველში“ იმ „ღმერთს“ უნთებდა სანთელს, რომელიც თართოდა მოახლოვებული რევოლუციის წინაშე. გამათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე; პოეტი თავის სუბიექტურ „მე“-ში ჩაიკეტა, რათა გასცლოდა ამ ქვეყნის ვნებათაღელვას, ჩაეკლა თავისთავში ყველა გრძნობა, გარდა უზუნაესისადმი ლოცვის სურვილისა:

თავდება ლოცვა. ახენებენ გვარზე ნაწამებს. დამაიწუნდება რომ შემოველ მე აქ შემოხვევით. ავანთებ ცრემლის ნაპერწკლებით დახრილ წამწამებს. გადავდგამ ნაბიჯს მოწინებით და გვარს ვემთხვევი.

აქ საკითხავია: დიდხანს გრძელდება პოეტის ასეთი განყენება ქვეყნის ვნებათა ღელვისაგან?

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ შეუძლებელია პოეტი გაეჭკეს რეალურ ცხოვრებას. ბურჟუაზიული იდეოლოგიის ქურუმები ამტკიცებდნენ, რომ პოეტი უნდა იყოს დამოუკიდებელი პრაქტიკული ცხოვრებისაგან, რომ პოეტებისათვის თითქოს არ არის ხა-



კირო განიმსჯელონ საზოგადოებრივი ცხოვრების ლეღით: მაგრამ ნამდვილად ბურჟუაზიული პოეტები ამ „თეორიას“ ახორციელებენ მით, რომ ისინი აშკარად გამოდიან ბურჟუაზიული იდეოლოგიის დამცველებად.

ოდესღაც ბოდლერი ქადაგებდა პოეტის გაქცევას ცხოვრებიდან; მას ჰქმნა მარტო პოეტად მხოლოდ ის მიაჩნდა, ვინც ინერტიულია სოციალური ცხოვრების მიმართ და „ფრინველივით თავისუფალი“ ყოველგვარი კლასობრივი თვალსაზრისისაგან. მაგრამ ამ მოძღვრებამ ხელი არ შეუშალა ბოდლერს, რომ თავის ლექსებში პოლიციელები-სათვის ერჩია ფრანგ მუშათა დემონსტრაციის დახვრეტა. „ფრინველივით თავისუფალი“ ბოდლერი ნატრობდა დემონსტრანტების ჩამოხრჩობას. თავისი საკუთარი ხელით.

წითელცილებთანმა თოფილ გოტიემ, რომელმაც „წმიდა“ ხელოვნების“ ქადაგებით გაითქვა სახელი, მოუწოდა საფრანგეთის რეაქციულ ძალებს ულმობლად დაეთრგუნათ პარიზის კომუნა.

„წმიდა ხელოვნების“ მქადაგებელნი ყოველ გადამწყვეტ მომენტში ჰკიდებდნენ ხელს იმ იარაღს, რომლითაც იცავდნენ გაბატონებულ კლასს, ბურჟუაზიას.

ასეთ მოვლენებს ადგილი ჰქონდა რევოლუციამდე ქართულ პოეზიაშიც.

ალექსანდრე აბაშელი დიდხანს არ დარჩენილა უზენაესისადმი ლოცვების პოეტად. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში პოეტი უპროფითად შეხვდა. ეს არის აბაშელის შემოქმედების მესამე პერიოდი.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ არ არის საჭირო ისტორიის არც შელამაზება და არც დამახინჯება. ეს გარემოება ლიტერატურის ისტორიკოსისაგან მოითხოვს ფაქტების სწორად

აღდგენას, რათა ამ ფაქტების საფუძველზე დამტკიცდეს, ნათლად გამოჩნდეს ჩვენი სოციალისტური სინამდვილის ცხოველყოფელი გავლენა პოეტების სულიერ ცხოვრებაზე.

ამა თუ იმ პოეტის განვლილი გზის ობიექტური შეფასება საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, თუ როგორ მივიდა იგი რევოლუციამდე და როგორ გარდქმნა მისი მსოფლმხედველობა ახალი ცხოვრების ზემოქმედების შედეგად. პოეტის ცხოვრების ამგვარი ვაგება უფრო სწორია და მართებულია, ვიდრე პოეტის განვლილი გზის რომელიმე ეტაპის ხელოვნური ამოგდება ლიტერატურის ისტორიიდან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ქართველი ხალხის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების უმაგალითო აღორძინება. ახალმა ცხოვრებამ ახალი ასპარეზი გაუხსნა ბორკილადი მშრომელი ხალხის სულიერ ენერჯიას. დაიწყო ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობა, ელექტროსადგურების აგება, არხების გაყვანა, საკოლმეურნეო სოფლის მექანიზაცია, ეკონომიურ ცხოვრებაში გვიანტურმა წარმატებებმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს საბჭოთა ადამიანების სულიერ ცხოვრებაზე. სავალდებულო სწავლავანათლებამ, ათეულობით უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-საველეო ინსტიტუტის დაარსებამ ახალი ასპარეზი გადაუშალა ქართველ ხალხს. დიდიმა გარდატეხის წლებმა, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, უდიდესი გავლენა მოახდინა ადამიანების შეგნებაზე. საბჭოთა სინამდვილემ უდიდესი გარდატეხა მოახდინა ქართველი მწერლების იმ ნაწილის შეგნებაშიც, რომელიც ზოგჯერ აქტიური და ზოგჯერ პასიური მოწინააღმდეგე იყო ახალი ქვეყნისა.

ლენინ-სტალინის ყოველისმძლე რევოლუციურმა იდეოლოგიამ უჩვენა საბჭოთა მწერლებს შემოქმედებითი წინსვლის ჭეშმარიტი გზა. მწერალი, რომელსაც სურდა ხალხის სამსახური, უნდა გაეყოლოდა მხოლოდ ამ გზას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება იმ დიდი კლასიკური ლიტერატურის ტრადიციების გაგრძელება, რომლის მიზანს ხალხის სამსახური შეადგენდა და რომლის შემოქმედებითი მეთოდი იყო რეალიზმი. ყოველგვარი სხვა გზა რექციის მარაგზას უერთდებოდა.

ალექსანდრე აბაშელმა შესძლო იმ მწერალთა რიგში ჩადგომა, რომლებიც შეგნებულად ემსახურებოდნენ ქართველი ხალხის ახალ სასიცოცხლო ინტერესებს. სწორედ ამ ეტაპიდან, სახელდობრ, 1927-28 წლიდან, იწყება მეოთხე პერიოდი ალექსანდრე აბაშელის შემოქმედებაში.

1928 წელს დაწერილ საპროგრამო ლექსში ალექსანდრე აბაშელი ამბობს:

წარსულისათვის დედაშია იყო ტაძარი,  
ღრია ის შრიშის სახელსნოდ გადავქვიით...

ეს სტრიქონები გვაგონებს ტურგენევის ნაწარმოების გმირის — ბაზაროვის ფიგურალურ თქმას, რომ ბუნება ტაძარი კი არ არის, არამედ სახელოსნოა ახალი ცხოვრების შესაქმნელად. რევოლუციურ-დემოკრატიებს, ძველი ცხოვრების დამცველების წინააღმდეგ ბრძოლაში, უყვარდათ ბაზაროვის ამ ფორმულის გამოყენება.

ალექსანდრე აბაშელისათვის, თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში ახალი ცხოვრებისაკენ, საბჭოთა სინამდვილისაკენ გადაწყვეტი მობრუნების მომენტში—საესებით ბუნებრივი იყო რუსი სამოციანელების საბრძოლო ლოზუნგის გამოყენება. აქ ნათლად გამოჩნდა, თუ როგორ დასწყვიტა პოეტმა ბორკილები, რომლე-

ბიც ბოჭავდენე მის მისწრაფებას სოციალიზმისაკენ.

ალექსანდრე აბაშელმა უკვე გულწრფელად და ნათლად დაინახა, თუ როგორ აქციეს ბოლშევიკებმა ბუნება და მთელი ცხოვრება გიგანტურ სახელოსნოდ, სადაც იჭედება დიდი კომუნისტური მომავალი. ამ შეგნებით გამსჭვალული პოეტი ამბობს:

მჯერა აინთებს სამყაროში ჩიხადანს  
პირველს  
მიწის კეფაში დაგროვილი ელექტროტენი,  
და იტყვის სიტყვას გავფონარს და  
გასაკვირველს  
ეს საუკუნე, დადაღული ელვით და რკინით.

რასაკვირველია, პოეტისათვის იდეალი არ იყო მთელი თავისი ძველი მსოფლშეგრძნების უკუღდება. მას ზოგჯერ უძნელდებოდა ახალი სინამდვილის სრულყოფილად ათვისება, მისი კონკრეტული მხატვრული გააზრება. ამით არის გამოწვეული პოეტის მიერ სოციალისტური ინდუსტრიის განყენებულ აბსტრაქციად წარმოდგენა: იგი ხედავდა ახალი ქვეყნის ყოველისმძლე გიგანტურ ტექნიკას და ვერ ხედავდა ადამიანებს, რომელთა ხელში ტექნიკა აკეთებდა იმას, რაც სოციალიზმის აშენებისათვის იყო საჭირო. ახალი ქვეყნის კოსმოგონიური ათვისება სრულიად ბუნებრივი და ლოგიკური იყო ალექსანდრე აბაშელისათვის პოეტური გარდაქმნის პირველ ეტაპზე.

სოციალისტური განვითარებისა და სოციალიზმის მშენებელ ადამიანთა სულიერი ცხოვრების განუწყვეტელი ზრდა პოეტის წინაშე ახალ ამოცანას აყენებდა. ზოგადი, აბსტრაქტული კოსმოგონიური ათვისება ახალი ქვეყნისა უნდა შეცვლილიყო რეალური ცხოვრების კონკრეტული სახეებით, რადგან ხელოვნების ჭეშმარიტი იდეალები ცოცხლობენ არა აბსტრაქციაში, არამედ კონკრეტულ სინამდვილეში. ამიტომ, ვისაც სურდა ახალი ადამიანების

წარმოსახვა პოეზიაში, მას რადიკალურად უნდა შეეცვალა ძველი აბსტრაქტული ფორმები პოეტური წარმოსახვის კონკრეტული, რეალისტური ფორმებით. ასე უნდა მოქცეულიყვნენ არა მარტო ეპიკოსი პოეტები, არამედ ლირიკოსი პოეტებიც. უსაგნო აბსტრაქტულ ლირიკას ადგილი უნდა დაეთმო რეალისტური ლირიკისათვის. ცოცხალი ადამიანი უნდა გადაქცეულიყო შემოქმედების ობიექტად. პოეტების წინაშე დაისვა ამოცანა, რომ მიწაზე დაშვებულიყვნენ და „ძირს სიყვარულით“ დაეხედათ მიწისათვის.

ეს ამოცანა დაისვა ალ. აბაშელის წინაშეც. ამ მოთხოვნილების განხორციელებას მოითხოვდა თვით სინამდვილე.

პირველი ლექსი, რომელიც ყველაზე უფრო რელიგიურად გამოხატავს აბაშელის შემოქმედების ამ ახალ ეტაპს, არის „ლირიკოსი და მებაღე“. ლირიკოსი შედის ბაღში, რათა მებაღესთან საუბრით დაემყოფილოს სულიერი ტკივილები. მებაღე თავდადებულად მუშაობს და ბაღში ყოველ ნარგავს შეილივით უვლის. ლირიკოსი მიესალმება მებაღეს, მაგრამ მებაღემ ამ მისალმებაში რაღაც სევდიანი საყვედურის კილო იგრძნო; მიზეზსა ჰკითხავს და ამავე დროს უსაყვედურებს, რომ სიცოცხლით სავსე ლექსებს პოეტი აღარ წერდა ახალ ცხოვრებაზე. ლირიკოსმა მიზეზად დაასახელა აღმაფრენა. მებაღე კვლავ საყვედურით უპასუხებს, რომ ახალმა დრომ შენ მოგანიჭა თავისუფლება სიმღერებისა — ახალ ქვეყანაზე. ლირიკოსი პირდაპირ უპასუხებს, რომ ახალ სინამდვილეში პოეტური აღმაფრენა გაპქრა. მაშინ მებაღე საყვედურის კილოთი ამბობს:

ვინ გაძლებს ზერელობას,  
ან ვეღაფრის ცოდნას? **ქვეყნული**  
ოღონდ სწავლე მაღალ გეტმობას  
დაეჯერდებით ცოტას.

ლირიკოსი თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ამბობს, რომ გმირის მაჯისცემა, ორთქლისა და მანქანების ხმაური, ჰკლავს ლირიკულ მუზას, ფოლადის ეპოქაში შეუძლებელია ლირიკის არსებობაო. მაშინ მებაღე პირდაპირ ეკითხება ლირიკოსს: რისთვის არსებობს ლირიკა, თუ ის გმირს უფრთხის, თუკი ფოლადის მდნობ ვეჟაკის გულს არ მოხვდებაო. ლირიკოსი მეზღლის მიერ დასმულ კითხვას უპასუხებს, რომ ლირიკა იყო იმ ადამიანის სულიერი ცხოვრების ასახვის ფორმა, რომელიც წყვედადშია და ელოდება სინათლეს, ვისაც ოხვრა ურჩევნია სიცოცხლს. მაშინ მებაღე იძულებულია პირდაპირ უთხრას პოეტს, რომ შენ წყვედადის პოეტი ყოფილხარ და არა სინათლის, ქვეშაირიტი პოეტი კი ყოველთვის ის არის, ვინც გაბედულად უმღერს სინათლესა და სიყვითესო. ლირიკოსი მიხვდა, რომ მებაღე მისთვის მტკივნეულ საკითხს შეეხო; იგი დასცინის იმ პოეტებს, რომლებიც ოდებს წერენ და არა ლირიკულ ლექსებს. მე სირცხვილმა ამარიდა ამგვარ გზასო, — ამბობს ლირიკოსი. მაგრამ მებაღე, რომელიც გამსჭვალულია ახალი ცხოვრების სიყვარულით, ეკითხება ლირიკოსს: ნუთუ ახალი ადამიანები მოკლებული არიან მღელვარებას? ნუთუ მშრომელ ხალხში მოღუენდა დიდი პოეზიის შეგრძნების უნარი? მებაღის კითხვას ლირიკოსი უპასუხებს: არა მუშები, არა მშრომელი ხალხი, არამედ ეპოქაა ამგვარი; დროს არ უნდა იდილია და ლირიკა; დრომ ის წყარო დააშრო, რომლითაც ლირიკა იკლავდა წყურვილსო.

რაკი მებაღე დარწმუნდა, რომ ლირიკოსის სახით მას საქმე აქვს პრინციპულ მოწინააღმდეგესთან, მან პირ-

ვისაც ღონე ვრჩის მკლავში,  
ან ფხა უჭრის აზრის,  
ის ჩვენ რკინის ეპოქაში  
უშეშვარად არ ზის.

დაპირ უპასუხა, რომ ახალ დროში საჭიროა არა ცრემლიანი, სანტიმენტალური ლირიკა, არამედ ცხოვრების ღრმა შეგნებით განმსჭვალული სიმღერები, რომლებიც ადამიანებს ჩაუნერგავენ აწმყოსა და მომავლის სიყვარულს, რომლებიც დაეხმარებიან მათ ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. მებაღე აფრთხილებს ლირიკოსს, რომ საჭიროა არა ლოცვა, არამედ შრომის დიდება; საჭიროა არა აბსტრაქტული დაახლოება ახალ ქვეყანასთან, არამედ მისი ღრმა სიყვარული. ამის შემდეგ ლირიკოსი გადის ბალიდან. გასვლის წინ მებაღე არიგებს ლირიკოსს:

კაცი ჯავრით დაღლივი,  
თუ დაეშვებ პირქვე,  
შე არ ეამბობ შურისგებთ,  
არც არაფერს ვითობ,  
შავრამ გაძლევი, თუ მიხვდები,  
სინათლეს და სიბოძს.

შემდეგ მებაღე ყვავილების მთელ კონას აჩუქებს მწუხარე ლირიკოსს. მებაღეს ეს მოქმედება პოეტს შემდეგი სიტყვებით აქვს გამოხატული:

და ლირიკოსს გაუცინა, —  
მზე ჩაუხსა ჯავრში, —  
და ბავშვით ჩაუწვინა  
ყვავილები მკლავში.

მებაღისა და ლირიკოსის ამ პაექრობაში ნათლად ჩანს ახალი პოეტური პოზიციებისათვის ბრძოლა. მებაღე წარმოდგენილია ყოველსაშემდეგ ცხოვრებად, სადაც ადამიანები ნახულობენ თავიანთი სურვილების პრაქტიკულ განხორციელებას, თუკი ეს სურვილები შეესატყვისებთან ცხოვრების აუცილებლობას; წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველგვარი ოცნება ინგრევა, როგორც უნიადაგო და მიუღებელი.

აღ. აბაშელის დასახელებულ ლექსში თუმცა ჩანს პოეტური შემოქმედების დროისა და სივრცის გარეშე დგო-

მის გამართლების ცდა, შავრამ საბოლოოდ პოეტი მაინც მებაღის მხარეზე დგება.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ მოახდინა სამწერლო ასპარეზზე მოქმედი ძალების კონსოლიდაცია. „რაპის“ ლიკვიდაციამ ხელი შეუწყო მწერლების რადიკალურ მობრუნებას პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანებისაკენ.

„მებაღე და ლირიკოსი“ აღ. აბაშელმა დაწერა 1932 წელს; ეს წელი მართლაც რადიკალური გარდატეხის წელი იყო პოეტის შემოქმედებაში. ამ დებულების დადასტურებას წარმოადგენს ლექსი — „ცამ ვარსკვლავები გადმომაყარა“:

ორსავე მხარზე დამკრა ნათლმა,  
და ამბატო კვლავინდებურად  
და დღეს უეცრად და უნებურად  
ლექსების ელვამ და ქრუანტელმა.

ესი, დღეს პოეტს მოეთხოვება  
ე-ოთხი კვილა ვასცეს პასუხი  
იტაცებს შუქით მოცულ გონებას  
გრავინა, ზეციდან ვაღმონაქუბი.

იმავე წლებში აღ. აბაშელი წერს ლექსს: „აკაკის“. ამ ლექსის მიზანი მართო ის კი არ იყო, რომ მწერალს აკაკის დიდი სახელი გაეხსენებინა ქართული მკითხველისათვის. ამ ლექსის დაწერას უფრო მნიშვნელოვანი მოტივი ამოძრავებდა, ვიდრე სუბიექტური პატივისცემა და სიყვარული.

ამ ლექსში დიდი კლასიკოსის სულიერი ცხოვრება გახსნილია ახალი თვალსაზრისით, რაც გამოხატავს ქართული ხალხის ახალ იდეებსა და ამოცანებს. აბაშელი გრძნობს, რომ აკაკი წერეთლის დიდი ავტორიტეტი ესმარება არა იმათ, ვინც წარსულს მისტირის, ენაც არა სწამს ქართველი ხალხის აწმყო და მომავალი, არამედ მხოლოდ იმათ, ვინც მომავლისაკენ

გაბედულად იცქირება და ახალი ქვეყნის აშენების საქმეს ემსახურება.

პოეტის იგონებს აკაკის დროს და წერს: —

იმ დროს სხვა იყო ქვეყნის ნაღველი და გულის სხვაგვარი სახელი სწავდა. შენ იცა: ჩვენთან როცა წახვედი, სამშობლო ეპყრა სისხლიან სავთო.

იყო გოდება სიცოცხლის წესად, ისმოდა გმინვა ჩანგრეულ შეკრძთა და ქარს მიჰქონდა ნესტანის კუნესა ქაჯეთის ციხის ღრუბელთან ერთად.

მაგრამ პოეტს ღრმად სჯერა, რომ ის სასურველი დრო დადგა, რომელზედაც აკაკი ოცნებობდა.

ცუცხლა ის ჯამი უჯვრე ალაგმა, და ძველი ქვეყნის სასტიკი ძღვენი, დრომ თან წაილა, როგორც არაგვმა ბამი-ანუკის დამხრჩვალ ცხენი.

და დღეს რომ ზონგურს ცრემლი დასცვივა, შუბი ივლებს თვალბუბო წამსვე. დგას საქართველო ოქროს თასივით შენი ლექსების ნეტარით სავსე.

ამრიგად, პოეტმა კლასიკოსიც სამართლიანად ჩააყენა ახალი საბჭოთა ქვეყნის სამსახურში. აბაშელმა აკაკის დიდი ავტორიტეტი მოიშველია, რათა თავისი რადიკალური გარდაქმნა გაემართლებინა. ამ დროიდან აბაშელი მთელი ხმით უმღერის კომუნისმის დიდ მშენებლობას. პოეტმა თავის მთავარ ამოცანად დაისახა მგზნებარე პოეტური სიტყვა ეთქვა ახალი ეპოქის, კომუნისმის ეპოქის შემოქმედ ადამიანზე — დიდ სტალინზე. ალ. აბაშელი იქცა საბჭოთა ეპოქის, საბჭოთა სინამდვილის ერთ-ერთ საუკეთესო მომღერლად. ლექსში „ბრწყინვალე თარიღი“ აბაშელმა უმღერა მას, ვინც სტალინური ეპოქა შექმნა კაცობრიობის ისტორიაში:

ჩვენი სამშობლოს ბჭეზე ახალი ბრწყინავს ვარსკვლავი სხვადაფენილი, ხალხთა უღლების ღერბი შალაო, სტალინის ხელით გამოყვითილი.

მის სინათლეზე მივდივართ ერთად, ხარობდეს მუდამ მშრომელთა კერას, მოგვაქვს მოლიანი კედელი შეკრძთა და გულთა ერთი სამო ტეტრეკლინიცა

1941 წლამდე პოეტი მხატვრული სიტყვის საშუალებით ასახავდა ჩვენი ხალხის მშვიდობიან შრომას და ამ შრომაში ჩაბმული ადამიანების სულიერ ცხოვრებას. პოეტი შეხაროდა საქართველოს დიად განახლებას; ის ხან კოლხიდის გარდამქმნელ დევგმირებს უმღეროდა, ხან ალაზნის ველზე დარაზმულ მევენახეებს, ხან მთაწმინდის ხრიოკ ველების აყვავებას, ხან კომკავშირულ ახალგაზრდობას, ხან პიონერთა ქრიაშულს.

ალ. აბაშელის პოეტურ თვალთახედვას არ გამოორჩენია პატარა წერილმანიც კი, რომელშიაც ახალი ქვეყნის მაჯისცემა იგრძნობოდა. სულ სხვა საკითხია, თუ როგორი პოეტური ფორმებით ახერხებდა პოეტი ახალი მასალის მხატვრულ განვიფარებას, მაგრამ აქ უნდა ითქვას, რომ აბაშელის ყოველ ლექსში ისმის იმ პოეტის გულწრფელი ხმა, რომელსაც თავისი მხატვრული კალამი ახალი ქვეყნის სამსახურში ჩაუყენებია.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტმა დამპყრობელებმა ომის გამოუცხადებლად გადმოლაბეს ჩვენი ქვეყნის საზღვრები. | საბჭოთა ხალხმა დიდი სტალინის მეთაურობით სამამულო ომით უპასუხა ვერაგ თავდამსხმელებს. დაირღვა საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება და ქვეყნის ეკონომიური და სულიერი ცხოვრება ომის რეღსებზე იქნა გადაყვანილი. ნათქვამია, როცა ზარბაზნები ქუხან, მუხები სდუმანო.

საბჭოთა მწერლობა მტკიცედ ჩაიფა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის სამსახურში. ჩვენი სასიკადულო ილია ქავჭავაძე ოდესღაც წერდა, რომ ბასრი ხმალი ხშირად იმდენს ვერ გააქეთებს, რამდენსაც კალმის პატარა წვერიო.

სამამულო ომის დღეებში ნათლად გამოჩნდა საბჭოთა „კალმის პატარა წვერის“ მრისხანე ძალა.

აღ. აბაშელი, როგორც მოწინავე საბჭოთა პოეტი, მთელი თავისი პოეტური მგზნებარებით აღსდგა ბარბაროს დამპყრობელთა წინააღმდეგ. მან თავის ლექსს, რომელიც დაწერილია ომის პირველ დღეებში, უწოდა „ჩემს კალამს“. ამ ლექსში ზედმიწევნით სწორად არის გამოხატული პოეტის მოვალეობა სამამულო ომის პირობებში:

ჩემო კალამო ყოველ გარიყრავს  
შენ შეხაროდი დილის ნიტევით.  
უმღერდი მიწას, ელვას, ქარიშხალს,  
და მოვლილი გაქვს ზეცა შედივით.  
დღეს ამ მიწა-წყალს, ამ ცის განთიადს  
მუხანათორად დაესხა მტერი,  
და შენს ნისკარტზე ცეცხლი ანთია,  
შენ ამ უღიდეს ბრძოლაზე მღერო.  
დასთვე სიმღერა სხვა ყოველგვარი,  
ყოველი კილო, სიტყვა და აზრი,  
გარდა ერთისა: მხოლოდ მედვარი  
დაგრჩეს ყოველი, ხმალივით ბასრი,  
რომ ყველაფერი, რაც შენში ფეთქავს  
გმირული, მძაფრი და პირუთენელი,  
მგზნებარი სიტყვა, რაც ონდა გაოქვა,  
მაგრამ ამ დღისთვის დარჩა უთქმელი,  
იმ ერთ ყვირლში მოზეაფდეს ერთად,  
როგორც მომსკდარი მთიდან დაწვერი.  
კალამო მხოლოდ შემოსება მტერთა! —  
გადავიწყე სხვა ყველაფერი.

საბჭოთა მოქალაქის ეს კეთილშობილი ვალი ღირსეულად შეასრულა აბაშელმა; პოეტური სიტყვით იგი გულმხურვალედ ეხმარებოდა მოსკოვის გმირ დამცველებს, მტრის ურდოებისაგან გარშემორტყმულ ლენინგრადსა და სტალინგრადს. როცა სტალინგრადზე 1942 წელს დაწერილ ლექსს ვკითხულობდით, ჩვენ ვიმსჯელებოდით მტერზე გამარჯვების რწმენით. პოეტურ ფერებში აღწერილია, თუ როგორ იცვამდა გმირულ ჯავშანს მოსკოვი 1941 წლის 7 ნოემბრის ისტორიულ ღამეს და როგორ მზადდებოდა მტერზე გამარჯვება. გაბოროტებული მტერი კავ-

კასისაკენ გამოიჭრა, თამისტი პირატები საქართველოსაკენ მოიწვედნენ. ეს მრისხანე განსაცდელი პოეტის სოწარკვეთილებას კი არ იწვევდა, არამედ სტიმულს აძლევდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს გრძნობა აღ. აბაშელს კარგად აქვს გამოთქმული თავის ერთ ლექსში:

როცა დღე, ომის ვრივალთ სავსე,  
ცეცხლსა და კვამლში დიბინდება,  
სამშობლოს ვარსკვლავს მე გზილავ ცაზე  
და ჩემს გულშიაც სხვით ინთება.  
როცა ღამესაც ხანძარი დასწევას  
და ისიც ვრგვივით გადაფრინდება,  
მამინაც ეხედავ სამშობლოს ვარსკვლავს,  
და გული საფრთხეს არ უშინდება.  
ყოველთვის, როცა ამ ცეცხლის გზაზე  
გულს ვამხნევების ძალა სჭირდება,  
სამშობლოს ვარსკვლავს შევხედავ ცაზე  
და მღეროე ფიქრი დამეწმინდება.

საბჭოთა ხალხის გამარჯვების ასეთი ღრმა რწმენით იყო გამსჭვალული პოეტი უღრმესი განსაცდელის ქამს.

აბაშელმა სამამულო ომის პერიოდში თავისი თავი გამოაჩინა როგორც მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი. პოეტი მთელი შესაძლებლობით უმღერდა ადამიანებს, რომლებიც ამსხვრევდნენ მტრის წინააღმდეგობას.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ აღ. აბაშელის პოეზიის საგნად კვლავ მშვიდობიანი მშენებლობა იქცა. პოეტი ახალგაზრდული გატაცებით უმღერის სამგორისა და კოლხიდის ველების აყვავებას; მან თავისი სიმღერების ობიექტებად აქცია ადამიანები, რომლებიც აშენებენ კომუნისმის დიად შენობას. მაგრამ უკანასკნელ დროს პოეტი ისეთი ინტენსიობით აღარ მუშაობს, როგორც წარსულში. მისმა პოეტურმა ფორმებმაც მოდუნება იწყო. ერთფეროვანი და მონოტონური გახდა მისი ზოგიერთი ლექსი (იხ. ლექსები — „სანდრო შანშიაშვილს“, „ნინო ნაკაშიძეს“, „გიორგი ლეონიძეს“ და სხვ.).

ალ. აბაშელმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო მკითხველის ყურადღება ლექსის ახალი ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი ბოლომდე ერთგული დარჩა ლექსის კლასიკური ფორმისა, რომელიც შექმნეს ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, მაინც ტრადიციულად არ მიჰყვებოდა იგი ქართული ლექსის მანამდე შექმნილ ფორმას. ალ. აბაშელი ზოგჯერ შეგნებულად არღვევდა ლექსის კლასიკურ ფორმებს, მაგრამ არღვევდა არა წინასწარ აკვიატებული აზრით, როგორც ეს სწევოდათ დეკადენტური პოეზიის წარმომადგენლებს, არამედ იგი ახალი შინაარსისათვის ეძებდა ახალ ფორმას.

ალ. აბაშელი ფორმის ერთგვარი ნოვატორია. მაგრამ იგი არასდროს არ მიღის იმ ფორმალისტურ ვარჯიშობამდე, როცა აზრი მსხვერპლად ეწირება სიტყვას და სიტყვა იტანჯება უაზროდ.

ალ. აბაშელის პოეზიის მეორე დამახასიათებელი თვისება არის ინტელექტუალიზმი. პოეტი ემოციის ძალას ზოგჯერ ხელოვნურად ასუსტებს ინტელექტის გაბატონების ხარჯზე; მის ლექსებში ყოველთვის არის გონიერების ბატონობა გრძნობიერებაზე. რა თქმა უნდა, ამაში არის აბაშელის პოეზიის სუსტი მხარეც და ძლიერი მხარეც. სისუსტე მისი ისაა, რომ შინაგან ენებთანობას მოკლებული ინტელექტუალიზმი მოწყენილობაში გადადის, რაღაც ემოციებისაგან გამო-

მშრალის შთაბეჭდილებას ახდენს; ასეთ ლექსში ყოველთვის იგრძნობა მონოტონურობა. მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, ლექსის აბაშელისებურ ფორმის რაციონალიზმს აქვს თავისი დადებითი მხარეც. ლექსის ამგვარი ფორმა დაზღვეულია სანტიმენტალიზმისაგან, „გრძნობათა გატკობისაგან“, როგორც ბელინსკი იტყოდა ხოლმე.

თავისი შემოქმედების თითოეულ ეტაპზე ალ. აბაშელი ამკვიდრებდა რეალიზმს თავის პოეტურ სიტყვაში. ახლა აბაშელს კარგად ესმის, რომ პოეტურმა სიტყვამ უნდა აღზარდოს ზნეობრივად წმინდა და მამაცი მოქალაქენი საბჭოთა ქვეყნის საკეთილდღეოდ; ხელოვნებამ უნდა მოუწოდოს ხალხს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დაცვისაკენ, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება ხალხის სამსახური. ალ. აბაშელისათვის ეს არ არის სკოლური უტილიტარიზმი ხელოვნების დანიშნულებაზე; არამედ ეს არის მაღალი წარმოდგენა საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებსა და პოეტურ კულტურის ინტერესების ურთიერთობაზე.

ორმოც წელზე მეტია, რაც ალექსანდრე აბაშელი მოღვაწეობს სამწერლო ასპარეზზე. მან გაიარა წინააღმდეგობებით სავსე შემოქმედებითი გზა. სტალინურმა ეპოქამ პოეტის შემოქმედება დააყენა ქეშპარიტ გზაზე და იგი ღირსეული მომღერალი გახდა საბჭოთა სინამდვილისა.

## ქართული საბჭოთა კინოღარამაგურების მღვმოარეობა და მისი ანოხანები



კინემატოგრაფია ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით ახალი დარგია. მას მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვს.

კინემატოგრაფია ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში, სადაც იგი უკვე ნამდვილ სახალხო ხელოვნებად იქცა, წარმოადგენს საბჭოთა კულტურის განვითარებისა და მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრ ფაქტორს.

1907 წელს, როდესაც კინემატოგრაფია ჯერ კიდევ განვითარების პირველ საფეხურზე იდგა და მხოლოდ „საბაზრო ატრაქციონს“ წარმოადგენდა, დიდი ღონისძიება აღნიშნავდა: „კინოს, ეიჯრე იგი გაიძვერა სპეკულანტებისა და არამზადების ხელში, ხალხისათვის უფრო მეტი მკვნიბლობა მოაქვს, ეიჯრე სიკეთე, და თავისი საზიზღარი შინაარსით შამამეს მასების შეგნებას, მაგრამ როდესაც მასები დაეუფლებიან კინოს, და როდესაც ის გადაეა სოციალისტურ კულტურის ნამდვილ მოღვაწეთა ხელში, მაშინ იგი იქცევა მასების განათლების ერთერთ უძლიერეს საშუალებად“.

ამრიგად, ჯერ კიდევ 43 წლის წინათ, ვ. ღონისძი, იმდროინდელი კინემატოგრაფიის უზღარეუობის მიუხედავად, კინოში ხედავდა მასების განათლების უდიდეს საშუალებას.

მაგრამ იმისათვის, რომ კინოს განვლდებინათ თავის უდიდესი შესაძლებლობანი, უნდა ქვეყნოთა შრომელი მასების ეთოენილებად.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდა პრინციპულად ახალი, რევოლუციური, რეალისტური საბჭოთა კინოხელოვნება, რაც დღეს ყველაზე უფრო იდეური, ყველაზე უფრო მოწინავე კინოხელოვნებაა მსოფლიოში.

საბჭოთა კინოხელოვნებას უპირისპირდება დეგრადაციის გზაზე დაძვარი ბურჟუაზიული კინო.

მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა, განგსტრების ბნელი საქმეები და დემიტორი ამბები, მოჩვენებიანი და სამხედრო აღულები — იმ რას აწვდის კაპიტალისტური ქვეყნების მკურელებს ბურჟუაზიული, კერძოდ, ამერიკული კინემატოგრაფია. ახალი იმის გამაჩაღებლეს, კბილებამდე შეაარაღებულ ბანდიტებს და ატო-

მერი ბომბის მინიკებს ემსახურებიან პრესისა და ეკრანის ბანდიტები.

ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ, საბჭოთა კინემატოგრაფია ნამდვილად ემსახურება ხალხის ინტერესებს.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდში, რომლითაც შეაარაღა ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხელოვნების ოსტატები, ხელი შეუწყო საბჭოთა კინემატოგრაფიის სწრაფ ზრდასა და განმტკიცებას. საუკეთესო საბჭოთა ფილმები ასახავენ შრომელი ხალხის გმირულ ბრძოლას კაპობრობის უმადლესი იდეალების განხორციელებისათვის, ისინი გვიხატავენ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის სიღაღესა და მის ბრწყინვალე პერსპექტივებს.

უკვე თავის განვითარების პირველ წლებშივე საბჭოთა კინემატოგრაფია ქმნის ისეთ შესანიშნავ ფილმებს, როგორიცაა „გაეშონისანი პოტიომკინი“, „ღედა“ და სხვ. ისეთი დირს-შესანიშნავი ფილმები, როგორიცაა „ღონისძი ოქტომბერში“, „ღონისძი 1918 წ.“, „ღიადი განთიადი“, „ბალტიკის დებუტატი“, „ეიბორგის მხარე“, „ალექსანდრე ნეველი“, „ჩაპაევი“, „შორსი“, და სხვ. შექმნილია ჩვენი პარტიისა და, კერძოდ, ამხანაგი სტალინის უშუალო მიითთებით. ეს ფილმები წარმოადგენენ სოციალისტური რეალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებას კინოხელოვნებაში.

საბჭოთა კინოხელოვნების მნიშვნელოვან წარმატებებთან დაკავშირებით, მისი 15 წლის თავზე, ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ მისაღმებაში კინოს შემოქმედისადმი ასეთი მაღალი შეფასება მისცა კინოს: „კინო საბჭოთა ხელისუფლების ხელში უდიდეს, ფასდაუდებელ ძალას წარმოადგენს.“

კინოს ნოვბოეება მასებზე სულიერი ზეგავლენის განსაკუთრებულ შესაძლებლობანი, რითაც ეხმარება მღშათა კლასს და მის პარტიას აღზარდონ შრომელი სოციალიზმის სულისკვეთებით, დარაზმონ მასები სოციალიზმისათვის საბრძოლველად, აამაღლონ მათი კულტურა და პოლატიკური ბრძოლის უნარიანობა.



საბჭოთა ხელისუფლება მოელის თქვენგან ახალ წარმატებებს, ახალ ფილმებს, რომლებიც „ჩაპევის“ მსგავსად უკიდავყოფენ საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიულ საქმეთა სიდიადეს, დარაზმავენ მასებს ახალი ამოცანების შესრულებისათვის და მოაგონებენ როგორც მიღწევებს, ისე სოციალისტურ მშენებლობის სიძნეულებს.

საბჭოთა ხელისუფლება მოელის თქვენგან თქვენი ოსტატების გაზედულად შეკრას აუცილებელ მნიშვნელოვანი (ლენინი) და ყველაზე მასობრივი ხელოვნების — კინოს ახალ სფეროებში.

ა. სტალინის მიერ კინოს ასეთმა მაღალმა შეფასებამ საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკები ახალი დიდი საქმეებისათვის აღაფრთოვანა.

ხელმძღვანელობდნენ რა დიდი სტალინის ბრძნული მითითებებით და ბოლშევიკური პარტიის ისტორიული დადგენილებებით იდეოლოგიურ საკითხებზე, საბჭოთა კინოხელოვნების ოსტატებმა კიდევ უფო აამაღლეს კინოფილმების იდეურ-პოლიტიკური დონე, შექმნეს მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ფილმები, რომელთაც საყოველთაო აღიარება და სიყვარული დაამსახურეს როგორც საბჭოთა ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კინემატოგრაფიამ შექმნა მთელი რიგი შესანიშნავი ფილმები, რომელთაგან აღსანიშნავია „ფიცი“, „სტალინგრადის ბრძოლა“, „ახალგაზრდა გვარდია“ და მონუმენტალური კინოფილმი „ბერლინის დაკეპა“.

ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა მკაფიოდა ასახული ფილმებში — „ოქროს ვარსკვლავის კავალერი“, „ღონელი მუშაკები“, „უბნანელი კახეები“ და სხვ.

მშვიდობისათვის ბრძოლა და ომის განმავლობაში მსიძნეობისაში მიძღვნილია ფილმები — „შეხვედრა ელბაზე“, „საიდუმლო მისია“, „განწირულთა შეთქმულება“.

გარდა ამისა საბჭოთა კინემატოგრაფიამ შექმნა ისტორიული და ბიოგრაფიული ხასიათის მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ფილმებიც ეს ფილმები გამსჭვალულია ცხოველყოფილი საბჭოთა პარტიოტიზმით. ისინი რაზმავენ მშრომელ მასებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად.

როგორც ერთ-ერთი მოწინავე რაზმი მრავალეროვანი საბჭოთა კინემატოგრაფიისა, იზრდებოდა და მტკიცდებოდა ქართული საბჭოთა კინოხელოვნებაც.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების პირველ ეტაპზე სერაიოზული მიღწევა იყო რეჟისორ ა. პერესტიანის მიერ დადგმული

ფილმი „წითელი ეშმაკები“, რომელიც ახალ საბჭოთა ახალგაზრდობის გმირულ ბრძოლას საბოჭალაო ომში.

ქართული კინემატოგრაფიის მშენებლის განმარტება მიმდინარეობდა უმთავრესად მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა ათვისებისა და ვერანიზაციის გზით.

1924 წელს რეჟისორმა პერესტიანმა დადგა „სამი სიცოცხლე“ ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი წერეთლის რომანის „პირველი ნაბიჯის“ მიხედვით.

„სამ სიცოცხლეს“ მოჰყვა მთელი რიგი ფილმები, რომლებიც ლიტერატურულ ნაწარმოებთა ვერანიზაციის წარმოადგენდა.

დიდ წარმატებებს მიაღწია ქართულმა კინემატოგრაფიამ 1931 წელს შეძლევა, როდესაც საერთოვლო პარტიულ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის საამაუო შვილი, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ლ. ბერია.

ამხანაგ ლ. ბერიას სახელთან არის დაკავშირებული ქართული კინემატოგრაფიის აღმშენებლის პერიოდი, ქართული კინემატოგრაფიის განვითარების ამ ეტაპზე იყო შექმნილი მთელი რიგი ღირსშესანიშნავი მხატვრული ფილმები, როგორცაა რეჟისორ მ. ჭიაურელის „უკანასკნელი მასკარადი“ და „არსენა“, — ს. შანსაშვილის სცენარის მიხედვით, „ნარინჯის ველი“ რეჟისორ ნ. შენგელაისა — ლ. ჭიაურელის სცენარის მიხედვით, „უკანასკნელი ჯვაროსნები“ და „დარიკო“ რეჟ. ს. დოლიძისა — მისივე სცენარების მიხედვით, — ავტორ-რეჟისორ ს. ფლადანიშვილის „უტუენას მითითვი“ და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. ჭიაურელის მიერ დადგმული ფილმი „დიდი განთიდი“, მ. ჭიაურელისა და გ. ცაგარელის სცენარის მიხედვით. ეს ფილმი წარმოადგენს ეპიკურ ნაწარმოებს, დიდ მხატვრულ ტილოს, რომელიც სამდილო ოსტატობით ასახავს ქართველი მშრომელი ხალხის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით და სიყვარულით და სიმარტალით გვიხატავს საბჭოთა ხალხის გენიოს ბელადებს — გ. ი. ლენინისა და ი. შ. სტალინის სახებს.

სამამულო ომის დაწყებისთანავე საქართველოს კინემატოგრაფიამ სწრაფად გარდაქმნა თავისი მუშაობა და გააძლიერა პარტიოტიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული მთელი რიგი ფილმები, რომლებიც ზვენი ხალხის გმირულ წარსულს ასახავენ ასეთ ფილმებს ეყვთონინ „ვიორვი სააკაძე“ (რეჟისორი მ. ჭიაურელის დადგმა. ა. ანტონოვსკიას სცენარის მიხედვით) და „აორდაის ფარი“.

სამამულო ომის შემდეგ არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა კინემატოგრაფიის

ყველაზე შესანიშნავი და დიდი ნაწარმოები იყო ჩვენი სახელოვანი რეჟისორის — მ. ჰიაურელის მიერ დადგმული კინოფილმი „ფიცი“ (სცენარის ავტორები — მავლენკო და ჰიაურელი), რომელიც 1944 წელს გამოქვეყნდა თბილისის ლენინის ორდენისა და კინოსტუდიამ. ამ შესანიშნავ ფილმს მიენიჭა სტალინური პრემია, ხოლო ვენეციაში შედგარ საერთაშორისო კინოფესტივალზე მან ერთ-ერთი პირველი იჯიჯი დაიკავა და ოქროს დიდი მედლით იქნა დაჯილდოებული.

ალსანიშნავია აგრეთვე ფილმი „დავით გურამიშვილი“ (რეჟისორები — ნ. სანიშვილი და ი. თუმანიშვილი, სცენარის ს. ზიქოვანის და ნ. ორლოვისა).

სამამულო ომის შემდგომ პერიოდში ჩვენი კინემატოგრაფიის ზოგიერთმა ოსტატმა შეასრულა ბრძოლა საბჭოთა ბელოვანების ბოლშევიკური იდეურობისათვის, ზურვლედ მოეციდა საბჭოთა სინამდვილის შესწავლისა და ეკრანიზაციის საქმეს.

ისტორიულ დადგენილებაში კინოფილმი „დიდი ცხოვრების“ შესახებ პარტიამ ამახილეს შედეგებში და დასაბა მათი გამოსწორების ჯგუფი.

კინოფილმი „დიდი ცხოვრების“ შესახებ მიღებული დადგენილების ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მასში შეაფიქრდა განსაზღვრული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების ჯგუფი და მისი საბრძოლო ამოცანები. ეს დადგენილება ნათელი გამოხატულობა პარტიის მუდმივი მხროვნელობისა და დახმარებისა საბჭოთა კინოხელოვნების მუშაკებისადმი.

იმ შედეგების მკაფიოდ ბოლომდე მართვაში, რომლებიც დაშვებულ იქნა მთელი რიგი კინომუშაკების მიერ ომის შემდგომ წლებში, კრიტიკოსთა ანტიპარტიოტული ჯგუფის მზილებაში, კოსმოპოლიტიზმის „იდეებისა“ და ბურჟუაზიული „კულტურის“ წინაშე მონური ქედმობის, ესთეტიზმისა და ფორმალისმის წინააღმდეგ გააღებული ბრძოლაში ხელი შეუწყო საბჭოთა კინოხელოვნების ახალ აღმავლობას.

იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე საჯარო შირო კ. კ. (ბ) ცენტრალური კომპეტეტის დადგენილებათა საფუძველზე, თბილისის კინოსტუდიამ თავის მუშაობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. უკანასკნელი ხნის განმავლობაში მან გამოქვეყნა თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ამსახული ორი მხატვრული ფილმი — „ბედნიერი შეხვედრა“ (სცენარის გ. კარსანიძისა, დადგმა რეჟ. ნ. სანიშვილის) და „გაზაფხული საყვინში“ (გ. გოლიადან ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. დადგმა რეჟ. ნ. სანიშვილის).

ამავე პერიოდს ეკუთვნის ოსტატურად შესრულებული მუსიკალური კომედია „ქეთო და

კოტე“ (რეჟისორები — ვ. ტაბლაშვილი და შ. გედევანიშვილი, სცენარის ავტორი ს. ფამალიშვილი) და ბიოგრაფიული ფილმი „საბჭოთა ავია“ (სცენარის ლ. ასათიანი და მ. შანიშვილის, რეჟისორი კ. პაიხაშვილი).

მაგრამ, მიუხედავად ამ მიღწევებისა, უნდა ითქვას რომ თბილისის კინოსტუდიის მიერ გამოშვებული ფილმების გარკვეული ნაწილი თავისი იდეურობით და მხატვრული ღირსებით სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგი კ. ჩარკიანი აღნიშნავდა, რომ „ჩვენი კინემატოგრაფია საკმაოდ ვერ იყენებს ყველა ახადის შემოქმედებით შესაძლებლობას. თბილისის კინოსტუდიის მიერ გამოშვებული სურათების ერთი ნაწილი არ არის ქმნის ღირსი იდეური და მხატვრული თვალსაზრისით“.

თბილისის კინოსტუდიის მიერ გამოშვებული ფილმი „ოქროს ბილი“ (სცენარის ავტორები — ჩერკესი და კოლტუნოვი) იდეურად და მხატვრულად მდარე ხარისხის იყო.

ამ ფილმში საქმის ვითარება ისე იყო წარმოდგენილი, რომ, თუ უცხოელი ბანდიტები არა, ჩვენს გამოჩენილ მეცნიერება — გეოლოგებს გაუჭირდებოდათ ჩვენი ქვეყნის წილისეული სიმდიდრის აღმოჩენა. მაგრამ მარტო ამით არ ამოწურება ფილმის ნაკლად იგი მდარე მხატვრული თვალსაზრისითაც, მასში აშკარად აგრძნობა უცხოეთის ფილმების მავნე გავლენა. უაზრულებელი სროლა, დანების ტრიალი, აფეთქებანი, დევნა, მკვლელობანი — ასეთი ფილმის „ამერიკანისტიკული“ კადრება.

ყოველივე ეს ნათლად მოწმობს იმას, თე რამდენად არაპარტიულ, უბრინციო პოზიციებზე იდგნენ ამ ფილმის სცენარის ავტორები და მისი კრიტიკოსები, რომლებიც არათუ აღნიშნავდნენ ამ ფილმის ნაკლოვანებებს, არამედ ზოტბადიდებოთ მოიხსენებდნენ და რეკლამას უყვებოდნენ მას.

თემისადმი ზურვლედ დამოკიდებულებისა და მასალის უცოდინარობის ერთ-ერთ ნიშნებს წარმოადგენდა, აგრეთვე, კინოფილმი „პირველი მეზობლები“ (სცენარის გ. მდივნისა, დადგმა რეჟ. შ. მანავაძისა).

ფილმის მიხანია გეჩვენოს ჩვენი კოლმეურნეების პარტიოტული აღტყინება სამამულო ომის წლებში, მათი მისწრაფება დახმარებოდნენ სამშობლის დედუღლავი შრომითა და თავისი დანახოვებით. მაგრამ ეს დიდი პარტიოტული აღტყინება სცენარში ორი კოლმეურნის უბრალო ქიშპობის სახით არის წარმოდგენილი; იგი თავმოქმუნებით, ყოყლოზინობის ატაზება, და ეს გადმოცემულია ფორმალისტური ბერბებით — შერეო გოგონის წაღებ-წამოღებობის გადაცემ-გადმოცემით.

დაამხინჯებულადა აგრეთვე წარმოდგენილი ბრიგადების შეჯიბრება. სცენარის მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების არსი თურმე იმაში ზღვომატკია, რომ ერთმა ბრიგადამ მოატყუოს მეორე, დაამინოს ავი და თვითონ კი ამ ხნის განმავლობაში მუშაობით გადააქარბოს შეჯიბრებაში ჩაბმული ბრიგადის მაჩვენებლებს.

ფილმში არ იგრძნობა ომის შიშვე წლები. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა სამკვლარა-სასიოცხლო პრპოლას აწარმოებდა მტრის შემოსეულ ურდოებთან, საქართველოს სოფლებში სამოთხის ხალი იყო გამოქლია, სადაც ქართველი კომუნურნი გლეხები ქეთვში, ოხუნჯობასა და ნადირობაში ატარებდნენ დროს.

ფილმი იდეურად და მხატვრულად ყაბობა ჩვენმა კინო-კრიტიკამ კი ვერც ამ ფილმს მისცა ღირსეული შეფასება.

მალღ მხატვრული ღირსებით არ გამოირჩეოდა არც უკანასკნელ წლებში გამოშვებული კინოფილმი „გაზაფხული საყენში“, რომლის სცენარი დაიწერა გ. გულუას ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ფილმი დაიღვა კინოფილმ „დიდი ცხოვრების“ შესახებ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებების შემდეგ, ფილმის სცენარის ავტორმა და დამდგმელმა რეჟისორმა ამხ. სანიშვილმა საქმაოდ ვერ გამოიყენეს თავისივე შემოქმედებითი შესაძლებლობანი: ფილმი ზღარვ აღმოჩნდა.

საბჭოთა კინემატოგრაფიის მიღწევები ჯერ კიდევ ვერ ამაყოფილებენ საბჭოთა მავურებლის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ეს უნდა ითქვას, კერძოდ, ქართული კინოხელოვნების შესახებ.

ცხადია, კარგი ფილმის საფუძველს წარმოადგენს მაღალხარისხოვანი სცენარი. რეჟისორული ხერხი და გამომგონებლობა ვერ უზრუნველყოფს. ფილმი მაღალ ღირსებას, თუ სცენარი იდეურად და მხატვრულად მდარება.

ჩვენი კინემატოგრაფიის ყოველი იდეურ-შემოქმედებითი წარმატება და წარუმატებლობა, გამარჯვება და მარცხი, პირველყოლისა, კინოსცენარების ავკარგიანობით აიხსნება. კინოდრამატურგთა კინოხელოვნების საფუძველია: მაგამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ კინოდრამატურგთა ჯერ კიდევ არ აქცევენ სათანადო ყურადღებას მწერალთა უმრავლესობა.

ჩვენში ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული ის აზრი, რომ კინოდრამატურგთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია ლიტერატურისა.

ა. ცდამოვის შესანიშნავი თქმით, ერთი კინოფილმი მრავალი ათასი ავტორტრის როლს ასრულებს. კინოში მუშაობა მწერლის მიერ მი-

ჩნეული უნდა იქნეს თავის უმნიშვნელოვანეს და საბატიო მოვალეობად.

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებელს — მაქსიმ გორკის არაერთხელ აღვნიშნავს კინოხელოვნების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში და თითოინაც შეუქმნია ამა ერთი და ორი კინოსცენარი. უკანასკნელ ხანებში გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტმა ცალკე წიგნად გამოსცა სპეციალური კრებული, რომელშიც მოთავსებულია გორკის პიესები და გვესო სცენარი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი გეოქის უნივერსიტეტი პოეტე მაიაკოვსკე ვატუცებთ მუშაობდა კინოში, მას ბეერი სცენარი დაუწერია, და ამ სცენარის მიხედვით დადგმული ფილმები წარმატებით მიდიოდა ვერახზე.

ენობილია, რომ XIX საუკუნის დიდი მწერლები დიდ ინტერესს იჩენდნენ კინოსადმი, რომელიც იმ დროს თავის განვითარების პირველ საფეხებზე იმყოფებოდა. მაგალითად, ლევ ტოლსტოი ბევრს ფიქრობდა კინემატოგრაფიაზე; მწერალ ლ. ანდრეევითან საუბარში მას არაერთხელ უთქვამს, რომ პირადად სურს იმუშაოს კინოსათვის, თუმცა ამ განზრახვის შესრულება მას არ დასცადდა.

ამრიგად, კინოდრამატურგიის შეუფასებლობა და ეგულებელოფთა ხელს უშლის და ობიექტურად აფერხებს ყველაზე მასობრივ ხელოვნების — კინოს განვითარებას.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში სცენარების სიმცირე, პირველყოლისა, იმით აიხსნება, რომ ქართველი მწერლების დიდი ნაწილი ნაკლებ ინტერესს იჩენს კინოდრამატურგიისადმი. ეს გარემოება უარყოფით გავლენას ახდენს ქართული კინემატოგრაფიის ზრდასა და განვითარებაზე.

ამხანავი კ. ჩარკვიანი თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) მე-14 ყრილობაზე ამბობდა: „ამ უკანასკნელ წლებში სტუდია ძალიან ცოტა სურათებს უშვებს, იგი არ არის უზრუნველყოფილი კარგი სცენარებით. ისევე როგორც თეატრებს, ქართულ კინოხელოვნებასაც აფერხებს ჩვენი დრამატურგების არასაკმაო შემოქმედებითი აქტივობა... „საჭიროო კინოსტუდიისა და მწერალთა კავშირის ხელშეწყობაში მთელი ყურადღება მიიპყრონ კინოსურათებისათვის სცენარების შექმნას თანამედროვე თემებზე“. სამწუხაროდ, ამხანავ კ. ჩარკვიანის ამ მოწოდებას მწერალთა კავშირი მთელი სიღრმით ვერ კიდევ არ გამოხმაურებია.

საჭიროა მწერლებმა კინოსცენარის საქმე თავის ღვიძლ საქმედ გაიხადონ და დაეუფლონ ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანეს დარგს.

მაგრამ მაღალიდგური და მხატვრული სიყვარის შექმნა საკმაოდ რთული საქმეა, რომელიც მწერლისაგან ხანგრძლივ, დამბულ შემოქმედებით მუშაობას მოითხოვს. მან უნდა შეისწავლოს, აითვისოს და გადაამუშაოს ვრცელი მასალა, ზედმიწევნით გაეცნოს თავის მომავალ გმირებს, მათ საქმიანობას და ნაწარმოებს მისცეს მწკობარი კომპოზიცია, მჭაჭარი დინამიკური სიუჟეტი, რომელიც საშუალებას მისცემს მას სათანახევერის განმავლობაში მკყურებლის წინაშე სრულყოფილად გახსნას ადამიანთა ხასიათები და სისრულით გადაგვიშალოს მათი ცხოვრება.

კიდევ ერთი სიმწლე, რომელიც ელობება კონფრამატორებს, ისაა, რომ მწერალი ადვილად ვერ პოულობს კონსიკენარის ძირითად კონფლიქტს. ზოგიერთის თვალსაზრისით ასეთი კონფლიქტის ძიებაც ზედმეტია, რამდენადაც თანამედროვე ცხოვრება თითქოს არ იძლევა სათანადო მასალას დრამატული კონფლიქტებისა და კონსიკენარისათვის. ასეთი შეხედულების უკდარობა არაერთხელ ყოფილა მხილებული და გაკრიტიკებული ჩვენი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების დადგენილებებში.

მართალია, ჩვენს საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც ლიკვიდირებულია ანტაკონისტური კლასების ბრძოლა ძველსა და ახალ შორის, საზოგადოების განვითარება კლასთა ბრძოლის სახით არ მიმდინარეობს და ჩვენს ცხოვრებაში წარმოშობილ კონფლიქტებს ანტაკონისტური ხასიათი არა აქვს, მაგრამ განვითარების დიალექტიკა სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ არ უქმდება და ბრძოლა ძველსა და ახალს შორის ახალ ფორმას ლებულობს. ეს ბრძოლა დღეს წარმოებს კრიტიკისა და თეოტიკტიკის სახით, რომელიც წარმადგენს ერთ-ერთ ახალ დიალექტიკურ კანონზომიერებას და საბჭოთა საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალას.

ბოლშევიკური კრიტიკისა და თეოტიკტიკის მიზანია პარტიული სულიკვეთების დაწერვა, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და კომუნისტური მშენებლობის სრულყოფა. ეს არის საუკეთესო მეთოდი იმ წინააღმდეგობათა დაძლევისა, რომლებიც წარმოიქმნება ბოლშე სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში. ამ წინააღმდეგობათა თავის დროზე გამოვლინება და გადალახვა ხელს უწყობს ჩვენი საზოგადოების წინსვლასა და განვითარებას.

ი. სტალინი გვასწავლის, რომ „ჩვენში ყოველთვის რაიმე კედება ცხოვრებაში, მაგრამ იმას; რაც კედება არ სურს მოკედეს უბრალოდ არამედ ის იბრძვის თავის არსებობისათვის, \*ეკავს თავის დრომომკმულ საქმეს.

ჩვენში ყოველთვის რაიმე ა. ლ. ახადება ცხოვრებაში, მაგრამ ის რაც იხადება უბრალოდ როდი იხადება, არამედ რ. მკედეს უკედის, იეკავს თავის არსებობის უფლებას. მკედეს ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომაკედება და ახლადწარმოშობილს შორის — აი ჩვენი განვითარების საფუძველი“.

მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღებული საბჭოთა მწერალი, ადვილად ერკვევა ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებაში, მისთვის ნათელია ამ განვითარების ტენდენციები და წინააღმდეგობანი, და ამიტომ იგი თავის ნაწარმოებისათვის ადვილად იპოვის შესაფერის დრამატულ კონფლიქტებს და კოლოზებს.

ამხანაგი ა. ედანოვი თავის მოხსენებაში ეურანლების „ზევზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ ამბობდა, რომ „საბჭოთა მწერალმა უნდა გვიჩვენოს საბჭოთა ადამიანების მაღალი დონისზე, გვიჩვენოს ჩვენი ხალხი არამარტო დღევანდელი ვითარებაში, არამედ განსწარტროს ხვალისდელი დღეც, პროგნოტიკრივით გაანათოს მომავალი გზა“, ასეთია ყოველი საბჭოთა მწერლის ამოცანა.

საბჭოთა მწერალი თავისი კალმით აქტიურად უნდა ებრძოდეს კაპიტალიზმის გავლენასთან, რომლებიც სხვადასხვა სახით გვევლინება ცხოვრებაში, უნდა ამბილებდეს და გმობდეს ჩამორჩენილი ადამიანების შინაგან უსუსურობას, რამაც არ უნდა გამოიხატებოდეს ეს უსუსურობა; იქნება ეს ყოველივე სახლისადმი შიში, თეთიკმაყოფილების გრძნობა, ბაქიობა, ყოყოჩნობა, ეწროს საქმისნობა და კარიკიზმი თუ სხვა მოკედენები. ჩვენმა მწერალმა უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ იმარჯუებს ყოველივე ახალი და მოწინავე დრომომკმულისა და დახასეხბულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამით საბჭოთა მწერალი შეასრულებს თავის საპატიო დანიშნულებას როგორც ადამიანის სულის ინტენერი“.

ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად ჩვენი მწერლები არამარტო იდებრად უნდა იყვენენ შეიარაღებულნი, არამედ სრულყოფილად უნდა ფლობდენენ მხატვრულ ოსტატობას.

საბჭოთა ადამიანის მხატვრული გემოვნება და ესთეტიკური მოთხოვნები დიდად გაიზარდა და ამაღლდა. მწერლის მოვალეობაა, კიდევ უფრო ამაღლოს და განავითაროს ჩვენი ხალხის გემოვნება, გაამდიდროს მისი ცნობიერება ახალი იდეებით, ამას მოითხოვს ჩვენგან კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ინტენესები. თუკი მწერალი ჩამორჩება ჩვენი ხალხის გემოვნების დონეს, თუკი ის ვერ აკმაყოფილებს მის გაზრდილ ესთეტიკურ მოთხოვნილებას, თუ მისი ნაწარმოები სუკეტერად, კომპოზიციურად შევრელი არ არის და ბუნდოვანია

ასეთი ნაწარმოები ვერ დაგვხმარება ცხოვრების აქტუალური საკითხების გადაწყვეტის საქმეში და კანონიერ უწყაოფიდლებას გამოიწვევს მკითხველში.

თელი რიგი სცენარების არსებითი ნაკლი ისაა, რომ მათ ახასიათებთ კომპოზიციური გაფანტულობა, მძაფრი ღრამატული კონფლიქტების უქონლობა, სუბეტრიის სისუსტე, უფარული დილოგები. ამის შედეგია, რომ სცენარის იდეური სინაარსი, რომელიც შეიძლება მეტად მიმწვანლოვანი და აქტუალურიც იყოს, გაღარბებული და დაქინებული ჩანს, და იგი გამოუსადეგარი ხდება კინოფილმის შესაქმნელად.

სცენარი უნდა იყოს დინამიური, კმედიით; სცენარის მამირავებელ ძალას წარმოადგენს ღრამატურგიული კონფლიქტი. სწორედ ეს კონფლიქტი ანიჭებს სცენარს სიცოცხლეს, დინამიურობას და ვანეთობას. რამდენადაც უფრო მძაფრად ვითარდება კონფლიქტი ფილმში, მით უფრო დაძაბული უვრადლებით და ინტერესით უფურებენ მას.

თუ ლიტერატურული სცენარი ვეღა ამ მოთხოვნებს ასეყოფილებს. ვ. ი. თუ ის წარმოადგენს ჰალაღდურ მხატვრულ ნაწარმოებს, მით უფრო ადვილი იქნება მისი ვრანონაცია და ავტორის გაზრებისა და ნაწარმოების იდეური სინაარსის ზუსტი გადმოცემა.

იმ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად, რომლებიც დვანან საბჭოთა კინოდრამატურგიის წინაშე დიდი მნიშვნელობა აქვს სასცენარო საქმის ორგანიზაციულ მხარეს.

პირველყოფილია უნდა აღინიშნოს ინსტანციების სიმრავლე გაშალბებული სცენარების განილვისა და დამტკიცების დროს. ეს საკითხი ჩვენთვის ახალი არ არის, მასზე ბევრი თქმულია; ბევრი დწერილია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ინსტაციებს რაკტები წლითწლობით მატულობს. საქმარისა ითქვას, რომ რესპუბლიკური სტუდიების მიერ დაშალბებული სცენარები საბოლოო დამტკიცებამდე, სულ მცირე 3-9 ინსტანციას გაივლის.

ინსტანციების სიმრავლე მეტად ახანგრძლივებს და ავიანურებს დამტკიცების პროცესს, ამის შედეგია სცენარების დაუსრულებელი გადაკეთება და, უმეტეს შემთხვევაში, მათი ხარისხის გაუარესება. საჭიროა ასეთი ინსტანციების მაქსიმალური შემცირება.

საუ. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებაში კინოფილმ დიდი ცხვირების შესახებ პარტია მიუთითებს, რომ ჩვენი კინოდრამატორების მთავარი ნაკლი ის არის, რომ ისინი არ სწავლობენ იმ საქმეს, რომელსაც ხელს ჰკიდებენ. პარტიის ეს მოითობა მწერლებისთან მოითხოვს ჩვენი სინამდვილის დრმა და ყოველმხრივ შესწავლას, ზოლო

კინორგანიზაციები, თავის მხრივ, ვალდებული არიან შეუქმნან მწერლებს ყოველგვარი პირობის წარმატებით შემოქმედებით შემოიბისათვის.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მწერლებთან კავშირში ჩამოყალიბდა სპეციალური კინოკომისია, რომელსაც ფართოდ უნდა გაეშალა მუშაობა მწერალთა საზოგადოებრიობის კინოში ჩამბისა და კინოდრამატურგიის მტკიცებულის საკითხების მოსაგვარებლად, მაგრამ ამ კომისიის ორი წლის განმავლობაში თითქმის არაფერი გაუკეთებია. კინოკომისიის უპირველეს მოვალეობას კი შეადგენს მწერალთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა სცენარების შექმნის საქმეში.

ერთხელ და საბოლოოდ უნდა მოგვარდეს სცენარების ბეჭდვის საქმე. მასობრივი ტირაჟით უნდა იბეჭდებოდეს სცენარები როგორც დადგმული ფილმებისა, აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც ჯერ კიდევ წარმოებაში ჩამვებული არ არის. სცენარებში უნდა მოიპოვონ ბეჭდვის უფლება. ეს გარემოება ამაღლებს სცენარის ავტორის მასუბისმგებლობას და სტიმულს მის ცეშს მას უფრო გულმოდგინედ იმუშაოს კინოდრამატურგიაში. სცენარების ბეჭდვა მიზანშეწონილია აგრეთვე კინოდრამატურგიის პოპულარიზაციისა და ახალი კინოდრამატურგების გამოვლინებისა თუ წახალისების თვალსაზრისით.

ამხანაგი კ. ნ. ჩარკიანი თავის ხანვარიშო მოხსენებაში მე-14 პარტკრილობაზე ხაზგასმით აღნიშნავდა ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენილობას, იგი ამბობდა: „უნდა ამაღლებო მნიშვნელობა ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკისა, რომელიც აქვე უნდა ითქვას, ჯერ კიდევ ჩვენი ლიტერატურის ჩამორჩენილი უბანია“.

კიდევ უფრო ჩამორჩენილია ქართული კინოკრიტიკა. სწირად იგი არ არის პრინციპული და მიტოვია, რომ შემოქმედებით დაძაბვას არ უწყეს ჩვენს კინოდრამატურგებს, უმართებელი ქებით მათს დეზორიენტაციას ახდენს.

ჩვენი კინორეცენზიების უმრავლესობა სტანდარტულ ქარგაზეა აგებული. რეცენზიაში ხაზგასმით აღვლილი ფილმის სინაარსის გადმოცემა უკავია. თითქმის ყოველ რეცენზენტს, მიუხედავად იმისა, თუ რამელ ფილმს არჩევს, საუბრებულად მიანიია კინოსტუდიის „მორიგ მარჯვებად“, „მნიშვნელოვან შენაქნებად“, „რეცენზიის შემოქმედებით ზრდად“ ჩათვალს სარეცენზიო ფილმი.

ამ ვალდარბებული და ზოგადი ფორმულირების გარდა, რეცენზიებში ნაკლებად გვხვდება ფილმის იდეურობისა და მხატვრულობის დრმა და კონკრეტული შეფასება.

ჩვენს ხალხს უფერს კინო, ყურადღებით და გულსხმიერებით თვალყურს ადევნებს მის განვითარებას, უხარია მისი წარმატება და, ამავდროს, სულ უფრო და უფრო მაღალ მოთხოვნილებებს უყენებს მას, თვით საუკეთესო ფილმებშიც კი, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავდა გაზეთი „პრავედა“, ჩვენი კინომაყურებელი ამჩნევს მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რომელთა გამოსწორება მხატვრული ოსტატობის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანდა კინობელოვების ამ ნაწარმოებებს.

საბჭოთა ხალხი მოითხოვს ჩვენგან შექმნათ ღრმა შინაარსიანი, სტალინური ეპოქის დიადი საჭმეების შესაფერიანი მაღალი იდეურ-მხატვრული ღირსების ფილმები.

ხუთი წლის წინათ ქართველი ხალხის სანამყო შვილი, დიდი ბელადის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ლ. ჰ. შერვაშიძის სტალინის სარჩვენო ოლქის სამხრეთ-დასავლეთის სარეზონანსაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მოუწოდებდა ქართველ ინტელიგენციას და, მათ შორის, ბელოვანების მუშაეებს თავიანთ შემოქმედებაში ასახონ სტალინური ეპოქის დიადი საჭმეები.

ქართული კინობელოვების მუშაეები კვლავ დაუღალავად იმუშაებენ თავიანთი ოსტატობის გაუმჯობესებისათვის, გაბედულად შეიკრებიან კინობელოვების ახალ სფეროებში და შექმნიან მაღალიდევრ მხატვრულ ფილმებს, რომლებიც ღირსეულად ასახავენ სტალინური ეპოქის დიად საჭმეებს.

## მილიტარიზმი და მუშათა კლასის გაღავაჯების ზრდა კავშირისგარე ქვეყნებში



მუშათა კლასის აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკება კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების კანონს წარმოადგენს. ვ. ლენინი წერს: „მუშაღატაკდება აბსოლუტურად, ე. ი. პერდაპირ წინანდელზე უფრო ღარიბი ხდება, იძულებულია იცხოვროს უარესად, იკვებოს უფრო ღარიბულად, უფრო იშიშვლოს, ეძებოს თავშესაფარი სარდაფებსა და ჩარდახებში... მუშათა შეფარდებითი წილი კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც სწრაფად მდიდრდება, სულ უფრო ხალები ხდება, ვინაიდან სულ უფრო სწრაფად მდიდრდებიან მილიონერები“<sup>1</sup>.

იმპერიალიზმის ეპოქაში, განსაკუთრებით კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ხანაში, მუშათა კლასის გაღატაკება ძლიერ იზრდება და მწვავედება. მონოპოლისტური კაპიტალი აძლიერებს ექსპლოატაციას, ინარჩუნებს ძალიან ფასებს საქონელზე და კიდევ უფრო ჩაგრავს მშრომელებს. „კაპიტალიზმის განვითარების გზა არის გზა მშრომელთა უდიდესი უმრავლესობის გაღატაკებისა და ნახევრადმშობი არსებობისა, როცა ამ მშრომელთა უმნიშვნელო ზედაფენა მოსყიდულია და ნასუფრალოთ იკვებება“<sup>2</sup>.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ალერსანსილი მილიტარიზმის პირობებში, მსოფლიო კაპიტალიზმი გაძლიერებულ შეტევას აწარმოებს მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობებზე, დიდდება ფასები მოხმარების საგნებზე, მკვეთრად ეცემა მუშათა ისედაც დაბალი ხელფასის მყიდველობითი ძალა. მილიტარიზმის გაძლიერება ზრდის გაღასახადებს. მილიონობით მშრომელნი შიშვითობენ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ამხანაგი ი. სტალინი მიუთითებს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში „შეიარაღებული ძალების გამრავლება და გამაღებელი შეიარაღება იწვევს სამხედრო მრეწველობის გაფართოებას, სამოქალაქო მრეწველობის შემცირებას, დიდი სამოქალაქო მშენებლობათა შეჩერებას, გადასახადების გადიდებას, მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების გადიდებას“<sup>3</sup>.

მონოპოლისტების მიერ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის სამხედრო ყაიდზე გადაყვანის პირობებშიაც კი უმუშევრობა იზრდება. 1950 წელს უმუშევართა და ნაწილობრივ უმუშევართა რაოდენობამ მთელს კაპიტალისტურ სამყაროში 45 მილიონს მიიწია, ოჯახის წევრებთან ერთად კი— 150 მილიონს.

მეორე მსოფლიო ომში, რომელიც წარმოადგენდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამოხატულებას, კიდევ უფრო გაამწვავა ეს კრახისი. ომის შედეგად კაპიტალისტურ სისტემას ჩამოცილდა მთელი რიგი ქვეყნები. დამებტრულად მოწინააღმდეგე ორ სისტემას შორის შეიცვალა ძალთა თანაფარდობა. სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები გაიზარდნენ, კაპიტალიზმის ძალები კი დასუსტდნენ.

დღეს საერთაშორისო იმპერიალიზმი, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა მეთაურობით, გამაღებულ შეიარაღებას ეწევა ახალი ომის გასაჩაღებლად, სოციალიზმისა და დემოკრატიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მაგრამ იმპერიალისტები ახალი ომის გაჩაღებით კაპიტალიზმს დაღუპვისაგან

<sup>1</sup> ვ. ლენინი, *Соч.* том XVIII, ст. 405—406, მუთხე რუსული გამოცემა.

<sup>2</sup> ი. სტალინი, *თხზ.* ტ. 7, გვ. 106.

<sup>3</sup> ი. სტალინი, *საუბარი აპრადის* კორესპონდენტთან, სახელგამი, 1951 წ., გვ. 5.

ერ იხსნიან. „განა შეიძლება რაიმე ეკვივანტენტობა, რომ თუ იმპერიალისტები ძესამე მსოფლიო ომს გააჩაღებენ, ეს ომე სამარე იქნება უკვე არა ცალკეული კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის, არამედ მთელი მსოფლიო კაპიტალიზმისათვის“<sup>1</sup>.

ვ. ლენინი თავის სტატიაში „წერილი ამერიკელ მუშებისადმი“ წერდა: „ამერიკა ... ერთ-ერთი პირველი ქვეყანა გახდა იმ უფსკრულის სიღრმით, რომელიც არის, ერთი მხრივ, გათავებულბულ, გარყვნილებასა და ფუფუნებაში ჩაფლულ მილიარდერებისა და, მეორე მხრივ, მილიონებში მშრომელთა შორის, რომელნიც მუდამ სილატაკის პირას იმყოფებიან“<sup>2</sup>. ლენინის ეს დებულება თანამედროვე ამერიკის შესანიშნავი დახასიათებაა.

ამერიკელმა მონოპოლისტებმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დიდი მოგება მიიღეს. 1940 წლიდან 1945 წლამდე ამერიკის შეერთებული შტატების სააქციონერო საზოგადოებათა წინინდა მოგება შეადგენდა 53 მილიარდ დოლარს. ომის შემდეგ გაცხოველებულ სავაჭარო მზადებასა და ამერიკის იმპერიალისტთა მიერ კორეაში დანაშაულებრივი ომის გაჩაღებასთან ერთად, მონოპოლიური მოგება ძლიერ გადიდდა. თუ 1946 წელს წმინდა მონოპოლიური მოგება შეადგენდა 13,9 მილიარდ დოლარს, 1950 წელს იგი 23,2 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

კაპიტალის ერთი მუჟა მანგატები მორგანები, როკფელერები, მელონები, დიუბონები, კუნ-ლებოვები, ფორდები, პარიმანები—ბატონობენ ამერიკაში. ამერიკელ მონოპოლიტიკოსების ხელშია ქვეყნის ძირითადი ეკონომიური ბერკეტები.

ა. როჩესტერი თავის წიგნში — „ვინ მართავს თანამედროვე ამერიკას“ აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატების მონახლეობის 13 პროცენტი ფლობს ქვეყნის სიმდიდრის 92 პროცენტს, მოსა-

ხლეობის ერთი პროცენტი კი — 59 პროცენტს. მოსახლეობის უდიდესი მასა — 87 პროცენტი ფლობს ქვეყნის სიმდიდრის მხოლოდ 8 პროცენტს. [მხვეწრად, მშრომელი ხალხის მიერ შექმნილი სიმდიდრის უდიდესი ნაწილის მფლობელია ერთი მუჟა კაპიტალისტები.

კაპიტალისტთა მოგების გადიდებასთან ერთად იზრდება მათი პარაზიტულობა, ისინი მთლად ეფლობიან ფუჟსავატური ცხოვრების ქაობში. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ ამერიკელ კაპიტალისტთა ოჯახებში განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან ძალღს, კატას, მაიმუნებს; მათი მოვლისათვის მილიონებს იხარჯება; ძალღებს უმართავენ ბანკეტებს, უწყობენ სასაფლაოებს, უგებენ ძეგლებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელთა გაღატაკება ყოველწლიურად იზრდება. ბუშათა კლასის ხელდასის დონე მათხოვრულია. მისი რეალური ხელღასი პერმანენტულ შემცირების განიცდის. მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშის საშუალო შემოსავალი შეადგენდა საცხოვრებელი მინიმუმის მხოლოდ 40 — 60 პროცენტს. ომის პერიოდში და ომის შემდგომ მუშათა რეალური შემოსავალი მკვეთრად შემცირდა. 1944 წელს თუ ასად ავიღებთ, მაშინ მუშათა რეალური შემოსავალი 1947—1948 წლებში შეადგენდა 77 პროცენტს, 1949 წელს — 72% ა აღნიშნული წლის მიმართ. ომის შემდგომ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების ოჯახების 70 პროცენტს არ გააჩნია საცხოვრებელი მინიმუმი.

კორეაში საომარი ოპერაციების დაწყებიდან საცვები პროდუქტების საბითუმო ღასები ამერიკაში 30 პროცენტით გაიზარდა. ფასები შეუწყვეტილ იზრდებოდა აგრეთვე სამრეწულო საქონელზე. ცხოვრების ღირებულება ამერიკის შეერთებული შტატებში 160 პროცენტით გაიზარდა.

უკანასკნელ პერიოდში ამერიკულ გაზეთებში ხშირად შეხედებით კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ შემზარავ მაგალითებს მშრომელთა ყოფაცხოვრებიდან. გაზეთი „ნიუ-იორკ ჯორნალ ენდ ამერიკენი“ აჩვენებს, რომ მშრომელები ჰყიდიან შიღებს, რათა ამ გზით იხსნან ისინი შიმშილისაგან. ამერიკის მოქალაქე სენსირმა, ერთ-

<sup>1</sup> ვ. ლენინი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXII წლისთავი.

<sup>2</sup> ვ. ლენინი, Соч. XXIII, стр. 178 — 179. შესამე რუსული გამოცემა.



ერთ განეთში განაცხადა, რომ იგი ჰყი-  
ლის თავის თვალს, რათა ბავშვებს სა-  
ზრდო უშოვოს. შოფერი ფრთხილნიდა  
ნას შტატადან ჰყიდის თვალს, რომ მი-  
ღებულ იფულოთ უმკურნალოს ავად-  
მყოფ ცოლს. მშრომელთა აუტანელი  
საყოფაცხოვრებო პირობების გამო  
ამერიკაში წმირია თვითმკვლელობა;  
იზრდება დანაშაულებანი.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის და-  
მახასიათებელი მოვლენაა მილიონობით  
უმუშევართა მუღმივი არმიის არსებო-  
ბა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამე-  
რიკაში მთელი ძალით გამოვლინდა  
ქრონიკული უმუშევრობა. 1946 — 1947  
წლებში უმუშევართა რაოდენობა შეა-  
დგენდა 2 მილიონზე მეტს. 1950 წელს  
უმუშევართა და ნახევარ უმუშევართა  
რაოდენობამ მიაღწია 18 მილიონს.

ამხანაგი სტალინი, ახასიათებს რა  
უმუშევართა ბედს კაპიტალისტურ ქვე-  
ყნებში, წერს: „უმუშევრებს არ აძლე-  
ვენ საქმელს, რადგან მათ არ შეუძლიათ  
გადაინადონ ამ საქმლის დამპლ ნარჩენებს,  
აძლევენ თავშესაფარს, რადგან მათ არ  
შეუძლიათ ბინის ქირის გადახდა. რო-  
გორ ან სად ცხოვრობენ ისინი? ისინი  
ცხოვრობენ ბატონის უბადრუკ ნასუფ-  
რალით, ქეკევერ სანაგვე ყუთებს, სადაც  
პოულობენ საქმლის დამპლ ნარჩენებს,  
ცხოვრობენ დიდი ქალაქების ჯურღმუ-  
ლებში, უფრო კი ქალაქგარეთ უმუშევ-  
რების მიერ ყუთის ფიცრებისა და ხის  
ქერქისაგან სახელდახელოდ აგებულ  
ქობახებში“<sup>1</sup>.

ამერიკის მუშათა კლასი დატადება  
არა მხოლოდ აბსოლუტურად, არამედ  
აგრეთვე შეფარდებითაც. როგორც ყვე-  
ლა კაპიტალისტურ ქვეყანაში, ამერიკის  
შეერთებულ შტატებშიც ნაციონალური  
შემოსავალი ნაწილდება კაპიტალისტე-  
ბის სასარგებლოდ. მათი წილი ნაციო-  
ნალურ შემოსავალში დღითიდღე იზრ-  
დება, ხოლო მუშათა შეფარდებითი წი-  
ლი განუწყვეტლივ მცირდება. 1949  
წლისათვის ამერიკის შეერთებული  
შტატების სამრეწველო სწარმოთა  
მუშების წილი ნაციონალურ შემოსა-  
ვალში შეადგენდა მხოლოდ 19,1 პრო-  
ცენტს.

მონოპოლიები ახალი ომის გამჩაღე-  
ბლები, ხალხთა თავისუფლების, სოცია-

ლიზმის და დემოკრატიის მტრები. მუ-  
შათა შრომით შექმნილი სიმღღღის მი-  
მთვისებელ მილიარდერ დემოკრატიურ  
კაპიტალისტებს ომი ესაჭმრებოდათ  
მოგების მისაღებად. ისინი ომს „უტკე-  
რიან, როგორც შემოსავლიან საქმეს,  
რაც კოლოსალურ მოგებას იძლევა“. ამიტომ  
გასაკვირი არ არის, თუ რატომ  
ეწევიან აშშ იმპერიალისტები ვაცხოვე-  
ლებელ მზადებას ომისათვის.

ამერიკელი იმპერიალისტები ახალი,  
მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებით ფიქ-  
რობენ მსოფლიო ბატონობის მოპოვე-  
ბას ამის გამო ამერიკის შეერთებულ  
შტატებში მილიტარიზაციამ ჯერ კიდევ  
უნახავ ღონეს მიაღწია. პირდაპირი სამ-  
ხედრო ხარჯები 1938 — 1939 საბიუ-  
ჯეტო წელს შეადგენდა 1,07 მილიარდ  
დოლარს, 1947—48 წწ. 10,9 მილიარდს  
და 1950 — 51 საბიუჯეტო წელს სამხე-  
დრო საჭიროებისათვის უნდა დახარ-  
ჯულიყო 54 მილიარდ დოლარზე მეტი;  
პირდაპირი და არა პირდაპირი სამხედ-  
რო ხარჯები კი ერთად აღებული 67,8  
მილიარდი დოლარი. ტრუმენის მთავ-  
რობამ კონგრესს წარუდგინა ბიუჯეტი,  
საიდანაც ჩანდა, რომ სამხედრო საჭი-  
როებისათვის განსაზღვრული იქნა მიუ-  
ღლი ხარჯების თითქმის 87 პროცენ-  
ტი. ორი აზრი არ შეიძლება არსებობ-  
დეს: ამერიკის შეერთებული  
შტატების ბიუჯეტი სამ-  
ხედრო ბიუჯეტი ია.

იმპერიალისტების მზადება ახალი ომის  
გაჩაღებისათვის მოსახლეობის ხარჯზე  
წარმოებს. ამერიკის შეერთებული შტა-  
ტების საერთო სახელმწიფოებრივი გა-  
დასახადები 1950 წელს შეადგენდა  
55 მილიარდ დოლარს, ე. ი. ექვსჯერ  
უფრო მეტს, ვიდრე 1941 წელს იყო.  
უკანასკნელ პერიოდში გადასახადები  
შეადგენდა 65 მილიარდ დოლარს. გან-  
ზარაზულია მისი გადიდება 75 — 80 მი-  
ლიარდ დოლარამდე. ეს იმას ნიშნავს,  
რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში  
ერთმა ოჯახმა წლის განმავლობაში  
2.000 დოლარი გადაიხადოს. ქვეყნის  
ეკონომიკის სამხედრო ყაიდაზე გადაყ-  
ვანა მოასწავებს მშრომელთა კიდევ  
უფრო ვალატაქებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში  
დღითიდღე უარესდება მუშათა საყო-  
ფაცხოვრებო პირობები. მიუხედავად  
იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის  
ღროს ამერიკის შეერთებულ შტატებში

<sup>1</sup> ი. სტალინი, „ლენინის ხსენებით“, გვ. 592, მე-10 გამოც.

მოწინააღმდეგის არცერთი ყუმბარა არ ჩამოვარდნილა, ოფიციალური ცნობით, მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი ანუ 40 მილიონი ადამიანი ჯურღმულე-ბში ცხოვრობს. ნიუიორკში 500 ათასი ოჯახი ცხოვრობს ნესტიან ბინებში, ხოლო 260 ათას ოჯახს სრულებით არ აქვს ბინა. ამვე დროს მუშები ამ უკუარგის ბინების ქირად იხდიან თავიანთი შემოსავლის 24—40 პროცენტს. შიმშილი და სიღატაკე, აუტანელი საყოფაცხოვრებო პირობები, მხეცური ექსპლოატაცია აღიძვებს ავადმყოფობასა და სიკვდილიანობას. მოგებით გატაცებული კაპიტალისტები ილაშქრებენ მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, საბინაო მშენებლობის და სხვა ამგვარი ხარჯების წინააღმდეგ. მაგალითად, ამერიკის სავაჭრო პალატამ მოითხოვა, რომ გამორიცხულ იქნეს ბიუჯეტიდან ისედაც შემციირებული თანხა — 1,6 მილიარდი დოლარი, განკუთვნილი ჯანმრთელობის დაკვირვების, 1,1 მილიარდი დოლარი საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის და 300 მილიონი დოლარი საბინაო მშენებლობისათვის.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არ შეუძლია აწარმოოს სერიოზული ომი, თუ მან წინასწარ არ განამტკიცა თავისი საკუთარი ზურგი, თუ არ ალაგმა „თავისი“ მუშები, თუ არ ალაგმა „თავისი“ კოლონიები. აქედან გამომდინარეობს ბურჟუაზიულ მთავრობათა პოლიტიკის თანდათანობითი ფაშიზაცია“<sup>1</sup>. ტრუმენის მთავრობა, რომელიც მიდის ომისა და აგრესიის გზით, ახდენს ქვეყნის ყოველმხრივ ფაშიზაციას.

მუშათა კლასის საყოფაცხოვრებო და უფლებრივი მდგომარეობის შეუჩერებელი შევიწროება იწვევს კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებას. მუშათა საგაფიცო მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუ ომის წინა—1935—1939 წლებში ამერიკაში მოხდა 14.311 გაფიცვა, რომლებშიაც მონაწილეობდა 5,6 მილიონი მუშა, 1941—1950 წლებში გაფიცვებში მონაწილეობასღებულობდა 25 მილიონზე მეტი მუშა. მხოლოდ 1949 წლის პირველ ათ თვეში მოხდა 3 ათასი გაფიცვა, რომლებშიაც მონაწილეობდა 3 მილიონზე მეტი მუშა.

მიუხედავად მთავრობის მიერ ტრუმენ-ხარტლის კანონის გამოყენებისა, მუშათა გაფიცვები ძლიერდნენ. წინააღმდეგობანი ამერკულ უმუშე-რიალისტებსა და ხალხთა მასებს შორის უაღრესად მწვევადება. იმპერი-ლისტთა გეგმები აუცილებლად ჩაიშლება. მომავალი ამერიკის მუშათა კლასსა და ქვეყნის პროგრესულ ძა-ლებს ეკუთვნის.



მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებისა და მსოფლიო ბატონობის მოპოვების იმპერიალისტურ მისწრაფებათა ერთი-ანი ჯაჭვის რგოლებია: „ტრუმენის დოქტრინა“, „მარშალის გეგმა“ ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის შექმნა და სხვ. „მარშალის გეგმის“ საშუალებით ამერიკის იმპერიალისტები კარნახობენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს თავიანთ ნება-სურველს, ერევიან მათ საშინაო საქმეებში. „მარშალის გეგმა“ არის არა დახმარება, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნების დამონების, მათთვის ნაციონალური დამოუკიდებლობის წართმევის გეგმა, ამ ქვეყნების აგრესიულ ბლოკში ჩაბმის საშუალება—დემოკრატიისა და სოციალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ვაშინგტონის რეაქციული პოლიტიკის კარნახით, ყველა მარშალიზებული ქვეყანა თავის ეკონომიკას აწყობს საომარ ყაიდზე. ამას თან ახლავს საარსებო საშუალებათა წარმოების შემციირება და მშრომელი მასების შემდგომი გალატაკება.

ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. ოფიციალური ცნობით ინგლისის მუშათა რეალური ხელფასი 1938 წლიდან 1948 წლამდე 25 პროცენტით დაეცა. შემციირება ახლაც შეუჩერებლად გრძელდება.

ინგლისში მოხმარების საგნებზე ფასების შეუჩერებელი გადიდების შესახებ მიუთითებს შემდეგი მონაცემები: 1951 წლის იანვარში ფართომოხმარების საგნებზე ფასები საშუალოდ გაიზარდა 14 პროცენტით; 22 თებერვალს ქალების და ბავშვების ტანსაცმელზე ფასები გაიზარდა 10 პროცენტით; 27 თებერვალს კვლავ გადიდდა ფასები მთელ რიგ საქონელზე. გახვთ „დეილი

ტელეგრაფ ენდ მორნიგ პოსტის“ ცნობით, ფასები თეთრეულზე და სხვა სამრეწველო საქონელზე გასულ შემოდგომასთან შედარებით — უკანასკნელ პერიოდისათვის გაიზარდა 20 — 30 პროცენტით. გაჰვირდა აგრეთვე ქვა-ნახშირი, გაიზარდა გადასახადები ელექტრონისა და გაზის სარგებლობისათვის. ამჟამად ინგლისელ მუშათა დიდი უმრავლესობის შემოსავალი საცხოვრებელ მინიმუმის მხოლოდ 42—57 პროცენტს შეადგენს.

ინგლისის ლეიბორისტულმა მთავრობამ არა თუ მოხსნა ომის პერიოდში შემოღებული პროდუქტების მიღების ნორმირებული წესი, არამედ კიდევ უფრო გააფართოვა იგი. ინგლისის მუშათა კლასი ძირითად პროდუქტებს ნორმირების წესით დებულობს. ამასთან, ეს ნორმები სისტემატურ შემცირებას განიცდის. ხორცის ნორმა 1947 წელს შეამცირეს და 350 გრამით განსაზღვრეს კვირაში ერთ სულზე. 1951 წელს ხორცის რაციონი კვირაში ერთ კაცზე 100 გრამამდე შემცირდა.

ლეიბორისტული მთავრობა 1948 წელს „თეთრ წიგნში“ პირდაპირ აღნიშნავდა, ინგლისის მოსახლეობის მომარაგების ნორმები მომავალი ხუთი წლის განმავლობაში კიდევ უფრო შემცირდება.

ინგლისის მუშათა კლასის დიდი ნაწილი იხოვრობს სარდაფებსა და ნესტიან ბინებში, ნაწილს კი სრულებით არა აქვს ბინა. ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების გამო ხშირია ავადმყოფობა, განსაკუთრებით ტუბერკულოზით დაავადება. ამივე დროს განოწყვიტლივ იარკისობა მშრომელთა სამედიცინო მომსახურებას მსხვილ სამრეწველო ცენტრებში ათასობით პლექიანი ადამიანები ელოდებიან საწოლებს საავადმყოფოებში.

ინგლისის მთავრობა გადასახადების გადითვისის მიშეგობით ზრდის სამხედრო ხარჯებს მილიტარიზმის შედეგად. რასაც თან სდის მოხმარების საგნებზე ფასების განუწყვიტელი ზრდა, რეალური ხელფასის შემცირება და მთავრობის მიერ ნომინალური ხელფასის „გაყინვის“ პოლიტიკის დატინებითი გატარება. მუშათა კლასის დაღობაყვებამ ინგლისში არნახოლო დონეს მიაღწია.

ამავე დროს მონოპოლისტები აპოიერებენ შრომის ინტენსივობას, მონოპოლურ ფასებში ყიდიან საქონელს და

ზრდიან თავიანთ მოგებას. ინგლისულმა მონოპოლისტებმა 1948 წელს მიიღეს მოგებად საოციკორლო თანხა 15.2922 მილიონი ფუნტი სტერლინგი. იმპერიარდის უნივერსიტეტის სტატისტიკის ინსტიტუტის ცნობით მონოპოლისტთა მოგება 1950 წელს — წინა წელთან შედარებით 29 პროცენტით გაიზარდა. მონოპოლიური მოგების ზრდასთან ერთად მუშათა კლასის შეფარდებითი წილი ნაციონალურ შემოსავალში კიდევ უფრო შემცირდა.

ყოველივე ამის შედეგად კიდევ უფრო ღრმავდება და მწკავდება წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ინგლისის მუშათა კლასის და ხალხთა მსგებობის ბრძოლა იმპერიალიზმითა ავანჟური პოლიტიკის წინააღმდეგ უფრო და უფრო ძლიერდება.

მარშალიზებულ საფრანგეთში გაძლიერებულ ინფლიაციისა და უზარმაზარი თანხების სამხედრო საქიროები-სათვის ხარჯვის გამო მეტად გაუარესდა მუშათა კლასის მდგომარეობა. ფასების გასაოტარმა ზრდამ მკვეთრად დასწია რეალური ხელფასი. 1938 წელთან შედარებით 1949 წელს ფასები იყო: ტანსაცმელზე 20-ჯერ, ფისაცემელებზე და ოჯახურ მოწყობილობაზე 15-ჯერ და საკვებ პროდუქტებზე 15—18-ჯერ მეტი. 1948 წელთან შედარებით 1951 წელს ფასები გაიზარდა: ტანსაცმელზე 150 პროცენტით, თევზზე—130, ყველზე — 124, პურზე კი ერთნახევარჯერ. ფრანგი მუშის მსყიდველობათი უნარი ამჟამად შეადგენს ომამდელ დონის 41 პროცენტს.

სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა იმპერიალიზმითა ბატონობის და მილიტარიზმის პირობებში. ქვეყნის ეკონომიკის სამხედრო რელსებზე გადაყენამ და კოლონიური ომის წარმოებამ კოლოსალურად გაზარდეს სამხედრო ხარჯები. ომის ხუთი წლის განმავლობაში საფრანგეთის სამხედრო ხარჯებმა მიაღწიეს ერთ ნახევარ ტრილიონ ფრანკს. სახელმწიფო ხარჯები 1950 წელს შეადგენდა 2.242 მილიარდ ფრანკს; 1951 წელს ეს ხარჯები 2.615 მილიარდ ფრანკამდე გადიდა. პირდაპირი და არა პირდაპირი სამხედრო ხარჯები ბიუჯეტის საგასალოო ნაწილის ნახევარზე მეტს შეადგენია. ეს უზარმაზარი თანხა აღებული იქნა არა ფრანგი კაპიტალისტების ჯიბიდან, რომელთაც ვკუთენით

მთელი ნაციონალური შემოსავლის ნახევარზე მეტი, არამედ საფრანგეთის მშრომელუბისაგან, მათი გაძლიერებული ექსპლოატაციის გზით. საფრანგეთის ნაციონალურ შემოსავალში, რომელშიც წლითიწლობით იზრდება კაპიტალისტთა წილი და ეცემა მუშათა კლასის შეფარდებითი წილი, ძლიერ გადიდდა გადასახადები მოსახლეობიდან. ამჟამად ეს გადასახადები შეადგენს შემოსავლის ერთ მესამედს.

კაპიტალიზმის დამცველ ლაქიებს — მემარჯვენე ფრანგ სოციალისტებსა და მითარობის მმართველ წრეებს, რომელიც ამერიკელი ბატონების კარნახით მოქმედებენ, ქვეყანა კატასტროფისაკენ მიჰყავთ. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გააჩაღონ მესამე მსოფლიო ომი. მათი აგრესიული პოლიტიკის ნათელი გამოხატულებაა ომი ვიეტნამში ხალხის წინააღმდეგ, ხალხისა, რომელიც იარაღით ხელში იცავს თავის დამოუკიდებლობას. აგრესიის და ომის პოლიტიკა არის მშრომელთა ჩაგვრის პოლიტიკა.

ფრანგი რევოლუციური მუშათა კლასი, მისი ავანგარდის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სასტიკ წინააღმდეგობას უწევს იმპერიალისტთა პოლიტიკას. იგი მუდგრად იზრძვის საფრანგეთის ნაციონალური დამოუკიდებლობისა, მტკიცე მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

მშრომელი მასების საარსებო ინტერესების წინააღმდეგ სასტიკი შეტევა წარმოებს აგრეთვე იტალიაში, ესპანეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. „მარშალის გეგმის“ მიღებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზარდა იტალიის მშრომელთა სიღატაკე. თუ ომამდე იტალიაში იყო ერთი მილიონი უმუშევარი, ამჟამად უმუშევართა რაოდენობა ოფიციალური ცნობით, 4,4 მილიონამდე ავიდა. იტალიელი მუშის ოჯახის რეალური შემოსავალი საცხოვრებელი მინიმუმის ნახევარზე ნაკლებია.

იტალიის იმპერიალისტები ქმნიან ხალხის საწინააღმდეგო კანონმდებლობას, მაგრამ მშრომელი ხალხი სასტიკ წინააღმდეგობას უწევს მათ.

გერმანიის გაყოფა ორად და დასავლეთ გერმანიის სეპერატული სახელმწიფოს აღმოცენება, რაც ვანზორციელებულია ინგლის-ამერიკის იმპერია-

ლისტების მიერ, წარმოადგენს აქტს, რომელიც მიმართულია გერმანელი ხალხის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ამერიკის იმპერიალისტები — თავიანთი ლაქიების — ხეისის, აღენაუერის და სხვათა დახმარებით ახდენენ დასავლეთ გერმანიის გარდაქმნას სამხედრო — სტრატეგიულ პლაცდარმად დასავლეთ ევროპაში. ამ მისწრაფებით არის გამოწვეული ამერიკელ იმპერიალისტების მიერ დასავლეთ გერმანიის შეყვანა „მარშალის გეგმაში“, რურის ბასინის გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის, მთავარ პიტლერულ დამხმავეთა განთავისუფლება, შეიარაღებული ნაწილების შექმნა და სხვ.

დასავლეთ გერმანიის მშრომელთა საცხოვრებელი დონე კატასტროფულად დაეცა ბიზონის სტატისტიკური სამმართველოს ოფიციალურა ცნობით, 1936 წელთან შედარებით 1949 წლისათვის ფასები პირველი მოხმარების საგნებზე არათუ არ შემცირებულა, არამედ ძლიერ გადიდდა. მაგალითად, პურზე ფასი გაიზარდა 37 პროცენტით, ცხიმზე — 42, მარგარინზე — 36, შაქარზე — 40, ყველზე — 143, კარტოფილზე — 100 საქონლის ხორცზე — 66. რძეზე — 50 პროცენტით და ა. შ. ბონის მითარობის იმპერიალისტური, რევანშისტული ომის პოლიტიკისა და დასავლეთ გერმანიის მარშალიზაციის შედეგად მუშათა რეალური ხელფასი კიდევ უფრო დაეცა. სასურსათო პროდუქტებზე ფასები ომის წინაღობისთან შედარებით გაიზარდა 120—130 პროცენტით. ინფლიაცია და უმუშევრობა დიდ უბედურებად ატყდება თავს მშრომელ მასებს. ამჟამად დასავლეთ გერმანიაში ორ მილიონზე მეტი უმუშევარია.

ამავე დროს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას აჩანაგებს დიდი გადასახადები. 1948—49 წლებში დასავლეთ გერმანიაში გადასახადები შეადგენდა 25,8 მილიარდ მარკას. კოლოსალურია საოკუპაციო ხარჯები, რომლებიც აგრეთვე მშრომელთა მხრებზე გადადის. 1946—1949 წლებში, პირდაპირი და არა პირდაპირი საოკუპაციო ხარჯები შეადგენდა 40,0 მილიარდ მარკას, საოკუპაციო ხარჯები მომავალ სამოუჯგუო წელს 10,7 მილიარდ მარკამდე გაიზარდება, რაც დასავლეთ გერმანიის ნაციონალური შემოსავლის დიდ ნაწილს შეადგენს.



მუშათა გაღატაკების ხარჯზე იზრდება გერმანულ მონოპოლისტთა მოგება და მათი წილი ნაციონალურ შემოსავალში, მუშათა ხელფასის შეფარდებითი წილი კი ქვეყნის ნაციონალურ შემოსავალში 1949 წელს, 1936 წელსთან შედარებით, შემცირდა 14 პროცენტით და, ამგვარად, დაეცა 36 პროცენტამდე.

მიუხედავად სასტიკი დევნისა, დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასი მტკიცედ იბრძვის თავისუფლებისა და ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობის მოყვარე გერმანიის სახელმწიფოს შექმნელად.

კაპიტალისტურ მსოფლიოში, და განსაკუთრებით მის მთავარ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1948 წლის მეორე ნახევრიდან ნათლად გამოჩნდა ეკონომიური კრიზისის ნიშნები. თავიდან რომ აეცილებინათ ეკონომიური კრიზისი და მზარდი რევოლუციური მოძრაობა, იმპერიალისტები შეუდგნენ აგრესიული პოლიტიკის გააქტიურებას. სამხედრო წარმოების გაძლიერებით განვითარებას. ამჟამად, კაპიტალისტური ქვეყნების ცალმხრივი — სამხედრო მიზნებისადმი დამორჩილებული განვითარება — მიმდინარეობს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის უაღრესი გამწვავების პირობებში. მილიტარიზმი და ომი, რაც ძლიერ ამწვავებს კრიზისების ძირითად მიზეზს — წინააღმდეგობას წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის, ვერ იხსნის კაპიტალისტურ ქვეყნებს კრიზისისაგან, რომელიც დამანგრეველი ძალით მოველინება კაპიტალისტურ სამყაროს.

მილიტარიზმის გაძლიერება, რომელსაც თან ახლავს ფინანსური კაპიტალის მიერ აშკარა ტერორისტული, ფაშისტური დიქტატურის დამყარება კაპიტალისტურ ქვეყნებში, ამწვავებს კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობას და ნიღბს ხელს იმპერიალისტებს.

ამერიკის იმპერიალისტებს, მსოფლიო ბატონობის მანიით შეპყრობილთ, არ ელირსებათ თავიანთი აგრესიული მიზნების განხორციელება. სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები, რომელთაც მძლავრი საბჭოთა კავშირი მეთაურობს, აუცილებლად ჩაშლის იმპერიალისტთა გიჟურ გეგმებს.

სოციალისტურმა წყობილებამ საბჭოთა კავშირში ქვეყნის საწარმოო ძალთან განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობანი შექმნა და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მშრომელთა მატერიალურ — კულტურულ კეთილდღეობას.

სოციალისტური წყობილების განვითარების გზა მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობის გზაა. ეს ბრწყინვალედ დაადასტურა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ.

ახალი დემოკრატიის ქვეყნებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მშრომელი მასების კეთილდღეობის ზრდის საქმეში.

საბჭოთა კავშირში მშრომელთა საერთო შემოსავალი წლითწლით იზრდება. მოხმარების საგნებზე ფასების სისტემატური შემცირება, რასაც სოციალისტური სახელმწიფო ანხორციელებს, მაღლა სწევს საბჭოთა მოსახლეობის მყიდველობით უზარიაზნობას, მუშებისა და მოსამსახურეების რეალურ ხელფასს.

ჩვენი სოციალისტური სამშობლო ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ იცავს მშვიდობის პოლიტიკას და წარმატებით ამუშავს კომუნისმს. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი და, აგრეთვე, მშვიდობის დაცვის კანონი, რომელიც მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ, ნათლად მიუთითებენ გამარჯვებულ სოციალიზმის ქვეყნის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკაზე.

ამხანაგი ი. სტალინი „პრავედს“ კორესპონდენტთან საუბარში მიუთითებს, რომ ახალი მსოფლიო ომი ყოველ შემთხვევაში ამჟამად არ შეიძლება გარდუვალად ჩაითვალოს. „მშვიდობა შენარჩუნებული და განმტკიცებული იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას“.

მსოფლიო მუშათა კლასის, მთელი მოწინავე კაცობრიობის დიდი ზეღადის — ამხანაგ სტალინის მოწოდებების საპასუხოდ იზრდება ყველა ქვეყნის ხალხთა მოძრაობა — მტკიცე მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის.



# ბიბლიოგრაფია



## შალვა დადიანი „ჩრდილი წიკილავი“. წიგნი 1.

გამომცემლობა „ხელოვნება“.

შტოვანი ქართული მწერლის, დრამატურგის, მასხობის, რეჟისორის და საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის ჩრდილი წიკილავის პირველი წიგნი მრავალმხრივ საქირო და სასარგებლო წიგნია. მოწინავე ქართული ინტელიგენციის ტრადიციებზე აღზარდილი, თვითონ მომსწრე და მონაწილე იმ დიდი საზოგადოებრივი და განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელიც წარმოება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ავტორი ამასთანავე ძველი თაობის მწერლებიდან ერთი პირველთაგანია, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებითი ენერჯით და პრაქტიკული მუშაობით ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე. დიდი აქტივობის ჩრდილი წიკილავის შემდეგ მისი მოღვაწეობის არც ერთი უფრო გაფართოვდა და მრავალფეროვანი შექმნა. თუ რევილუციამდე იგი მხოლოდ ქართული თეატრისა და მწერლობის მუშაი იყო, რევილუციის შემდეგ ხელოვნების თითქმის ყველა დარგის მშენებლობის აქტიური მონაწილე გახდა.

წიგნში მოქცეული წერილები, მოხსენებები, მოგონებები დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევენ. მათში გამოქვეყნულია ჩვენი უახლოესი წარსულის და დღევანდლობის მწვავე და საჭირობო საკითხები. წიგნისადმი ინტერესს, ცხადია, ის გარემოებაც აძლიერებს, რომ მისი დამწერი მთელი თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით, სამსახურებითი და საზოგადოებრივი მუშაობით მჭიდროდ იყო იმ საქმიანობასთან დაკავშირებული, რაც აღბეჭდილია ამ წერილებში. ზოგიერთ წერილს ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ზოგიერთს კი დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა; ზოგიერთი წერილი კი დღევანდლობის საჭირობო საკითხებს აღუბნებს. მრავალი წერილი ეხება ქართული თეატრის ისტორიის დღემდე უცნობ, გამოუქვეყნებელ ან არქივებსა და წიგნისაცავებში ჩაუტრულ ძვირფას მასალას. ეს წერილები დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი უახლოესი წარსულის მკვლევარებს, ამიტომ ასეთი წერილების ერთ კრებულად შეგროვება და გამოცემა უიშვალად მისასალმებელია. იმას გავსა და ეს წიგნი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ვერცხვებს, თუ რა როლს თამაშობდა თვით ავტორი ქართული კულტურის განვითარებისათვის ბრძოლის საქმეში.

წიგნი შედგება შეზღვევი განყოფილებებისა-

გან: „ლიტერატურულ თემებზე“, „ქართული თეატრის ისტორიისათვის“, „საბჭოთა დრამატურგიის საკითხები“ და „კულტურის მოღვაწენი“. თვითველი განყოფილება შეიცავს რამდენიმე წერილს, მათ შორის ლიტერატურულ თემებისადმი მიძღვნილია 7 წერილი.

ლიტერატურულ თემებზე დაწერილ წერილებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ამხანაგ სტალინის სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“, რომელიც ავტორმა მოხსენების სახით წაიკითხა საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე 1939 წ. 25 სექტემბერს. წერილი გარჩეულია მხოლოდ ამ თარიღამდე გამოქვეყნებული ქართული „საბჭოტუ“ ლი პრადექტია. ცხადია, 1939 წლის შემდეგ ქართველმა მწერლებმა ამხანაგ სტალინის სახე ლიტერატურაში კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოგიდგინეს და ბევრი შესანიშნავი ნაწარმივად დაწერეს ამ თემაზე. ავტორი ისაძრთლიანდ დასაკენის, რომ „ამ დღემამ თემამ ჩვენს პეტეტებს სოციალისტური რეალიზმისაკენ უზვენა გზა“. ამავე წერილში ავტორი აყენებს „პოეზიაში, ბელეტრისტიკაში, დრამატურგიაში, ახალი გზების, ახალი ხერხის, ახალი საჭურველის მოძებნის საქიროების საკითხს“.

მეორე წერილი „ბელოდის სახე საბჭოთა დრამატურგიაში“ დაწერილია იმავე 1939 წელს. ავტორის მიერ განზილულია ამ წლამდე დაწერილი დრამატული ნაწერები. მთელ საბჭოთა კავშირში, როგორც ავტორი აღნიშნავს, იმ დროს მხოლოდ ორ პიესაში იყო სტალინის სახე გამოვლანილი: პოგოდინის „თოფიან კაცში“ და თვით ავტორის ცნობილ პიესაში „ნაპერწყლიდან“. ავტორი ამ წერილში გამოთქვამს აზრს, რომ კლასიკურ მწერლობას დადებითი გამოცემები არ ჰყავდათ და მგალობისათვის მოჰყავს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურებიდან ილია ჭავჭავაძის ღუარსაბ თაქარიზე და ვგნატე ნინოშვილის ტარიელ მკლავაზე. ეს დებულება სახსებით მართებულიად არ მიგვაჩნია. განა გამო, კაკო, ზაქარა და სხვები ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა დადებითი გამოცემები არ არიან? ასევე თქმის ვგნატე ნინოშვილის სპირიდონ მციროშვილისა და სხვა მოქმედ პირთა შესახებ, ავტორი შეტად მოკმალებით ლაბარაკობს თავის პიესაზე „ნაპერწყლიდან“. ავტორი ზაქავაშით აღნიშნავს, რომ ამ პიესის დაწერაში მას დიდი დასარტავა გაუწია საქართველოს კომუნისტუ-

რი პარტიის (ბ) ც. კმა და პირადად საქართველოს სასახელო შეიღმა ამხანაგმა ლაგერებში ბერიაშ.

წერილი „თანამედროვეობის შეგრძობა“ დღემდე არ ჰყარგავს თავის აქტუალურ მნიშვნელობას, თუმცა იგი 5 წლის წინაო დღეებოა და დამეცდა. ავტორი წერს: „არ კმარა მართო აღტყვება და ორთოდე პათოსიანი ლექსის დაწერა, კიდევ უფრო ღრმად გემართებს ჩაბედა ჩვენს სინამდვილეში, განკურება ჩვენი თანამედროვეობისა და მომავლისა, გემართებს აუტყარებელე ეპიურა თბრობა ჩვენს გარემოებაზე, ჩვენს ვითარებაზე“. ავტორის ზელოვნების წარმომადგენელთა მოწოდებოდ მიმართა — „შექმნან ფერწერის ახალი კმნილებანი, ჩამოქრწონ მარმარილო, მხატვრული სიტყვიერი ოსტატობით მოგვეყენ დიდი და მონუმენტალური ნაწარმებები“.

წერილი „დღევანდელი“ ქუთაისის განახლებულ და აღორძინებულ ცხოვრებას ეხება. ამ საინტერესო დიალოგია გამართული მკობხველთან შემოქმედებითის საკითხებზე. თუმცა ეს წერილი 1932 წელსაა დაწერილი, მაგრამ იგი დღესაც დიდი ინტერესით იკობხება.

წერილი ყალბი ნოვატორობის შესახებ წარმოადგენს საკუწირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წ. 10 თებერვლის დადგენილების გამობხურებას კომპოზიტორების ყალბი ნოვატორობისა და ფორმალისმით ვატყუების გამო. სამწუწაროდ, ავტორის ამის შესახებ არ ატო ერთი მავალით არ მოჰყავს ქართული კომპოზიტორების შემოქმედებლად.

წერილში „საქართველოს შესანიშნავ იდომინთა ცხოვრება“ დასმულია მეტად საბირო საკითხი საქართველოს შესანიშნავი ადამიანების ბიოგრაფიების სერიის გამოცემა. ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია, და აღუნად აღნიშნულ წერალს არ დაუქარგავს თავისი საჭირბოროტო ხასიათი.

განყოფილებაში „ქართული თეატრის ისტორიისათვის“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილი „ქართული თეატრის განვითარების გზები“, რომელც ავტორის მოხსენების სახით წაუკობხავს საქართველოს თეატრალურ საზოგადოების პირველ ყრილობაზე 1945 წ. დეკემბერს. წერილი შეიცავს უძველესი ოა უახლოესი ქართული თეატრის ისტორიის ძვირფას მასალას. ავტორი სამართლიანად ამტყიცებს, რომ ჩვენი უძველესი და შუასაუკუნეების სახიობობაზე არავითარ ვერობულ გავლენას იდგილი არ ჰქონია და იგი წმინდა ქართული მოვლენა იყო, თუმცა ვარგვენულად წაგავდა ვერობაში მოხეტიალე არტიტების წარმოდგენებს.

წერილები „ასი წლის თავზე“, „ქართული თეატრის ისტორია“, „ბებერი კედლები“, „გარ-

ნა“ ეხება ქართული თეატრის ისტორიის საკობხების წერილი „ბებერი კედლები“ წარმოადგენს მოგონებას ქუთაისის უფროსეს მღვდარი წარსულის შესახებ. ამ წერილში მოხუცდნულად ჩართული ავრთვე ავტობიოგრაფიული ამბები.

„საბჭოთა დრამატურგის“ განყოფილება 10 წერილს შეიცავს. მთელ რივ წერილებში დასმულია დრამატურგისა და თეატრის ურთიერთობის საკობხები. ავტორი ეხება დრამატურგის უფლების დაცვის საკობხს და მოთხოვს, რომ თეატრმა თავისი ზელოვნება უძველესი დრამატურგის მიერ მიტანილი მასალის საფუძველზე. ეს იდეა ვატარებელია რადენიმე წერილში („სიტყვა სსრ კავშირის შწრალთა პირველ ყრილობაზე“, „თეატრი და დრამატურგია“, „ახვნი დრამატურგის ვარშემო“, „ქართული საბჭოთა დრამატურგია“ და სხვა). წერილები თავის დროზე ვარგად ეხმარებოდა საჭირბოროტო საკობხებს, მაგრამ ახლა, ერთიმეორეზე მიყოლებით დაბეჭდილი, მკობხველზე ერთფეროვნების შობაქმდილებას სტოვებს; სშირად ერთი და იგივე დებულება ერთიანი მასალით და საბუთიანობით არის დამტყიცებული. ყველა წერილში განმეორებულია ის აზრი, რომ დრამატურგის მასალის თეატრში მოყრძალებით უნდა მოგვეყრის, — ავტორი იზარებს დრამატურგსა და თეატრს შორის თანამშრომლობის იდეას. ავტორი სამართლიანად დაასკვნის: „თვით ბუმბერაში შექსირავ ხომ ზღუდა შემოქმედებისა, უთეატროდ, მარტო ვიგენება ესე მომხიბლავდ არ ვაიფურჩქნებოდაო“. შემდეგ ავტორს მოყავს მარჯანისვილის სახელობის თეატრში თავისი პეისის „ნაბერეკოლან“-ის დადგმის მავალით. ავტორი არ იზიარებს ამ პეისის ვასცენურების ზოგიერთ მომენტს. მავალით, იგი წინააღმდეგია ელიშექის სიყდილის სცენის ვამოტოვებისა, ავრთვე, არ არის მომხრე თავადი დათას ლევან გურიელად და ბოლოს სტრატენიად ვამოვეანისა.

წერილი „დრამატურგის საკობხები“ საინფორმაციო ხასიათის წერილია თეატრისა და დრამატურგების ურთიერთობაზე. ამ წერილს სადღესოდ პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, — ქართული თეატრის მხოლოდ ისტორიის მასალის შეიცავს.

წერილები „მონოლოგის რალი პეისაში“ და „ისტორიული დრამის ამოცანა“ დიდი ერთდაციით და მახეილად დაწერილი წერილებია, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ საბძილო მნიშვნელობას. წერილი „ჩემი სიტყვა“ და ამ განყოფილების ბოლო წერილი კლასიკობის ტექსტზე დრამატურგის მუშაობის საკობხს არკვეს და, კრძოდ, ეხება პეისის „მატეხილ ზიდს“ და „ნინოშვილის გურას“.

საინტერესოდა შედგენილი, აგრეთვე, მუთა-ზე განყოფილება „კულტურის მოღვაწენი“, რომელიც შეიცავს 10 წერილს“. აქედან თითქმის რილი გალაქტონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ვალერიან გენიას და ოსიპ გრიშაშვილის საღამოებზე წარმოთქმული სიტყვების ჩანაწერებია.

წერილი „სამშობლო ქვეყნის დიდი მოაზრებე“ ეხება იაკობ გოგებაშვილის დიდ დამსახურებას ქართული ლიტერატურისა და საზოგადოდ, ქართული კულტურის წინაშე. ამ მოხდენილადია ჩართული ავტორის მოგონება ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი ცნობილი სახელმძღვანელოს „დღეა ვნის“ შესახებ. ავტორი არკვევს, აგრეთვე, ი. გოგებაშვილის სხვა სახელმძღვანელოების — „ბუნების კარის“, „აკილის“, „კუნწულას“ და სხვა წიგნების დიდ მნიშვნელობას. ავტორი წერს: „და იმ ეს დავადებული კაცი (იაკობ გოგებაშვილი) თითქმის ნახევარი საუკუნე, მისი სიტყვისა არ იყოს, „ნაღმოსნებს“ გზავნიდა შორეულს მთებში, მიყრდებულ სიფლტეში, დამად და ჭალაჲდ, რომ აფეთქებინა წველიანი უმეტრებისა და მოფინა შეჭი განათლებინა და სამშობლოს სიყვარულისა“.

წერილი „იროდიონ ეედოშვილი“ შეიცავს საინტერესო ცნობებს იროდიონ ეედოშვილის სასცენო მუშაობის შესახებ. ავტორი ცოცხლად გვიხატავს ცნობილი პოეტის პორტრეტს, ავსებს მის მუშაობას თბილისის სახალხო სახლსა და ქიათურის თეატრში და აღნიშნავს, რომ „სასამოცნო იყო სცენაზე მასთან მუშაობა,

რადგან ის დიდად გამოირჩეოდა იმ დროის ზოგიერთ მსახიობებისა, თუ სცენის მიყვარეთაგან, როგორც ძალზე მაღალი კლასიკური „აღმანი“. ავტორი ეხება პოეტის მუშაობას მატერიალური (პირული სუფრა). გახსენებულია აგრეთვე ი. ეედოშვილის რევოლუციური მუშაობის ერთი მომენტი, როდესაც იგი არა-ლევალურად ცხოვრობდა შ. დადიანის სახლში და გამოიმეცობლის დაკვეთით თარგმნიდა რუსულ რევოლუციურ ლექსებს. წერილი „სახიობი“ აზერბაიჯანელი პოეტის ალექსერ-თაირ-ზადეს შემოქმედების გარჩევას და შეფასებას წარმოადგენს. დიდი ინტერესით იკითხება, აგრეთვე, წერილები: „არტემ ახნაზარივი“ და „რეალისტი მწერალი“ (დღებუ მეგრული). ამ წერილებში ბევრი ახალი ბიოგრაფიული მასალა მოიპოვება.

წერილში „ჩემი შენიშვნები“ გარჩეულია პარმენ ლორიას რომანი „ჩიი“. ავტორი კონკრეტულად და საფუძვლიანად იხილავს ამ რომანს და მიიჩნევს „უსათუოდ კარგ გამოსადევ და სასარგებლო წიგნად“.

წიგნში შესული ყველა წერილი თავის დროზე დაბეჭდილი იყო ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. კარგი იქნებოდა, ავტორს ან რედაქტორს შენიშვნების საბით დაერთო მოკლე ცნობები იმის შესახებ, თუ სად და როდის გამოქვეყნდა ესა თუ ის წერილი.

ბ. მთავრი

## ლუკრეციუსი — სავანთა ბუნების შესახებ

თარგმანი ლათინურიდან პ. ბერაძისა

(„ფილოსოფიური ინსტიტუტის შრომები“, 11, 1950 წ.)

★

ლუკრეციუსის „სავანთა ბუნების შესახებ“ დიდმნიშვნელოვანი შოკლენია არა მხოლოდ ძველი რომის, არამედ მთელი მსოფლიოს ლიტერატურაში, იგი არის ფილოსოფიური პოემა, სადაც ეპიკურეს მატერიალისტური მოძღვრება წარმატებულად პოეტურ ფორმაშია ჩამოყალიბებული.

ფილოსოფიური პოემები ლუკრეციუსზე ადრე ძველად სხვებსაც უწერიათ. გაიხსენიოთ ქსენოფანე კოლოფონელის პოემა „ბუნებისათვის“ ან ამავე სახელწოდებით ცნობილი პოემები პარმენიდე ელეატისა და ემპედოკლე აგრიგენტელისა. მაგრამ ყველა ამ პოემასთან შე-

დარებით ლუკრეციუსის პოემას ის უპირატესობა აქვს, რომ იგი გამოირჩევა მაღალი პოეტური ინტენსივობით. თუ პარმენიდეს ფილოსოფიური პოემა მშრალი დიდაქტიკური ნაწარმოებია, რომელსაც, გარდა ჰეგელიანური ლექსის ფორმისა, პოეტურობის სხვა ნიშნები არ გააჩნია, — ლუკრეციუსის პოემა ერთსადაცავე დროს ფილოსოფიური ტრაქტატია და დიდი პოეტური ქმნილება.

ლუკრეციუსის პოემა ეჭვისი წიგნისაგან შედგება. პ. ბერაძის უთარგმნია მხოლოდ პირველი და მეორე წიგნი.

პ. ბერაძის თარგმანს აქვს ის ღირსება, რომ



•გა შესრულებულია ლათინური ორიგინალიდან. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ თარგმანს არ გააჩნდეს ნაკლოვანებანი. გავსინჯოთ, მაგალითად, როგორ არის პ. ბერაძის თარგმანში ლუკრეციუსის პოემის ფილო-

სოფიური შინაარსი გადმოცემული. სანამუშოდ ავიღოთ უმნიშვნელოვანესი ადგილი, სადაც ლუკრეციუსი ეხება მატერიალისტურ ფილოსოფიის პრინციპებს. მთარგმნელს უნდა ასე გადმოეთყოს (I, 419 — 421):

„სრულიად ბუნება ორ ნაწილით შედგენილია; საბედობარ: არის სხეული და სივალეურე, შეთავსებულნი მოძრაობენ თავისებურად“.

ამ თარგმანის მიხედვით გამოდის: 1) სხეული ბუნების ერთი ნაწილია, ხოლო სივალეურე — ბუნების მეორე ნაწილი; 2) სხეული და სივალეურე შეთავსებულად მოძრაობენ.

უნდა შევინშნოთ, რომ არაფერი ამის მსგავსი ლუკრეციუსის პოემაში არ მოიპოვება. სხეული იყო, ლუკრეციუსის მოძღვრებით, არა ნაწილი, ბუნებისა, როგორც ეს თარგმანში წერია, არამედ პრინციპი ან საწყისი ბუნებისა. ნაწილი სხვა ფილოსოფიური ცნებაა, საწყისი — სხევი. მთარგმნელს კი საწყისის ვერ გაურჩევია ნაწილისაგან. ლუკრეციუსი წერს, რომ ბუნება შედგება ორი საწყისისაგან ან ორი პრინციპისაგან „res“ ნიშნავს აქ საწყისს), რომელთა შორის ერთია სხეული, ხოლო მეორეა სივალეურე. — თარგმანში კი ვკითხულობთ, რომ ბუნება შედგება ორი ნაწილისაგან, სახელდობრ — სხეულისა და სივალეურისაგან. ცხადია, თარგმანი შედარია. ამას უნდა დაე-

მატოს შემდეგი. ლუკრეციუსის პოემაში არ არის ნათქვამი, რომ ცალეური სივრცე და სხეულები „შეთავსებულნი მოძრაობენ“, როგორც ეს თარგმანში წერია. ლუკრეციუსი ამბობს მხოლოდ იმას, რომ სხეულები მოთავსებული არიან ცარიელ სივრცეში და მოძრაობენ იქ სხვადასხვა მიმართულებით. განა შეეძლო ლუკრეციუსს ეთქვა, რომ სხეულები და ცარიელი სივრცე შეთავსებულნი მოძრაობენო? ცხადია, არ შეეძლო, ეინაიდან მაშინ მას უნდა მიეღო დებულება, რომ ცარიელი სივრცე მოძრაობს. ასეთ დებულებას კი ლუკრეციუსი ვერ მიიღებდა, რადგან ცარიელი სივრცე იყო მისი მოძღვრებით ადგილი (locus, spatium), სადაც წარმოებს მოძრაობა, და არა სხეული (corpus), რომელიც აწარმოებს მოძრაობას.

არანაკლებად საკამათოა ქართული თარგმანის შემდეგი სტრაქონები (I, 440 — 443):

— გარდა ამისა, ყოველივე, რაც კი რამ არის, ან თვით იქმნება, ანდა თვითონ შექმნის სხვის რასმე, ან წარმოკვიდგენს ადგილს საკანთ მოძრაობისთვის. თვითქმნას, გარდაქმნას შესძლებს სხეული რამე“.

ამ თარგმანის მიხედვით მკითხველს შეუძლია იფიქროს, რომ ლუკრეციუსი იყო ქმნადობის ფილოსოფოსი, მსგავსად იდეალისტ ანრი ბერგსონისა. მაგრამ ქმნადობა ლუკრეციუსის ატომისტური ფილოსოფიით გამოირიცხული იყო თითქმის სრულიად. არც ატომი, არც ცარიელი სივრცე არ იქმნებოდა და არც ქმნადა რასმე. ყოველი კონკრეტული საგანიც, ზუსტად რომ ითქვას, კი არ იქმნება ატომების მიერ, არამედ თვითონ არის ატომების ჯამი. არც „თვითქმნა“, არც „გარდაქმნა“, რასაც მთარგმნელი მიაწერს სხეულს, ლუკრეციუსის მატერიალისტური ფილოსოფიით სხეულს არ შეუძლია. ატომი ხომ სხეულია, მაგრამ, განა შეუძლია ატომს თვითქმნა ან გარდაქმნა? არ შეუძლია, ეინაიდან ატომი იყო, არის და იქნება მუდამ თავისი თავის თა-

ნასწორი, ფუცლელი, მარადიული. ის თვითონ კი არ ქმნის თავის თავს, არამედ ყოველთვის არსებობდა და არსებობს.

თარგმანში საკმაო სიზუსტით არ არის გადმოცემული ლუკრეციუსის ზოგიერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფილოსოფიური ტერმინი. ასეთია, მაგალითად, ტერმინი „ბუნება“ (natural). ასეთებია, აგრეთვე, ტერმინები „conjunctum“ და „eventum“. როგორც ლუკრეციუსი წერს, (I, 450 — 459) სიმძიმე არის კლდისათვის conjunctum, ე. ი. საკუთარი ან არსებითი თვისება, ხოლო მონობა ან სიმდიდრე არის საგანთა eventum, ე. ი. შემთხვევით ან გარეგან შექმნილი თვისება. ამით ლუკრეციუსი ამბობს, რომ თავისი მატერიალიზმის შექმნისტურ, არა-დიალექტიკურ ხასიათს, და საკმარის იყო აღნიშნული ფილოსოფიური ტერმინების ზუსტი გად-

მითარგმნა, რათა შეითხველს შესძლებოდა მექანიკური მატერიალიზმის გარჩევა დიალექტიკურისაგან და უფრო ღრმად ჩაწვდომა დიალექტიკური მატერიალიზმის აზრთა წყობაში.

სამწუხაროდ, მითარგმნელს აქვს გამოტყუნილი საპირველი სიზუსტე და წაუშლია ლუკრეციუსის მატერიალისტური აზრის მთავარი ნიშნები (1, 449 — 458):

„სახელდებულა რაც კი რაღამე ორივე თვისებას შეიცავს ან და წარმოგვიდგენს თვითონ მოვლენას. თვისება არის არსებითი საგანს რომ ახლავს, რომელს ვერ მოსწყვეტ, რასაც ერთვის, მის მოუსპობლად: სიმძიმე — ქვესა, სითბო — ცეცხლს, წყალს — თხიერებას, შეხებას — საგანს, ზელაუპერობას — სიცარიელეს. ხოლო მონობას, სიღარიბეს, ანუ სიმდიდრეს თავისუფლებას, ომსა და ზავს, და ყოველსავე ყოფნა-არყოფნით თავის ბუნებას რაც არ იცვლის, მას ყოველივეს, ვით შეჰფერის, ვეტყვით მოვლენას.“

გვესტარეშეა, ეს ლუკრეციუსის გასაგები თარგმანი არ არის: ძნელია ამ თარგმანიდან აზრის გამოტანა. ესეც რომ არ იყოს, როგორ შეეძლო ლუკრეციუსს ეთქვა „ყოფნა-არყოფნით თავის ბუნებას რაც არ იცვლის, მას ყოველივეს ვეტყვით მოვლენას“? განა ლუკრეციუსისათვის არის რაღაც ისეთი, რის ბუნებასაც ყოფნა არყოფნა არ ცვლის? ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ლუკრეციუსს ეგნებოდა არა მატერიალისტური, არამედ იდეალისტური ცნება ბუნებისა. მისთვის ბუნება იქნებოდა განუყენებელ კანონთა სისტემა და არა ემპირიული რეალობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ლუკრეციუსის ფილოსოფიაში აგრეთვე ტერმინს „sensus communis“. პირველად ამ ტერმინის შინაარსი ჩამოაყალიბა არისტოტელმა. შემდეგ მას თვალსაჩინო ადგილი ეჭიბა როგორც შეასაუყუენების, ისე ახალი დროის ფილოსოფიურ ლიტერატურაში. შოტლანდიაში, მაგალითად, შეიქმნა მთელი ფილოსოფიური მიმართულება (რიდი, ისეაღლი, ბიტი), რომელსაც სახელად დაერქვა „common — sense“-ის ფილოსოფია. ლუკრეციუსიც ხმარობს ტერმინს „sensus

communis“, და მითარგმნელისათვის ძალიან საინტერესო უნდა ყოფილიყო, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინს.

სამწუხაროდ, პ. ბერაძე არ დაინტერესებულა ამ ფილოსოფიური საკითხით. მას სრულიად უკრიტიკოდ უთარგმნია ლუკრეციუსის „sensus communis“. ლუკრეციუსი წერს: „Corpus enim per se commuis dedicat esse sensus“, რაც ნიშნავს: რომ სხეული არის თავისთავად, ამას ცხადყოფს „საზოგადო გრძობა“ (ე. ი. სალი აზრი ან ის, რასაც რუსულად ეწოდება „Здравый смысл“, ხოლო გერმანულად „geuder Menschen-Verstand“). ამრიგად, სხეულთა არსებობის მიჩვენებლად ლუკრეციუსს გამოუცხადებია სალი აზრი: სხეული ნაბუნებულად არსებობს, რადგან სალი აზრი გვარწმუნებს ამასში, — ასე შესჯერობს ლუკრეციუსი. მითარგმნელს კი ეს უდიდესი მნიშვნელობის მქონე ფილოსოფიური საკითხი, თუ რა არის საგანთა არსებობის მიჩვენებელი, უგროვნად ვერ შეუფასებია და საგაღებულ სეზუსტის დაუცველად ზემო მოვანილი ადგილი ასე უთარგმნია (1, 422-424):

„საგანი მართლაც რომ არსებობს, ჩვენს გრძობებზე და ჩვენ იმას თუ ფარულ საგანზე ვით შევძლებდით

მასში გვარწმუნებს არ მივინდევთ, მაშინ დაურდნობას?“

ეს არ არის სწორი თარგმანი. ლუკრეციუსი არ ამბობს, რომ საგნის არსებობის მიჩვენებელია გრძობა, როგორც ამას ქართულ თარგმანში ვკითხულობთ. ასე რომ ეფიჭება ლუკრე-

ციუსს, მაშინ მას ატომების არსებობა უნდა უარეყო, რადგან, მისივე მოძღვრებით, ატომებს ჩვენ გრძობათა საშუალებით ვერ ვწვდებით: ჩვენ არ შეგვიძლია შევამჩნიოთ ატომი ვერც

თვლით, ვერც ყურით, ვერც თითების შეხებით; ატომების არსებობას ჩვენ ვამჩნევთ „საზოგადო გრძნობის“ ან სალი აზრის საშუალებით. ეს სალი აზრი (sensus communis), და არა გრძნობები (sensus), — აი რა გვიჩვენებს, ლუკრეციუსის მატერიალისტური მოძღვრებით, სხეულთა არსებობას. მთარგმნელს კი ლუკრეციუსის „sensus communis“ გადაუთარგმნია სხეულთა არსებობას. მთარგმნელს კი ლუკრეციუსის მატერიალისტური ფილოსოფია პროტაგორის ფენომენალისტურ სენსუალიზმთან გაუთავებია.

გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემომოყვანილ ადგილას ლუკრეციუსი ლაპარაკობს არა გაურკვეველი „საგნის“, არამედ სრულიად გარკვეული „სხეულის“ არსებობის შესახებ. სხეული არსებობს თავისთავად, წერს ლუკრეციუსი, და ამით იგი ახასიათებს თავის ფილოსოფიას, როგორც სავსებით გარკვეულ მატერიალიზმს. მთარგმნელს კი სიტყვა „სხეულის“ ნაცლად ჩაუსვამს სიტყვა „საგა-

ნი“, და ამით გაუბუნდოვანებია ლუკრეციუსის ფილოსოფიური პოზიცია, ვინაიდან არა მხოლოდ მატერიალისტს, არამედ იდეალისტსაც შეეძლო ეთქვა, რომ საგანი არის თავისთავად. ლაბინცი, მგალითად, არ იყო მატერიალისტი, მაგრამ ისიც ამბობდა, რომ საგანი არსებობს თავისთავად, ვინაიდან მისთვის სულიც ხომ საგანი იყო. „საგანი“ არ არის „სხეულის“ სინონიმი და იგი არ შეიძლება ლათინური „corpus“ სიტყვის ქართულ ეკვივალენტად ჩაითვალოს, როგორც ეს მთარგმნელს წარმოუდგენია.

ჩვენ არ გავაგრძელებთ 3. ბერაძის თარგმანის გარჩევას, რადგან ნათქვამითაც ჩანს მისი ღირსება-ნაკლოვანებანი. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ თარგმანი დაბეჭდილია უკომენტარიოდ ქართულ ენაზე ლუკრეციუსის პოემის გამოცემა ტექსტის ახსნა-განმარტების გარეშე მიზანშეუწონელია.

პროფ. ხ. დანელია

### ნ. ბაგრატიონი. „ბურჰუაზიანი“

„საბჭოთა მწერალი“, 1951 წ.



ნიკო ბაგრატიონის მემუარული ნაწარმოები — „ბურჰუაზიანი“ საინტერესოა იმით, რომ ავეწერს იმპერიალისტური ინგლისის წინააღმდეგ ბურჰუაზის გამორულ ბრძოლებს თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად.

წიგნის პირველ ნაწილში ავტორი მოკვითობრობს ოჯახზე, სადაც იგი აღიზარდა, აღწერს, რა პირობებში უზღებოდა ცხოვრება, სწავლავანათლებლის მიღება და სხვ. ერთი ოჯახის, ავტორის პაპის ოჯახის მგალითზე აღწერილია ფეოდალური საზოგადოების დამლის პროცესი საქართველოში. წიგნში აღწერილი ზოგიერთი ფაქტი ინტერესმოკლებული არ არის იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ რეალობის შესახებ.

წიგნის პირველ ნაწილში მოცემულია საინტერესო ცნობები მე-19 საუკუნის თვალსაჩინო მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების — ნიკოლოზ ბარათაშვილის, რაფაელ ერისთავის, პლატონ იოსელიანის და ილია ჭავჭავაძის შესახებ, ისინი ხშირად იკრიბებოდნენ მემუარების ავტორის პაპის — ნიკოლოზ ბაგრატიონის ოჯახში. ამ ცნობებს, უპიკელოა, ერთგვარი შინაშეხება ექნება ქართული კულტურის ისტორიის მკვლევართათვის.

მემუარების დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ინგლისაბურჰუაზის 1899 — 1902 წლების ომის ამბებს. ნიკო ბაგრატიონი ამ ომის მონაწილე იყო, და იგი თითქმის ორნახევარი წლის განმავლობაში მამაკურად იმყოფებოდა ინგლისელ დამპყრობთაგან თავისუფალი ბურჰუაზის რესპუბლიკის დასაცავად.

ინგლისელებისა და ბურების ომს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ისტორიის ახალ ეპოქაში. იგი ერთ-ერთი იმ ომთაგანი იყო, რომლითაც იხსნება კაპიტალიზმის განვითარების ახალი, უკანასკნელი ეტაპი — იმპერიალიზმი. იმპერიალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ბრძოლა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ბაზრების, ნედლეულის წყაროების ხელში ჩასაგდებად, ომები გავლენის სფეროების მოსაპოვებლად, კოლონიების დასახეობად, მსოფლიოს განაწილებისა და ხელახალი გადანაწილებისათვის. «ესპანეთ-ამერიკის (1898), ინგლისელებისა და ბურების (1899 — 1902), რუსეთ-იაპონიის (1904 — 1905) ომები და 1900 წლის გენოციდური კრიზისი ევროპაში — იმ მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქის მთავარი ისტორიული მიჯნები» — აღნიშნავდა ე. ა. ლენინი (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 23, გვ. 95).

1899 წლის ოქტომბერში ინგლისელმა იმპერიალისტებმა დაიწყეს ყაზღღური ომი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების — ტრანსვალისა და ორანჯის დასაპყრობად. ბურებმაც იარაღი აისხეს და გამართულ ეკვეთენ მომხდურ მტერს. ნაციონალურ-განმათავისუფლებელმა ომმა მძლავრი იმპერიალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ მხურვალე თანაგრძნობა გამოიწვია მთელი მსოფლიოს პროგრესულ აღმამანებში. ბურის მთავარი მოხალისედი წაიდა სამხრეთ აფრიკაში ბურებისათვის დასაპყრობლად. მათ შორის იყო ქართველი პატრიოტი ნიკო ბაგრატიონი.

„მთელი ჩემი არსება, — წერს ნ. ბაგრატიონი, — მოიცვა ბურებისადმი თანაგრძნობამ და უყოყმანოდ გულში ღრმად ამოვიტყერი დაგზარბოდი თვისუფლებასმოყვარულ პატარა ხალხს, რომელსაც ინგლისი მოსპობას უბირებდა.

...ბურების მდგომარეობა როგორღაც მაგონებდა ჩემს სამშობლოს და მშამდა, თუ შეეებრძოლებოდი ბურების მტერს, ეს იმასაც ნიშნავდა, რომ მე ამით სამაგიეროს გადაუხდელი ჩემი ქვეყნის მტრებსაც.

ჩემთვის ყველა დამპყრობელი, მოძალადე ერთნაირად საქულველი იყო და უოველთვის გული მიმიწვედა დაგზარბოდი დამაგრულს\* (გვ. 63 — 64).

ნიკო ბაგრატიონს გულთბილად შეხედნენ ბურების ქვეყანაში. იგი ჯარში ჩარცხვის შემდეგ ფრონტზე გაემგზავრა და მამაცურად აბრძოდა ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მემუარების ავტორი ავციწერს ინგლისელუ-

ბისა და ბურების ომის ამბებს, მოგვითხრობს ბურების მგზნებარე პატრიოტიზმზე, მათს გვირობასა და თავადებზე სამშუქლეს ედმოუციდებლობის დასაცავად. ავტორი — მკითხველმრავალი ფაქტი ადგილობრივი მოსახლეობისა და სამხედრო ტყვეებისადმი ინგლისელთა ბარბაროსული, მხეცური დამოკიდებულების შესახებ.

მიუხედავად ძალთა სიჭარბისა, ინგლისელებმა მალე ვერ შესძლეს ბურების დამარბილება. ლორდი კიტინერი, რომელიც 1900 წელს დაინიშნა ინგლისელთა ჯარების მთავარსარდლად, ჩებობდა ედუარდ VII-ის ეურთხევის დროისათვის მიიწე დაემთავრებინა ომი, რისთვისაც უოველვეარ საზიზღარ საშუალებას მიმართავდა. მან ბურების მიმართ ნაღვლილი ველურობა გამოიბინა. იგი ქალებსა და ბავშვებსაც კი არ ინდობდა. უმოწყალოდ სპობდა მათ ან საკონცერტაიო ბანაკებში გზაენდა. კაცუჭამია კიტინერი წვაედა ბურების საბუკარს, ანადგურებდა ნათესებსა და პირუტყვს. ბურების მოსპობის სურვილით გაცოფებულმა კიტინერმა ბოლოს ასეთ საშუალებასაც კი მიმართა: ბურებზე შეტევისას წინ წიბძღვარებდა ქალებსა და ბავშვებს და, როცა ასეთი საფარით ბურები მიუახლოებებოდა, ეს უკანასკნელი იძულებული იყენენ პოზიციები დაემოთ.

მაშინ როდესაც ინგლისელები ასე ბარბაროსულად სპობდნენ ბურებს, ეს უკანასკნელნი დიდ სულგრბელობას იჩენდნენ მომხდური მტრის მიმართ. ისინი ტყვეებს არათუ ცუდად არ ეპურობდნენ, არამედ ათავისუფლებდნენ კიდევაც.

უთანასწორო ბრბოლაში ბურები დამარცხდნენ. 1902 წლის 31 მაისს დადებული საზავო ხელშეკრულების ძალით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებმა თავიანთი დამოუკიდებლობა დაკარგეს და ინგლისის კოლონიად გადაიქცენ. ინგლისელებმა ცეცხლითა და მახვილით დაიპყრეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკები. მათ ტყვეობა და მიშმილით ამოხოციეს ადგილობრივი მცხოვრებნი, ყველგან სისხლისა და ცრემლის ვუბებები დააყენეს.

ნ. ბაგრატიონი შემდეგ ავციწერს, თუ რა ბირობებში ჩაუვარდა ის ტყვედ ინგლისელებს დროგორ გადარჩა შემთხვევით დახერტას. ნ. ბაგრატიონი გადასახლეს წმინდა ელენეს კუნძულზე, სადაც იგი აუტანელ, არადაამიანურ პირობებში იმყოფებოდა. კითხულობ მემუარების ამ ნაწილს და თვალწინ წარმოვიდგება ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების მიერ მოწყობილი საკონცერტაციო ბანაკები კორეაში, მალაიაში და სხვ. ქვეყნებში, სადაც მხეცურად აწამებენ და სპობენ ისინი სამშობ-

ლან დაბოუკიდებლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისათვის მებრძოლებს.

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ბერების განმითავისუფლებელმა ომმა ინგლისელთა წინააღმდეგ პროგრესული კაცობრიობის მხურვალე თანაგრძნობა გამოიწვია. ქართველი პროგრესული საზოგადოებრიობა, მიწინავე ინტელიგენცია და შრომელი ხალხი დიდად თანაგრძნობდნენ ბერებს, აღტაცებულნი იყვნენ მათი გმირობით, გულისწყრომას გამოთქვამდნენ ინგლისელთა ბარბაროსული მოქმედების გამო. მაგრამ სულ სხვა პოზიციამ იღვნენ შრომელი ხალხის მტრები ნოე ეორდანი და იმპერიალიზმის სხვა აგენტები. ისინი ხოტბას ასხამდნენ ინგლისელ დამპყრობლებს, რომელთა მხეცობას ცივილიზებულ მოქმედებას უწოდებდნენ. „დეე... ინგლისი დარჩეს დიდებულ ინგლისათ, ახალი ცხოვრების მოციქულათ და ახალი დროის მატარებლათ. დეე, ის იყოს ცივილიზაციის მეთაურათ და მებძობაღტრეთ...“

წერდა ნოე ეორდანი „კვალში“ (16 31) 1899 წელს.

მაგრამ იმპერიალიზმის ერთგული ლევის ნოე ეორდანიას ეს სიტყვები ნარტუნაძეს კარგა გამოხატავდა ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის. მაშინდელ ქართულ პრესაში ხშირად იხევებოდა ბურჟუაზიაში მხურვალე თანაგრძნობით გამსჭვალული წერილები, ბურჟუაზიის გენერლების სურათები.

მწერალ რაქდენ გვეტაძეს დიდი და ნაყოფიერი შრომა ვაუწყებია ნ. ბაგრატიონის მემუარების ქართულ ენაზე თარგმნისათვის. წიგნის ენა სადა და უბრალოა, ფრაზები სხარტი და გასაგები.

კარგად მოიქცა გამომცემლობა, როცა წიგნს წარუძღვარა ვიორჯი ნატროშვილის „წინასიტყვაობა“, რომელიც მკითხველს დიდ დახმარებას გაუწევს მემუარებში აღწერილი მოვლენების სწორი გაგებისათვის.

ბ. ფირცხალაშვილი.

ავტ. იოსებლიანი—ილია ჰავთაშვილი და სამხარეთოლს ისტორიის საკითხებში



ფასდაუღებელია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უაღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწის, უდიდესი ქართველი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის დამსახურება ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისა და გამაღივრების საქმეში. არ ყოფილა სენი ხალხის ცხოვრებაში არცერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც დიდი გულისხმიერებით არ მოჰყრებოდა ილია ჭავჭავაძე, რომლისთვისაც არ მიეტაღმა განსაზღვრა და განაზრება, რომელიც არ წარმართა პერსპექტივის უფლა დეტალების გათვალისწინებით და სწორი გზით. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით აზროვნების ამისაველ წერტილს წარმოადგენს შეუნდებელი ზრუნვა ხალხის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მიწესრიგებისათვის, საქართველოს ეროვნული ღირსების აღდგენისა და ყოველგვარი ხელყოფისაგან ამ ღირსების დაცვადად.

პოეზია, მხატვრული პროზა, პუბლიცისტიკა, პრესა, თეატრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სკოლა, საადგილმამულო ბანკი და ქართველი ერის სულიერი თუ სოციალურ-პოლიტიკური და

კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების გამომხატველი ბევრი სხვა სფერო იყო სარბიელი ილია ჭავჭავაძის დაუშრეტელი ენერჯისა და დიდი ნიჭის პრაქტიკულად გამოვლინებისათვის.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიის საკითხებს ორგანულად უკავშირებდა ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეს, განიხილავდა მჭიდრო კავშირში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკენძო პრობლემებთან.

ავთანდილ იოსელიანის მონოგრაფიაში „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები“ დაწერილებთანაა განხილული ილია ჭავჭავაძის საქართველოს ისტორიული წარსულის შესახებ მწერლის საერთო მსოფლმხედველობისთან დაკავშირებით. ეს შეხედულებანი მოიცავენ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებს, მსოფლიო ისტორიის კერძოდ, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის, ქართველური ტომების წარმოშობის, მათი ეთნიკური შედგენილობის, კულტურის, მეურნეობის, სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხებს. მომარჯვებს რა ისტორიულ-მედარებით მეთოდს საქართველოს ისტორიის აკვლავს დარგში, ილია ჭავჭავაძე განიხილავს ცერათვე ენათმეცნიერების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლო-

რის, მითოლოგიის მრავალ დიდწმინდულ საკითხს. ყველაფერი ეს ერთ მიზანს ემსახურება — თვალნათლივ ცხადვოს და ურყევი საბუთებით დამტკიცოს, „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“, ვინაიდან „ისტორია თავის გულის-ფიციარზე იჭდება მარტო სულისა და გულის მოძრაობის ერისას და ამ დამდევთა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღევანდლობისათვის და გაძლიერებისათვის“ (ნაწერების სრული კრებული, ტ. V, გვ. 207).

მნიშვნელოვანი დამწერლობით არის განხილული ილია ჭავჭავაძის ბრძოლა საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეოლოგებმა, ც. რიზმის ერთგულმა ლაქიებმა და მათმა დამკვეთებმა — საქართველოს ისტორიის ნიჰილისტმა გამყალებლებმა სცადეს მოეზღინათ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფალსიფიკაცია. თავის პასუხში საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ ილიამ გამოიჩინა უდიდესი ერთდღიანი, უმაღლესი პრინციპული სისამართე, საკითხის ღრმა ცოდნა, არაჩვეულებრივი პოლემიკური ტალანტი, მეცნიერული სიზუსტე და ეთოლინდინიერება, ერთგული კულტურისა და ღირსების დაცვის საღარაჯოზე მდგომი თავდადებული მეზრძოლის რქინისებური ნებისყოფა. განსაკუთრებულ და საყვებით სამართლიან სიმკაცრეს იჩენს ი. ჭავჭავაძე მათ მიმართ, ვისაც მხოლოდ უეცორობა და საკითხის უცოდინარობით კი არ მოსდის ისტორიის ფალსიფიკაცია, არამედ ვინც განზრახ ამბიანჯებს მოღულებას არსს, თვითნებურად აკოწიწებს თითებიდან გამოწოვილ „ფაქტებს“, და გამოჰქვს ყალბი, მიცრამიებული, ყოვლად გაუმართებლებელი, უსაფუძვლო, ტენდენციური დასკვნები. პირველ რიგში, ასეთ „მკვლევართა“ რიცხვს ეკუთვნას პროფესორი პატკანოვი, რომელმაც 1883 წელს ერთ-ერთ რუსულ ჟურნალში („ერთნაღ მინისტერსტვა პროსვეშენიან“) გამოაქვეყნა თავისი ცილისმწამებლური სტატია. ისტორიის ფალსიფიკატორმა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის დამკრავებელმა აგენტმა ზემოხსენებულ სტატიაში „საქართველოს ძველი ქრონიკის შესახებ“ ხელი აღმართა ქართველ-სომეხთა ეთილმეზობლურა, მეცნიერული ურთიერთობის წინააღმდეგ. მან მოაწოდო არა მთავრად ერთი ურთიერთშორის პატკანოვისა და მჭირი სიყვარული შოვინისტური მტრობითა და ღვარძლიანი შერით შეეცაღა. პატკანოვი შეეცაღა „დამტკიცებინა“, რომ ძველი ისტორია საქართველოს არ ჰქონდა და თითქოს ეს ისტორია შეუდგინა ქართველებს მეთორმეტე საუკუნეში ერთმა უსწავლელმა და უმეცარმა სომეხმა.

ასეთი უტოფარი „მტკიცების“ წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ილია ჭავჭავაძემ, მან უამრავი ფაქტური მასალით დამტკიცა, რომ საქართველოში ოდიოვანე არსებობდა უცხოური კულტურის საქართველისა, რომ უხვად მოიპოვნა საქართველოს ისტორიის წყაროები; ამის დასაბამებლად ილია იშველებს ნიუთონის ფაქტებს, არქეოლოგიურ მასალებს, ზურათომოდერების ნიმუშებს. ილიამ ურყევი საბუთებით დამტკიცა, რომ საქართველო და ქართველები იხსენიებიან უძველეს ისტორიულ წყაროებში, კერძოდ, ასურულ და ანტიურ ბერძნულ-რომაულ წყაროებში, „დებადებაში“ და სხვ. მოკვავს ცნობილი გეოგრაფის სტრაბონის მოსაზრებანი საქართველოს შესახებ, იმომებს უცხოელ მეცნიერებს და დასკვნის: „განსეინ-მარტენი, ვივან დე-სენ-მარტენი, დიუბუა დემონპერე ცხადდენა გარკვევით ამბობენ, რომ ქართული ისტორიული მოთხრობანი ღრსშესანიშნავი წყარონი არიან არა მარტო კავკასიისა, არამედ აზიის ისტორიისათვისაც“.

დამაჯერებლად გააბათილა რა ცილისმწამებელთა „მტკიცების“ ეს ერთი მხარე, ი. ჭავჭავაძემ აწუთოვე პირდამართობით და საფუძვლიანი მოსაზრებებით აბათილებს ყალბისმქმნელთა დამაგოვიერ გამოხდომას ქართული ენისა და ანანის თვისებათა ვასაყალებლად. ილია ამ შემთხვევაშიც ამტკიცებს ღრმა მეცნიერული ანალიზის უნარს და ბრწინივალე გამარჯვებასაც აღწევს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეოლოგებთან გაცხარებულ პოლემიკაში. ი. ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ ბევრ დებულებას ქართული ენისა და ანანის თვისებათა, მისი ორთოგრაფიის, ლექსიკური მარჯვის დამუშავება-შესვების, საერთოდ ქართული ენათმეცნიერების შესახებ დღესაც არ დაუტარებენ თავისი აქტუალობა და მეცნიერული ღირებულება.

ჭრადი წმინდულთა ერთბა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაში ბრძოლა შერაზმელ იანოვსკისა და მისი დამკვეთის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, სასწავლო ოქქის მზრუნველი იანოვსკი მოითხოვდა სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვას. ეს ველური ღონისძიება წარმოადგენდა ერთ-ერთ რეკლამ იმ დევნის ჯაჭვში, რასაც განიცდიდნენ იმ დროს სავართდ ქართული ენა, ქართული სკოლა, ქართული თეატრი, ერთნაღ-გაზეუბი, წიგნები. ამის გამო ილია წერდა: „რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული — ენაა, ამიტომაც ტლანტი ხელი უმეცარის მოხელეებისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწავლა“. ილია ჭავჭავაძემ და მისმა უნასლოვსმა თანამებრძოლებმა — აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, დიმიტრი ყიფიანმა და სხვებმა ვაბებლად აღიმაღლეს ხმა ცარიზმის შერაზმული პოლიტიკის წინააღმდეგ. ა. იოსელიანის

მონოგრაფიაში ვრცელად არის მოცემული ქართულ განმანათლებელთა მიღწევების ეს საგულისხმო პერიოდი.

არანაკლებ მნიშვნელოვანი და შეურაცხყოფელი იყო შევჩაზმული ორგანოს „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორ კატკოვის რეაქციულ-ველიოკდერევიციული დამოკიდებულება საქართველოს ეროვნული ღირსებისადმი. მან მათათვის თავის ორგანოში სტატია „ქორესპონდენცია თბილისიდან“, რომლითაც ცოლი დასწამა ქართველებსა და სომხებს სეპარატისტულ მიდრეკილებაში, აბრაღად იფედო ქართული თეატრი, ჩვენი ეროვნული დროშა. ამის გამო ილია ჭავჭავაძემ დასწერა საპასუხო წერილი „ქატკოვის პასუხად“. მასში ილიამ ამხილა შევჩაზმულთა პროვოკაციული თავებულება, ნიღბი ახადა ქართველი ერისა და კულტურის შეურაცხველ ფელთ და სააშკარაოზე გამოიყვანა ვიკატონი კატკოვი, როგორც „ჯაშუშთა და მამუზლართა ორგანიზაციის“ მეთაური. ამ მხრივ ფრიალ დიდმნიშვნელოვანი ვ. ი. ლენინის აზრი კატკოვის შესახებ. დიდი ლენინი ამბობს: „...კატკოვი პირველი დემოკრატიული აღმავლობის დროს რუსეთში (XIX საუკუნის 60-ანი წლების დასაწყისი) დაადგა ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და გაცოფებული შევჩაზმულობის გზას“. აი, ასეთმა რენეგატმა მონღომა ქართული ეროვნული მეომბისა და კულტურის გაბიბრება, მაგრამ ილიამ საყადის პასუხი ვასცა მის შეებნელ ზრახვებს.

ებრძოდა რა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, ველიოკდერევიციული შოვინიზმისა და ცარიზმის დამპყრობლური რეაქციული პოლიტიკის დამცველთ, ილია ჭავჭავაძეს არასოდეს არ ვაგვლია იფედოების ნიშანი ამ ცალკე იდეოლოგია“ და ხალხს შორის, ილია ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ხალხი არასოდეს არ იზარებდა ასეთ ვიკალმოსანთა შეებნელებებს. ამის საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება შემდეგი ამონაწერის მოყვანა წიგნიდან — „სომხეთის მეცნიერნი და ქეთა ღალადი“: „ღმერთმა გავშოროს იქ მთელი ვრი ვიკულისხმით, საცა მარტო ერთგვარი გუნდა ცოდეილი... მთელი ვრი სომხებისა აქ არაფერ შუაშია. იგი, ვითარცა მშვიდობიანად მშრომელი და გამარჯვლი, თავისის საქმეს ადგია, — ვაჭრობა თუ ჯენათესა — და ფიქრადეც არ მოსდის და არც ეჭირება პასუხისმგებელი იყოს იმ ზოგიერთთა ცოდვების გამო, რომელნიც არა-მკითხე მოამხესათ მტეხირობენ, და ვარს დაატრიადენ, როგორც მუშლი მუხასა“. აქ შესანიშნევი შედგება მოცემული ილიის მიერ: ხალხისა — მუხასთან, ზოლო ბურჟუაზიის „იდეოლოგებისა“ — მუშლთან.

მონოგრაფიაში ფართოდ არის განხილული ილიას მოსაზრებანი საქართველოს გაერთიანე-

ბის ისტორიული მნიშვნელობის, სამხრეთ საქართველოსა და თურქ დამპყრობთაგან მინი ვა მოხსნის პირობების, სავარტელოს რუსეთთან შეერთების მნიშვნელობისა და მასთან შეებნებული ერთეერთობის შესახებ.

წიგნის ავტორი დიდ ადვილს უთმობს აგრეთვე ი. ჭავჭავაძის ბრძოლის გამჟღავნას ხალხისნური ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ, რაც გამოიხატა ილიას შრომაში „ი ისტორია“, როგორც ცნობილია, აღნიშნული შრომა წარმოადგენდა გამანადგურებელ პასუხს, რომელიც მიმართული იყო იე. ჯაბაძარის „Письма о Грузии“-სადმი.

ა. იოსელიანის მონოგრაფიაში სვეციალური თავი აქვს მიძღენილი საკითხს — ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკონომიერი ისტორია აღნიშნულ თავში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ადვილები, რომლებიც შეებნებანი ილიას შეებნელებებს საქართველოს საზოგადოებრივ წოდებათა და კლასთა ურთიერთდამოკიდებულებებს, აგრეთვე, კლასებსა და კლასთა ბრძოლის შესახებ საქართველოს სინამდვილეში.

წიგნს დართული აქვს ენდარმთა სამმართველოს უცნობი საარქივო მასალები ი. ჭავჭავაძის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტებით შეკითხული ეტეობა საიდუმლო მეთოლურეობის დაწესებას ილიის მიმართ, ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულებას თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა მღვდლერებისადმი.

მონოგრაფიის ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩათვალოს ის ფაქტი, რომ ავტორი არ შემოფარგულა მხოლოდ ილიას დაწარმოებთა განხილვით. რა თქმა უნდა, ძველი იქნებოდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხების დამუშავებისას ვერადის ავლა ისეთი სახელები-სათვის, როგორც არიან აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე ჯავახიშვილი. ამიტომ მონოგრაფიის ავტორს ფართოდ გამოუყენებია მათი მოსაზრებანი ამა თუ იმ პრობლემის ნათელყოფისა და გადჭრისათვის.

ღირსებებთან ერთად წიგნს ახასიათებს საერძობი ნაკლევანებანი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ციტატების სიმრავლე. წიგნის თითქმის ერთი მეასამედი სხედსუვა ამონაწერებს, კომენტარებს და წყაროებზე მითითებას შეიცავს. ეს გარემოება იკ აუსტეტებს წიგნის, როგორც დამოუკიდებელი სკოლების გამომამტველი: ნაშრომის. მნიშვნელობას. არ ამის მიხასმეწონილი აგრეთვე, რომ ზოგიერთი ციტატი რუსულად არის მოყვანილი, როცა არავითარ სიმენლეს არ წარმოადგენდა მათი თარგმანი ქართულ ენაზე. ამით გამოიკვმის სტილისტური მთლიანობა ბოლომდე იქნებოდა დატული.

წიგნის 95-ე გვერდზე მოყვანილია გ. ი. ლენინის ციტატი, რომელიც მონოგრაფიის ავტორის ამოუღია 1945 წელს გამოცემული ქართული კრებულიდან „ლენინი ლიტერატურის შესახებ“. რა თქმა უნდა, სავსებით მართებული იქნებოდა, ა. იოსელიანს ციტატი მოეყვანა პირველწაროდან, მით უმეტეს, რომ ზემოაღნიშნულ კრებულში მოთავსებული ციტატები თარგმნილია არამაღალხარისხოვნად.

უფიქრობთ, საჭირო იყო, რომ მონოგრაფიის იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია პირიქების როლის შესახებ ისტორიაში, ავტორის დაემოწმებინა მარქსის-ლენინის კლასიკოსები; ამით წიგნის ეს ნაწილი გაცილებით უფრო დასაბუთებული იქნებოდა.

წიგნში გვხვდება აგრეთვე ენობრივი და სტილისტური ხასიათის შეცდომები. მაგალითად: „საქართველოს ისტორიის მრავალსაუკუნოვანი გამართული ისტორია“ (გვ. 2), „ნაცლულად მიიწვევს მიმართულებას მაშინდელი ჩვენი ინტელიგენციისას“ (გვ. 10), „ადამობრივ ჩვეულებას“ (გვ. 11), „...იყო ის შემოქმედებითი შთა-

მაგონებელი ძალა, რომელმაც აღიზარა ილია შოთავას სწორედ იმ სახით გაპარებისას, როგორცადაც იგი „დემიტრი თავდადებულში... გამოვლინდება“ (გვ. 57), „ადასტურებს კოლექტივი“ (გვ. 72), „ხალხებიც გვერდში უდგან“ (გვ. 83), „კოლნიალური“ (გვ. 90), „ისინი ზედვას“ (გვ. 93) და სხვ.

როცა დღეს განიხილება ენის, კულტურის, საერთოდ იდეოლოგიის პრობლემები, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამხანაგ ი. სტალინის შრომებს ენათმეცნიერების საკითხების შესახებ, მონოგრაფიაში ბევრია ისეთი მომენტი, რომელთა გაშუქება მოითხოვდა ამხანაგ ი. სტალინის მიერ თავის ზემოაღნიშნულ შრომებში მოცემულ მითითებათა მოშველიებას. რა თქმა უნდა, ამით ბევრი რამ შეეძინებოდა მონოგრაფიას.

უფიქრობთ, ამ სისარებლო და საჭირო წიგნის შემდგომი გამოცემისათვის გათვალისწინებული იქნება ეს შენიშვნები, რაც წიგნს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს გახდის.

## 2. თუნიშვილი.

### 3. ზემოთიკა — ბიოგრაფი თელია\*

სახელგამი, 1951 წ.



შესანიშნავმა რევოლუციონერმა გიორგი თელიამ, რომელსაც ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციების სახელოვან მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, მთელი თავისი ხანძრულ ცხოვრება მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლას, სოციალიზმის დიდ საქმეს მოაძმარა.

„საოცარი ნიჭი, დაუშრტტელი ენერჯია, დამოუკიდებლობა, საქმის ღრმა სიყვარული, გმირული შეუპოვრობა და მოციქულებრივი ძალა — ია რა უნდა დაერქვას ამს. თელიას ცხოვრებას“. — წერდა ამხანაგი სტალინი გ. თელიას გარდაცვალების გამო დაწერილ სტატიაში — „ამს. გ. თელიას ხსოვნას“.

გ. თელიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოვეთხრობს ზ. ვეგეშიძის წიგნი „გიორგი თელია“.

ავტორი თანმიმდევრულად, უბრალო და მიმზიდველი ენით ვაღმოგვემს მგზნებარე რევოლუციონერის სახელოვან გზას ბავშვობის წლებიდან სიკვდილამდე.

ავტორი წიგნის პირველ ნაწილში მოგვითხრობს გ. თელიას ბავშვობასა და ყრბობას, სოფლის სკოლაში სწავლას, თბილისში რკინი-

გზის მთავარი საბელოსნოებში მუშაობას და რევოლუციური მოღვაწეობის დაწყებას.

რვა წლის გ. თელია მშობლებმა შეიყვანეს სოფ. ჭავჭავის ვრთელასთან სისწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა კულაშის ორკლასიან სისწავლებელში განაგრძო. იგი სკოლაში თავიდანვე გამოირჩეოდა ნიჭითა და სიმეფიით. მაგრამ სიღარიბის გამო გ. თელიამ სწავლას თავი დაანება. 1896 წელს იგი თბილისში გადავიდა და რკინიგზის მთავარი საბელოსნოების სადურგლო სამსახურში მოეწყო. რკინიგზის საბელოსნოებში კაპიტალისტური ექსპლოატაციის ბარბაროსული წესები იყო გამეფებული. მუშები აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ეს კი თავის მხრივ მუშათა გაფიცვებსა და გამოსვლებს იწვევდა, როცა თბილისში გადავიდა გ. თელია სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა რკინიგზის მთავარ საბელოსნოებში ახალი დაწყებული იყო გ. თელია დაუცემირდა მოწინავე მუშებს გ. სტურუას, ზ. ჩოდროვილს, მ. ბოჭორძეს, გ. ნინუას, დ. ლორთქიფანიძეს და სხვებს. მათი დახმარებით შედის ის სოციალ-დემოკრატიულ წრეში და აქტიურ მონაწილეობას იღებს მის



მუშაობაში. ამ სახელისწოდება დიდი საშა-  
ხური გაუწია ამს. თელიას, — წერს ამხანაგი  
სტალინი, — ეს იყო მისი სკოლა, აქ ვახდა  
ის სოციალ-დემოკრატი, აქ გამოიწერავენ ის  
მეუბრეარ მებრძოლად, აქვე ამაღლა როგორც  
ნიჟიერი და შეგნებულ მუშა\* (ი. სტალინი,  
თხზულებანი, ტ. 2, გვ. 29).

წიგნის ავტორი ამიერკავკასიის მამანდელი  
სოციალ-დემოკრატიული და პოლიტიკური ეთარე-  
ბის დახასიათებასთან ერთად მოგვითხრობს  
გ. თელიას რევოლუციურ ცხოვრებაზე და  
ბრძოლებზე. „მესამე დასის“ რევოლუციურმა  
უწყებებმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანე-  
ლობით თბილისში შექმნა მრავალი სოციალ-  
დემოკრატიული წრე. ასეთი ერთ-ერთი წრის  
წიგრი იყო გ. თელია. იგი ყველას უბრძოლებს  
იპყრობდა თავისი ნიჭით, სიბეჯითითა და აქ-  
ტიულობით. გ. თელია გატაცებით სწავლობდა  
მარქსისტულ ლიტერატურას, თვისებდა რევო-  
ლუციური მარქსიზმის იდეებს, აქტიურ მონა-  
წილეობას იღებდა ამხანაგ სტალინის მიერ მო-  
წყობილ მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრ-  
აციებში. „1900 — 1901 წლებში გ. თელია უკვე  
ერწეოდა მოწინავე მოშაბში, როგორც ერთ-  
ერთი ღირსეული მეთაური“ (ი. სტალინი).

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გ. თე-  
ლია იღებდა რევოლუციურ წრეთბას. ამაღ-  
ვანდა მებრძოლმა რევოლუციური მოშაბმა,  
მგზნებარე პროპაგანდისტობა კიდევ უფრო მე-  
ტად გააზადა 1901 წლის აპრილში თბილისის  
საპროლეტარიატის დემონსტრაციის შემდეგ, რომე-  
ლიც ჩატარა ამხანაგ სტალინის უშუალო ხელ-  
მძღვანელობითა და მონაწილეობით. გ. თელია  
ხელმძღვანელობდა მუშათა წრეებს, ავრცილებ-  
და პროლეტარიატებსა და პარტიულ ლიტერატუ-  
რას, გამოდიოდა მგზნებარე სიტყვებით მიტინ-  
გებსა და კრებებზე თვითმპყრობელობის წი-  
ნაღმდეგ. ბიგრს მოშაბდა თავისი თეროიუ-  
ლი ღონის ასამალობად. 1901 წლის 31 აგ-  
ვისტოს ქანდარმერიაშ გ. თელია დაამატებრა.  
1902 წლის იგი გაათავისუფლეს და პოლიციის  
განსაკორტებელი მეთვალყურეობის ქვეშ იმ-  
ყოფიბოდა, აქრბალელი ჰქონდა თბილისიდან  
გასაღა. „ა. თელია ციხეში ყოფიდა კი ვერ გა-  
ტეხა, არამედ კიდევ უფრო გაააზა მისი ნიბის-  
ყოფა, თა განათავისუფლების შემოვად იგი მის-  
თვის ჩვეული შრომითობით განაგრბობს რე-  
ვოლუციური მოღვაწეობას“ (ი. სტალინი, თხზ.  
ტ. 2, გვ. 31)

1903 წლიდან გ. თელია ჩსდმპ თბილისის  
კომიტეტის წიგრიცა. როგორც წიგნის ავტორი  
მოგვითხრობს, გ. თელია კიდევ უფრო მეტ საა-  
გრატიო-პროპაგანდისტულ მოშაბბას ეწეოდა,  
ხელმძღვანელობს სტამბებს, მუშათა და ნოქა-

რთა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს;  
სტამბის მოწინავე მუშების დახმარებოთ ლეგა-  
ლური სტამბებში დარულად მუშაობდა მუშა-  
ლებსა და პროლეტარიატებს. 1903 წლის მარტის  
ბერვალს ჩსდმპ თბილისის კომიტეტის გადაწყ-  
ვეტრლებით საგლებო რეფორმების მინისტრის  
გაიოცემის წლისთავზე თბილისში მოეწყო მუ-  
შათა დიდი დემონსტრაცია. ამ დემონსტრაცია-  
ზე გ. თელიამ აფრიალა წიგელი დროშა, რო-  
მელსაც ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე  
წარწერილი ჰქონდა ლოზუნგები: „ბირს თვით-  
მპყრობელობა“, „გაუმარჯოს სოციალიზმს“. ამხანაგი სტალინი, აშ-ქებდა რა 1903 წლის  
23 თებერვლის დემონსტრაციაში გ. თელიას  
როლს, წერდა: „1903 წლის დემონსტრაციის  
(თბილისში) სოლისმამდგემელი ამს. თელია იყო  
მთუხედავად მისა, რომ მას ეფბდავბ დას-  
ლევადა პოლიცია, — დროშის აწევა, სიტყვის  
თქმა სულ მისი საქმე იყო. ამ დემონსტრაციის  
შემდეგ ის უკვე საესებით არალეგალურ  
მდგომარეობაში გადადის“ (ი. სტალინი, თხზ.  
ტ. 2, გვ. 29).

განსაკუთრებოთ მრავალრიგოვანი და ნაყო-  
ფიერი იყო გ. თელიას მუშაობა 1903 წელს.  
ზ. გეგეშელე აღნიშნავს, რომ ჩსდმპ კავკასიის  
კომიტეტის დავალებათა შესასრულებლად  
გ. თელიას ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქში  
უხდებოდა მოგზაობობა. დადიოდა ბათუმში,  
ქუთაისში, ალაქსანდროპოლში და სხვა ქალა-  
ქებში, სადაც მას ჩამქონდა გახეხილი „სიკრა“  
და პროლეტარიატის ბრძოლა, პროლეტარია-  
ტი, ფორკალიბი და რევოლუციური ბროშურე-  
ბი. იგი ხელმძღვანელობდა ჩათონებში სოციალ-  
დემოკრატიული ორგანიზაციების მოწიბობას,  
ატარებდა მოშათა კრებებს და სხვ. 1903 წელს  
როგორც რუსეთში, ისე ამიერკავკასიაში ადგი-  
ლი ჰქონდა რევოლუციური მოშაბბის  
მძღვარი ამაბალობას, — ფართო ხასიათი მიიღო  
გაფიცვებში. 1903 წლის ივლისში თბილისსა და  
საპროლეტარიატის შოილ რიგ ქალაქბში მოეწყო  
მუშათა გაფიცვები და დემონსტრაციები.  
გ. თელია, როგორც ჩსდმპ თბილისის კომიტე-  
ტის წიგრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მუ-  
შათა ამ ამაბსტამბში.

უკმალობად და პროლეტარიატი უთვალთვა-  
ლებინდა ა. თელიას. თა აბ. 1903 წლის 1 სექ-  
ტემბერს ბათუმის ჩინიაზის საოპორზე გ. თე-  
ლია, რომელსაც თბილისიდან მიქონდა სტამ-  
ბის ნაწილობი, შრომითი ბათუმის არალეგალურ  
ჩსდმპბის მოსამსბობათ. ორ მოშითან ირბოდ  
დაამატიბდა ქანდარმერიაში. სტამბის ნაწილობი  
და ჩოილოფიორი ლტეკრბარობა ქანდარმე-  
რიაშ ჩინიათა ხელოში, ა. თელია მოთათის ბა-  
თუმის ციხეში, საიდანაც 1904 წლის აპრილში

გადაყენეს ქუთაისის ციხეში. 1905 წლის 9 იანვრის ამბებში გ. თელიას ციხეში მოუსწრო 9 იანვრის ამბებში ფართო გამოძახილი მხოვა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიის შშრამებლები რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისა და ი. სტალინის ხელმძღვანელობით აწყობენ მუშათა გაფიცვებს, დემონსტრაციებს და შეიარაღებულ გამოსვლებს. ქუთაისის ციხეში მყოფი გ. თელია პატიმრებში ეწევა საავტაციო-საპროპაგანდო მუშაობას, აწყობს პატიმართა გაფიცვებს. პირველ მაისს ციხის ეზოში გაიმართა პატიმართა მიტინგი, სადაც გ. თელიამ მოხსენება გააკეთა პირველი მაისის მნიშვნელობაზე.

1905 წლის ივლისში იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დახმარებით გ. თელია გაიქცა ციხიდან. წინის ავტორს ამის შესახებ მოჰყავს იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრის სერგო ქავთარაძის მეტად საინტერესო მოგონება:

„იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტს კავშირი ჰქონდა მოწყობილი ქუთაისის ციხეში მყოფ ამხანაგებთან. 1905 წლის ზაფხულზე ჩვენ მოწყვეთ „პატარა“ ციხეში მყოფ მამიკარ გიორგი თელიას განთავისუფლება. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ერთ წევრთან ერთად დამით მივედით ციხის გაღვანთან... გ. თელიამ ციხის ფანჯრიდან ზეწრისაგან გაკეთებული ბაწარი ჩამოშვა და მას ჩამოყვა. იგი ისე დასუსტებულა იყო, რომ გადაინიდან გადმოხტომა გერ შესალო, მე ის ხელში ავიყვანე და მიწაზე დავსვი“ (გვ. 51).

ბათუმისა და ქუთაისის ციხეში პატიმრობის დროს გ. თელიამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და იდეური წრთობა მიიღო. ამხანაგი სტალინი ამის შესახებ წერს: „ციხეში წელიწადნახევარის ჯდომამ უმნიშვნელოდ არ ჩაიარა თელიასთვის. ციხე მის მეორე სკოლად გადაიქცა. გამუდმებული მეკადნიერობით. სოციალისტური წიანების კითხვით და კამათში მონაწილეობით მან შესამჩნევად გაამდიდრა თავისი გონებრივი სალარო. აქვე ჩამოუყალიბდა საბოლოოდ ის შეუღდრეკელი რევოლუციური ხასიათი, რომელიც ბევრ მის ამხანაგს ენატრებოდა“ (თბზ. ტ. 2, გვ. 29 — 30). ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გ. თელიამ დიდი პოლიტიკური წირობა მიიღო. იგი გულმოდგინედ სწავლობდა მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურას. ამ დროს პარტიაში განხეთქილება იყო. გ. თელია მამინ შენევიკებს ემართობოდა. მაგრამ ლენინისა და სტალინის შრომების შესწავლისა და რსდმპ II ყრილობის მასალების გაერობის შემდეგ გ. თელიას მსოფლმშვედველობაში არსებითი გარდტება მოხდა. მისთვის ნათელი გახდა ბოლშევიკებსა და შენევიკებს შორის უღდესი არსებო-

თი განსხვავება. „და აი, შეიწყველა ამხ. თელიამ საჭირო ლიტერატურა. — წერს ამხანაგი სტალინი. — ჩაუკერდა ბოლშევიკებს შენევიკების ურთიერთ შორის კამათის შესახებ. ის ყოველივე ეს და მხოლოდ მერმე სთქვა: „მე, ამხანაგებო, ბოლშევიკი ვარ მე როგორც უტყობ, ვინც ბოლშევიკი არ არის, ის უშეველად დალატობს მარქსიზმის რევოლუციურ სულს“.

მას შემდეგ ის რევოლუციური მარქსიზმის (ბოლშევიზმის) მოციქულად გადაიქცა“ (თბზ. ტ. 2, გვ. 31).

1905 წელს საქართველოს და ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში იმართებოდა დისკუსიები შენევიკების, ანარქისტების, ესერების, ფედერალისტების წინააღმდეგ. ამ დისკუსიებზე ამხანაგი სტალინი ბოლშევიკური კრიტიკით ანადურებდა რევოლუციური მარქსიზმის მტრებს. შენევიკების წინააღმდეგ გამართულ დისკუსიებში მონაწილეობას იღობდა გ. თელია. იგი გამოდიოდა ბოლშევიზმის ერთ-ერთ მტაკედ დამცველად.

გ. თელია ამხანაგ სტალინთან ერთად მონაწილეობას იღობდა 1905 წლის დეკემბერში ქ. ტაშერდორსში შემდგარ სრულად რუსეთის პირველი ბოლშევიკური კონფერენციის მუშაობაში. ამ კონფერენციამ გ. თელიაზე არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა. აქ მან პირველად ნახა ბოლშევიკების პარტიის დიდი ხელადი ლენინი. გ. თელიამ დიდი გამოცდილება მიიღო და ბევრი რამ ახალი შეიძინა რევოლუციური მარქსისტული პარტიის თეორიისა და პრაქტიკის დარგში. ამ კონფერენციაზე გ. თელიამ ლენინის მოწონება დაამსახურა. ლენინმა მას სამახსოვროდ ბრუნენისის სისტემის რევოლუციური ანექა.

შემდეგ თავებში ავტორი მოკვირბობს გ. თელიას დალავ პროპაგანდისტულ და თეორიულ მოღვაწეობაზე. მისზე ავტობიოტობა გ. თელიას საშეალებას არ აძლევოდა რევოლუციური პრაქტიკული მუშაობა განეგრძო. სამაგიეროდ იგი ბევრს კითხლობს, სწავლობს და წერს ნაშრომებს რევოლუციური-მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურ-ორგანიზაციული და პრაქტიკურ საკითხებზე. „გ. თელიას კალამი ეკუთვნის პუბლიცისტური ხასიათის სტატიებში, როგორცია: „რა არის ზენთვის საჭირო“ (საუბარი მუშებთან), „დღეში ვერ მოიწვევს დამფუძნებელ კრებს“ და „რატომ გვეძახიან ბლანკისტებს“. ამ სტატიებში გ. თელია სასტიკად აკრიტიკებს შენევიკებს და ანარქისტებს და იცავს ბოლშევიზმის პრინციპებს“ (გვ. 64). ზ. გვევშიძე წიგნში მოკლედ მიმოიხილავს გ. თელიას ამ სტატიებს.



მაგრამ რევოლუციური მარქსიზმის მოციქუ-  
ლი გ. თელია მარტი პუბლიცისტურ სტატიებს  
როდი წერდა. მან დაწერა თეორიული ხასია-  
თის ბროშურები: „წველი და ახალი მკედრე-  
ბი“ (პასუხად არ. ჯორჯაძეს) და „ანარქიზმი  
და სოციალ-დემოკრატია“. ამ ბროშურების და-  
ბეჭდვა ვერ მოესწრო, რადგანაც ისინი პოლი-  
ციამ წაიღო ჩხრეკის დროს და დღემდე აღმო-  
ჩენილი არ არის. გ. თელიას სიყვდილის უკა-  
ნასკნელ წუთამდე ხელიდან არ გაუგდია კალა-  
მი. იგი ამზადებდა ბროშურას კავკასიის სო-  
ციალ დემოკრატიის ისტორიაზე, მაგრამ ულ-  
მიბეღმა სიყვდილმა მას არ დააყალა ამ ბრო-  
შურის დამთავრება.

\* 1907 წლის გაზაფხულზე გ. თელიას ჯან-  
მრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუ-  
არესდა. 1907 წლის 19 მარტს 27 წლის ასაკში  
გარდაიცვალა მუშა რევოლუციონერი გ. თელია.  
მისმა სიყვდილმა დიდი მუუხარება გამოიწვია  
ამიერკავკასიის მშრომელებში. იგი დაკრძალეს  
25 მარტს თავის სოფელში — ჭავჭავაძის. დაკ-  
რძალვის დროს გაიმართა დიდი მიტინგი, რო-  
მელსაც 2,000-მდე კაცი დაესწრო. მიტინგზე  
სიტყვები წარმოუქვეს თბილისის, ქუთაისის,  
ბათუმის, ფოთის, სამტრედიის, ხონის, გურჯაის,  
სამეგრელოს და სხვა სოციალ-დემოკრატიული  
ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. „ორატო-  
რები მოკლე სიტყვაში ეხებოდნენ. — წერდა  
ბოლშევიკური გაზეთი „დრო“. — ამბ. გ. თე-  
ლიას ყოველშრივ მოღვაწეობას მუშათა კლას-  
ის საქმისათვის, მისი პარტიის სახელისა და

ღიღებისათვის... თვითოეული ორატორი ცდი-  
ლობდა განსვენებული ამხანაგის მოღვაწეობა  
გაღუჯაქვა თანამედროვე მოწინდართო მუშო-  
უფრო ნათელყო მშენებლებისთვის ძველი რე-  
ვიმის სისამაგლე და გაამყვებეტი ბრძოლის  
აქტიულობა“. (გვ. 81).

ბოლშევიკურ გაზეთ „დროში“ გ. თელიას  
გარდაცვალების გამო დაბეჭდა ამხანაგ  
სტალინის სტატია სათურათ — „ამბ. გ. თე-  
ლიას ხსოვნას“. ამ სტატიაში ამხანაგმა  
სტალინმა ბრწინვალედ გაამუქა პროფესიონალ  
რევოლუციონერის გ. თელიას ცხოვრება და  
რევოლუციური მოღვაწეობა.

საბჭოთა ხალხი არასოდეს არ იფიწყებს  
გ. თელიასებრ გმირებს, რომლებმაც სისხლი  
დაღარეს რევოლუციის საქმისათვის, და მათ  
ხსოვნას ღირსეულად ინახავს.

1949 წელს სამტრედიის რაიონის მშრომე-  
ლებმა გ. თელიას ხსოვნის უკვდავსყოფად  
ქადაქ სამტრედიის ერთ-ერთ დიდ საწარმოს-  
ძალსახევე დაბრკიას გ. თელიას სახელი უწო-  
დეს, დაბრკიის ბაღში დადგეს ძეგლი და გ. თე-  
ლიას სახელობის ქუჩა დააწესეს. ხოლო 1951  
წელს პროფესიონალ რევოლუციონერის ძეგლი  
დადგა აგრეთვე მის სოფელში — ჭავჭავაძის.

ზ. გუგუშვიტს წიგნი „გეორგი თელიას“ გა-  
მოცემით უფიოდ კარგი და სასარგებლო საშე  
გაკითხა. ამ წიგანს დიდი ინტერესით ვაუენობა  
საბჭოთა მეოიხველი.

### მ. ჯინაპელაშვილი

## ი. კოღუა, „საგმოსთა საქართველო სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია“

სახელგამი



წიგნის ავტორი მიზნად ისახავს გააცნოს  
მკითხველს საბჭოთა საქართველოს მიერ გან-  
ვლილი გზა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნი-  
დან მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცე-  
ვისათვის.

პირველ თავში გადმოცემულია ლენინ-  
სტალინის მოძღვრება სოციალისტური ინდუს-  
ტრიალიზაციის შესახებ. ავტორი მოკლედ ჩერ-  
დება მეფისტროინდელი რუსეთის ეკონომიკ-  
ური ჩამორჩენის დამახასიათებელ მომენტებზე  
და აღნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ეს  
ჩამორჩენილობა არათუ არ კლებულობდა,  
არამედ კიდევ უფრო იზრდებოდა.

საკანონირო კ. ბ. (ბ) XIV ყრილობაზე  
ი. სტალინმა თავის მოხსენებაში განსაზღვრა  
სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, როგორც

ბოლშევიკური პარტიის გენერალური ხაზის  
არსი. „გადავაქციეთ ჩვენი ქვეყანა აგრარულ-  
ლიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელსაც  
უნარი შესწევს თავისი საკუთარი ძალებით  
დამზადოს საჭირო მოწყობილობა, — ამბობს  
ი. სტალინი, — ამ რა არის ჩვენი გენერალური  
ხაზის არა, საფუძველი“.

ამხანაგმა სტალინმა თანმიმდევრულად დამო-  
ვა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური დამოუკ-  
დებლობის ლენინური იდეა, გააკამტერა კა-  
პიტალიზმის დამცველებს — ზინოვიევის, კა-  
მენევის, სოკოლნიკოვის და სხვათა ტროცის-  
ტულ-მენშევიკური გეგმა, როგორც საბჭოთა  
კავშირის აგრარისაციისა და დაუნიზაციის  
უბ-დროვი იდის გამოხატულობა. წიგნის ავტო-  
რი დასკვნის: „საბჭოთა ხალხი მტკიცედ ვაჭ-

ვა ლენინსტალინის მიერ ნაჩვენებ ვხას. მან დაძლია მრავალი სიძნელე ამ გაუქმებულ გზაზე და წარმატებით მიაღწია დასახულ მიზანს: საკუთარი სახსრებით, უცხოეთის სესხის გარეშე შექმნა მოწინავე სოციალისტური ინდუსტრია" (გვ. 18).

რევოლუციამდელი საქართველო რუსეთის კაპიტალიზმისათვის გასაღების ზანარს და სანდულელო დანამატს წარმოადგენდა. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად მძიმე მრეწველობა საქართველოში წარმოადგენილი იყო მოპოვებითი მრეწველობის ზოგიერთი დარგით, უმთავრესად მარგანეცისა და ქვანახშირის მრეწველობით. ამასთან მარგანეცის საბადოთა და უმცირესობის ადგილობრივი მრეწველები და უცხოელი კაპიტალისტები მტაცებლურად აწარმოებდნენ, ხოლო ქვანახშირის მოპოვება ტყიბულში წარმოებდა უმნიშვნელო ოდენობით, როგორც ავტორი აღნიშნავს, „შეზღუდულ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ საქართველოში დასაწყისი მისცა ახალ ერაჲს ქართული ზალხის ცხოვრებაში, ლენინსტალინის პარტიის ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველყო საქართველოს დანგრეული და გამარჯვებული ეკონომიკის აღდგენა და განვითარება" (გვ. 25).

მომდევნო თავში ავტორი განიხილავს ინდუსტრიალიზაციის განხორციელების სიძნელეებს საქართველოში. როგორც ცნობილია, საქართველო რუსეთთან შედარებით უფრო გლეხური ქვეყანა იყო და ცარიზმი ხელოვნურად აბრკოლებდა მსხვილი მრეწველობის შექმნას. ცარიზმი საქართველოში, ისე როგორც სხვა განაპირა მხარეებში, განზრახ ნერგავდა „პატარაქალღერ ფეოდალურ ჩაგვრის იმისათვის, რომ მოზიხასა და უუცხოებას პეოლოდა მასები" (ი. სტალინი).

საბჭოთა რევოლუციის გამარჯვებამ ისინი საქართველო სრული კატასტროფისაგან, ვაითა ვისუფლა მენშევიკური მემამულურ-ბრუჯული ბატონობისა და უცხოეთის იმპერიალიზმის კლანჭებისაგან. ავტორი თავის წიგნში გვაძლევს საქართველოში ინდუსტრიალიზაციის სიძნელეთა ღრმა ანალიზს და გვიჩვენებს მწვევე კლასობრივი და პარტიული ბრძოლის ვითარებას, რომელშიც საქართველოს ინდუსტრიალიზაცია ხორციელდებოდა. ავტორი ამართლიანად აღნიშნავს, რომ ლენინისა და სტალინის ისტორიულ მითითებათა რეალიზაციისათვის ბრძოლაში საქართველოს ბოლშევიკებმა, ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, ვაანადგურეს ნაციონალისტურ - უკლონისტური გეგუფები, შექმნეს და განამტკიცეს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერა-

ცია, მტკიცედ დარჩნენ მასები პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სემე-რნეთ ღონისძიებითა გაერთიანებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა საქართველოს და ამიერკავკასიის მომვე რესპუბლიკების მძიმე მრეწველობის განვითარებაში.

შრომის მესამე თავში ავტორი იხილავს საქართველოს მძიმე მრეწველობის განვითარებას ომამდელი სტალინური ხელისუფლების პერიოდში (1928 — 1940 წლები). ავტორი თანმიმდევრულად გვაცნობს მძიმე მრეწველობის შექმნისათვის ქართველი ზალხის შემოქმედების შრომასა და ბრძოლას.

კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ლიმიტარეშე დაბანდებისა და კაპიტალური შეკეთების ჩათვლით 1926 წლიდან 1940 წლამდე შეადგენდა 5711,5 მილიონ მანეთს. როგორც ავტორი აღნიშნავს, „საბჭოთა საქართველოს უდიდესი მიღწევები ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დარგში, საწარმოო ძალთა უმავალით აღორძინება, ერთეული ეკონომიკისა და კულტურის აყვავება განუყრელად დაკავშირებულია ლენინის მოწოდების და სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლ. ჰ. ბერიაის სახელთან, რომელიც 1931 წლის ნოემბრიდან 1938 წლის ავისტომდე უშეზღუდლად ხელმძღვანელობდა საქართველოს ბოლშევიკთა შტაბს — საქართველოს ე. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. ეს იყო საბჭოთა საქართველოს სწრაფი ინდუსტრიული აღმავლობის წლები. არსებითად, ამ პერიოდში შეიქმნა, განვითარდა და განამტკიცდა საქართველოს მძიმე ინდუსტრია საკავშირის უმნიშვნელოვანესი დარგებით" (გვ. 45).

სოციალისტური მეურნეობის ხეყლითმა წინამ 1940 წ. საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციაში მიაღწია 100 პროცენტს, სოფლის მეურნეობაში 99 პროცენტს, ტრანსპორტისა და საკონლის ბრუნვაში 100 პროცენტს.

საქართველოს სსრ მრეწველობის მთელი პროდუქცია 1940 წელს 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 27-ჯერ, ლითონამშენმშენებელი მრეწველობისა — 3-ჯერ, ელემტროსადგურების სიმძლავრე — 23-ჯერ, ელემტროენერჯის გამომშენებება — 37-ჯერ, ქვანახშირის ამოღება — 9-ჯერ, მარგანეცის ამოღება — 1,5-ჯერ.

წიგნის ერთ-ერთ საინტერესო ნაწილს წარმოადგენს მეოთხე თავი „საბჭოთა საქართველო — მოწინავე ინდუსტრიის ქვეყანა", რომელშიაც განხილულია ინდუსტრიალიზაციის

ტემისა და მასტაბის, მძიმე მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის და ძირითადი ფონდების, ტექნიკური პროგრესის, კადრებისა და შრომის ნაყოფიერების საკითხები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე ლენინისა და სტალინის პირდაპირმა მითითებებმა საფუძველი ჩაუყარეს საწარმოო ძალთა აღორძინების უმავალით ტემპებს. საწარმოო იარაღებისა და საშენობების სოციალისტურმა საკუთრებამ და მეურნეობის გეგმიანმა სისტემამ შესაძლებელი გახადა ეკონომიკის უკრინზის განვითარება და ქვეყნის რესურსების გვერდშეწონილი გამოყენება.

საქართველოს მრეწველობა, ისევე როგორც მთელი სსრ კავშირის მრეწველობა, განუწყვეტლევ ვითარდებოდა გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის კანონის საფუძველზე. „საქართველოს მთელ ამ დიდ სამრეწველო მშენებლობაში განსახიერდა ნაციონალურ რესპუბლიკათა ინდუსტრიალიზაციისა და მოწინავე რესპუბლიკების დონემდე მათი აყვანის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა“ (ლ. ბერია).

მომდევნო თავებში ავტორი იხილავს საქართველოს მრეწველობის სამამულო ომის პერიოდში და ომის შემდგომ სტალინურ ხელმძღვანელს. ბელადის პირველი მოწოდებისთანავე საქართველოს ბოლშევიკებმა უდიდესი სისწრაფით და ორგანიზებულობით განახორციელეს მთელი სახალხო მეურნეობის გადაყვანა სახმედრო ეკონომიკის რეალსებზე. სამრეწველო მშენებლობა საქართველოში ომის დაწყების შემდეგ არათუ არ შეწყვეტილა, არამედ კიდევ უფრო გაფართოვდა. საქართველოს მძიმე მრეწველობის ყველა დარგის შექმნა, ოპიანობის დროის სიმწვლეობა მიუხედავად, უმავალით შრომითს გამოჩინა იჩენდნენ და წარმატებით ასრულებდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებებს. „საქართველოს მეშუბს შეუძლიათ სიამაყით გაიხსენონ, რომ მათ მიერ გამოშვებული სატურველი კომინუნალურად უწყობდა ხელს კავკასიისა და კართებზე მტრის განადგურების საქმეს“ (ი. ჩარკვიანი).

ომის შემდგომ ბ-თმულდში საქართველოს სოციალისტურმა სახალხო მეურნეობამ დიდი ნაბიჯით წაიწია წინ. 1950 წელს საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციამ 52.3 პროცენტით გადაჭარბა 1940 წლის დონეს. სამრეწველო პროდუქციის რაოდენობრივ გადიდებამთან ერთად მიმდინარეობდა მრეწველობის ხარისხობრივი ზრდა. უკანასკნელი წლების განმავლობაში იზრდებოდა და ვითარდებოდა პირველ რიგში მრეწველობის ის დარგები, რომ-

ლებიც მძიმე ინდუსტრიას მოეკუთვნებოდა. „1950 წელს ჩვენ უკვე გამოვდნეთ და გავვლინეთ რამდენიმე ათეული ახალი ტრანსპორტული საბჭოთა ფორდა. უმცირესი სიჩქარის წაღში გამოყენებულ ქართულ თუჯსაც, ეს ოსი ნიშნავს, რომ საბჭოთა საქართველო გახდა ტექნოლოგიის ქვეყანა“ (ი. ჩარკვიანი) ომის შემდგომ სტალინურ ხელმძღვანელში მძიმე ინდუსტრიის მძლავრი ზრდა, მისი ღრმა თვისობრივი ცვლილება და შემდგომი ტექნიკური პროგრესი უზრუნველყოფს მთელი მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს ბოლშევიკების ნაკადი ხელმძღვანელის აშ. კ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით მოპოვებულ წარმატებებს და წერს: „ქართველი ხალხი ყველა თავის წარმატებას, რაც მან მოიპოვა, სამართლიანად უმაღლეს ბოლშევიკებს პატიას, მის ბრძნულ პოლიტიკას, მის სტალინურ ხელმძღვანელობას“. (გვ. 113).

ამისთანავე საჭიროდ მიგვიჩნია მეთხველის ყურადღება მივაქციოთ წიგნის ზოგიერთ ნაკლებანებაზე. წიგნში არ არის მძიმე მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების დანახვა. ეს კი მეთხველს განვითარების მისცემდა საქართველოს ინდუსტრიის განვითარების შესახებ.

არასწორად იქცევა ავტორი, როდესაც წიგნში მოკაყს მეოთხე, ომის შემდგომი პირველი ხელმძღვანელი გვემის მხოლოდ დავალებანი. გაიკლებით უკეთესი იქნებოდა, ელენიბის ხელმძღვანელი გვემის შესრულების მაჩვენებლები ცალკე წლების შედეგების მიხედვით.

წიგნის ზოგიერთი ადგილი მოითხოვს უფრო ზუსტ ფორმულირებას, მაგალითად, ნავე გვერდზე ნათქვამია: „ამრიგად, პირველი და მეორე მოთვლილი ომის შუა პერიოდში (19) მეკეთრად გაიზარდა საქართველოს მრეწველობის მატერიალური შესაძლებლობანი“, და სხვ.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლებანებისა, წიგნი ინტერესს მოუღებელი არ არის. წიგნში მოცემულია მრავალი ციფრობრივი მაჩვენებელი და ფართოდაა გამოყენებული პარტიისა და ხელისუფლების უმნიშვნელოანება დადგენილებანი და სხვა საინტერესო მასალები, რომლებიც თანმიმდევრულად გვიხატავენ საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებას.

ი. კოდუას წიგნი მიეწინიერულ-პოპულარული ნაშრომია, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწიებს საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საკითხის შესწავლელთ.



## ახალი წიგნები

✱

### სახელმწიფო ბაზოციკლიკა

**შოთა არსთაველი** — ეფესისტყაოსანი (აკადემიური გამოცემა). პასუხისმგებელი გამოცემა-ბისათვის ალ. ბარამიძე. გვ. 386. ფასი 35 მანეთი.

**ა. პავლენკო** — ბედნიერება (თარგმ. ქ. დათიაშვილისა და ლ. ტიტენიძისა) რედ. ნ. აგიაშვილი.

**ი. გონიაროვი** — ობლოპოვი (თარგმ. ქ. დათიაშვილისა და ლ. ტიტენიძისა). რედ. ალ. ჭიციშვილი. გვ. 587. ფასი 27 მანეთი.

**რადენ გეტაძე** — მოთბრობები. რედ. ოთ. ვეაძე. გვ. 414. ფასი 16 მანეთი და 50 კაპ.

**ალ. ჭიციშვილი** — ლელო. რედ. დ. შიხურაძე. გვ. 434. ფასი 18 მანეთი.

**დ. ტაბიძე** — ვაზის ჯიშო-კაბურნე. რედ. ერ. ფოფხაძე. გვ. 46. ფასი 1 მან. 50 კაპ.

**ტროიკაი, ალიოხინი** — თესლის მომზადება დასათესად. რედ. დ. ცხომარია. გვ. 64. ფასი 2 მან.

**ვ. ტატიშვილი** — ელადიმერ ზეციშვილი (თარგმანი ა. დავითაშვილისა). რედ. ი. კახიანი. გვ. 28. ფასი 1 მან. 50 კაპ.

**ხტაშევსკი** — სარაიონო სასოფლო-სამეურნეო გამოყენები. რედ. ა. გვიგინიშვილი. გვ. 122. ფასი 4 მან.

**მეცხოველეობის სახელმძღვანელო** — (თარგ. ა. დავითაშვილისა). რედ. ი. კახიანი. გვ. 358. ფასი 13 მან.

**ს. ფლენტი, ვ. ფლენტი** — ფუტკრის მოვლა-მოშენება. რედ. ვ. შავიშვილი. გვ. 427. ფასი 3 მან. **შამათაია** — ცხოველთა რესპტოსპიროზი და მასთან ბრძოლა. რედ. ი. კვეციტაძე. გვ. 48. ფასი 1 მან. 50 კაპ.

**მეცხოველე კოლმეურნის სახელმძღვანელო** — ნაწ. 2. რედ. ს. ვერქოშაიშვილი. გვ. 459. ფასი 13 მან.

**ნ. ანთაძე** — ინდურის მოშენება. რედ. ა. ბედიაშვილი. გვ. 75. ფასი 2 მან.

**ი. ხობლავი** — ტექნიკურ კულტურათა მანებულებისა და დაედაბათა წინააღმდეგ ბრძოლის მანქანები. რედ. დ. ციციშვილი. გვ. 135. ფასი 5 მან.

**ნიდაჯის დამუშავება** — რედ. დ. ცაქალაშანიძე. გვ. 58. ფასი 1 მან.

**ზოგადი ცნობები მცენარის სიცოცხლის შესახებ** — რედ. ვ. აბესაძე. გვ. 56. ფასი 1 მან. 50 კაპ.

**სსრ კავშირის საკუდრაკო კოდექსი** — (თარგ. ა. ფალავანდიშვილისა). რედ. ბ. დარსაძე. გვ. 40. ფასი 1 მან. 50 კაპ.

### საბლიტბაში

**ნაიმ ჰიქმეთი** — ზოია (თარგ. კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და ალიო შირკებულავისა). რედ. ვ. ჭელიძე. გვ. 28. ფასი 2 მანეთი.

**ჩარლზ დარვინი** — ბუნებისმეტყველის მოგზაურობა დედამიწის გარშემო გემ „ბიგლით“ (თარგ. სეთი იაშვილისა). რედ. ს. ნარიაშვილი. გვ. 542. ფასი 25 მანეთი.

**ნოე დაფნარელი** — საბავშვო ლექსები. რედ. შ. ტყემალაძე. გვ. 32. ფასი 2 მანეთი.

**კოტე მესხი** — გამარჯვების ვზაზე. რედ. ვ. ნატროშვილი. გვ. 46. ფასი 2 მანეთი.

**ვ. მელიქიშვილი** — ურარტუ. რედ. შ. მესხია. გვ. 147. ფასი 7 მანეთი.

**ფელიამ შექსპირი** — რომეო და ჯულეტა, ვენციელი ვეპარი (თარგმანი ვ. ჭელიძისა). რედ. ა. ჭიციშვილი. გვ. 279. ფასი 12 მანეთი.

- ი. ტურგენევი — მემუ (თარგმანი შ. თაბუკაშვილისა). რედ. პ. ბატუტაძე, გვ. 81/ ფასი 3 მანეთი.  
 ლილია მეგრელიძე — ნანა. რედ. თ. შათაშვილი, გვ. 48, ფასი 3 მანეთი.  
 დანიელ დეფო — რომანონი კრუზო (თარგმ. ვ. ჭელიძისა). რედ. ი. თაბუკაშვილი, გვ. 292, ფასი 15 მანეთი.

## სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

- ფ. ჯავახიშვილი — ქართული ერის ისტორია, ტომი I, რედ. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 502, ფასი 25 მანეთი.  
 კ. კეკელიძე — ძველი ქართული მწერლობა ტომი I, რედ. ალ. ბარამიძე, გვ. 615, ფასი 30 მანეთი.  
 კ. ბაქრაძე — ლოგია, რედ. ს. წერეთელი, გვ. 456, ფასი 20 მანეთი.  
 გ. წერეთელი — არაბულ-ქართული ლექსიკონი, რედ. ს. ჯიქია, გვ. 298, ფასი 8 მანეთი.  
 დ. დოლიძე — დეფორმად სხეულთა მექანიკის შესავალი, რედ. ა. რუხაძე, გვ. 194, ფასი 8 მანეთი.  
 ფ. ნიქარაძე — ბერძნული ენის სახელმძღვანელო, რედ. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 310, ს. ცხაკია — გეოდეზია, რედ. ა. ჯავახიშვილი, გვ. 395, ფასი 13 მანეთი.  
 ე. ჩახტაური — დიფერენციალური გეომეტრიის საფუძვლები, რედ. გ. ჭოლოშვილი, გვ. 312, ფასი 8 მანეთი.  
 სახაროვი და კოსმინოვი — ფიზიკის ამოცანათა კრებული, რედ. მ. მირონაშვილი, გვ. 320, ფასი 10 მანეთი.  
 პირველი სხივი — (წიგნი მეორე). რედ. პ. ჟღენტაძე, გვ. 339, ფასი 20 მანეთი.

შინაარსი



ალექსანდრე შუთათელი — პირისპირ, რომანი, დასასრული . . . . .	3
ანა კალანდანიძე — ლენინის ქედი, ლექსი . . . . .	42
კონსტანტინე გამსახურდია — ვაზის ყვავილობა, რომანი, ვაგრძელება . . . . .	44
სანდრო შანშიაშვილი — ორი ლექსი . . . . .	67
როდორღე მორაქია — ერთი ვარსება, მოთხრობა . . . . .	69
ალექსანდრე ბიბაშვილი — დიდება უფროს ძმას, ლექსები . . . . .	77
ნინო აღნიაშვილი — აგარაკზე, მოთხრობა . . . . .	83
ქალე ბოგოხიძე — ლექსები თბილისზე . . . . .	87
შალვა ტოგონიძე — ერემის კედელთან, ლექსი . . . . .	90
ბურაბე კლდიაშვილი — ზანგი და ახალი წელი, ლექსი . . . . .	91
სირაბეი ანტონოვი — ლუნა, მოთხრობა, თარგმანი თ. აბაშვილისა . . . . .	92
ბ. საბაშვილი — თურქეთის მიწაზე, ნარკვევი . . . . .	135
დვიტრი ბენაშვილი — აღქმანდრე აბაშელი, წერილი . . . . .	141
გიორგი კინაძე — ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის მდგომარეობა და მისი ამოცანები, წერილი . . . . .	152
დვიტრი მორიძე — მილიტარისში და მეშთა კლასის ვალტაჟების ზრდა კავიტა-ლისტურ ქვეყნებში, წერილი . . . . .	159
ბ. შიბაძე — შალვა დადიანი, რჩეული წერილები, წიგნი I, ბიბლიოგრაფია . . . . .	166
პროფ. ს. დანელია — ლურჯიყუის საფანთა ბუნების შესახებ, ბიბლიოგრაფია . . . . .	168
ბ. დირცხალავა — ნ. ბაგრატიონი, ბურებთან, ბიბლიოგრაფია . . . . .	171
ბ. თუშიშვილი — ავთ. იოსელიანი, „ილია შავჭავჭავი და საქართველოს ისტორიის საკითხები“, ბიბლიოგრაფია . . . . .	173
ბ. ჯინეხიაშვილი — ზ. ჯვანთაძე, გიორგი თელავი, ბიბლიოგრაფია . . . . .	176
ი. ანათიანი — ი. კოდუა „საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია“, ბიბლიოგრაფია . . . . .	179
ახალი წიგნები . . . . .	182

რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეჯია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ანათიანი, შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხეიძე, სერაბი ვიღანი.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 2/11-52 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11 1/2. შმ 00917. შვევ. № 15. ტირაჟი 5.500.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელ. № 3-23-42.